საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

ისტორიის
არქეოლოგიის
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

2.1978

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე
ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია

СЕРИЯ ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ, ЭТНОГРАФИИ И ИСТОРИИ ИСКУССТВА

თბილისი
ТБИЛИСИ

2.1978

ჟურნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал выходит раз в 3 месяца.

სარედაქციო კოლეგია: ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, ვ. გაბაშვილი, ი. კაჭარავა (რედაქტორის მოადგილე), რ. კიკნაძე (რედაქტორის მოადგილე), გ. მელიქიშვილი (რედაქტორი), გ. ჩიტაია, ლ. ჭილაშვილი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М. Апакидзе, В. В. Беридзе, В. Н. Габашвили, Ю. М. Качарава (*зам. редактора*), Р. К. Кикнадзе (*зам. редактора*), Г. А. Меликишвили (*редактор*), Г. С. Читая, Л. А. Чилашвили

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლორთქიფანიძე
Ответственный секретарь Г. Г. Лордкипанидзе

შ ი ნ ა ა რ ს ი

ილია ჭავჭავაძის დაბადების 140 წლისთავი

ა. სურგულაძე, დიდი განმანათლებელი და დემოკრატი 5

წერილები

ი. ჩიქავა, საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუცია 17
ვ. ქარჩავა, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების კომუნისტურში გადაზრდის ძირითად კანონზომიერებათა შესახებ 24
დ. შველიძე, სოციალისტ-ფედერალისტების კრიტიკა საქართველოს ბოლშევიკების მიერ რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში 34
მ. ნიკოლეიშვილი, მეტოქეობა საქართველოს ქალაქებს შორის რეფორმისშემდგომ პერიოდში 47
გ. თოგოშვილი, ალან-ოსები და ბიზანტია 61
ლ. მარგოშვილი, რელიგიური გადმონაშთები პანკისის ხეობაში 80

ცნობები და შენიშვნები

გ. გაბუნია, საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობა 1905—1907 წწ. რევოლუციაში 95
ს. ჯაფარიძე, საერთაშორისო გამოფენებში საქართველოს მონაწილეობის ისტორიიდან 110
ირ. ანთელავა, დაყმევების პროცესის მასშტაბის საკითხისათვის XVIII საუკუნის საქართველოში 117
ლ. ფინამძღვრიშვილი, ხიზნების საკითხი გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ ფურცლებზე 128
ი. სურგულაძე, კახეთის სუვერენის შესახებ IX—X სსა 142
მ. ხიდაშელი, ბრინჯაოს სარტყლების მხატვრული დეკორის სიმბოლიკის ზოგიერთი საკითხი 148

პუბლიკაცია

ნ. ყანჩაველი, საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან (ერეკლე მეორის ორი არაბული წერილი) 163

დისკუსია და განხილვა

ილ. ანთელავა, ერთიანი მონარქიის დაშლა და შუა საუკუნეთა საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის პრობლემა 167
გ. მაისურაძე, ფეოდალიზმის ისტორიის პერიოდიზაცია ამიერკავკასიის ქვეყნებში 180

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ლ. ფრუიძე, ახალი ტრადიციები საქართველოში 193
ვ. ვინოგრადოვი, არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოს სსრ ახალმშენებლობებზე 200
ნ. შენგელია, მონოგრაფია XI—XII საუკუნეების აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულების შესახებ 207
ი. გაგლოევა, ე. დიუმეზილი, ოსური ეპოსისა და მითოლოგიის შესახებ . 212

ქრონიკა და ინფორმაცია

ნ. კილურაძე, საქართველოს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლთა ქრონოლოგია-პერიოდიზაციისადმი მიძღვნილი სესია 216

ირაკლი გიორგის ძე ანთელავა (ნეკროლოგი) . 218

СОДЕРЖАНИЕ

140-ЛЕТИЕ СО ДНЯ РОЖДЕНИЯ И. ЧАВЧАВАДЗЕ

А. СУРГУЛАДЗЕ. Великий просветитель и демократ 5

СТАТЬИ

И. ЧИКАВА, Новая Конституция Грузинской ССР 17
В. КАРЧАВА, Об основных закономерностях перерастания социалистического общества в коммунистическое 24
Д. ШВЕЛИДЗЕ, Разоблачение грузинскими большевиками мелкобуржуазно-националистической сущности социалистов-федералистов в период первой русской революции 34
М. НИКОЛЕЙШВИЛИ, Соперничество между городами Грузии во II половине XIX века 47
Г. ТОГОШВИЛИ, Византия и Алания 61
Л. МАРГОШВИЛИ, Религиозные пережитки у панкисских кистов. 80

СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

Г. ГАБУНИЯ, Учащаяся молодежь Грузии в революции 1905—1907 гг. . 95
С. ДЖАПАРИДЗЕ, Из истории участия Грузии во всемирных выставках 110
И. Г. АНТЕЛАВА, К вопросу о масштабе процесса закрепощения крестьян в Грузии в XVIII веке 117
Л. ЦИНАМДЗГВРИШВИЛИ, Хизанский вопрос на страницах газеты «Новое обозрение» 128
И. СУРГУЛАДЗЕ, О суверене Кахети IX—X вв. 142
М. ХИДАШЕЛИ, Некоторые вопросы символики художественного декора бронзовых поясов 148

ПУБЛИКАЦИЯ

Н. КАНЧАВЕЛИ, Из истории грузино-дагестанских взаимоотношений (два арабских письма Ираклия II) 163

ДИСКУССИЯ И ОБСУЖДЕНИЕ

И. П. АНТЕЛАВА, Распад единой монархии и проблема периодизации истории средневековой Грузии 167
Г. МАЙСУРАДЗЕ, Периодизация истории феодализма в странах Закавказья 180

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Л. ПРУИДЗЕ, Новые традиции в Грузии 193
В. ВИНОГРАДОВ, Археологические исследования на новостройках Грузинской ССР 200
Н. ШЕНГЕЛИЯ, Монография о политических единицах XI—XII вв. восточного Закавказья 207
З. ГАГЛОЕВА, Ж. Дюмезиль об осетинском эпосе и мифологии 212

ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

Н. КИГУРАДЗЕ, Научная сессия, посвященная хронологии и периодизации памятников позднебронзового и раннежелезного периодов . 216

Ираклий Георгиевич Антелава (некролог) 218

აკაკი სურგულაძე

დიდი განმანათლებელი და დემოკრატი

ქართველი ხალხის რჩეულ შვილთა თანავარსკვლავედში განსაკუთრებით ბრწყინავს ილია ჭავჭავაძის სახელი. დიდი ილია საყოველთაოდ აღიარებულია ქართველი ერის წინამძღოლად XIX საუკუნის მეორე ნახევარში სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის გაშლილ ბრძოლაში, მისი ვინაობისა და თვითმყოფობის დაცვისათვის ბრძოლაში. მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ილია ჭავჭავაძეს ხელთ ეპყრა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროშა. დაუცხრომელი საზოგადო მოღვაწე, მახვილი თვალის მხატვარი და პუბლიცისტი — იგი არა მარტო ეხმაურებოდა მისი ეპოქის ყველა უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ მოვლენას, არამედ დიდ გავლენას ახდენდა მათს განვითარებაზე.

ქართველი სამოციანელების და მისი მეთაურის ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივი მოღვაწეობა და აზროვნება ქართულ ისტორიოგრაფიაში მუდამ იყო და კვლავაც არის ერთ-ერთი ყველაზე ცხოველმყოფელი პრობლემა. მართალია, ამ პრობლემაზე დღეისათვის საკმაოდ ბევრია დაწერილი, მაგრამ მრავალი საკითხი, რომლებიც თერგდალეულთა რთული და წინააღმდეგობრივი ეპოქის საზოგადოებრივი აზრის დონისა და მიმართულების ცალკეულ მხარეებს შეეხება, ისევ აუხსნელია და გულდინჯ კვლევა-ძიებას საჭიროებს.

ილიასა და თერგდალეულების მოღვაწეობისა და აზროვნების შეფასებაში პირველი მნიშვნელოვანი ეტაპი ჯერ კიდევ რევოლუციამდელმა ქართულმა ისტორიოგრაფიამ შექმნა. რიგი საკითხების მართებულად ახსნის მიუხედავად, საერთო დასკვნები, რომლებიც ამ ეტაპზეა მიღებული, ვერ სტოვებენ დამაკმაყოფილებელ შთაბეჭდილებას. ძირითადი მიზეზი, რამაც ამ ეტაპზე კვლევის ერთგვარი ზერელობა და ზედმეტი ტენდენციურობა შეაპირობა, ჩვენი აზრით, უნდა ვეძიოთ იმ კლასობრივ-პარტიულ განკერძოებასა და ანტაგონიზმში, რითაც, საერთოდ, რევოლუციამდელი ქართული საზოგადოებრიობა და მისი იდეოლოგია ხასიათდებოდა.

საბჭოურ ქართულ ისტორიოგრაფიაში ილია ჭავჭავაძისა და მისი თაობის მოღვაწეობისა და აზროვნების კვლევა-ძიებამ ორი ეტაპი განვლო. ამ ორ ეტაპზე გამოიკვეთა ორი, ერთმანეთთან დაპირისპირებული, შეხედულება, რომლებიც დღეისათვის ჩვენს მეცნიერებაში „ძველ“ და „ახალ“ თვალსაზრისადაა სახელდებული.

ძველი, სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე დიდი ხანია დაგმობილი და უკუგდებული შეხედულება, ჩვენი საუკუნის ოც-ოცდაათიან წლებში ბოგინობდა. მაშინ ვულგარული სოციოლოგიზმის ტყვეობაში მყოფ ისტორიკოსებს და რაპპელ ლიტერატორებს ი. ჭავჭავაძე და თერგდალეულები, სერთოდ,

თავად-აზნაურობის ინტერესების დამცველად მიაჩნდათ. ილიას, აკაკის და სამოციანელთა მთელ სახელოვან თაობას მონარქისტების, ნაციონალისტების დამღა ჰქონდათ და მშრომელი მასების დაუძინებელ მტრებად იყვნენ აღიარებული.

ამ ანტიმეცნიერულ და მავნე თვალსაზრისს საფუძველი შეერყა 1934 წ. მწერალთა სრულიად საკავშირო პირველ ყრილობაზე. ძირეული გარდატეხა კი დაიწყო 1936 წლიდან. ი. ჭავჭავაძის დაბადებიდან 100 წლისთავისათვის მზადების პერიოდში გაზეთმა „პრავდამ“ იგი შეაფასა როგორც „საქართველოს XIX საუკუნის მეორე ნახევრის ნაციონალ-რევოლუციური მოძრაობის უაღრესად პოპულარული მოღვაწე“. ი. ჭავჭავაძის უდიდეს დამსახურებას გაზ. „პრავდამ“ 1937 წელს კვლავ გაუსვა ხაზი. ქართული საზოგადოებრივი აზრის მკვლევართათვის „პრავდის“ ეს ფორმულა გახდა იდეოლოგიური წანამძღვარი ილიასა და მთელი თერგდალეულების შეხედულებათა კლასობრივი ბუნების ასახსნელად. შემდგომმა ობიექტურმა კვლევა-ძიებამ დაადასტურა ქართველ სამოციანელთა ორგანული კავშირი რევოლუციურ დემოკრატიზმთან, რუსეთის 60-იანი წლების განმათავისუფლებელ მოძრაობასთან. ილია და მისი თანამებრძოლები წარმოსდგნენ სოციალური და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ შეუპოვარ მებრძოლებად, განუხრელ პროგრესისტებად და პატრიოტებად. ეს იყო ახალი თვალსაზრისი. ამ თვალსაზრისის მეცნიერულ დასაბუთებაში დიდი როლი მიუძღვით ქართული საზოგადოებრივი აზრის აღიარებულ მკვლევრებს, რომლებმაც 1940—1970-იან წლებში შექმნეს მრავალი საინტერესო გამოკვლევა ქართველ სამოციანელთა მოღვაწეობასა და აზროვნებაზე და მთელი სიდიადით წარმოგვიდგინეს ამ ეპოქის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მაღალი დონე, ხასიათი და მიმართულება.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და მწერლობის ხანა — XIX საუკუნის 60—80-იანი წლები — რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე, ე. წ. რაზნოჩინცული პერიოდის ფარგლებში თავსდება. ეს იყო თვითმპყრობელურ ხელისუფლებასა და ბატონყმობაზე რევოლუციურ-დემოკრატიზმის შეტევის პერიოდი, როცა დღის წესრიგში დადგა საერთო-სახალხო რევოლუცია, რომელსაც რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხებისათვის დემოკრატიული თავისუფლება უნდა მოეტანა. ამ მოძრაობის სათავეში იდგნენ რევოლუციური დემოკრატიზმის დიდი მესვეურები — ჩერნიშევსკი, გერცენი, ოგარევი, დობროლუბოვი და სხვები. ეს იყო მთელი პლეადა მგზნებარე სულის ადამიანებისა, რომლებიც ძირითადად ჟურნალების „სოვრემენიკისა“ და „კოლოკოლის“ ირგვლივ იყვნენ შემოკრებილნი და რომელთა თანამედროვეობაზე, განსაკუთრებით სტუდენტ ახალგაზრდობაზე, ზეგავლენას უდიდესი ძალა ჰქონდათ.

ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ბ. ღოღობერიძე, კ. ლორთქიფანიძე, ნ. ნიკოლაძე და სხვები პეტერბურგის უნივერსიტეტში ჩაირიცხნენ იმ დროს, როცა რუსეთი სახალხო რევოლუციის ზღურბლთან იდგა. ქართველ სტუდენტთა სათვისტომო, რომელსაც სათავეში ილია ჭავჭავაძე ჩაუდგა, აქტიური მონაწილე იყო უნივერსიტეტის მღელვარე რევოლუციური ცხოვრებისა. ისინი ხარბად დაეწაფნენ რევოლუციურ-დემოკრატიულ ლიტერატურას, ღამეებს ათენებდნენ „სოვრემენიკის“ და „კოლოკოლის“ კითხვაში. ბელინსკი, გერცენი, ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი გზის მანათებელ შუქურად ესახებოდათ, მოუთმენლად ელოდნენ რუსეთში სახალხო რევოლუციის აზვირთებას, რო-

მელსაც უნდა დაემხო ცარიზმი, მოესპო ბატონყმობა და იმპერიის ჩაგრული ხალხებისათვის დემოკრატული თავისუფლება მოეტანა.

პეტერბურგში სწავლის პერიოდში ილიამ და მისმა ჯგუფმა შეიმუშავეს სამოღვაწეო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან გათავისუფლებას. ჩვენს ისტორიოგრაფიაში იგი თერგდალეულთა პროგრამის სახელითაა ცნობილი. თერგდალეულთა პროგრამა რევოლუციურ-დემოკრატიზმზე იყო დაფუძნებული, მაგრამ იგი არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო რუს რაზნოჩინელთა პროგრამის ასლი, მისი მექანიკური განმეორება. თერგდალეულთა საბრძოლო პროგრამა რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიზმთან ერთად შეიცავდა მშობლიური ქვეყნის კონკრეტულ-ისტორიული ვითარებიდან გამომდინარე სხვა კომპონენტებს: იგი ყურადღებას ამახვილებდა ეროვნულ საკითხზე და „თვლიდა, რომ ძირითადი საბრძოლო ამოცანა ბატონყმური რეჟიმის ლიკვიდაციასთან ერთად იყო ცარიზმის კოლონიური რეჟიმის ლიკვიდაცია და ეროვნული ჩაგვრისაგან ქართველი ხალხის განთავისუფლება.

თერგდალეულთა იდეოლოგიამ რევოლუციურ-დემოკრატიზმთან ერთად შეიწოვა ქართული საზოგადოებრივი აზრის ადრინდელი მონაპოვარი: 30-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოცდილება, ამასთან ერთად, დასავლეთ ევროპის რევოლუციური და ეროვნული მოძრაობის ტრადიციები, კერძოდ იტალიისა და პოლონეთის განმათავისუფლებელი ბრძოლების ენთუზიაზმი და შემართება.

თერგდალეულებსა და მათ მესვეურ ილია ჭავჭავაძეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატების პირველ პირობად მიაჩნდა ბატონყმური რეჟიმის ლიკვიდაცია. სწორედ ამიტომ მათ 60-იან წლებში ბატონყმობას ულმობელი ბრძოლა გამოუცხადეს. ი. ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი“?!, „გლახის ნაამბობი“, „კაკო ყაჩაღი“, მისი მრავალი ლექსი და მოთხრობა ბატონყმობის სიმახინჯის მხილებას, მისი მოსპობის აუცილებლობის შეგნების დანერგვას ემსახურებოდა. ეს საკითხი დააყენა წინა პლანზე ჟურნალმა „საქართველოს მოამბემ“, რომელიც 1863 წელს გამოდიოდა ი. ჭავჭავაძის რედაქტორობით. ამავე მიზანს ისახავდა აკაკის მახვილი სატირა. ეს საკითხი გაიტანა საერთაშორისო ასპარეზზე ნ. ნიკოლაძემ „კოლოკოლის“ საშუალებით. თერგდალეულებს სწამდათ, რომ ბატონყმობის გაუქმებით საქართველოს მთავარი სოციალური სატკივარი მოისპობოდა, საზოგადოებრივი ასპარეზიდან გაქრებოდნენ უქნარა და უნაყოფო ადამიანები, შრომას ფასი დაედებოდა და მისგან შექმნილი მატერიალური დოვლათით ყველა ისარგებლებდა, ეროვნული ძალები საერთო ნიადაგზე განლაგდებოდნენ, განხორციელდებოდა ეროვნული კონსოლიდაცია, რითაც შემზადდებოდა ნიადაგი ეროვნული ჩაგვრის სრული ლიკვიდაციისათვის. თერგდალეულებს აღაფრთოვანებდა ის, რომ რუსეთის დრომოჭმულ რეჟიმს აქტიურად უტევდნენ რევოლუციური ძალები და ახალი რუსეთის დაბადება რეალური ჩანდა. ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა თერგდალეულთა თვალთახედვით განშტოება იყო საერთო საერუსეთო განმათავისუფლებელი ბრძოლისა, რომლის გამარჯვებით დაგვირგვინებას უნდა მოჰყოლოდა რუსეთის იმპერიის ხალხთა ბედიღბლის საერთო გადაწყვეტა. თერგდალეულებმა საბრძოლო ლოზუნგიც შეიმუშავეს. ეს იყო ი. ჭავჭავაძის ცნობილი ფრაზა, „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“!, რომელიც

დიდმა მწერალმა პეტერბურგიდან სამშობლოში დაბრუნებისას გამყოლ მოხევეს ათქმევინა. ლოზუნგი მშვენივრად გამოხატავდა სამოციანელთა ძირითად იდეალს და მოძრაობას ბოლომდე შერჩა. ლოზუნგს „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ — ქართულ ისტორიოგრაფიაში ხშირად არასწორი ინტერპრეტაცია ეძლევა. ადრე იგი მიაჩნდათ სეპარატიზმისაკენ მოწოდებად. ზოგიერთი მკვლევარი ახლაც იმ აზრისაა, რომ პირველ ეტაპზე იგი სეპარატიზმს გულისხმობდა, მეორე ეტაპზე (80-იანი წლებიდან) თვითმპყრობელური რეჟიმის ფარგლებში ეროვნული თვითმმართველობისათვის დასაშვებ ბრძოლას. ეს თვალსაზრისი, მცდარი თავისთავად, ამავე დროს ძალაუნებურად სთიშავს ი. ჭავჭავაძის მთლიან მსოფლმხედველობას ორ, ერთმანეთთან დაპირისპირებულ პერიოდად, რაც ისტორიულ სინამდვილეს არ შეესაბამება. ჩვენის აზრით, ლოზუნგი „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ არასოდეს არ ყოფილა სეპარატიზმისაკენ მისწრაფება, არც თვითმპყრობელურ რუსეთთან შერიგება. იგი გულისხმობდა სამოციანელთა შეუნელებელ ბრძოლას ახალი რუსეთისათვის. დემოკრატიული რუსეთისათვის, რომლის შემადგენლობაში დემოკრატიულ საქართველოს თავისი ეროვნული თვითმყოფობის დაცვისა და განვითარების გარანტია უზრუნველყოფილი ექნებოდა.

თერგდალეულთა პროგრამა, XIX საუკუნის 60—80-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ხასიათი და მიმართულება საშუალებას გვაძლევს ავხსნათ ი. ჭავჭავაძის მოღვაწეობისა და აზროვნების კლასობრივი ბუნება. ამ საკითხის გარშემო ჩვენს ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგი მკვლევარი თვლის, რომ ი. ჭავჭავაძე ბურჟუაზიის იდეოლოგი იყო, რადგან ბურჟუაზია იმ ეპოქაში, როცა ი. ჭავჭავაძის მოღვაწეობა გაიშალა, მოთავეობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას და საერთო ეროვნულ პროგრესს ემსახურებოდაო. ზოგის აზრით, ილია წვრილბურჟუაზიის (გლეხობის) იდეოლოგი იყო, რადგან იმ ეპოქაში, როცა ილია ედგა სათავეში ქართულ საზოგადოებრივ აზრს, წვრილი ბურჟუაზია (გლეხობა) საქართველოში ერთადერთ რევოლუციურ კლასს წარმოადგენდა. ბურჟუაზია როგორც საზოგადოებრივი ძალა, ამ დროს არ არსებობდაო.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ი. ჭავჭავაძე ასახავდა ეროვნული და სოციალური ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის მებრძოლი მასების, მშრომელი და ექსპლუატირებული მასების ინტერესებს, რომლებიც მაშინ აერთიანებდა გლეხსაც, პროლეტარსაც, ვაჭარსაც, ყველას, — ვისაც ბატონყმური რეჟიმი ჩაგრავდა და წინსვლის გზას უხშობდა. ეს იყო კლასობრივად ჯერ კიდევ მკვეთრად გაუმიჯნავი „მესამე წოდება“. საერთო ინტერესი, რაც ამ წოდებაში შემავალ ცალკეულ სოციალურ ჯგუფებს აერთიანებდა, ბატონყმური ურთიერთობის ლიკვიდაცია და კოლონიური უღლის დამსხვრევა იყო. სხვადასხვა წოდების „იმდროინდელი სოლიდარობა, — მიუთითებს ვ. ი. ლენინი, — გამოწვეული იყო იმდროინდელი მატერიალური პირობებით... ბატონყმობა ყველას ერთნაირად ავიწროებდა — ყმა-ბურმისტრსაც, რომელსაც ფული დაეგროვებინა და საამური ცხოვრება უნდოდა, ყაირათიან გლეხსაც, რომელსაც ბატონი სძულდა ბეგარისა, მის მეურნეობაში ჩარევისა და გაცდენისათვის, პროლეტარ-შინაყმასაც და გაღატაკებულ გლეხსაც, რომელსაც დასამონებლად ყიდდენ ვაჭარზე; მისგან იტანჯებოდა ვაჭარი-მეფაბრიკეც, მუშაც, შინამრეწველიც და ხელოსანიც. ყველა ამ ადამიანთა შორის მხოლოდ ის კავშირი იყო, რომ ყველა

ისინი მტრულად უყურებდნენ ბატონყობას. ამ სოლიდარობის საზღვრებს იქით უმძაფრესი სამეურნეო ანტაგონიზმი იწყებოდა"[1].

რა თქმა უნდა, „მესამე წოდებაში" მთავარ ძალას მაინც გლეხობა წარმოადგენდა და ამით იყო გამოწვეული, რომ ი. ჭავჭავაძის მხატვრულ შემოქმედებასა და პუბლიცისტიკაში ამ კლასის ინტერესები წინა პლანზეა წამოწეული, მაგრამ ილია მარტო გლეხობის ინტერესებით არ შემოფარგლულა. მას მიაჩნდა, რომ ეროვნული ჩაგვრისაგან ქართველი ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში საჭირო იყო ერის ყველა სოციალური ჯგუფისა და ძალის გაერთიანება. ილიას გულწრფელად სჯეროდა, რომ ბატონყმური რეჟიმის ლიკვიდაცია შრომას ბორკილებს ახსნიდა, ყველა კლასს და წოდებას საქმეს გაუჩენდა, წოდებათა ინტერესების შეთანხმება კი ეროვნულ სხეულს გააღონიერებდა, შეამჭიდროვებდა მათ და დარაზმავდა იმ მჩაგვრელი ძალის წინააღმდეგ, რომელიც ყველა კლასისა და წოდების ინტერესებს მეტ-ნაკლებად უპირისპირდებოდა.

ჩვენ გამოვდივართ იმ ლენინური დებულებებიდან, რომ განმანათლებლები ერთი რომელიმე საზოგადოებრივი კლასით არ იფარგლებოდნენ და მოქმედებდნენ ერის „საერთო" ინტერესებით. „განმანათლებლები, — აღნიშნავს ვ. ი. ლენინი, — მოსახლეობის არც ერთ კლასს არ გამოჰყოფდნენ, როგორც თავიანთი განსაკუთრებული ყურადღების საგანს, ლაპარაკობდნენ არა მარტო ხალხზე საერთოდ, არამედ ერზეც კი საერთოდ"[2].

ამრიგად, ი. ჭავჭავაძე, როგორც განმანათლებელი-დემოკრატი ვერ იქნებოდა ბურჟუაზიის იდეოლოგი. ამ იდეოლოგიას იგი მისი მოღვაწეობის ყველა ეტაპზე ებრძოდა. მაგრამ თუ საკითხს დავაყენებთ — ობიექტურად რომელი საზოგადოების ინტერესებს ემსახურებოდა თერგდალეულთა იდეოლოგია საერთოდ, და ი. ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა კერძოდ, — მეცნიერული პასუხი მაინც ერთია: ბურჟუაზიულ-დემოკრატიულს, რადგან თერგდალეულთა ოცნება რომ სინამდვილედ ქცეულიყო, იმ ვითარებაში სხვა საზოგადოება ვერ დამყარდებოდა. სხვათა შორის, იგივე ითქმის რუს რევოლუციონერ-დემოკრატებზეც. მართალია, ისინი შეუპოვრად ებრძოდნენ რუსეთის თვითმპყრობელურ-ბურჟუაზიულ რეჟიმს და გლეხთა რევოლუციის მხურვალე ორგანიზატორებად გამოდიოდნენ, მაგრამ მაინც უტოპისტებად დარჩნენ და ისეთ საზოგადოებას შესტრფოდნენ, სადაც ისტორიის კანონით წამყვანი როლი ბურჟუაზიას რჩებოდა და მათ სოციალიზმს დღევანდელ სოციალიზმთან საერთო არაფერი ჰქონდა. რაც შეეხება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხასიათს და შინაარსს აღმავალი კაპიტალიზმის ეპოქაში, თავისთავად, იგი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობაა. ეს უცილო ლენინური დებულებაა. „არავითარი ეჭვი არაა, — მიუთითებს ვ. ი. ლენინი,— რომ ყოველი ნაციონალური მოძრაობა შეიძლება მხოლოდ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული იყოს"[3]. რა თქმა უნდა, ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ამ მოძრაობაში ჩაბმული ადამიანები ყველა უსათუოდ ბურჟუაზიის მიმდევრებად გამოვაცხადოთ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბევრი მეთაური

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 349.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 656.
[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 31, გვ. 287.

მოღვაწე ამ მოძრაობის რაზნოჩინცულ ეტაპზე რუსეთის იმპერიაშიც, დასავლეთშიც, ჩვენშიც ბურჟუაზიის ინტერესებზე მაღლა იდგნენ.

რაც შეეხება წვრილბურჟუაზიულ-გლეხურ იდეოლოგიას, იგი არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ი. ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის საფუძველი და ძირითადი შინაარსი. წვრილი ბურჟუაზია, მართალია, დადებით როლს ასრულებდა ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ საგლეხო რეფორმების შემდეგ, 70—80-იან წლებში, როცა ი. ჭავჭავაძის და თერგდალეულების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოღვაწეობა მთელი შესაძლებლობით გაიშალა, წვრილბურჟუაზიული იდეოლოგია ჩამორჩენილობის იდეოლოგია იყო.

წვრილი ბურჟუაზია წვრილმწარმოებელთა კლასია. იგი წვრილი და საშუალო გლეხობისაგან, შინამრეწველებისაგან, ხელოსნებისა და წვრილი ვაჭრებისაგან შედგება. მისი არსებობის ეკონომიკური საფუძველია წვრილი წარმოება, ანუ წარმოების ყველაზე ჩამორჩენილი ფორმა კაპიტალისტურ ფორმაციაში. წარმოების მსხვილი, კაპიტალისტური ფორმები დაუნდობლად აჩანაგებს წვრილ წარმოებას და წვრილ-ბურჟუაზიასაც, შლის ბურჟუებად და პროლეტარებად. ამიტომაა, რომ წვრილბურჟუაზიული იდეოლოგია ბურჟუაზიულს უპირისპირდება, მაგრამ უპირისპირდება ჩამორჩენილობის პოზიციიდან. წვრილ ბურჟუაზიას, მარქსისა და ენგელსის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, სურდათ „ისტორიის ბორბლის“ შებრუნება. „წვრილი წარმოების იდეალიზაცია მხოლოდ რეაქციულ, წვრილბურჟუაზიულ თვალსაზრისს გამოხატავს“[4]. — გვასწავლის ვ. ი. ლენინი. წვრილბურჟუაზიული იდეოლოგია რუსეთში იყო ნაროდნიკული იდეოლოგია, რომელსაც დაუნდობლად აკრიტიკებდა ვ. ი. ლენინი და თვლიდა, რომ ეს იყო უკან გადადგმული ნაბიჯი 60-იანი წლების რუსულ განმანათლებლობასთან შედარებით. ი. ჭავჭავაძის შემოზღუდვა წვრილბურჟუაზიულ-გლეხური იდეოლოგიით ისტორიული უსამართლობაა და ძალაუნებურად მისი დიდი პროგრესული საზოგადოებრივი იდეალების გაუფასურებას იწვევს.

ამრიგად, სახელოვანი ქართველი სამოციანელები და მათი მესვეური ილია ჭავჭავაძე გულწრფელი განმანათლებლები და დემოკრატები იყვნენ. ისინი იბრძოდნენ რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების მხარდამხარ ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, დემოკრატიული თავისუფლებისათვის. თერგდალეულთა იდეოლოგიაში ორგანულად იყო შერწყმული რევოლუციური დემოკრატიზმი და ევროპული უტოპიური სოციალიზმი, მაგრამ ერთიც და მეორეც ეროვნულ „დვრიტაში“ იყო გამოვლილი. ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგია ქართული სინამდვილიდან ამოდიოდა, ქართველი ხალხის ინტერესებს ასახავდა, ქვეყნის პროგრესის კეთილშობილურ საქმეს ემსახურებოდა. თერგდალეულებისათვის ძირითადს და მთავარს ეროვნული საკითხი შეადგენდა. ეროვნული პრიზმიდან ჭვრეტდნენ ისინი ბატონყმობისა და ქართული საზოგადოების წინაშე მდგომ სხვა მტკივნეულ საკითხებს. თერგდალეულთა იდეოლოგია, მიუხედავად უტოპიურობისა პროგრესული იყო და იმ ეპოქაში ქართველი ხალხის ინტერესებს სავსებით შეესაბამებოდა.

---

[4] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 263—264.

ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებათა შუქზე განვიხილოთ ი. ჭავჭავაძის საზოგადოებრივი მოღვაწეობა და შემოქმედება. 1861 წელს საუნივერსიტეტო კურსის დასრულებამდე ილია სამშობლოში გამოემგზავრა. საქართველოში ამ დროს იგი უკვე ცნობილი იყო როგორც ავტორი „ცისკრის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ორი სტატიისა („ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კოზლოვის „შეშლილის“ თარგმანზედა და „პასუხი“) და მგზნებარე ლექსებისა („გაზაფხული“, „გახსოვს ტურფავ“, „ალექსანდრე ჭავჭავაძე“). ამ სტატიებსა და ლექსებს ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდათ. ისინი მაუწყებელი იყვნენ ასპარეზზე ახალი თაობის გაბედული გამოსვლისა, რომელიც არა მარტო ეროვნული ენის გადემოკრატებას მოითხოვდა, არამედ ქართულ საზოგადოებრივ მოძრაობას ახალ მიმართულებას უსახავდა და მზის შუქი შეჰქონდა იმდროინდელ აზრობრივ წყვდიადში.

1861—1862 წლები ი. ჭავჭავაძემ ახალი ჟურნალის გამოცემისათვის მზადებას მოანდომა. მისი თაოსნობით ამ პერიოდში შეიქმნა სარედაქციო ბირთვი, რომელშიც ილიას გარდა შედიოდნენ პ. უმიკაშვილი, ვ. თულაშვილი, დ. ყიფიანი, პ. ნაკაშიძე, ი. წინამძღვრიშვილი და სხვები. 1863 წ. თებერვალში, ი. ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოვიდა ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ პირველი ნომერი. ეს ღირსახსოვარი თარიღია ქართული აზროვნების ისტორიაში. ახალი ჟურნალი გვერდში ამოუდგა სახელგანთქმულ „სოვრემენიკს“. ჟურნალის ფურცლებზე დაიბეჭდა ი. ჭავჭავაძის ბრწყინვალე მხატვრული ქმნილებანი — „გლახის ნაამბობი“, „კაცია ადამიანი?!“. ნაწყვეტი პოემიდან „კაკო ყაჩაღი“, „აჩრდილი“. ილიას ამ შედევრებმა ბატონყმურ რეჟიმს უმკაცრესი განაჩენი გამოუტანეს. ჟურნალის მოწინავე სტატია და ლექსები („პოეტი“, „გუთნის დედა“) ქართულ მხატვრულ აზროვნებაში რევოლუციურ-დემოკრატიული პრინციპების დაკანონებას ემსახურებოდნენ. „საქართველოს მოამბემ“ სულ ერთი წელი იარსება, მაგრამ მაინც წარუშლელი კვალი დატოვა. იგი იქცა ახალი თაობის ტრიბუნად. მან შემოიკრიბა მებრძოლი ძალები და შეუპოვარი ბრძოლა გააჩაღა საზოგადოებრივი რუტინის წინააღმდეგ; იგი მაგნიტივით იზიდავდა ქართველი ერის გულშემატკივარ მოღვაწეებს და მათ საქმიანობას გარკვეული გეზით წარმართავდა. ჟურნალმა გადმოშალა საზოგადოების წინაშე თერგდალეულთა საბრძოლო პროგრამა და მოკრიბა კიდეც ძალები ამ პროგრამის პროპაგანდისა და ცხოვრებაში განხორციელებისათვის.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედება ახალი ძალით გაიშალა 70-იანი წლების დასაწყისიდან, როცა იგი მთელი გატაცებით ჩაუდგა სათავეში გაზეთ „დროებასა“ და ჟურნალ „კრებულის“ გარშემო შემოკრებილ ადამიანთა დაუცხრომელ ეროვნულ მოღვაწეობას. „დროებაში“ დაიბეჭდა მისი „გლეხთა განთავისუფლების პირველი დროის სცენები“, „კრებულში“ — დრამატული პოემა „ქართვლის დედა“, „მგზავრის წერილები“, „აჩრდილის“ ახალი ვარიანტი. მწერლის ამ დროის ქმნილებებს ნათლად ატყვია უტოპიური სოციალიზმის დიდი გავლენა; პარიზის კომუნის შთაბეჭდილებითაა დაწერილი თავისუფლების სახოტბო სტრიქონები, „ქართვლის დედაში“ რომაა შეტანილი, რევოლუციის ქებათა-ქება, რომელიც „მგზავრის წერილებშია“ დამატებული. „1871 წელი, 23 მაისი“, უშუალოდ ეძღვნება პარიზელ კომუნართა დიად ბრძოლას თავისუფლებისათვის. ილიას კარგად ესმის, რომ XIX ს. განმათავისუფლებელი მოძრაობის დედაარსი მთელს დედამიწაზე შრომის განთავისუფლებაა.

მშრომელი და ექსპლუატირებული კლასები აღსდგნენ მჩაგვრელების წინააღმდეგ და მონობის ბორკილების მსხვრევა დაიწყო. პარიზის კომუნის დამარცხებამ, მართალია, დროებით შეაფერხა ადამიანთა თავისუფლების დიდი იდეების განხორციელება, მაგრამ მომავალი მაინც თავისუფლებას ეკუთვნის. განახლების გრიგალი კვლავ ამოვარდება და უსამართლობაზე დაფუძნებულ რეჟიმს დაანგრევს. ამრიგად, 70-იან წლებში ი. ჭავჭავაძემ კიდევ უფრო გამოჰკვეთა თავისი პოლიტიკური რადიკალიზმი. იგი თერგდალეულთა სხვა წამყვანი მოღვაწეების — ნ. ნიკოლაძის, ს. მესხის, გ. წერეთლის, ა. წერეთლის მხარდამხარ დადგა თავისუფლების მოტრფიალეთა ბანაკში და იწამა, რომ ევროპაში დაწყებული ქარიშხალი მის სამშობლოსაც გამოაღვიძებდა და აქაც „შრომის სუფევას“ დაამკვიდრებდა.

70-იან წლებში ილიამ პირველმა წამოიწყო ულმობელი ბრძოლა კონსერვატორების წინააღმდეგ. იგი სათავეში ჩაუდგა ბანკს, რომ იგი ეროვნული საქმეებისათვის გამოეყენებინა. 1877 წელს დააარსა გაზეთი „ივერია“. რომელიც 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან, „დროების“ დახურვის შემდეგ, დაახლოებით 11 წლის განმავლობაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურთა ერთადერთ ორგანოს წარმოადგენდა. „ივერიის“ პერიოდში ილიამ ძველი შემართებით გააჩაღა შემოქმედებითი საქმიანობა. ამ პერიოდს განეკუთვნება მისი „დიმიტრი თავდადებული“, „განდეგილი“, „სარჩობელაზედ“, უბრწყინვალესი პუბლიცისტური წერილები. ილია ამ დროს სათავეში უდგას ერის პროგრესული ძალების ყველა მნიშვნელოვან წამოწყებას. მიესალმება საქართველოს ისტორიული საზღვრების აღდგენის საქმეში გადადგმულ ნაბიჯებს ახლად შემოერთებული აჭარის მოსახლეობაში მუსლიმანობის ბანგით მიძინებულ ეროვნულ გრძნობებს აღვიძებს; ებრძვის ქართველი ხალხის ისტორიის გამყალბებლებს, აღვივებს მეგობრობისა და სოლიდარობის გრძნობებს კავკასიის ხალხთა შორის — საერთო მტრის რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ, ქომაგად უდგას ახლად ფეხადგმულ ქართულ თეატრს, საკადრის პასუხს მიუზღავს ყველას, ვინც ცდილობს ცილისმწამებლურ გამოხდომას საქართველოს წინააღმდეგ და ეროვნული გრძნობის შეურაცხმყოფელთ სამარცხვინო ბოძზე აკრავს, იცავს ქართული ენის უფლებებს სკოლებში და სათავეში უდგას დიდ პატრიოტულ თაოსნობას — წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომელმაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართველი ხალხის გათვითცნობიერებასა და ეროვნული კულტურის ამაღლებაში. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის იმ იდეალებს, რითაც ილია 60-იანი წლების დასაწყისში გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე, ახალ ვითარებაში მეტი დასაბუთება და სიმახვილე მისცა, ღობე შორს გაუდგა, აამოძრავა და აიყოლია მთელი მოაზროვნე საქართველო.

ზოგიერთი მკვლევარი იმ აზრისაა, რომ თერგდალეულობა როგორც იდეური მიმდინარეობა XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიშალა, ხოლო ამ მიმდინარეობის მესვეური ილია ჭავჭავაძე კრიზისულ მდგომარეობაში ჩავარდა, რომ ამ ე. წ. „მეორე პერიოდში“ „დაინგრა ი. ჭავჭავაძის საზოგადოებრივი იდეალების ხელოვნური შენობა“ და ამიტომაც დიდმა მხატვარმა და მოაზროვნემ ხელი ჩაიქნია, მოვლენებისაგან გარიყული აღმოჩნდა.

ჩვენ ვთვლით, და საზოგადოებრივი მოვლენებისადმი თვალის გადევნებით ეს კარგად დასტურდება, რომ თერგდალეულობა 80-იანი წლების შემდეგ არ დაშლილა; იგი განაგრძობდა არსებობას და ერთგულად ემსახურებოდა ადრე დასახული პროგრამის განხორციელებას. ახალ ვითარებაში, როცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წამყვანი ძალა პროლეტარიატი გახდა, თერგდალეულობა დარჩა ამ მოძრაობის შემადგენელ ნაწილად, როგორც დემოკრატიული ნაკადი. ეს ნაკადი შეუპოვრად ებრძოდა ცარიზმის პოლიტიკურ რეაქციას XIX ს. 90-იან წლებში, აქტიურად მონაწილეობდა 1905—1907 წლების რევოლუციაში, რეაქციის პერიოდში ქართველი ხალხის ეროვნული შეგნების ამაღლების საქმეს ემსახურებოდა. იგი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალ ეტაპზე მოთავეობდა ეროვნულ-დემოკრატიულ ღონისძიებებს, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას, თანდათან ივსებოდა ახალი ძალებით. მას შეემატნენ ქართული სიტყვის დიდი ოსტატები ალექსანდრე ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა, დავით კლდიაშვილი და სხვ. ამ მიმდინარეობას გაჰყვნენ ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი და მრავალი სხვ. ამ მიმდინარეობის ზურგზე გადაიარა ქართული უნივერსიტეტის, ქართული კონსერვატორიის, ქართული სკოლების გახსნის ძნელმა საქმემ, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების, ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების და სხვა მრავალ ნებაყოფლობით საქველმოქმედო საზოგადოებათა საქმიანობამ. რაც შეეხება ილია ჭავჭავაძეს, იგი ბოლომდე დარჩა ამ მიმდინარეობის მესვეურად. არაა მართალი, რომ ი. ჭავჭავაძე 90-იან წლებში თითქოს ჩამოცილდა გაზ. „ივერიას". პირიქით, იგი სული და გული იყო ამ გაზეთისა. სარედაქციო მუშაობასთან ერთად, იგი ჩაბმული იყო ცხარე საბანკო ბრძოლაში, სადაც უაღრესად ეროვნულ-დემოკრატულ პოზიციას ადგა, დ. ყიფიანის გარდაცვალების შემდეგ თავმჯდომარეობდა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას". ილია მოთავე იყო ყველა დიდი ეროვნულ-პატრიოტული ღონისძიებისა. მისი თაოსნობით აღძრა „ივერიამ" ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშთის თბილისში გადმოსვენების საქმე და ბოლომდე მიიტანა. ილია მონაწილეობდა ქართულ დრამატულ საზოგადოებაში, ქართული საბავშვო ჟურნალის კოლეგიაში. გაზეთ „ივერიაში", რომელსაც ილია მოთავეობდა, ცარიზმის მოხელეთა შეფასებით, წლების განმავლობაში მიმდინარეობდა „მავნე პროპაგანდა" და ამ პროპაგანდის „დამღუპველი შედეგები" იწვევდნენ „ახალ და ახალ არეულობას" მთავრობის წინააღმდეგ. ასეთი მიმართულების გამო 1896 წ. რვა თვით შეწყდა გაზეთის გამოცემა, ხოლო მის რედაქტორზე საიდუმლო ზედამხედველობა იყო დაწესებული. ილიას 90-იან წლებში სრულებითაც არ შეუწყვეტია შემოქმედებითი საქმიანობა. ამ პერიოდს ეკუთვნის მისი პუბლიცისტური ნარკვევები „წერილები XIX ს. ქართულ ლიტერატურაზე" (1892), „აი ისტორია" (1889), „ქვათა ღაღადი" (1899), „რა გითხრათ, რით გაგახაროთ" (1897), „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლი და მისი ეკონომიური მიზეზები" (1897) „ჩვენი ახლანდელი სიბრძნე-სიცრუე" (1896), და მრავალი სხვა. ამ პერიოდისაა მისი წერილების სერია სახალხო მეურნეობის საკითხებზე. ერთი სიტყვით, ილია, როგორც ეროვნულ-განმანათლებელი მოძრაობის მესვეური, თავის პოსტზეა და პრაქტიკული საქმიანობითაც, მხატვრულ-პუბლიცისტური აზროვნებითაც ამ საპატიო პოსტს სავსებით შეესატყვისება. ზოგიერთ მკვლევარს ილიას შემოქმედებითი „კრიზისის" მთავარ საბუთად მიაჩნია მისი დი-

დებული მხატვრული ტილო „ოთარაანთ ქვრივი“, რომელიც, როგორც ცნობილია, 1887 წ. დაიწერა და 1888 წ. დაიბეჭდა გაზ. „ივერიაში“. წერენ: ეს მოთხრობა იმის საბუთია, თუ „ილიაში როგორ დაამარცხა რეალისტმა მხატვარმა პოლიტიკური მოაზროვნე“, რომ თითქოს „ოთარაანთ ქვრივმა“ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა ილიას მოძღვრებას წოდებათა თანამშრომლობის შესახებ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ილიას მხატვრული და პუბლიცისტური ნააზრევის გათიშვა და დაპირისპირება ფრიად ხელოვნური და ტენდენციურია და იგი „ოთარაანთ ქვრივის“ ცალმხრივ გაგებას ემყარება.

„ოთარაანთ ქვრივი“ თემატურად „კაცია ადამიანის“ და „გლახის ნაამბობის“ გაგრძელებაა, მაგრამ აქ სოციალური გარემო და წოდებათა ურთიერთობის საკითხი ნაჩვენებია ახალ ვითარებაში — 80-იან წლებში, ბატონყმური რეჟიმის გაუქმების შედეგად გამოწვეულ ცვლილებათა გათვალისწინებით.

საგლეხო რეფორმამ თუ მშრომელ გლეხობას მოქმედების ასპარეზი მისცა, თავადაზნაურობას, პირიქით, ნიადაგი და სარბიელი მოუშალა. არჩილი და კესო ახალ ვითარებაში, მიუხედავად იმისა, რომ მამულიც აქვთ და განათლებაც მიუღიათ, თავს ლაღად კერ გრძნობენ, მარტონი და პერსპექტივას მოკლებულნი არიან. ისინი წინ კი არა, უკან იყურებიან, გრძნობენ რომ „დონდლონი“ და „დუნენი დარჩნენ“ და მათი „ღვიძილიც კი ძილია“. ცხოვრების ის ტოტი, რომელზედაც ეს წოდებაა ამოსული, მკვდარია და ლპობას განიცდის.

ი. ჭავჭავაძემ „ოთარაანთ ქვრივში“ ერთმანეთს დაუპირისპირა ისტორიულად გათიშული სოციალური ჯგუფები, გვიჩვენა მათი დღევანდელი და ხვალინდელი დღე და დიდი მხატვრული დამაჯერებლობით ცხადყო, რომ ერთი მომაკვდავია და წარმავალი, მეორე — სიცოცხლით სავსე და მომავალი. ესაა ძირითადი ლაიტმოტივი მოთხრობისა.

მაგრამ ილიამ კარგად იცის, რომ თანამედროვე საზოგადოება ასეთი დაპირისპირებული სოციალური ფენებისაგან შედგება და მათი ურთიერთობა ცხოვრების აუცილებლობითაა ნაკარნახევი. მწერლის მხატვრული ლოგიკა, მართლაც, უარყოფს ამ დაპირისპირებული სოციალური ჯგუფების ჰარმონიულობას. ისინი ერთმანეთს ვერ გაუგებენ, ცხოვრების სხვადასხვა ნაპირზე დგანან, მათ შორის ხიდია ჩატეხილი. ზოგი მკვლევარი აქ სვამს წერტილს და მიაჩნია, რომ წოდებათა თანამშრომლობის თეორიას სასიკვდილო მსჯავრი აქვს დადებული. ამ დებულების ავტორებს, ჩვენი აზრით, მსხედველობიდან რჩებათ ის ოპტიმიზმი, რომლითაც გამსჭვალულია ეს მოთხრობა. ავტორის იმედები აქ ხვალინდელ დღეზეა გადატანილი, გავიხსენოთ მოთხრობის ფინალი:

— „არჩილ, წინ რაღაა, წინ! — შეჰბღავლა უეცრად კესომ და ორისავ ხელის თითები ერთმანეთში ჩაიწნა და ფშვნეტა და მტვრევა დაუწყო.

— ეგ ცრემლიანი ცოდნა უკანა სწვავს და ჰბუგავს, წინა ჰნამავს და ამწვანებს. ეგ ნამი რომ გაბევრდება, მდინარე წყლად იქცევა და მთელს ტივს მიიტანს, რომ ჩვენ შორის ჩატეხილი ხიდი გაამრთელოს და ეგრე ორსავ ნაპირს გააერთებს. ეგ ცრემლიანი ცოდნა, თუ ცოდნიანი ცრემლი უკანისა, — შუქია წინასი და შუქი ხომ...

— დასაწყისია განთიადისა, განა, ჩემო კარგო?!.

— სწორედ“[5].

---

[5] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 319—320.

როგორც ვხედავთ, იმედი მომავალს ემყარება. ნამის გაბევრება, მდინარის წყლად გადაქცევა, წარსულის დაწვა და გადაბუგვა — ქვეყნის რევოლუციური განახლების მეტაფორაა. XIX საუკუნის სოციალური ძვრების მომსწრე და თვითმხილველი, რუსეთის საზოგადოებრივი ძალების გამოღვიძებისა და თავადაზნაურულ-მემამულურ იმპერიაზე იერიშების მომსწრე და წამაქეზებელი ილია იმედიანად შესცქერის მომავალს და სჯერა, რომ ადამიანთა მომავალ, განათლებულ საზოგადოებაში თანასწორობა და ჰარმონია იზეიმებს.

ჩვენ სამართლიანად მიგვაჩნია ვაჟა-ფშაველას მინიშვნა იმის შესახებ, რომ „ჩატეხილი ხიდის გამრთელება ილიას ოცნება იყო“[6].

ჩატეხილი ხიდის გამრთელება — ეს დიდი ოპტიმიზმი მწერლისა — წარმართავდა მის საზოგადოებრივ საქმიანობას. ამ იმედებს ამყარებდა იგი რუსეთის პირველ რევოლუციაზე, რომელიც XIX ს-ის 60-ანი წლების იდეების ხორცშესხმად მიაჩნდა.

„ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს,
კასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდინა ერთს ფიქრსა ჰფიქრობს, —
და ეგ ფიქრია მთელ კავკასის თავისუფლება!“[7]...

ათქმევინებს ილია დედას 1860 წ. დაწერილ პოემაში („ქართვლის დედა“), სადაც მომავალი ცხოვრების სცენაა წარმოდგენილი. ეს ოცნება 1905 წლის რევოლუციამ სინამდვილედ აქცია და დიდი მწერალი მის სახელოვან თანამებრძოლებთან — აკაკისთან, ვაჟასთან, იაკობ გოგებაშვილთან და სხვებთან ერთად მიესალმებოდა ქარიშხლის პირველ აზღვავებას.

ი. ჭავჭავაძეს პირველი რევოლუციის პერიოდშიც ღრმად სწამდა, რომ წოდებათა შორის უთანხმოების მოგვარება შესაძლებელი იყო მშვიდობიანი გზით. „დღევანდელ მოძრაობას თავი იქით უნდა უბრუნოს კაცმა, საითკენაც ჯერ არს, და არა იქით, რომ ერთმანეთს მივესიოთ და ციხე-სიმაგრე ჩვენი ჩვენივე შინიდამ გავტეხოთ. ამას თხოულობს არამცთუ სიკეთე და ბედნიერება ჩვენის ქვეყნისა საერთოდ, არამედ გლეხკაცობისაც საკუთრივ — წერდა ილია 1905 წელს გამოქვეყნებულ წერილში „ნ უ თ უ“?[8].

მაგრამ ეს იდეები პირველი რევოლუციის პერიოდში პროლეტარიატს ვეღარ გამოადგებოდა. კლასობრივი ინტერესების შეურიგებელი დაპირისპირების გამო საქართველოს მუშათა კლასი ბურჟუაზიას შეეჯახა, გლეხობამ თავადაზნაურობის წინააღმდეგ აღმართა იარაღი. კლასობრივი ბრძოლის ასე უკიდურესი გამწვავება ერის შიგნით ი. ჭავჭავაძეს უმიზნო სისხლის ღვრად მიაჩნდა. ეს შეცდომა იყო. ამ მხრივ ცხოვრებამ ილიას იდეებს, მართლაც, გაუსწრო. ძალთა გადაჯგუფებამ ახალი, უფრო პროგრესული იდეები წამოაყენა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სათავეში ახალი ძალები ჩადგნენ, მათი იარაღი ახალი იდეოლოგია, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია გახდა.

მაგრამ ილია, მიუხედავად იმისა, რომ რევოლუციის განვითარება მისთვის გაუგებარი და მიუღებელი გზით წარიმართა, მაინც მისი ძირითადი მამოძრავებელი ძალების ინტერესთა მოსარჩლედ დარჩა. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია დავასახელოთ თუნდაც უკვე ცნობილი რამდენიმე ფაქტი: როცა

---

[6] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, თხზულებანი, ტ. 5, გვ. 243.
[7] ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 151.
[8] იქვე, ტ. 9, გვ. 280.

ქართლ-კახეთის თავადაზნაურობამ გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ჩახშობისათვის თავისი რაზმის ჩამოყალიბება განიზრახა და ამ საკითხზე თათბირი გამართა, ი. ჭავჭავაძე სიტყვით გამოვიდა და მკაცრად დაჰგმო ეს განზრახვა. „რათ გინდათ ეს იარაღი რომ აგისხამთ? ვისთვის ამზადებთ თოფებს? გლეხებისათვის? არ გაბედოთ; ახალეთ თავში ეგ იარაღი მათ, ვინც დაგირიგათ — განაცხადა მან თათბირზე. ილია ასევე წინ აღუდგა ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით გურიაში დამსჯელი ექსპედიციის გაგზავნას.

ილია რევოლუციის წლებში, შავი რეაქციის პერიოდში გლეხობის მხარეზე იდგა და იმის ზრუნვაში იყო, რომ შეემსუბუქებინა ცარიზმის დამსჯელი ლონისძიებანი; გლეხობა რბევა-აწიოკებისაგან გადაერჩინა.

ცარიზმის კავკასიელ მოხელეებს კარგად ესმოდათ ილია ჭავჭავაძის ეროვნული ფასი, მუდამ აშინებდათ მისი უაღრესად მაღალი ავტორიტეტი და პოპულარობა. ამიტომ იყო რომ მასზე, როგორც საშიშ „პიროვნებაზე“, საგანგებო მეთვალყურეობა ჰქონდათ დაწესებული. როცა რევოლუცია დამარცხდა და ცარიზმს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან ანგარიშსწორებისა და შურისძიების დღეები დაუდგა, ერთ-ერთ მთავარ მსხვერპლად, სრულიად არა შემთხვევით, ილია ჭავჭავაძე იქნა არჩეული. მეფის ოხრანკამ დაქირავებული ჯაშუშების ხელით 1907 წელს მოაწყო მისი ვერაგული მოკვლა.

* * *

ნახევარ საუკუნეზე მეტი ედგა ილია ჭავჭავაძე სათავეში ქართულ დემოკრატიულ საზოგადოებრივ ცხოვრებას და წინ ეწეოდა პროგრესისაკენ. „მთელი 50 წელი განსვენებულმა, — ამბობდა ვაჟა-ფშაველა 1907 წელს, — საქართველოს ბედი კალთით ატარა, იყო მისი დარაჯი; როგორც დედა ერთადერთი შვილისა, ისე დასძრწოდა და დაჰკანკალებდა, ან არ შემიცივდეს, ან არ მომიშივდესო, მოსეულს მტერს, ვინც საქართველოს ისრებს ესროდა, იგი პირველი აგებებდა თავის მკერდს, შემოქნეულს ხმალს პირველი უფარებდა ფარსა“. ვაჟას რწმენით ილია იყო „პირველი ადამიანი, ჩვენის მწერლობის სულის ჩამდგმელი, მოღვაწე, დიდი მოამაგე ქართველი ერისა“. მას ერთხელაც არ დაუხრია დროშა, ერთხელაც არ უღალატია აღთქმისათვის, ერთხელაც არ დამცხრალა, უკან არ დაუხევია.

ამ დიდმა მოძრაობამ შეუმზადა საფუძველი საზოგადოებრივი მოძრაობის ახალ ეტაპს, რომელიც XX საუკუნის დასაწყისიდან აზვირთდა პროლეტარიატის მეთაურობით და 1921 წელს გამარჯვებით დაგვირგვინდა.

ᲘᲝᲡᲔᲑ ᲩᲘᲥᲐᲕᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲐ

საქართველოს მშრომელები, რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენლები ახალი კონსტიტუციის მიღებაში ხედავენ ჩვენი პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებას, იმ დაუცხრომელ ზრუნვას, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკისადმი იჩენენ მშობლიური კომუნისტური პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი, პოლიტბიურო, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, თანამედროვეობის გამოჩენილი მარქსისტ-ლენინელი ლ. ი. ბრეჟნევი.

ჩვენი განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ძირითადი კანონია საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუცია, რომელიც მიღებულია 1977 წლის 7 ოქტომბერს. სწორედ ამ კანონის საფუძველზეა შემუშავებული რესპუბლიკის ძირითადი კანონიც, რომელიც შეიცავს მის იდეებსა და პრინციპებს. მიმდინარე წლის 15 აპრილი სამუდამოდ შევიდა საქართველოს ისტორიაში, როგორც ნათელი ნიშანსვეტი, როგორც დიდი მოვლენის — ახალი ქარტიის დაბადების დღე. საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მერვე სესიაზე მიღებული ახალი კონსტიტუცია, რესპუბლიკის მეოთხე კონსტიტუციაა.

როგორც სესიაზე საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის ე. ა. შევარდნაძის მოხსენებაში აღინიშნა, რესპუბლიკის ყოველი კონსტიტუცია თავისი ეპოქის კონცენტრირებული გამოხატულება იყო.

1922 წლის კონსტიტუცია საბჭოთა საქართველოს პირველი კონსტიტუცია იყო და იგი მიღებულ იქნა სსრ კავშირის შექმნის წელს.

თავისი ისტორიული როლი შეასრულა 1927 წლის კონსტიტუციამ, რომელიც ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ძმურ ფედერაციაში შემავალი ჩვენი რესპუბლიკის ძირითადი კანონი იყო.

1937 წლის კონსტიტუცია გამარჯვებული სოციალიზმის ეპოქის საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციაა.

1978 წლის კონსტიტუცია განვითარებული სოციალიზმის ეპოქის საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციაა.

ამრიგად, ყოველ კონსტიტუციას თავისი ადგილი აქვს განკუთვნილი რესპუბლიკის პოლიტიკურ ისტორიაში.

სოციალისტური კონსტიტუციის ცნება და არსი, მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით, ის არის, რომ იგი მუშათა კლასის, მშრომელი მასების ნებისა და ინტერესების გამომხატველია, სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენების იარაღია.

„სსრ კავშირის ძირითადი კანონი, — როგორც ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, — შეიძლება ითქვას, საბჭოთა სახელმწიფოს მთელი სამოცი წლის განვითარების კონცენტრირებული შედეგია“. ცხადია, რომ საქართველოს კონსტი-

ტუცია საბჭოთა რესპუბლიკის 57 წლის მიღწევებს ასახავს და სსრ კავშირის ეროვნულ-სახელმწიფო წყობილებაში საერთო-საკავშირო და ეროვნული, რესპუბლიკური საწყისების განვითარების კანონზომიერებას გამოხატავს.

საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუცია საერთო სახალხო საბჭოთა სახელმწიფოსა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობათა შესაბამისობისა და ამასთან ერთად საბჭოთა საქართველოს ეროვნული და განვითარების სხვა თავისებურებების ნათელი გამოხატულებაა. ამრიგად, ბუნებრივია, რომ საბჭოთა საქართველოს ახალი კონსტიტუციის ყოველი კარი, თავი და მუხლი, მისი არსი და სულისკვეთება ეფუძნება საბჭოთა ქვეყნის კონსტიტუციას, გამომდინარეობს მისგან.

ლენინური ტრადიციის მიხედვით, საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუცია არა მარტო სოციალიზმის არსებითს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ მონაპოვარს ასახავს, არამედ პარტიის საპროგრამო მოთხოვნებსაც ამკვიდრებს. რაკი განვითარებული სოციალიზმის საზოგადოება განვითარებული სოციალისტური დემოკრატიის საზოგადოებად იქცა, ახალი კონსტიტუცია საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას საერთო-სახალხო სოციალისტურ სახელმწიფოდ აცხადებს და სახელმწიფო ხელისუფლების მთავარ პრინციპად ხალხის ძალაუფლებას აკანონებს.

საქართველოს ახალი კონსტიტუცია, უპირველეს ყოვლისა, დიდმნიშვნელოვანია იმით, რომ იგი კონცენტრირებულად გამოხატავს საბჭოთა საქართველოს მიერ განვლილ ისტორიულ, თითქმის 60 წლიან გზას; იგი არის რესპუბლიკის მშრომელთა მიერ მოპოვებულ ისტორიულ გამარჯვებათა პოლიტიკური და საკანონმდებლო წესით უკვდავყოფა; იგი არის მარქსიზმ-ლენინიზმის — ჩვენი კონსტიტუციის თეორიული საფუძვლის შემოქმედებითი გამოყენებისა და განვითარების ნიმუში; ახალი კონსტიტუცია მოასწავებს სოციალისტური დემოკრატიის შემდგომ განვითარებასა და გაღრმავებას.

საბჭოთა საქართველოს ახალ კონსტიტუციაში ნათლად აისახა ს ა ბ ჭ ო თ ა პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ს ი ს ტ ე მ ა, ჩვენი რესპუბლიკის კონკრეტულ-ისტორიული პირობების გათვალისწინებით.

რესპუბლიკის კონსტიტუცია ნათლად გვიჩვენებს საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ძირითად ნიშნებს და წარმოაჩენს მას, როგორც სოციალისტური დემოკრატიის პრაქტიკული რეალიზაციის უტყუარ მექანიზმს. იგი, ისევე როგორც სსრ კავშირის კონსტიტუცია, როგორც ყველა მოკავშირე რესპუბლიკის კონსტიტუცია, გვიჩვენებს სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარების ნამდვილ სურათს.

კონსტიტუციის ამოსავალი წერტილია დებულება, რომ დემოკრატიის შემდგომი განვითარება მომწიფებული სოციალიზმის კანონზომიერებაა და ამავე დროს რესპუბლიკის, ისევე როგორც მთელი საბჭოთა პოლიტიკური სისტემის, განვითარების მთავარ მიმართულებას წარმოადგენს.

კონსტიტუცია ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ საბჭოთა საქართველო სსრ კავშირის — საერთო-სახალხო სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილია და ნათლად წარმოაჩენს საბჭოთა სახელმწიფოს არსსა და ძირითად ნიშნებს განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე.

საბჭოთა საქართველოს ახალ კონსტიტუციაში დიდი ყურადღება ეთმობა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა პოლიტიკური სისტემის ბირთვს, ჩვენი საზოგადოების ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალას,

ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ პარტიის ხელმძღვანელი როლის გაზრდა .განვითარებული სოციალიზმის ეპოქაში და კომუნიზმზე გადასვლის პერიოდში კანონზომიერებას წარმოადგენს.

საქართველოს სსრ ძირითად კანონში ჩამოყალიბებულია სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური კონსტიტუციური პრინციპები.

საბჭოთა საქართველოს კონსტიტუცია დიდ ყურადღებას უთმობს სახელმწიფოს მართვა-გამგებლობაში მშრომელთა მონაწილეობის გარანტირებას.

კონსტიტუციაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ს ა ხ ა ლ ხ ო დ ე პ უ ტ ა ტ თ ა ს ა ბ ჭ ო ე ბ ს, სსრ კავშირის, რესპუბლიკის პოლიტიკურ საფუძველს, სახალხო ხელისუფლების მთავარ ფორმას.

ახალი კონსტიტუციით გადიდდა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა. თუ ამჟამად საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში არჩეულია 400 დეპუტატი, ახალი კონსტიტუციის საფუძველზე აირჩევა 440 დეპუტატი. თუ 1936 წლის კონსტიტუციით უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა 4 წლის ვადით ირჩეოდა, ახალი კონსტიტუციით მათი უფლებამოსილების ვადა 5 წლამდე გაიზარდა.

ასევე ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატების არჩევნების ვადა ნაცვლად 2 წლისა ორნახევარი წელია, ე. ი. მათი უფლებამოსილების ვადა 6 თვით გაიზარდა.

კონსტიტუციის ერთ-ერთი სიახლე ისიც არის, რომ მასში პირველად არის შეტანილი დებულება საბჭოების მუდმივი კომისიების შესახებ.

კონსტიტუციის ცალკე მუხლით გარკვეულია სახალხო დეპუტატთა საბჭოებთან არსებული სახალხო კონტროლის ორგანოების ფუნქციები.

საბჭოებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში. კონსტიტუცია ხაზს უსვამს, რომ საბჭოების, ისევე როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელობას ახორციელებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია.

კონსტიტუციაში ხაზგასმით არის ფიქსირებული ის ღირსშესანიშნავი ფაქტი, რომ განვითარებული სოციალიზმის პოლიტიკური სისტემის ორგანულ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები და უპირველეს ყოვლისა პ რ ო ფ კ ა ვ შ ი რ ე ბ ი. ამავე დროს ძირითად კანონში კონსტიტუციურად არის განსაზღვრული პროფკავშირების უფლებრივი მდგომარეობა განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური პროცესების მმართველობის საერთო მექანიზმში.

კონსტიტუცია ითვალისწინებს იმ დებულებას, რომ პროფკავშირული ორგანიზაციები მეტ ყურადღებას უნდა უთმობდეს საზოგადოებას და კოლექტივში თითოეული მშრომელის აქტიურობის ამაღლებას.

ახალი კონსტიტუცია დიდ უფლებებს ანიჭებს ლ ე ნ ი ნ უ რ კ ო მ კ ა ვ შ ი რ ს, საბჭოთა პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რგოლს.

საქართველოს კონსტიტუცია დიდ ყურადღებას უთმობს საბჭოთა პოლიტიკურ სისტემაში შ რ ო მ ი თ ი კ ო ლ ე ქ ტ ი ვ ე ბ ი ს ადგილისა და როლის შემდგომ ამაღლებას. შრომითი კოლექტივები კონსტიტუციაში საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის მნიშვნელოვან რგოლად არის გამოცხადებული.

საბჭოთა საქართველოს კონსტიტუცია ეყრდნობა ლენინურ მოძღვრებას იმის შესახებ, რომ პოლიტიკა ეკონომიკის კონცენტრირებული გამოხატულებაა, რომ ეკონომიკა ყველაზე საინტერესო პოლიტიკაა.

რესპუბლიკის კონსტიტუცია ითვალისწინებს იმას, რომ წარმოების საშუალებათა სოციალისტური საკუთრება საფუძველთა საფუძველია სსრ კავშირის ეკონომიკური სისტემისა, რომლის ორგანულ და განუყოფელ ნაწილსაც წარმოადგენს საქართველოს სსრ ეკონომიკა; მისი შემდგომი განმტკიცება კონსტიტუციის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა.

ახალი კონსტიტუციის ერთ-ერთი თავისებურება სწორედ ის არის, რომ მასში საგანგებოდ არის მოცემული საქართველოს ეკონომიკის მწყობრი სისტემა.

რესპუბლიკის ძირითადი კანონი ეკონომიკური სისტემის ზრდასა და განვითარებას მჭიდროდ უკავშირებს ბუნების დაცვას, ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებას, წარმოების პროცესში ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებას და სხვა მნიშვნელოვან სასიცოცხლო პრობლემებს და ქმნის სათანადო გარანტიებს ამ საკითხების ოპტიმალური გადაწყვეტისათვის.

რესპუბლიკის კონსტიტუცია, ისევე როგორც სსრ კავშირის კონსტიტუცია, დიდ ყურადღებას უთმობს სოციალისტური საკუთრების ფორმებს: სახელმწიფო საკუთრებას მიიჩნევს სოციალისტური საკუთრების ძირითად ფორმად, ითვალისწინებს საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების თავისებურებებს და ნათლად გამოხატავს საკუთრების ამ ორი ფორმის შემდგომი დაახლოების ტენდენციებს.

კონსტიტუცია ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ სოციალისტური საკუთრების ზრდა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისა და კულტურის აყვავების მატერიალური საფუძველია, ამიტომ იქმნება სათანადო გარანტიები სოციალისტური საკუთრების დასაცავად, და სოციალისტური საკუთრების პირადი გამორჩენის მიზნით გამოყენება სახელმწიფო დანაშაულად ცხადდება.

კონსტიტუცია სათანადო ყურადღებას უთმობს სსრ კავშირის მოქალაქეთა პირად საკუთრებას და შრომით შემოსავალს მიიჩნევს პირადი საკუთრების საფუძვლად. აკანონებს რა დამხმარე მეურნეობით სარგებლობის უფლებას, კრძალავს პირადი საკუთრების საზოგადოების საზიანოდ არაშრომითი შემოსავლის მიღების მიზნით გამოყენებას.

რესპუბლიკის ძირითადი კანონი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს შრომის რეგულირების კონსტიტუციური საფუძვლების განმტკიცებასა და განვითარებას.

თავისუფალი სოციალისტური შრომა კონსტიტუციაში გამოცხადებულია საზოგადოებრივი სიმდიდრის წყაროდ, ხალხისა და ყოველი მშრომელი მოქალაქის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის წყაროდ.

შრომა დაკანონებულია ადამიანის საზოგადოებრივი მდგომარეობის საზომად, უტყუარ კრიტერიუმად.

რესპუბლიკის კონსტიტუცია დიდ ყურადღებას უთმობს სოფლის მეურნეობაში, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში, კულტურულ სარეწებში ინდივიდუალური შრომის სახელმწიფოებრივ დონეზე რეგულირებას.

კონსტიტუცია დიდ ყურადღებას უთმობს სოციალისტური ეკონომიკის მართვის დემოკრატიული საწყისების შემდგომ სრულყოფას და ქმნის ყველა

პირობას წარმოების მართვაში შრომითი კოლექტივების როლის შემდგომი გაძლიერებისათვის.

ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების კონსტიტუციურ სტატუსზე, მათ ეფექტიან მოქმედებაზეა დამოკიდებული პარტიის ფართო სოციალური პროგრამის განხორციელება, საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობა.

რესპუბლიკის კონსტიტუცია, ისევე როგორც სსრ კავშირის კონსტიტუცია, დიდ ყურადღებას უთმობს სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის საფუძვლებს.

იგი ხელმძღვანელობს იმ დებულებით, რომ მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის ურღვევი კავშირი სსრ კავშირის, და მაშასადამე საბჭოთა საქართველოს, სოციალური საფუძველია, ხოლო სკკპ საპროგრამო მოთხოვნა უკლასო საზოგადოების აშენების შესახებ ჩვენი სახელმწიფოს მოღვაწეობის მთავარი მიმართულებაა.

საბჭოთა საქართველოს კონსტიტუცია, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ძირითადი კანონი, თავის მოქალაქეებს უდიდეს უფლებებსა და თავისუფლებებს ანიჭებს. მაგრამ ეს უფლებანი და თავისუფლებანი არ შეიძლება გამოიყენონ ჩვენი ხალხის, ჩვენი წყობილების საზიანოდ. ისინი მჭიდრო დიალექტიკურ კავშირშია ადამიანთა მოვალეობებთან.

რა უფლებები და მოვალეობები აკისრიათ ჩვენი რესპუბლიკის მოქალაქეებს? მათ, როგორც საბჭოთა საზოგადოების სრულუფლებიან წევრებს, აქვთ შრომის, დასვენების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის უფლება, სიბერის, ავადმყოფობის, შრომის უნარისა და მარჩენალის დაკარგვის გამო მატერიალური უზრუნველყოფის, საცხოვრებელი ფართობით სარგებლობის და აგრეთვე მთელი რიგი პოლიტიკური ხასიათის უფლებანი. მოვალეობანი კი მხოლოდ ასე შეიძლება განისაზღვროს: საბჭოთა კანონების, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დაცვა, სამშობლოსადმი ერთგულება, პატრიოტიზმი და სხვა კონსტიტუციური მოთხოვნები.

საბჭოთა კონსტიტუცია, საბჭოთა საქართველოს ახალი კონსტიტუცია, ყველა პირობას ქმნიან პარტიის ისეთი საპროგრამო მოთხოვნების განსახორციელებლად, როგორიც არის სოციალურად ერთგვაროვანი საზოგადოების ჩამოყალიბება, ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის, ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავების დაძლევა, საბჭოთა ერებისა და ეროვნებების აყვავება და დაახლოება და სხვ.

კონსტიტუცია ქმნის ჯანდაცვის, მომსახურების სფეროს, კომუნალური მეურნეობის შემდგომი ზრდის ყველა პირობას.

საბჭოთა საქართველოს კონსტიტუცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სახალხო განათლების, კულტურის და მეცნიერების დარგში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებისათვის სათანადო გარანტიების შექმნას.

კონსტიტუცია ყველა პირობას ქმნის ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის.

ნიშანდობლივია, რომ როგორც ჩვენი ქვეყნის, განვითარებული სოციალიზმის ქვეყნის კონსტიტუციაში, ისე საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილია სპეციალური თავი „სოციალური განვითარება და კულტურა“, რომელიც ჩვენი საზოგადოებრივი წესწყობილებისა და პოლიტიკის საფუძვლებს ახასიათებს. ეს ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ ჩვენი საზოგადოების თი-

თოეული წევრი ამაღლდეს კომუნისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა დონემდე.

კონსტიტუციაში დიდი ადგილი უჭირავს საქართველოს სსრ ეროვნულ-სახელმწიფო და ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ წყობას.

საბჭოთა საქართველოს კონსტიტუცია ხელმძღვანელობს სსრ კავშირის საერთო საკავშირო ინტერესებისა და თითოეული საბჭოთა რესპუბლიკის ინტერესების შეხამების პრინციპებით.

რესპუბლიკის კონსტიტუცია, ისევე როგორც სსრ კავშირის კონსტიტუცია, საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას განიხილავს როგორც სუვერენულ საბჭოთა სოციალისტურ სახელმწიფოს.

მოკავშირე რესპუბლიკათა სახელმწიფოებრიობა — ეს ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების რეალობაა. კონსტიტუციური სახელმწიფოებრიობა საშუალებას გვაძლევს განვახორციელოთ დიდი პოლიტიკური, ეკონომიკური, კანონმდებლობითი და ადმინისტრაციული ფუნქციები სსრ კავშირის და რესპუბლიკის კონსტიტუციების ჩარჩოებში. დაგეგმვის, წარმოების, გასაღების, კულტურის, განათლების დარგებში რესპუბლიკა გვევლინება როგორც სუვერენული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, ახორციელებს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ და სხვა სახელმწიფოებრივ ფუნქციათა სრულ ციკლს.

ჩვენი რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია საქართველოს სახელმწიფოებრიობის ყველა ნიშანს აკანონებს.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტის განხილვაში, რომელმაც ორ კვირაზე მეტ ხანს გასტანა, მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის 3 მილიონმა მოქალაქემ ანუ პრაქტიკულად საქართველოს სსრ მთელმა მოზრდილმა მოსახლეობამ და იგი ამ კონსტიტუციის კოლექტიური ავტორია.

განხილვის დროს საზოგადოებრიობის ყურადღება, სხვა მუხლებთან ერთად, მიიპყრო პროექტის 75-ე მუხლმა, რომელიც ახალი რედაქციით იყო ჩამოყალიბებული. საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ ე. ა. შევარდნაძემ თავის მოხსენებაში აღნიშნა: „ჩვენ ბევრი ვიფიქრეთ ამ მუხლის შესახებ, ბევრი ვითათბირეთ; არა ერთი და ორი საგულისხმო წინადადება შემოვიდა ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენ ჩავატარეთ საზოგადოებრივი აზრის შესწავლა მუშების, კოლმეურნე გლეხების, ინტელიგენციის წარმომადგენელთა შორის, ჩვენ შევისწავლეთ საზოგადოებრივი აზრი სტუდენტობაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საკონსტიტუციო კომისია, ხელმძღვანელობდნენ რა მემკვიდრეობითობის პრინციპით და გამოდიოდნენ რა ჩვენი საზოგადოებისა და კონსტიტუციის დემოკრატიული ბუნებიდან ამ სესიისათვის მზადების პერიოდში, კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგების გათვალისწინებით მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მიზანშეწონილია შევინარჩუნოთ მოქმედი კონსტიტუციის ცნობილი ფორმულირება, რომელიც ქართულ ენას სახელმწიფო ენად აცხადებს.

ვფიქრობთ, ამაში მხარს დაგვიჭერს უმაღლესი საბჭო“.

საქართველოს უმაღლესი საბჭოს მერვე საგანგებო სესიამ ერთხმად დაუჭირა მხარი საკონსტიტუციო კომისიის ამ წინადადებას და კონსტიტუციის 75-ე მუხლში ჩაწერა რომ: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული ენა.

საქართველოს სს რესპუბლიკა ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას ქართული ენის ყოველმხრივი განვითარებისათვის და უზრუნველყოფს მის

ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურის, განათლების და სხვა დაწესებულებებში.

საქართველოს სს რესპუბლიკის ამ ორგანოებსა და დაწესებულებებში უზრუნველყოფილია თავისუფალი ხმარება რუსული და სხვა ენებისა რომლებითაც მოსახლეობა სარგებლობს. რაიმე პრივილეგია ან შეზღუდვა ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება".

სესიის ასეთმა გადაწყვეტილებამ, რომელიც პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკიდანაა გამომდინარე, დიდი მოწონება და მხარდაჭერა ჰოვა საქართველოს მშრომელებში. საზოგადოებრივი აზრის უდიდესი ეროვნული მადლიერება გამოხატა მწერალმა კ. ლორთქიფანიძემ გაზ. „კომუნისტში" გამოქვეყნებულ წერილში „მზიანი დღე", რომელშიც წერდა: „და იქნებოდა დიდი უმადურობა, რომ დღეს არ მოვახსენო წრფელი და უღრმესი მადლობა მთელი მოწინავე კაცობრიობის მოწინავე ადამიანს — ლეონიდ ბრეჟნევს იმ გაუნელებელი ყურადღებისა და ზრუნვის გამო, რაც მისმა კეთილმა გულმა ასე უხვად მიაგო ქართველ ხალხს, ქართველი ხალხის კულტურას და მისი უძველესი ენის სიცოცხლეს".

ინტერნაციონალური სულისკვეთების ქართველი ერი ასეთ ამაგს ყოველთვის გონივრულად პასუხობს. კვლავაც ძმურად და მეგობრულად ხვდება საბჭოთა ქვეყნისა და საქართველოს სხვადასხვა ერებს, პატივს სცემს მათ კულტურას, ენას და ეროვნულ თავისებურებებს.

ახალი კონსტიტუცია ძალაში შევიდა. ამიერიდან მის თითოეულ მუხლს, თითოეულ დებულებას სახელმწიფო კანონის ძალა აქვს და ცხოვრებაში მათი განუხრელად განხორციელება ჩვენივე რესპუბლიკის, ჩვენივე ხალხის ბედნიერების, წინსვლის უტყუარი გარანტიაა.

აი ამიტომ იყო, რომ მთელი საქართველო, ამ მრავალეროვანი, ხალხთა ძმობით შედუღაბებული რესპუბლიკის ყველა მშრომელი გულდასმით, უდიდესი პასუხისმგებლობით განიხილავდა ახალი კონსტიტუციის პროექტს, ხოლო შემდეგ კი ასეთივე ყურადღებითა და ინტერესით ადევნებდა თვალყურს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მერვე სესიის მუშაობას, რომელმაც ფართო მასების აზრის გათვალისწინებით ერთსულოვნად დაამტკიცა იგი.

ახლა მთავარია, რომ კონსტიტუციის შესანიშნავი დებულებები, მისი ყველა მუხლი განუხრელად და უყოყმანოდ სრულდებოდეს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. მტკიცედ უნდა დავამკვიდროთ და სრულვყოთ ჩვენი საბჭოთა სოციალისტური ცხოვრების წესი, გავააქტიუროთ ჩვენი ძალები რესპუბლიკაში მიმდინარე პოზიტიური პროცესების გამრავლებისათვის, აგრეთვე ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა, დამახინჯებათა და სხვადასხვა ნეგატურ მოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

ამოცანა ის არის, რომ კიდევ უფრო გაძლიერდეს რესპუბლიკის შრომითი რიტმი, გააქტიურდეს საქართველოს მშრომელთა ძალები სახელმწიფო გეგმებისა და ნაკისრ სოციალისტური ვალდებულებების შესასრულებლად.

ვალერიან ქარჩავა

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების კომუნისტურში გადაზრდის ძირითად კანონზომიერებათა შესახებ

სკკპ XXIV და XXV ყრილობებმა განსაზღვრეს განვითარებული სოციალიზმის ისტორიული ადგილი, მოგვცეს საზოგადოების განვითარების ამ ეტაპის ვრცელი დახასიათება. პარტიას საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგის მუშაკების გადაუდებელ ამოცანად მიაჩნია განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ძირეული პრობლემების, მისი კომუნისტურში გადაზრდის გზებისა და საშუალებების თეორიული დამუშავება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ მოხსენებაში ამბობდა: „ჩვენი საზოგადოების განვითარების თვითეული ეტაპი აყენებს თავის პრობლემებს. იყო დრო, როცა მთავარი ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ გაგვეძლო კლასობრივი მტრის შემოტევისათვის, დაგვეძლია წარსულისაგან მემკვიდრეობად მიღებული ჩამორჩენილობა, ცხოვრებაში დაგვემკვიდრებინა სოციალიზმის ძირითადი პრინციპები. ეს პრობლემები გადაჭრილია... დღეს ჩვენს წინაშე დგას ახალი ამოცანები — ახალი არა მარტო თავის მასშტაბით, არამედ თავისი ხასიათითაც. საქმე ეხება იმას, რომ რაც შეიძლება სრულად გამოვიყენოთ შესაძლებლობანი, რომლებსაც გვისახავს განვითარებული სოციალისტური საზოგადოება“[1]. ჩვენი ქვეყანა შევიდა სოციალისტური საზოგადოების განვითარების ახალ ეტაპში, მისი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მოხდება საბოლოოდ გამარჯვებული და განმტკიცებული სოციალიზმიდან სრულ კომუნიზმზე გადასვლა.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოება საზოგადოებრივი მეცნიერების წინაშე აყენებს გადაუდებელ ამოცანას, განსაზღვროს სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის კანონზომიერება, მისი ფორმები და გზები, ტემპები.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების კომუნისტურში გადაზრდის ძირითად კანონზომიერებათა შესწავლის დროს უნდა გამოვიდეთ ბრძნული ლენინური მითითებიდან, იმის შესახებ, რომ აუცილებელია ვიცოდეთ, თუ როგორ გაჩნდა სოციალიზმი, რა პირობებმა წარმოშვა იგი. ამისათვის კი საჭიროა თვალი გადავავლოთ მის ისტორიულ განვითარებას მთლიანად[2].

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პრობლემების კვლევას, მეცნიერულ შესწავლას აქვს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნე-

---

[1] ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი, ლენინური კურსით. ტ. 2. გვ. 108.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 29, გვ. 557.

ლობა. ამიტომ თანამედროვე ეტაპზე მეცნიერული კომუნიზმის აქტუალურ პრობლემებს შორის განვითარებული სოციალიზმის საკითხს ცენტრალური ადგილი უკავია, რაც განპირობებულია შემდეგი მიზეზებით: პირველი, საბჭოთა კავშირში განვითარებული ანუ მომწიფებული საზოგადოების აშენებით და მისი სრულყოფა-წინსვლის ახალი პრობლემების წამოჭრით; მეორე, საერთაშორისო მასშტაბით სოციალიზმის მსოფლიო სისტემის როლის მკვეთრი ამაღლებით, მესამე, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის გაქანებით.

თანამედროვე ეპოქა, რომლის მთავარი შინაარსია კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა, მოითხოვს კომუნიზმის გამარჯვების რეალური პერსპექტივებით შევაიარაღოთ არა მარტო სოციალისტური და განვითარებული ქვეყნები, არამედ მთელი მსოფლიოს მშრომელები.

„განვითარებული სოციალისტური საზოგადოების“ ცნება პირველად ვ. ი. ლენინმა შემოიტანა მეცნიერებაში, კერძოდ ისეთ შრომებში, როგორიცაა, მაგალითად, 1918 წლის მარტში დაწერილი „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანების“ პირველი ვარიანტი, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობის შესახებ 1920 წლის თებერვლის მოხსენება და გამოსვლაში, რომელიც გააკეთა 1920 წლის მარტს რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) IX ყრილობაზე.

ვ. ი. ლენინის მოძღვრებამ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენების შესახებ შემდგომი განვითარება პოვა პარტიულ დოკუმენტებსა და მასალებში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებებსა და გამოსვლებში.

სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებაში მოცემულია განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ვრცელი დახასიათება; სკკპ XXIV ყრილობის მასალებში მოცემულია ისტორიული დასკვნა იმის შესახებ, რომ სსრ კავშირმა თავდადებული შრომით ააშენა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება. სსრ კავშირის ისტორიულმა გამოცდილებამ სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად დაადასტურა ის დებულება, რომ გარდამავალი პერიოდის დამთავრების შემდეგ იწყება ხანგრძლივი ხანა კომუნისტური საზოგადოების პირველი ფაზის განვითარებაში, რომლის დამახასიათებელ თვისებას შეადგენს: სოციალიზმის მშენებლობის დამთავრება, მისი მომწიფებული ფორმის განმტკიცება და ამ მონაპოვრის დაცვა. ამ პერიოდს ეწოდება მომწიფებული სოციალისტური საზოგადოების აშენების პერიოდი, რომელიც კანონზომიერი პროცესია სოციალიზმის განვითარების გზაზე. ლ. ი. ბრეჟნევი სტატიაში „კომუნიზმის გზის ისტორიული მიჯნა“ წერდა: „თეორიულად ნათელი იყო, რომ კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლა მოიცავს ხანგრძლივ ისტორიულ მონაკვეთს, რომ ახალი საზოგადოება სიმწიფის ერთი საფეხურიდან მეორეზე ავა, მაგრამ როგორი იქნებოდა კონკრეტულად ის საფეხურები, ამის ცოდნა წინასწარ შეუძლებელი იყო. ფ. ენგელსი წერდა, რომ კომუნისტურ საზოგადოებაზე გარდამავალი ეტაპების საკითხი — ეს უძნელესი საკითხია ყველა არსებულ საკითხს შორის...[3]

სოციალისტური საზოგადოებისათვის აუცილებელია მომწიფებული სოციალიზმის ეტაპის გავლა, რადგან სოციალისტური საზოგადოება გარდამავალ პერიოდში ჯერ კიდევ არ დგას განვითარების იმ საფეხურზე, რომ შესაძ-

[3] გაზ. „კომუნისტი“, 1977 წლის 24 ნოემბერი.

ლებელი გახდეს ერთბაშად კომუნიზმის მშენებლობის პრობლემის გადაწყვეტა. ამისათვის კი საჭირო იყო რიგი ფართო ხასიათის გარდაქმნათა ჩატარება, სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარება, საზოგადოებრივი კლასების დაახლოება, თანამშრომლობისა და მეგობრობის განმტკიცება ერებსა და ეროვნებებს შორის, განაწილების პრინციპების უზრუნველყოფა შრომის მიხედვით, სოციალისტური დემოკრატიის ყოველმხრივი განვითარება და სხვ.

სკკპ პროგრამაში მოცემულია განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში ჩვენი ქვეყნის გადასვლის დახასიათება. საბჭოთა საზოგადოება განვითარების ამ ეტაპზედაც ინარჩუნებს თავის კლასობრივ ბუნებას და, ამავე დროს ღებულობს საერთო სახალხო სახელმწიფოს ხასიათს. აი, რას ამბობდა ამის შესახებ სკკპ XXV ყრილობის საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი: „განვითარებული სოციალიზმის პირობებში, როცა კომუნისტური პარტია მთელი ხალხის პარტია გახდა, იგი სრულიადაც არ კარგავს კლასობრივ ხასიათს, თავისი ბუნებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია იყო და კვლავადაც მუშათა კლასის პარტიად რჩება“, ამასთან იგი გადაიქცა მთელი ხალხის ავანგარდად.

ამ დროიდან დაიწყო ამკარა გამოვლენა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების დამახასიათებელი ნიშნებისა. 50-იანი წლებში სსრ კავშირმა დიდი მიღწევები მოიპოვა სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებისა და განმტკიცების საქმეში.

სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა 50-იან წლების ბოლოსათვის სრულქმნილი გახდა.

გაფართოვდა საერთო-სახალხო საკუთრება, რაც იმაში გამოიხატება, რომ საგრძნობლად გაიზარდა და ამაღლდა მისი ხვედრითი წონა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. უკანასკნელ პერიოდში კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა სასოფლო-სამეურნეო შრომის ინდუსტრიული შრომის ნაირსახეობად გარდაქმნის პროცესი, საგრძნობი გახდა სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარება.

სსრ კავშირში სოციალიზმი აშენდა პირველ 20 წელიწადში, მაგრამ არ შეიძლებოდა სოციალიზმის გამარჯვება საბოლოოდ მიგვეჩნია საგარეო თვალსაზრისით, ვინაიდან მაშინ ჩვენი ქვეყანა ერთადერთი ქვეყანა იყო, რომელმაც ააშენა სოციალიზმი, კაპიტალიზმის გარემოცვის პირობებში მას ემუქრებოდა ინტერვენციისა და გარეშე მტრებისაგან თავდასხმის საფრთხე.

50-იანი წლების ბოლოსათვის გადაიჭრა გამარჯვებული სოციალისტური საზოგადოების შემდგომი გაძლიერებისა და განვითარების ამოცანა და აშენდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება. ამ პერიოდისათვის უზრუნველყოფილ იქნა სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება იმ გაგებით, რომ აღმოფხვრილ იქნა კაპიტალიზმის რესტავრაციის ყოველგვარი ცდა. ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის და კულტურის დონემ მაღალ საფეხურს მიაღწია.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების კლასიკური დახასიათება მოცემულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის 31 იანვრის დადგენილებაში. „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლის-

თავის შესახებ“, სადაც ნათქვამია: „განვითარებული სოციალიზმის დროს დიდად მომწიფებული ხდება მთელი სისტემა საზოგადოებრივი ურთიერთობისა, რომელიც თანდათანობით კომუნიზმში გადადის. მას ახასიათებს მშრომელთა ურყევი იდეურ-პოლიტიკური და სოციალური შეკავშირება, კომუნისტური პარტიის კეთილშობილური იდეების თავდადებული ერთგულება. მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების ერთგულება. განვითარებული სოციალიზმი — დღეს ეს სოციალური პროგრესის უმაღლესი მიღწევაა“[4].

1966—1970 წლებში სსრ კავშირში მიმდინარეობდა ორი ურთიერთდაკავშირებული პროცესი: კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა და განვითარებული სოციალისტური საზოგადოების განმტკიცება.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ 50-იანი წლების ბოლოდან და 60-იანი წლების დასაწყისიდან ჩვენს ქვეყანაში განვითარებული ანუ მომწიფებული სოციალისტური საზოგადოება ფუნქციონირებს. საბჭოთა საზოგადოების განვითარების ამ ახალი პერიოდის დახასიათება პირველად პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობამ მოგვცა.

ამგვარად, კაცობრიობის ისტორიაში პირველად სსრ კავშირმა ააშენა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების განმტკიცების ნიშანსვეტად ითვლება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის პლენუმი, რომელმაც ბოლო მოუღო ვოლუნტარიზმსა და სუბიექტივიზმს. დიდმნიშვნელოვანი იყო ამავე დროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტისა და სექტემბრის პლენუმების გადაწყვეტილებები, რომლებმაც შეიმუშავეს დაგეგმვისა და სტიმულირების ახალი სისტემა, რომელიც დაიწყო სოციალისტური მართვის ახალი მექანიზმების საშუალებებით.

განვითარებული სოციალიზმის მშენებლობას სსრ კავშირში ახასიათებს რიგი თავისებურება, მათგან აღსანიშნავია პ ი რ ვ ე ლ ი, ის, რომ საბჭოთა ხალხი განვითარებული სოციალიზმის მშენებლობაში ეყრდნობოდა საკუთარ ძალებს, ვინაიდან იგი ჩვენში შენდებოდა პირველად; მ ე ო რ ე, ის რომ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენება სსრ კავშირში მეტად მძიმე საერთაშორისო ვითარებაში მიმდინარეობდა; მ ე ს ა მ ე, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფორმირების დამამთავრებელ ეტაპზე დაიწყო მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია ჩვენს ქვეყანაში.

განვითარებული ანუ მომწიფებული სოციალიზმი კომუნისტური ფორმაციის ცალკე ფაზა კი არ არის, არამედ კომუნიზმის პირველი ფაზის უმაღლესი ეტაპია, როცა მთელი ძალით მოქმედებენ სოციალიზმის ეკონომიკური კანონები და იქმნება კომუნიზმის უმაღლეს ფაზაში თანდათანობით გადასვლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ამიტომ ეს ეტაპი, რომელიც საკუთარ საფუძველზე განვითარდა, არ შეიძლება არ იყოს ხანგრძლივი.

სკკპ მოძმე სოციალისტური ქვეყნების პარტიებთან ერთად სსრ კავშირის ისტორიული გამოცდილების განზოგადებამ დაადასტურა იმ დებულების ჭეშმარიტება, რომ სოციალიზმის განვითარებაში საჭიროა განვასხვაოთ კომუნისტური საზოგადოების ორი ეტაპი, პირველი პერიოდი იწყება სოციალიზ-

---

4 დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის 31 იანვრის დადგენილება, თბ., 1977, გვ. 9.

მის აშენებით და გრძელდება განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენებამდე. განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენებით სოციალისტური საზოგადოება შედის განვითარების მეორე ეტაპში, მაშინ მთავარ ამოცანად დგება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა და ხორციელდება გამარჯვებული სოციალიზმიდან სრული კომუნიზმისაკენ თანდათანობით გადასვლა. კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა სოციალიზმის კომუნიზმში გადასვლის მთავარი პირობაა, სწორედ ამიტომ პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის მთავარი ამოცანაა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა.

ვ. ი. ლენინი, განმარტავდა რა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მოძღვრებას კომუნიზმის ორი ფაზის შესახებ, წერდა: „ჩვეულებრივად მარქსი და ენგელსი სოციალიზმს ეძახდნენ „პირველ“ ანუ დაბალი ფაზის კომუნისტურ საზოგადოებას, რამდენად წარმოების საშუალებანი საერთო საკუთრება ხდება, იმდენად სიტყვა „კომუნიზმი“ აქაც შეიძლება ვიხმაროთ, თუ არ დავივიწყებთ, რომ ეს სრული კომუნიზმი არ არის“[5]. ვ. ი. ლენინის აზრით, სოციალიზმი უნდა გადაიზარდოს სრულ კომუნიზმში, რომ კომუნისტური საზოგადოების განვითარება მისი პირველი ფაზიდან მეორემდე — დინამიური, განუწყვეტელი, თანმიმდევრული პროცესია. ამრიგად, კომუნიზმი ვ. ი. ლენინის აზრით, შეიძლება განვითარდეს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც საბოლოოდ განვითარდება სოციალიზმი. „განვითარებული სოციალიზმის ყველა შესაძლებლობის შეცნობა და გამოყენება, — წერდა ლ. ი. ბრეჟნევი, — თავის სტატიაში „კომუნიზმის გზის ისტორიული მიჯნა“ — ამავე დროს კომუნიზმის მშენებლობაზე გადასვლაც არის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აქ განვითარების დიალექტიკა ისეთია, რომ მომწიფებული სოციალისტური საზოგადოების სრულყოფის კვალობაზე მიმდინარეობს კომუნისტურში მისი თანდათანობითი გადაზრდაც“[6].

ამრიგად, განვითარებული სოციალიზმი, როგორც ცნობილია, კომუნიზმის საკუთარი საფუძველია, „კომუნიზმის შესაძლებლობათა და უპირატესობათა გამოვლინების და რეალიზაციის გარდაუვალი შედეგია“.

ისტორიულმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ სოციალიზმის პირველი ფაზა თავის განვითარებაში გაივლის რამდენიმე საფეხურს, ერთი განსხვავდება მეორისაგან ეკონომიკის განვითარების სიმაღლით, კულტურით, სოციალურ-პოლიტიკური სიმწიფის სხვადასხვა საფეხურით, ეს ბუნებრივი ისტორიული პროცესია. სსრ კავშირში გარდამავალ პერიოდში იყო ხუთი სხვადასხვა საზოგადოებრივი ეკონომიკური წყობის ელემენტები. ევროპასა და აზიის სოციალისტურ ქვეყნებში გარდამავალი პერიოდის ეკონომიკას აქვს მრავალწყობიანი ხასიათი. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ სავალდებულო არ არის ყველა ქვეყანამ გარდამავალ პერიოდში გაიაროს ხუთი ეკონომიკური წყობა. ეს კი დამოკიდებულია ამა თუ იმ ქვეყნის განვითარების დონესა და სხვა ისტორიულ თავისებურებაზე.

საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების მიღწევებს პარტიამ თავის XVIII ყრილობაზე 1939 წელს მთელი სიძლიერით გაუსვა ხაზი. ყრილობამ მიიღო მესამე ხუთწლიანი გეგმა, სსრ კავშირში სოციალიზმი ძირითადად აშენ-

---

[5] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 25, გვ. 286.
[6] გაზ. „კომუნისტი“, 1977 წლის 24 ნოემბერი.

და. მიღწეული დონე ჯერ კიდევ არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ ერთბაშად დაგვეწყო კომუნიზმის მშენებლობა.

ამ პერიოდში ქვეყნის წინაშე დაისვა ამოცანა, სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის შესახებ. დიდი სამამულო ომის წარმატებით დამთავრების შემდეგ საბჭოთა ხალხი მტკიცედ ჰკიდებს ხელს განვითარებული სოციალიზმის მშენებლობას. მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნამ, სსრ კავშირის ეკონომიკური ძლიერების ზრდამ, კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ახალმა წარმატებებმა შეცვალა ძალთა თანაფარდობა საერთაშორისო მასშტაბით სოციალიზმის სასარგებლოდ. ერთხელ და სამუდამოდ გამოირიცხა კაპიტალიზმის რესტავრაციის შესაძლებლობა. საბოლოოდ გაიმარჯვა სოციალიზმმა.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პოლიტიკური ზედნაშენია საერთო-სახალხო სახელმწიფო, მისი დამახასიათებელი ნიშნებია: სახალხო განათლების მაღალი დონე, მეცნიერებისა და კულტურის, მეცნიერული მსოფლმხედველობის — მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების დამკვიდრება-გაბატონება. ამ საზოგადოებისათვის ნიშანდობლივია ჰარმონიული განვითარება ეკონომიკურ, სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ სფეროში.

განვითარებული სოციალიზმი საბჭოთა საზოგადოების განვითარების ის საფეხურია, რომელზედაც პრაქტიკულად წყდება ქვეყნის წინაშე მდგარი მთავარი ეკონომიკური ამოცანა — კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აშენება.

ლ. ი. ბრეჟნევი თავის სტატიაში „კომუნიზმის ისტორიული მიჯნა", გვაძლევს განვითარებული სოციალიზმის კლასიკურ დახასიათებას, ის წერს: „განვითარებული სოციალისტური საზოგადოება ახალი წყობილების სოციალურ-ეკონომიური სიმწიფის კანონზომიერი • საფეხურია კომუნისტური ფორმაციის პირველი ფაზის ფარგლებში. ეს ვ. ი. ლენინის სიტყვით რომ ვთქვათ, გახლავთ ის მთლიანად დამკვიდრებული სოციალიზმი, რომლიდანაც იწყება თანდათანობით გადასვლა კომუნიზმზე"[7].

კომუნიზმის მშენებლობა ითვალისწინებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს ჰარმონიულ განვითარებას. სოციალიზმი შენდებოდა მის ძირითად ამოცანათა მეტ-ნაკლებად არაერთდროული შესრულების გზით, კომუნიზმი კი იქმნება ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და სულიერი ამოცანების კომპლექსური გადაწყვეტის გზით. განვითარებადი საბჭოთა ეკონომიკა, როგორც ცნობილია, სულ უფრო ხდება ბალანსირებული და ჰარმონიული. ინარჩუნებს რა მძიმე ინდუსტრიის სწრაფმავალ ტემპებს, პარტია ერთდროულად იღებს კურსს მრეწველობის იმ დარგების სწრაფ განვითარებაზე, რომლებიც უშუალოდ აკმაყოფილებენ მოსახლეობის მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნებს.

კომუნისტური მშენებლობის ძირითადი ამოცანების ერთდროული შესრულება არ ნიშნავს მათი განხორციელების ერთნაირ ვადებს. პირველ ამოცანას — კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას, საბჭოთა ხალხი განახორციელებს ყველაზე ადრე. მეორე ამოცანის — კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების — შესრულება მოითხოვს ხანგრძლივ

---

7 გაზ. „ კ ო მ უ ნ ი ს ტ ი", 1977 წლის 24 ნოემბერი.

დროს, კიდევ უფრო ხანგრძლივ დროს მოითხოვს ახალი პიროვნების ფორმირება და ყოველმხრივი განვითარება.

სკკპ XXV ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ახალი ადამიანის ფორმირებას, რაც გულისხმობს კულტურული რევოლუციის დამთავრებას, საზოგადოების ყველა წევრის სულიერი ცხოვრების გარდაქმნას მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის საფუძველზე, რომელიც მოიცავს კომუნისტური შეგნებულობის ფორმირებას, იდეური რწმენის განმტკიცებას, სოციალისტური პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე ხალხთა აღზრდას.

კომუნიზმის მშენებლობის პერიოდში ხდება სტიქიურობის ელემენტების შეკვეცა, საზოგადოების ცხოვრებაში შეგნებულობის საწყისების შემდგომი განმტკიცება. განვითარებული სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის პროცესი ეს არის სოციალური ცვლილებების განხორციელება პოლიტიკური რევოლუციის გარეშე.

სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლა ატარებს თანდათანობით ხასიათს, ეს კი ნიშნავს უაღრესად სწრაფი ტემპით განვითარებას, რაც განპირობებულია ობიექტური მიზეზებით, რადგან კომუნიზმი შენდება თავის საკუთარ საფუძველზე, უკვე აშენებული, განვითარებული სოციალიზმის საფუძველზე, რომელსაც სწრაფი განვითარების აურაცხელი შინაგანი რეზერვები და წყაროები გააჩნია. პროცესის სიჩქარეს უზრუნველყოფს მეტი რაოდენობით ადამიანთა შეგნებული მონაწილეობის მიღება ამ ისტორიულ პროცესში. მით უფრო მაღალია საზოგადოებრივი განვითარების ტემპები, მით უფრო ძლიერია საზოგადოებრივი პროცესი.

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა მოითხოვს სამი ძირითადი ამოცანის გადაჭრას: პ ი რ ვ ე ლ ი, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას; მ ე ო რ ე, კომუნისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ჩამოყალიბებას; მ ე ს ა მ ე, ახალი ადამიანის — კომუნისტური საზოგადოების შეგნებული მშენებლისა და მაღალი მორალური თვისებებით აღჭურვილი მოქალაქის აღზრდას. ეს სამი ამოცანა მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. ეს ამოცანები სოციალისტური საზოგადოების კომუნისტურად გარდაქმნის ერთიანი პროცესის სხვადასხვა მხარეს გამოხატავენ. სსრ კავშირში აშენდა რა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება, ამჟამად მიმდინარეობს მისი სრულყოფა და თანდათანობით გადაზრდა კომუნიზმში.

„დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ, — ამბობდა ლ. ი. ბრეჟნევი, — ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ხალხი სოციალური პროგრესის ავანგარდში ჩააყენა. და დღეს, 60 წლის შემდეგ, ჩვენ ღირსეული ადგილი გვიკავია მის ყველაზე მოწინავე მიჯნებზე. ჩვენ ქვეყნად პირველებმა შევქმენით განვითარებული სოციალისტური საზოგადოება, ჩვენ პირველნი ვაშენებთ კომუნიზმს“[8].

კომუნიზმზე გადასვლა გულისხმობს კლასობრივი საზოგადოებისაგან მემკვიდრეობად მიღებული ყველა იმ ნიშნის აღმოფხვრას, რომელიც ჯერ კიდევ არის სოციალიზმის დროს. კომუნიზმი აღმოფხვრის შრომის განაწილების ძველ ფორმებს და ნაშთებს, სოციალ-ეკონომიკური, კულტურულ-საყოფაცხოვრებო განსხვავებას ქალაქსა და სოფელს შორის, არსებით განსხვავებას

---

8 გაზ. „კომუნისტი“, 1977 წლის 3 ნოემბერი.

სასოფლო-სამეურნეო და ინდუსტრიულ, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის. შრომა მარტო წარმოების ზრდის საშუალება კი არ არის, არამედ გადაიქცევა ადამიანის პირველ სასიცოცხლო მოთხოვნილებად.

სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის პროცესი ძირითადად განსხვავდება კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის პროცესისაგან, რომელიც ხდება სოციალისტური რევოლუციის შედეგად, ძველი საწარმოო ურთიერთობის ნგრევის შედეგად, ძერძო საწარმოო საშუალებებზე საკუთრების მოსპობის, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის მოსპობის შედეგად, რომელიც ახალი სოციალისტური ურთიერთობის დაგვირგვინებით ხასიათდება.

სსრ კავშირში, როგორც ცნობილია, სოციალიზმმა გაიმარჯვა სრულიად და საბოლოოდ, ეს იმას ნიშნავს, რომ შექმნილია პირობები საზოგადოების უმაღლესი ფაზისაკენ სვლისათვის, კომუნიზმისათვის. განვითარებული სოციალიზმის კომუნიზმში გადაზრდა ეყრდნობა სოციალიზმის მიღწევებს.

კომუნიზმის მშენებლობის პროცესში თანდათან გაქრება კლასობრივი განსხვავება საზოგადოებაში. სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლა რთული დიალექტიკური პროცესია, რომელიც დაკავშირებულია ღრმა ცვლილებებთან საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიკურ, სოციალურ-პოლიტიკურ და სულიერ ცხოვრებაში, თითოეული ამ სფეროს განვითარება საყოველთაო ხასიათისაა. კომუნიზმის მშენებლობის კანონზომიერებებს ინტერნაციონალური მნიშვნელობა აქვს.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ეტაპი ესაა უშუალოდ კომუნიზმში შესვლის დასაწყისი. ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ კაცობრიობას კაპიტალიზმიდან უშუალოდ მხოლოდ და მხოლოდ სოციალიზმში შეუძლია გადასვლა. ლ. ი. ბრეჟნევი ამბობს, რომ სოციალიზმი აუცილებლად უნდა გადაიზარდოს კომუნიზმში, რომლის დროშაზე ეწერება: „თითოეულისაგან უნარის მიხედვით, თითოეულისაგან მოთხოვნილების მიხედვით“.

საბჭოთა საზოგადოების განვითარებამ დაადასტურა მარქსისტულ-ლენინური განჭვრეტა კომუნიზმის ორი ფაზის შესახებ. სკკპ XXI ყრილობამ აღნიშნა, რომ საბჭოთა ხალხმა, ააშენა რა სოციალისტური საზოგადოება, შევიდა ისტორიული განვითარების ახალ პერიოდში, როდესაც ხდება სოციალიზმის კომუნიზმში გადაზრდა. არ შეიძლება სოციალიზმი და კომუნიზმი მივიჩნიოთ ორი ერთმანეთისაგან ძირეულ განსხვავებულ საზოგადოებრივ წყობილებად. ცნობილია, რომ კომუნიზმი სოციალიზმის ძირითად დამახასიათებელ თვისებათა განვითარება და გაღრმავებაა. ამიტომ ცხადია, რომ სოციალიზმის კომუნიზმში გადასვლის მოსამზადებლად აუცილებელია საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების შემდგომი განმტკიცება. განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ეტაპი, ეს არის ამავე დროს სოციალიზმის კომუნიზმში გადაზრდის ეტაპი. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ სოციალიზმსა და კომუნიზმს შორის განსხვავება ის არის, რომ სოციალიზმი ის წყობილებაა, რომელიც გამოდის კაპიტალიზმიდან, ეს არის ახალი საზოგადოების პირველი სახე. კომუნიზმი კი არის საზოგადოების უმაღლესი სახე, რომელიც შეიძლება მხოლოდ განვითარდეს იმის შემდეგ, როდესაც საბოლოოდ განმტკიცდება სოციალიზმი. ვინაიდან სოციალიზმი კომუნიზმის პირველი ფაზაა, კომუნისტური ფორმაციის განვითარება იწყება სოციალიზმის გამარჯვებით. სოციალიზმის კომუნიზმში გადაზრდისათვის საჭიროა განვითარების განსაკუთრებული დონე, ე. ი. სოციალიზმის სრული გამარჯვება.

სკკპ XXV ყრილობის დოკუმენტებში მეცნიერულად არის დასაბუთებული კომუნიზმის მშენებლობის კანონზომიერებანი და გაშუქებულია სოციალურ-პოლიტიკური და თეორიული პრობლემები. ამ ჯგუფს ეკუთვნის შემდეგი კანონზომიერებანი: ეკონომიკურ დარგში სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარება; საზოგადოებისადმი ხელმძღვანელობა მუშათა კლასის მიერ, რომლის ავანგარდია მარქსისტულ-ლენინური პარტია; მუშათა კლასის კავშირი გლეხობასთან და სხვა მის მოკავშირე ფენებთან, ხალხებს შორის ძმური მეგობრობის განმტკიცება; კულტურული რევოლუციის დამთავრება; საზოგადოების ყველა წევრის შეგნებულობის ამაღლება ცხოვრების ყველა სფეროში; სოციალიზმის მონაპოვრის, მშვიდობიანობის პრინციპების დაცვა, მსოფლიო ომის თავიდან აცილება.

განვითარებული სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის თავისებურებას და კანონზომიერებას წარმოადგენს ის, რომ იგი ხორციელდება კლასებს შორის, ქალაქსა და სოფელს შორის, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის წინააღმდეგობათა არა გამწვავების, არამედ მათ შორის არსებული განსხვავების თანდათანობით დაძლევისა და წაშლის გზით.

კომუნიზმის მშენებლობის კანონზომიერებები ინტერნაციონალური მნიშვნელობისაა, იგი განპირობებულია საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში მეურნეობის საზოგადოებრივი ფორმების ერთი და იმავე ტიპით, კომუნიზმში გადასვლის კანონზომიერებანი საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი დარგების მიხედვით შესაძლებელია დავყოთ სამ ჯგუფად:

კანონზომიერებათა პირველ ჯგუფს, რომლებიც ახასიათებენ საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიურ სფეროს, განეკუთვნება სოციალისტური საზოგადოების საწარმოო ძალთა ყოველმხრივი და ჰარმონიული ზრდა, რაც უზრუნველყოფს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე მთელი საზოგადოებრივი წარმოების ზრდის მყარ და სწრაფ ტემპებს, შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელ ამაღლებას, როგორც მატერიალური დოვლათის კომუნისტური სიუხვის შექმნის აუცილებელ პირობას; სასოფლო-სამეურნეო შრომის გადაქცევას ინდუსტრიული შრომის სახეობად, სოციალისტური წარმოებით ურთიერთობათა განუწყვეტელ განვითარებას და სრულყოფას, რაც უზრუნველყოფს ორი ფორმის საკუთრების დაახლოებას, კომუნისტური საზოგადოების შექმნას.

კანონზომიერებათა მეორე ჯგუფი, რომლებიც მოქმედებენ სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში, შედის: სოციალური ჯგუფების განუხრელი დაახლოება, კლასობრივი დაყოფის ყველა ნიშნის წაშლა და საზოგადოების ყველა წევრის სრული სოციალური თანასწორობის მიღწევა, ქალაქსა და სოფელს შორის, ფიზიკურ და გონებრივ შრომის მუშაკთა შორის არსებითი განსხვავების დაძლევა; ერების შემდგომი აყვავება და ყოველმხრივი დაახლოება. მუშათა კლასის წამყვანი როლის განმტკიცება, მარქსისტულ-ლენინური პარტიის ხელმძღვანელობის შემდგომი ზრდა, სოციალური პროცესების მეცნიერული მართვა, სოციალისტური დემოკრატიის ყოველნაირად განვითარება.

კანონზომიერებათა მესამე ჯგუფს, რომლებიც განეკუთვნება საზოგადოების სულიერ ცხოვრებას, შეადგენენ: საზოგადოების ყველა წევრის მეცნიერული მსოფლმხედველობის და კომუნისტური მორალის ფორ-

მირება, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების განვითარება, წარსულის გადმონაშთების აღმოფხვრა, ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ; სოციალისტური კულტურის შემდგომი აყვავება, პიროვნების ჰარმონიული, ყოველმხრივი განვითარება, ხალხის მასების შეგნებული შემოქმედების განუხრელი ზრდა[9].

ამრიგად, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნასთან დაკავშირებულია კომუნიზმის მშენებლობის პრობლემათა მთელი კომპლექსის გადაჭრა, იგი როგორც საშინაო, ისე საგარეო, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ამოცანების ჯაჭვის მაგარი რგოლია. მის საფუძველზე ჩაღდება შემოქმედებითი მუშაობა კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის.

აჯამებდა რა ჩვენი ქვეყნის მიერ განვლილი 60 წლის გამოცდილებას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი საანგარიშო მოხსენებაში სკკპ XXV ყრილობაზე ამბობდა: „ჩვენ შევქმენით ახალი საზოგადოება, საზოგადოება, რომლის მსგავსიც კაცობრიობას არ ახსოვს. ეს არის უკრიზისო, მუდამ მზარდი ეკონომიკის, მომწიფებული სოციალისტური ურთიერთობის ნამდვილი თავისუფლების საზოგადოება, ეს არის საზოგადოება, სადაც გაბატონებულია მეცნიერული, მატერიალისტური მსოფლმხედველობა. ეს არის მომავლის, ნათელი კომუნისტური პერსპექტივებისადმი მტკიცე რწმენის საზოგადოება. მის წინაშე გადაშლილია შემდგომი, ყოველმხრივი პროგრესის უსაზღვრო სივრცეები“[10].

---

[9] „მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი კ ო მ უ ნ ი ზ მ ი“, 1977, გვ. 259—260.
[10] „სკკპ XXV ყრილობის მასალები“, თბ., 1977, გვ. 195.

დიმიტრი შველიძე

სოციალისტ-ფედერალისტების კრიტიკა საქართველოს ბოლშევიკების მიერ რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში

ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ თავის ადრინდელ ნაშრომებში შეეხო წვრილ-ბურჟუაზიულ-არაპროლეტარულ პარტიებთან და მიმდინარეობებთან დამოკიდებულების საკითხს. სტატიაში „რუსი სოციალ-დემოკრატების ამოცანები", რომელიც დაიწერა გადასახლებაში 1897 წელს, ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ არაპროლეტარულ კლასებთან მუშათა კლასის ურთიერთობის გარკვევისას რუსმა სოციალ-დემოკრატებმა უნდა იხელმძღვანელონ კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის სახელგანთქმულ „კომუნისტური პარტიის მანიფესტში" ჩამოყალიბებული სოციალ-დემოკრატიზმის ძირითადი პრინციპებითო. აქედან გამომდინარე, ვ. ი. ლენინი დაასკვნიდა, რომ რუსეთის რევოლუციურ პროლეტარიატს მხარი უნდა დაეჭირა ოპოზიციურად განწყობილი ყველა პროგრესული საზოგადოებრივი კლასისათვის, რომლებიც აბსოლუტიზმის წინააღმდეგ იბრძოდნენ. „სოციალ-დემოკრატები მხარს უჭერენ ყოველგვარ რევოლუციურ მოძრაობას თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილების წინააღმდეგ, ყოველ დაჩაგრულ ეროვნებას, დევნილ სარწმუნოებას, დამცირებულ წოდებას და სხვებს მათს ბრძოლაში თანასწორუფლებიანობისათვის"[1].

რამდენადაც თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლით მეტ-ნაკლებად დაინტერესებული იყო ბურჟუაზიის სხვადასხვა ფენა, რევოლუციურ პროლეტარიატს მხარი უნდა დაეჭირა ლიბერალური ბურჟუაზიის ოპოზიციური და წვრილბურჟუაზიული ფენების რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობისათვის. ბოლშევიკები ყოველთვის გამოდიოდნენ რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ძალებთან ერთობლივად გამოსვლის ან რევოლუციის გარკვეულ პერიოდში დროებითი შეთანხმებების წინადადებით. „მემარცხენე ბლოკიზმის უარყოფა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ღალატია დემოკრატიის საქმისა, არ ყოფილა ქვეყნად არც ერთი ბურჟუაზიულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც „მემარცხენე-ბლოკისტური" ტაქტიკის მაგალითს და ნიმუშს არ იძლეოდეს, ამასთან ამ მოძრაობის ყ ვ ე ლ ა ძლევამოსილი მომენტი ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს დაკავშირებულია ამ ტაქტიკის წარმატებასთან"[2].

რსდმპ II ყრილობა დასაშვებად სთვლიდა ბურჟუაზიული დემოკრატიის უკიდურეს მემარცხენე ფრთასთან — სოციალისტ-რევოლუციონერებთან „კერძო შეთანხმებებს მათთან ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ცალკეულ შემთხვევებში"[3]. რსდმპ III ყრილობის რეზოლუცია „სოციალისტურ-რევოლუციონერებთან პრაქტიკულ შეთანხმებათა შესახებ" ავალებდა „ცენტრალურ

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 410.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 17, გვ. 499.

[3] სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში (1898—1954), ნაწ. I, თბ., 1954, გვ. 57.

კომიტეტს და ადგილობრივ კომიტეტებს, საჭიროების შემთხვევაში დადონ დროებითი საბრძოლო შეთანხმებანი სოციალისტ-რევოლუციონერთა ორგანიზაციებთან"[4].

არაპროლეტარულ პარტიებთან დამოკიდებულების საკითხზე მძაფრი ბრძოლა გაიმართა რსდმპ V ყრილობაზე ბოლშევიკებსა და მენშევიკ-ოპორტუნისტებს შორის. იცავდნენ რა ე. წ. „ნაციონალური რევოლუციის" თეზისს მენშევიკები მარტინოვი, პლეხანოვი და სხვ. ლიბერალური ბურჟუაზიის პარტიასთან — კადეტებთან ბლოკის მომხრეებად გამოვიდნენ. ყრილობამ ხმათა დიდი უმრავლესობით მიიღო ბოლშევიკური რეზოლუცია „არაპროლეტარული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ", პარტიამ უარყო კადეტებთან ყოველგვარი შეთანხმებების შესაძლებლობა, რომლებმაც „გადაჭრით შეაქციეს ზურგი რევოლუციას". რამდენადაც „ნაროდნიკული ანუ შრომის პარტიები (სახალხო-სოციალისტები, შრომის ჯგუფი, სოციალისტ-რევოლუციონერები) ცოტად თუ ბევრად მიახლოებით გამოხატავდნენ სოფლისა და ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებსა და თვალსაზრისს სოციალ-დემოკრატების მიზანი იყო გამოეგლიჯა ისინი ლიბერალური ბურჟუაზიის გავლენისაგან და დაერაზმა თავის გარშემო შავრაზმელებისა და კადეტების წინააღმდეგ. რეზოლუცია მიუთითებდა, რომ „სოციალ-დემოკრატია ყოველთვის აღიარებდა რუსეთში არსებული საზოგადოებრივი და პოლიტიკური წესწყობილების წინააღმდეგ მიმართული ოპოზიციური და რევოლუციური მოძრაობის მხარის დაჭერის აუცილებლობას"[5].

ქართველი ბოლშევიკები თანმიმდევრულად იბრძოდნენ წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიულ პარტიებთან დამოკიდებულების ლენინური ტაქტიკის გამომუშავებისა და პრაქტიკაში განხორციელებისათვის და ისევე, როგორც მიმდინარე ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სხვა საკვანძო საკითხებში მათ მენშევიკების, ავტონომისტ-სოციალ-დემოკრატების და სხვა ოპორტუნისტული მიმდინარეობების მწვავე წინააღმდეგობის დაძლევა უხდებოდათ.

კავკასიის ბოლშევიკების ორგანო „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკი", რომელიც თბილისში გამოდიოდა, მენშევიკებისაგან განსხვავებით, მკვეთრად გამოყოფდა „რევოლუციურ წვრილბურჟუაზიას" ლიბერალური ბურჟუაზიისაგან, რომელიც დაკმაყოფილდა 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტით. „რუსეთის ბურჟუაზიის სუბიექტური სურვილები, — წერდა გაზეთი, — მკვეთრად სცილდება რევოლუციის ობიექტურ მსვლელობას. არც პროლეტარიატს, არც რევოლუციურ გლეხობას, არც ხალხის რევოლუციურ წვრილბურჟუაზიულ ფენებს არ სურთ დაკმაყოფილდნენ მიღწეულით. ბრძოლა გრძელდება 17 ოქტომბრის შემდეგაც... დემოკრატიული რევოლუციის იდეა თანდათან იპყრობს ხალხის ფართო მასებს"[6].

რევოლუციის გადამწყვეტ მომენტში არაპროლეტარულ პარტიებთან და კლასებთან დამოკიდებულების ტაქტიკა მკაფიოდ ჩამოაყალიბა „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკმა", რომელმაც 1905 წლის დეკემბერში გამოაქვეყნა საპროგრამო ხასიათის წერილი „ცალ-ცალკე ვიაროთ, ერთად ვურტყათ".

---

[4] სკკპ რეზოლუციებში, ნაწ. I, გვ. 99.

[5] იქვე, გვ. 202.

[6] «Кавказский рабочий листок», 24 ноября 1905 г.

კავკასიელი ბოლშევიკების ორგანო მიუთითებდა, რომ მიმდინარე მომენტის უმთავრესი ამოცანა,—როგორც ამას ჯერ კიდევ ნახევარი წლის წინათ აღნიშნავდა რსდმპ ბოლშევიკების ცენტრალური გაზეთი „პროლეტარი“, — იყო საყოველთაო შეიარაღებული აჯანყება. მის განხორციელებაში გადამწყვეტი როლი უნდა შეესრულებინა რუსეთის სინამდვილეში ყველაზე ძლიერ და გავლენიან სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას, რომელიც თავის გარშემო იკრებდა განმათავისუფლებელი მოძრაობის მთელ რევოლუციურ ძალებს. „მას შეჰყურებენ ყველა სხვა პარტიები და მასვე ეკისრება უზარმაზარი პასუხისმგებლობა ამ პარტიების რევოლუციური ძალების გონივრული და მიზანდასახული უტილიზაციის საქმეში“[7] — წერდა გაზეთი.

რა ტაქტიკას უნდა დასდგომოდა ამგვარ ვითარებაში კავკასიის რევოლუციური სოციალ-დემოკრატია? „ცალ-ცალკე ვიაროთ, ერთად ვურტყათ“,— მოუწოდებდა „ლისტოკი“ — ასეთია ბრძნული ტაქტიკა, რომელსაც ატარებდა და ატარებს საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია ყველა სხვა პარტიასთან ურთიერთობაში დემოკრატიული რევოლუციების დროს. ახლა დადგა მომენტი, როცა საჭიროა გავაკეთოთ ყველაფერი, რათა „ერთად დავარტყათ“[8].

რევოლუციურ-დემოკრატიულ ძალებთან მოქმედების კოორდინაცია ბოლშევიკების თვალსაზრისით სულაც არ ნიშნავდა წვრილბურჟუაზიულ მასაში რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის გათქვეფას. „სოციალ-დემოკრატია, რომელიც ინარჩუნებს თავისი პარტიის სრულ იდეურ და ორგანიზაციულ დამოუკიდებლობას, როგორც პროლეტარიატის პარტია, ამასთან საჭიროა შეუთანხმდეს ბურჟუაზიულ რევოლუციურ პარტიებს და მოემზადოს მათთან ერთად საერთო და ერთდროული გამოსვლისათვის“[9], — წერდა გაზეთი.

ქართველი ბოლშევიკები 1905—1907 წლების რევოლუციური მოვლენების სათავეში იდგნენ და სასურველი მიზნისაკენ წარმართავდნენ ოპოზიციური და რადიკალურად განწყობილი წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიული ფენების მოძრაობას, პრაქტიკულად ახორციელებდნენ წვრილბურჟუაზიულ პარტიებთან რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის დროებითი ბლოკის კლასიკურ ფორმულას — „ცალ-ცალკე ვიაროთ, ერთად ვურტყათ“. ისინი სოციალისტ-ფედერალისტებთან, ესერებთან, ანარქისტებთან და სხვ. ერთად სცემდნენ საერთო პროკლამაციებს, არ ერიდებოდნენ მათთან ერთობლივ ღონისძიებებს სომეხ-თათართა შეტაკების ლიკვიდაციისათვის, შედიოდნენ მრავალპარტიული ხასიათის რევოლუციურ და დემოკრატიულ ორგანიზაციებში, რომელთა მიზანი იყო სხვადასხვა პარტიისა და ჯგუფის ერთობლივი მოქმედების ხელმძღვანელობა და კოორდინაცია. ამასთან რევოლუციური სოციალ-დემოკრატები არასოდეს ივიწყებდნენ პროლეტარიატის კლასობრივ ინტერესებს, კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდნენ წვრილბურჟუაზიული პარტიების ცრუსოციალისტურ ფრაზეოლოგიას და რევოლუციური მასების თვალში ამხელდნენ ამ პარტიების მოღვაწეობის რეაქციულ მხარეებს, რევოლუციურ არათანმიმდევრობას, ლიბერალიზმისაკენ მიდრეკილებას და სხვ.

---

[7] «Кавказский рабочий листок», 11 декабря 1905 г.

[8] იქვე

[9] იქვე

პირველი რევოლუციის პერიოდში ინტერპარტიული ხასიათის რევოლუციური ორგანოები იქმნებოდა, როგორც ცენტრში — პეტერბურგში, მოსკოვში და სხვ., ისე იმპერიის განაპირა მხარეებში — ბალტიისპირეთში, პოლონეთში, უკრაინაში, კავკასიაში და სხვ. 1905 წლის 14 ივლისს პეტერბურგში შეიქმნა მემარცხენე პარტიებისა და ჯგუფების საკოორდინაციო აღმასრულებელი კომიტეტი, რომელშიც შედიოდნენ: სოციალ-დემოკრატები, ესერები, სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირი, რკინიგზელთა კავშირი, მასწავლებელთა კავშირი და სხვ.[10]

დაახლოებით ანალოგიური ხასიათის ინტერპარტიული ორგანიზაცია ჩანს კავკასიაში. ირკვევა, რომ იგი საქართველოშიც უნდა შექმნილიყო. თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოსა და პოლიციის საარქივო მასალები ცხადყოფენ, რომ პირველი რევოლუციის წლებში არსებობდა თბილისის რევოლუციური კომიტეტი, რომელშიც სხვებთან ერთად შედიოდნენ სოციალისტ-ფედერალისტები. 1905 წლის 2 ოქტომბერს შედგა აღნიშნული კომიტეტის თათბირი სასტუმრო „პურ-ღვინოში", რომელზედაც გადაწყდა კავკასიის პოლიციის უფროსის გენერალ-მაიორ შირინკინის, კავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსის ივანოვის და სხვ. განსაკუთრებით რეაქციულ მოხელეთა ტერორიზება. თათბირზე სოციალისტ-ფედერალისტებიდან მონაწილეობდნენ ს. ფირცხალავა, პ. გოთუა და სხვ.[11]. პოლიციის კანცელარიის სხვა ცნობა კი იუწყება, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის კავკასიის კავშირი, სოციალისტ-ფედერალისტები, ესერები და დაშნაკები მისულან შეთანხმებამდე — საყოველთაო აჯანყების საკითხში[12].

ინტერპარტიული სახის მეორე ორგანიზაციას წარმოადგენდა თბილისში 1905 წელს შექმნილი საერთო გაფიცვის ბიურო, რომელშიც შედიოდნენ: ბოლშევიკები, მენშევიკები, სოციალისტ-ფედერალისტები, ჰნჩაკის თბილისის კომიტეტი, ესერები და დაშნაკცუტიუნის ადგილობრივი ორგანიზაცია. ბიურო შედგებოდა 25 კაცისაგან, რომელთაგან 6 ბოლშევიკი იყო[13]. ასე, რომ საქართველოს რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატიამ თავისი ხელმძღვანელობით მოახერხა ინტერპარტიული ხასიათის ორგანიზაციებში გაეერთიანებინა ადგილობრივი ოპოზიციური და წვრილბურჟუაზიულ-რადიკალური ტიპის პარტიები და ჯგუფები, მეტ-ნაკლებად ჩაება ისინი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში. რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის გავლენით ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში გაუბედავად ჩაება სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის რადიკალურად განწყობილი ნაწილი.

რევოლუციის აღმავლობის პერიოდში სოციალისტ-ფედერალისტებმა „კავკასიაში მოქმედ ყველა სოციალისტურ პარტიათა კომიტეტებთან" ერთად გამოსცეს რამდენიმე პროკლამაცია: „კავკასიის ყველა ერებს", „სოლიდარობის დასაწყისი" და სხვ. პროკლამაციებს ხელს აწერდნენ: „კავკასიის კავშირის კომიტეტი რსდმ პარტიისა, თბილისის კომიტეტი „ჰნჩაკი", თბილისის კომი-

---

[10] Революция 1905—1907 годов в России, Авторский коллектив, отв. ред. Ю. И. Кориблев, М., 1975, გვ. 328.

[11] სსსცსა, ფ. 83, აღწ. 1, ს. ფურც. 41 და ფ. 153, აღწ. 1, ს. 793, ფ. 205.

[12] იქვე, ს. 37, ფურც. 12.

[13] გ. ჯანგველაძე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა წვრილბურჟუაზიული პარტიების იდეური და ორგანიზაციული განადგურებისათვის (1903—1923 წწ.), თბ., 1974, გვ. 102.

ტეტი ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიისა „საქართველო“, თბილისის კომიტეტი — სოციალისტ-რევოლუციონერებისა, კავკასიის პასუხისმგებელი კომიტეტი სომეხთა სარევოლუციო კავშირისა „დაშნაკცუტიუნ“[14].

არაპროლეტარულმა პარტიებმა, განსაკუთრებით კი სოციალისტ-ფედერალისტებმა და ესერებმა, რომლებსაც ყოველთვის ახასიათებდათ კლასობრივ წინააღმდეგობათა მიჩქმალვის ძლიერი ტენდენციები, ყალბად გაიგეს ლენინური მემარცხენე ბლოკიზმის ტაქტიკის არსი. მათ მიიჩნიეს, რომ მიმდინარე რევოლუციის აღმავლობის პერიოდში რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას უარი უნდა ეთქვა წვილბურჟუაზიულ პარტიებთან არსებულ წინააღმდეგობებზე, მათს კრიტიკაზე და მაქსიმალურად შეთანხმებულად ემოქმედნა მათთან. ცნობილია, რომ ქართველი ბოლშევიკების მიერ ფედერალისტების წინააღმდეგ მიმართული რევოლუციურ-მარქსისტული კრიტიკა გამანადგურებლად მოქმედებდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის იდეურ და ორგანიზაციულ სტრუქტურაზე, შეუბრალებლად ამხილებდა სოციალისტ-ფედერალისტთა წვრილბურჟუაზიულ და ცრუსოციალისტურ ბუნებას რევოლუციური მასების თვალში. ამიტომ სოციალისტ-ფედერალისტებმა დემაგოგიური მეთოდებით სცადეს თავიდან აეცდინათ ბოლშევიკური კრიტიკის ცეცხლი.

1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში ქართველი ბოლშევიკების წინაშე უფრო სერიოზულად დადგა სოციალისტ-ფედერალისტებთან ბრძოლის საკითხი, რომელიც შედარებით გართულებულ პირობებში უნდა მომხდარიყო, რადგან ახლა ფედერალისტები პატრიოტობასთან და ქართველი ხალხის ინტერესთა დამცველობასთან ერთად „სოციალისტობას“ და „რევოლუციონერობასაც“ იჩემებდნენ. ფედერალისტებმა დიდი ხმაური ატეხეს თავიანთი პარტიის ევოლუციაზე. ადრე, გაზ. „საქართველო“ თუ შედარებით მოკრძალებით ეკეკლუცებოდა სოციალიზმს, რევოლუციის პერიოდში „ცნობის ფურცელს“ და მის მემკვიდრე ორგანოებს „მეგობარს“, „ისარს“ და სხვ. „სოციალისტურ“ ორგანოებად მოჰქონდათ თავი. ფედერალისტები მიუთითებდნენ, რომ რევოლუციის პერიოდში დასრულდა მათი „სოციალისტურ“ პარტიად ჩამოყალიბების პროცესი — „სოციალისტ-ფედერალისტები სოციალისტები ვართ — საზეიმოდ აცხადებდა პარტიის III დამფუძნებელ კონფერენციაზე მიღებული ფედერალისტების პროგარამა, — და ეს იმას ნიშნავს, რომ უმაღლესი იდეალი, რომლის განხორციელებასაც გვინდა მივაქციოთ ჩვენი ძალა და ღონე არის სოციალიზმი“[15].

მაგრამ სოციალისტ-ფედერალიტებმა კიდევ ერთხელ მხოლოდ „ტანისამოსი ჩაიცვეს სოციალისტური“.

კერძოდ, ფედერალისტებს არაფერი შეუძლიათ თავიანთი პროგრამის ეროვნულ ნაწილში, კვლავინდებურად იცავდნენ „საქართველოს“ მიერ წამოყენებულ ავტონომიისა და ფედერაციის იდეას, რომელიც მათი პროგრამის ქვაკუთხედად რჩებოდა. ამიტომ, ქართველი ბოლშევიკები ფედერალისტებს „ავტონომისტ-სოციალისტ-ფედერალისტებსაც“ უწოდებდნენ პრესაში.

---

[14] გაზ. „საქართველო“, პარიზი, № 22, 1905, წ. 15 მარტი.

[15] პროგრამა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიისა, გვ. 3, უთარიღოა.

რევოლუციის პერიოდში ავტონომიის მოთხოვნა განსაკუთრებით უარყოფით როლს ასრულებდა კავკასიის პირობებში, სადაც შედარებით პატარა გეოგრაფიულ რეგიონში მრავალი ერისა და ხალხის წარმომადგენლებს უხდებოდათ ცხოვრება და მოღვაწეობა. ავტონომიზმის იდეამ მით უფრო დიდი საფრთხე შეუქმნა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პროპაგანდას, რადგან იგი აიტაცეს და თავიანთ ნაციონალისტურ მოთხოვნებს დაუდეს საფუძვლად სხვადასხვა ჯურის წვრილბურჟუაზიულმა და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა ჯგუფებმა: ლიბერალურმა თავადაზნაურობამ, ეროვნულ-დემოკრატებმა, რადიკალებმა, ავტონომისტ-სოციალ-დემოკრატებმა და სხვ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის მოწყობას ავტონომისტურ-ფედერალისტურ პრინციპებზე მოითხოვდნენ რუსი კადეტები, ესერები, პოლონელი სოციალისტები, დაშნაკები და ლიბერალურ-ნაციონალისტური პარტიები, რომლებიც ქართველი ფედერალისტების წისქვილზე ასხამდნენ წყალს.

ავტონომიზმის იდეა წმინდა წყლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოთხოვნა იყო და არაფერი საერთო არ ჰქონდა სოციალიზმთან. ბოლშევიკ-ლენინელები მიუთითებდნენ ეროვნული ავტონომიის მოთხოვნის დემოკრატიულ ხასიათზე და თვით პროგრამითაც აღიარებდნენ მის უფლებას რუსეთში შემავალი ერებისათვის, მაგრამ მის მიზანშეწონილობას უფარდებდნენ კონკრეტულ-ისტორიულ პირობებს, ვ. ი. ლენინი წერილში „რამდენიმე შენიშვნა პ. მასლოვის „პასუხის“ გამო“, მიუთითებდა, რომ „ავტონომიას უზრუნველყოფენ თვითონ ჩვენი პროგრამის საფუძვლები“, რომ „ქვეყნებისა და ხალხების ავტონომია“ სრულიადაც არ ეწინააღმდეგებოდა, არამედ „ეკუთვნის ჩვენი პოლიტიკური პროგრამის მოთხოვნათა რიცხვს“[16], მაგრამ ეს არ ნიშნავდა, რომ ბოლშევიკები ყველგან და ყოველთვის აღიარებდნენ ავტონომიის საჭიროებას. ამ საკითხს, ისევე როგორც ერთა თვითგამორკვევის უფლებას, განსხვავებით წვრილბურჟუაზიული პარტიებისაგან, რომლებიც უპირველესად მოითხოვდნენ მტკიცე გარანტიებს, ბოლშევიკები განიხილავდნენ კლასობრივი და არა ისტორიული პრინციპით: „ჩვენი პოლიტიკური პროგრამა გამორიცხავს ყოველგვარ ძალადობას და უსამართლობას, — წერდა ვ. ი. ლენინი, — მოითხოვს ფართო ავტონომიას ცალკეული პროვინციებისათვის (იხ. პარტიის პროგრამის მე-3 მუხლი). მაშასადამე, საქმე ის კი არ არის, რომ კვლავ გამოვიგონოთ ხოლმე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მიუღწეველი ახალი „გარანტიები“, არამედ ის, რომ პროლეტარიატის პარტია თავის პროპაგანდისტული და სააგიტაციო მოღვაწეობით მოუწოდებდეს არა დაქუცმაცებულობისაკენ, არამედ შეერთებისაკენ, ცენტრალიზებულ სახელმწიფოთა დიადი ამოცანების გადაწყვეტისაკენ, და არა ყრუ გაველურებისა და ნაციონალური შეზღუდულობისაკენ“[17].

პირველი რევოლუციის პერიოდში ავტონომია-ფედერაციის იდეა სწორედ ამგვარი „ნაციონალური შეზღუდულობისა“ და გათიშვისაკენ უბიძგებდა პროლეტარიატს, ამიტომ ბოლშევიკი-ლენინელები მკაცრად აკრიტიკებდნენ ისეთ „წვრილ მეშჩანებს“, როგორიც იყვნენ ყველა ნაირსახეობის „ავტონომისტები“[18]. რა თქმა უნდა, აღნიშნულ „წვრილ მეშჩანებში“ ქართველი

[16] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 15, გვ. 313.
[17] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 15, გვ. 199.
[18] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 15, გვ. 313.

სოციალისტ-ფედერალისტებიც იგულისხმებოდნენ, რომლებიც რუსეთის სინამდვილეში ავტონომისტ-ფედერალისტური მიმდინარეობის ერთ-ერთ რაზმს წარმოადგენდნენ. საყურადღებოა, რომ პირველი სახელმწიფო სათათბიროს ავტონომისტთა ფრაქციაში, რომელშიც გაერთიანებული იყო რუსეთის ეროვნებათა 63 წარმომადგენელი, შედიოდა ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა ერთადერთი დეპუტატი ი. ბარათაშვილი. ფედერალისტური პრესა მადლიერებით მოიხსენიებდა ავტონომისტთა ფრაქციის თავმჯდომარეს დეპუტატ ლედნიცკის, რომელმაც ფედერალისტების წარმომადგენლის ჩასვლამდე საქართველოს ავტონომიის მოთხოვნის შესახებ განცხადება შეიტანა პირველ სათათბიროს კომისიაში[19], თუმცა აღნიშნული განცხადება კომისიის ფარგლებს არ გასცილებია. პირველი სათათბირო მალე დაითხოვეს, ხოლო მეორეში ფედერალისტებმა ვეღარ შეძლეს დეპუტატის გაყვანა.

1905—1907 წლების პერიოდში ქართველი ბოლშევიკები გადაჭრით გამოვიდნენ საქართველოს ავტონომიის მოთხოვნის ნაციონალისტური იდეის წინააღმდეგ და განაგრძობდნენ ჯერ კიდევ გაზეთ „საქართველოს“ წინააღმდეგ დაწყებულ ბრძოლას. აღნიშნულ საკითხზე ქართველი ბოლშევიკების ლეგალური ჟურნალის „მოგზაურის“ ფურცლებზე გამოვიდა ა. წულუკიძე, საპროგრამო ხასიათის წერილით: „ავტონომია და პროლეტარიატის ინტერესები“. მარქსიზმის გამოჩენილი თეორეტიკოსი მიუთითებდა, რომ საქართველოს ავტონომიის მოთხოვნა თავისი არსით ბურჟუაზიული იყო და ძირეულად ეწინააღმდეგებოდა ქართველი და საერთოდ კავკასიის პროლეტარიატის ინტერესებს. რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ენერგიული ინტერნაციონალური მოღვაწეობის შედეგი იყო, რომ კავკასიაში არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ მხარდამხარ იბრძოდნენ ქართველი, რუსი, სომეხი, ებრაელი და სხვა ეროვნების მუშები. ა. წულუკიძე მიუთითებდა, რომ ინტერნაციონალური დამოკიდებულების წყალობით კავკასიის მუშებს შორის ეროვნული ზღუდეები იშლებოდა. ქართველი ავტონომისტები კი პირიქით ამაგრებდნენ ნაციონალისტურ ზღუდეებს და პროლეტარიატის შეერთებულ ბრძოლაში გათიშულობა შეჰქონდათ. მაშინ როცა „ქართველი და სომხის ბურჟუაზია დღესაც კინკლაობს, — წერდა ა. წულუკიძე, — ქართველი და სომხის პროლეტარიატი მჭიდრო კავშირით გადაინასკვა, ჩაქრა მათში ეროვნული განხეთქილების ცეცხლი, აი ამ დროს მოაქვთ ავტონომია და ეს ცეცხლი ისევ ღვივდება“[20].

ქართველი ბოლშევიკები ავტონომიის მოთხოვნას კონკრეტულ-ისტორიული პირობებისა და პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების შესაბამისად წყვეტდნენ. აქედან გამომდინარე, ამხილებდნენ — ავტონომიზმის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ არსს, ქართველი ბოლშევიკ-ლენინელები ხაზს უსვამდნენ მის მიზანშეუწონლობას მიმდინარე რევოლუციის პერიოდში. ა. წულუკიძე მკაცრად აკრიტიკებდა სოციალისტ-ფედერალისტთა ლიდერებს — კალამს და განს[21], რომლებიც სხვა ქვეყნების მაგალითით ასაბუთებდნენ საქართველოს ავტონომიის მოთხოვნის საჭიროებას. გ. ლასხიშვილი თავისი მოსაზრების დამაჯერებლობისათვის იშველიებდა კ. კაუცკის ავტორი-

---

[19] გ. ლ ა ს ხ ი შ ვ ი ლ ი, მემუარები, (1885—1915), ტფ., 1934, გვ. 125.

[20] ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, თბ., 1967, გვ. 350.

[21] კ ა ლ ა მ ი ს. ფირცხალავას ფსევდონიმი იყო, გ ა ნ ი — გ. ლასხიშვილის.

ტეტს. საპასუხოდ ა. წულუკიძე მიუთითებდა ფედერალისტ-პუბლიცისტს, რომ კაუცკის მიერ ავტონომიის მხარდაჭერა სულაც არ ნიშნავდა, რომ ავტონომია საქართველოს პირობებისათვის აუცილებლად მიზანშეწონილი იყო, მისი აზრით, გერმანელი სოციალ-დემოკრატი ევროპის პირობების მიხედვით მსჯელობდა და საქართველო მხედველობაში არ შეიძლებოდა ჰქონოდა. გარდა ამისა, მიუთითებდა ქართველი მარქსისტი კაუცკის ავტორიტეტით გატაცებულ გ. ლასხიშვილს, „ჩვენ არც ისეთი ბრმა თაყვანისმცემლები გახლავართ ავტორიტეტების, რომ თუ ევროპაში კაუცკიმ თქვა, უკრიტიკოდ გავიმეოროთ. ჩვენთვის ავტონომია და ფედერაცია დღევანდელ პირობებში მავნებელია — აი მოკლედ ჩვენი აზრი და ამ აზრის დასაბუთებლად ავტორიტეტებსაც საბუთს მოვსთხოვთ, უმეტეს თქვენისთანა უფხო მწერლებს“[22] (ხაზი ჩვენია. — **დ. შ.**).

ავტონომიზმის სისტემატური კრიტიკა მოგვცა თავის მრავალრიცხოვან წერილებში ცნობილმა ქართველმა ბოლშევიკ-ლენინელმა ფ. მახარაძემ. ფ. მახარაძემ ეროვნული პრობლემის გადაჭრა მჭიდროდ დაუკავშირა სოციალიზმის გამარჯვების საკითხს და მეცნიერულად დაასაბუთა, რომ ეროვნული საკითხი იყო „იგივე სოციალური კითხვა ნაციონალურ ქერქში გახვეული“. ამიტომ, ქართველი მარქსისტის აზრით, ეროვნულ პრობლემას საქართველოში ავტონომია ვერ გადაჭრიდა, როგორც ნაციონალისტ-ფედერალისტები ფიქრობდნენ, ეროვნული საკითხის გადაჭრის ერთადერთი გზა იყო ყველა ეროვნების მუშათა ინტერნაციონალური ერთიანობა, მხოლოდ ამ გზით „დაამხობდნენ დღევანდელ ბურუაზიულ წესწყობილებას, ბოლოს მოუღებდნენ კერძო საკუთრებას და დაქირავებულ შრომას, ე. ი. როცა ბოლო მოეღება დღევანდელ სოციალურ განხეთქილებას, მაშინ საბოლოოდ გადაწყდება ეროვნული კითხვაც“[23], — წერდა ფ. მახარაძე.

ფ. მახარაძე ხაზს უსვამდა ავტონომიის მოთხოვნის ერთ, განსაკუთრებით რეაქციულ მხარეს პირველი რევოლუციის პერიოდის საქართველოში. კერძოდ, ავტონომიის ლოზუნგის ქვეშ, მისი აზრით, გაერთიანდა საქართველოს თითქმის ყველა წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტია და ჯგუფი. ამიტომ, ავტონომიის საკითხი იქცა სწორედ განხეთქილების ვაშლად, რომლის გამოც ერთმანეთს მკვეთრად დაუპირისპირდნენ რევოლუციურ-ინტერნაციონალისტური და ლიბერალურ-ნაციონალისტური ძალები, პროლეტარიატი და ბურჟუაზია. ფ. მახარაძეს კონკრეტულ-ისტორიული პირობებიდან გამოჰყავდა ავტონომიის მოთხოვნის მიზანშეუწონლობა პროლეტარიატის ინტერესებისათვის. პირველი რევოლუციის პერიოდში, როცა რუსეთის პროლეტარიატს ჯერ არ შეესრულებინა თავისი უმთავრესი მიზანი—თვითმპყრობელობის დამხობა, ვერ დააქუცმაცებდა თავის ძალებს ეროვნული კედლებით, „ამიტომ ჩვენ დღეს ვეწინააღმდეგებით იმ პარტიების მეცადინეობას, რომლებიც ცდილობენ ახლავე ეროვნული ავტონომიის მოპოვებას. ჩვენის ფიქრით, ჯერ არ დამდგარა დრო, როცა ასეთი ტაქტიკის შეცვლა ჩვენი პარტიისათვის საჭირო იყო“[24], — წერდა ფ. მახარაძე (ხაზგასმა ჩვენია. — **დ. შ.**).

---

[22] ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, გვ. 353.

[23] ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, თხზულებათა კრებული, ტ. IV, ნაციონალური საკითხი, ტფ., 1924, გვ. 23.

[24] იქვე, გვ. 62—63.

ეროვნული ავტონომიის მომხრე ფედერალისტების წინააღმდეგ იდეოლოგიურ ბრძოლაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა საქართველოს ბოლშევიკურმა პრესამ. ბოლშევიკურ ორგანოებში: „მოგზაური“, „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკი“, „ჩვენი ცხოვრება“, „ახალი ცხოვრება“ და სხვ. სისტემატურად ქვეყნდებოდა სტატიები, რომლებშიც მხილებული იყო სოციალიზმ-ფედერალიზმის წვრილბურჟუაზიულ-ნაციონალისტური არსი, დასაბუთებული იყო ავტონომიისა და ფედერაციის მოთხოვნების ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური საფუძვლები.

ჟურნ. „მოგზაურში“ გამოქვეყნებულ სტატიაში, რომელსაც ხელს აწერს „ს-დ“, ნათქვამია, რომ საქართველოში ბურჟუაზიის სამსახური იკისრეს ლიბერალებმა, ნაციონალ-დემოკრატებმა, „ფედერალისტ-სოციალისტებმა“ და სხვა., რომლებსაც უნდოდათ ეროვნული ავტონომია ხალხის მოთხოვნად გაეღებინათ, მაგრამ, ასკვნიდა ავტორი, ეროვნული ავტონომია არის ავტონომია ბურჟუაზიის, ჩინოვნიკების, ბურჟუა-ინტელიგენციის და სამღვდელოების, აი მისი მთელი შინაარსი — აი ვინ ატარებს მის დროშას და ვინ ემსახურება მას“[25].

რევოლუციური სოციალ-დემოკრატები ხაზგასმით მიუთითებდნენ ავტონომიის საკითხში წვრილბურჟუაზიული პარტიების შეხედულებების ერთობლიობაზე. როგორც ჟურნალი „მოგზაური“ მიუთითებდა, წვრილბურჟუაზიულ და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ-ლიბერალურ პარტიებს შორის, რომლებიც ეროვნული ავტონომიის საერთო ლოზუნგით გამოდიოდნენ, განსხვავება მინიმალური იყო. „განსხვავება შეიძლება იყოს კიდეც რამე, მაგრამ მხოლოდ რაოდენობით და არა თვისებითი“, რადგან „ცნობის ფურცელი“ ყოველთვის აღტაცებით ეგებება ყოველ ავტონომისტს, როგორც პოლიციის გაძლიერების მომხრე თვითმმართველობას, ისე მოკრივე პედაგოგებს, როგორც ფეოდალებს ისე კლერიკალებს და საიდან უნდა გავიგოთ, ვინ არის ნამდვილი ავტონომისტი!...“[26]. მართლაც, ფედერალისტების ცენტრალურ ორგანოებში („ცნობის ფურცელი“, „მეგობარი“, „ისარი“ და სხვ.) შეუზღუდავად თანამშომლობდნენ ყველა ჯურის ავტონომისტები: ლიბერალები (ვლ. მიქელაძე), ნაციონალ-დემოკრატები (ნ. თავდგირიძე, ი. ზურაბიშვილი); პატრიოტ-ანარქისტები (მ. წერეთელი, კ. გოგელია, ვ. ჩერქეზიშვილი): ავტონომისტ-მენშევიკები (ი. გომართელი, ივ. რამიშვილი, ვლ. დარჩიაშვილი) და სხვ.

ქართველმა ბოლშევიკ-ლენინელებმა ბოლომდე ამხილეს ფედერალისტური ავტონომიის ცრუეროვნული, წვრილბურჟუაზიულ-ნაციონალისტური არსი და რევოლუციური მასებისაგან მისი სრული იზოლიაცია მოახდინეს. რევოლუციონერმა მარქსისტებმა მეცნიერულად დაასაბუთეს, რომ ავტონომიის იდეა უცხო იყო რევოლუციის პერიოდის ინტერნაციონალური პროლეტარიატისათვის, იგი წარმოშვეს და შეისისხლხორცეს საქართველოს წვრილბურჟუაზიულმა და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა კლასებმა და პოლიტიკურმა ჯგუფებმა. საქართველოში რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის გავლენა მშრომელთა მასებზე იმდენად ძლიერი იყო, რომ წვრილბურჟუაზიულ პარტიებს, მათ შორის სოციალისტ-ფედერალისტებს ცალკეული ექსპროპრიაციებისა და უფრო ხშირად წარუმატებელი ტერორისტული აქტების ასპარეზი

[25] ჟურნ. „მოგზაური“, № 15, 1906 წლის 24 აპრილი.
[26] იქვე, № 26, 1905 წლის 17 ივლისი.

დარჩათ სამოღვაწეოდ. რევოლუციის პერიოდში სოციალისტ-ფედერალისტებმა რამდენიმე ტერორისტული აქტი განახორციელეს: მოკლეს გორის მაზრის უფროსი, 1906 წლის 12 ივლისს დაჭრეს თბილისის პოლიცმეისტერი კოვალევი... იმავე წელს ფედერალისტთა პარტიის სამხედრო ორგანიზაციამ მოახდინა დუშეთის მაზრის ხაზინის ექსპროპრიაცია და სხვ. მიუხედავად ამისა, ესერულმა ტაქტიკამ ვერ შეუქმნა ფედერალისტებს რევოლუციური პარტიის რეპუტაცია, პირიქით დეზორგანიზაცია შეიტანა ამ ისედაც ნაკლებად მტკიცე რადიკალურ-ინტელიგენტური ხასიათის პარტიაში. სამხედრო ორგანიზაცია, რომელიც აღარ ემორჩილებოდა ფედერალისტური პარტიის ხელმძღვანელთა მითითებებს, თვითნებურ, ფაქტიურად ანარქისტულ ბანდად გადაიქცა, რის გამოც ფედერალისტების III კონფერენციამ მისი „მოღვაწეობა" პარტიის გარეშედ გამოაცხადა, ხოლო აგრარული და საფაბრიკო ტერორი სპეციალური რეზოლუციით აკრძალა[27].

ქართველი სოციალისტ-ფედერალისტები, რომლებმაც ბურჟუაზიული დემოკრატიზმი, აგრარული პროგრამა, ტერორისტული ტაქტიკა და სოციალისტური ფრაზეოლოგია რუსი ესერებისაგან შეითვისეს, არსებითად ქართული წვრილბურჟუაზიული ნაციონალიზმის ემბაზში განბანილი ესერები იყვნენ, შედარებით ნაკლები რადიკალიზმისა და მეტი ინტელიგენტურობის დოზით. მართალია, ფედერალისტებს თავიანთი თავი თანამიმდევარ რევოლუციონერებად ჩაეჩნდათ, მაგრამ მათი გავლენა რევოლუციურ მასებზე, მათივე აღიარებით უმნიშვნელო იყო. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთერთი ლიდერის გ. დეკანოზიშვილის პარიზიდან გამოგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „მე მწერენ, რომ მთელი მოძრაობა სოციალ-დემოკრატიისა არისო, რომ გლეხები მათი გავლენის ქვეშ არიან და ჩვენებს (ე. ი. სოციალისტ-ფედერალისტებს — **დ. შ.**), არავითარი გავლენა არ აქვთ. გარდა ამისა, ჩვენებს მარტო ინტელიგენციაში და თავადაზნაურობაში აქვთ გავლენა. მართალია ეს თუ არა?"[28]. გ. დეკანოზიშვილისა და საერთოდ ფედერალისტებისათვის სამწუხაროდ ეს ყველაფერი მართალი იყო.

ფედერალისტების მიერ გავლენის დაკარგვა რევოლუციურ მასებზე მთელს მათს სოციალისტურ და რევოლუციურ ფრაზეოლოგიაზე უკეთ ეტყველებდა და ამხილებდა მათ ჭეშმარიტ წვრილბურჟუაზიულ ფიზიონომიას. 1906 წლის 10 მაისს, თბილისში პირველი სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებთან დაკავშირებით შემდგარ მიტინგზე რევოლუციურმა მუშებმა უსტვინეს სოციალისტ-ფედერალისტებს, რომელთაც სოციალ-დემოკრატების შემდეგ სურდათ მიტინგზე გამოსვლა[29].

მსგავსი ფაქტები ხშირი იყო რევოლუციის პერიოდში. გ. ლასხიშვილი მოგვითხრობს დამახასიათებელ ეპიზოდს. 1906 წლის აპრილში, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში, სადაც ირჩეოდა პროექტი პირველი სათათბიროს მომავალი არჩევნების შესახებ, სოციალისტ-ფედერალისტები შეეცადნენ საქართველოს ავტონომიის მოთხოვნის საჭიროების დასაბუთებას.

---

[27] სცსა, ფ. 153, აღწ. 1, ს. 3267, ფ. 234 «Грузинская социал-федералистическая революционная партия», Отчет третьего (учредительного) партийного собрания.

[28] საქ. გ. ლეონიძის სახ. სახ. ლიტერატურული მუზეუმი. გ. დეკანოზიშვილის წერილები, 9521—9524, 25 III. 1905 წ.

[29] სცსა, ფ. 83, აღწ. 1, ს. 160, ფურც. 68.

მაგრამ აქ დამსწრე რევოლუციურმა მუშებმა ლაპარაკიც არ დააცადეს ფედერალისტებს და შეძახილებით „ძირს ავტონომია“, „გაუმარჯოს სოციალ-დემოკრატიას“ დაატოვებინეს დარბაზი, შემდეგ აირჩიეს თავმჯდომარედ ბოლშევიკი ნ. ელიავა და რევოლუციური ხასიათის რეზოლუცია გამოიტანეს[30].

სოციალისტ-ფედერალისტებს, რომ მასებში არ ჰქონდათ რაიმე სერიოზული გავლენა, ამაზე მიუთითებს ამ პარტიის ორგანიზაციული სახეც. ასე მაგალითად, სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის III დამფუძნებელ კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო მხოლოდ 13 პარტიული ადგილობრივი ორგანიზაცია: ფედერალისტებს ორგანიზაციები ჰქონდათ ქუთაისში, გორში, სიღნაღში, თელავში, ფოთში, სოხუმში, ბაქოში, ოდესასა და სხვ., მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორგანიზაციების არსებობა ბევრგან ფიქტიური იყო. მაგალითად, ქართველი ბოლშევიკების ორგანო „ჩვენი ცხოვრება“ ფედერალისტთა „ყვირილა-ხარაგოულის ორგანიზაციის“ სახელით გამოსული ერთ-ერთი პროკლამაციის შესახებ წერდა: „ხელში ვიღებ, უნებლიედ კითხვა მებადება: რას ეძახიან ფედერალისტები ორგანიზაციას? თუ მათთვის ორგანიზაცია არსებობს ისე, როგორც ამ სიტყვის შინაარსი მოითხოვს, რა უფლებით აწერენ ფედერალისტები თავიანთ ფურცელზე — „ყვირილა-ხარაგოულის ორგანიზაცია“, როდესაც მათ აქ არა ყავთ არავინ, გარდა ერთი „პედაგოგისა“, რომელიც მართლა რომ გაჭირვებულ მდგომარეობაში ყავს ჩაყენებული ამ ნეტარ ხსენებულ ფედერალისტების ორგანიზაციას, რადგან საცოდავს მთელი ორგანიზაცია თავის თავში მოუთავსებია“[31]. რეაქციის პერიოდში ფედერალისტები კიდევ უფრო დასუსტდნენ ორგანიზაციულად. ფედერალისტური პარტიის ისტორიაში ვერც მათმა III კონფერენციამ ითამაშა გარდამტეხი როლი. 1908 წლის აპრილში თბილისის გუბერნიის ფედერალისტური ორგანიზაციების კრება მიუთითებდა პარტიული მუშაობის მოდუნებას, პროპაგანდისტების ნაკლებობას, ხოლო პოლიციის აგენტურის ცნობებით: „კონფერენციის შემდეგ ფედერალისტური პარტიის აქტიური მოღვაწეობა არამცთუ არ გაძლიერებულა, არამედ შესამჩნევად შესუსტდა და 1905—1907 წლებში მოქმედი ზოგიერთი ორგანიზაცია სრულიად დაიშალა“[32].

პირველი რევოლუციის პერიოდში გამწვავებულმა დიდმა კლასობრივმა შეჯახებამ ნიღაბი ჩამოხსნა ყველა ჯურის წვრილბურჟუაზიულ და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიას, მათ შორის სოციალისტ-ფედერალისტებს. თუ რევოლუციის აღმავლობის პერიოდში ფედერალისტების ხმამაღლა რეკლამირებულ სოციალისტურ ფრაზეოლოგიას მოსახლეობის წვრილბურჟუაზიულ ფენებსა და ნაციონალისტურად განწყობილ ინტელიგენციაში მაინც ჰქონდა გავლენა და ქმნიდა ამ პარტიის რევოლუციურობის ილუზიას, რეაქციის პერიოდში სურათი შეიცვალა. რევოლუციის დამარცხებამ დამღუპველად იმოქმედა ფედერალისტურ რადიკალიზმზე.

რეაქციის პერიოდში, კრიზისიდან გამოსვლის მიზნით სოციალისტ-ფედერალისტთა ნაწილმა, განსაკუთრებით მისმა ინტელიგენტურ-ლიბერალურმა ნაწილმა კულტურულ-საზოგადოებრივ საქმიანობაზე აიღო აქცენტი. ფაქტობრივად მიატოვა ოპოზიციური მოძრაობა და მშვიდობიანად აირჩია

---

30 გ. ლ ა ს ხ ი შ ვ ი ლ ი, მემუარები, გვ. 197—198.
31 გაზ. „ჩვენი ცხოვრება“, № 14, 1908 წლის 8 სექტემბერი.
32 ციტა: დ. [illegible]; [illegible]: [illegible]; [illegible]: [illegible]; [illegible]: [illegible]

„ერის სამსახური“. ადრინდელი გატაცება ცრუსოციალისტური და ზოგადდემოკრატიული ლოზუნგებით მნიშვნელოვანწილად შეცვალა ვიწრო-ნაციონალისტურმა მოღვაწეობამ და წვრილბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ბანაკში ფეხის უფრო თამამად მოკიდებამ. აღსანიშნავია, რომ III კონფერენციაზე ფედერალისტების ერთი ნაწილი გამოვიდა სახელმწიფო ბანკის მეშვეობით გლეხთა მიერ მიწების შეძენის მოთხოვნით, რათა ქართველი თავად-აზნაურობის მიერ დაკარგული ეროვნული ტერიტორია — ადგილ-მამული ისევ ქართველების ხელში დარჩენილიყო. კონფერენციის მონაწილე ვინმე „იმერლის“ აზრით, რადგან საქართველოში „დემოკრატიული პარტია“, ე. ი. ეროვნული ბურჟუაზიის ინტერესების უშუალო დამცველი ეროვნულ-დემოკრატთა პარტია არ არსებობდა ან სუსტი იყო, მისი ადგილი და მოვალეობა უნდა ეკისრათ ქართველ სოციალისტ-ფედერალისტებს[33]. ასე, რომ ფედერალისტთა ერთი ნაწილი ქართული ეროვნული ბურჟუაზიის ინტერესთა დაცვას მოითხოვდა და ცდილობდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მაგივრობა გაეწია საქართველოში. ამავე დროს ფედერალისტების რადიკალურად განწყობილი ნაწილი კვლავ ანარქიზმისაკენ იხრებოდა და პარტიას ავანტურიზმისაკენ უბიძგებდა.

1908 წელს სოციალისტ-ფედერალისტების აღნიშნულმა ნაწილმა თბილისში არალეგალურად გამოსცა გაზეთი „სოციალისტ-ფედერალისტი“, რომელიც გამოვიდა პარტიაში გაძლიერებული ლიბერალური ტენდენციების წინააღმდეგ, მაგრამ იგი მეორე უკიდურესობაში აღმოჩნდა და ადგილობრივ ორგანიზაციებს შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადებისაკენ მოუწოდა. რეაქციის სრული გამარჯვების პერიოდში, როცა რევოლუციის ძალები ძლიერ დასუსტებული და დაქსაქსული იყვნენ და ძალების მოკრებას საჭიროებდნენ, შეიარაღებული აჯანყების ლოზუნგი ავანტურიზმს ნიშნავდა და ულტრამემარცხენე და ყოვლად გაუმართლებელი ნაბიჯი იყო. ცხადია, „სოციალისტ-ფედერალისტის“ მოწოდებას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, მეტიც თვით გაზეთიც უდღეური აღმოჩნდა — მისი მხოლოდ ერთი ნომერი გამოვიდა. ამრიგად სოციალისტ-ფედერალისტებს, რომლებსაც III კონფერენციის შემდეგაც არ ჰქონდათ ერთიანი და ორგანიზებული პარტიის სახე, ერთი მხრივ, ლიბერალური ბურჟუაზიულ-ნაციონალისტებისა და, მეორე მხრივ, წვრილბურჟუაზიული რადიკალების მერყევ, ინტელიგენტურ პარტიად დარჩა. ქართველ სოციალისტ-ფედერალისტებზე სავსებით შეგვიძლია გავავარცელოთ ვ. ი. ლენინის დებულება ნაროდნიკებისა და საერთოდ ნაროდნიკული მიმდინარეობების რევოლუციური არათანამიმდევრობის შესახებ, რომლებსაც მისი სიტყვით: „არასოდეს არ შეეძლო, როგორც საზოგადოებრივ მიმდინარეობას, გამიჯნულიყო ლიბერალიზმისაგან მარჯვნით და ანარქიზმისაგან მარცხნით“[34].

საქართველოს რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატიამ ბოლომდე შეიცნო სოციალიზმ-ფედერალიზმის ჭეშმარიტი არსი. მან ცხადყო, რომ ეს იდეურ-პოლიტიკური მოძღვრება არავითარ კავშირში არ იყო პროლეტარულ სოციალიზმთან და არსებითად წარმოადგენდა სოციალისტური მოძღვრების წვრილბურჟუაზიული სტიქიისადმი დამორჩილების ცდას. ფედერალისტებმა ამაოდ სცადეს ქართულ სინამდვილეში ერთმანეთისათვის მოერგოთ ორი შეურიგე-

[33] სცსა, ფ. 153, აღწ. 1, ს. 3267, ფურც. 227.

[34] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 20, გვ. 293.

ბელი სოციალ-პოლიტიკური მოძღვრება — სოციალიზმი და ნაციონალიზმი. ამიტომ იყო, რომ რსდმპ ქუთაისის კომიტეტი ერთ-ერთ პროკლამაციაში აღნიშნავდა: „სოციალისტ-ფედერალისტებს არაფერი არ გაეგებათ სოციალიზმის შესახებ... ამას გარდა აღნიშნული პარტია მტრულადაა განწყობილი მუშური სოციალიზმის მიმართ“[35].

1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში ქართველმა ბოლშევიკებმა სასტიკი მარქსისტულ-ლენინური კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს სოციალისტ-ფედერალისტთა იდეური და პრაქტიკული მოღვაწეობა, ამხილეს ავტონომიისა და ფედერაციის მოთხოვნათა ბურჟუაზიული ნაციონალიზმი, მიწის სოციალიზაციისა და ფედერალისტური სოციალიზმის წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიული არსი, ცხადყვეს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ცრურევოლუციური ტაქტიკის სრული უვარგისობა და რევოლუციური მასებისაგან მათი სრული იზოლაცია მოახდინეს.

Д. Ш. ШВЕЛИДЗЕ

РАЗОБЛАЧЕНИЕ ГРУЗИНСКИМИ БОЛЬШЕВИКАМИ МЕЛКОБУРЖУАЗНО-НАЦИОНАЛИСТИЧЕСКОЙ СУЩНОСТИ СОЦИАЛИСТОВ-ФЕДЕРАЛИСТОВ В ПЕРИОД ПЕРВОЙ РУССКОЙ РЕВОЛЮЦИИ

Резюме

В период первой буржуазно-демократической революции в России грузинские большевики последовательно осуществляли ленинскую лево-блокистскую тактику в отношении мелкобуржуазных партий, в том числе социалистов-федералистов. Благодаря этой практике революционная социал-демократия Грузии сгруппировала вокруг себя оппозиционные и демократические силы и во главе революционного пролетариата повела их против самодержавия.

В то же время грузинские большевики остро критиковали идейно-практическую деятельность социалистов-федералистов. Они разоблачили мелкобуржуазную сущность федералистической модели социализма, вскрыли псевдореволюционный характер партии социалистов-федералистов и изолировали ее от революционных масс.

[35] სცსა, ფ. 83, აღწ. 1, ს. 160, ფურც. 48.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საბჭოთა საქართველოს ისტორიის განყოფილებამ

მიხეილ ნიკოლეიშვილი

მეტოქეობა საქართველოს ქალაქებს შორის რეფორმის-შემდგომ პერიოდში

რკინიგზების მშენებლობამ მნიშვნელოვანი ცვლილებანი შეიტანა ქალაქების სამეურნეო-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. დიდად შეფერხდა იმ ქალაქების ზრდა-განვითარება, რომლებსაც ასცდა ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზი. ეცემა მათი ეკონომიკური პოტენციალი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში, ბევრი მათგანი ჰკარგავს თავის პირვანდელ დანიშნულებას და ზოგიერთი კი, როგორც ქალაქი, წყვეტს არსებობას და მათ ადგილზე ჩნდებიან სრულიად ახალი დასახლებული პუნქტები, დაბები და ქალაქებიც კი. საქართველოს XIX ს-ის მეორე ნახევრის ცხოვრებაში იწყება მეტოქეობა ძველ და ახალ წარმოქმნილ ქალაქებს შორის. ამ მეტოქეობის დროს, როგორც წესი, გამარჯვება ახლად წარმოქმნილ ქალაქებს რჩებათ. ეს უკანასკნელნი, ძირითადად რკინიგზის ხაზზე იყვნენ განლაგებული, ანდა შეცვლილ გარემოში მოხვდნენ და ამიტომ, ბუნებრივია, მათ ჰქონდათ რეალური ძალა გამარჯვებისათვის. ეს ძალა უწინარეს ყოვლისა მდგომარეობდა იმაში, რომ მათ გააჩნდათ ხელსაყრელი პირობები ზრდა-განვითარებისათვის, რაც ხელიდან ეცლებოდათ ძველ ქალაქებს. რა თქმა უნდა, ამ მებრძოლი ქალაქების უმრავლესობა XIX ს-ის მეორე ნახევარში ოფიციალურად, იურიდიულად, ქალაქებად არ ითვლებოდა. მაგრამ ისინი სოციალურ-ეკონომიკური გაგებით ქალაქებს წარმოადგენდნენ, საქალაქო ცხოვრების წესით მოქმედებდნენ და იბრძოდნენ ამ იურიდიული უფლების მოპოვებისათვის. ცხადია, XIX ს-ის მეორე ნახევრის საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო დაბების ხანგრძლივი მოთხოვნა გაქალაქებისათვის მარტო იურიდიულ მხარის შეცვლას არ გულისხმობდა, იგი მოსახლეობის გარკვეული ფენების სოციალურ-ეკონომიკურ ინტერესებს ეხებოდა და ამიტომ მიისწრაფოდნენ ამ უფლებას მოკლებული დაბები ქალაქებად გარდაქმნილიყვნენ.

საქართველოს ქალაქებს შორის წამოჭრილი მეტოქეობა ერთნაირი ძალით არ შეხებია ყველა ქალაქს. ამ პროცესს ვერც ძველი და თანაც მსხვილი ქალაქები ასცდნენ. მაგრამ მათთვის ამ ბრძოლას ის სავალალო შედეგი არ მოჰყოლია, რაც შედარებით მცირე სიდიდის ქალაქებს დაატყდათ თავს. დიდმა ქალაქებმა გაუძლეს ამ მეტოქეობას, არახელსაყრელ პირობებში მოქცეული მცირე ქალაქები კი მარცხდებიან, ისინი ან ქრებიან ასპარეზიდან, ანდა უბრალო სასოფლო დასახლებულ პუნქტამდე ქვეითდებიან. ერთი სიტყვით, დაირღვა ქალაქებს შორის არსებული ტრადიციული დამოკიდებულება და ურთიერთობა, შეიცვალა ქალაქების განლაგების ადრინდელი რუკა. რა თქმა უნდა, ქალაქების მნიშვნელობისა და ურთიერთდამოკიდებულების შეცვლას ობიექტური მიზეზები გააჩნდა. მაგრამ ეს უკანასკნელი არ ყოფილა ყველასათვის ერთნაირი, ზოგიერთ ქალაქს ერთი სახის მიზეზი უცვლიდა პირობებს, მეორე ქალაქს სხვა პირობები და ა. შ. მაგრამ ჩვენთვის საინტერესო პერი-

ოდში ქალაქებს შორის წარმოქმნილი მეტოქეობა უმთავრესად საქართველოში რკინიგზების მშენებლობამ გამოიწვია. ეს მეტოქეობა ერთნაირი ძალით არ შეხებია ყველა ქალაქს და ამის მიხედვით მისგან გამოწვეული შედეგიც არაერთგვაროვანი იყო. რკინიგზამ მეტ-ნაკლებად ავნო, ან დაეხმარა საქართველოს ქალაქებს, რაც ამ უკანასკნელთა დაქვეითება-დაცემა ან ზრდა-განვითარებაში გამოიხატა.

დასავლეთ საქართველოს ძველი და მსხვილი ქალაქებიდან ამიერკავკასიის სარკინიგზო მშენებლობასთან დაკავშირებით ყველაზე მეტად საგუბერნიო ქალაქი ქუთაისი დაზარალდა.

ფოთი—თბილისის რკინიგზის ხაზი საგუბერნიო ქალაქ ქუთაისს 8 კმ მანძილზე ასცდა, რამაც პირველ რიგში მის შემდგომ ეკონომიკურ-კულტურული ცხოვრების ზრდა-განვითარებაზე მოახდინა გავლენა. კავკასიის მეფის ნაცვალი მიხეილ ნიკოლოზის ძე თავის ანგარიშში 1864 წელს აღნიშნავდა, რომ ფოთი-თბილისის რკინიგზის დამთავრების შემდეგ, რომელიც ქალაქიდან რვა ვერსზე გადის, ქუთაისს, ალბათ, სამრეწველო და სავაჭრო დაქვეითება ემუქრებაო[1]. 1871 წელს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი თავის ანგარიშში აღნიშნავდა, რომ ქუთაისის გუბერნიის მრეწველობაზე და ვაჭრობაზე რკინიგზის გავლენის შესახებ გზის სიმოკლის გამო შეუძლებელია სწორი დასკვნის გაკეთება, მაგრამ ქუთაისზე კი მან უარყოფითი გავლენა მოახდინაო[2].

ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ნ. ნიკოლაძემ 1871 წ. 31 ივლისს გაზეთ „დროებაში“ გამოაქვეყნა სტატია, რომელიც ფოთი—ყვირილის რკინიგზის ხაზის გახსნას მიუძღვნა. იგი მკითხველებს აუწყებდა, რომ 12 აგვისტოს გაიხსნებოდა რკინიგზის ხაზი ფოთსა და ყვირილას შორს. ამასთან ნ. ნიკოლაძე, აღნიშნავდა, რომ ფოთიდან ქუთაისამდე[3] რამდენიმე სადგური იქნებოდა: ჭალადიდი, ახალი სენაკი, კულაში[4]. ნ. ნიკოლაძის აზრით, ამ სადგურებიდან კარგი მომავალი ელოდა ახალ-სენაკს, კულაშს (სამტრედია) ქუთაისს (რიონი) და ყვირილას. ნ. ნიკოლაძე აღნიშნავდა, რომ ქვეყნის ამ ნაწილში გვხვდება დიდი, მჭიდროდ დასახლებული ხეობები და სოფლები, რომელთათვის ზემოხსენებული სადგურები ცალ-ცალკე ცენტრებად შეიქმნებიანო[5]. ქუთაისის შესახებ იგი წერდა, რომ მისი მნიშვნელობა მომავალში დაეცემა და შესაძლებელია ერთი ცენტრის მაგივრად მრავალი წვრილი სავაჭრო-სამრეწველო პუნქტი წარმოიქმნესო. ფოთი—თბილისის რკინიგზის გაყვანის ერთი წლის შემდეგ, 1873 წელს კი ნ. ნიკოლაძე წერდა: „ქალაქ ქუთაისის მოსახლეობა ყოველდღიურად სულ უფრო ხმამაღლა აცხადებს საჩივარს ვაჭრობისა და ამ ქალაქის ეკონომიური მნიშვნელობის არაჩვეულებრივი დაქვეითების გამო რკინიგზის გახსნით, რომელმაც ქალაქს 7,5 ვესრით აუარა გვერდი. ქუთაისმა თანდათან დაიწყო დაცარიელება და უმთავრესი სავაჭრო და სამრეწველო ქალაქი დაეშვა მესამე ხარისხოვანი ადმინისტრაციული ცენტრის დონემდე. სახლები სანახევროდ დაცარიელდა, შენობების ფასებმა ორჯერ და სამჯერ დაიწია, მაღაზიები უიმედოდ ელოდებიან ნისიად მყიდველებს და მთელი ქალაქის ცხოვრება ტრიალებს სასამართლო და საპოლიციო სამმართველოების

[1] «Кавказский календарь», 1864, გვ. 170.
[2] სცსია, ფ. 17, ს. 8920, 1871 წ. ფურც. 8.
[3] „ქუთაისის“ ქვეშ აქ იგულისხმება სადგური რიონი.
[4] იგულისხმება სადგური სამტრედია.
[5] „დროება“, 1871, № 31.

ან მრავალრიცხოვანი აუქციონების ირგვლივ, რომელზეც ნაყარ-ნუყარი და გამოუსწორებელი მევალეების, რომელთა რაოდენობა აურაცხელია, — ქონება იყიდება"[6]. „რკინიგზის გაყვანა, — წერდა ნ. ნიკოლაძე, — ყოველ შემთხვევაში შეამცირებდა ქუთაისის სავაჭრო-სამრეწველო მნიშვნელობას, თუნდაც იმ ერთი პირობის გამო, რომ გაზრდიდა ისეთი ადგილების მნიშვნელობას, როგორიცაა ყვირილა, სამტრედია და სხვ. ადრინდელი ერთი ცენტრის — ქუთაისის მაგიერ აუცილებლად უნდა აღმოცენებულიყო რამდენიმე წვრილი ცენტრი"[7].

1882 წელს გაზეთი „შრომა" წერდა: „სანამ თბილისიდან ფოთამდე რკინიგზა გაიმართებოდა მთელი კავკასიის აქეთი მხარის ვაჭრობის საქარავნო გზა ქუთაისზე გამოდიოდა: მგზავრები, ვაჭრები, ჩალვადრები, მეფურგონეები, თავიანთის ცხენებით, განჯელები, ერევნელები და უფრო შორიდან მოსული თათრები თავიანთის აქლემებით ასობით და ათასობით მგზავრი ბინაობდნენ ქუთაისში, დღითი-დღე მატულობდა მათი ამ გზაზე მოძრაობა და ამათგან ქუთაისის სარგებლობაც, მაგრამ რკინიგზის აცილებამ ქალაქს სერიოზული ზიანი მიაყენაო[8].

უფრო გვიან ქუთაისის ქალაქის თავი ლუარსაბ ლოლუა თავის ერთ-ერთ მოხსენებით ბარათში წერდა, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის გაყვანის დროს ამიერკავკასიის უძველესი და უმნიშვნელოვანესი ქალაქის ქუთაისის ინტერესები კერძო ინტერესებს (მხედველობაშია მიღებული ტყის მრეწველ ანანოვისა და მირსკის საქმიანობა) შეეწირა და ამ ისტორიულმა უსამართლობამ ქუთაისის ზრდას უდიდესი ზიანი მიაყენაო[9].

ქალაქის საზოგადოების ძირითადმა ნაწილმა, ქალაქის ეკონომიკურ ცხოვრებაში ჩაბმულმა და მასთან დაკავშირებულმა მწარმოებელმა მოსახლეობამ იმთავითვე იგრძნო ის სავალალო შედეგი, რაც უნდა მოჰყოლოდა ქალაქ ქუთაისის ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი ხაზის გარეშე დატოვებას. ამიტომ იყო, რომ ამ დაშვებული უსამართლობის გამოსწორებისათვის ბრძოლა დღის წესრიგიდან არასოდეს არ მოხსნილა.

ამიერკავკასიის რკინიგზამ სხვა ქალაქთა შორის არსებული თანაფარდობაც შეცვალა. მან ზოგიერთ მათგანის დაცემას, ხოლო ზოგიერთის აღმავლობას შეუწყო ხელი. ქუთაისის შემდეგ ძველი ქალაქებიდან დაცემა-აღმავლობა ფოთი—თბილისის რკინიგზის გაყვანის შემდეგ, ფოთმა და ბათუმმაც განიცადეს. რკინიგზამ შეცვალა მათი წინანდელი თანაფარდობა და განვითარების ტემპი.

XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან მდ. რიონზე ნაოსნობის გაჩაღებამ ქ. ფოთის ნავსადგურის მშენებლობა მოითხოვა. ქ. ფოთი რუსეთის ბურჟუაზიის ინტერესთა ყურადღების ცენტრში მოხვდა, რადგან რედუტ-კალემ, როგორც სავაჭრო ქალაქმა ყირიმის ომის შემდგომ დაკარგა თავისი მნიშვნელობა, იგი ისე დაზიანდა ომის დროს, რომ როგორც ნავსადგური მწყობრიდან გამოვიდა[10].

---

[6] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, თხზულებანი, I, თბ., გვ. 559.

[7] იქვე, გვ. 560.

[8] გაზ. „შრომა", 1882, 21 ივლისი.

[9] სცსია, ქუთაისის ფილიალი, ფ. 108, ს. 2372, ფურც. 24.

[10] ვ. ნ ი კ ო ლ ე ი შ ვ ი ლ ი, სამტრედიის ისტორიიდან, თბ., გვ. 22.

ქალაქ რედუტ-კალეს დაცემისა და ქ. ფოთის აღორძინების შესახებ გაზეთი „ივერია“ იუწყებოდა, რომ „სწორედ სამწუხარო სანახავია ჩვენი ქალაქი (ლაპარაკია რედუტ-კალეზე — **მ. ნ.**), იმისათვის, ვისაც იგი ამ ოცდახუთი წლის წინად უნახავს. იმ დროს როცა მდ. ხობის ნაპირზე გამწკრივებული იყო მშვენიერი დუქნები და ვაჭრობა და აღებ-მიცემობა დუღდა. მას შემდეგ, რაც ეს ქალაქი გადაიწვა, ბედმაც უმუხთლა და ბურთი და მოედანი ფოთს დარჩა“[11].

მართალია, გაზეთი პოეტურ ფორმებში გადმოგვცემს რედუტ-კალესა და ფოთის დამოკიდებულებას, მაგრამ აქ საკითხი სწორედ არის დასმული.

XIX ს-ის პირველ ნახევარში ქ. ყულევი შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე საქართველოს ერთადერთ კარს წარმოადგენდა. მთელი აღებ-მიცემობა მაშინ იქ ტრიალებდა და შემდეგ აქედან წვდებოდა კასპიის ზღვისპირა ქვეყნებს. მაგრამ ყირიმის ომმა ყულევს სასიკვდილო ლახვარი ჩასცა, მან თანდათან იწყო დაქვეითება[12]. ყულევის დაქვეითება აშკარა შეიქმნა მას შემდეგ, როდესაც ფოთმა დაიწყო აღორძინება. ეს უკანასკნელი ყულევის სერიოზული კონკურენტი შეიქმნა. ყულევი ცარიელდება, ინგრევა. ფოთი სახლდება, შენდება. ამ დროიდან ყულევმა ორჯერ მძიმედ განიცადა ფოთის დარტყმა, რამაც ქალაქის ზრდას ფრთები შეუკვეცა. ეს პროცესი 1858 წლიდან დაიწყო, როდესაც ფოთი ქალაქად აკურთხეს და დაიწყო მდინარე რიონზე ფოთიდან ორპირამდე რუსეთისა და უცხოეთის სავაჭრო გემების მიმოსვლა. 1872 წლიდან, როდესაც გაიხსნა ფოთი—თბილისის რკინიგზა, ფოთის აღმავლობა და ყულევის დაცემა კიდევ უფრო ცხადი გახდა.

ბუნებრივია ფოთი—თბილისის რკინიგზის ხაზის გაყვანამ ფოთის მდგომარეობა საგრძნობლად შეცვალა. იგი იყო ერთადერთი საზღვაო ქალაქი ამიერკავკასიისა, რომლითაც ეს უკანასკნელი, რუსეთისა და უცხოეთის სახელმწიფოებს უკავშირდებოდა. მაგრამ შავ ზღვაზე ფოთის პრიორიტეტი დიდხანს არ გაგრძელებულა. მალე მასაც გაუჩნდა მეტოქე. 1878 წელს საქართველოს ბათუმი შემოუერთდა, და ამ ახლად შემოერთებულმა ქალაქმა მაშინვე მიიპყრო ყურადღება, იწყება ბათუმის გაძლიერება, რამაც ბუნებრივია, ფოთის მნიშვნელობის შემცირება გამოიწვია. მაგრამ ეს პროცესი უფრო საგრძნობი გახდა 1883 წლიდან, როდესაც ბათუმი რკინიგზით დაუკავშირდა ფოთი—თბილისის რკინიგზის მაგისტრალს. 1884 წლის 22 მარტს ფოთის ქალაქის თავი ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს სწერდა: ამიერკავკასიის რკინიგზის ბათუმ—სამტრედიის უბნის გახსნის შემდეგ სავაჭრო საქონლის გაგზავნა და მგზავრთა მოძრაობა ფოთის მიმართულებით, რომელიც ამ უკანასკნელში აცოცხლებდა შინავაჭრობას და მას უდიდეს მოგებას აძლევდა, ბათუმში იქნა გადატანილი. ამის შედეგად ადგილობრივ მცხოვრებთა შრომითი გამომუშავება საგრძნობლად დაეცა. სატრანზიტო მოძრაობის შეწყვეტამ ფოთის მნიშვნელობა, როგორც სავაჭრო-საზღვაო ქალაქისა, საგრძნობლად შეამცირა. ამასთან დაკავშირებით სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებანი და ყველა სახის საწარმოები თანდათან მცირდება[13]. 1883 წელს ოქტომბერში ფოთში გაჩნდა ხანძარი, რამაც ქალაქს დიდი ზარალი მიაყენა. დაიწვა 100-ზე მეტი სახლი, სავაჭრო დუქნები, საქონლის საწყობები. ქალაქის ზარალმა 300 ათასი მანეთი შეადგინა[14].

---

[11] „ივერია“, 1889, № 197.

[12] იქვე, 1890, № 97.

[13] საქ. სსრ ცსია, ფ. 12, აღწ. 7. ს. 330, ფურც. 5.

[14] იქვე, ფურც. 6.

ამ სტიქიურმა უბედურებამაც ქალაქის ეკონომიკურ მდგომარეობაზე დიდი გავლენა მოახდინა. მოიკლო შემოსავალმა, ქალაქის გამგეობის ღონისძიება, დაეფარა გასული წლების ნარჩენი გადასახადები, უშედეგო აღმოჩნდა, განსაკუთრებით დაზარალდა ქალაქი[15] შეფასებითი გადასახადების შემცირებით.

გაზეთი ივერია აღნიშნავდა, რომ ნავსადგურის აშენების შედეგად ფოთი საუკეთესო ქალაქად გადაიქცა, მაგრამ ბათუმის შემოერთების შემდეგ მან დაცარიელება დაიწყო. ხალხმა სამტრედიას მიაშურა და სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობაც იქ გაჩაღდა. ამდენად ბათუმის განთავისუფლებამ და ამიერკავკასიის რკინიგზასთან შეერთებამ ფოთს დიდი ზარალი მიაყენა. ფოთიდან სიმძიმის ცენტრმა ბათუმში გადაინაცვლა. ფოთში სავაჭრო შენობების ერთი ნაწილი დაცარიელდა, სანაპირო დაბა დაინგრა. „ყულევი ფოთმა დაამარცხა, სოხუმი ომმა დაანგრია, ხოლო ფოთს ბათუმი ღუპავსო“ — წერდა „ივერია“ 1883 წელს[16]. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი თავის მოხსენებაში ქ. ფოთის ასეთ მდგომარეობას ნავსადგურის გაჭიანურებულ მშენებლობასა და ბათუმის სწრაფ ზრდას უკავშირებდა[17].

სამტრედია—ბათუმის რკინიგზის ხაზის გახსნის დღიდან მგზავრთა და საქონელთა მოძრაობა, რომელსაც ფოთისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, უმეტესწილად ბათუმში გადავიდა, უცხოეთის საქონლის სპარსეთში ამიერკავკასიის გავლით გატარების გაუქმებამ ფოთის სავაჭრო მნიშვნელობა ძალზე შეამცირა. ამას შედეგად მოჰყვა რამდენიმე სატრანსპორტო და საკომისიო კანტორის დაკეტვა. ყველა ოპერაცია ბათუმში გადაიტანეს. ბათუმშივე გადაიტანა თავისი მოღვაწეობა ვაჭრობისა და ნაოსნობის რუსული საზოგადოების ფოთის სააგენტომ. ფოთში დარჩა მომსახურეთა მცირე ნაწილი, მუშათა მასა მნიშვნელოვანწილად ვერ პოულობდა სამუშაოს და ამიტომ მიატოვა იგი. სავაჭროები, სასტუმროები და სახლები დღითი-დღე კლებულობდა[18]. 80-იანი წლების დასაწყისში ბათუმ—სამტრედიის რკინიგზის ხაზის გაყვანის შემდეგ ქ. ფოთის მოსალოდნელი დაქვეითების შესაძლებლობას არ იზიარებდა გაზეთ „დროების“ ადგილობრივი კორესპონდენტი[19]. მისი აზრით, ბათუმის რკინიგზის გახსნაზე არ არის დამოკიდებული ქ. ფოთის დაქვეითება-დაწინაურება. ეს უკანასკნელი დამოკიდებულია სამეგრელოდან და სანახევროდ გურიიდან საზღვარგარეთ საქონლის გაგზავნაზე, რადგან ამ მხარეებიდან საქონლის გაგზავნა საზღვარგარეთ მოსახერხებელი და ხელსაყრელია მხოლოდ ფოთის გზით, ბათუმის გზის გამოყენება მათთვის ეკონომიკური თვალსაზრისით წამგებიანი იქნებაო[20]. ეს წერილი იმ წელს არის დაწერილი, როდესაც იხსნებოდა ბათუმის რკინიგზის ხაზი და ამიტომ შესაძლებელია ზემოხსენებული წერილის ავტორს ვერ განესაზღვრა ქ. ფოთის მომავალი ბედი. ფოთი საზღვაო ქალაქი იყო და მისი წარმატება მარტო ადგილობრივი მხარის სასოფლო-სამეურნეო ნაწარმის ექსპორტზე როდი იყო დამოკიდებული. მოცემულ მომენტში ამიერკავკასიის მთელი ტერიტორია რკინიგზის მაგისტრალით უკავშირდებოდა გარესამყაროს და, რა თქმა უნდა, ხულ ერთი არ იქნებოდა ეს დაკავ-

[15] საქ. სსრ ცსია, ფ. 12, აღწ. 7, ს. 330, ფურც. 8.

[16] „ივერია“, 1883, № 23.

[17] საქ ცსია, ქუთაისის ფილიალი, ფ. 120, ს. 24, ფურც. 15.

[18] იქვე, ს. 24, ფურც. 17.

[19] გაზ. „დროება“, 1883, № 153.

[20] იქვე.

შირება ერთი საზღვაო ქალაქით განხორციელდებოდა, თუ ორით. ქ. ფოთს, რომ 80-იან წლებიდან ქ. ბათუმი არ შეშველებოდა და ის მარტო დარჩენილიყო ამიერკავკასიის მაგისტრალზე, უდავოა XIX ს-ის მეორე ნახევარში ფოთის სახით საქმე გვექნებოდა შავი ზღვის ერთ-ერთ მსხვილ საზღვაო ქალაქთან. მაგრამ ბათუმმა მას ბევრი რამ დააკლო.

ფოთის საქალაქო მეურნეობის ზრდა შენელდა. ფოთის მნიშვნელობა თანდათან ეცემოდა, ხოლო ბათუმი სწრაფად იზრდებოდა. მისი სერიოზული კონკურენტი ხდებოდა. ოფიციალური დოკუმენტებიდან ცხადი ხდება, რომ 80-იანი წლების დასაწყისში ბათუმ—სამტრედიის რკინიგზის გახსნის შემდეგ ფოთი დაღუპვის პირას იმყოფებოდა[21].

ამგვარად, 80-იან წლებიდან, ბათუმის ამიერკავკასიის რკინიგზასთან შეერთების შემდეგ, ფოთი საგრძნობლად დაეცა, ბათუმის სახით მას სერიოზული კონკურენტი გაუჩნდა. მართალია, ქალაქის გამგეობა საჭირო ზომებს ღებულობდა მდგომარეობის გამოსასწორებლად, მაგრამ მას არსებითი სარგებლობა არ მოუტანია ფოთისათვის. სამაგიეროდ ბათუმი იწყებს ზრდა-განვითარებას, რასაც ფოთი კარგავდა, მას ბათუმი იძენდა. იზრდებოდა მისი როლი ადგილობრივ და საგარეო ვაჭრობაში, საქალაქო ეკონომიკურ ცხოვრებასა და საზოგადოებრივ ურთიერთობაში. თუ ფოთმა მაინც შეძლო არსებობა და ქალაქობის შენარჩუნება, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ ხაზზე იმყოფებოდა და სატრანსპორტო და სამიმოსვლო ურთიერთობიდან მთლიანად გამოთიშული არ ყოფილა. მისი ხვედრითი წონა საგარეო ვაჭრობაში, მართალია, შემცირებული იყო, მაგრამ რაც არსებობდა, ისიც კმაროდა საქალაქო ცხოვრების შენარჩუნებისა და შედარებითი ზრდისათვის.

მაშასადამე, ფოთის საქალაქო ცხოვრებას არ ჰქონდა წართმეული ძირითადი საყრდენები, მისი ხელისშემშლელი პირობები არ აღმოჩნდა იმ დონეზე, რომ ფოთში საქალაქო მეურნეობა მოშლილიყო, როგორც ეს გამოუვიდათ შავი ზღვისპირა და დასავლეთ საქართველოს სხვა ადრინდელ ქალაქებს.

რა თქმა უნდა, ერთი და იმავე მიზეზის შედეგი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორია ის პირობები, რომელშიც იგი ხვდება. ამიერკავკასიის რკინიგზის გაყვანის შემდეგ რკინიგზების გასწვრივ ახალი ქალაქები წარმოიქმნა, მაგრამ მეორე მხრივ ის ქალაქები, რომლებსაც რკინიგზამ გვერდი აუარა ქვეითდებიან, ეცემიან. ზოგმა მთლიანად შეწყვიტა არსებობა. ამ უკანასკნელთა ნაცვლად ახალ ქალაქებს ეყრებათ საფუძველი. ორპირის ნაცვლად სამტრედია წარმოიქმნა, ძველი სენაკის მაგიერად ახალი სენაკი, ყულევის დანგრევის შემდეგ. ფოთმა დაიწყო ხელახლა გამოცოცხლება, წევას ნაცვლად ყვირილა აღმოცენდა და ა. შ. ძველი ქალაქების მოშლა და ახალი ქალაქების აღმოცენება დამახასიათებელ მოვლენად იქცევა დასავლეთ საქართველოში ფოთი — თბილისის რკინიგზის გაყვანის შემდეგ, მაგრამ ამ მოვლენას უმთავრესად დაბები და მცირე სიდიდის ქალაქები ემორჩილებიან, რაც შეეხება დიდ ქალაქებს მათი შემდგომი მსვლელობისათვის სხვა პროცესი დაისახა, კერძოდ, მეტოქეობა აქ არ მისულა იმ ზომამდე, რომ მათ არსებობა შეეწყვიტათ და ადგილი დაეთმოთ სრულიად ახალი ქალაქისათვის. ავიღოთ თუნდაც საგუბერნიო ქალაქი ქუთაისი. რკინიგზის მთავარი ხაზის აცდენამ, მართალია, ქალაქი საგრძნობლად დააზარალა, მაგრამ მისი ზრდა ვერ შეაჩერა. ფოთი—თბილისის რკინიგზის გაყვანის შემდეგ ქუთაისი ნელა, მაგრამ მაინც იზრდებოდა, და

[21] საქ. ცსია, ქუთაისის ფილიალი, ფ. 190 ს. 24, ფურც. 9.

ამავე მიზეზით არ შეიქმნა აუცილებლობა მისი შემცვლელი ქალაქი წარმოქმნილიყო რკინიგზის ხაზზე, ან მის ახლოს სხვა ადგილზე, რომელიც პირდაპირ მეტოქეობას გაუწევდა მას საქალაქო მეურნეობის ყველა სფეროში. ასეთი ქალაქი არ წარმოქმნილა. მართლაც, ძალზე ძნელი იყო სამტრედიასა და ყვირილას შორის რკინიგზის ხაზზე რომელიმე პუნქტში ახალი ქალაქი წარმოქმნილიყო, რომელიც ქუთაისს მეტოქეობას გაუწევდა. საქმეს ვერ უშველა ვერც იმან, რომ სადგურ რიონს თავდაპირველად „ქუთაისი" დაარქვეს. თუ ყვირილასა და სამტრედიას შორის არც ერთ პუნქტში საქალაქო ცხოვრებას არ ჩაეყარა საფუძველი ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზზე, ამის მიზეზი ის არის, რომ ქუთაისი დასავლეთ საქართველოში დიდ ქალაქს წარმოადგენდა, კიდევ მეტი, იგი დასავლეთ საქართველოს საგუბერნიო ცენტრად ითვლებოდა და ეს აძლევდა მას საშუალებას მუდმივი ურთიერთობა ჰქონოდა დასავლეთ საქართველოს სხვა ქალაქებთან და დაბა-სოფლებთან, რკინიგზას არ შეეძლო ასეთი ქალაქი სხვა ადგილზე „გადაენაცვლებინა". რა თქმა უნდა, გარკვეული როლი ამაში ითამაშა იმანაც, რომ ქუთაისი ამიერკავკასიის რკინიგზას მალე დაუკავშირდა ცალკე ტოტით.

ყვირილასა და სამტრედიას შორის ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზზე 6 სადგურია და მთელი 100 წლის განმავლობაში ვერც ერთმა ვერ შეძლო რკინიგზის მგზავრთა უბრალო მოსაცდელ პუნქტს გასცდენოდა.

ფოთი—თბილისის რკინიგზის ხაზის გაყვანამდე ორპირი წარმოადგენდა მდინარე რიონზე დასავლეთ საქართველოში უმთავრეს სავაჭრო პუნქტს. აქ მოდიოდნენ და გაივლიდნენ ვაჭრები ყოველი მხრიდან, რასაც ორპირის შარა, „დიდი შარა" ხელს უწყობდა[22]. კარგი გზის საშუალებით ვაჭრები ყოველი მხრიდან ჩამოდიოდნენ ორპირში. 1872 წელს გაზეთი „კავკაზი" ორპირის შესახებ წერდა: „ფოთი—თბილისის რკინიგზის გახსნამდე ორპირი წარმოადგენდა საკმაოდ გაცხოველებულ დაბას: სტვენით სერავდნენ მდ. რიონს ორთქლის გემები, ჰქექნენ ომნიბუსები, ყღარუნით ჩადიოდნენ ქალაქში საფოსტო ეტლები, შეუწყვეტლივ წკრიალებდა მათი ზარები. ყოველდღიურად ღებულობდა დაბა ასობით მგზავრს. დაბაში გაჩაღებული ვაჭრობა აქაურ მედუქნეებს დიდ შემოსავალს აძლევდა[23]. იგივე გაზეთი 1875 წელს წერდა: ორპირის სახმელეთო გზა იწყებოდა დუქნებით, რომელთაც მიყვებოდა სასურსათო მაღაზიები, სასტუმროები, საფოსტო სადგური, ტელეგრაფი, სკოპტების სახლები, სურსათის დუქნები, არსენალი. ქუთაისიდან გზატკეცილით დადიან დილიჟენები, ხოლო ფოთიდან გემებიო[24]. ფოთი—თბილისის რკინიგზის გაყვანამ სერიოზული გავლენა მოახდინა ორპირზე. მან დაკარგა თავისი პირვანდელი დანიშნულება, დაცარიელდა და მისი შენობები ბაზართან ერთად დაინგრა. რკინიგზის მშენებლობის დროს ორპირმა დიდი როლი შეასრულა. აქ ხდებოდა რკინიგზის სამშენებლო იარაღების გადმოტვირთვა. მაგრამ სწორედ ამ რკინიგზამ შეარყია მისი ძლიერება და ბოლოს სულ დაუძლურებამდე მიიყვანა.

---

[22] ორპირის შარა დასავლეთ საქართველოში ცენტრალურ საგზაო მაგისტრალს წარმოადგენდა: იგი ქ. ქუთაისის ცენტრში გაივლიდა, გადაჭრიდა მდ. რიონს ნიკოლოზის სახელობის ხიდით (ახლანდელი თეთრი ხიდი) და ორპირის ქუჩით (ახლანდელი რუსთაველისა და გრიშაშვილის ქუჩები) მიემართებოდა დასავლეთისაკენ, სამტრედიაში იგი სამხრეთის მხრიდან ჩაუვლიდა ქალაქს, აგრეთვე ორპირის სახელობის ქუჩით (ახლანდელი კიროვის ქუჩა) და ასე ჩადიოდა ქ. ორპირში.

[23] «Кавказ», 1878, № 143.

[24] იქვე, 1875, № 5.

ახალი ცხოვრების ტალღებმა ორპირს დაუნგრია დუქნები, ქუჩები და მიდამოები. ამ მდგომარეობას ზედ დაერთო სტიქიური უბედურება; რიონმა ორპირელებს წაართვა ის ადგილები, რომელზეც გაშენებული იყო საბაზრო და სავაჭრო ნაგებობანი. ამ მდგომარეობამ ორპირელი ვაჭრები მწარედ ჩააფიქრა. რადგან ერთ დროს დასავლეთ საქართველოში სახელგანთქმული ქალაქი ახლა დაღუპვის პირას იყოს მისული, მას არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა ახალი ცხოვრების ის მოთხოვნა, რომელიც მოიტანა ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარებამ. რკინიგზამ ძლიერი კონკურენტი გაუჩინა ორპირს, ეს იყო დაბა სამტრედია, რომელიც ორპირიდან ჩრდილოეთით 6 კმ დაშორებით დგამდა პირველ ნაბიჯებს. ორპირელებმა მდინარე რიონის მიერ წართმეული სავაჭრო ადგილების ნაცვლად დაიწყეს სამაგიერო ადგილების შერჩევა, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. სავაჭრო დუქნებისა და საქონლის გადატანა ასეთ არასაიმედო და უპერსპექტივო ადგილზე ძალზე ძნელი იყო და ამიტომ ორპირელები სამტრედიელ მოვაჭრეთა ჯგუფს შეუერთდნენ. მდგომარეობა კიდევ უფრო დაძაბული აღმოჩნდა 1883 წლის შემდეგ, როცა გაყვანილ იქნა სამტრედია—ბათუმის რკინიგზის ხაზი და სადგური სამტრედია ამიერკავკასიის რკინიგზის საკვანძო ცენტრი გახდა. სამტრედიამ ბოლო მოუღო ორპირს, სავაჭრო და სამიმოსვლო ქალაქს მდ. რიონზე.

ანალოგიური ურთიერთობა დამყარდა ძველ სენაკსა და ახალ სენაკს შორის. ამიერკავკასიის რკინიგზის გაყვანამდე სენაკის მაზრის ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ცენტრს ძველი სენაკი წარმოადგენდა. იქ იყო ყველა სამაზრო დაწესებულებანი, სამრეწველო და სავაჭრო საწარმოები, ბაზარში მწკრივად განლაგებული სამოქალაქო ნაგებობანი და კერძო მობინადრეთა შენობები. წელიწადში 3—4-ჯერ იმართებოდა დაბა ძველ სენაკში „იარმუკობა“, რომელიც სიცოცხლეს მატებდა სამეგრელოს ამ ერთ-ერთ მნიშვნელოვან მხარეს.

მაგრამ რკინიგზის გაყვანამ სასიკვდილო ლახვარი ჩასცა მას. რკინიგზის ხაზმა ძველ სენაკს გვერდი აუარა და ახალი სადგური რკინიგზის ხაზზე წარმოიქმნა, ახალი სენაკის სახელწოდებით. რკინიგზის სადგურთან სწრაფად დაიწყო დაჯგუფება ახალმა მწარმოებელმა ძალამ, გაჩნდა პირველი შენობები, დაწესებულებანი, მოვაჭრეები და მესარეწეები. ძველ სენაკს ხალხმა ზურგი შეაქცია. თანდათანობით ყურადღების ცენტრში ახალი სენაკი მოექცა. ყველა ის დაწესებულება, რომელიც ძველ სენაკში მოქმედებდა, თანდათან ახალ სენაკში გადავიდა. გაზეთი კვალი, როგორც ჩანს, ყველაზე ნათლად ხედავდა ამ ცვლილებას და ამიტომაც არის, რომ მის ფურცლებზე ეხვდებით ამ ვითარების აღმნუსხველ წერილებს: „ეს სოფელი (ლაპარაკია ძველ სენაკზე. — **მ. ნ.**) ერთ დროს ლაღი და ამაყი, — ვკითხულობთ გაზ. „კვალში“, — დღეს საცოდავად მობუზულია და შურის თვალით გაჰყურებს ახალ სენაკს, თავის მოსისხლე მტერს. დიახაც, რომ საამაყო ჰქონდა ძველ სენაკს. ამ თხუთმეტი თუ ოცი წლის წინად აქ იყო ყველა ის დაწესებულება, რაც დღეს ახალ სენაკს ამშვენებს: სამაზრო მმართველობა, მომრიგებელი სამსჯავრო და სხვ. ეს იყო ახლომახლო სოფლების სავაჭრო ადგილი. ეს იყო ცენტრი ქონებრივი და გონებრივი მოძრაობისა. ერთი სიტყვით ძველი სენაკი თვალსაჩინო როლს თამაშობდა მთელი სენაკის მაზრის ეკონომიკურ და გონებრივ ცხოვრებაში. მაგრამ დახე დროთა უკუღმართობას, რაღაცა მანქანებით უცბად მაღაზიები და დუქნები ნახევარზე მეტი მიიკეტა, დაწესებულებები ახალ სენაკში გადავიდა.

გამოყრუვდა ძველი სენაკი. დღეს იგი ღირსებაჩამოხდილ თავადს წააგავს. რამ მოახდინა ეს სასწაული? სულ ცოტა რამემ, რკინიგზის ხაზმა. ძველი სენაკის უკუმსვლელობის ისტორია ახალ სენაკი რკინიგზის გავლის შემდეგ იწყება. ასეთია ტენდენცია კაპიტალისა"[25]. დამახასიათებელია აგრეთვე, გაზეთ „ივერიის" ერთი ცნობა: „ორპირად ჩამწკრივებული და მიგრეხილ-მოგრეხილი და ხავსმოკიდებული ფიცრული დუქნები, ყველა იმის მოწამეა, რომ ერთხელ აქაც პატარა „სიცოცხლე დუღდა", მერე ვისი ბრალია ძველი სენაკის ასე დაქვეითება? „ვისი და ახალი სენაკის, — პასუხობს გაზეთი, — რომელიც ბუნებისაგან მეტად არაფრით არის დაჯილდოებული, მაგრამ, რადგანაც რკინიგზის ლიანდაგს აეტუზა, ისე გაიზარდა, რომ უფროსების პატივისცემაც კი დაკარგა. მან ბევრი დაიბრიყვა და ყველა დაწესებულება თავისკენ მიიზიდა"[26]. ჩვენ საგანგებოდ ამოვწერეთ ეს ცნობები ხსენებული გაზეთებიდან, რადგან ისინი ნათლად გადმოგვცემენ საერთო დამახასიათებელ მოვლენას, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში XIX ს-ის მეორე ნახევარში ძველ და ახლად წარმოქმნილ ქალაქებს შორის. წერილებში მკაფიოდ ჩანს, თუ როგორ უთმობდნენ ასპარეზს საქართველოში ერთ დროს ცნობილი და საკმაოდ ძლიერი ქალაქები XIX ს-ის 70-იანი წლებიდან ახლად წარმოქმნილ დაბა-ქალაქებს.

ამიერკავკასიის რკინიგზის გაყვანის შემდეგ ზემო იმერეთში გაჩაღდა მეტოქეობა ძველ და ახლად წარმოქმნილ დაბებს შორის.

XIX ს-ის 70-იან წლებამდე ზემო იმერეთში დაბა წევა მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. იგი გაშენებული იყო დაბა ყვირილას აღმოსავლეთით 16—17 კმ დაშორებით. წევა ტიპიურ სავაჭრო-სამრეწველო დაბა-ქალაქად ითვლებოდა აღნიშნულ პერიოდში. დაბაში ათეულობით სავაჭრო დუქნები და სახელოსნოები იყო გამართული. აქ დიდი რაოდენობით იყიდებოდა ქსოვილები და ხელოსნობის სხვადასხვა ნაწარმი. გადმოგვცემენ, რომ წევაში ძირითადად გაჩეჩილაძეები ეწეოდნენ ვაჭრობას. წევაში ამასთან ერთად 40-მდე ხის კარავი იყო გაშენებული, რომლებშიც „იარმუკობა" იმართებოდა. XIX საუკუნეში მთელ ზემო იმერეთში განთქმული იყო „იარმუკობა" წევაში. ეს უკანასკნელი სამ დღეს გრძელდებოდა 15-დან 17 ივლისამდე. „იარმუკობის" დროს აქ დილიდან საღამომდე არ წყდებოდა ვაჭრობა, იყიდებოდა საფეიქრო მრეწველობისა და ხელოსნობის ნაწარმი. აქ მოდიოდნენ ვაჭრები შორეული ქალაქებიდანაც — ქუთაისიდან, ბათუმიდან, თბილისიდან, გორიდან და სხვ. მყიდველთა ძირითად მასას ზემო იმერეთის მოსახლეობა შეადგენდა[27]. წევას მთელ ზემო იმერეთში სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობის მიხედვით პირველი ადგილი ეჭირა. წეველი ვაჭრები საზღვარგარეთაც თავისუფლად დადიოდნენ, მაგრამ ამ ყოფაში იყო წევა, სანამ ფოთი—თბილისის რკინიგზას გაიყვანდნენ. წევას რკინიგზის ხაზი ააცილეს, რასაც შედეგად მოჰყვა მისი თანდათანობითი დაქვეითება. წეველი ვაჭრები და ხელოსნები იძულებული გახდნენ მიეტოვებინათ დაბა წევა და ყვირილაში გადასულიყვნენ, რომელიც ფოთი—თბილისის რკინიგზის გაყვანის შემდეგ იწყებს წარმოქმნას. დაბა წევას დაქვეითების შემდეგ დაბა ყვირილის გაჩენასა და მის დაწინაურებას, რომელიც რკინიგზის გაყვანის შემდეგ მოხდა, ზეპირსიტყვიერი გადმოცემებიც ადასტურებენ. ქ. ზესტაფონის მცხოვრებმა (ჯაფარიძის ქ. № 20) ისიდორე მი-

[25] „ქვალი", 1898, № 43, გვ. 708—709.
[26] „ივერია", 1898. № 219.
[27] „დროება", 1873, № 38.

ხელის ძე გოცაძემ (დაბად. 1880 წ) გვიამბო, რომ ზესტაფონში პატარა წერტი იყო ხელოსნების, ვაჭრებისა და ავეჯის მკეთებლების, მას სახელად ყვირილა ერქვა. ზესტაფონი მას ადრეც რქმევია, იმიტომ რომ მდინარე ყვირილაზე ამ ადგილზე უკანასკნელი, ზედა ფონი ყოფილაო. თავდაპირველად ხალხი თავს იყრიდა ახლანდელი თეატრის ახლოს მოედანზეო. მის პირდაპირ მდ. ყვირილაში გადასასვლელი იყო. ზესტაფონის ჩრდილოეთით არის სოფ. საქარა, სამხრეთით ტევრი, რომელსაც ამჟამად კვალითი ეწოდება. მოსახლეობა ორივე სოფლიდან თანდათან სახლდება მდ. ყვირილისაკენ. ამ სოფლების წანაწყვეტი არის დაბა ყვირილა. ადრე სოფ. საქარა მდ. ყვირილამდე გრძელდებოდა. ახლანდელი ფეროშენადნობი ქარხნის ტერიტორია, რუსთაველის და ნინოშვილის ქუჩების ტერიტორია სოფ. საქარაში შედიოდა, მდ. ყვირილას მარჯვენა სანაპირო ტერიტორიას სილებს ეძახდნენ, ქალაქის ჩრდილოეთით არსებულ ტერიტორიას სატურია ეწოდებოდა, ხოლო ფეროშენადნობი ქარხნის სამმართველოს ტერიტორიას საყავრიას უწოდებდნენ. აი, ამ ტერიტორიაზე დაიწყო დაბა ყვირილამ წარმოქმნა ზემოხსენებული სოფლების ტერიტორიის ხარჯზე. იგი გამოეყო მათ რკინიგზის გაყვანისა და სადგურის გაშენების შემდეგ[28].

ხალხური გადმოცემა დაბა ყვირილას გამოყოფას სოფლებიდან და იქ ბაზრობისა და ვაჭრობა-ხელოსნობის გაჩენას ამიერკავკასიის რკინიგზის გაყვანას უკავშირებს. დადასტურებულია, რომ მანამდე ბაზრობა დაბა წევაში იმართებოდა. დადასტურებულია აგრეთვე ისიც, რომ წევას დაცემის შემდეგ ადგილობრივი ვაჭრები (გაჩეჩილაძეები და სხვ.) ყვირილაში გადასახლდნენ. ყვირილას ზრდაზე გარკვეული გავლენა მოუხდენია იმასაც, რომ აქ ხდებოდა ჭიათურიდან შავი ქვის გადმოზიდვა[29].

დაბა ყვირილას ზრდასთან ერთად 90-იანი წლებიდან შორაპანიც იწყებს დაწინაურებას. ჭიათურის რკინიგზის გაყვანის შემდეგ განსაკუთრებით, დეპოში და რკინიგზებზე მომუშავე მუშები თანდათანობით ესახლებიან შორაპანში. დაბა შორაპნის მცხოვრებმა ბეგლარ ლევანის ძე ღვინჯილიამ გვიამბო, რომ შორაპანში 20-იან წლების დასასრულს ორი-სამი მოსახლე თუ იყო. ამიერიდან იწყება იქ დაბის გაჩენა რკინიგზის მუშა-მოსამსახურეების ხარჯზე[30].

XIX ს-ის მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველოში კიდევ ერთი დაბა წარმოიქმნა. ფოთი—თბილისის რკინიგზის გაყვანამდე აბაშა პატარა სოფელს წარმოადგენდა, მაგრამ გაიყვანეს თუ არა რკინიგზა და ააშენეს თუ არა სადგური, მას შესამჩნევად დაეტყო გარდაქმნა. ამიერიდან აბაშაში დღითი დღე მატულობდა ვაჭართა და ხელოსანთა რიცხვი, ძლიერდება აღებ-მიცემობა და ერთ დროს ეს პატარა სოფელი მოზრდილ დაბას დაემსგავსა. ასე წერდა გაზეთი „ივერია“ 1893 წელს. აბაშის გარდაქმნას რკინიგზის გაყვანის შემდეგ ხელი იმანაც შეუწყო, რომ მის შემოგარენში განლაგებული იყო მჭიდროდ დასახლებული სოფლები[31]. ამ უბრალო სოფელს რკინიგზამ სული ჩაუდგა წარმატებები მოუტანა, გაზარდა აღებ-მიცემობა და დაბის წოდებაც მიანიჭა[32].

90-იანი წლების დასაწყისში, კერძოდ, 1891 წელს აბაშაში 200-მდე სავაჭრო-სამრეწველო საწარმო არსებობდა. მათ შორის 30 ფართლის სავაჭრო, 40

[28] ქუთაისის მეზუემის ხელნაწერთა ფონდი (ზესტაფონის რაიონის ექსპედიციის მასალები).
[29] იქვე.
[30] იქვე.
[31] „ივერია“, 1893, № 243.
[32] იქვე, 1894, № 45.

საბაკალეო სავაჭრო, 10 პურის სავაჭრო, 120-მდე სხვადასხვა სახის სახელოსნო და სახამრო[33]. იგივე გაზეთი აღნიშნავს, რომ ფოთი—თბილისის რკინიგზის გაყვანის შემდეგ აბაშამ ანდამატივით მიიზიდა ვაჭრები სხვა დაბებიდან, რომლებიც რკინიგზას დაშორებული იყვნენ. აბაშაში გადმოდიან ვაჭრები დაბა ხუჯუნიდან და ორპირიდან. ორპირელი ვაჭრები სამტრედიის აღმოცენებისას ძირითადად სამტრედიელ ვაჭრებთან ერთიანდებიან, ხოლო მათი ნაწილი, როგორც ჩანს, აბაშაში გადადის და იქ იწყებს კომერციულ საქმიანობას. აღსანიშნავია, რომ ბათუმის რკინიგზის ხაზის გაყვანის შემდეგ ორპირელები, რომლებიც მდინარის მარცხენა ნაპირზე საქმიანობდნენ, სადგურ საჯავახოში გადადიან[34].

90-იანი წლებიდან დაბა აბაშაში გადააქვთ მახლობელი სოფლებიდან სასამართლო კანტორა, საბოქაულო, აქვე არსდება ორკლასიანი სკოლა.

აბაშის ზრდა-განვითარებამ ახალი მოთხოვნები დააყენა დაბის მცხოვრებთა და ვაჭარ-ხელოსანთა წინაშე. მათ არ აკმაყოფილებთ დაბის არსებული მდგომარეობა, მისი შემოსავალი და განსაკუთრებით ამ შემოსავლის გამოყენების საკითხი. ამ დროისათვის აბაშა ფაქტობრივად დაბას წარმოადგენდა, მაგრამ მცხოვრებლებმა ახლა მოინდომეს მისი ფორმალური დამტკიცება. „შემოსავლის წყაროს აღმოჩენა ძნელი არ არის, — წერდა გაზეთი „ივერია", — მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ ამ სავაჭრო ადგილს მიენიჭოს დაბის დებულება, რომლის გარეშე ადგილობრივ მცხოვრებლებს ნება არა აქვთ საზოგადოების განაჩენით ხარჯი დაადვან რასმე"[35]. აბაშიდან ყოველწლიურად დიდძალი საქონელი იგზავნებოდა და შემოდიოდა და თუ ამ საქონელზე აღებული გადასახადი დაბის სასარგებლოდ იქნებოდა გამოყენებული, ეს ძალზე შეუწყობდა ხელს მის დაწინაურებას. აბაშიდან ყოველწლიურად 1 000 000 ფუთზე მეტი საქონელი იგზავნებოდა და შემოდიოდა. 1893 წელს, მაგალითად, აბაშიდან გაიტანეს 800 000 ფუთი სიმინდი. თუ აბაშა დაბად დამტკიცდებოდა, შესაძლებელი იყო ფუთ გასაგზავნ საქონელზე 1/6 კაპიკი შემოსულიყო, ე. ი. 800 000 ფუთიდან დაბის სარგებლობაში დარჩებოდა 2000 მანეთი, ამიტომაც იყვნენ მოწადინებული აბაშის ვაჭარ-ხელოსნები მათი დასახლება დაბად დაემტკიცებინათ. ამისათვის საჭირო პირობები აბაშაში უკვე შექმნილი იყო[36].

XIX ს-ის 80-იანი წლებიდან წარმოქმნილ დაბად ჩანს ტყიბული. ეს დაკავშირებულია ტყიბულის ქვანახშირის წარმოების დაწყებასთან, რამაც დააჩქარა რკინიგზით მისი შეერთება ამიერკავკასიის მაგისტრალთან. ტყიბულის ქვანახშირის ექსპლუატაცია XIX ს-ის 40-იანი წლებიდან იწყება. ადგილი, სადაც ნახშირის საბადო აღმოჩნდა, იმ დროს თავად აგიაშვილების ყმებს ქასრაშვილებს ეჭირათ და ჩამორთმევის შემდეგ მათთვის საზღაური მიუციათ[37]. ქ. ტყიბულის ხანდაზმულ მცხოვრებლებს კარგად ახსოვთ ტყიბულში საქალაქო ტიპის დასახლების გაჩენის პროცესი. ისინი ტყიბულის თავდაპირველ მცხოვრებლებად ქასრაშვილებს, ბოჭორიშვილებს, ჯიმშელეიშვილებს, ვარდოსანიძეებს და ჭელიაშვილებს ასახელებენ. დასტურდება, რომ სანამ ტყიბულში სა-

[33] „ივერია", 1891, № 224.

[34] იქვე, 1895, № 217.

[35] იქვე, 1894, № 45.

[36] იქვე

[37] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, ტყიბულის ქვანახშირის შესახებ, გაზეთი „დროება", 1971, 24 დეკემბერი.

ქალაქო ტიპის დასახლება გაჩნდებოდა, სადაბო ცენტრს საწირე წარმოადგენდა. აქ იყო სამამასახლისო ცენტრი, სავაჭრო დუქნები და სახელოსნოები. აქვე მოქმედებდა სკოლაც. გადმოგვცემენ, რომ საწირის სკოლაში დადიოდნენ ბავშვები ტყიბულიდან, მუხურიდან, ხრესილიდან და სხვ. მაგრამ მას შემდეგ, რაც ქვანახშირის წარმოება გაჩაღდა და ტყიბული რკინიგზით შეუერთდა ამიერკავკასიის რკინიგზას, საწირემ დაკარგა თავისი მნიშვნელობა და ტყიბული წინაურდება[38]. 80-იანი წლებიდან ტყიბულს საგრძნობლად დაეტყო ზრდა და საწირეს ყოველგვარი საშუალება წაერთვა მეტოქეობა გაეწია მისთვის.

სადაბო ცენტრის გადატანა სხვა ადგილზე და ამ ნიადაგზე აღმოცენებული მეტოქეობა შეეხო ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზიდან დაშორებულ რაიონებსაც. XIX ს-ის 80-იან წლებამდე ლეჩხუმის სამაზრო ცენტრი ლაილაშში იმყოფებოდა, მაგრამ შემდეგ ცაგერში გადაიტანეს და ამის გამო ლეჩხუმის საზოგადოება ორ ბანაკად გაიყო. ამ ბანაკებს შორის ბრძოლა კარგა ხანს გაგრძელდა და საბოლოოდ მაინც გამარჯვება ცაგერს დარჩა. მხედველობაში იქნა მიღებული მისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა. ცაგერს ენიჭებოდა გარკვეული მნიშვნელობა სვანეთის საქართველოს ბართან დაკავშირებისათვისაც. საბოლოოდ ლეჩხუმის სამაზრო ქალაქად XIX ს-ის 90-იან წლებში ცაგერი იქნა ცნობილი. ლაილაშის მეტოქეობას ბოლო მოეღო.

XIX ს-ის მეორე ნახევარში ახლად წარმოქმნილ და ძველ ქალაქებს შორის ჩამოვარდნილი მეტოქეობა თავისებურად აისახა ოზურგეთსა და ნაგომარს შორის. ნაგომარი საიარმარკო ქალაქი იყო დასავლეთ საქართველოში, მაგრამ თავისი მნიშვნელობით ის სამაზრო ქალაქს ოზურგეთს უწევდა წინააღმდეგობას. ეს წინააღმდეგობა იქამდე მივიდა, რომ 80-იან წლებში ნაგომარის „ბედი შეიშურვა“ ოზურგეთმა და მოუნდომა მას ბაზრობის წართმევა.

XIX ს-ის მეორე ნახევარში ნაგომარი მთელ საქართველოში განთქმულ საიარმარკო დაბას წარმოადგენდა. სულ ნაგომარში 90 დუქანი იყო. მაგრამ იარმუკობის დროს ყოველი წლის 17 ივლისიდან 1 აგვისტომდე აქ აუარებელი სავაჭრო კარვები იმართებოდა. აქ იყიდებოდა ყოველნაირი საქონელი, ნაგომარში ადგილობრივ ვაჭრებს გარდა ჩადიოდნენ სავაჭროდ იმერეთიდან, სამეგრელოდან, თბილისის გუბერნიიდან, საქართველოს ყველა ქალაქიდან მიდიოდნენ იქ ვაჭრები. იარმუკობის დროს ნაგომარი „საკვირველ სანახაობას წარმოადგენდა“. აქ ნახავდით კავკასიის ყველა კუთხიდან ჩამოსულ ვაჭრებს[39].

ნაგომარის იარმუკის წარმატებას ხელს უწყობდა მისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა. იგი გურიის შუა ადგილზე იმყოფებოდა და ამის წყალობით იქ იარმუკობას საფუძველი ადრევე ჩაეყარა. XIX ს-ის 80-იან წლებში ნაგომარი საქართველოს ეკონომიკური ცხოვრების ყურადღების ცენტრში მოექცა. ნაგომარის წარმატების წინააღმდეგ პირველად ოზურგეთმა გადადგა ნაბიჯი. მან მოინდომა 1886 წ. იარმუკის გადატანა ნაგომარიდან ოზურგეთში. პირველად მთავრობამ არ დაუჭირა მხარი ოზურგეთელთა მოთხოვნას. მაგრამ 90-იანი წლების დასაწყისიდან გამარჯვება მაინც მას დარჩა. გურიაში ოზურგეთმა მაინც მოიპოვა სავაჭრო-სახელოსნო ცენტრის მნიშვნელობა.

---

[38] ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 106 (ქუთაისის მუზეუმის ტყიბულის რაიონის ექსპედიციის ანგარიში).

[39] „დროება“, 1869, № 36.

XIX ს-ის მეორე ნახევარში ახლად წარმოქმნილ და „ძველ“ ქალაქებს შორის შექმნილი დამოკიდებულების საერთო სურათს გვიჩვენებს „ივერია“. „დაუწყნარებელი ბრძოლა დაიწყო მას აქეთ, — წერდა გაზეთი 1888 წელს,— რაც ფოთი—თბილისს რკინიგზა გაიყვანეს... ამ გზაზე რკინიგზის მიმართულებამ განზრახ შეცდომით, თუ სხვა მიზეზით გვერდი აუქცია რიონის ხეობაზე გამწკრივებულ დაბა-ქალაქებს: რვა ვერსზე მიატოვა ქუთაისი, ოთხ ამდენ მანძილზე ხონი, სამს ვერსზე სუჯუნა და აგრეთვე ძველი სენაკი. გზის ასეთმა მიმართულებამ კინაღამ სული ამოართვა ქუთაისს, ხონს მოაკლო ის, რასაც შესძენდა, რომ შიგ გაევლო რკინიგზას, დაეცა ძველი სენაკი და ორპირი, რის შედეგად გაიზარდა სამტრედია, აბაშა, ახალი სენაკი, ფოთი“[40]. წერილის ავტორი შემდეგ ლაპარაკობს, რომ ამ ქალაქებს შორის შემდეგ გაჩაღდა ბრძოლა, რადგან მათი კეთილდღეობა დამოკიდებული იყო ამიერკავკასიის რკინიგზის მმართველობაზე. გზას მგზავრი მოჰყვა, მგზავრს ვაჭრობა, ვაჭრობას ხალხი, მერე სკოლა, სასამართლოები, აფთიაქები და ამ დაწესებულებათა მომსახურენი. ამის გამო ძველ ქალაქებს მოაკლდათ ის, რაც ახლებს მოემატათ. დაბა-ქალაქებს შორის მუდმივი და შეუპოვარი ქიშპი გაიმართა[41]. ძველი ქალაქები მაინც არ თმობდნენ თავიანთ პოზიციებს და იმედოვნებდნენ, რომ ისინი წარსულს დაიბრუნებდნენ, გზას იქეთ გაიყვანდნენ, საიდანაც მათ ემარჯვებოდათ. ასე ოცნებობდნენ ძველი სენაკის, მარტვილის და სუჯუნის მესვეურები[42].

„კარგი იქნებოდა, — წერდა ივერია, — რომ რკინიგზას პირდაპირ ქუთაისში გაევლო, ხონს მისულიყო და აქედან ძველ სენაკში გაევლო“[43]. ხონი ერთიორად გაიზრდებოდა, მას ლეჩხუმისა და ცხენის წყლის პირას მდებარე იმერეთ-სამეგრელოს მოსახლეობა მოაწყდებოდა, ვინ მოსთვლის რამდენი მლოცველი და მნახველი მოვიდოდა მარტვილს, აუარებელ მგზავრს მიიღებდა ნაქალაქევის მადნეული წყლები, რომელიც ქვემო იმერეთის ესენდუკი გახდებოდა. სენაკის მაზრის სიმინდი სულ ძველ სენაკს მიაწყდებოდა. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. და უბედურება ის არის, რომ ხსენებული დაბა-ქალაქები ერთიმეორეს გადაემტერა. ეს ქალაქები ერთმანეთს შურის თვალით უყურებდნენ. საკმარისი იყო, რომელიმე ქალაქს რაიმე დაწესებულება მიეღო, მაშინვე დაიწყებოდა საშინელი აურზაური და დაპირისპირება ამ ქალაქის მიმართ. იწყებდნენ საჩივრებს და მიმართავდნენ ათასნაირ ოინებს, რათა რაც შეიძლება ხელი შეეშალათ სხვისთვის და ყოველგვარი სასარგებლო საქმე თავიანთ კუთვნილებად გაეხადათ. ვინ მოთვლის რამდენი რამ არ ჩაიდინა ხონმა, რომ სამასწავლებლო სემინარია ქუთაისისათვის აეცილებინა და თვით დაესაკუთრებინა. ამგვარივე ბრძოლის შედეგი იყო სკოლების ერთ ქალაქიდან მეორე ქალაქში გადატანა. ამ უკანასკნელში გაუქმება და ისევ უკან დაბრუნება და სხვ[44].

ზემოხსენებული ფაქტები იმაზე მიუთითებენ, რომ რეფორმის შემდეგ-დროინდელ საქართველოში საქალაქო ცხოვრება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შესაბამისად ეწყობა. რეფორმის წინადროინდელი ქალაქები ბურჟუაზიული ცხოვრების წესით ირთვებიან და იმ დროის შესაფერის

[40] „ივერია“, 1888, № 159.
[41] იქვე.
[42] იქვე.
[43] იქვე.
[44] იქვე.

სახეს ღებულობენ, მაგრამ ახლად წარმოქმნილმა ქალაქებმა მათი ტრადიციული ზრდა-განვითარება საგრძნობლად შეარყია. მათ შორის იწყება ბრძოლა უპირატესობისათვის და ამ ჭიდილში გამარჯვებული ის ქალაქები რჩებიან, რომელთა წარმოქმნა ან დაწინაურება ბურჟუაზიული ურთიერთობის ამა თუ იმ ფაქტორთან იყო დაკავშირებული და ამავე ფაქტორს უკავშირდება წინანდელი ქალაქების დაქვეითება. XIX ს-ის მეორე ნახევარში ეს პროცესი მწვავდება და ზოგიერთი ქალაქი მთლიანად წყვეტს არსებობას, ხოლო ნაწილი დასახლებული პუნქტის მდგომარეობამდე ქვეითდება. ჩვენ მიერ აღწერილ დაზარალებულ ქალაქთა უმრავლესობას სწორედ ეს ბედი ხვდა წილად. რომ ამიერკავკასიის რკინიგზის გაყვანა საქართველოში სხვა მიმართულებით მომხდარიყო, ზემოაღნიშნული პროცესი სხვაგვარად წარიმართებოდა და გამარჯვებული და დამარცხებული ქალაქების როლში სხვა ქალაქებს ვიხილავდით.

М. В. НИКОЛЕЙШВИЛИ

ОТНОШЕНИЯ МЕЖДУ ГОРОДАМИ ГРУЗИИ ВО II ПОЛОВИНЕ XIX ВЕКА

Резюме

Во II пол. XIX века в результате развития буржуазных отношений в Грузии возникло множество торгово-промышленных городов, которые противопоставлялись ранним местечкам-городам.

Эти последние обретали свойства буржуазной жизни, характерные для того периода. Но нововозникшие города значительно пошатнули их рост и развитие. Между ними начинается борьба за преимущества, и в этой борьбе оставались победителями те города, возникновение или развитие которых было связано с тем или иным фактором буржуазных отношений. В это время возникшее соперничество между городами было вызвано в Грузии преимущественно строительством железных дорог.

В труде рассмотрено, с одной стороны, влияние, которое оказало строительство железных дорог на города Кутаиси, Батуми, Поти и, с другой стороны, то, как уступают свои позиции старые города и местечки — Редут-Кале, Орпири, Старый Сенаки, Цева, Суджуни нововозникшим — Самтредиа, Квирила, Новый Сенаки и др.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ახალი ისტორიის განყოფილებამ.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲗᲝᲜᲒᲝᲣᲒᲘᲚᲘ

ᲐᲚᲐᲜ-ᲝᲡᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲑᲘᲖᲐᲜᲢᲘᲐ

(ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘ)

ალან-ოსები ჩვენი წელთაღრიცხვის დამდეგიდან ინტენსიურ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ რომის სახელმწიფოსთან. ალანთა ის ნაწილი, რომელიც სხვადასხვა მომთაბარე ტომებთან ერთად დუნაისპირეთსა და დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე აღმოჩნდა, თავს ესხმოდა იმპერიის საზღვრებს, ხშირად სამოკავშირეო ურთიერთობასაც ამყარებდა მასთან.

რომაელებს უფრო მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ალანთა იმ ნაწილთან, რომელიც ჩრდილო კავკასიაში დამკვიდრდა. ალანთა მიმართ რომაელების პოლიტიკა აქ ორ ძირითად მიზანს ისახავდა: 1. თავიდან აეცილებინათ მათი თავდასხმები ამიერკავკასიასა და მცირე აზიაში თავის ქვეშევრდომი ქვეყნებისათვის და 2. გამოეყენებინათ ისინი აქ თავისი მთავარი მეტოქის — სასანური ირანის წინააღმდეგ. რომის დიპლომატია ახერხებდა კიდევაც ამ მიზნების რეალიზაციას ალანებისადმი ლოიალური პოლიტიკით, რასაც ზოგ შემთხვევაში აზავებდნენ თავის სამხედრო ძლიერების დემონსტრაციით. რომაელები ჩრდილო კავკასიელ ალანებს ძირითადად იბერიისა და ეგრისის სამეფოების მეშვეობით უკავშირდებოდნენ.

395 წ. რომის სახელმწიფო აღმოსავლეთ და დასავლეთ იმპერიებად გაიყო. აღმოსავლეთ რომის იმპერია, რომელმაც ბიზანტიის სახელწოდება მიიღო, აგრძელებს ჩრდილო კავკასიელ ალანებთან — ოსებთან ურთიერთობას.

ბიზანტიის იმპერია იმთავითვე გაცხოველებულ ურთიერთობაში აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრებ მრავალ ხალხთან. აკად. ე. ა. კოსმინსკის სიტყვებით, „ბიზანტიის ისტორია მჭიდროდ არის გადანასკვული საბჭოთა კავშირის ხალხთა წარსულთან, განსაკუთრებით რუსი ხალხისა და აგრეთვე სომეხ და ქართველ ხალხთა ისტორიასთან“[1]. ეს სიტყვები შეიძლება გავავრცელოთ ოსებზეც. ოსთა ისტორიის კავშირი ბიზანტიის ისტორიასთან ადრევე იყო შემჩნეული ისტორიოგრაფიაში[2].

ბიზანტიის იმპერიის მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობის შესახებ ალან-ოსებთან ცნობები დაცულია ბიზანტიელ ისტორიკოსთა და მწერალთა თხზულებებში VI ს-იდან — იმპერატორ იუსტინიანე I (527—565) დროიდან.

იუსტინიანე დაუცხრომლად იღვწოდა აღედგინა ძველი რომის იმპერიის დიდება. რომის იმპერიის ძლიერების ხანაში მისი ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო. შემდგომში, გუთებისა და ჰუნების შემოსევათა შედეგად, კავკასიის სანაპიროზე იმპერიის ბატონობა დასუსტდა. V საუკუნეში ბიზანტიის გარნიზონები მხოლოდ პიტიუნტისა (ბიჭვინტა)

---

[1] Византийский временник, V, 1952, გვ. 292.

[2] Ю. Кулаковский, Аланы по сведениям классических и византийских писателей, Киев, 1899.

და სებასტოპოლისის (სოხუმის) სიმაგრეებში იდგნენ, საიდანაც ხორციელდებოდა იმპერიის ურთიერთობა კავკასიის შორეულ ტომებთან, კერძოდ ალანებთან (თანამედროვე ოსების წინაპრებთან)[3].

ბიზანტიის იმპერიამ მოახერხა დასავლეთ საქართველოში — ლაზიკაში — თავისი გავლენის დამყარება. აქედან ის ქართლში (იბერიაში) გაბატონებასაც შეეცადა. მაგრამ აქ ამ დამპყრობლის ინტერესები შეეჯახა სასანური ირანის ასეთსავე გეგმებს. ორი დამპყრობლის მეტოქეობა აქ ხანგრძლივ ბრძოლებში გადაიზარდა და ჩაითრია ადგილობრივი ხალხებიც.

ბიზანტია-ირანის კონფლიქტში კასპიის (ასე უწოდებს პროკოპი კესარიელი დარიალის გასასვლელს) კარებს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. იგი ხან საბრძოლო მოქმედების დაწყების უშუალო საბაბი იყო, ხანაც დაზავების არსებითი ფაქტორი. საქმე ისაა, რომ ალან-ოსთა კონტროლში მყოფი ეს საუღელტეხილო გზა ჩრდილო კავკასიაში შემოჭრილ ჰუნებს მიუტანიათ. VI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი მოგვითხრობს, რომ კარის ჩრდილოეთით გაშლილ ველებზე თითქმის მთლიანად ჰუნთა ტომები დამკვიდრებულან, ვიდრე მეოტიდის (აზოვის) ტბამდე. ამ კარებით მოდიან სპარსელთა და რომაელთა ადგილებში. „ეს სიმაგრე დროთა განმავლობაში ბევრს ეჭირა და ამბაზუკისაც, შთამომავლობით ჰუნნს, რომაელებისა და ანასტასის მეგობარს. როდესაც ეს ამბაზუკი სიბერეში შევიდა... შეუთვალა ანასტასის ფული მიეცა მისთვის და ის გადასცემდა რომაელებს სიმაგრეს და კასპიის კარებს. ხოლო ანასტასი... მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მისთვის შეუძლებელი იქნებოდა ჯარისკაცების შენახვა იქ..., სადაც მეზობლად არ მოიპოვებოდა რომაელთა ქვეშევრდომი ტომები... (და) საქმე უყურადღებოდ დატოვა. ამბაზუკი გარდაიცვალა. კავადმა სძლია მის შვილებს და კარები დაიპყრა“[4].

ი. გაგლოევი თვლის, რომ კასპიის (დარიალის) კარების ჩრდილოეთით მეოტიდამდე მცხოვრებ ჰუნებში უნდა ვიგულისხმოთ უმთავრესად ალანები, რომელთა ძირითადი ტერიტორიაც კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით იყო[5]. მაგრამ, ამასთან ერთად, ჩვენ ვთვლით, რომ ამბაზუკის სახელის ოსური გაფორმება არ ნიშნავს ამ სახელის მატარებლის ოსობას. ამბაზუკის ჰუნობას პროკოპი საგანგებოდ უსვამს ხაზს. ეს ყოველივე კარგად ასახავს ჰუნების შემოჭრის შედეგად ცენტრალურ ჩრდილო კავკასიაში შექმნილ სიტუაციას. ჰუნებმა ხელთ იგდეს დარიალის გზაზე კონტროლი, მაგრამ ოსებს არ შეეძლოთ შერიგებოდნენ ამ მდგომარეობას და იბრძოდნენ დაკარგული პოზიციების აღსადგენად. ამბაზუკი გრძნობდა, რომ დარიალის გზას ვეღარ შეინარჩუნებდა, ამიტომ შეეცადა მის გაყიდვას.

ბიზანტიის იმპერატორმა არ იყიდა გზა, რადგან მას არ ჰქონდა შესაძლებლობა მასზე კონტროლი განეხორციელებინა. ამით ისარგებლა ირანის მბრძანებელმა კავადმა (ხოსრო ანუშირვანის მამამ) და ხელთ იგდო იგი.

ბიზანტია-ირანის ადრინდელი შეთანხმებით დარიალის კარები ერთად უნდა დაეცვათ, რადგანაც ამ გზით შემოჭრილი ალან-ოსები და ჰუნები ამიერკავკასიასა და მის სამხრეთითაც ორივეს სამფლობელოებს აოხრებდნენ. რო-

---

[3] М. В. Левченко, История Византии, Краткий очерк, М.-Л., 1940, გვ. 70.

[4] გეორგიკა (ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ), ს. ყაუხჩიშვილის თარგმანითა და კომენტარებით, ტ. II, თბ., 1934, გვ. 20.

[5] Ю. С. Гаглоев, Аланы и вопросы этногенеза осетин, Тб., 1966, გვ. 140.

ცა აღმოსავლეთ საქართველოში ირანის ბატონობა დამყარდა, გზის დაცვისადმი ბიზანტიამ ინტერესი დაკარგა და უარი თქვა ირანისათვის სათანადო ფულად კომპენსაციაზე. ეს კი მათ შორის ომის საბაბი გახდა, რომელიც 502 წელს დაიწყო. 532 წ. მათ „საუკუნო ზავი" დადეს ერთმანეთთან, რომელიც 542 წ. დაირღვა და ხანგრძლივი ომით შეიცვალა.

იუსტინიანე ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა არ დაეშვა ირანის გაბატონება ლაზიკაში, მისი შავ ზღვაზე გასვლა. წინააღმდეგ შემთხვევაში ბიზანტიის ბატონობას შავ ზღვაზე ბოლო მოეღებოდა.

ასეთ პირობებში ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ ალანებთან (ოსებთან) ურთიერთობა ბიზანტიის დიპლომატიამ თავის კავკასიური პოლიტიკის ერთ-ერთ არსებით რგოლად აქცია. ამ პოლიტიკის მიზანი იყო, ერთი მხრივ, ლაზიკაზე ალანთა თავდასხმების აცილება, მეორე მხრივ კი, მათი სამხედრო პოტენციის გამოყენება ირანის წინააღმდეგ. ბიზანტია საამისოდ არა მარტო უშუალო ურთიერთობას მიმართავს ალანებთან, არამედ შუამავლად იყენებს ლაზიკის მმართველ წრეებსაც. პროკოპის ცნობით, ლაზიკის მეფე გუბაზმა „კავშირში ჩაითრია ალანები და საბირები, რომლებმაც აღუთქვეს სამ კენდინარად არა თუ აუოხრებლად დაეცვათ ლაზებისათვის მათი მიწა-წყალი, არამედ იბერიაც ისე გაეუკაცურებინათ, რომ სპარსელებს ამიერიდან აღარ შესძლებოდათ უკვე იქ მისვლა"[6].

გუბაზ მეფის აქტიურობა ალანებთან ურთიერთობაში გასაგებია. იგი ბიზანტიელებთან კავშირში ებრძოდა ირანის აგრესიას. დასახელებული სამი კენდინარი ფულადი თანხა იმპერატორმა გაიღო, რადგან იბერიაში ირანის კომუნიკაციების მოშლა შეესაბამებოდა როგორც მისი, ისევე ლაზიკის ინტერესებს.

ამ დროიდან დაწყებული, ბიზანტიურ წყაროებში ალანები ყოველთვის ფიგურირებენ როგორც ბიზანტია-ირანის ომის აქტიური მონაწილენი.

თავის ინტერესებისათვის ალანების გამოყენებას ცდილობდა ირანიც. ამის გამო ბიზანტია იძულებული იყო ალანების მიმართ ისეთი ღონისძიებები განეხორციელებინა, რომლებიც უზრუნველყოფდა მათ მტკიცე ორიენტაციას ბიზანტიაზე. ამ მიზნით იგი მიმართავდა მოსყიდვასა და ქრისტიანული რელიგიის გავრცელებას. პროკოპის ცნობა, რომ ალანები და აბასგები ქრისტიანები არიან და ძველთაგანვე რომაელთა მეგობრები[7], ისე უნდა გავიგოთ, რომ ბიზანტია ალანებთან ურთიერთობის მტკიცე ნიადაგზე დასაყენებლად წარმატებით იყენებდა მათ გაქრისტიანებას და, ამდენად ალანების რომაელთა (ბიზანტიელთა) მეგობრებად მოხსენიებას რეალური საფუძველი ჰქონდა.

ბიზანტია ალანებისა და სხვა კავკასიელი ხალხების კეთილგანწყობილების მოსაპოვებლად მათ ყოველწლიურად მნიშვნელოვან ფულად სახსრებს ურიგებდა. VI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსის აგათია სქოლასტიკოსის ცნობით, ბიზანტიელი მოხელე სოტერიქე მივიდა მისიმიანთა (სვანთა) ქვეყანაში, რათა იმპერატორის სახელით მეზობელ ბარბაროს ტომთათვის ფული დაერიგებინა, რასაც ყოველ წელს აკეთებდნენ. მისიმიანებმა ბრალი დასდეს სოცერიქეს, რომ მას ბუქლოოსის (ბუკელეს) — ლაზიკის საზღვარზე აგებული ციხის — ალანთათვის გადაცემა უნდოდა, რათა ბიზანტიელებს შეძლებოდათ იქ შეეკ-

[6] გეორგიკა, II, გვ. 74—75.
[7] იქვე, II, გვ. 72.

რიბათ გადაღმა ტომთა ელჩები საფასურის მისაღებად და ამ მიზნით აღარ დასჭირდებოდათ კავკასიონის მთების კალთების შემოვლა[8].

ხშირი იყო შემთხვევა, როცა ლაზიკის მესვეურები, სიუზერენის გვერდის ავლით და მის წინააღმდეგაც კი, ცდილობდნენ ალანების გამოყენებას თავისი ინტერესებისათვის. როცა ბიზანტიის სარდლებმა გუბაზ მეფე მოკლეს, ხოლო სახალხო აჯანყების შიშით ბიზანტიის მთავრობამ მკვლელთა გასამართლება მოაწყო, ბრალდებულმა რუსტიკემ თავის გასამართლებლად განაცხადა, რომ გუბაზი და ლაზიკელები ბიზანტიის წინააღმდეგ მიმართავდნენ მეზობელ ხალხებს დახმარებისათვის, რომ ბიზანტიელთა მარცხის შემთხვევაში გუბაზი „მაშინვე შიკრიკებს აფრენდა ხოლმე, რომ ცნობები მიეტანათ იბერიაში, სვანთა ტომისათვის, კავკასიის გადაღმა მცხოვრებ ბარბაროსთათვის“[9]. „კავკასიის გადაღმა მცხოვრები ბარბაროსები“ კი სწორედ ალანები იყვნენ, რომლებიც მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ქართულ სამყაროსთან.

მაგრამ ზოგიერთი სიძნელის მიუხედავად, ბიზანტიის დიპლომატია ახერხებდა ალანებთან მჭიდრო კავშირის უზრუნველყოფას. ალანები ხშირად შუამავლებადაც კი გამოსულან სხვა ხალხების ბიზანტიასთან დაკავშირების საქმეში.

VI ს-ის ბიზანტიელი მწერალი მენანდრე მოგვითხრობს, რომ თურქული მოდგმის ხალხი ავარები „ბევრი ხეტიალის შემდეგ მოვიდნენ... ალანთა ქვეყანაში და ემუდარებოდნენ ალანთა წინამძღოლ საროსის, რათა მისი მეშვეობით გასცნობოდნენ რომაელებს (ბიზანტიელებს — **გ. თ.**). იმანაც (ე. ი. საროსიმ) აცნობა იუსტინეს..., რომელიც იმ დროს ლაზიკაში მყოფ ჯარს წინამძღოლობდა, ხოლო იუსტინემ იუსტინიანე მეფეს. მეფემაც სტრატეგოსს დაავალა გამოეგზავნა ბიზანტიონში ავართა ელჩები“[10].

საროსის ლოიალურ ურთიერთობას ბიზანტიასთან მოწმობს ის კეთილგანწყობილებაც, რომლითაც მან მიიღო ბიზანტიის ელჩობა ზემარქეს მეთაურობით, რომელიც 568—69 წწ. გაგზავნილი იყო აღმოსავლეთ თურქთა ხაკანთან. უკან გამობრუნებისას ზემარქე თურქთა ელჩების თანხლებით კვლავ წარუდგა საროსის.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბიზანტიის აღნიშნული ელჩობა თურქებთან, შუა აზიაში, და უკან ალანთა ტერიტორიაზე გავლით მგზავრობდა. ელჩობის მიზანი იყო ბიზანტიასა და თურქების სახელმწიფოს შორის აბრეშუმით ვაჭრობის ორგანიზაცია ირანის გვერდის ავლით. ბიზანტია აბრეშუმს ირანიდან ღებულობდა, რომელიც ძალიან ძვირი უჯდებოდა. აგრეთვე იმის გამოც, რომ ირანთან საომარ ურთიერთობაში იყო, იგი ცდილობდა აბრეშუმის ნედლეული უშუალოდ სოგდიელი (შუაზიელი) ვაჭრებისაგან მიეღო[11].

ბიზანტიის აღნიშნული ცდა ლახავდა ირანის ინტერესებს. ამიტომაც იგი ცდილობდა ხელი შეეშალა ამ წამოწყებისათვის. იოანე ეპიფანიელის ცნობით, „როდესაც თურქთა ელჩები მოვიდნენ რომაელებთან და იუსტინე მეფემ ელჩები მიიღო და მათ გაბრუნებისას თან გააყოლა ზემარქე, სპარსელებმა გადა-

---

[8] გეორგიკა, III. ს. ყაუხჩიშვილის თარგმანითა და კომენტარებით, თბ., 1936, გვ. 86—87.

[9] იქვე, გვ. 147, 150.

[10] იქვე, გვ. 210.

[11] Н. Пигулевская, Византия на путях в Индию, М.-Л., 1951, გვ. 194—205.

წყვიტეს ფულით მოესყიდათ ალანები, რომელთა ქვეყანაზე უნდა გაევლოთ მათ"[12].

როცა ელჩობა უკან ბრუნდებოდა, ირანი კვლავ შეეცადა მათ შეპყრობას. საროსიმ ზემარქეს ურჩია არ წასულიყო მისიმიანთა ქვეყანაზე, რადგანაც სპარსელები სვანეთის მახლობლად არიან ჩასაფრებული და ურჩია უხიფათო გზით — დარიანის უღელტეხილით დაბრუნება[13].

როგორც ვხედავთ, შეცვლილ სიტუაციაში ბიზანტია აბრეშუმის ნედლეულის მიღების ახალი გზების ძიებას შეუდგა. ასეთი გზა აღმოჩნდა ლაზიკიდან საუღელტეხილო გზებით ჩრდილო კავკასიაში მიმავალი მარშრუტი, რომელიც კასპიის ზღვას ჩრდილოეთიდან შემოუვლიდა და შუა აზიაში ჩადიოდა.

ალანთა (ოსთა) მმართველმა წრეებმა საროსის მეთაურობით სწორად შეაფასეს თავისი ქვეყნის ტერიტორიის მნიშვნელობა როგორც ბიზანტიის შუა აზიასთან დამაკავშირებელი რგოლისა და ეს გარემოება სურდათ გამოეყენებინათ თავისი ინტერესებისათვის, თავისი ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის განმტკიცებისათვის. საროსი თვალყურს ადევნებდა საერთაშორისო ვითარებას, კარგად ერკვეოდა მასში. ბიზანტია-თურქების ელჩობის საქმის წარმატებით მისი დაინტერესება მარტოოდენ ბიზანტიასთან ლოიალური ურთიერთობით არ აიხსნება. თუკი მის ქვეყანაზე გაივლიდა ბიზანტია — შუა აზიის დამაკავშირებელი სავაჭრო გზა, ეს მნიშვნელოვნად აამაღლებდა ალანეთის ეკონომიკურსა და პოლიტიკურ პოტენციალს.

591 წ. ბიზანტიის იმპერატორმა მავრიკემ თბილისი გამოსტაცა ირანს და აღმოსავლეთი საქართველოც მის გავლენაში მოექცა. ბიზანტია კვლავ იყენებს ალან-ოსებს თავისი პოლიტიკური ინტერესებისათვის. ქართველი ისტორიკოსის ჯუანშერის ცნობით, კეისრის ფულით ქართლის ერისმთავარმა გუარამმა დაიქირავა „ჩრდილოს ლაშქარნი" — ოსნი, დურძუკნი (ჩეჩენ-ინგუშთა წინაპრები), დიდონი (დაღესტნური ტომი), უთავა მათ ქართლის ერისთავები და შეუსია ადარბადაგანს[14].

VII ს-ში საქართველო არაბებმა დაიპყრეს. ბიზანტია არ თმობდა საქართველოს და განაგრძობდა არაბთა საწინააღმდეგო ინტრიგებს. თეოფანე ქრონოგრაფის ცნობით, იმპერატორმა იუსტინიანე II 703 წელს სპათარი ლეონი (717—740 წწ. ბიზანტიის იმპერატორი) „გაგზავნა ალანიაში; თან გაატანა დიდძალი ფული და დაავალა წაექეზებინა ალანები აბაზგიის წინააღმდეგ, იმ დროს, როდესაც სარკინოზებს ეპყრათ აბაზგიაც, ლაზიკეც და იბერიაც. ისიც გაემგზავრა და, ლაზიკეში რომ ჩავიდა, ფული ფაზისში (ფოთში — **გ. თ.**) დატოვა შესანახავად, თან წაიყვანა რამდენიმე კაცი ადგილობრივთაგან და აფსილიაში წავიდა. გადალახა კავკასიის მთები და ალანიაში მივიდა".

კეისრის ცბიერმა მოხელემ მოახერხა ალანთა თავდასხმის მოწყობა აბაზგებზე, იმის მიუხედავად, რომ ალანები ეუბნებოდნენ ლეონს: „ჩვენ ახლო ურთიერთობა გვაქვს მათთან (აბაზგებთან), ჩვენი ვაჭრები განუწყვეტლივ დადიან მათ ქვეყანაშიო"[15].

---

[12] გეორგიკა, III, გვ. 196.

[13] იქვე, გვ. 236.

[14] ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 219—220.

[15] გეორგიკა, IV, ნაკვ. I, ს. ყაუხჩიშვილის თარგმანითა და კომენტარებით, თბ., 1936, გვ. 107—108.

ალანეთის მთავრად იმ დროს იტაძი ყოფილა. ლეონმა საბოლოოდ, 50 ალანის თანხლებით, მაისის თვეში თნილამურებით გადმოლახა თოვლიანი კავკასიონი და შეუერთდა დასავლეთ საქართველოში არაბთა წინააღმდეგ მოქმედ ბიზანტიის ჯარს[16].

VIII—IX სს. ჩვენ ცნობები არა გვაქვს ბიზანტია-ოსეთის ურთიერთობაზე. ამიერკავკასიაში არაბთა ბატონობამ, ჩრდილო კავკასიაში კი ხაზართა მძლავრობამ ეს ურთიერთობა ერთხანს საგრძნობლად შეაფერხა, მაგრამ სავსებით ვერ შეწყვიტეს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ X ს-ის ბიზანტიელი მწერალი იოსებ გენესიოსი ალანებს აბაზგების, ოსების, ჯიქების, არმენიელების გვერდით ასახელებს თომა სლავის აჯანყების მონაწილეებად[17]. ეს იყო ერთ-ერთი დიდი სახალხო აჯანყება ბიზანტიაში, რომელიც 821—823 წწ. მიმდინარეობდა და მოიცვა მცირე აზია, თრაკია და მაკედონია.

წყაროს მიხედვით შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ რა პირობებში აღმოჩნდნენ იმპერიის ტერიტორიაზე ალანები, რომლებიც თომა სლავის აჯანყებაში მონაწილეობდნენ. საფიქრებელია, რომ ისინი ტყვეების თუ კოლონისტების სახით მოხვდნენ ბიზანტიაში და ეხმაურებოდნენ იქ მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებს.

X ს-ის დასაწყისიდან ჩრდილო კავკასიაში სუსტდება ხაზართა ხაკანების გავლენა და ოსეთი კვლავ ძლიერდება. გაძლიერებული ალან-ოსეთი კვლავ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ბიზანტიის პოლიტიკურ ანგარიშებში. X ს-ის არაბი მწერალი მასუდი აღნიშნავდა, რომ ალანთა მეფეს შეუძლია 30 ათასი მეომარის გამოყვანა და ყველა თავის მეზობელზე უფრო ძლიერიაო. ეს გარემოება ბიზანტია-ოსეთის ახალი დაახლოების საფუძველი გახდა. ბიზანტიამ ოსთა სახით გამონახა ძალა, რომლის მეშვეობით იგი აუვნებლებდა ხაზარეთს და წარმატებით იცავდა თავის სამფლობელოებს შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროსა და ყირიმის ნახევარკუნძულზე.

იმპერატორ კონსტანტინე პორფიროგენეტის (945—959) ნაშრომებიდან იმპერიის მართვისა და საიმპერატორო კარის ცერემონიების შესახებ, კარგად ჩანს ის დიდი მნიშვნელობა, რაც ოსეთმა შეიძინა ბიზანტიის დიპლომატიის თვალში. კონსტანტინე აღნიშნავს, რომ ალანთა მმართველს შეუძლია ეომოს ხაზარებს, რადგან უკანასკნელის 9 კლიმატი (რაიონი) უშუალოდ ეკვრის ალანეთს. ალანებს შეუძლიათ ააოხრონ ეს კლიმატები და დიდი ზიანი მიაყენონ ხაზარებს, რადგან აქ მოდის ყველაფერი ის, რაც მათ სიმდიდრეს შეადგენსო. თუ ალანთა მმართველი იმპერატორთან კეთილგანწყობილებაშია, ხოლო ხაზარები კი ბრძოლობენ მას, მაშინ ალანებს შეუძლიათ გადაუჭრან ხაზარებს ხერსონში, კლიმატებსა და სარკელში მიმავალი გზა. ასეთ პირობებში ჩაყენებული ხაზარები იძულებული იქნებიან დაიცვან მშვიდობა[18].

მკვლევარმა ვ. კუზნეცოვმა დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ კლიმატები, რომლებიც ალანთათვის მისაწვდომი იყო ასაოხრებლად, მდებარეობდა ქვე-

---

[16] გეორგიკა, IV, ნაკვ. I, გვ. 110—111.

[17] იქვე, ნაკვ. 2, თბ., 1952, გვ. 305.

[18] Сочинения Константина Багрянородного «О фемах» и «О народах», предисловием Г. Ласкина, М., 1899, გვ. 76.

მო და შუა ყუბანზე და რომ კონსტანტინეს ზემოთ მოტანილი სიტყვები კავკასიელ ალანებს ეხება[19].

ბიზანტიის პოლიტიკურ ანგარიშებში ალანთა დიდი მნიშვნელობის მაჩვენებელია იმპერატორების მიმართვის ფორმულა მათი მბრძანებლისადმი. სხვადასხვა ქვეყნების ხელისუფალთადმი მიმართვის ფორმულები ბიზანტიური დიპლომატიის მიერ მუშავდებოდა თითოეული ქვეყნის რეალური ძალისა და საიმპერატორო ხელისუფლებისადმი დამოკიდებულების გათვალისწინებით. კონსტანტინეს ნაშრომში დაცული ცერემონიების მიხედვით, ალანთა ხელისუფალს რუსეთის, ბულგარეთის და აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) ხელისუფალთა თანაბარ პატივს მიაგებდნენ — ყველა მათგანს ორი სოლიდის ღირებულების ოქროს ბეჭდიანი სიგელი ეგზავნებოდა. სახელმწიფოთა სიაში ალანეთი იხსენიება სომხეთისა და ივერიის შემდეგ და აფხაზეთის, ხაზარეთის და რუსეთის წინ. სპეციალისტებმა ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებასაც, რომ იმპერატორის მიმართვის ფორმულის მიხედვით, ალანთა მბრძანებელი დამოუკიდებელ ხელისუფლად გვევლინება. აბაზგების, იბერების, ალანების და კავკასიის სხვა ხალხთა ხელისუფლები იმპერატორისაგან ბრძანებას („კელევსის") ღებულობდნენ, მაშინ როდესაც ალანთა მბრძანებელს იმპერატორი მიმართავს როგორც „თავის სულიერ შვილს"[20].

ალანთა მნიშვნელობის ზრდით უნდა აიხსნას ის დაინტერესებულობა, რომელიც ბიზანტიის მმართველმა წრეებმა მათი გაქრისტიანების საქმის დაგვირგვინებისადმი გამოიჩინეს. ალანთა ოფიციალური გაქრისტიანება მოხდა 921—925 წწ. შორის პატრიარქ იოანე მისტიკოსის დროს. ბიზანტიის სასულიერო წრეებს ამ საქმეში დიდი მხარდაჭერა აღმოუჩინა აფხაზთა მეფე გიორგიმ (921—955). ალანთა გაქრისტიანებიდან ისიც გარკვეულ პოლიტიკურ სარგებელს გამოელოდა — გაეადვილებინა მათი მხარდაჭერა იმ ბრძოლაში, რომელიც ქართულ სამეფო-სამთავროთა შორის გაიშალა ქვეყნის გაერთიანებისათვის და რომელშიც აფხაზეთის სამეფოც აქტიურად იყო ჩაბმული.

საბოლოოდ გაქრისტიანებული ოსეთი კონფესიურად კონსტანტინოპოლის პატრიარქატს ექვემდებარებოდა. X საუკუნიდან ალანთა ეპარქია ფიგურირებს სპეციალურ ნოტიციებში (სიებში). ნ. მისტიკოსის დროს ალანთა ეპარქს ჯერ არქიეპისკოპოსის, შემდეგ კი მიტროპოლიტის რანგი მიენიჭა. ეპარქიათა სიაში იგი რუსეთის მომდევნო, 61-ე ადგილზე იყო. X ს-ის მეორე ნახევარში იხსენიება ტიპიკონი ალანთა მიტროპოლიტ ნიკოლოზისათვის[21].

X ს-ის დასასრულისათვის ალანთა სამიტროპოლიტო კათედრა ისეთი გავლენიანი შეიქმნა, რომ კონსტანტინოპოლის სინოდმა სპეციალური დადგენილებით კერასუნტის წმ. ეპიფანეს სახელობის მონასტერს დაავალა მომსახურებოდა ალანთა ეპარქსა და მის ამალას, როცა ისინი კონსტანტინოპოლში მიდიოდნენ ან იქიდან ბრუნდებოდნენ. 1022 წ. ალანეთის სამღვდელოების დელეგაციამ იმპერატორ ვასილ ბულგართმმუსვრელთან მიაღწია დასახელებული მონასტრის მათ განკარგულებაში გადაცემას, მაგრამ მალე იმპერატორის რესკრიპტით ძველი მდგომარეობა აღდგა[22].

[19] В. А. Кузнецов, Алания в X—XIII вв., Орджоникидзе, 1971, გვ. 17.

[20] Ю. Кулаковский, Аланы..., გვ. 53; Б. В. Скитский, Хрестоматия по истории Осетии, I, 1956, გვ. 22; В. А. Кузнецов, დასახ. ნაშრომი, გვ. 20.

[21] Ю. Кулаковский, Христианство у алан, Византийский временник, V, 1899, გვ. 6; გეორგიკა, IV, ნაკვ. 2, გვ. 144, 149.

[22] В. А. Кузнецов, დასახ. ნაშრომი, გვ. 27.

ალან-ოსთა მიერ ბიზანტიიდან ქრისტიანობის მიღების შემდეგ მათი ურთიერთობა კიდევ უფრო განმტკიცდა. 922 წ. პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი ემუქრებოდა ბულგარეთის მეფე სიმონს, რომ მის წინააღმდეგ მოაწყობდა უნგრელების, პაჭანიგების, რუსების, ალანებისა და სხვ. შემოსევას, რომლებიც მთლიანად ამოჟლეტდნენ ბულგარელებს. კოალიცია არ შედგა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ბიზანტია ალანებს განიხილავდა როგორც მოკავშირე ძალას[23].

ბიზანტიისათვის ალან-ოსთა მნიშვნელობას, მათი ქრისტიანობის გარდა, განაპირობებდა ის გარემოებაც, რომ XI საუკუნიდან მისი ძლიერება საგარეო და საშინაო გართულებათა გამო დაღმავალი გზით წავიდა. თურქ-სელჩუკთაგან მომდინარე საფრთხეს დაერთო ნორმანებთან და ჯვაროსნებთან ურთიერთობის გამწვავება. ამას შინაპოლიტიკური აშლილობის გაძლიერება მოჰყვა. ამის შესაბამისად ბიზანტიას ალანთა მიმართ სხვა ინტერესებიც გაუჩნდა. აქამდე წყაროები მოგვითხრობდნენ ბიზანტიელთა მიერ ალანების ადგილზე — კავკასიაში გამოყენებას სასანური ირანის, არაბების, ხაზარების და სხვათა წინააღმდეგ. ახლა კი ბიზანტია მიმართავს ალანთა დაქირავებული რაზმების გამოყენებას თავის საკუთარ ტერიტორიაზე — მცირე აზიასა და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე საგარეო და საშინაო მტრების წინააღმდეგ.

ბიზანტია-ალანეთის ურთიერთობაში ამ ახალი ვითარების შექმნაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა საქართველოს სამეფო-სამთავროთა გაერთიანების საქმის წარმატებით დამთავრებას. გაერთიანებული საქართველო კავკასიაში ბიზანტიის მემკვიდრეობას იჩემებდა და ოსებთან ურთიერთობაშიც წარმატებით შეენაცვლა მას.

ბიზანტია ენერგიულად ცდილობდა საქართველოს გაერთიანების საქმისათვის ხელის შეშლას, მაგრამ უშედეგოდ. ამის მიუხედავად იგი მაინც ახერხებდა ოსთა სამხედრო ძალის თავის ინტერესებისათვის გამოყენებას.

1025 წ. იმპერატორმა ვასილ II ორესტის სარდლობით ჯარი გაგზავნა იტალიაში. ბიზანტინისტ ვ. ვასილევსკის ნაშრომზე დაყრდნობით ვ. კუზნეცოვი ლაშქრის შემადგენლობაში ალანებსაც ვარაუდობს[24].

1045 წ. ბიზანტიამ სომხეთში დაიკავა ანისის სამეფო. სომეხთა მიწების ნაწილი დვინის ამირა აბულ-სოვარის ხელში იყო. მათი განთავისუფლებისათვის დვინზე მოეწყო ბერძენ-სომეხთა გაერთიანებული ლაშქრობა მიხეილ იასიტის მეთაურობით. ლაშქრობის მონაწილედ იხსენება კონსტანტინე ალანიც[25].

ბიზანტიელი მწერლების ცნობებით, ბიზანტიის მიერ ალან-ოსთა სამხედრო რაზმების გამოყენება სისტემატურ ხასიათს ატარებდა. რამდენადაც ოსეთი ბიზანტიის ვასალი არ ყოფილა, ამდენად ამ რაზმების გამოყენება დაქირავების საფუძველზე ხდებოდა. წყაროები ამ გარემოებას ხშირად უსვამენ ხაზს.

ცნობილი ბიზანტიელი სარდალი, პოლიტიკური მოღვაწე და ისტორიკოსი, იმპერატორ ალექსი კომნენეს სიძე ნიკიფორე ვრიენოსი ვრცლად აგვიწერს ალექსის კესაროსობის დროს თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაში ალანი მეომრების — არაბატესა და ხასკარესის საარაკო გმირობასა და თავდადებას. მოვიტანთ ამ ადგილს: „ხოლო ერთმა ალანმა, კეთილშობილ ისაკთან (ალექ-

[23] Ю. Кулаковский, Аланы..., გვ. 54.
[24] В. А. Кузнецов, დასახ. ნაშრომი, გვ. 27.
[25] იქვე, გვ. 31.

სის ძმა — **გ. თ.**) მყოფ დაქირავებულთაგან, სახელად არაბატემ დაინახა, რომ ბარბაროსები (ე. ი. თურქები) აწვებოდნენ ძლიერად და სწრაფად და რომ მცირერიცხოვან მხლებლებთან ერთად ძმები განსაცდელში ვარდებოდნენ. შიშით, რომ ვინმეს რამე არ მოსწეოდა, მოელაპარაკა იგი ამხანაგს, სახელად ხასკარესს, რომელიც ხელქვეითი იყო ალექსი კომნენოსისა, და მოუწოდა მას, რომ მასთან ერთად ყოფილიყო,... ორივენი ჩამოსულიყვნენ ცხენებიდან და შუბებით შებრძოლებოდნენ მტერს. სირცხვილი იქნება, თქვა მან, როცა აქ არიან ალანები, კეთილშობილი და მამაცი ვაჟკაცები საფრთხეში ჩავცვივდეთ; სირცხვილი იქნება ეს მთელი ალანთა მოდგმისათვის. ასე ურჩევდა არაბატე, მაგრამ ხასკარესმა უარყო ეს რჩევა, რამდენადაც არაგონიერი, იმდენად გაბედული, იმიტომ, რომ, ამბობდა ის, თუ ასე მოვიქცეეთ, ჩავცვივდებით განსაცდელში, რომელიც არავითარ სარგებლობას არ მოგვიტანსო: ადგილი სწორია და ვაკეო. „მაგრამ თუ შენ ოდნავ მაინც მიჯერებ, თქვა მან, აი უკვე ახლოს არის ვიწროები, მივიდეთ იქ და, რომ ჩამოვალთ ცხენებიდან, ვიბრძოლებთ კეთილშობილურად. ამგვარად ხალხსაც (ე. ი. ალანებს) პატივს ვცემთ და მეთაურებსაც მოვუტანთ სარგებლობას“.

ასე თქვა ხასკარესმა. ხოლო არაბატე მას ბარბაროსულად ამაყად მოეპყრო. ჩამოვიდა სასწრაფოდ ცხენიდან... მან დაიწყო ბრძოლა ქვეითად. ხოლო თურქები განცვიფრებულები ასეთი არაჩვეულებრივი რამის ხილვით გაკვირვებულები იყვნენ. რა ხდება ესო? ხელში (არაბატეს) მოკლე შუბი ჰქონდა, პირველად თავდამსხმელს ეს შუბი მოარტყა გულში და მაშინვე ჩამოაგდო ის ცხენიდან. ერთმა იგი ისრით დასჭრა მარჯვენა ხელში, მაგრამ მან გამოიძრო ისარი ჭრილობიდან და იმავე ისრით გადაუხადა სამაგიერო ბარბაროსს, როგორც ოდესღაც ბრასიდასმა. მისი მამაცობით შეშინებულმა ბარბაროსებმა ცოტათი უკან დაიხიეს. მან ისარგებლა ამით, ავიდა სახურავზე და იქიდან დაუშინა ისრები. ამით ის ვიწრობში მყოფ მტერს ავიწროებდა. მაშინ ბარბაროსებმა მიატოვეს იგი და დიდი სისწრაფით დაესხნენ თავს მათ (ბერძნებს), მაგრამ ალექსი კომნენოსმა, თავის მრავალრიცხოვანი ხალხით მობრუნებულმა მტრისაკენ, პირველმა დასჭრა მოწინააღმდეგეთაგანი, ხოლო ხასკარესმა... დასჭრა ზურგში მეორე. შიშით შეპყრობილმა თურქებმა... უკან დაიხიეს. ხოლო მათ (რომაელებმა) მცირედი გაიარეს, ჩამოხდნენ ცხენებიდან და უშიშარ ადგილზე დაიბანაკეს. ღამით მოვიდა ის ალანიც, რომელიც ადრე ჩამოვიდა ცხენიდან. ამრიგად ყველა გადარჩა...“[26].

ძნელი სათქმელია, ჰქონდა თუ არა ადგილი მსგავს დიალოგს ბრძოლის ველზე არაბატესა და ხასკარესს შორის, მაგრამ ცნობილი სარდალი და ისტორიკოსი ასეთ სტრიქონებს რომ უძღვნიდა არაბატეს, ცხადია, მას სათანადო საფუძველი ჰქონდა ალანი მეომრის იშვიათი გაბედულებისა და თავგანწირვის სახით. ბიზანტიელებს არ სჩვეოდათ სხვა ხალხთა სათნოების თუ სამხედრო სიქველის აღნიშვნა და ხაზგასმა.

ალექსი კომნენეს კესაროსობის დროს, 1073 წელს, იმპერატორ მიხეილს აუჯანყდა ნორმანთა რაზმის მეთაური ურსელიოსი. იგი პონტოში წავიდა, დაიკავა სიმაგრეები, იღებდა ხარკს და აოხრებდა ქვეყანას. იმპერატორმა ნიკიფორე პალეოლოგი გაგზავნა ალანთა მთავართან (პროს ტონ არხონტა ალანი-

[26] გეორგიკა, V, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით (ტექსტის თარგმანი ეკუთვნის თ. ბ რ ე გ ვ ა ძ ე ს), თბ., 1963, გვ. 307—309.

ას) დაქირავებული ჯარის მოსაყვანად. „ნიკიფორემ 6 ათასი კაცი შეაგროვა ალანთაგან და წამოიყვანა პონტოში, რათა შეეჩერებინა ურსელიოსის თარეში. ალანებმა ხელფასი მოითხოვეს, რადგან ეს არ ჰქონდა (ნიკიფორეს)... ყველანი უკან გაბრუნდნენ. ბუნებრივია, რომ ცოტანი დარჩნენ. ურსელიოსი შეუბრძოლა, დაამარცხა და ბევრი მათგანი დახოცა, ხოლო გადარჩენილებმა თავი შეაფარეს პონტოს ქალაქებს“. მიხეილმა ურსელიოსის წინააღმდეგ ფართო რწმუნებებით აღჭურვილი ალექსი კომნენე გაგზავნა. ალექსის არც ჯარი ჰყავდა საკმარისი და არც ფული ჰქონდა მათ შესანახად. ალექსი „მივიდა ამასიაში, იპოვა (იქ) გადარჩენილი ალანები რიცხვით ასზე ნაკლები და ორმოცდაათზე მეტი[27], რამდენჯერაც თავს დაესხა მოწინააღმდეგეს. იმდენჯერ დაამარცხა ისინი“[28].

ანა კომნენეს „ალექსიადაში“ დაცულია არა ერთი ცნობა ალანთა შესახებ. იმპერატორ ალექსის ასული, ნიკიფორე ვრიენოსის მეუღლე ანა შესანიშნავად ერკვეოდა ბიზანტიის პოლიტიკურ ცხოვრებაში და მისი ცნობები ნდობას იმსახურებენ. იგი მოგვითხრობს არა მარტო ალანთა სამხედრო რაზმების გამოყენებაზე ბიზანტიის იმპერატორების მიერ, არამედ ცალკეული ალანური წარმოშობის პირთა დიდ როლზეც საიმპერატორო კარზე. კერძოდ, იგი ახსენებს იოანე ალანს, ალან მაგისტროსს, როსმიკს, რომლებიც სასახლის კარზე თუ სამხედრო უწყებაში დაწინაურებულ პირებს წარმოადგენდნენ.

ანას ცნობით, იმპერატორმა ნიკიფორე ბოტანიატემ (1078—1081) ილირიკის დუკად გაგზავნა გიორგი მონომახატი. რაღაც მიზეზების გამო იგი ამ დანიშვნას ცივად შეხვედრია. იმპერატორის მსახურებმა — „სკვითებმა“[29] ბორილემ და გერმანემ, რომლებიც მონომახატს მტრობდნენ, იმდენი აბეზღეს იგი იმპერატორთან, რომ მან მარიამ დედოფალს განუცხადა: ამ მონომახატში სახელმწიფოს მტერს ვხედავო.

ანა კომნენე აგრძელებს: „ეს სიტყვები გაიგონა იოანე ალანმა, მონომახატის საუკეთესო მეგობარმა, რომელმაც იცოდა, რომ ის სძულდათ სკვითებს, აბეზღებდნენ მას, გადასცა მას როგორც მეფის ნათქვამი, ისე სკვითთა ოინები და ურჩია ეზრუნა თავის თავზე“. მონომახატმა მართლაც ინახულა იმპერატორი, გაიმართლა თავი და სამსახური — ილირიკის დუკობა მიიღო[30].

ანას აღნიშნულ ცნობაში საინტერესოა იოანე ალანის პიროვნება. არ ჩანს კონკრეტულად ვინ იყო იგი, მაგრამ უეჭველია ის ფაქტი, რომ იოანე ახლო დგას საიმპერატორო კართან, მას შეუძლია იმპერატორის ნათქვამი ინტიმურ წრეში მოისმინოს და თავისი მეგობრის სასარგებლოდ გამოიყენოს.

---

[27] ნიკ. ვრიენოსის ამ ცნობის რუსულ თარგმანში ალექსისთან შეყრილ ალანთა რიცხვი 150-ს შეადგენს (Никифор Вриений, «Исторические записки», перевод с греческого В. Н. Карпова, СПб., 1858, გვ. 79).

[28] გეორგიკა, V, გვ. 309—311.

[29] ანა კომნენე „სკვითებს“ უწოდებს პაჭანიგებს, უზებს, ყივჩაყებს. ბიზანტიურ ისტორიოგრაფიაში ბულგარები და თათარ-მონღოლებიც ხშირად ფიგურირებენ „სკვითების“ სახელწოდებით. ბორილეს და გერმანეს ანა „წარმოშობით სლავებსაც“ უწოდებს. ვ. ზლატარსკი მათ ყივჩაყურ-ბულგარულ წარმოშობას მიაწერს (Анна Комнина, Алексиада, вступ. статья, перевод и коммент. Я. Н. Любарского, М., 1965, გვ. 449, შენიშ. 91). თ. უსპენსკი ბორილეს და გერმანეს სლავებად თვლის (История Византийской империи, т. III, М.-Л., 1948, გვ. 74).

[30] Анна Комнина, Алексиада, გვ. 38; გეორგიკა, VI, ს. ყაუხჩიშვილის თარგმანითა და რედაქციით, 1966, გვ. 46—47.

არანაკლებ საინტერესოა ანას ცნობები ალექსი კომნენეს მიერ საიმპერატორო ტახტის მოპოვების გარემოებათა შესახებ. მისი ამ ცნობების მიხედვით, დასახელებული ბორილე და გერმანე მტრობდნენ იმპერატორთან დაახლოებულ ალექსი და ისაკ კომნენებს. ეს უკანასკნელნი ცდილობდნენ თავისი მდგომარეობის განმტკიცებას. დედოფალმა მარიამმა ალექსი იშვილა, ხოლო ისაკმა „მოახერხა და დაუნათესავდა დედოფალს, მისი დისწული (ან ძმისწული) შეირთო ცოლად"[31].

მარიამ დედოფალი საქართველოს მეფის ბაგრატ IV ასული მართაა. დედამისი იყო ოსთა მეფის ურდურეს ასული, დურღულელის და, საქართველოს დედოფალი ბორენა. მარიამი გაათხოვეს იმპერატორ მიხეილ VII დუკა პარაპინაკზე (1071—1078). 1078 წ. მიხეილი ტახტიდან ჩამოაგდეს და იმპერატორი გახდა ნიკიფორე ბოტანიატე. მან მარიამი შეირთო. მიხეილისაგან მარიამს ჰყავდა შვილი — კონსტანტინე და ოცნებობდა მოხუცებული და უშვილო ნიკიფორეს შემდეგ იგი აეყვანა საიმპერატორო ტახტზე. მაგრამ ნიკიფორე თავისთვის სხვა მემკვიდრეს ეძებდა, რამაც საგონებელში ჩააგდო დედოფალი. ძმებმა კომნენებმა ეს მომენტი მარიამთან კიდევ უფრო დასაახლოებლად გამოიყენეს.

პროფ. გ. გოზალიშვილი დაწვრილებით აანალიზებს ანა კომნენეს ცნობებს მარიამისა და კომნენების დაახლოების გარემოებებისა და პროცესის შესახებ. მისი დაკვირვებით, კომნენები ქართველური წარმოშობისანი იყვნენ (კაპადოკიიდან), რამაც განაპირობა და გააადვილა მარიამისა და კომნენების პოლიტიკური დაახლოება[32].

ზემოაღნიშნულ ბორილეს და გერმანეს ეს დაახლოება არ გამოპარვიათ და განუზრახავთ კომნენების დაღუპვა. ანას მიხედვით, მათი ეს განზრახვა იმპერატორისადმი ერთგულებით კი არ აიხსნებოდა, არამედ იმით, რომ ბორილე თვითონ ცდილობდა ტახტის ხელში ჩაგდებას, გერმანე კი ხელს უწყობდა[33].

კომნენოსთა და, ამდენად, მარიამის წინააღმდეგ მიმართული მტრული გეგმები ცნობილი გახდა ტომით ალანისათვის, რომელიც მაგისტროსი იყო

---

[31] გეორგიკა, VI, გვ. 48—49. ნიკ. ვრიენოსის ცნობით, „მეფე მიხეილმა კურაპალატისსა ანა, დედა კომნენოსებისა, შვილებთან ერთად გამოიძახა გადასახლებიდან და ქორწინების საშუალებით დაინათესავა. თითონ ადრე იყო დაქორწინებული იბერთა მპყრობელის ბაგრატის ქალიშვილზე, მარიამზე, ხოლო ამისი დისშვილი ირინე, ქალიშვილი ალანეთის მფლობელისა, კურაპალატისსას უფროს შვილს ისაკს მისცა ცოლად" (გეორგიკა, V, გვ. 305—306).

ირინეს ვინაობის შესახებ მეცნიერებაში სხვადასხვა აზრია გამოთქმული. ზოგს იგი მარიამის დისწულად, ზოგსაც ძმისწულად მიაჩნია. აზრთა ეს სხვადასხვაობა წყაროებიდან მომდინარეობს. ანა კომნენეს ირინე მარიამის „ექსადელფედ" აქვს აღნიშნული, ვარიანტებში კი „ადელფეა". ი. ლიუბარსკის და ს. ყაუხჩიშვილის აზრით, „ექსადელფე" შეიძლება აღნიშნავდეს დისწულსაც და ძმისწულსაც. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ირინე არც დისწული და არც ძმისწული არ ყოფილა მარიამისა, არამედ იყო დედის ხაზით მისი ბიძაშვილი. მხოლოდ ასეთ კონტექსტში გამოდის იგი ალანთა მფლობელის შვილი. ვ. კუზნეცოვს ირინე სამართლიანად ალანთა მპყრობელის დურღულელის ასულად მიაჩნია (დასახ. ნაშრომი, გვ. 29). ირინე, ჩანს, მამიდაშვილს კონსტანტინოპოლში აღსაზრდელად გაყოლეს და იქვე გაათხოვეს კიდეც.

მარიამისა და ირინეს ნათესაობის შესახებ გამოთქმული მოსაზრებები გარჩეულია გ. გოზალიშვილის სტატიაში „კომნენოსთა დინასტიის ეთნიკური წარმომავლობის საკითხისათვის", ჟურნ. „მნათობი", № 8, 1972, გვ. 134.

[32] გ. გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, კომნენოსთა დინასტიის ეთნიკური წარმომავლობის საკითხისათვის, გვ. 120—124.

[33] Алексиада, გვ. 96; გეორგიკა, VI, გვ. 58.

წოდებით და იმპერატორთან დიდი ხნიდან — დაახლოებული (მსახურობდა მის კარზე). ამბის შეტყობისთანავე, შუაღამისას გამოვიდა სასახლიდან და კომნენებს უამბო ყველაფერი. ანას აზრით, „ზოგიერთი ამბობს, რომ მაგისტროსის გაგზავნა კომნენებთან არ უნდა მომხდარიყო დედოფლის ნების გარეშე"[34].

ანა კომნენეს ეს ცნობა უაღრესად საყურადღებოა. აშკარად ჩანს, რომ მარიამი კონსტანტინოპოლში ახლოს იდგა თავისი დედის თანატომელებთან — ოსებთან. ჩვენ არ ვიცით, ეს ალანი მაგისტროსი იგივე იოანე ალანია თუ არა, რომელსაც ანა მონომახტის ამბავთან დაკავშირებით ახახელებს. როგორც არ უნდა იყოს, ისინი ახლოს არიან მარიამთან (შეიძლება ნათესავებიც იყვნენ) და ეს უკანასკნელი მათ საიმპერატორო კარზე მიმდინარე პოლიტიკურ ბრძოლაში თავის დასაყრდენად იყენებს. ანას ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ ალანი მაგისტროსი მარიამის თანამოაზრე და დასაყრდენია[35].

ალექსი კომნენემ მაგისტროსი თავის დედა ანა დალასინასთან და ძმა ისაკთან შეიყვანა. მათაც მოისმინეს საშინელი ცნობა და გადაწყვიტეს დაესწროთ მოვლენათა განვითარებისათვის. ყველაფრიდან ჩანს, რომ კომნენებს ჩაფიქრებული ჰქონდათ ტახტის ხელში ჩაგდება მარიამის დასტურით. მაგრამ, ეტყობა, ბოლომდე არ ენდობოდნენ მას და ფრთხილობდნენ, ეშინოდათ, რომ დედოფალი მათ მხოლოდ თავის შვილისათვის ტახტისაკენ გზის გასაკაფავად გამოიყენებდა. შესაძლებელია, ბორილესა და გერმანესაგან მომდინარე საფრთხე თვით მარიამმა საგანგებოდ გააზვიადა, რათა კომნენები აეძულებინა გადამწყვეტი ნაბიჯი გადაედგათ. მაგრამ თუ ასეთი ვარაუდი სწორია, ისიც უნდა წარმოვიდგინოთ, თუ რაოდენ არამყარი იყო თვით მარიამის მდგომარეობაც, რომელიც კომნენებზე დაყრდნობით თავის შვილის მომავალს სასწორზე დებდა. ალექსის პირობა, რომ წარმატების შემთხვევაში მარიამის ძეს — კონსტანტინეს თანამეფედ გაიხდიდა, სრულიადაც არ იყო საიმედო (მით უფრო ბიზანტიის პირობებში). ეს მალე დადასტურდა კიდეც. როცა ალექსი იმპერატორი გახდა, მან კონსტანტინეს თანამეფობა ჩამოართვა, მარიამი კი ალექსის საწინააღმდეგო შეთქმულებაში ჩაება. მაგრამ მარიამს მაშინ, ჩანს, სხვა გზა არ ჰქონდა. მოხუცი იმპერატორი არ ენდობოდა თავის ახალგაზრდა მეუღლეს და ტახტის კანონიერ მემკვიდრეს, ეს კი მათ სიცოცხლეს საფრთხეში აგდებდა.

ალექსის იმპერატორობის დროს (1081—1118) ალანები კვლავ ბიზანტიის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობდნენ. ბიზანტიელი დიდკაცობის ცალკეული წარმომადგენლები ქორწინდებიან ოს ქალებზე. ერთ-ერთი ასეთი ქორწინების შესახებ მოგვითხრობს თვით ანა კომნენე. მისი ცნობით, კონსტანტინოპოლში იმყოფებოდა ენერგიული და გამბედავი თევდორე გავრა. ალექ-

---

[34] Алексиада, გვ. 97; გეორგიკა, VI, გვ. 59.

[35] ალანებთან — დედულეთთან მარიამის მჭიდრო ურთიერთობის მაჩვენებელი უნდა იყოს ის გარემოება, რომ ზოგი ბიზანტიელი მწერალი და ისტორიკოსი მარიამს ალანელად (ოსად) თვლიდა. იოანე ცეცე (1110—1180) აღნიშნავდა, რომ მარიამს „ბევრნი არაზედმიწევნით ალან ქალს ეძახიან" (გეორგიკა, VII, თბ., 1967, გვ. 23). იოანე სკილიცეს ისტორიის გამგრძელებელი მას „მარიამ ალანელს", „ავგუსტა ალანთაგანს" უწოდებს (გეორგიკა, VI, გვ. 164, 166). ალანთაგანადაა იგი მიჩნეული იოველის „მოკლე ქრონოგრაფიაშიც" (გეორგიკა, VI, გვ. 160). «История Северо-Осетинской АССР»-ში (М., 1959, გვ. 57—58) მარიამი შეცდომით „ალანთა მეფის ასულად" არის მიჩნეული, რომელიც თითქოს მძევლად იმყოფებოდა ბიზანტიაში და გადედოფლდა.

სიმ მისი თავიდან მოშორება გადაწყვიტა და ტრაპიზონის დუკად დანიშნა. იგი აქ ისე გაძლიერდა, რომ ტრაპიზონი საკუთრებასავით გაიხადა. თევდორემ თავისი ვაჟი გრიგოლი დანიშნა იმპერატორის ძმის — ისაკის ქალზე. დანიშნულები მცირეწლოვანები იყვნენ. მალე თევდორე თვით დაქვრივდა და შეირთო ერთი წარჩინებული ალანი ქალი. გავრას ცოლი და სევასტოკრატორის (ისაკის) მეუღლე ირინე ორი დის შვილები აღმოჩნდნენ. როცა ეს ამბავი გამოირკვა, დაწინდვა გაუქმდა და ქორწინება აღარ შედგა[36].

ბიზანტია-ალანთა ურთიერთობა სამხედრო სარბიელზეც არ შეწყვეტილა. ალექსი კომნენს ცხარე ბრძოლების გადახდა მოუხდა დასავლეთ საზღვრებზე ჯერ რობენტ გვისკარის (სიცილიის ჰერცოგის), შემდეგ მისი ვაჟის — ბოემუნდის წინააღმდეგ. 1108. წ. ალექსიმ ბოემუნდის წინააღმდეგ ჯარი გაგზავნა კანტაკუზინის სარდლობით. კანტაკუზინის ჯარში იმყოფებოდა ალანთა ჯარი ექსუსიოკრატორ როსმიკის სარდლობით. ქ. მილოსთან ბრძოლაში როსმიკი მარჯვენა ფლანგს სარდლობდა, სადაც იდგნენ მისი თანამეტომენი — მამაცი ალანები[37].

უცხოელთაგან დაქირავებული ჯარის რაზმებს ფართოდ იყენებდნენ კომნენთა დინასტიის სხვა იმპერატორებიც. XII—XIII სს. ისტორიკოსი ნიკიტა ხონიატა ერთგვარი სინანულით აღნიშნავს, რომ მანუილ კომნენე (1143—1180) ძალიან სწყალობდა უცხოელებს, ნახევრადბარბაროსებს, მათ გავლენაში იყო, ამდიდრებდა მათ, რომელთაც ბერძნულიც კი არ იცოდნენო.

მანუილ კომნენს 1174 წ. სასტიკი ომი ჰქონდა თურქებთან. ბიზანტიის ჯარი მარცხს მარცხზე განიცდიდა. ერთ-ერთ ბრძოლაში თურქთა ჯარი ათაბაგის სარდლობით მდ. მეანდრთან (ფრიგიაში) ხაფანგში მოემწყვდა. მდინარის ორსავე ნაპირზე ბიზანტიის ჯარები იყო განლაგებული. ათაბაგმა ფარით გადასცურა მდინარე. „როცა ის უკვე მეორე ნაპირზე აღმოჩნდა, ავიდა ბორცვზე და ხმამაღლა და ამაყად აცხადებდა თავის ვინაობას, რათა გარშემო შემოეკრიბა სხვა თურქებიც, იგი მახვილით მოკლა არა რომელიმე წარჩინებულმა და მისმა მცნობმა რომაელმა (ბიზანტიელმა. — **გ. თ.**), არამედ ერთმა დაქირავებულმა ალანმა, რომელმაც მიირბინა იმ ადგილთან, სადაც იგი აპირებდა თავის არაჩვეულებრივი ცურვის დასრულებასო“. სარდლის დაღუპვამ თურქთა პანიკური უკანდახევა გამოიწვია, რომლის დროსაც მათი უმრავლესობა დაიღუპა. ამან ბიზანტიის მდგომარეობა გამოასწორაო, — წერს ნ. ხონიატა[38].

1185 წელს ნორმანთა ლაშქარი სიცილიის მეფის ძმისწულის ტანკრედის და ადმირალ მარგარიტონის სარდლობით დასავლეთიდან შემოიჭრა ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე. ადრიატიკის ზღვის ნაპირზე მათ აიღეს დრაჩი (დირახია). იმავე წლის აგვისტოში გრაფების რიჩარდის და ბალდუინის სარდლობით ნორმანთა ჯარი მოადგა თესალონიკს (სოლუნს).

---

[36] **Алексиада**, გვ. 243. ირინე და თევდორე გავრას ალანი მეუღლე რომ ურთიერთის დეიდაშვილები იყვნენ, ამაგრებს მოსაზრებას, რომ ირინე ძმისწული იყო მარიამისა. ამ ფაქტის აღნიშვნისას ვ. კუზნეცოვი თვლის (შეცდომით), რომ გრიგოლ გავრა დაქორწინდა ირინეს ნათესავზე (დასახ. ნაშრომი, გვ. 29). როგორც ანა მოგვითხრობს, ეს ქორწინება, არ შედგა თევდორეს ქორწინების გამო.

[37] იქვე, გვ. 253.

[38] **Никиты Хонята история, начинающаяся с царствования Иоанна Комнина**, т. I (1118—1185), пер. под ред. проф. В. И. Долоцкого, СПб., 1860, გვ. 249.

ქალაქის დაცვის საქმე ცუდად იყო ორგანიზებული. სარდალმა დავით კომნენემ სრული უუნარობა გამოავლინა. ქალაქის გარნიზონი ძირითადად უცხოელებისაგან — ალანებისა და იბერიელებისაგან შედგებოდა. 24 აგვისტოს ნორმანებმა ქალაქი აიღეს, გაძარცვეს, მოქალაქეები გაჟლიტეს[39]. ტყვედ ჩავარდა სოლუნის ეპისკოპოსი ევსტათი. მას დაწერილი აქვს ნაშრომი „თესალონიკის აღება ნორმანთა მიერ". მისი ცნობით, ქალაქის თავი სტრატეგოსი დავითი იმპერატორისადმი სიძულვილის გამო ქალაქის ინტერესებს ღალატობდა, მაშინ როდესაც გარნიზონი საბრძოლოდ იყო განწყობილი. „მათ შორის გამოირჩეოდნენ ალანები და ზოგიერთი იბერები..."[40].

1185 წ. ნორმანების მიერ თესალონიკის აღებისას მრავალი ალანი (ოსი) მეომარი დაიღუპა.

ბიზანტიელები მალე შეტევაზე გადავიდნენ. სარდალმა ალექსი ვრანამ 1885 წ. ოქტომბერ-ნოემბერში მოსინოპოლთან და ამფიპოლთან ბრძოლებში დაამარცხა ნორმანთა ჯარები, ტყვედ ჩაიგდო რიჩარდი და ბალდუინი. ნორმანთა არმიის გადარჩენილმა ნაწილებმა თესალონიკში მოიყარეს თავი, რათა გემებით გაქცეულიყვნენ. ნ. ხონიატა მოგვითხრობს, რომ ნორმანები თესალონიკში გაჟლეტილ იქნენ უპირატესად დაქირავებული ალანების მიერ იმის სანაცვლოდ, რაც ქალაქის აღებისას ნორმანებმა მათ დამართეს. „სადაა ჩემი ძმა (ე. ი. თანამემამულე ალანი, რომელიც მათ თესალონიკის აღების დროს მოკლეს). — ეკითხებოდნენ შეპყრობილ ნორმანებს და კითხვასთან ერთად მახვილს უყრიდნენ"[41]...

ბიზანტიის ინტერესებისათვის ბრძოლაში ალანები გერმანიის იმპერატორ ფრიდრიხ ბარბაროსას ლაშქარსაც შეხვდნენ. პალესტინაში ჯვაროსნული ლაშქრობისათვის ბიზანტიის ტერიტორიაზე მიმავალ ფრიდრიხსა და იმპერატორ ისაკ ანგელოსს შორის კონფლიქტი წარმოიქმნა. 1189 წ. შემოდგომაზე ქ. ფილიპოპოლთან ბიზანტიის ლაშქარსა და ალემანებს (გერმანელებს) შორის ბრძოლა მოხდა. ბრძოლის მსვლელობას აგვიწერს იგივე ნ. ხონიატა. მისი ცნობით, ხუთი ათასზე მეტი კაცი, რკინაში ჩამჯდარნი, სწრაფად დაიძრნენ ბიზანტიის ლაშქრის წინააღმდეგ. ისინი მოულოდნელად შეეჯახნენ ბიზანტიელთა ჯარს. გახურდა ბრძოლა. „ალანები, რომლებიც ალექსი ვრანას ძის თევდორეს სარდლობაში იმყოფებოდნენ, დაეცნენ თითქმის უკანასკნელ კაცამდე, რადგან ბრძოლაში ალემანებთან პირველნი და მხოლოდ ისინი შევიდნენ. ბიზანტიელები კი სამარცხვინოდ გაიქცნენ ბრძოლის ველიდან ისე, რომ მოწინააღმდეგე კარგად არც კი დაუნახავთ"[42].

საერთოდ, ბიზანტიელები პანიკური შიშით იყვნენ შეპყრობილი დასავლეთ ევროპელი რაინდების წინაშე. იმპერატორი მანუილი ბერძენთა ჯარით მათზე გალაშქრებას ვერ ბედავდა. მისი აზრით, ბიზანტიელი მეომრები ისეთსავე შეფარდებაში არიან ლათინ (დასავლეთ ევროპელ) მეომრებთან, როგორც თიხის ქოთანი ლითონის ქვაბთან. ნიკიტა აკომინატის სიტყვებით, ლათინი მე-

---

[39] Ф. Успенский, История Византийской империи, т. III, 1948, გვ. 318—319.

[40] გეორგიკა, 8, ტექსტი თარგმნა და კომენტარები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1970, გვ. 14.

[41] Никиты Хонята история, т. 2 (1186—1206), пер. проф. Н. В. Чельцова, СПб, 1862, გვ. 249.

[42] იქვე, გვ. 71—72.

ომრები უძლეველი გოლიათები არიან, რომელთა მარტო სახელი აშინებს ბიზანტიის ჯარს და სარდლისადმი მორჩილებას ავიწყებსო[43].

აი ასეთ მტერთან ბრძოლაში ბიზანტიის მმართველი წრეები ძირითადად დაქირავებულ ლაშქარს ემყარებოდნენ, რომელთა შორის ალანთა რაზმებს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ. ისინი დიდ ერთგულებასა და თავდადებას იჩენდნენ დამქირავებლის მიმართ, რითაც აიხსნება საერთოდ უცხოელთა მიმართ ქედმაღალი ბიზანტიელი მწერლებისა და ისტორიკოსების მიერ ალანთა საბრძოლო თვისებებისა და შემართების მაღალი შეფასება.

მონღოლთა შემოსევების შედეგად ალან-ოსთა სახელმწიფო განადგურდა. ოსთა ნაწილმა მთებში (კავკასიონის) პოვა თავშესაფარი, სხვები კი სხვადასხვა მიმართულებით გაიფანტნენ და თანდათან სხვადასხვა ხალხებში გაითქვიფნენ. დასავლეთით წასულმა ალანთა ერთმა ჯგუფმა ბიზანტიის იმპერიაში მოახერხა დასახლება. ნიკიფორე გრიგორას ცნობით, ალანთა ერთმა ჯგუფმა ბიზანტიაში ელჩები გაგზავნა და იმპერატორის სამსახურში შესვლის ნებართვა ითხოვა. იგი მათ დახასიათებასაც იძლევა: „მათ საერთოდ ალანებს უწოდებენ, ადრიდანვე მიიღეს ქრისტიანობა და მართალია შემდეგში დამორჩილდნენ სკვითებს (თათარ-მონღოლებს. — **გ. თ.**) ფიზიკურად, იძულებით, დაუთმეს რა მათ ძლიერებას, მაგრამ სულში მუდმივად უღვიოდათ სანუკვარი ოცნება დამოუკიდებლობაზე... იმპერატორმა კეთილგანწყობილად მიიღო ისინი და 10 ათასზე მეტი ალანი მოვიდა ბიზანტიაში ცოლებითა და შვილებით“[44].

ბიზანტიის სამსახურსა და ტერიტორიაზე გადასულ ალანთა ამ მრავალრიცხოვან ჯგუფს, შესაძლებელია, სხვა ჯგუფებიც მოჰყვა. ისინი ემსახურებოდნენ იმპერატორებს დაქირავებული ჯარის სახით. ალანების ბიზანტიის სამსახურში ყოფნის შესახებ XIV ს-ის დასაწყისში მოგვითხრობს ცნობილი რუსი ბიზანტისტი თ. უსპენსკი ბიზანტიაში ესპანელი რაინდების — კატალანებისა და მათი მეთაურის როჟერის მოქმედების გადმოცემასთან დაკავშირებით. ამ ესპანელ დაქირავებულთა ბელადი, ნიჭიერი და გაბედული როჟერი დასუსტებულ ბიზანტიის იმპერიაში დიდ გავლენასა და პატივს მოიპოვებს. მან კესაროსობის პატივი მიიღო და თავის უსაზღვრო ძლიერებით იმპერატორ ანდრონიკეს და მის ძეს მიხეილს დიდ საფრთხეს უქმნიდა.

როჟერის სარდლობის ქვეშ თურქთა წინააღმდეგ იბრძოდნენ კატალანები, ალანები და ბერძნები. როცა როჟერმა იმპერატორისაგან დაქირავებული ჯარისათვის დასარიგებლად ფული მიიღო, მან ალანთათვის გათვალისწინებული ფულიც გამოართვა, მაგრამ დარიგებისას ალანებს დააკლო კუთვნილი და თავის რაზმებს მიჰკერძა. ამ ნიადაგზე კატალანებსა და ალანებს შორის გაჩაღებულ ჩხუბში დაიღუპა ალანთა ბელადის შვილი. ეს მომხდარა 1303 წ. აპრილში. სულ მალე, 1304 წ. როჟერსა და საიმპერატორო ხელისუფლებას შორის ურთიერთობა კიდევ უფრო გამწვავდა. ანატოლიაში სალაშქროდ გამგზავრების წინ როჟერი დიდი რაზმით გაემგზავრა ადრიანოპოლთან მდგარ იმპერატორ მიხეილთან, რათა თავისი ზურგი უზრუნველეყო. მიხეილის მეუღლის კარვის ზღურბლზე როჟერი დაკლა ალანთა ბელადმა, რომელმაც შური

---

[43] Византийский историк Никита Акоминат из Хон, пер. Ф. Успенского, СПб, 1874, გვ. 84, 89—90.

[44] Римская история Никифора Григоры..., «Византийские историки», СПб., 1862, გვ. 200—201; В. А. Кузнецов, დასახ. ნაშრომი, გვ. 44.

იძია კატალანების მიერ მოკლული შვილისათვის[45]. როჟერის დაღუპვამ მიხეილს შესაძლებლობა მისცა ანგარიში გაესწორებინა კატალანებთან და გაეძევებინა ქვეყნიდან.

რა თქმა უნდა, აღნიშნული ფაქტებით არ ამოიწურებოდა ოსთა რაზმების მონაწილეობა ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკურ ცხოვრებაში — მის საგარეო თუ საშინაო ომებში. ბიზანტიელ ისტორიკოსთა თხზულებებში შეუძლებელია ასახულიყო მათი ოსებთან ურთიერთობის ყველა ფაქტი. არც იმის თქმა შეიძლება, რომ ამ წყაროებში ასახული ყველა ფაქტი ჩვენთვის ცნობილია და მათი გამრავლება აღარ შეიძლება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბიზანტიის პოლიტიკურ ცხოვრებაში ოსთა მონაწილეობის მასშტაბი ბევრად უფრო ფართო იყო, ვიდრე ეს წარმოგვიდგება ჩვენთვის ცნობილი ფაქტებით.

მონღოლთა შემოსევების შემდგომ ხანაში ჩრდილო კავკასიელი ალანების (ოსების) ურთიერთობა ბიზანტიასთან შეწყდა. მასთან ურთიერთობას აგრძელებდნენ ის ალანები, რომლებიც ბალკანეთის ნახევარკუნძულზე გადასახლდნენ. ბალკანეთის მთიან რაიონებში ალანები მოიხსენიებიან თურქების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგაც. დუკას (1400—1470) ცნობით, 1462 წ. თურქების სულთანმა მუჰამედ II 150 ათასიანი არმიით ილაშქრა ვლახეთში. „ვლახებმა და ამათ იქით მყოფმა ყველა ხალხმა... სოფლები უკაცრიელი დატოვეს და ალანებისა და ჰუნებისაკენ მთებში გარეკეს ყველა ჯიშის ცხოველი, და თვით თავიანთ ჯართან ერთად ცხოვრობდნენ მიუვალ ადგილებსა და უღრან ტყეებში“[46].

* * *

მოკლედ უნდა შევეხოთ ოსეთში ქრისტიანული რელიგიის შემდგომ ბედს. X ს-ის დასაწყისში ალან-ოსებმა ოფიციალურ რელიგიად გაიხადეს ქრისტიანობა. ოსეთი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სამიტროპოლიტო კათედრად იქცა. უმაღლესი სამღვდელოება აქ ბერძენთაგან კომპლექტდებოდა.

ქრისტიანობის გავრცელებას ოსეთში, საერთოდ რელიგიის რეაქციული ხასიათის მიუხედავად, განსაზღვრული პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა, რამდენადაც განამტკიცებდა მის კავშირ-ურთიერთობას მოწინავე ფეოდალური კულტურის ქვეყნებთან, ხელს უწყობდა ადგილზე დამწერლობის, განათლების, საეკლესიო ხუროთმოძღვრების გავრცელებას.

X—XI სს ოსთა ყოფილ განსახლების ადგილზე — მდ. ყუბანის და მისი შენაკადების სათავეებში ათეულამდე ქრისტიანული ტაძარი აიგო. განსაკუთრებით ბევრი შემორჩა ასეთი ტაძრის ნაშთი მდ. ზელენჩუკის ხეობაში, ძველი ნაქალაქარის ადგილზე. მათგან სამი განსაკუთრებით კარგად შემოინახა და ერთი მათგანი XIX ს-ის დამლევს მოქმედ ტაძრადაც კი აქციეს. ამ ტაძარს სპეციალისტები (ვ. სისოევი, ბ. სკიტსკი და სხვ.) ალანთა სამიტროპოლიტოს კათედრალურ ტაძრად მიიჩნევდნენ.

X—XI სს. ოსეთზე ბიზანტიის იდეოლოგიური გავლენის კულმინაციური პერიოდია. საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის წარმოქმნისა და განმტკიცების კვალობაზე კავკასიაში ბიზანტიის გავლენა სუსტდება და იგი

---

[45] Ф. Успенский, История Византийской империи, т. III, გვ. 673, 676.

[46] გეორგიკა, 8, გვ. 34.

საქართველოს გავლენით იცვლება, იგი კავკასიაში ბიზანტიის მემკვიდრეობას იჩემებდა და მის ადგილს თანდათან იკავებდა.

ამ გარემოებით უნდა აიხსნას, ჩვენი აზრით, ის ფაქტი, რომ უკვე ალექსი კომნენეს (1081—1118) დროს (ქრონოლოგიურად მისი იმპერატორობა ემთხვევა საქართველოში დავით აღმაშენებლის მეფობას) დაისვა საკითხი ალანთა ეპარქიის სხვა საეკლესიო ოლქთან გაერთიანების შესახებ იმ მოტივით, რომ ალანეთში (ოსეთში) არ იყო ისეთი დაბა-ქალაქი, რომელშიც კათედრა იქნებოდა დაფუძნებული. თითქოს მხოლოდ ამის გამო იგი სოტიროპოლის კათედრასთან გააერთიანეს. სოტიროპოლი მკვლევრებს (ი. კულაკოვსკი, ს. ყაუხჩიშვილი) გაიგივებული აქვთ ბიჭვინტასთან, რომელიც აბაზგ-ზიხიის კათედრის ცენტრად არის მიჩნეული. ეს აზრი უარყო პ. ინგოროყვამ, რომელიც სოტიროპოლს ხოფთან, ტრაპიზონსა და რიზეს შორის ათავსებს[47].

აღნიშნული ფაქტიდან ჩვენ ის დასკვნა გამოგვაქვს, რომ ამ დროისათვის ოსეთში ბიზანტიელთა სამისიონერო მოღვაწეობას სერიოზული დაბრკოლებები ხვდება. საქართველო ააქტიურებს თავის ღონისძიებებს ჩრდილო კავკასიისთვის პოლიტიკური და იდეოლოგიური გავლენის ორბიტაში მოქცევისათვის, რამაც დავით აღმაშენებლის დროს სერიოზულ წარმატებებს მიაღწია კიდეც. ყოველივე ეს ბიზანტიის პოზიციების შესუსტების ხარჯზე ხდებოდა. უკანასკნელი არ ურიგდებოდა თავისი პოზიციების დაკარგვას ოსეთში და უკეთესი დროის მოლოდინში ალანთა უკვე ფიქტიური კათედრა სხვა კათედრასთან შეაერთა, რათა შეენარჩუნებინა იგი თავის ეპარქიათა სიაში და ხელსაყრელ პირობებში თავდაპირველი სახით აღედგინა.

როცა XIII ს-ის 30-იანი წლების, ბოლოს კავკასიამ მონღოლთა შემოსევა განიცადა, ბიზანტიამ სცადა ესარგებლა ამ გარემოებით და, დამკვიდრებული ტრადიციის დარღვევით, ალანი სამღვდელო პირი წარმოავლინა ალანთა ეპარქიის მეთაურად. თევდორეს ოსურ ენაზე ქადაგებით თავის თანატომელთა შორის ბიზანტიის გავლენა უნდა აღედგინა.

თევდორეს წერილიდან პატრიარქისადმი კარგად ჩანს, რომ მას ალანეთში მძიმე მდგომარეობა დახვედრია. ვინმე ლაზს (დასავლეთ საქართველოდან), უეჭველია, სასულიერო პირს, ოსეთში ადგილობრივ პირთაგან მღვდლები შეურჩევია და უკურთხებია. თევდორეს ამაში თავისი პრესტიჟის შელახვა დაუნახავს და მათი შეცვლა გადაუწყვეტია, მაგრამ ეს ვერ მოუხერხებია და მხოლოდ ხელმეორედ უკურთხებია ისინი[48]. ამ ფაქტში არ შეიძლება არ დავინახოთ ბიზანტიისა და საქართველოს სათანადო წრეების მეტოქეობა ოსეთის დასავლეთ ნაწილში. რაც შეეხება ოსეთის აღმოსავლეთ რაიონებს, აქ ქრისტიანობა საქართველოდან გავრცელდა და ამ საქმეში მეტოქე არ ჰყოლია.

აღნიშნულის გამო მართებულად არ მიგვაჩნია ვ. კუზნეცოვის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ალექსი კომნენეს მიერ სოტიროპოლის (აფხაზეთში მდებარედ მიჩნეული) კათედრის ალანთა ეპარქიასთან შეერთება ფაქტიურად ალანთა კათედრის მნიშვნელობის გაძლიერებას ნიშნავდა[49]. თუნდაც ერთი წუთით დავუშვათ, რომ სოტიროპოლის კათედრა აფხაზეთში იყო და იგი ალან-

[47] პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 249—263.

[48] Епископа Феодора «Аланское послание», Зап. Одесского общества истории и древностей, т. XXI, 1898, გვ. 25.

[49] В. А. Кузнецов, დასახ. ნაშრომი, გვ. 31—32.

თა კათედრას შეუერთეს, ეს ამ უკანასკნელის მნიშვნელობის ზრდის მაჩვენებელი ვერ იქნება. ამ დროს აფხაზეთი, მცხეთის პატრიარქის სამწყსოს წარმოადგენდა და თუ სოტიროპოლი აფხაზეთშია საგულვებელი, მაშინ მისი კათედრა, ბიზანტიის პატრიარქის დამოკიდებულებაში მყოფი, ფიქცია იქნებოდა. ამიტომ ანგარიშგასაწევია პ. ინგოროყვას აზრი სოტიროპოლის ხოფთან ლოკალიზაციის შესახებ. და ბოლოს, ალანთა კათედრა სოტიროპოლისას ხომ იმ მოტივით შეუერთეს, რომ ალანეთში არ იყო კათედრის ცენტრად გამოსადეგი დაბა-ქალაქი (ვ. კუზნეცოვის ციტირებულ ნაშრომში კი კარგადაა ნაჩვენები, რომ აღნიშნული ხანის ალანეთში არაერთი ქალაქი იყო!).

* * *

ოსების ურთიერთობა ბიზანტიასთან ამ უკანასკნელის ინტერესების კუთხით არის განხილული, რასაც განაპირობებს წყაროების ცნობების ცალმხრივობა. ოსური წერილობითი ძეგლების უქონლობა საშუალებას გვისპობს ამ ურთიერთობაში ოსთა ინტერესები სათანადოდ წარმოვაჩინოთ. ერთი რამ კი ნათელი უნდა იყოს: ეს ურთიერთობა სავსებით შეესაბამებოდა ოსეთის აღმავალი ფეოდალური კლასის ინტერესებს. განვითარებულ ფეოდალურ ქვეყნებთან ურთიერთობა განამტკიცებდა ოსეთის ფეოდალური წრეების პოზიციებს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე. გარდა ამისა, ეს წრეები ბიზანტიასთან ურთიერთობით მატერიალური თვალსაზრისითაც იყვნენ დაინტერესებული — სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ ქირის სახით მნიშვნელოვან სახსრებს ღებულობდნენ. გასათვალისწინებელია, რომ ადრეფეოდალურ ურთიერთობათა საფეხურზე მდგომ ოსეთში საკმაოდ ფართო უნდა ყოფილიყო ის საზოგადოებრივი ფენა, რომელსაც საარსებო საშუალებათა მოპოვება იარაღით უფრო ეხერხებოდა, ვიდრე მწარმოებლური შრომით (ასეთი ფენა განვითარებული ფეოდალური საზოგადოებისათვისაც არ იყო უცხო).

ოსებს დაქირავებული რაზმების თუ სხვა სახით ხშირად ხანგრძლივად უხდებოდათ ბიზანტიაში ყოფნა და საშუალება ეძლეოდათ ახლოს გასცნობოდნენ იმპერიის ხალხთა ცხოვრებასა და კულტურას. მოწინავე ფეოდალური კულტურის ქვეყანას არ შეიძლებოდა სათანადო გავლენა არ მოეხდინა ოსებზე. შემთხვევითი არაა, რომ ოსეთში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად ქცევა ბიზანტიასთან არის დაკავშირებული. ოსეთში ადგილი ჰქონდა ბერძნული ანბანის საფუძველზე დამწერლობის შექმნის ცდას (მხედველობაში გვაქვს ზელენჩუკის ცნობილი წარწერა, რომელიც გაშიფრეს ვს. მილერმა და ვ. აბაევმა, აგრეთვე XIII ს-ის მოგზაურის გ. რუბრუკვისის ცნობა, რომ ალანები ბერძნული წესის ქრისტიანები არიან და ბერძნულ დამწერლობას იყენებენ[50]). ოსური ადრეფეოდალური საზოგადოება მზად იყო ბიზანტიური კულტურის ელემენტების ასათვისებლად. საგარეო-პოლიტიკური ფაქტორების არახელსაყრელობამ ბიზანტია-ოსეთის ურთიერთობა თანდათან დაასუსტა და ბოლოს სულ შეწყვიტა.

---

[50] გ. რ უ ბ რ უ კ ვ ი ს ი, მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში (ფრანგულიდან თარგმნა გ. ქიქოძემ), მსკი, V, 1943, გვ. 37.

Г. Д. ТОГОШВИЛИ

ВИЗАНТИЯ И АЛАНИЯ

Резюме

В статье анализируются данные византийских письменных исторических источников об аланах-осетинах, свидетельствующие о существовании тесных политических связей между Византией и Осетией на разных этапах их истории. В сочинениях византийских историков аланы-осетины фигурируют как союзники империи в борьбе против сасанидского Ирана (в VI в.), позже против арабов, хазар, а затем турок-сельджуков, норманов, крестоносцев и др. Как видно из сочинений византийского императора Константина Багрянородного (913—920, 945—959 г.г.), аланы рассматривались как сила, способная сдерживать хазар от нападений на владения империи на Северном Кавказе.

В целях облегчения использования в своих политических интересах военных сил аланов заинтересованные круги Византии приложили немало усилий для насаждения христианской религии среди осетин, открыли для них эпархию.

По мере усиления грузинской феодальной монархии, она выступает преемницей Византии на Кавказе, вытесняет и постепенно занимает ее позиции и в Осетии. Последняя превратилась в надежную союзницу феодальной Грузии. И в таких условиях Византия продолжала использовать наемные осетинские дружины в борьбе против своих внутренних и внешних врагов. Некоторые представители осетинской знати получали высокие придворные титулы и участвовали в политической жизни Византии. Имели место браки между представителями высшей византийской и осетинской знати.

В статье делается заключение, что тесные политические связи между Византией и Осетией способствовали распространению элементов византийской культуры среди осетин. На это, в частности, указывают появление в Осетии памятников христианского зодчества, попытки создания осетинской письменности на основе греческого алфавита.

Осетинские правящие круги и знать были заинтересованы в политических связях с Византией, обеспечивавших им получение материальных средств (плата за услуги наемных дружин) и укрепление их политического веса как внутри страны, так и на международной арене.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საბჭოთა კავშირის ხალხებთან საქართველოს ურთიერთობის განყოფილებამ.

ლეილა ფარგოშვილი

რელიგიური გადმონაშთები პანკისის ქისტებში

XVIII საუკუნეში პანკისის ხეობა მჭიდროდ დასახლებული ყოფილა. ვახუშტი ბაგრატიონის მონაცემებით: „ხოლო ჯეობა პანკისისა არს ვენახოვანი, ხილიანი და ბაღიანი, და მთის კერძნი, ვითარცა მთათა ადგილნი. თევზნი-ყალმახნი, ტყე ნადირიანი, მარცვალთა ნაყოფიერნი, თუნიერ ბრინჯ-ბანბისა, პირუტყუნი მრავალ, გარნა ღორი უმრავლეს"[1]. დროთა განმავლობაში ისტორიულ ქარტეხილს სოფელთა განლაგებაში და მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაში, მის კულტურასა და ყოფაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეუტანია. ამ ცვლილებების რიგს განეკუთვნება ჩრდილო კავკასიის მთიანეთიდან ვაინახური მოდგმის ეთნიკური ელემენტის კომპაქტურად ჩასახლება, ახალ სამეურნეო-გეოგრაფიულ პირობებში, კულტურისა და ყოფის ახალი ფორმების ათვისება და ზოგ შემთხვევაში ქართული ტოპონიმების შეცვლა ვაინახურით.

ქისტების პირველი ტალღა ამ ხეობაში დასახლდა ვახუშტისეულ სოფ. პანკისში (ქისტურად პენგიზ), რომელმაც შემდეგ სოფ. დუისის სახელწოდება მიიღო.

მ. ალბუთაშვილის მასალებით, დუისის მაცხოვრებლები პირველად ბინადარ ცხოვრებას ეწეოდნენ დღევანდელ სოფ. კაკლიანის ბოლოში, ბალთაგორის მიდამოებში, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ მათ ივიწროვეს ეს ადგილი და გადასახლდნენ მდინარე ალაზნის პირას — ჭალაზე, წმინდა ნიკოლოზის ეკლესიასთან, რომელსაც მ ა ი ს ტ ა ლ ა უწოდეს[2]. ჩანს, რომ ქისტებს ანალოგიური სალოცავები მაისტშიც გააჩნდათ.

აღნიშნული ეკლესია 1902 წელს ადიდებულმა მდ. ალაზანმა წალეკა. ამ ოციოდე წლის წინ ეკლესიის ნანგრევები, სადაც დუისელები სალოცავად დადიოდნენ, ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი პატარა ნიშის სახით.

ვაინახების რელიგია ამ დროისათვის აშკარად გამოვლენილ სინკრეტულ ხასიათს ატარებდა, მასში შემორჩენილი იყო საკმაოდ მძლავრი ფენის სახით წარმართული შეხედულებანი. მნიშვნელოვანი იყო ქრისტიანობისა და ისლამის გავლენაც.

ალაზნის სანაპიროებში გადმოსახლებულმა ვაინახებმაც ამ რიგის რელიგიური რწმენა-წარმოდგენები მოიტანეს.

XIX ს-ის მკვლევრების ცნობებით, ქისტები თავდაპირველად წარმართები ყოფილან, შემდეგ ქრისტიანული სარწმუნოება მიუღიათ, ხოლო ბოლოს .მუსლიმანობა.

ს. ბრონევსკი მოგვითხრობს: „ინგუშები ქისტების მსგავსად, უძველესი დროიდან ქრისტიანულ რელიგიას მისდევდნენ და იმყოფებოდნენ ქართველი

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 550—51.

[2] მ. ა ლ ბ უ თ ა შ ვ ი ლ ი, მხარეთმცოდნეობის მასალები, ხელნაწერი (ინახება ავტორთან), გვ. 159.

მეფეების გავლენის ქვეშ. ქრისტიანობას რომ ჩამოცილდნენ ისინი დაუბრუნდნენ თავიანთ ძველ ღვთისმსახურებას, შემდეგ ისევ ქრისტიანობას და ბოლოს, მოკლე ხანში მიიღეს მაჰმადის კანონები, მაგრამ შეინარჩუნეს წარმართულ-ქრისტიანული რელიგიის წეს-ჩვეულებები: ჭამენ ღორის ხორცს, ინახავენ მარხვას, ზეიმობენ კვირა დღეს და პატივს სცემენ ეკლესიებს"[3].

თითქმის ამასვე აღნიშნავს უ. ლაუდაევიც: ჩაჩნები მამა-პაპიდანვე ქრისტიანები — ქ ე რ ი ს ტ ა ნ ა შ იყვნენ. მათი თავდაპირველი სარწმუნოება წარმართული იყო, შემდეგ ქრისტიანობა და ბოლოს მუსლიმანობა აღიარეს[4].

ჩაჩნეთ-ინგუშეთში მუსლიმანური რელიგიის გამოჩენამდე არსებობდა მრავალი წარმართული და ქრისტიანული „წმინდა ადგილი", რომლებსაც პატრონობას უწევდა ადგილობრივი თემი.

მთა-ინგუშეთში არსებულ ქრისტიანულ ძეგლებს (ტხაბა-ერდი, ალბი-ერდი, გალი-ერდი და სხვ.) ინგუშები წმინდა ადგილებად თვლიდნენ XIX ს-ის მეორე ნახევრამდე (ე. ი. მუსლიმანური რელიგიის დამკვიდრებამდე)[5].

ინგუშები გალი-ერდის ძეგლს მთავარ „საერთო ეროვნულ" ღვთაებად მიიჩნევდნენო — აღნიშნავს ბ. ალბოროვი[6].

ჩ. ახრიევის ცნობით, მთებში, სადაც ცხოვრობენ ინგუშები, ყოველ სოფელს ჰქონდა სალოცავი, რომელთა უმრავლესობა თავის სოფლის სახელწოდებას ატარებდა. ამ წმინდა ადგილს ჩაჩნები ი ა რ დ ა-ს უწოდებენ, ხოლო ინგუშები წ უ ე-ს, მის პატივსაცემად ვაინახები ერთსა და იმავე დღეს ზეიმობენ ყოველწლიურად[7].

მ. ალბუთაშვილის მონაცემებით, პირიქით ქისტეთში ძველთაგანვე იყო ქრისტიანული ძეგლები, სადაც ქისტები სალოცავად დადიოდნენ და „მამა-პაპათა ხატებს" უწოდებდნენ. ავტორი თვლის, რომ ეს ძეგლები შიშიანობის დროს მთებში გახიზნული მართლმადიდებელი ქართველების მიერ იყო აშენებული. როცა ისინი დაბლობში ჩამოვიდნენ, ეს ადგილები ქისტებს დაუტოვეს, ანდა აქ მოსახლე ქისტები ქრისტიანები იყვნენ და შემდეგ გათათრდნენ[8].

მთიელი ხალხის წარმართულ რწმენაში ბევრი რამ საერთო იყო. მაგ., ხევსურულ ხატს „ანატორ"-ს („ნოჯარი ფჰიედ") მელხისტები და მაისტელები თვით საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე წმინდა ადგილებად მიიჩნევდნენ.

„ქისტები ეხლაც ლოცულობენ ხევსურების ხატებსა; ზოგს ადგილას, მაგალითად სოფ. შატილში, ხატის მოსამსახურედაც, „ხელოსნად" ითვლებიან"[9], აღნიშნავდა — ნ. ხიზანიშვილი. ანატორის ჯვართან დაკავშირებით საინტერესო მასალა მოჰყავს თ. ოჩიაურს: „შატილელ მლოცავზე ადრე ქისტე-

---

[3] С. Броневский, Новейшие географические и исторические сведения о Кавказе, М., 1823, ч. 2, зз. 43.

[4] У. Лаудаев, Чеченское племя, Сборник сведений о кавказских горцах (ССКГ) вып. 6, Тиф., 1872, зз. 27.

[5] А. Саламов, Правда о «Святых местах» в Чечено-Ингушетии, Сборник статей, Грозный, 1964, зз. 160.

[6] Б. Алборов, Ингушское «Гальерды», и осетинское «Аларды», Влад., 1928, зз. 4.

[7] Ч. Ахриев, Ингушские праздники, ССКГ, вып. V, Тиф., 1871, зз. 2.

[8] მ. ალბუთაშვილი, დასახ. მასალა, გვ. 119.

[9] ნ. ხიზანიშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, გვ. 67.

ბის საკლავი უნდა დაკლულიყო ანატორის ჯვარში"[10]-ო. ჩანს, რომ ამ ჯვართან ძირეულად ქისტები უფრო ახლოს ყოფილან, ვიდრე ხევსურები. ქისტები სალოცავად დადიოდნენ თუშეთის ხატში[11]. ხახმატის მაცხოვრებლები სეტყვის წინააღმდეგ ლოცულობდნენ მაისტის ხატში[12] და სხვ.

კავკასიის მთიელი ხალხის რელიგიური ერთობლივი დღესასწაულების არსებობის ფაქტის შესახებ პროფ. ალ. რობაქიძე აღნიშნავს: „ზოგიერთი კავკასიელი მთიელების ერთობლივი მონაწილეობა საერთო დღესასწაულებში, განურჩევლად მათი სხვადასხვა წარმოშობისა, რელიგიისა და ენისა წარმოადგენს უნიკალურ საერთო გადმონაშთს, რომელიც თავისი ძირით უძველეს ხანაში გადადის"[13]. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართველ მთიელთა რელიგიურ წარმოდგენებშიც, საკმაოდ დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი წინაქრისტიანული რელიგიის სისტემის ნაკვალევს მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანობას აქ უფრო მეტი გავლენა და ხანგრძლივი ისტორია ჰქონდა[14].

ყოველივე ზემოთ აღნიშნული, კიდევ ერთი დადასტურებაა იმ ძირძველი ურთიერთობისა, რომელიც ქართველებსა და ჩრდილო კავკასიის მთიელებს შორის არსებობდა.

პანკისის ხეობაშიც გვხვდება არაერთი წარმართული ნიშის ნანგრევები. უდავოა, ქისტები ამ ნიშის მშენებელნი არ იყვნენ, მაგრამ ეს უძველესი სალოცავი ადგილები, რომლებსაც თუშები, ფშავლები, ხევსურები თაყვანს სცემდნენ, ჩრდილოეთიდან გადმოსახლებული ვაინახებისათვისაც წმინდა ადგილებად იქცა.

სოფელ ჯოყოლოს მარჯვენა მხარეს — ჭობიოს ხევში დღემდე შემონახულია ფიქალისაგან მეტად უხეშად ნაგები წარმართული ძეგლი, სადაც ჯოყოლელები ამ ბოლო დრომდე ლოცულობდნენ. დუისის აღმოსავლეთით — ბალთაგორაზე დგას სამსართულიანი მრგვალი კოშკი, რომელსაც ქისტები ბ ე ა უ-ს (ამჟამად კი ს ა ღ დ ა რ-ს) უწოდებენ. იგი არქიტექტურულად არსებითად განსხვავდება ჩაჩნეთ-ინგუშეთის მთიანეთში არსებულ ნატიფ, ტანწერწეტა და ბევრად უფრო მაღალ საბრძოლო კოშკებისაგან. კოშკის გვერდით მიშენებული ყოფილა 18—20 კვ. მ ოთახი, რომელ'საც თაღისებური გადახურვა ჰქონია. ამ ოთახიდან შედიოდნენ კოშკში. 1910 წელს ეს ოთახი დაუნგრევიათ და საშენი მასალა წაუღია იბრაჰიმ მარგოშვილსა და ხვთისო ჭოლიკაშვილს. ძველად არსებული რწმენით, თითქოს ამის გამო ი. მარგოშვილს ზედიზედ გარდაცვლია სამი შვილი, ხოლო ხვ. ჭოლიკაშვილის ოჯახი მთლიანად ამოწყვეტილა. ამის შემდეგ, — მთხრობელთა გადმოცემით, — ხალხი ძველ ძეგლებს აღარ ეკარებოდა.

აღნიშნული კოშკიდან რამდენიმე მეტრის დაშორებით, მდებარეობს უძველესი წარმართული სამლოცველო, რომელსაც ქისტები წ უ უ-ს უწოდებენ.

---

[10] თ. ო ჩ ი ა უ რ ი, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1967, გვ. 74.

[11] ა. ც ა მ ც ი შ ვ ი ლ ი, რელიგიური გადმოცემები თუშეთში და მათი დაძლევის გზები, რელიგიის, ისტორიისა და ათეიზმის საკითხები საქართველოში, ნაკვ. I, თბ., 1967, გვ. 55.

[12] ნ. ხ ი ზ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 71.

[13] Л. Р о б а к и д з е, Г. Г е г е ч к о р и, Предисловие, Кавказский этнографический сборник, V, I, Тб., 1975, გვ. 6.

[14] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, თბ., 1974.

სალოცავად მისულნი, მის ირგვლივ მდებარე ბუჩქებზე და ხეებზე ტოვებდნენ თეთრი ქსოვილის ნაჭრებს, ხოლო სალოცავის შიგნით კი ვერცხლის ფულებს. ანალოგიური ნიშის ნანგრევი პანკისში არაერთი გვხვდება. სამლოცველო ნიშთან ახლოს ბუჩქებზე და ხეებზე ქსოვილის ნაჭრების მიბმის ჩვეულება ჩაჩნებსა და ინგუშებსაც ჰქონდათ. ჩაჩნები ქსოვილის ნაჭრებს მუსლიმანური „წმინდანების“ სათაყვანებელ საფლავებზედაც კი ტოვებდნენ.

წარმართული რწმენის გადმონაშთად გვევლინება, ქისტებში ტრადიციულად დამკვიდრებული ყოფის სხვადასხვა წესი. მაგალითად: ცეცხლის — წ ი კულტი, ნაღვერდალი — კ ე ე გ ი, კერა — ჰ ე რ ჩ, ჯაჭვი — ძ ე ა, წინაპართა კულტი და სხვა. ასე მაგალითად: რომელიმე სადავო საკითხზე (ქურდობა, ჩხუბი, ენის მიტანით შექმნილი უსიამოვნება და სხვ.) დამაჯერებლად ითვლება ცეცხლზე, კერაზე, ჯაჭვზე და წინაპარზე ფიცი: „ა წ ი ჰ ე ლ ა რ გ ი ე რ ბ ა ყ მ ა დ ა ა ზ“ — მაგ ცეცხლის გამჩენმა, მართალს ვამბობ, „ჰ ე ჰ ე რ ჩ დ ე თ ი ნ ა რ გ ი ე რ ბ ა ყ მ ა დ ა ა ზ“ — ამ კერაზე გამომცხვარს ვფიცავ, მართალს ვამბობ, „ჰ ე ძ ე ა ნ ა ხ ი ო ლ ი ნ ა რ გ ი ე რ“ — ამ ჯაჭვზე ჩამოკიდებულს ვფიცავ, „ს ე ი დ ე ი ქ ა შ ა ხ მ ა ჯ ი ე თ ა ი ლ ს ო“ — წინაპართა საფლავს არ შევხვდე, „ს ა დ ე ი ს ი ი მ ა გ უ ლ დ ს ო ა ნ“ — ჩემი წინაპრების სულები არ ვნახო და სხვ.

აქამდე მძიმე წყევლად ითვლება „კ ე ურ ბ ო ი ლ ჰ ა“ — კვამლი ჩაგიქრეს, „ჰ ე რ ჩ წ ი ი ა უ ლ ჰ ა“ — კერიაში ცეცხლი ჩაგიქრეს, „ჰ ე ი ქ ე შ ბ ო ხ ქ ა რ ი ი ხ მ ა ჯ ი ე თ ე ი ლ ჰ ო“ — შენს მიცვალებულებს არ შეხვდე, „ჰ ე ხ ე ე დ ა ლ დ ა შ“ — შთამომავლობა გაგიწყდეთ და სხვ.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ცეცხლის აღმნიშვნელი ვაინახური ტერმინი „წ ი“ დაკავშირებულია საცხოვრებელ სახლთან — წ ა, წ ი თ ე ლ თ ა ნ — წ ი ე, წ მ ი ნ დ ა ს თ ა ნ — წ ე ნ, ახალთან — წ ე ნ[15].

ქისტებში ძველი რელიგიური პრაქტიკიდან შემორჩა აგრეთვე “წ ე ნ ს ა გ“ — წმინდა კაცი, რომლის მოვალეობა იყო ხატში — წ უ უ პირუტყვის ან ფრინველის დაკვლა (იგი მნათის როლს ასრულებდა).

ქისტებმა ფიცი იციან მზეზე — მ ა ლ ხ, მთვარეზე — ბ უ თ თ, ვარსკვლავებზე — ს ი ე დ ა რ ჩ. მაგ.: „ცუმალხუარ“ — მზის მადლმა, „ცუბათთუარ“ — მთვარის მადლმა, „ა სუედარჩი ჰ ე ლ ი ნ ა რ გ ი ე რ“ — მაგ ვარსკვლავების გამჩენმა და ა. შ. მათი რწმენით ქვეყნად უსულო და ცოცხალი არსების შემქმნელია ღმერთი — დ ე ე ლ და მასვე თხოვნით მიმართავდნენ ყველა საჭირბოროტო საქმეზეც. მაგ: ხვნა-თესვის დაწყებამდე თითოეული გვარი იკრიბებოდა, კლავდა საკლავს, პურობის დროს ღმერთს სთხოვდა ბარაქიან წელს და სეტყვისაგან, გვალვისაგან, ქარბუქისაგან დაცვას. გვალვის დროს კი, სოფლის ხარჯით ყიდულობდნენ პირუტყვს, შემოატარებდნენ სოფელს გარშემო, კლავდნენ და ხორცს თანაბრად ანაწილებდნენ მოსახლეობაზე, ხოლო შემდეგ გუთანს გაატარებდნენ მდინარეში და ღმერთს სთხოვდნენ გალობით წვიმის მოსვლას. ამ ცერემონიალის ჩატარების დროს იქ დამსწრე ყველა დიდი და პატარა უნდა დასველებულიყო. ღმერთს წვიმის მოსვლას სთხოვდნენ 5—12 წლის ასაკის ბავშვებიც. შეიკრიბებოდა 14—15 ბავშვი; მათ შორის 4—5 სახეზე ნიღაბს გაიკეთებდა. ჩაიცვამდა ძველ სამოსს, ერთს თავზე ჩამოაცმევდნენ

[15] Х. О ш а е в, Слова «рха» и «che» в чеченском языке, Изв., научного общества Чеченской АО, 1930, № 2, გვ. 59—60.

ხის ტოტებისა და სხვადასხვა ბალახისაგან დაწნულ ქოლგის მაგვარ თავსახურავს და ჩამოივლიდნენ ყველა ოჯახს სიმღერით:

„დოღ დაითალა ვა დეელა,
ჯაშ პიეყეითალ ვა დეელა,
სელ სუქულ ქა ბაკეითალ
ბერძი ცერგალ ვო უალეითალ“.

„ღმერთო წვიმა გამოუშვი, მიწა გაანოყიერე, ბარაქიანი მოსავალი მოგვეცი“ და ა. შ. ცეკვა-სიმღერით კარზე მომდგარ „ქოლგიან“ ბავშვებს, ოჯახის დიასახლისი ან რომელიმე წევრი გამოეგებებოდა, წყალს შეასხამდა და, ერთ-ორ კვერცხს, ფქვილს, ხილს ან ფულს მისცემდა. კარდაკარ ჩამოვლა, რომ დამთავრდებოდა, ამ წეს-ჩვეულების შემსრულებელნი წავიდოდნენ სოფლის განაპირას, უფრო მდ. ალაზნის პირას, ცეცხლს დაანთებდნენ, კვერცხებს და მჭადის „გორდილას“ მოხარშავდნენ, შეკრებილი ფულით კი ტკბილეულს იყიდიდნენ, იქვე შეჭამდნენ და საღამოს სახლში ბრუნდებოდნენ. ზოგჯერ ეს ჩამოვლა ორი-სამი დღე გრძელდებოდა.

ზემოთ ჩამოთვლილი ეს გადმონაშთები, რომლებიც შორეული წარსულიდან მომდინარეობს, სადღეისოდ პანკისელ ქისტებს და მთიელებს შემორჩათ.

თავდაპირველად პანკისის ქისტებში რომელიმე რელიგიისადმი განსაკუთრებული ფანატიკური განწყობილება არ შეინიშნებოდა. მათ წესებში სამი რელიგიური რწმენის: წარმართობის, ქრისტიანობისა და მაჰმადიანობის გადმონაშთები თანაარსებობდა. ეს სინკრეტიზმი შეიძლება აიხსნას იმ გარემოებითაც, რომ პანკისში ცხოვრების საუკუნენახევრის მანძილზე მათ სამჯერ შეიცვალეს რელიგია.

პანკისის ხეობაში ჩასახლების პირველი წლებიდანვე ქისტებს შორის ქრისტიანული ეკლესია გაძლიერებულ მისიონერულ მოღვაწეობას იწყებს. თავის პატაკში თიანეთის მაზრის უფროსი 1866 წლის ნოემბერში ატყობინებს თბილისის სამოქალაქო გუბერნატორს ორლოვსკის, ღვთისმოსავმა მღვდელმა ილარიონ ელიოზოვმა მოწერილობით მაცნობა, რომ იგი საქართველოს ეგზარქოსის რეზოლუციის აღსასრულებლად მიემგზავრება პანკისის ხეობაში, აქ მოსახლე ქისტების მიერ მართლმადიდებლობის მიღების საქმეზე, მთხოვა დავესწრო და ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში აღმოვუჩინო დახმარებაო. იგი დასწრებია ორიევ სქესის 149 ქისტის მონათვლას[16].

აღნიშნული საბუთიდან ირკვევა, რომ 1866 წელს ჩატარებული მონათვლის შედეგად სოფელ ჯოყოლოში მცხოვრებ ბუღაკა ბორჩაშვილს სახელად დაერქვა გიორგი, მის ცოლს სოთუხას თამარი, მათ ვაჟიშვილებს: ნედარას — ივანე, ხაძეს— ხარიტონი, ბეწინას — ბესარიონი, ქალიშვილებს: გულბანს — ელენე, უვერგის — მარიამი, ზადჩიგას — თამარი და ა. შ.

ოჯახის უფროსის — მამის სახელს ემატებოდა დაბოლოება „შვილი“ და ამ გზით იქმნებოდა მონათლულთა ქართული გვარები, მაგრამ, როგორც ჩანს, ახალ მონათლულებს ფაქტიურად არ უარყვიათ თავისი თავდაპირველი წარმართული შეხედულებები, რამდენადაც პანკისის ძველი სალოცავების თაყვანისცემა მათში ბოლო დრომდე იყო შემორჩენილი.

---

[16] საქართველოს ცენტრალური არქივი, ფ. 26, ან. 6, № 1311, გვ. 8.

როგორც ჩანს, დუისელებს უფრო ადრე ჰქონდათ მიღებული ქრისტიანობა. ხოლო ჩაჩნეთის მთიანეთიდან დუისში უფრო გვიან ჩამოსახლებულმა მაჰმადიანმა ქისტებმა ახლად მოსულ მოსახლეობას არ მისცეს საშუალება მიეღო ქრისტიანობა, მაგრამ მთავრობა მათ მაინც ნათლავდა. ქისტების მიერ ახალი რელიგიის მიღება არც თუ ისე მშვიდობიანი გზით მიმდინარეობდა.

მ. ალბუთაშვილი წერს: „1845 წელს პირიქით ქისტეთიდან გადმოსახლებული მაჰმადიანი ქისტები (ლაპარაკია ჯოყოლოს და ომალოს მცხოვრებთა ერთ ნაწილზე. — **ლ. მ.**) 1866 წელს იძულებით დანათლეს, მაგრამ ვისთვისაც არ უნდა გეკითხნა, გიპასუხებდათ: „რა დაგვანათლეს სტრაჟნიკებმა, ძალათ ნოგვიყარეს თავი, ჩაგვწერეს დავთარში, მიგვრეკეს მდ. ალაზანზე, დააგუბეს წყალი, ყველანი დაგვატიტვლეს, კაცი, დედაკაცი, მარტო საცვლის ამარა ჩაგვყარეს წყალში, დაგვწუწეს კარგა დასიცხული კამეჩივით, ამოგვიყვანეს, წაგვისვეს შუბლზე რაღაც ზეთი და თან გვეუბნებოდნენ: შენ პეტრე გქვიან, შენ ივანე, პავლე, მიხა, გოგია და სხვ. წადით, ახლა დანათლულები ხართ, იარეთ ეკლესიაში, მალმალე პირჯვარი დაიწერეთ, მარხვა შეინახეთ, ილოცეთ, ეზიარენით, ქრისტიანები გახდით, სცხონდებითო“[17].

იგივე ავტორი გადმოგვცემს, რომ არც დიდმა და არც პატარამ პირჯვრის წერა, ზიარება რა იყო არ იცოდა. ეკლესიაში, რომ ქუდი შეგეგდო, მის გამოსატანად არავინ შევიდოდა, მღვდელს კი ეწერა დავთარში: „სთქვა აღსარება და ეზიარაო“[18].

ჩანს, აქაც მიმდინარეობდა მოსახლეობის იძულებით გაქრისტიანების პროცესი, რომელსაც საქართველოს მთიანეთის სხვა რაიონშიც ჰქონდა ადგილი.

აღნიშნული გზით, 1866 წელს ჯოყოლოს და ომალოს მოსახლეობის უმეტესობამ ქრისტიანული სარწმუნოება მიიღო. ამ დროიდან გადაწყდა აქ ქრისტიანული ეკლესიის მშენებლობის საკითხი. მღვდლად მიავლინეს მ. დოლმაზოვი (ქართველი), დიაკვნად აიყვანეს ქისტი, რომელიც შემდგომ მღვდლადაც აკურთხეს.

სოფ. ჯოყოლოში არსებობს რამდენიმე საფლავი. საინტერესოა ამ საფლავზე მოთავსებული ხელოსნის მიერ კარგად დამუშავებული ქვები. ჩანს, რომ ამ ქვებს კახეთის რომელიღაც სოფელში ამზადებდნენ და მოჰქონდათ პანკისის ხეობაში. ქვის ზედაპირზე ნათლად არის გამოსახული ქრისტიანული ჯვარი შემდეგი წარწერით: „ამა ლოდსა ქვეშ მდებარე ვარ ქაიხოსრო ასანასძე გუმაშვილი, გარდავიცვალე 1892 წელსა ღვინობის თვის 12-ს, მხილველნო შენდობა მაღირსეთ“, ხოლო მეორე საფლავი — ბუღაკა ბორჩაშვილის (გარდაიცვალა 1883 წ.) ამოშენებულია უბრალოდ ოდნავი მიწის დატანებით სიპი ქვის ყორღანი. ეს ფაქტი მაჩვენებელია იმისა, რომ ქისტებში მიცვალებულის დამარხვის წესებიც ძველი რწმენით სრულდებოდა.

საინტერესო ცნობებს გვაწვდის გაზ. „ცნობის ფურცელი“: პანკისის ქისტები იყოფიან ორ ჯგუფად, პირველი ჯგუფის ერთი ნაწილი (105 კომლი — 771 სულით) მართლმადიდებელი ქისტებია, რომლებიც თავიანთ თავს ქართველებად აღიარებენ და, მართლაც, ლაპარაკით და ზნე-ჩვეულებებით სრულიად ვერ გაარჩევთ ქართველებისაგან, ხოლო ნაწილი (200 კომლი) ეკუთვნის

[17] მ. ა ლ ბ უ თ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. მასალა, გვ. 120.
[18] იქვე, გვ. 121.

მაჰმადიან-ქართველ ქისტებს (იგულისხმება გაქართველებული ქისტები — **ლ. მ.**). აქვთ სკოლა და ეკლესია, სადაც სწავლება და ღვთისმსახურება ქართულად სწარმოებს. მეორე ჯგუფი მაჰმადიანი ქისტებია, რომელთაც ჰყავთ თავიანთი მოლები და აქვთ მეჩეთი[19]. სასულიერო მთავრობამ პანკისის ხეობაში მეორე სამრევლო გახსნა. მართლმადიდებელ ქისტებს ორი ეკლესია და სკოლა ჰქონდათ. სკოლა დაარსდა სოფ. ჯოყოლში 1892 წელს, ძველ დახავსებულ შენობაში, ხოლო 1900 წ. აიგო ახალი შენობა. სკოლის გამგედ და საღმრთო რჯულის მასწავლებლად დაინიშნა მ. ალბუთაშვილი (ქისტი). სკოლაში სწავლობდა 42 ბავშვი (40 ვაჟი და ორი ქალი — 16 ქართველი და 26 ქისტი), აქედან 33 იყო მართლმადიდებელი, ხოლო 9 მაჰმადიანი[20].

ამასთან დაკავშირებით გაზ. „ივერია" წერდა: „სოფლის საზოგადოება დიდის აღტაცებით მიეგება ამ სასიხარულო ამბავს და თავის მხრიდანაც შეჰპირდა 300 მანეთს ფულად..., შენობა გამოვიდა მშვენიერი, ფართო და მკვიდრი... ინსპექტორს (გ. მამინაიშვილი) არც შემდგომისათვის მოუკლია ჩვენს სკოლისათვის თავისი მზრუნველობა, როგორც სხვა სკოლაში, ჩვენს სკოლაშიაც დააარსა ბიბლიოთეკა, რომელსაც შესძინა 900-მდე რუსულ-ქართული წიგნი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების ხარჯით"[21]. ახალი სკოლის შენობა სათანადოდ მოწყობილი იყო და ბავშვთა რაოდენობაც გაიზარდა. ისინი საკლასო ოთახებში თბილად ისხდნენ და მეცადინეობდნენ. პირველად სკოლაში მისულმა ბავშვებმა ქართული სრულებითაც არ იცოდნენ და ქისტურ ენაზე უხსნიდნენ. მთავრობის მოთხოვნით, ლოცვების სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა[22].

მათემ სკოლისა და ეკლესიის საქმიანობა თანდათანობით ააწყო. ორივე ადგილზე თვითონ მუშაობდა. თავდაპირველად ხალხი ეკლესიაში მილიციის საშუალებით მიჰყავდათ საგალობლად, ბავშვების მოსანათლად და ჯვრის საწერად, მაგრამ შემდეგ ჯოყოლოს და ომალოს მცხოვრებნი იძულების გარეშე თვითონ მიდიოდნენ ეკლესიაში. მათთან ერთად მონაწილეობას იღებდა დუისელების ერთი ნაწილიც, რაზეც მეტყველებს ჯოყოლოს (წმ. გიორგის) ეკლესიის 1879 წლის ჩანაწერები, რომელთა მიხედვით მართლმადიდებლად ითვლებიან შემდეგი ქისტური გვარები: ღანიშაშვილები, ლაბაზანაშვილები, ქავთარაშვილები, ალხაზურები, ომარაშვილები, ვითუშაშვილები, თურქოშვილები, ალდამაშვილები, ბახაშვილები, დაქიშვილები, ნაციშვილები, მარგოშვილები, გუგაშვილები, მოსაშვილები, მაჩახასშვილები, თათიშვილები, ალბუთაშვილები, გორნაკაშვილები, ბათიშვილები, ბორჩაშვილები, ხოლეგაშვილები და სხვ[23].

ქრისტიანული რელიგიის პარალელურად, პანკისში, კერძოდ სოფ. დუისში, ისლამის გავრცელებას სისტემატური ხასიათი მიეცა. ქისტებს, რომ საკუთარი დამწერლობა არა ჰქონდათ, ამით ისარგებლა ჩამოსულმა მოლამ და სცადა დუისში არაბული ენის სწავლების შემოღება. მან თავისი სოფლიდან ამოიყვანა

---

[19] დ. პ ა ვ ლ ი ა შ ვ ი ლ ი, სასკოლო საქმე თიანეთის მაზრაში, გაზ. „ცნობის ფურცელი", 1903, № 2361, გვ. 1.

[20] ი ქ ვ ე.

[21] ქისტი ჩობანი, პანკისი, გაზ. „ივერია", 1902, № 94, გვ. 2.

[22] იქვე.

[23] ახმეტის რაიმმაჩის ბიუროს არქივი, ჯოყოლო-პანკისის ეკლესია, წიგნი № 2, 3, 1879—1899 წწ. მასალა.

პატარა ბავშვები, რომ მათი შეხედვით მიეზიდა ადგილობრივი ბავშვები, მაგრამ ქისტებს თავიანთი შვილები არაბული ენის სასწავლად არ გაუშვიათ[24].

1898 წელს დუისელი მაჰმადიანების ერთმა ჯგუფმა თვითნებურად დაიწყო მეჩეთის მშენებლობა, რის წინააღმდეგ წავიდა ამავე სოფლის ქრისტიანი მოსახლეობა. ამის შესახებ მათ გიო ქავთარაშვილის ხელმძღვანელობით აცნობეს თიანეთის მაზრის უფროსს თავად ჩოლოყაშვილს; მან კატეგორიულად აკრძალა მშენებლობა. ამის შესახებ დ. პავლიაშვილი წერს: „მთავრობა დიდხანს ნებას არ აძლევდა მეჩეთის აგებას იმ მოსაზრებით, რომ მართლმადიდებელი ნაწილი ქისტებისა არ გადაიბირონ წინანდელ რჯულზე“[25].

ისლამის მქადაგებლები, მეჩეთის აშენების ნებართვის მიღების გზებს ეძებდნენ. ბოლოს მათ თხოვნით მიმართეს ლაგოდეხის რაიონის სოფ. ბელექანში მცხოვრებ მოლას — აბდულ ბაკანოღლის. იგი დუისის წარმომადგენლებთან ერთად ჩამოვიდა თბილისში და კავკასიის მუფტის მეშვეობით მეჩეთის მშენებლობის უფლება მიიღო. მთხრობელთა გადმოცემით, მეჩეთი აშენდა 1902 წელს ცალკეული მორწმუნე პირების ინიციატივით. იგი მდებარეობს სოფ. დუისის ცენტრში.

XX ს-ის დასაწყისში, ქისტების სოფლებში თანდათანობით მომრავლდნენ მაჰმადიანი რჯულის მოციქულები, რომლებსაც მხარს უჭერდნენ ადგილობრივი მორწმუნე პირებიც. ქისტებში მუსლიმანური იდეოლოგიის პირველი მქადაგებელნი იყვნენ ძმები: გებიშა, ახიგა და ნონგი ხანგოშვილები, წარმოშობით მაისტელები. დუისში დასახლების შემდეგ უფროსი ძმა გებიშა ქ. მექაში წავიდა. რამდენიმე ხნის შემდეგ, მექადან პანკისში დაბრუნებულმა გებიშამ ენერგიულად მოჰკიდა ხელი ისლამის გავრცელებას. ამ რელიგიის განმტკიცების მიზნით იმავე ხანგოშვილებმა ჩაჩნეთიდან ჩამოიყვანეს არაბულად განსწავლული ვინმე ვაათა, რომელიც სულ მალე გარდაიცვალა. მის შემდეგ ჩამოვიდა მოლა ყურმახამა; მან ათიოდე წელი დაჰყო პანკისში და ისევ უკან წავიდა, შემდეგ მოიწვიეს ლეკი მოლა ყურბანა, შერთეს ქისტი ქალი და სამუდამოდ დატოვეს სოფ. დუისში.

1905 წელს ჩაჩნეთიდან დუისში ჩამოვიდა ცნობილი მოლა თავსოლთა, რომელმაც დაჰყო სამი წელი, ხოლო 1909 წელს აზერბაიჯანიდან მოვიდა ვინმე მქადაგებელი ის-ეფენდი, რომელიც ქადაგებდა ნაყშბანდის მოძღვრებას და საფუძველი ჩაუყარა ამ სექტას. იგი გარდაიცვალა 1920 წელს სოფ. დუისში, დასაფლავებულია ლაგოდეხის რაიონის სოფ. კაბალაში.

მ. ალბუთაშვილი მოგვითხრობს: „არც მაჰმადიანებისაგან სრულდებოდა თავიანთი რჯული წესიერად და არც ქრისტიანებისაგან ქრისტიანული რჯული“[25]. ძველად ახლად ქრისტეს რჯულზე მონათლულნი და მაჰმადიანები ახლო-ახლოს ბინადრობდნენ, ზოგ შემთხვევაში ერთ ოჯახშიც კი ცხოვრობდნენ, ამიტომ ვერც ერთმა სარწმუნოებამ მათში მტკიცედ ვერ მოიკიდა ფეხი. მღვდელს მოლებთან, მიურიდებთან, ხშირად უხდებოდა კამათი და მოლები კი თავის მხრით მღვდელს ებრძოდნენ[26].

---

[24] მ. ალბუთაშვილი, დასახ. მასალა, გვ. 169.
[25] დ. პავლიაშვილი, დასახ. ნაშრომი.
[26] მ. ალბუთაშვილი, დასახ. მასალა, გვ. 3.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამ რჯულ-სარწმუნოებას და საერთოდ რელიგიას გამოაცალა საფუძველი. როგორც სხვაგან, ისე პანკისშიც დაიხურა რელიგიური უჯრედები, მოისპო მორწმუნე ექსპლუატატორული ელემენტები. ქართულ გარემოში ეს პატარა ეთნიკური ჯგუფიც ჩაება საბჭოთა საზოგადოებრივ საქმიანობაში. დიდი მუშაობა გაიშალა მათი შეგნებიდან წარსული მცდარი შეხედულებების აღმოსაფხვრელად.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავს: „რელიგია მეცნიერების კანონების უარყოფაა, ბრმა რწმენის დაკანონებაა, მეცნიერება ბუნების, საზოგადოების ობიექტური კანონების აღიარებაა, ცოდნის განდიდებაა“[27]. ყველა რელიგია ქადაგებს მოთმინებას, ყოველგვარი ტანჯვის გადატანას, აბნელებს ადამიანის შეგნებას და ამართლებს ადამიანის ბატონობას ადამიანზე, იგი ამქვეყნიური, აუტანელი ტანჯვისათვის, რელიგიური ფანატიზმით გაბრუებულ პირებს პირდება იმ ქვეყნად სამოთხეს, გალაღებულ ცხოვრებას. განა ერთი და ორი მაგალითია ჩმისა, როცა მოლა თუ დიაკვანი რელიგიის მიღმიდან ეძებს პირადი სიამოვნებისა და გამდიდრების გზებს?

1918 წლის ნოემბერში თერგის რესპუბლიკის ნაციონალური საქმეების კომისარი ასლანბეგ შერიფოვი ჩაჩან ხალხს მოუწოდებდა: „უკვე წელიწადნახევარია, რაც თქვენი მახრჩობელა, ცარიზმის თვითმპყრობელობა დაემხო და რევოლუციის პირველი დღიდანვე თქვენ მთელი ჩაჩნების ბედი გადაეცით შეიხებისა და მოლების ხელში. ისინი გეუბნებიან უნდა იცხოვროთ, როგორც შარიათი გიკარნახებთ და შარიათის შესრულება კი მხოლოდ მათ შეუძლიათ, ეს არის ურცხვი სიცრუე.

აკი ღმერთი ერთია, ყურანი ერთი, „წინასწარმეტყველი“ მუჰამედი ერთი და შარიათიც ერთი! ყველა თქვენს საჭირბოროტო საკითხზე (პოლიტიკური, საზოგადოებრივი და სხვ.) შარიათით უნდა გაეცეს მხოლოდ ერთი პასუხი, ერთი ახსნა. შეიხი და მოლა კი იძლევა იმდენ სხვადასხვა პასუხს, რამდენიც არიან ისინი ჩაჩნეთში. კიდევ უარესი, ერთი და იგივე შეიხი მისი სარგებლობიდან გამომდინარე ერთსა და იმავე კითხვაზე სხვადასხვა პასუხს იძლევა. რა უნდათ შეიხებს და მოლებს? მათ უნდათ იმუშაონ მათთვის, როგორც მონებმა, თვითონ კი მუქთახორულად იცხოვრონ მდიდრულად. ისინი ვერ იტანდნენ ერთმანეთს და თქვენც ერთმანეთის მტრებად გაქციეს. თქვენ იქებთ თავს, რომ თქვენში არ იყვნენ და არ არიან თავადები, არაა მართალი! შეიხები და მოლები ათასჯერ უფრო უარესი არიან, ვიდრე თავადები, ისინი ხომ თქვენი შრომით ცხოვრობენ? შეიხები და მოლები ყოველთვის მხარს უჭერენ მდიდრებს: ვაჭრებს, გადამყიდველებს, მოიჯარეებს, ვიდრე ღარიბს, რადგან მდიდარი შეიხს მეტ ზ ა ქ ა თ ს აძლევს, ვიდრე ღარიბი“[28].

1918 წლის 23 იანვარს გამოიცა დეკრეტი სარწმუნოების თავისუფლების შესახებ. სახელმწიფოს გამოეყო ეკლესია, ეკლესიას — სკოლა. ყოველ მოქალაქეს უფლება მიეცა აღიაროს ან სულაც არ აღიაროს ესა თუ ის რელიგია. ამით კი ისარგებლეს სხვადასხვა ჯურის კულტის მსახურებმა.

ამის შესახებ საინტერესო მასალას გვაწვდის მ. ალბუთაშვილი: „მაჰმადიანები სიხარულით ცას ეწივნენ. პანკისში ახლად დანათლულ ქისტებს ჩაჩნეთიდან და დაღესტნიდან მოესივნენ მოლები და მოსვენებას აღარ აძლევდნენ.

---

[27] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებათა კრებული, ტ. 27, გვ 607.

[28] А. Ш е р и п о в, Статьи и речи, Сборник, Грозный, 1978, გვ. 126—127.

გამრავლდნენ ის-ეფენდისა და კუნტ-ჰაჯის მიმდევრები, რომლებმაც საშიშ მდგომარეობაში ჩააყენეს ახლად მოქცეულთა სარწმუნოებრივი ძალღონე. მღვდელმაც რაც შეეძლო წინააღმდეგობა გაუწია მოლებისა და მიურიდების თავაშვებულობას, მაგრამ ერთი კაცი რას გააწყობდა მაჰმადიანობის ფანატიზმით გაღენთილ ხალხთან. მიურიდების შხამი არა ქისტებსაც მოსწამლავდა. მოლებმა და მიურიდებმა ძველად და ახლად დანათლული ხალხი მთლად გადაიბირეს და მღვდელი 1921 წელს იძულებული გახდა სამუდამოდ თავი მიენებებინა იქაური სამსახურისათვის და დაბრუნებულიყო ქ. თელავში. ჯოყოლოს ეკლესია* ჩალით გაივსო, ხოლო სამრეველო სკოლა ხელისუფლებამ აღადგინა"[29].

აღნიშნული მასალა გვიდასტურებს იმას, რომ ქრისტიანული გავლენის შესუსტებით ისარგებლეს ჩაჩნეთ-ინგუშეთიდან, დაღესტანსა და აზერბაიჯანიდან ჩამოსულმა ისლამის მქადაგებლებმა და იწყეს მუსლიმანური სექტების შექმნა-ჩამოყალიბება. ადრე, 1909 წლიდან შექმნილი ნაყშბანდის სექტის გარდა, 1927 წელს შეიქმნა მეორე კუნტ-ჰაჯის სექტა, რომელიც ინგუშეთიდან დაბრუნებულმა მაჩიგ მაჩალიკაშვილმა შექმნა, ხოლო 1928 წელს ეინმე ჩაჩანმა ადუმ თავისივე სახელობის ცალკე ჯგუფი დააარსა. მისი ჩაჩნეთში დაბრუნების შემდეგ, ჯგუფს ხელმძღვანელობას უწევდა ადგილობრივი მოლა ქერიმ დუიშვილი. სექტის წევრები იკრიბებოდნენ ყოველ კვირა საღამოს იმ ოთახში, სადაც ადუ სტუმრად იმყოფებოდა. ამ სექტის წევრები რელიგიური რიტუალის შესრულების დროს ძიქარ-ს (ვალობა) აყოლებდნენ დოლს. ბოლო ხანებში ამ ჯგუფს შემორჩა ექვსი კაცი[30]. ამჟამად ეს ჯგუფი უმოქმედოა. საკითხავია, საიდან წარმოიშვა ეს სექტები ვაინახებში.

ჩაჩნეთ-ინგუშეთში მუსლიმანური რელიგიის ძალდატანებით დანერგვასთან ერთად შეიჭრა მისტიკური მოძღვრება ტარიბათი, რომელსაც კავკასიაში მიურიდიზმს უწოდებენ (რაც ღმერთისაკენ გზას ნიშნავს). იგი აღიარებს ვითომ „ადამიანის ჭეშმარიტ ხსნას", რომელიც თითქოს „სამოთხის ნეტარებას" პოვებს სულიერ და ზნეობრივ სრულყოფაში და „ღმერთთან მიახლოვებაში". მიაჩნიათ, რომ ტარიბათის მოძღვრება წარმოიშვა ჯერ კიდევ „წინასწარმეტყველის" მუჰამედის სიცოცხლეში. მის პირველ მქადაგებლად ითვლება წინასწარმეტყველ მუჰამედის ბიძა აბუ ბაქრი[31]. ჩრდილო კავკასიაში ტარიბათის მოძღვრება განსაკუთრებული სიძლიერით კავკასიის ომის დროს გავრცელდა. ტარიბათის საფუძველზე წარმოიქმნა ნაყშბანდის სექტა, რომელიც სათავეს იღებს ბუხარელი შეიხის ბაჰაუდინ ნაყშბანდისაგან. იგი გარდაიცვალა 1389 წელს. დასაფლავებულია ძველ ბუხარაში (უზბეკეთის სსრ)[32].

ნაყშბანდის სექტა მკაცრად იცავს შარიათის მიერ დადგენილ ნორმებს. ერთიან ღმერთად ალაჰისა და მის წინასწარმეტყველად მუჰამედის აღიარება,

---

* მათე ალბუთაშვილის შემდეგ ჯოყოლოს ეკლესიაში მღვდლად მუშაობდნენ ს. დაქიშვილი და პ. ბორჩაშვილი. მერე ეკლესია სამუდამოდ დაიკეტა.

[29] მ. ალბუთაშვილი, დასახ. მასალა, გვ. 117.

[30] А. Шамилев, Религиозные культы чеченцев и ингушей и пути их преодоления, Грозный, 1963, გვ. 28.

[31] იქვე.

[32] А. Саламов, დასახ. ნაშრომი, გვ. 160.

დღეში 5-ჯერ ლოცვა (ნამაზ), წელიწადში ერთთვიანი მარხვის შენახვა, შემოსავლის მეათედის გადახდა (ზაქათ) და შეძლების შემთხვევაში მექაში გამგზავრება. მას შარიათის სექტასაც უწოდებენ[33].

ნაყშბანდის მოძღვრება ჩაჩნეთ-ინგუშეთში გავრცელდა დაღესტნიდან[34]. ხოლო პანკისის ქისტებში და დაღესტანში აზერბაიჯანიდან.

ტარიბათის (მიურიდიზმის) მეორე მიმართულებაა კ ა დ ი რ ი ე, რომლის დამაარსებლად ითვლება შეიხი აბდულ-კადირ გილანელი. იგი გარდაიცვალა 1116 წ. ბაღდადში[35]. მისი მიმდევრები მოვალე იყვნენ შეესრულებინათ შარიათით დადგენილი ლოცვების გარდა დამატებითი ლოცვა და მონაწილეობა მიეღოთ სექტის ხშირ შეკრებებში.

კავკასიის ხანგრძლივი, დამქანცველი ომის დამთავრების შემდეგ ჩაჩნეთში მიურიდიზმის ამ მეორე სექტის (კადირიე) გამავრცელებელი იყო მწყემსი კუნტ-ჰაჯი (გუდურმესის რაიონი, სოფ ილისხან იურთიდან). ამ სექტამ მისივე სახელწოდება მიიღო. სექტაში ახალი წევრის მიღების დროს შეიხი შეეკითხებოდა: „პირდები თუ არა ღვთისა და მისი წინასწარმეტყველის სახელზე დღეში 301-ჯერ ძ ი ქ ა რ ი ს შესრულებას“. შემსვლელი პასუხობდა: „მე ვალდებულად ვთვლი და მოწმედ ღმერთსა და შეიხს ვაყენებო და 301-ჯერ წარმოსთქვამდა ლ ა-ი ლ ა ჰ ა ი ლ ა-ლ ლ ა ჰ ა-ს (არა არს ღმერთი გარეშე ალაჰისა)[36]. ასე ხდებოდა სხვა სექტებში შესვლაც.

ნ ა ყ შ ბ ა ნ დ ი ს ა და კ უ ნ ტ-ჰ ა ჯ ი ს სექტები განსხვავდებიან რიტუალის შესრულებითაც.

ჩაჩნეთ-ინგუშეთში ნაყშბანდის ჯგუფში შედიოდნენ ყველაზე შეძლებული პირები. ისინი კვირაში ერთხელ (ხუთშაბათს საღამოს) მეჩეთში მეხუთე ნამაზის შემდეგ იკრიბებოდნენ, ადგილიდან გაუნძრევლად ძ ი ქ ა რ ს წარმოსთქვამდნენ ლ ა-ი ლ ა ჰ ა ი ლ ა-ლ ლ ა ჰ ა, ჩუმად მღეროდნენ ნ ა ზ მ ს, ამიტომ მათ „მოჩურჩულეებსაც“ უწოდებდნენ[37]. ამ სექტის წევრები თავიანთ თავს მიურიდებად თვლიდნენ და საერთო ძ ი ა რ ა თ ი ს შესასრულებლად არ იკრიბებოდნენ.

კუნტ-ჰაჯის სექტის წევრები კი, რელიგიურ რიტუალს (ქალები და მამაკაცები ერთად და ცალ-ცალკე) ასრულებდნენ ოთახში ან ღია ცის ქვეშ წმინდა ცეკვის შესრულებით. მათ მ ხ ტ უ ნ ა ვ ე ბ ს უწოდებდნენ[38].

მოკლე დროის განმავლობაში კუნტ-ჰაჯის მოძღვრებას ბევრი მიმდევარი გაუჩნდა ინგუშეთშიც. გახშირდა მათი შეკრებები. კუნტ-ჰაჯი პირადად არასოდეს არ ქადაგებდა. იგი თავის მოძღვრებას მიურიდების საშუალებით ავრცელებდა ხალხში. შამილმა სასტიკად გაილაშქრა მისი მოძღვრების წინააღმდეგ. მან აკრძალა შეკრებები და ქუჩებში ცეკვა-სიმღერით ძ ი ქ ა რ ი ს რიტუალის შესრულება, თითქოს იგი ჭეშმარიტი რელიგიის წინააღმდეგ იყო მიმართული[39].

---

[33] А. Саламов, დასახ. ნაშრ. გვ. 160.

[34] А. Смирнов, Мюридизм на Кавказе, АН СССР, М., 1963, გვ. 159.

[35] А. Саламов, დასახ. ნაშრომი, გვ. 161.

[36] А. Ипполитов, Учение «Зикр» и его последователи, ССКГ, вып. 12, Тиф., 1869, გვ. 6.

[37] А. Саламов, დასახ. ნაშრომი, გვ. 161.

[38] იქვე, გვ. 160.

[39] А. Ипполитов, დასახ. ნაშრომი, გვ. 2.

1859 წელს კუნტ-ჰაჯი გაემგზავრა მექაში, იქ ყოფნის პერიოდში მან მისწერა თავის ნათესავებს და მიმდევრებს, რომ საჭიროა ილოცოთ მუჰამედის პატივსაცემად და შეასრულოთ ძიქარ. 1861 წელს მექადან კავკასიაში დაბრუნებულმა კუნტ-ჰაჯიმ (შამილის დატყვევების შემდეგ) ნახა, რომ მის მიერ შექმნილი სექტა ისევ მოქმედებაში იყო. მან თავისი მიურიდების მეშვეობით, უფრო ენერგიულად დაიწყო ხალხის სექტებში ჩაბმა, გაახშირა შეკრებები სახლებში; ქუჩებში, ცეკვა-სიმღერითა და ყვირილით; აწყობდა საიდუმლო ბრძოლას რელიგიური გაერთიანების ჩარჩოდან ცარიზმის წინააღმდეგ, ხშირი გახდა პოლიტიკური მკვლელობები რუსი სამხედრო მოღვაწეებისა. მდგომარეობა დღითი-დღე უფრო მწვავდებოდა და მეფის რესეთმა რამდენიმე მიურიდი დააპატიმრა[40]. კუნტ-ჰაჯი გადაასახლეს ქ. უსტიუჟნში (ნოვგოროდის გუბერნია), სადაც რამდენიმე წლის შემდეგ გარდაიცვალა.

1864 წელს კუნტ-ჰაჯისა და რამდენიმე მიურადის დაპატიმრების გამო მეფის რუსეთის შეიარაღებულ ჯარსა (გენერალ თუმანოვის ხელმძღვანელობით) და კუნტ-ჰაჯის მიმდევრებს შორის სოფ. შალში მომხდარ შეტაკებაში უამრავი ხალხი დახოცილა. ნ. სმირნოვის ცნობით, გაფიცვაში მონაწილეობას იღებდნენ ქალებიც[41]. ამ გაფიცვას ხალხის მხარდაჭერა არა ჰქონია. ჯერ ერთი იგი არ ატარებდა გამათავისუფლებელ ხასიათს და მეორეც ჩაჩან-ინგუშ ხალხს შორის არ იყო ერთიანი კავშირი რელიგიაშიც კი. მუსულმანური სამღვდელოების საკმაოდ დიდი ნაწილი გააფთრებით იბრძოდა კუნტ-ჰაჯის მიმდევრების წინააღმდეგ. მოლები მათ სექტას არ იწონებდნენ, მკრეხელობად თვლიდნენ მეჩეთში ძიქრის შესასრულებლად არ უშვებდნენ[42].

შალის გაფიცვის შემდეგ ჩაჩნეთ-ინგუშეთში აიკრძალა სექტის შეკრებები, მაგრამ კუნტ-ჰაჯის დარჩენილმა მიმდევრებმა ჩუმად განაგრძეს მისი სახელობის რელიგიური რიტუალის შესრულება. ამ სექტიდან წარმოქმნა მთელი რიგი ქვესექტები და ყოველ მათგანს სათავეში ჩაუდგა ის პირი, რომელმაც თავისი „სიწმინდითა“ და „ენერგიით“ შეძლო სექტის წევრების მოახრობა. კუნტ-ჰაჯის სექტის მიმდევართა მთავარ წმინდა ადგილად ითვლება მისი დედის — ხედის საფლავი (ვედენოს რაიონი, ერთიან-ქუერთ), სადაც ამ სექტის წევრები წელიწადში ერთხელ მიდიოდნენ თავიანთი მოძღვრის პატივსაცემად.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ პანკისის ხეობაში კუნტ-ჰაჯის მოძღვრების გამავრცელებელი იყო მაჩიგ მაჩალიკაშვილი. მან რევოლუციის შემდგომ პერიოდში დიდი როლი შეასრულა აღნიშნული სექტის სოფელ დუისში დასამკვიდრებლად. იმის გამო, რომ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დაიხურა დუისის მეჩეთი, კუნტ-ჰაჯის სექტის წევრები იკრიბებოდნენ ერთ-ერთი წევრის ოჯახში ყოველ პარასკევს — ქალები დღის ორ საათზე, მამაკაცები საღამოს საათებში. 1969 წელს სექტის მოთავეებმა მეჩეთი შეაკეთეს, გაამართვინეს საერთო ხარჯით და იქ განაგრძობენ სექტის რიტუალის შესრულებას, ხოლო ნაუშბადის სექტის წევრები გროვდებიან პარასკევს (ქალები დღის პირველ ნახევარში, მამაკაცები კი საღამოს) ისევ იმ ოთახში, სადაც 1920 წლამდე მისი მქადაგებელი ის-ეფენდი ცხოვრობდა.

---

[40] Л. Ипполитов, დასახ. ნაშრომი, გვ. 3—4.
[41] Н. Смирнов, დასახ. ნაშრომი, გვ. 159.
[42] А. Шамилев, დასახ. ნაშრომი, გვ. 28—30.

სექტებში მონაწილეობას იღებს ხანდაზმულთა ძალზე უმნიშვნელო ნაწილი. მათი რელიგიური რიტუალის შესრულების წესიც რამდენადმე შეცვლილია. თუ ადრე დახურულ, ბნელ ოთახში სრულდებოდა ეს რიტუალები, ახლა ქალები მას ღია ცისქვეშაც ასრულებენ (ერთი საათის განმავლობაში). თითოეულ ჯგუფს ჰყავს ხელმძღვანელი — თ ჰ ა მ დ და მისი მოადგილე — თ უ რ ა ჯ. მოადგილე ორგანიზაციას უკეთებს ძ ი ა რ ა თ შ ი მონაწილეობის მიღების მსურველებს. ჩანს, რომ ამ რიტუალის შესრულებას თანდათანობით გართობის ხასიათიც ეძლევა.

პანკისის ქისტებში ნ ა ყ შ ბ ა დ ი ს ა და კ უ ნ ტ-ჰ ა ჯ ი ს სექტის წევრები გარეგნული შეხედულებით არაფრით არ განსხვავდებიან დანარჩენი მაცხოვრებლებისაგან. თითოეული მათგანის აუცილებელი კუთვნილებაა ა ლ ა ჰ ი ს სახელობის 99 მძივისაგან შემდგარი კრიალოსანი. ალაჰის მეასე სახელი არავინ იცის. მეასე მძივი, რომლისაგანაც ქება-დიდებით გადათვლა იწყება, სხვა მძივებთან შედარებით უფრო გრძელია და კრიალოსანში მას ნ ო ლ ა ეწოდება. ყოველი 33 მძივი გამოყოფილია ზომით განსხვავებული ორ-ორი მძივით, რომლებსაც მ უ თ ა ლ ი მ ე. ი. „მოწაფე“ ეწოდება, ზოგჯერ კრიალოსანი 999 მძივისაგან შედგებოდა. მისი თვლა იწყება ყოველი ლოცვის შემდეგ.

ჩრდილო კავკასიის ვაინახებში ტერმინი ძ ი ა რ ა თ წმინდა ადგილების თაყვანისცემას ნიშნავს[43], ხოლო ძ ი ქ ა რ რელიგიური რიტუალის შესრულებას, პანკისის ქისტებში კი ტერმინი ძ ი ქ ა რ აღნიშნავს გალობას, ხოლო ძ ი ა რ ა თ რელიგიური რიტუალის შესრულებას. ტერმინი ზ ი კ რ უ ნ არაბული სიტყვაა და ნიშნავს „მოგონებას“. კუნტ-ჰაჯი თვითონ ძ ი ა რ ა თ ს არასოდეს არ ასრულებდა, მან იცოდა მისი შესრულების სირთულე და მავნებლობა ადამიანის ჯანმრთელობისათვის, იგი თავის ვექილის — მ უ რ ი დ ი ს საშუალებით აღწევდა მიმდევრებში ავტორიტეტს, ნახულობდა მათგან მატერიალურ მხარდაჭერას. არსებობს ცნობა იმის შესახებ, რომ შეიხებისა და და მოლების მამულებსა და საქონელს ღარიბი გლეხობა უვლიდა[44] ყოველგვარი გადასახადის გარეშე.

ძ ი ა რ ა თ ს ასრულებდნენ შემდეგნაირად: 16—20 (ზოგჯერ მეტი) ადამიანი ფართო ჩაბნელებულ ოთახში წრედ სხდებოდა. სექტის წევრები, როგორც წესი, ფეხშიშველები იყვნენ. ჯგუფის ხელმძღვანელი არაბულად წამოიმღერებდა მარტივ ძ ი ქ ა რ ს მოძახილით (ხშირ შემთხვევაში არაბულის უცოდინარობის გამო ძ ი ქ ა რ-ს ქისტურად მღეროდნენ). წრეში მსხდომნი ჰყვებიან სიმღერას და ტაქტში მარჯვნიდან მარცხნივ იხრებიან. მელოდიის ტემპი თანდათანობით ჩქარდება, დინჯად იწყებენ ტაშის დაკვრას. ნახევარი საათის შემდეგ წრეში მსხდომნი ფეხზე დგებიან და ნელი ტაშისცემით წრის გარშემო რწევით იწყებენ სიარულს და ერთ მხარეზე გადახრილნი ლ ა-ი ლ ა ჰ ა ს იძახიან, ხოლო მეორე მხარეს გადმოხრისას კი ილ ა-ლ ლ ა ჰ ა-ს. ამ სიტყვებს ხშირ-ხშირად იმეორებენ და თანდათანობით ნაბიჯს აჩქარებენ. შესატყვისად ხშირდება ზემოთ აღნიშნული ფორმულის წამოძახილი, ტაშის ცემა, ფეხების ბაკუნი, ველური წარმოყვირებები, ჩახშული ხრინწიანი ხმით უ ლ ი ლ ა, უ ლ ი ლ ა-ს წამოძახებები, დაღებული პირები, შემაძრწუნებელ შთაბეჭდილებას ტოვებს. ოფლისაგან სველი სახეები, ჩახლეჩილი ხმები, სწრაფ ტემპში მოძ-

[43] А. М а ц и е в, Чеченско-русский словарь, М., 1961, გვ. 190.
[44] А. Ш а м и л е в, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

რავი თავები უცხოზედაც კი უდიდეს ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენს. ასე დარბიან განუწყვეტლივ ერთი საათის განმავლობაში. ზოგი ძალაგამოლეული ეცემა და მათ განზე გაიყვანენ. ზოგი კი ექსტაზში — (შ ო ვ ყ) შედის, ვერა გრძნობს ნემსის ჩხვლეტას და ვერც ვერაფერს ხედავს. როცა ყველა უკვე ქანცგამოლეულია, დამწყები ჩერდება და იწყებს სხვა სიმღერას — ნ ა ზ მ ს. ჯგუფის წევრები წყნარად აჰყვებიან ხელმძღვანელს (თ ჰ ა მ დ). ძ ი ა რ ა თ ი ლოცვა-ვედრებით მთავრდება.

თუ ძ ი ა რ ა თ ი, რომელიმე მუსულმანურ დღესასწაულთან ან მიცვალებულთან დაკავშირებით ეწყობოდა, მაშინ მონაწილეებს პურ-მარილით უხვად უმასპინძლდებოდნენ.

როგორც აღვნიშნეთ, ძ ი ა რ ა თ ი ს შესრულების დროს ადამიანი შედის ექსტაზში, კარგავს გონებას და ფსიქიურად ავადდება კიდეც. ამ მდგომარეობიდან გამოსულ ადამიანს ეკარგება შრომითი და შემოქმედებითი უნარი, მეორეც ამ რიტუალის შესრულება შეუძლია იმას, ვინც თავს არიდებს საზოგადოებრივ, სასარგებლო შრომას და ეწევა უსაქმურ ცხოვრებას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოში გადმოსახლებული ქისტების რელიგიური მსოფლმხედველობა მნიშვნელოვან ნაწილში წარმართული იყო, მერე ქრისტიანული, ხოლო შემდეგ ისლამმა მათ მსოფლმხედველობაში პრინციპული ცვლილებები ვერ შეიტანეს.

პანკისში დასახლების შემდეგ მათ განიცადეს ქრისტიანობის უფრო ღრმა, ყოველმხრივი და სისტემატური გავლენა, მაგრამ როგორც ჩანს, არც ეს ფაქტორი აღმოჩნდა გადამწყვეტი. დროთა განმავლობაში ისლამმა კვლავ მოიკიდა ფეხი ცალკეული სექტების სახით.

სოციალისტური საზოგადოების განვითარების პროცესში რელიგიური ფანატიზმი თანდათანობით გადაგვარდა, მაგრამ მან თავი შემოინახა უმთავრესად მოხუცებულთა წრეში. ამ გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებად სალექციო-საპროპაგანდო მუშაობასთან ერთად უნდა ჩაითვალოს ის ძველი ხალხური პროგრესული ტრადიციების გამოვლინება, განვითარება და დანერგვა, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე ყალიბდებოდა და გარკვეულ ნაწილში ყველა კავკასიელი მთიელისათვის საერთო იყო.

ისმება კითხვა: რაში მდგომარეობს კუნტ-ჰაჯისა და ნაყშბანდის სექტების სიცოცხლისუნარიანობა, რატომ შემორჩნენ ისინი ასე დიდხანს პანკისში?

როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ სექტებმა თავი შემოინახა უმთავრესად მოხუცებულთა წრეში. კუნტ-ჰაჯისა და ნაყშბანდის პიროვნებას, მათ მოღვაწეობას ისინი არ იცნობენ და თაობიდან თაობაზე გადადის მათ მიერ შემოღებული ლოცვები, რაც მთავარია მათ იზიდავთ „ზნეობრივი თვითამაღლების“ სურვილი, თუ „მითიური სამოთხის“ მოლოდინი, რომლის წინააღმდეგ ანტირელიგიური მუშაობა უნდა ტარდებოდეს სისტემატურად, დამაჯერებლობითი მეთოდით. თვით მორწმუნე პირები უნდა ჩასწვდნენ რელიგიური დოგმის შინაარსს, მის უარყოფით მოვლენას საზოგადოების განვითარებასა და წინსვლაზე.

სოციალიზმის გამარჯვების შემდეგ ჩვენს ქვეყანაში აღმოფხვრილია რელიგიის სოციალური საფუძველი. უმრავლესობამ თავი დააღწია მის ექსპლუატაციისაგან, მაგრამ რელიგიური გადმონაშთები საკავშირო მასშტაბით ბევრგან გვხვდება. მისი აღმოფხვრა მიმდინარეობს უმტკივნეულოდ, აღმზრდელობითი მუშაობის მაღალ დონეზე ჩატარებით. მუშაობის ასეთი მეთოდი უნდა გამოვიყენოთ პანკისის ქისტებშიც. ამაში ხელს შეუწყობს ხანდაზმულთა ჩაბმა

ადგილზე შექმნილ საწარმოებში. მათი ცოდნა-გამოცდილების გაზიარება ეროვნული ხელოვნებისა და ხელოსნობის ნიმუშების შექმნაში. ამით ერთდროულად ორი საქმე გაკეთდება. ჯერ ერთი, მოხუცები ასაკისათვის შესაფერის შრომით საქმიანობაში ჩაებმებიან, მეორეც, დრო და სურვილი აღარ ექნებათ რელიგიური რიტუალის შესასრულებლად. საჭიროა კულტმასიური უჯრედების მთელი პასუხისმგებლობით ამოქმედება: კინოფილმებისა და წარმოდგენების ჩვენება, საღამოების მოწყობა, უფროსი თაობის ჩაბმა ადგილზე შექმნილ ცეკვა-სიმღერის გუნდებში, რაიონული თვითმოქმედი კოლექტივების მიერ მხატვრული, სპორტული და სხვა ღონისძიებების მოწყობა, საბჭოური ღონისძიებების დაკავშირება რელიგიურ დღესასწაულებთან, რადიოგადაცემების მოწყობა მოწინავე მუშების წარმატებებზე, ხეობის საჭირბოროტო და რელიგიურ საკითხებზე სისტემატური საუბრების ჩატარება; სოფლის კეთილმოწყობა: გზებისა და ხიდების შეკეთება, წყალსადენის გაყვანა და სხვ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი პედაგოგიური კოლექტივისა და სამედიცინო პერსონალის მიერ მოზარდ თაობასთან სისტემატურად ჩატარებულ აღმზრდელობით მუშაობას.

ყოველივე ამან, არ შეიძლება თავისი წვლილი არ შეიტანოს პანკისელ ქისტებში შემორჩენილ ადათობრივ მავნე გადმონაშთების ლიკვიდაციაში.

Л. Ю. МАРГОШВИЛИ

РЕЛИГИОЗНЫЕ ПЕРЕЖИТКИ У ПАНКИССКИХ КИСТОВ

Резюме

Работа посвящена описанию религиозных сект у кистов, проживающих в Панкисском ущелье. На основе исторических документов и этнографических материалов в работе кратко рассмотрен вопрос поселения вейнахов в данном ущелье. Описана деятельность мусульманских сект Накш-банды и Кунт-Хаджи, пути их распространения. Показано отрицательное влияние указанных сект на население Панкиси.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილებამ.

ცნობები და შენიშვნები

გიორგი გაბუნია

საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობა 1905—1907 წწ. რევოლუციაში

1905—1907 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო რუსეთის ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში.

რევოლუციის დასაწყისს — 1905 წლის 9 იანვრის ამბებს, თავიდანვე აქტიურად გამოეხმაურნენ იმპერიის განაპირა ეროვნული რაიონები, მათ შორის ამიერკავკასია და, კერძოდ, საქართველოც, სადაც მძლავრი რევოლუციური მოძრაობის ზეგავლენით მოსწავლე-ახალგაზრდობაც აშკარად გამოვიდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად და არაერთი ღირსშესანიშნავი ფურცელი ჩაწერა მშრომელთა გმირული ბრძოლების სახელოვან მატიანეში. განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო მოსწავლეთა გამოსვლებმა საქართველოს ძირითად სამრეწველო ცენტრებში. „დღეს ჩვენ ნათლად დავინახეთ, — წერდა გაზეთი „ივერია“ 1905 წლის დამდეგს, — რომ მოსწავლეებმა ვერ შეიკავეს თავისი აზღვავებული გრძნობები... გადმოლახეს სასწავლებლის კედლები და ქუჩაში გამოვიდნენ. დღეისათვის არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ, როგორც ტფილისში, ისე ქუთაისს, გორს, ბათუმში და სხვაგანაც საშუალო სასწავლებლის მოწაფეებმა დემონსტრაციები მოახდინეს... ყველგან რუსეთში არეულობა არის... ჩვენ ბავშვებსაც გადაედო ეს... ისინიც აღარ ჩამორჩნენ სხვებს“[1].

1905 წლის 23 იანვარს თბილისის სხვადასხვა უბანში დილიდანვე დაიწყო მუშათა დემონსტრაციები. მათ შორის ყველაზე ხალხმრავალს ადგილი ჰქონდა გოლოვინის (ამჟამად რუსთაველის) გამზირზე. იგი დამთავრდა პოლიციასთან შეტაკებით. ჟანდარმთა სამმართველოს ცნობით, დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივი კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეებმა, რომლებმაც დროზე შეაფარეს თავი I კლასიკური გიმნაზიის შენობას და ამით თავიდან აიცილეს ხიფათი[2]. ეხებოდა რა თბილისელ მოსწავლეთა 1905 წლის იანვრის გამოსვლებს, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი წერდა: „მონაწილე მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით შთამაგონებელი ხასიათი ჰქონდა არეულობას მოსწავლეთა შორის მხარის ადმინისტრაციულ ცენტრში — თბილისში... მღელვარება დაიწყო მეორე დღესვე რევოლუციური მანიფესტების შემდეგ, სახელდობრ, 24 იანვარს“[3]. ამ დღეს ვაჟთა I გიმნაზიის

---

[1] გაზ. „ივერია“, 1905 წლის 27 თებერვალი.

[2] Революция 1905 года в Закавказье (Хроника событий, документы и материалы), Тиф., 1926, გვ. 6.

[3] „საქართველოს მოსწავლე — ახალგაზრდობა 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში (დოკუმენტების კრებული)“, იხილეთ: „საისტორიო მოამბე“, თბ., 1963, ტ. 15-16, დოკ. № 19, გვ. 413.

მოწაფეებმა მიატოვეს გაკვეთილები, საშინელი ხმაური ატეხეს და ჩაამსხვრიეს სასწავლებლის ფანჯრის მინები. 26 იანვარს კი დაიწყო მოსწავლეთა გაფიცვები ვაჟთა II გიმნაზიაში, რეალურ სასწავლებელში, ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტში, ავლაბრისა და ნიკოლაევის სასწავლებლებში, ქალაქის თითქმის ყველა სხვა სასწავლო დაწესებულებაში. თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი 1905 წლის 26 იანვარს დაშიფრული დეპეშით ატყობინებდა პოლიციის დეპარტამენტს, რომ „...მეცხრე დღეა თბილისში გრძელდება გაფიცვა. მუშების გარდა... მღელვარება მოედო ქალაქის ბევრ საშუალო სასწავლებელს... წესრიგს იცავენ ჯარის ნაწილები და პოლიციელები, რომლებიც აპატიმრებენ გაფიცვის აქტიურ მონაწილეებს“[4].

თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო რევოლუციური მოძრაობის მძლავრი ტალღა მოედო ქუთაისის სასწავლებლებსაც. 19 და 20 იანვარს ქუთაისის სკოლების მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს მშრომელთა საერთო პოლიტიკურ დემონსტრაციაში, რის გამოც 10 მოსწავლე დააპატიმრეს. 25 იანვარს ადგილი ჰქონდა ვაჟთა გიმნაზიის, რეალური და წმ. ნინოს სასწავლებლების მოსწავლეთა გამოსვლებს, ხოლო 27 იანვარს შეწყდა მეცადინეობა სასულიერო სასწავლებელში. დაშინებულმა ადმინისტრაციამ იმავე დღესვე დახურულად გამოაცხადა სასოფლო-სამეურნეო და სასულიერო სასწავლებლები. გარდა ამისა, ქუთაისის გუბერნატორი გენერალ-მაიორი სმაგინი მთავარმართებელს ნებართვას თხოვდა გიმნაზიისა და რეალური სასწავლებლის დახურვაზეც[5]. საყურადღებოა იანვრის ბოლო რიცხვებში ქუთაისის ერთკლასიანი საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორისადმი გაგზავნილი მოსწავლეთა კოლექტიური წერილი, რომელშიც ისინი სწორ ანალიზს უკეთებდნენ რუსეთის მშრომელთა რევოლუციურ მოძრაობას და წერდნენ: „ჩვენ... ვუერთდებით საყოველთაო სიმართლის, ჭეშმარიტების ხმას, ვუცხადებთ პროტესტს თანაშედროვე პოლიტიკურ წყობას და გავიძახით: ძირს თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს პოლიტიკურ თავისუფლებას!“[6].

1905 წლის იანვარში მღელვარებამ მოიცვა ქუთაისის გუბერნიის მთელი რიგი საშუალო სასწავლებლებიც. 21 იანვარს მოსწავლეთა გამოსვლას ჰქონდა ადგილი სამტრედიაში, 24 იანვარს კი — დიდ ჯიხაიშში. ამის გამო აღშფოთებულმა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა ვრცელი მოხსენებითი ბარათი გაუგზავნა კავკასიის მთავარმართებელს, რომელშიც ითხოვდა ნებართვას სამტრედიასა და დიდ ჯიხაიშში სკოლების დახურვის შესახებ[7].

1905 წლის რევოლუციის დასაწყისიდანვე საერთო-სახალხო მოძრაობას თავისი ხმა შეუერთა ბათუმის მოსწავლე-ახალგაზრდობამაც. 25 იანვარს ბათუმის სკოლების მოსწავლეებმა შეწყვიტეს მეცადინეობა და მოთხოვნები წაუყენეს სასწავლებლის ადმინისტრაციას. 27 იანვარს, დილის 10 საათზე ვაჟთა გიმნაზიის ზედა სართულზე უჩვეულო ხმაური ატყდა... შეიარაღებულმა მოწაფეებმა შეამტვრიეს სააქტო დარბაზის ფანჯარა, ტყვიები დაუშინეს კედელ-

---

[4] „საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობა...“, იქვე, დოკ. № 3, გვ. 395.

[5] საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (ცსსა), ფონდი 12, საქ., 3290, ფურც. 5.

[6] იქვე, ფონდი 422, საქ. 8756, ფურც. 11—12.

[7] ჟურნ. „მოგზაური“, № 4, 1905, გვ. 35.

ზე ჩამოკიდებულ მეფის სურათს და ნაფლეთებად აქციეს იგი, შემდეგ კი, სხვა სკოლების გაფიცულ მოსწავლეებთან ერთად მანიფესტაცია მოაწყვეს ქალაქის ქუჩებში, რომელიც დამთავრდა პოლიციასთან შეტაკებით. მძიმედ დაჭრა ერთი გიმნაზიელი, ხოლო 6 — ჟანდარმერიამ დააპატიმრა. იანვრის ბოლოს ვაჟთა გიმნაზიის აღსაზრდელებმა სასწავლებლის დირექციას მოთხოვეს ყველა დაპატიმრებული ამხანაგის დაუყოვნებლივ განთავისუფლება, გაფიცვის მონაწილეთა დაუსჯელად დატოვება, სწავლის ქირის შემცირება, ეკლესიაში სავალდებულო სიარულისაგან განთავისუფლება და ა. შ.[8]. როგორც ჩანს, ადმინისტრაციას მათი ეს მოთხოვნები უყურადღებოდ დაუტოვებია, ვინაიდან მოსწავლეებს მეცადინეობა არ განუახლებიათ. 27 იანვარს ბათუმის ვაჟთა გიმნაზია განუსაზღვრელი დროით დახურეს, ხოლო მოსწავლეთა უმრავლესობა კი გარიცხეს სასწავლებლიდან[9].

1905 წლის დამდეგს თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო გამოსვლებს არც აფხაზეთის მოსწავლე ახალგაზრდობა ჩამორჩენია. არსებული წყობილებისადმი მათი დამოკიდებულების შესახებ გარკვეულ წარმოდგენას იძლევა სოხუმის საქალაქო სასწავლებლის მოსწავლეთა კოლექტიური წერილი, გაგზავნილი ოლქის უფროსისადმი. ამ წერილს, რომელშიც ლაპარაკი იყო ცარიზმის გარდუვალი დამხობისა და დემოკრატიული ძალების აუცილებელი გამარჯვების შესახებ, თან ერთვოდა ნიკოლოზ II-ის სურათი, სახეზე სისხლიანი წვეთებით და ლაკონიური წარწერით: „დედანთან სწორია!“ 1905 წლის იანვრის ბოლო რიცხვებში სოხუმის რეალურ და საქალაქო სასწავლებლებში ჩამოყალიბდა მოსწავლეთა რევოლუციური ორგანიზაციები, რომლებიც რსდმპ ბათუმის კომიტეტის სოხუმის ჯგუფის უშუალო ხელმძღვანელობით მუშაობდნენ. მოგვიანებით, ასეთივე ორგანიზაციები შეიქმნა სოხუმის სხვა სასწავლო დაწესებულებებშიც და მათ დიდად შეუწყვეს ხელი მეფის მთავრობის წინააღმდეგ მოსწავლეთა მიზანდასახულ გამოსვლებს.

როგორც ვხედავთ, საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის რევოლუციურმა მოძრაობამ 1905 წლის იანვარში საკმაოდ ფართო გაქანება მიიღო, რაშიც უდიდესი დამსახურება მიუძღოდათ ადგილობრივ ბოლშევიკურ ორგანიზაციებს, რომლებიც მთელის პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ მოსწავლეთა შორის მუშაობას, ყველაფერს აკეთებდნენ ახალგაზრდობის რევოლუციური ბრძოლის სწორი გზით წარსამართავად და სწორედ მათმა ასეთმა სერიოზულმა დამოკიდებულებამ მოზარდი თაობისადმი განაპირობა ის, რომ: „მოსწავლე ახალგაზრდობამ რევოლუციის დასაწყისშივე შეიმუშავა და წამოაყენა თავისი ძირითადი მოთხოვნები პოლიტიკური და რელიგიური რწმენის თავისუფლება, ამხანაგური ორგანიზაციებისა და სასამართლოების შექმნის თავისუფლება, საღმრთო სჯულის სწავლების აკრძალვა, სკოლაში ყველას მიღება განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, უფასო სწავლება“[10].

საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის რევოლუციურმა საქმიანობამ დიდად შეაშფოთა ზემდგომი ორგანოები. სასწავლო ოლქის მზრუნველი ზავადსკი გადამჭრელი ზომების გატარებას მოითხოვდა მოსწავლეთა „დასაწყნარებ-

---

[8] რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903-1905 წწ.), თბ., 1955, გვ. 313.

[9] „საისტორიო მოამბე“, ტ. 15-16..., დოკ. № 11, გვ. 402.

[10] ლ. ე ბ ა ნ ო ი ძ ე, საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში, თბ., 1959, გვ. 121.

ლად“ და რეკომენდაციას იძლეოდა სასწავლებლებში მეცადინეობა განახლებულიყო მხოლოდ საერთო მღელვარების დაშოშმინების შემდეგ. მაგრამ, მოსწავლეთა რევოლუციური მოძრაობა სულ უფრო ძლიერდებოდა და დღე არ გავიდოდა ისე, რომ მათ გამოსვლებს ადგილი არ ჰქონოდა საქართველოს არა მარტო ძირითად სამრეწველო ქალაქებში, არამედ პერიფერიებშიც. მაგალითად, 1905 წლის 5 თებერვალს ქუთაისის გუბერნიის სოფელ ბასილეთის ორკლასიანი სკოლის მოსწავლეებმა გამართეს მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაცია და ნაფლეთებად აქციეს „ხელმწიფე-იმპერატორის“ პორტრეტი. ასევე საჯაროდ დახიეს მეფის სურათი სოფელ ხიდისთავის ქალთა სასწავლებლის აღსაზრდელებმაც, ხოლო სიღნაღის სამოქალაქო სკოლის მოსწავლეთა 9 თებერვლის გაფიცვით დაშინებულმა სასწავლებლის ადმინისტრაციამ, მოსალოდნელი ხიფათის თავიდან ასაცილებლად, შეიარაღებულ ჩაფრებს მოუყარა თავი სკოლის ეზოში[11]. 9 თებერვალსვე ბათუმის ვაჟთა გიმნაზიის მოსწავლეებმა მოაწყვეს თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო დიდი დემონსტრაცია და ამის გამო ეს სასწავლებელიც განუსაზღვრელი დროით დახურეს[12].

მეფის მთავრობა ყველა საშუალებით ცდილობდა შეენელებინა დაწყებული რევოლუცია. თავისი მიზნის მისაღწევად ცარიზმი არ ერიდებოდა ისეთი პოლიტიკის გატარებასაც, რომელიც მიმართული იქნებოდა სხვადასხვა ხალხს შორის სისხლისღვრის გაჩაღებისაკენ. 1905 წლის 6—9 თებერვალს თვითმპყრობელობამ ბაქოში მოაწყო სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტა, ამ პროვოკაციული მოქმედებით იგი იმედოვნებდა შეეჩერებინა რევოლუციური ბრძოლის შემდგომი აღმავლობა ამიერკავკასიაში და დეზორგანიზაცია შეეტანა რევოლუციის საქმისათვის თავდადებულ მებრძოლთა მრავალეროვან რიგებში. მშრომელებთან ერთად, ცარიზმის ამ ავაზაკურ აქტს უდიდესი აღშფოთებით შეხვდნენ საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდებიც. 1905 წლის 14 თებერვალს თბილისში, ვანქის ეკლესიაში მოსწავლეთა ინიციატივით გადაიხადეს პანაშვიდი ბაქოში დახოცილთა მოსახსენებლად. პანაშვიდის დამთავრებისთანავე გაიმართა დიდი მიტინგი, რომელზეც გამოსული ორატორები სამარცხვინო ბოძზე აკრავდნენ ძმათა შორის სისხლისმღვრელი შეტაკების ორგანიზატორებს და მოუწოდებდნენ ხალხს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. 20 თებერვალს თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობამ ქაშვეთის ეკლესიაში გადაიხადა პანაშვიდი ბაქოში დაღუპულთა ხსოვნის აღსანიშნავად, ხოლო შემდეგ გოლოვინის გამზირზე მოაწყო პოლიტიკური დემონსტრაცია წითელი დროშებითა და მთავრობის საწინააღმდეგო ტრანსპარანტებით, რომელიც დამთავრდა ჟანდარმერიასა და კაზაკებთან შეტაკებით. ანალოგიურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი 20 თებერვალს ბათუმშიც, სადაც პოლიციასთან შეჯახების შედეგად რამდენიმე კაცი მძიმედ დაშავდა, მათ შორის სახელოსნო სკოლის I კლასის ერთი მოსწავლეც[13]. აბის საპასუხოდ, 21—22 თებერვალს გაიფიცნენ ბათუმის სახელოსნო და ექვსკლასიანი სასწავლებლის მოსწავლეები, რის გამოც მთავრობამ აღნიშნული ორივე სასწავლო დაწესებულება დროებით დახურა. როგორც ვხედავთ, საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობამ ერთსულოვანი პროტესტი გამოუცხადა ცარიზმის ძმათაჟლეტის პოლიტიკას.

---

[11] გაზ. „ივერია“, 1905 წლის 16 მარტი.

[12] სცსსა, ფონდი 157, აღწ. 1, საქ. 55, ფურც. 62.

[13] ჟურნ. „მოგზაური“, № 8, 1905, გვ. 101.

1905 წლის 14 თებერვალს ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობამ მოაწყო მთავრობის საწინააღმდეგო მძლავრი გამოსვლა, რომელიც თავისი მასშტაბით ერთ-ერთი უდიდესი იყო საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში. ამ დღეს ვაჟთა გიმნაზიასა და რეალური სასწავლებლის მოსწავლეებმა დემონსტრაციულად მიატოვეს გაკვეთილები და რევოლუციური სიმღერებით გაემართნენ წმ. ნინოს სასწავლებლისაკენ, მაგრამ იქ მათ სრულ მზადყოფნაში დახვდნენ პოლიცმეისტერი და ბოქაული. დაახლოებით 70 ახალგაზრდა „სტრაჟნიკებმა" დააპატიმრეს. საღამოს 5 საათზე მოსწავლეთა ჯგუფმა გაფიცულ ნოქრებთან ერთად, ქვებისა და რევოლვერების სროლა დაუწყო პოლიციელთა მეთვალყურე რაზმს, რაზეც კაზაკებმა და პოლიციელებმა საპასუხო სროლით უპასუხეს. ამ შეტაკებისას სამი დემონსტრანტი მოკლეს, ხოლო რამდენიმე მძიმედ დაჭრეს, მათ შორის გიმნაზიელი ღოღობერიძე და რეალური სასწავლებლის მოსწავლე ჩიჩუა[14]. აღსანიშნავია, რომ ქუთაისელ მოსწავლეთა ზემოაღნიშნულ გამოსვლაში მონაწილეობას იღებდნენ ვლადიმერ მაიაკოვსკი და ვასილ კიკვიძე, რომლებიც მაშინ სწავლობდნენ კლასიკურ გიმნაზიაში. ვლ. მაიაკოვსკი მოსწავლეთა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრი იყო და, როგორც თვითონ წერს, თავისი მამის ბერდანებიც კი მიუტანია სოციალ-დემოკრატიულ კომიტეტში[15]. მოგვიანებით, იგონებდა რა ქუთაისის ამბებს, დიდი პოეტი წერდა: „კაზაკები მათრახებით მცემდნენ სხვებთან ერთად. ეს იყო ჩემი პირველი ნათლობა, როგორც რევოლუციონერისა და აგიტატორისა"[16].

ქუთაისელ მოწაფეთა 14 თებერვლის პოლიტიკურმა დემონსტრაციამ ფართო გამოხმაურება პოვა იმპერიის ყველა კუთხეში. მისით დაინტერესდა რუსული ბოლშევიკური პრესაც, კერძოდ გაზეთები „პროლეტარი" (1905 წლის 26 (13) ივნისი, № 5) და „ვპერიოდი" (1905 წლის 12 აპრილი, № 14), რაც ნათლად მიგვითითებს საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის რევოლუციური მოძრაობის დიდ აღიარებაზე.

1905 წლის თებერვლის შუა რიცხვებიდან სამეგრელოს მთელი რიგი სასწავლებლებიც რევოლუციურმა განწყობილებამ მოიცვა. „ორ კვირაზე მეტია, — წერდა გაზეთი „ცნობის ფურცელი", — ახალ სენაკის ნორმალურ სასწავლებელში მეცადინეობა შეწყვეტილია. 17 თებერვალს მოსწავლეებმა წარუდგინეს თხოვნა სკოლის ზედამხედველს ნ. ენუქიძეს და მეცადინეობას თავი დაანებეს. მოსწავლეები თხოულობდნენ ქართული ენის შემოღებას ხსენებულ სასწავლებელში"[17]. იმავე დღეებში სენაკის მაზრის სოფელ ნოქალაქევის ორკლასიანი სკოლის აღსაზრდელებმა მიატოვეს გაკვეთილები და საჯაროდ დახიეს რუსეთის იმპერატორის პორტრეტი, ხოლო ზუგდიდის სამოქალაქო სასწავლებლის მოწაფეებს შორის აკრძალული რევოლუციური ბროშურების გავრცელებისათვის პოლიციამ დააპატიმრა რამდენიმე მოსწავლე და მათთან ერთად ზოგიერთი „საეჭვო" მასწავლებელიც.

შედარებით გვიან ჩაება საერთო-რევოლუციურ მოძრაობაში გორის მოსწავლე ახალგაზრდობა. 22 თებერვალს სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი მაზრის უფროსს სწერდა, რომ: „გუშინ, 21 თებერვალს, გორის

[14] გაზ. „ივერია", 1905 წლის 24 თებერვალი, და ჟურნ. „მოგზაური", № 7, 1905, გვ. 84.
[15] ვლ. მ ა ი ა კ ო ვ ს კ ი, თხზ. სრული კრებული, თბ., 1937, გვ. 14.
[16] Г. Б е б у т о в, «Гимназия», Тб., 1962, გვ. 91.
[17] გაზ. „ცნობის ფურცელი", 1905 წლის 21 თებერვალი.

სასულიერო სასწავლებლის მე-4, 3 და ნაწილობრივ მე-2 კლასის მოსწავლეებმა უარი განაცხადეს მეცადინეობის გაგრძელებაზე და დემონსტრაციულად დასტოვეს სასწავლებელი. იგივე მოსწავლეები არ გამოცხადდნენ მეცადინეობაზე დღესაც. ამასთან, ზოგიერთი მათგანნი სხვა მოსწავლეებთან ერთად ჯგუფებად დგანან ქუჩებში და ახდენენ უწესრიგობას"[18]. თავის მხრივ, მაზრის უფროსი თბილისის გუბერნატორს აუწყებდა, რომ 22 თებერვალს საქალაქო სასწავლებლის მოსწავლეებმა შეწყვიტეს მეცადინეობა, ჩაამსხვრიეს სკოლის შენობის მინები და მასობრივად გამოვიდნენ ქუჩებში, ხოლო სასულიერო სასწავლებლის მოწაფეებმა მოთხოვნები წაუყენეს ქალაქის თვითმმართველობას. 27 თებერვალს გორის მოსწავლე ახალგაზრდობამ მოაწყო დიდი დემონსტრაცია წითელი დროშებითა და რევოლვერების სროლით, მეორე დღეს კი საქალაქო სასწავლებლის აღსაზრდელებმა სამასწავლებლო ოთახის შესასვლელთან დააგდეს 12 მუხლისაგან შემდგარი „მოთხოვნა", რომელიც მოგვიანებით ინსპექტორმა გადასცა თბილისის სახალხო სასწავლებელთა დირექტორს. ამ ამბებთან დაკავშირებით ჟურნალმა „მოგზაურმა" შემდეგი ცნობა გამოაქვეყნა: „ქ. გორიდან ადგილობრივ გაზეთებს ატყობინებენ, რომ... სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეებს თავის მთავრობისათვის სხვადასხვა მოთხოვნები წარუდგენიათ, რის გამო სწავლა შეწყვეტილია. დიდი აღელვება ყოფილა აგრეთვე სამოქალაქო სასწავლებელში და დედათა გიმნაზიაშიც"[19].

1905 წლის 4 მარტს თბილისში, მამადავითის მთაზე, ჩატარდა ადგილობრივი სკოლების მოსწავლეთა მრავალრიცხოვანი კრება, რომელზედაც გადაწყდა საყოველაო გაფიცვის გამოცხადება და დემონსტრაციის მოწყობა ქალაქის ცენტრში. იმავე დღეს, საღამოთი, კრება კვლავ განახლდა და მასში მოსწავლეებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ თბილისის ზოგიერთი საწარმოსა და რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშებიც. კრებაზე წარმოითქვა მრავალი სიტყვა და გავრცელდა მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციები, სათაურით — „პირველი ნაბიჯი". 6 მარტს მოსწავლეებმა ისევ სცადეს კრების მოწყობა, მაგრამ ვერ მოახერხეს, ვინაიდან მამადავითის მთა ყოველი მხრიდან ალყაშემორტყმული აღმოჩნდა პოლიციელებითა და კაზაკებით. 7 მარტიდან თბილისში დაიწყო მოსწავლე ახალგაზრდობის საყოველთაო გაფიცვა, 10 მარტს კი საშუალო სასწავლებელთა დეპუტაციამ მოსწავლეთა მოთხოვნები წარუდგინა ქალაქის თავს ბ. ვერმიშევს, რასაც შედეგად მოჰყვა თბილისის ორი კლასიკური გიმნაზიისა და რეალური სასწავლებლის სასწრაფოდ დახურვა[20].

1905 წლის 14 მარტს გორის ქუჩებში რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით მოეწყო მშრომელთა დიდი პოლიტიკური დემონსტრაცია, რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს საქალაქო და სასულიერო სასწავლებლის გაფიცულმა მოსწავლეებმაც. ქალაქგარეთ ბაღში, დანიშნულ დროს გამართული ხალხმრავალი მიტინგის შემდეგ, მისი მონაწილენი დაიძრნენ ქალაქის ცენტრისაკენ და აქ, საარტილერიო მოედანთან მოხდა მათი შეტაკება ჯართან, რომელიც სავალალოდ დამთავრდა: დაიღუპა სამი და დაიჭრა 9 კაცი. მოკლულთა შორის იყო 12 წლის მოსწავ-

[18] „საისტორიო მოამბე", ტ. 15-16... დოკ. № 13, გვ. 403.
[19] ჟურნ. „მოგზაური", № 7, 1905, გვ. 85.
[20] გაზ. „ცნობის ფურცელი" , 1905 წლის 10 მარტი.

ლეც[21]. 17 მარტს სიღნაღის სამოქალაქო სასწავლებლის აღსაზრდელებმა თავიანთ ინსპექტორს წარუდგინეს 11 მუხლისაგან შემდგარი „მოთხოვნა“ და შეწყვიტეს მეცადინეობა, ხოლო 21—22 მარტს გაიფიცნენ თელავის ქალთა პროგიმნაზიის, საქალაქო და სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეები. გაფიცულთა კოლონამ, მას შემდეგ რაც რევოლუციური სიმღერებით შემოიარა თელავის ქუჩები, 22 მარტს დიდი მიტინგი ჩაატარა ფერისცვალების ეკლესიასთან, რომელიც გვიანობამდე გაგრძელდა[22].

1905 წლის გაზაფხულზე რევოლუციის ალმა მოიცვა მაღალმთიანი სვანეთის სკოლებიც. ზემო სვანეთში პირველად გაიფიცნენ სამინისტროს სკოლის შეგირდები, 19 მარტს კი მასწავლებლებს პროტესტი გამოუცხადეს და მიატოვეს გაკვეთილები მესტია-ლატანის ორკლასიანი სასწავლებლის მოსწავლეებმა. მათ სხვებმაც მიბაძეს, რის შემდეგაც ზოგ კლასში თითო-ოროლა მოსწავლეღა ესწრებოდა მეცადინეობას. ეხებოდა რა სვანეთში შექმნილ ვითარებას, ჟურნალი „მოგზაური“ წერდა, რომ: „სვანეთი თითქმის ჯეროვნათ მომზადებულია დღევანდელი მოძრაობისათვის და პროტესტის გამოცხადებას უპირებს არსებულ რეჟიმს“[23].

საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის რევოლუციური გამოსვლების აღსაკვეთად ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ყოველგვარ ზომებს მიმართავდნენ. თბილისის ვიცე-გუბერნატორი კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებლისადმი წარდგენილ თავის მოხსენებაში წერდა, რომ: „მოსწავლეთა შორის მღელვარების გამო ჩემს მიერ გაცემულია განკარგულება პოლიციისადმი დააკავონ ქუჩაში მომხდარ მოსწავლეთა მღელვარების დამნაშავენი... სასწავლებლის ახლო-მახლო ქუჩებში სწავლის დაწყებისას და დამთავრებისას დაყენებულია მეეზოვეთა განაწესები, ხოლო გიმნაზიებთან დგანან ორი კაზაკი, ორი მეეზოვე და პოლიციელი...“[24] ამასთან ერთად, წესრიგის დამყარების მიზნით ადმინისტრაცია არ ერიდებოდა სასწავლებლებიდან რევოლუციურად განწყობილი მოსწავლეების მასობრივად გარიცხვასაც, მაგრამ ყველა ეს ღონისძიება არა თუ „აწყნარებდა“ მოსწავლე-ახალგაზრდობას, არამედ პირიქით, ახალი ძალით ამხედრებდა მას არსებული წყობილების წინააღმდეგ.

1905 წლის აპრილის დასაწყისში თიანეთის ორკლასიანი სასწავლებლის გაფიცულმა მოსწავლეებმა 12 მუხლისაგან შემდგარი „მოთხოვნა“ წარუდგინეს თავიანთ აღმზრდელებს და განაცხადეს, რომ: „ჯანამ არ იქნება დაკმაყოფილებული ეს მოთხოვნები, არ გვსურს სწავლის გაგრძელებაო“, მაზრის უფროსი ლეონტიევი და სკოლის მზრუნველი გრ. ჯინჭველაძე ბეკრს ეცადნენ, როგორმე დაებრუნებინათ ახალგაზრდები სასწავლებელში, მაგრამ ამაოდ. გაფიცვა რამდენიმე დღე გაგრძელდა და იგი გაფიცულთა გამარჯვებით დამთავრდა[25]. ამავე პერიოდში ხონის სამოქალაქო სკოლისა და ქალთა სასწავლებლის აღსაზრდელებმა მიატოვეს გაკვეთილები, ერთად გამოვიდნენ ქუჩაში და რევოლუციური სიმღერებით გაემართნენ ორკლასიანი სკოლისაკენ, სადაც „იმათ, რიცხვით 600—700 კაცს, შეუერთდა კიდევ ხსენებული სკოლის 100—

[21] გაზ. „ივერია“, 1905 წლის 17 მარტი.

[22] ჟურნ. „მოგზაური“, № 12, 1905, გვ. 183.

[23] იქვე, № 17, 1905, გვ. 296.

[24] „საისტორიო მოამბე“, ტ. 15-16..., დოკ. № 36, გვ. 437.

[25] გაზ. „ივერია“, 1905 წლის 22 მაისი.

150 შეგირდი; აქედან „მარსელიეზას“ სიმღერით და ყვირილით: გაუმარჯოს ერთობას, ძმობას! ძირს ძველი წეს-წყობილება! გაექანენ ქალების კერძო პროგიმნაზიისაკენ. პროგიმნაზიის მოსწავლე ქალები შეუერთდნენ ამხანაგებს და ასე 1000-მდე მოსწავლე ახალგაზრდობა გაექანა სახელოსნო სკოლისაკენ...“[26], მაგრამ გაფიცულ მოსწავლეებს გზაში შეეჩეხნენ „სტრაჟნიკები“ და იძულებული გახდნენ დაშლილიყვნენ. 17 აპრილს შეწყვიტეს მეცადინეობა და გაიფიცნენ თბილისის რკინიგზის ტექნიკური და საკომერციო სასწავლებლის მოსწავლეებიც, ხოლო ქუთაისელი ახალგაზრდები მასობრივად აწყობდნენ დემონსტრაციებს ქალაქის ქუჩებში. აპრილის შუა რიცხვებშივე სახელმწიფო რეჟიმის წინააღმდეგ დაწერილ საპროტესტო წერილში, ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიის მოწაფეებმა მოითხოვეს შეწყვეტილიყო სწავლა ქალაქის ყველა სასწავლებელში და ამის გამო არ გაერიცხათ არც ერთი მოსწავლე. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი იმუქრებოდნენ ტერორითა და სისხლისღვრით. აფრთხილებდნენ რა წერილის მიმღებთ გიმნაზიელები დასძენდნენ, რომ: ...многие из вас, прочитав это письмо, махнут рукой, надеясь на то, что эти угрозы не будут приведены в исполнение. Но нет, вы допустите непоправимую ошибку, и Вам за это придется дорого поплатиться».

საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობა თავის ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნად აყენებდა განათლების სისტემის ძირეულ რეორგანიზაციას, პროგრესული იდეებისა და ახალი, დემოკრატიული სკოლისათვის ბრძოლას, ვინაიდან მას მტკიცედ სწამდა, რომ სკოლა თვითმპყრობელობის სამსახურში იდგა და გულმოდგინედ ზრდიდა მომაჯალ თაობას მონარქიულ რეჟიმისადმი ერთგულების სულისკვეთებით. „ჩვენებური სკოლა არ ვარგა საზოგადოდ, არ ვარგა კერძოდაც, — წერდნენ გაფიცული ქუთაისელი მოსწავლეები, — არ შეეფერება ჩვენი ერის საჭიროებას და მოთხოვნილებას, არ ვარგა სკოლა იმიტომ, რომ არ ვარგა საზოგადოდ ახლანდელი წეს-წყობილება, რომლის ნაწილია სკოლა... ჩვენ არ შეგვიძლია დავრბუნდეთ სასწავლებელში და განვაგრძოთ სწავლა მანამდის, სანამ ახლანდელი წესწყობილება არ შეიცვლება; სანამ სასწავლებელი არ გადაკეთდება ისე, რომ აღზარდოს ნამდვილი ადამიანები და არა უსულგულო ტიკინები“[28].

ატყობინებდა რა კავკასიის მეფისნაცვალს თბილისის გუბერნიის სკოლებში რევოლუციური მდგომარეობის შესახებ, თბილისის ვიცე-გუბერნატორი მიუთითებდა, რომ 1905 წლის მარტისა და აპრილის თვეში მოსწავლეთა მღელვარების გამო მეცადინეობა შეწყდა თბილისის მაზრის — 6, გორის მაზრის — 15, დუშეთის მაზრის — 4, თელავის მაზრის — 10 და სიღნაღის მაზრის — 2 სასწავლებელში. ვიცე-გუბერნატორის ამავე მოხსენებიდან ირკვევა, რომ 1905 წლის მაისის დასაწყისისათვის სწავლა განუახლებიათ საქართველოს სხვადასხვა მაზრის მხოლოდ 11 სასწავლებელში[29].

1905 წლის ზაფხულში საქართველოს ძირითად სამრეწველო ქალაქებში საზაფხულო არდადეგების გამო მნიშვნელოვნად შენელდა მოსწავლეთა რევოლუციური მოძრაობა, მაგრამ სექტემბრიდან კვლავ ახალი ძალით გაიშალა მათი გამოსვლები თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, რასაც ერთგვარი ბიძგი

[26] ჟურნ. „მოგზაური“, № 13, 1905, გვ. 199.
[27] „საისტორიო მოამბე“, ტ. 15-16..., დოკ. № 42, გვ. 441.
[28] გაზ „ცნობის ფურცელი“, 1905 წლის 6 მარტი.
[29] „საისტორიო მოამბე“, ტ. 15-16..., დოკ. № 45, გვ. 444.

მისცა 1905 წლის 29 აგვისტოს სისხლიანმა ტრაგედიამ — ქალაქის თვითმმართველობის შენობაში თბილისელ მუშათა დახვრეტამ. ამ დღეს კაზაკებმა მოკლეს 60-მდე მუშა, ხოლო დაჭრილთა რიცხვი 200 კაცზე მეტი იყო.

საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობამ მთავრობის ამ ტერორისტულ აქტს მძლავრი საპროტესტო მოძრაობით უპასუხა. 1905 წლის 5 სექტემბერს თბილისის ვაჟთა მე-2 გიმნაზიის აღსაზრდელებმა პანაშვიდი გადაიხადეს დახოცილ მშრომელთა პატივსაცემად. ასევე პანაშვიდი გადაიხადეს „ქალაქის საბჭოში ამოხოცილთა სულის მოსახსენებლად“ — 6 სექტემბერს თბილისის რკინიგზის ტექნიკური, ხოლო 9 სექტემბერს — რკინიგზის სასწავლებლის მოსწავლეებმაც. 19 სექტემბერს ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორმა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს აცნობა გორის ქალთა გიმნაზიის მოწაფეთა საპროტესტო რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ გიმნაზიელ გოგონებს სურდათ საერთო გაფიცვის მოწყობა და პანაშვიდის გადახდა 29 აგვისტოს მსხვერპლთა მოსაგონებლად. რაც შეეხება ბათუმის ვაჟთა გიმნაზიის მოსწავლეთა გაფიცვას 1905 წლის 7 ოქტომბერს, მისი ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ სასწავლებლის დირექტორმა ვინოგრადოვმა მათ ნება არ დართო პანაშვიდის გადახდისა თბილისში დაღუპულთა პატივსაცემად, რის გამოც აღშფოთებულმა გიმნაზიელებმა შეწყვიტეს მეცადინეობა და მოითხოვეს ვინოგრადოვის დათხოვნა სამსახურიდან[30]. მოსწავლეთა მსგავს გამოსვლებს ჰქონდა ადგილი საქართველოს სხვა სასწავლებლებშიც, რაც კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს რევოლუციური მასებისადმი მოსწავლე ახალგაზრდობის დიდ თანაგრძნობასა და მხარდაჭერაზე.

აღნიშნულ პერიოდში იყო მოწაფეთა გამოსვლების სხვა ანალოგიური შემთხვევებიც, მაგრამ ჩვენ მათზე აღარ შევჩერდებით. შევეხებით მხოლოდ ოქტომბრის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვისა და 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ მოვლენებს.

როგორც ცნობილია, 1905 წლის შემოდგომაზე მძლავრი რევოლუციური მოძრაობით დაშინებული მეფე იძულებული გახდა 17 ოქტომბერს გამოეცა მანიფესტი, რომლითაც იგი ფიქრობდა მოეგო დრო, მოეკრიბა ძალები და შემდეგ შეეტია რევოლუციისათვის. მანიფესტის გამოქვეყნებისთანავე ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა ენერგიული სააგიტაციო კამპანია გააჩაღეს მოსახლეობაში, რათა ემხილებინათ მანიფესტის ნამდვილი სახე და დაერწმუნებინათ მშრომელები მის სიყალბეში. საქართველოს მოწინავე ახალგაზრდობას მტკიცედ სწამდა ბოლშევიკური პარტიისა და მის მხარდამხარ დარაზმული, ხგი კვლავ ენერგიულად განაგრძობდა ბრძოლას ცარიზმის დრომოჭმული სისტემის დასამხობად.

ადმინისტრაციული ორგანოები უმკაცრესი ღონისძიებების გატარებით ცდილობდნენ ჩამოეცილებინათ მოზარდი თაობა მზარდი რევოლუციური მოძრაობისაგან. ამ მიზნით ისინი აპატიმრებდნენ და მასობრივად რიცხავდნენ სკოლებიდან „საეჭვო“ მოსწავლეებს, კეტავდნენ სასწავლებლებს, ახდენდნენ თავდასხმებს მათზე, აწყობდნენ მოწაფეთა ხოცვა-ჟლეტას და ა. შ. შავბნელი რეაქციული ძალების ეს ლაშქრობა საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის წინააღმდეგ დაგვირგვინდა 22 ოქტომბრის საზარელი ტრაგედიით.

---

[30] «Ревслюция 1905—1907 гг. в Грузии (сборник документсв)», Тб., 1956, დოკ. № 235, зз. 361.

1905 წლის 21—22 ოქტომბერს თბილისში მოქმედმა „რუს პატრიოტთა“ მონარქისტულ-შავრაზმულმა ორგანიზაციამ, რომელიც თავის რიგებში აერთიანებდა ნაძირალებსა და სხვა მავნე ელემენტებს, გოლოვინის გამზირზე მოაწყო პროვოკაციული მანიფესტაციები. მათთან ერთად გამოსვლებში მონაწილეობას იღებდნენ შეიარაღებული იუნკრები და კადეტები. 22 ოქტომბერს „პატრიოტებმა“, როდესაც ისინი მიუახლოვდნენ ვაჟთა I გიმნაზიას, სასწავლებლის წინ შეგროვილ გიმნაზიელებს უბრძანეს მოეხადათ ქუდები და შეერთებოდნენ მანიფესტაციის საერთო მსვლელობას, რაზეც პასუხად სასტიკი უარი მიიღეს. მოსწავლეთა ასეთი „უხამსი“ საქციელით „განაწყენებულმა“ შავრაზმელთა მეთაურებმა ბრძანება გასცეს, რომ ჯარის ნაწილებს ტყვია დაეშინათ გიმნაზიის ეზოში შეკრებილთათვის. არასრული ოფიციალური მონაცემებით, ამ დღეს მოკლეს 38 და დაჭრეს 68 კაცი. მოკლულთა შორის იყო 6 გიმნაზიელი და 3 აღმზრდელი. გიმნაზიის შენობა მეფის ჯარმა დაიკავა[31].

თბილისში მოსახლეობის ამ ბარბაროსულმა რბევამ უდიდესი აღშფოთება გამოიწვია საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობაში. 1905 წლის 27 ოქტომბერს გაიფიცნენ ქუთაისელი მოსწავლეები. ამავე დღეს თელავის მოსწავლე ახალგაზრდობამ თბილისში დაღუპულთა პატივისაცემად გადახდილი პანაშვიდის შემდეგ, წითელი დროშებითა და რევოლუციური სიმღერებით დემონსტრაცია გამართა ქალაქის ქუჩებში. 10 ნოემბერს დახოცილ გიმნაზიელთა მოსაგონებლად გადაიხადეს პანაშვიდი თბილისის ვაჟთა 1 გიმნაზიაში, ხოლო ხონის მოსწავლე ახალგაზრდობამ (1500-მა კაცმა) დაჰგმო რა 22 ოქტომბრის სისხლისღვრის მომხდენი, „მსხვერპლს თანაგრძნობა გამოუცხადა გაფიცვის დაწყებით“[32]. რაც შეეხება თბილისის მე-4 ქალთა გიმნაზიის მოსწავლეებს, მათ 6 ნოემბერს შემდეგი შინაარსის მოწოდებით მიმართეს თავიანთ თანატოლებს: „...ჩვენ, ტფილისის დედათა მეოთხე გიმნაზიის მოსწავლეები, მოგიწოდებთ ტფილისის ყველა სასწავლებლის მოწაფეებს მხარი დაგვიჭიროთ და ჩვენთან ერთად ბოიკოტი გამოუცხადოთ ტფილისის საიუნკრო სასწავლებლის და კადეტთა კორპუსის მოსწავლეებს, რომლებიც წინ ეღობებიან რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობას, რაც გამოიხატა იმით, რომ 22 ოქტომბერს საშინელ სისხლის ღვრაში მონაწილეობა მიიღეს, სცემდნენ და ესროდნენ ჩვენს თანამოძმე ამხანაგებს...“[33]

22 ოქტომბრის ამბებთან დაკავშირებით მოსწავლეთა გამოსვლებმა განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო ქალაქ სოხუმში. 1905 წლის 7 ნოემბერს ადგილობრივი რეალური სასწავლებლის, ქალთა პროგიმნაზიის, სამრევლო და საქალაქო სკოლის აღსაზრდელებმა პანაშვიდი გადაიხადეს თბილისში დაღუპულთა პატივსაცემად, ხოლო შემდეგ დიდი დემონსტრაცია გამართეს ქალაქის ქუჩებში. იგივე სურათი განმეორდა სოხუმში 8 და 9 ნოემბერსაც... მთელი ქალაქი მღელვარებამ მოიცვა, დაიკეტა მაღაზიები, შეწყდა მუშაობა წარმოება-დაწესებულებებში, სამგლოვიარო დროშები მოეფინა შენობებს.

1905 წლის ოქტომბერ-ნოემბერში მოსწავლეთა ისეთ გამოსვლებსაც ჰქონდა ადგილი, რომელთაც, მართალია, უშუალო კავშირი არ ჰქონდათ 22 ოქტომბრის ამბებთან, მაგრამ მიუხედავად ამისა, წარმოადგენდნენ საქართვე-

---

[31] ჟურ. „მოგზაური“, № 38, 1905, გვ. 662-663.
[32] Газ. «Возрождение», 19 ноября 1905 г.
[33] «Революция 1905—1907 гг. в Грузии»... დოკ. № 353, გვ. 473—474.

ლოს მოსწავლე ახალგაზრდობის რევოლუციური მოძრაობის შემადგენელ ნაწილს. მოწაფეთა ასეთი გამოსვლები აღინიშნა 23—25 ოქტომბერს თელავში, 24 ოქტომბერს — გორში, ზუგდიდსა და სიღნაღში, 25 ოქტომბერს — ბათუმში, 29 ოქტომრებს — კვლავ თელავში, 31 ოქტომბერს — ოზურგეთსა და ზუგდიდში, ხოლო ამავე რიცხვებში ქუთაისელმა მოსწავლეებმა გამოუშვეს ბროკლამაცია, რომელშიც მოუწოდებდნენ თავიანთ თანატოლებს შეერთებოდნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლ რევოლუციურ მასებს. 18 ნოემბერს გაიფიცნენ თბილისის ვაჟთა მე-3 გიმნაზიის უფროსკლასელები ნიშნად პროტესტისა ელიზავეტოპოლში (ციროვობადი) დაწყებული სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტისა. მათვე გადაწყვიტეს გამოეცათ ჟურნალი — „სკოლის გამოძახილი". 20 ნოემბერს ახალციხის საქალაქო სასწავლებლის გაფიცულმა შეგირდებმა გამართეს დემონსტრაცია წითელი დროშებითა და რევოლუციური სიმღერებით, ხოლო თვის ბოლოს შეწყვიტეს მეცადინეობა და გაიფიცნენ თბილისის ორკლასიანი სასწავლებლის მოსწავლეებიც[34].

1905 წლის დეკემბერში თბილისის ვაჟთა I გიმნაზიის მოსწავლეთა ჯგუფმა გადაწყვიტა გამოეცა საკუთარი ნაბეჭდი გაზეთი და ამისათვის სათანადო ნებართვა სთხოვა სასწავლებლის დირექტორს გამყრელიძეს. დირექტორმა მიიღო გიმნაზიელთა წინადადება და აი, 4 დეკემბერს დაიბეჭდა და გამოვიდა მათი გაზეთი „ეხო", რომელიც აშკარა რევოლუციური ხასიათისა გამოდგა. მის ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილებში მოცემული იყო არსებული პოლიტიკური მდგომარეობის ანალიზი, მხილებული იყვნენ 22 ოქტომბრის სისხლისღვრის ორგანიზატორები, წამოყენებული იყო თავისუფალი ავტონომიური სკოლის შექმნის იდეა და სხვ. სამწუხაროდ, გამოიცა გაზეთ „ეხოს" მხოლოდ ერთი ნომერი და ამით შეწყდა მისი არსებობა, ვინაიდან შეშფოთებულმა მთავრობის ორგანოებმა ყველა ზომა მიიღეს, რათა ახალგაზრდებისათვის მოესპოთ დაწყებული საქმის გაგრძელების საშუალება. დეკემბრის დასაწყისშივე ოზურგეთის მოსწავლე ახალგაზრდობამ, ნატანებში კაზაკების მიერ მოკლული გლეხის დაკრძალვასთან დაკავშირებით, ქალაქის ქუჩებში მოაწყო დემონსტრაცია წითელი დროშებითა და ტრანსპარანტებით. ამასთან ერთად, დემონსტრანტებს მოჰქონდათ მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლების — კ. მარქსისა და ფ. ენგელსის სურათები. მთავარ მოედანზე გაიმართა ხალხმრავალი შიტინგი, რომელიც პოლიციამ სასწრაფოდ დაშალა[35].

რუსეთის პირველი რევოლუციის უმაღლეს წერტილს, როგორც ცნობილია, წარმოადგენდა დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება მოსკოვში, რომელმაც უდიდესი ბიძგი მისცა რევოლუციური მოძრაობის აღმავლობას მთელ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, სადაც მშრომელთა შეიარაღებულ გამოსვლებს არც მოსწავლე ახალგაზრდობა ჩამორჩენია. 1905 წლის დეკემბერში ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი მიუთითებდა, რომ მოსახლეობის ფართო მასების მხარდამხარ განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩაბმულია ინტელიგენტური ახალგაზრდობა — ახალგაზრდა მასწავლებლები, საშუალო სკოლების მოსწავლეები და სტუდენტები. რომლებიც მოუწოდებდნენ ხალხს ბრძოლისაკენ და პირადი მაგალითით აღაფრთოვანებდნენ მათ[36].

---

[34] Газ. «Кавказский рабочий листок», 3 декабря 1905 г.

[35] გაზ. „სოციალ-დემოკრატიული ფურცელი", 1905 წლის 28 დეკემბერი.

[36] «Революция 1905—1907 гг. в Грузии»... დოკ. № 373, გვ. 504.

დეკემბრის შეიარაღებულმა აჯანყებამ ძლიერ შეაშფოთა კავკასიის ადგილობრივი თვითმართველობა. საქართველოში მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვის განკარგულებით გამოცხადდა საალყო წესები. მთავრობამ ძალთა მაქსიმალური მობილიზებით შეძლო აჯანყების ჩახშობა და ამ პერიოდიდან იწყება რევოლუციის უკუქცევა. მშრომელებთან ერთად, საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობაც წავიდა „ღრმა თავდაცვაში", და, მიუხედავად სასტიკი რეპრესიებისა, ყველა მისაწვდომი საშუალებებით კვლავ განაგრძობდა ბრძოლას მეფის ტირანიის წინააღმდეგ.

კავკასიის მმართველ წრეებს რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთ ძირირად ბუდედ საქართველოში ერთხმად მიაჩნდათ თბილისის ქართული გიმნაზია და მოთმინებით ელოდებოდნენ ხელსაყრელ მომენტს, რათა „ანგარიში გაესწორებინათ" მისთვის... და აი, კონტრრევოლუციურ ძალებს დაუდგათ ასეთი „ღირსშესანიშნავი" დღე. 1906 წლის 4 ივლისს გიმნაზიის მე-3 სართულიდან ყუმბარა ესროლეს და მძიმედ დაჭრეს პოლიცმეისტერი მარტინოვი. მთავრობის განკარგულებით ჯარის ნაწილებმა „წესრიგის აღდგენის" მიზნით სასწრაფოდ ალყა შემოარტყეს სასწავლებლის შენობას, ხოლო შემდეგ ერთიანად დაარბიეს იგი. ამ თავდასხმის დროს მხეცურად მოკლეს გიმნაზიის ინსპექტორი, გამოჩენილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე შიო ჩიტაძე[37]. საქართველოს მოწინავე საზოგადოებრიობა მეტად აღაშფოთა თვითმპყრობელობის მორიგმა ტერორისტულმა აქტმა. ბოლშევიკურმა პრესამ ამხილა და დაჰგმო 4 ივლისის სისხლისღვრის მთავარი დამნაშავენი, რიგ ქალაქებსა და სოფლებში გაიმართა მოსწავლეთა საპროტესტო გამოსვლები, და ა. შ.

საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობას კარგად ესმოდა, რომ მარტოოდენ რევოლუციური ბრძოლით ძნელად მიაღწევდა წარმატებას, თუ ამავე დროს იგი შეიარაღებული არ იქნებოდა სოციალიზმის მეცნიერული თეორიით. 1906 წლის 21 ოქტომბერს თბილისის მოსწავლეთა ორგანიზაციამ, ბოლშევიკების მითითებით, 2 ათას ცალად დაბეჭდა და გაავრცელა პროკლამაცია ქალაქის ყველა მოსწავლისადმი, რომელიც მოზარდ თაობას მოუწოდებდა — მიმხრობოდნენ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას „პროლეტარიატის საქმისათვის საერთო ძალ-ღონით საბრძოლველად". მოწოდებაში აღნიშნული იყო, რომ ახალგაზრდობა უნდა აღიზარდოს გაუმაძღარ-კაპიტალის წინააღმდეგ საბრძოლველად, რისთვისაც „მან უნდა შეითვისოს ის მოძღვრება, რომელიც ფართოდ და სწორად აშუქებს გზას თავისუფლებისაკენ და რომლითაც პროლეტარიატი ხელმძღვანელობს თავის დიად განმათავისუფლებელ მოძრაობაში... ეს მოძღვრება არის მეცნიერული სოციალიზმის თეორია, საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის თეორია"[38].

თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის კომიტეტმა მოსწავლეთა გაფიცვების ორგანიზებისა და ხელმძღვანელობისათვის შექმნა „მოსწავლეთა კოლექტივი", რომელმაც გადაწყვიტა 1906 წლის 22 ოქტომბერს მოეწყო პანაშვიდი შავრაზმელების მიერ დახვრეტილ გიმნაზიელთა წლისთავის აღსანიშნავად. ასეთივე გადაწყვეტილება მიიღო „ქუთაისის მოსწავლეთა სოციალ-დემოკრატიულმა კავშირმაც". მაგრამ, როგორც თბილისის, ასევე ქუთაისის სასწავლებლების დირექციებმა ამაზე კატეგორიული უარი განაცხადეს, რამაც 1906

[37] გაზ. „ახალი ცხოვრება", 1906 წლის 6, 7 და 9 ივლისი.
[38] პარტიული არქივი (თბილისი), ფონდი 8, აღწ. 4, საქ. 607.

წლის ოქტომბერ-ნოემბერში გამოიწვია მოსწავლეთა მასობრივი გაფიცვები. ამით, მოსწავლე ახალგაზრდობამ კვლავ სასტიკი პროტესტი განუცხადა არსებულ ხელისუფლებას[39]. რაც შეეხება თბილისის გენერალ-გუბერნატორს ტიმოფეევს, იგი იმდენად იყო დაშინებული საერთო რევოლუციური მოძრაობით, რომ თხოვნით მიმართავდა სასწავლო ოლქის მზრუნველს — ეცნობებინა მისთვის მოსწავლეთა ყველა „არეულობის" შესახებ, რათა მას დროზე მიეღო გადამჭრელი ზომები „ბუნტოვშჩიკთა დასაწყნარებლად"[40].

1906 წლის დასასრულს საქართველოს სასწავლო დაწესებულებებში მეტად ფართო გავრცელება პოვა მოსწავლეთა მიერ პეტარდების (თოფისწამლით გატენილი ქაღალდის ჭურვი (ჭექუნა), რომელსაც იყენებენ ფოიერვერკის მოსაწყობად ოთახში), გამოყენებამ. 3 და 6 ნოემბერს პეტარდების აფეთქებას ჰქონდა ადგილი ქუთაისის რეალურ სასწავლებელში. როდესაც ეს აცნობეს ქუთაისის გუბერნატორს, მან განაცხადა: „სასწავლებელში, სადაც პეტარდების აფეთქება ხდება, მეცადინეობა არ შეიძლება ჩატარდესო" და მისი განკარგულებით 6-დან 10 ნოემბრამდე რეალური სასწავლებელი დახურეს. მაგრამ მეცადინეობის განახლებისთანავე, — ჯერ 18, ხოლო შემდეგ 20 ნოემბერს კვლავ განმეორდა პეტარდების აფეთქება, რის გამოც პოლიციამ დააპატიმრა რამდენიმე „საეჭვო" მოსწავლე. ამის საპასუხოდ, დანარჩენმა „რეალისტებმა" მიატოვეს გაკვეთილები და გაფიცვა გამოაცხადეს. ანალოგიური შემთხვევები განმეორდა იმავე თვეში ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაშიც.

ცარიზმის ერთგული მოხელეები ყველა საშუალებით ცდილობდნენ ჩაეხშოთ რევოლუციური განწყობილება მოსწავლე ახალგაზრდობაში. ამის მისაღწევად, გარდა სასწავლებლებიდან გარიცხვისა და დაპატიმრებისა, ისინი არ ერიდებოდნენ ოქტიური მოსწავლეების გასახლებასაც საქართველოს ფარგლებს გარეთ. 1906 წლის დასასრულს, მაგალითად, ქუთაისის რეალური სასწავლებლის მოსწავლე ალექსანდრე ავალიანი რევოლუციური საქმიანობისათვის გადაასახლეს პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ არხანგელსკის გუბერნიაში[41]. მაგრამ, დასჯის ეს ფორმაც ვერ შველოდა საქმეს: მოსწავლეები კვლავ აგრძელებდნენ გამოსვლებს და, ამასთან, ფიცს სდებდნენ რევოლუციის დღეებში დაღუპულ თანატოლთა საფლავებზე, რომ საბოლოო გამარჯვებამდე იბრძოლებდნენ მონარქიული რეჟიმის წინააღმდეგ.

1907 წლის დასაწყისში მოსწავლე ახალგაზრდობა, მართალია, დადიოდა სკოლებში, მაგრამ ყოველნაირად ცდილობდა ჩაშალა მეცადინეობა და ხშირად წარმატებასაც აღწევდა. აი, რა განაცხადა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის საბჭოს 1907 წლის 25 იანვრის სხდომაზე თბილისის ვაჟთა მე-2 გიმნაზიის დირექტორმა: „ჩვეულებრივ მოსწავლეები ცდილობენ ისე მოაწყონ საქმე, რომ მეცადინეობა შეუძლებელი გახდეს: ისინი ხმაურობენ, არახუნებენ მერხებს, არა მარტო თავის, არამედ მეზობელ კლასებშიც და სხვა. ისინი სხვა ზომებსაც მიმართავენ, რათა ჩაშალონ გაკვეთილები. ასე, დღეს მე-6 კლასის მოსწავლეებმა გაუშვეს რაღაც ბოლი VII² კლასში; გუშინ VIII² კლასი აყროლებული იყო გოგირდოვანი წყალბადის სუნით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში,

---

[39] «Революция 1905—1907 гг. в Грузии», დოკ. №№ 538, 539, 542 , გვ. 729—735.

[40] „საისტორიო მოამბე", ტ. 15-16..., დოკ. № 70, გვ. 465.

[41] იქვე, დოკ. № 68, გვ. 464.

მასწავლებელი იძულებული გახდა დაეტოვებინა გაკვეთილი"[42]. თითქმის იგივე მოახსენა აღნიშნულ საბჭოს თბილისის რეალური სასწავლებლის დირექტორმაც.

1907 წლის თებერვალში ვაჟთა მე-2 გიმნაზიაში მდგომარეობა იმდენად გამწვავდა, რომ მეფისნაცვლის განკარგულებით დაიხურა VIII კლასი, ხოლო „თბილისის რეალური სასწავლებლის პედაგოგიურმა საბჭომ უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა: „რადგან ამ სასწავლებლის უკანასკნელ კლასებში უწესობა არ ისპობა, დაიხუროს V, VI და VII კლასები ახალ განკარგულებამდე"[43]. მართალია, „დახურული კლასების მშობელთა წრემ იშუამდგომლა, სადაც ჯერ არს, კლასების გახსნის თაობაზე", მაგრამ უშედეგოდ[44]. 19 თებერვალს გაიფიცნენ ახალსენაკის ნორმალური სასწავლებლის მოსწავლეები, რის გამოც დირექციამ დაითხოვა რამდენიმე მათგანი. როგორც გაზეთი „დრო" იუწყებოდა: „ამას მოჰყვა მთელი მოწაფეების გაფიცვა, რაც დამთავრდა გამარჯვებით"[45]. მარტის დასასრულს თბილისის სახელოსნო სასწავლებლის მე-4 კლასის აღსაზრდელებმა მიატოვეს გაკვეთილები და მოთხოვნები წარუდგინეს თავიანთ დირექტორს, რის გამოც მთავრობამ აპრილის დამდეგს ზემოხსენებული სასწავლებელი დროებით დახურა. ასევე შეწყდა მოსწავლეთა მღელვარების გამო მეცადინეობა თბილისის სასულიერო სემინარიის მე-2 და მე-3 კლასებში, ხოლო 3 მაისს თელავის სასულიერო და საქალაქო სასწავლებლის მოსწავლეთა გაფიცვის გამო, ორივე სკოლის დირექციამ დაადგინა: გაერიცხა გაფიცული მოსწავლეები და არ აღედგინა ისინი პედაგოგიური საბჭოს შუამდგომლობის გარეშე[46]. როგორც წინა წელს, 1907 წელსაც ქუთაისის რეალურ სასწავლებელში კვლავ გრძელდებოდა პეტარდების აფეთქება. 6 მარტს, მაგალითად, პეტარდა აფეთქდა V კლასში, 10 მარტს კი I კლასში. პეტარდების გამოყენების ცდები იყო თბილისის ზოგიერთ სასწავლო დაწესებულებაშიც.

ამრიგად, საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობამ აქტიური მონაწილეობა მიიღო 1905-1907 წლების რევოლუციაში და მთელი თავისი მოქმედებით, შემართებითა და სულისკვეთბით კიდევ ერთხელ დაამტკიცა უსაზღვრო ერთგულება და თავდადება რევოლუციური საქმისადმი. მოსწავლეთა მოძრაობას საქართველოში რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მთელს პერიოდში თანმიმდევრული პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა და მიმდინარეობდა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის იდეური გავლენით. ამ მოძრაობის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო ბოლშევიკური პარტია რსდმპ კავკასიის კავშირისა და მისი ადგილობრივი ორგანიზაციების სახით. მართალია, რევოლუცია დამარცხდა და მოსწავლეთა მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა, მაგრამ სამაგიეროდ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გამართულ ამ საერთო-სახალხო ბრძოლაში კიდევ უფრო განმტკიცდა და განვითარდა საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ერთიანობა და მეგობრობა ამიერკავკასიისა და, საერთოდ, რუსეთის მოწინავე ახალგაზრდობასთან.

---

[42] სცსსა, ფონდი 420, საქ. 9309, გვ. 10—12.
[43] გაზ. „ჩვენი ცხოვრება", 1907 წლის 21 თებერვალი.
[44] იქვე, 1907 წლის 23 თებერვალი.
[45] გაზ. „დრო", 1907 წლის 11 აპრილი.
[46] „საისტორიო მოამბე", ტ. 15-16..., დოკ. № 87, გვ. 476.

Г. Ш. ГАБУНИЯ

УЧАЩАЯСЯ МОЛОДЕЖЬ ГРУЗИИ В РЕВОЛЮЦИИ 1905—1907 гг.

Резюме

Первая народная революция 1905—1907 гг. явилась грандиозным событием в истории освободительной борьбы народов России. Вместе с рабочим классом, крестьянством и демократической интеллигенцией на идею революции широко откликнулась и многонациональная учащаяся молодежь Грузии, которая своими мощными антиправительственными выступлениями в годы революции убедительно доказала безграничную преданность и верность общему революционному делу и вписала не одну яркую страницу в славную летопись героической борьбы трудящихся Грузии против самодержавия и насилия.

Особенно широкий размах приняли революционные выступления учащихся в главных промышленных центрах Грузии: Тифлисе, Кутаиси, Батуми, Сухуми, Гори, Хони (ныне г. Цулукидзе), Телави, Зугдиди, где учащаяся молодежь, восставшая против царизма вместе с прогрессивным учительством, предъявляла местным административным органам и педагогическим советам учебных заведений требования как экономического, так и политического характера, устраивала забастовки, массовые демонстрации с пением революционных песен и красными флагами, открыто выражала свое недовольство существующим строем не только на страницах собственных рукописных журналов и газет, но и в периодической прессе. Участие учащейся молодежи Грузии в революционном движении 1905—1907 гг. нашло широкое отражение как в местной прессе, так и на страницах центральных большевистских газет «Вперед», «Пролетарий» и «Новая жизнь», что ясно указывает на всеобщее признание революционных выступлений учащихся Грузии.

Борьба учащейся молодежи Грузии против произвола царизма в годы первой народной революции носила последовательный политический характер и проводилась под непосредственным руководством Кавказского Союза РСДРП и его местных комитетов. Как известно, царскому правительству жестокими репрессиями удалось временно погасить революционное пламя в стране. Несмотря на поражение, революция 1905—1907 гг. сыграла огромную роль в сближении и упрочении союза учащейся молодежи Грузии с передовой молодежью Закавказья и всей России.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საბჭოთა საქართველოს ისტორიის განყოფილებამ

С. С. ДЖАПАРИДЗЕ

ИЗ ИСТОРИИ УЧАСТИЯ ГРУЗИИ ВО ВСЕМИРНЫХ ВЫСТАВКАХ

Грузия на Венской Всемирной выставке 1873 года

Грузия за годы Советской власти достигла колоссальных успехов в своем развитии. В братском содружестве со всеми народами СССР трудящиеся Грузии осуществили коренные исторические преобразования. Советская Грузия превратилась в одну из высокоразвитых республик нашей социалистической Родины.

Современная Грузия — это республика металлургической, машиностроительной, химической, приборостроительной, электротехнической, угольной, цементной, легкой и пищевой промышленности.

Генеральный секратарь ЦК КПСС Л. И. Брежнев в своей речи, произнесенной 15 мая 1971 года в г. Тбилиси по случаю вручения ГССР ордена Октябрьской Революции, сказал: «За исторически краткий срок бывшая полуфеодальная окраина Российской империи превратилась в социалистическое государство с современной промышленностью и высокоразвитым сельским хозяйством, в республику сплошной грамотности, передовой науки и культуры»[1].

Высоко оценивая вклад Грузии в развитие СССР, Л. И. Брежнев подчеркнул: «Благодаря неустанному труду грузинских рабочих и крестьян, грузинской интеллигенции, народное хозяйство Грузии, ее культура занимают важное место в экономическом и культурном развитии всего Советского Союза»[2].

Промышленная и сельскохозяйственная продукция республики, признаваемая специалистами, находится на уровне мировых стандартов. Она на всемирных выставках не раз удостаивалась медалей, дипломов и грамот.

Достойное представление ГССР на всемирных выставках является ярким свидетельством великой преобразующей силы марксистско-ленинского учения, преимуществ социалистического строя, торжества ленинской национальной политики, дружбы и братства народов.

Благодаря широкому представлению продукции на выставках и ее высокому качеству, она неизменно пользуется успехом у иностранных фирм экспортеров.

В настоящее время около 70 стран мира закупают у 120 промышленных предприятий ГССР самые разнообразные изделия.

История участия Грузии во всемирных выставках насчитывает более 120 лет и дает обширный и разнообразный материал для изучения истории Грузии, для понимания и оценки политики царизма. Выставки интересны с экономической, политической, общественной, культурной стороны, так как отражают уровень экономического развития данной страны и расширяют экспорт и импорт. По ним можно судить о достижениях научной мысли в различных областях народного хозяйства.

---

[1] «Заря Востока», 1971, № 111.

[2] Там же.

Выставки всегда привлекают внимание не только специалистов, но и широких масс народа, потому что дают возможность посетителям познакомиться с достижениями науки и техники не только одной, но и разных стран, тем самым способствуя дальнейшему созиданию и движению мысли.

Отмечая классовую направленность буржуазных выставок, К. Маркс и Ф. Энгельс в «Извещении организационной комиссии о созыве Международного социалистического рабочего конгресса», писали: «Капиталисты приглашают богачей и власть имущих на всемирную выставку любоваться и восторгаться произведениями труда рабочих, обреченных на нищету среди величайшего богатства...»[3].

Необходимо отметить, что выставки, проводимые капиталистами, служат их целям, интересам. Награды получают не непосредственные производители, а так называемые работодатели. Но на дореволюционных выставках устроители шли на то, чтобы в числе посетителей выставки могли быть все слои населения.

Грузия принимает участие во всемирных выставках, начиная с 1851 года. Наиболее полно она была представлена в столице Австро-Венгерского государства г. Вене в 1873 году, на выставке, функционировавшей с мая до ноября[4].

Экономические возможности, ресурсы Грузии являлись объектом изучения России с начала XIX века. Всемирные и внутрироссийские выставки во многом способствовали выявлению экономического потенциала, его качества и количества. Собственно, для этого и приглашалась Грузия на различные выставки.

В колониальной политике самодержавия пользовались термином «Кавказ», не выделяя ни один народ, проживающий на этой обширной территории. Списки экспонатов, представленные губерниями, входящими в Кавказ, дают возможность придти к заключению, что экспонаты Кутаисской и Тифлисской губерний занимают подавляющее большинство. Тем самым подтверждалось, что Грузия на Кавказе являлась основным экономическим районом.

Участие Грузии в выставках имело большое значение для дальнейшего экономического развития Грузии. Они стимулировали производителей для улучшения своих хозяйств, знакомили грузинских производителей с иностранными методами сельскохозяйственного производства и его уровнем развития.

Благодаря интенсивному экономическому развитию Грузии, во второй половине XIX века ее участие в выставках приобретает более широкие масштабы. В это время в Грузии происходят большие социально-экономические сдвиги.

«Со второй половины 60-х годов в Грузии началась эпоха капитализма. В 50—60-х годах в Грузии зарождается фабрично-заводское производство. На капиталистических предприятиях ручной труд заменяется машиной»[5].

Новые капиталистические отношения проявлялись во всех сферах экономической жизни. Развилась промышленность, торговля, капитализм вызывал специализацию в развитии сельского хозяйства. Продукция сельского хозяйства приобрела черты промышленного производ-

---

[3] К. Маркс и Ф. Энгельс, соч., изд. 2, т. 21, стр. 556.

[4] Венская всемирная выставка была 5-ой по счету. Ранее выставки проводились в 1798 г., 1867 г. в Париже и в 1851 г. и 1861 г. в Лондоне.

[5] М. Лордкипанидзе, Г. Пайчадзе и др., Страницы из истории Грузии, Тб., 1965, стр. 69.

ства. Это в свою очередь вызвало заинтересованность производителей в производстве сельскохозяйственных товаров в большем количестве и лучшего качества.

В сельском хозяйстве второй половины XIX века большое место занимает производство зерновых (пшеница и кукуруза) и виноградарство-виноделие. Солидное место в сельском хозяйстве занимает табаководство, хлопководство и шелководство; объектом торговли стало животноводство. Приобретает черты торгового производства садоводство. Развитие торгового земледелия определило развитие земледельческого капитализма — «большое количество зерновых вывозилось не только на внутренний, но и на мировой рынок»[6].

Во второй половине XIX века в Грузии «вместе с развитием капитализма происходит быстрое расширение как внутреннего, так и внешнего рынков и рост товарооборота»[7]. Грузия «благодаря тесному союзу с Россией вновь активно включалась в международную и культурную жизнь»[8].

В. И. Ленин, характеризуя политику русского самодержавия на Кавказе, писал: «Русский капитализм втягивал... Кавказ в мировое товарное обращение, нивелировал его местные особенности — остаток старинной патриархальной замкнутости — создавал себе рынок для своих фабрик»[9].

Политическая ситуация, сложившаяся в Европе в 1873 году, проливает свет на причины устройства Венской выставки, а следовательно, и участия в ней России и Грузии.

Австрия в 50—60-х годах потерпела ряд неудач в своей внешней политике. Резко ухудшились ее отношения с Россией во время Крымской войны 1853—56 гг. Поражение в войнах с Сардинским королевством и Францией в 1859 г., с Пруссией и Италией в 1866, образование Северо-Германского союза в 1867 г. привели к тому, что Австрия, потеряв влияние на германские государства и итальянские княжества, фактически утратила положение великой державы.

В 1867 году образовалась дуалистическая империя Австро-Венгрия с целью совместного угнетения и эксплуатации австрийскими абсолютистами и венгерскими аристократами других народов империи. Подобным объединением Австрия также предполагала восстановить свое влияние на ход мировой истории.

Предполагая доказать европейским странам существование экономической и военной мощи Австро-Венгерского государства и для демонстрации стабилизации внутреннего устройства Австро-Венгрии, император Франц-Иосиф дал указание на проведение в 1873 году в г. Вене «Всемирной выставки земледелия, промышленности и художеств». Австрийский двор обратился к правителям различных стран мира с приглашением принять участие в выставке.

Русский император Александр II дал согласие на участие в выставке.

Александр II, со своей стороны, недовольный расстановкой сил в Европе после франко-прусской войны, всячески стремился к укреплению своих позиций путем достижения союза с германским и австро-венгерским императорами. Александр II добивался приоритета России

---

[6] «История Грузии», под ред. Н. Бердзенишвили, Тб., 1961, стр. 227.

[7] Там же, стр. 229.

[8] Там же.

[9] В. И. Ленин, Полн. ссбр. соч., т. 3, стр. 594.

в Европе. Он принял приглашение австрийского двора участвовать в выставке, чтобы продемонстрировать Россию, уже отличную от крепостнической, пережившей Крымскую катастрофу, Россию, скинувшую крепостное право и вступившую окончательно на капиталистический путь развития.

Таковы были цели двух императоров — Александра II, жаждущего реванша, и Франца-Иосифа, организатора выставки.

Впоследствии, уже при функционировании выставки, два императора встретились и даже сумели договориться.

Приезд Александра II в Вену на Всемирную выставку вызван был в основном возможностью встретиться с императором Францем-Иосифом, а также и другими государственными деятелями европейских стран.

Россия, занятая к этому времени присоединением Средней Азии и по этой причине находящаяся в натянутых отношениях с Англией, желала сохранения статус-кво на Балканах.

Горчаков, внешнеполитический душеприказчик Александра II, всячески старался добиться «союза трех императоров» — Вильгельма I, Франца-Иосифа и Александра II. За кулисами Венской выставки происходили личные встречи императоров. Посещение Вены царственными особами было далеко от той цели, которую преследовали предприниматели, вкладывая свои средства в устройство выставки.

Русский павильон в Вене усиленно посещался всеми высокопоставленными особами, приезжавшими в Вену. Что же касается Вильгельма I и Франца-Иосифа, то они подолгу задерживались в военном отделе выставки, где были представлены экспонаты, отображающие военную мощь России того времени.

Газета «Голос», описывая церемониал по поводу приема Франца-Иосифа, обращает внимание на тщательный осмотр императором Военного отдела русского павильона, где объяснения давали военные лица России[10]. В этом отделе были выставлены различные экспонаты, показывающие посетителям оборонную мощь русской армии на Кавказе.

В частности, здесь была представлена коллекция чертежей и фотографий с видами сооружений, возведенных военными инженерами на Кавказе. Среди них: чертежи и виды Тифлисского артиллерийского арсенала, Тифлисского юнкерского училища, Тифлисского инженерного училища, здание военно-окружного суда в Тифлисе, казармы для батальона Тифлисского гарнизона, казармы Кутаисского губернского батальона и ряд других экспонатов. По нашему мнению, все эти чертежи и фотографии были представлены не без цели. Россия была заинтересована показать Европе, в какой мере она была укреплена на Кавказе.

Нельзя с полным основанием утверждать, что участие России в Венской выставке явилось причиной сближения трех императоров. Но то, что в период пребывания Александра II в качестве покровителя русского павильона было подписано соглашение в Шёнбрунне в июле 1873 г. между Россией и Австро-Венгрией, к которому позднее присоединилась Германия, заставляет нас думать, что, не будь Россия достаточно широко представленной на выставке, вряд ли подписание договора о «Союзе трех императоров» могло быть оформлено так быстро.

Подготовка к участию России в выставке началось задолго до ее открытия. 26 ноября 1871 года в Петербурге была учреждена комиссия для организации участия России в Венской всемирной выставке под

[10] «Голос», 1873, № 123.

председательством директора департамента торговли и мануфактур Бутовского[11]. Комиссия в свою очередь создала на Кавказе комитет для устройства Кавказского отдела при Венской всемирной выставке под председательством М. Н. Астафьева[12].

Петербургская комиссия по организации выставки в Вене выделила для тех времен весьма солидную сумму денег на организацию Кавказского отдела, и Кавказским комитетом для покупки, отправки и обратной доставки экспонатов было истрачено 7004 рубля[13]. С целью облегчения доставки экспонатов для участников выставки был введен пониженный тариф за перевозки на пароходных и железнодорожных линиях[14].

Наместник Кавказа великий князь Михаил получил общую программу выставки с регламентом участия иностранных государств.

Объясняя причину участия России, петербургская комиссия сообщила, что «предстоящая Венская выставка должна иметь особое для нашей промышленности значение: как соседственная континентальная держава, Австро-Венгрия представляет во многом сходные с нашими условия промышленного развития, и притом находится в ближайших торговых отношениях с Востоком, где для нашей промышленности имеется важный сбыт. С некоторых пор внимание русских фабрикантов и сельских хозяйств начало более обращаться на Австрийские центры производства: Всемирная выставка в Вене, несомненно, доставит нашим экспонатам возможность лучше ознакомиться с замечательными достижениями Австро-Венгрии, от которой по возможности России не следовало бы отставать»[15].

Учитывая важность представления Кавказа в составе Российской империи, комиссия определила цели участия Кавказа на выставке: «Комиссия не могла при этом упустить из виду, что разнообразные и замечательные произведения Закавказского края составляли уже одно из главных украшений нашего отдела на бывшей Парижской всемирной выставке 1867 г. и поэтому было бы очень желательно повторить этот успех в Вене»[16].

Между двумя комитетами — Петербургским и Тифлисским велась большая переписка весь период организации выставки, что свидетельствует о заинтересованности царского правительства достойно представить Кавказ, где сталкивались интересы России и Англии.

На Венскую выставку с Кавказа, в частности, из Грузии, было отправлено более 300 экспонатов. Среди них: (приводится в той последовательности, какая дана в списке экспонатов, сохранившихся в деле) — табак, книги, музыкальные инструменты и сукна, персидский порошок и золотые изделия, медная посуда, сыр, мука, хлебные колосья, марена, обувь, одежда, сбруя, шелка, коллекция строительных материалов, коллекция руд, фотографические снимки и модели, виноградная лоза, циновки[17]. На выставке также был представлен гурийский чай, уже не впервые экспонирующийся на всемирных выставках[18].

---

[11] ЦГИАГ, ф. 241, оп. 3, д. 57, л. 6.
[12] Там же, ф. 5, д. 2811, л. 15.
[13] Там же, ф. 241, оп. 3, д. 57, л. 256—259.
[14] Там же, л. 44.
[15] Там же, л. 8.
[16] Там же.
[17] Там же, 177—178.
[18] Там же, л. 210.

Для сопровождения экспонатов на выставку был командирован директор Кавказского музея Радде[19].

Деятельность Радде не ограничилась только разрешением организационных вопросов. Во время функционирования выставки 15 мая 1873 г. на заседании Географического общества в Вене среди других докладов им было сделано сообщение, в котором «... популярно, картинно и даже поэтично...»[20] был описан Кавказ.

Ряд экспонатов, посланных на выставку, предполагалось (впоследствии это было осуществлено) передать в дар Европейским музеям. Среди них: сельскохозяйственная коллекция, дендрологическая коллекция, минералогическая коллекция, коллекция инструментов и снарядов, ткацкий и ковровый станки, простонародные медикаменты, коллекция фотографий древних грузинских церквей[21].

Грузинская пресса в 1873 году давала много сообщений об участии Грузии в выставках. Подробно описывая эту выставку, газета «Дроэба» помещает отчет своего корреспондента. Отмечая обилие различных экспонатов, автор сетует, что Грузия не в полной мере представлена на выставке[22].

Журнал «Гутнис деда» в кратком изложении знакомит читателей со всеми отделами выставки[23].

Всемирная выставка в Вене в 1873 г. имела положительное значение для предпринимателей всех стран мира. Она ближе познакомила фабрикантов с состоянием промышленности других государств, содействовала расширению торговых связей между странами. Венская выставка, судя по экспонатам, имела торгово-предпринимательское значение. Демонстрировалось прежде всего то, что хотели экспортировать.

Грузия со своим большим экономическим потенциалом, судя по полученным наградам, сумела заинтересовать экспертную комиссию. Перед Грузией открывались большие перспективы, но в условиях царской России, находясь на положении колонии, она вряд ли могла рассчитывать на скорейшее вовлечение ее в мировой торговый рынок.

Корреспондент официальной газеты «Санкт-Петербургские ведомости» отмечает, что «русская цивилизация движется уж слишком медленно и нужны десятки лет на то, что на Западе достигается годами»[24].

Интересно, что из 1388 экспонатов, представленных Россией, 300 пришлось на Кавказ, а из 967 наград Кавказ получил 70[25].

Среди награжденных были учреждения, находящиеся на территории Грузии и лица, проживающие здесь же. Награды были получены за хлебные ростки, красильные растения, табак (большинство наград), вышивки, ковры, обувь, кожу, оружие, гербарии растений, вино, водку. Отмечены были: Горное управление, Кавказское общество сельского хозяйства, земледельческая школа в с. Лочини близ Тифлиса, акклиматизационный сад в Тифлисе, медицинское общество в Тифлисе — перечисленные учреждения и общества были награждены за представление схем, альбомов, диаграмм, гербариев, коллекций минералов и полезных ископаемых[26].

[19] ЦГИАГ, ф. 241, оп. 3, д. 57, л. 144.

[20] «Голос», 1873, № 114.

[21] ЦГИАГ , ф. 241, оп. 3, д. 57, л. 124—125.

[22] «Дроэба», 1873, № 20.

[23] «Гутнис деда», 1873, № 16.

[24] «Санкт-Петербургские ведомости», 1873, № 139.

[25] «Голос», 1873, № 261; ЦГИАГ, ф. 241, оп. 3, д. 57, л. 15, л. 233—235.

[26] ЦГИАГ, ф. 5, д. 2811, л. 23.

Н. Ситовский —инспектор сельского хозяйства, был награжден австрийским императором орденом железной короны II степени[27], а также португальским командорским орденом Христа «За составление коллекции образцов русских произведений для Лиссабонского промышленно-технического музея»[28], куда были также посланы экспонаты из Грузии.

Венская выставка, на которой Россия показала миру свое лицо, в какой-то степени способствовала утверждению империи как весьма важной политической и экономической единицы мира.

Участие Кавказа в выставке во многом способствовало выявлению экономических ресурсов края, их разработке и освоению в дальнейшем. Именно поэтому изучение истории участия Грузии во всемирных выставках имеет положительное значение для изучения экономического и культурного развития Грузии в XIX веке.

---

[27] ЦГИАГ, ф. 5, д. 3451, л. 1.
[28] Там же, л. 8—9.

Представил отдел истории европейских стран Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили АН Грузинской ССР

ირაკლი ანთელავა

დაყმევების პროცესის მასშტაბის საკითხისათვის XVIII საუკუნის საქართველოში

XVIII ს-ის საქართველოში ერთდროულად მიმდინარეობდა ორი ერთიმეორის საწინააღმდეგო პროცესი — ძირითადი მწარმოებელი კლასის (გლეხობის) ბატონყმური ურთიერთობიდან განთავისუფლება და მისი კვლავ დაყმევება. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ პირველი პროცესი თავისი მასშტაბით ბევრად ჩამორჩებოდა მეორეს. ამ თვალსაზრისის მომხრეთა შეხედულებით, მაშინ ჩვენს ქვეყანაში, მართალია, ადგილი ჰქონდა გლეხთა თავდახსნა-განთავისუფლების შემთხვევებს, მაგრამ ის ვერ ახდენდა ვერავითარ ზეგავლენას ქვეყნის სოციალურ ცხოვრებაზე, რადგანაც განთავისუფლებული, სათანადო ობიექტური პირობების უქონლობის გამო, ვერ ინარჩუნებდა თავისუფალ მდგომარეობას და ხელმეორედ ყმავდებოდა[1]. ჩვენ ამჟამად არ ვაპირებთ მსგავსი თვალსაზრისის მქონე ავტორების შეხედულებებზე შეჩერებას, მით უმეტეს, რომ ეს ჩვენ ადრე გავაკეთეთ სხვა საკითხთან დაკავშირებით[2]. აქ მხოლოდ იმის გარკვევით შემოვიფარგლებით, თუ რა საფუძველი გააჩნიათ აღნიშნული დებულების დამცველებს, როგორი იყო და არის მათი საბუთიანობა.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჯერჯერობით არავინ ცდილა სათანადო მასალის მოტანით დაემტკიცებინა გლეხთა თავდახსნის პროცესის უმნიშვნელობა — უპერსპექტივობა და დაყმევების პროცესის აშკარა დომინირება. დაყმევების პროცესის დომინირების თვალსაზრისის დამცველი მკვლევრების მთავარი (შესაძლებელია ერთადერთიც) არგუმენტი, როგორც ჩანს, ყმობის სიგელების შედარებითი სიმრავლეა. ასეთი საბუთების რაოდენობა, მართლაც, რომ ბევრია XVIII ს-ის გამოქვეყნებულ თუ გამოუქვეყნებელ მასალებში, მაგრამ ეს, ჩვენი შეხედულებით, არ არის საკმარისი დასახელებული დებულების დასამტკიცებლად. საკითხის გულდასმით შესწავლა ცხადყოფს, რომ ყმობის სიგელების მხოლოდ მცირე ნაწილშია ფიქსირებული თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ადამიანის დაყმევება. საბუთების დიდ უმრავლესობაში კი ლაპარაკია ძველი, „უკანონოდ“ შეწყვეტილი, ყმობის განახლებაზე, მის აღდგენაზე, რაც, ცხადია, არ ადიდებს ყმური მოსახლეობის საერთო რაოდენობას. აი, ამის რამდენიმე მაგალითი:

---

[1] ადრე ჩვენ ვიზიარებდით ასეთ თვალსაზრისს (იხ. «Переход от феодализма к капитализму», Материалы Всесоюзной дискуссии, М., 1969, გვ. 293—294). მოგვიანებით კი, საკითხის სპეციალური შესწავლის შედეგად, შეიცვალა ჩვენი შეხედულება (იხ. ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა, XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ხასიათის საკითხისათვის, თბ., 1977, თავი IV).

[2] ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა, ერეკლე II 1765 წლის კანონი ტყვეყოფილთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ (იხ. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1976).

1. იობა ზაქიასშვილის ბატონყმობის წიგნი, მიცემული დიმიტრი ეშიკაღასბაშისადმი 1755 წელს. იქ ნათქვამია: „ესე წიგნი მოგართვი ჩემს მემკვიდრეს ბატონს ეშიკაღასბაშს დიმიტრის მე თქვენმა ყმამ იობამ ზაქარიასშვილმა, — ასე რომ თქვენ(ი) გაზდილი ვიყავ... თქვენგან შემეშინდა და გაგექეცი. ამთენი ხანი სხვაგან ვიარე, ახლა თქვენ პაპუნასათვის გებძანებინათ და პაპუნამ მიპოვნა სურამსა და გამომგზავნა თქვენთან და აქ თქვენ გიახელ. თქვენ ჩემზე მოწყალება მოიღევით, და ჩემი დანაშაული მაპატივეთ... ახლა დღეს დღეის იქით თუ შევცოდო რამე და ანკიდევ გაგექცე სადმე — ოცდაათი თუმანი ჯარიმა მოგართვა და რაც ერის სხვას დამნაშავე კაცს გარდახდებოდეს, მეც ისე გარდამახდევინეთ“[3].

2. მათოზა სარქისაშვილის ყმობის წიგნი, დაწერილი რევაზბეგ სარდლის სახელზე 1759 წელს. „ესე ბატონყმობის წიგნი მოგართვი მე ანდიველმა სარქისაშვილმა მათოზამა — ნათქვამია იქ, — **თქვენ ბატონს ჩემს სარდარს** რევაზბეგს, ასე რომ მე თქვენი მკვიდრი ყმა ვიყავი და ცოტა ხანს კახეთში ხიზნად წავედი... მერმე სხვის სიტყვითა თქვენგან შევშინდი და ვეღარ გიახელ, გემალებოდი, მაგრამ თქვენის ყნობისაგან ან სად დავიმალებოდი და ან სად უნდა თქვენ წაგსვლიყავი და მე ჩემის ნებით მოვედი და ისევ თქვენ შემოგეხვეწე და თქვენც თქვენის მღრთის გულისათვის შემიწყნარეთ და შემირიგეთ... ახლა თქვენ ჩემი მწყალობელი ბატონი ბრძანდებით და მე თქვენი მოსამსახურე ყმა. როგორათაც ბატონყმობის რიგი და მართებული არის იმრიგათ მამაებელი (მაამებელი — ი. ა.) უნდა ვიყო“[4].

3. ვართანა და ოჰანეზა დოსტიაშვილების ბატონყმობის სიგელი, მიცემული სოლომონ თარხნიშვილისადმი 1785 წელს. „ესე წიგნი მოგართვით... დოსტიაშვილმა ოჰანეზამ და ვართანამ თქვენ თარხნისშვილს მეითარს სოლომონს და შენს ძმებს, — ასე რომ... მანამ კურთხეული მამა შენი ცოცხალი იყო, ვმსახურეთ. ის რომ მიიცვალა, ჩვენ შენ აღარ დაგიდეთ თავი და გიჩივლეთ მისის უმაღლესობის წინაშე—მისმა უმაღლესობამ ჩვენი თავი ისევ შენ გიბოძა და ჩვენც ეს წიგნი ასე მოგართვით, რომ ამას იქით ჩვენ და ჩვენი შვილნი შენი და შენი ძმების ყმანი ვართ და გმსახურობთ როგორც რიგია ყმის სამსახური თავის ბატონის“[5].

4. სვიმონა ფარჩუკაშვილის ყმობის წიგნი დიმიტრი ამილახვარისადმი, დათარიღებული 1797 წლით. „ესე წიგნი, — ვკითხულობთ საბუთში, — მოგართვი მე ფარჩუკაშვილმა თქვენმა ყმამ სვიმონამ თქვენ მილახვარის დიმიტრის. მე თქვენ უარგყავ და ბატონისშვილ გიორგისთანაც გიჩივლე. იმანაც ჩემი თავი გიბოძათ სამართლით. მერმე საყდრიონში გარდაველ და ალავერდს დავდეგ. მერმე ნიკოლოზ ალავერდელთანაც ვილაპარაკეთ, მაგრამ ჩემი თავი თქვენ მოგცათ იმანაც, რადგან

[3] სსცია, ფონდი 1450, დავთ, 4, საბ. 199.
[4] იქვე. დავთ. 15, საბ. 105.
[5] იქვე, დავთ. 26, საბ. 114.

თ ქ ვ ე ნ ი ყ მ ა ვ ი ყ ა ვ. მერმე ალავერდიდამ რომ გამომიყვანე, ჩემისავე ნებით შენს დედიდაშვილს ფარემუზისშვილს დავითს მიმბარე. იქიდამ ავიყარე ჩემის სიავკაცობით[6] და ბოსტანში დავსდეგ, მე ამ პირობას ვსდებ, რომ ბოსტანიდამ ავიყარო და შენს დედიდაშვილს დავითთან დავდგე. შ ე ნ ი ყ მ ა ვ ა რ... დ ა ყ მ უ რ ა თ ა ც გ ე მ ს ა ხ უ რ ე ბ ი“[7].

არც ერთი აქ მოტანილი საბუთი, როგორც ვხედავთ, არ ადასტურებს თავისუფალი გლეხის დაყმევების ფაქტს. ციტირებულ და სხვა მათ მსგავს ყმობის წიგნებში, რომელთა რაოდენობა ერთობ ბევრია[8], დასახელებული პირები ადრეც ყმები ყოფილან და იმავე მდგომარეობაში დარჩენილან. ისინი „უკანონო“ გზას დადგომიან, ბატონისათვის თავი არ დაუდვიათ, განზე გაწევა დაუწყიათ, გაქცეულან, მაგრამ საბოლოოდ, ერთ ხანს ხეტიალის შემდეგ, იძულებული გახდარან ისევ თავის პატრონს დაბრუნებოდნენ და ყმობისა და ერთგული სამსახურის წერილობითი დოკუმენტი მიეცათ. ა ღ ნ ი შ ნ უ ლ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ე ბ ში ჩ ვ ე ნ ს ა ქ მ ე გ ვ ა ქ ვ ს „უ კ ა ნ ო ნ ო დ“ დ ა დ რ ო ე ბ ი თ შ ე წ ყ ვ ე ტ ი ლ ი ყ მ ო ბ ი ს გ ა ნ ა ხ ლ ე ბ ა ს თ ა ნ დ ა ა რ ა ა ხ ა ლ ი ს წ ა რ მ ო ჩ ო ბ ა ს თ ა ნ, თ ა ვ დ ა ხ ს ნ ი ლ ი კ ა ც ი ს დ ა კ ა ბ ა ლ ე ბ ა ს თ ა ნ. ე რ თ ი ს ი ტ ყ ვ ი თ, მ ს გ ა ვ ს ი ა ქ ტ ე ბ ი თ ა რ მ რ ა ვ ლ დ ე ბ ო დ ა ყ მ უ რ ი მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს რ ი ცხ ვ ი, მ ი ს ი რ ა ო დ ე ნ ო ბ ა.

განსახილველი ხანის საქართველოში, როგორც ცნობილია, მოქმედებდა კანონი, რომელიც კრძალავდა ერთი მებატონის მიერ მეორე მებატონის ყმის მიღებას სათანადო თანხმობის ან თავდახსნილობის საბუთის წარმოდგენის გარეშე[9]. მაგრამ შრომისა და ცხოვრების უკეთესი პირობებისათვის მებრძოლი გლეხი არაიშვიათად გვერდს უვლიდა ოფიციალურ კანონმდებლობას, ხშირად ტოვებდა თავის ბატონს და მეორის ყმობაში შედიოდა. იგი ატყუებდა ამ უკანასკნელს, არწმუნებდა იმაში, რომ მის მიერ გადადგმული ნაბიჯი სათანადოდ სანქციონირებულია ან რომ მას საერთოდ არავინ ქყავს პატრონი. „ესე წიგნი მოგეცი მე იარაშვილ(მა) იარალი(მ) შენ თავქანჩა აღა ზა(ა)ლს,—ასე რომე მესროფიშვილი მუსია უწინაც თქვენი ყმა იყო, მასუკანაც შენთან იყო. შენ იმისთვის ცოტა გეწყინა. მოვიდა და შემამეხვეწა და მ ო მ ა ტ ყ უ ა და შენ წამოგედავე და მუსია გამოგართვი. ახლა მე შევიტყე, რომ იმან ა რ ა მ ზ ა დ ო ბ ი თ მ ო მ ა ტ ყ უ ა და შენ თვალს მამაძულა. ახლა შევიტყე, რ ო მ ი ს კ ა ც ი ა რ ა ჩ ე მ ი ყ მ ა ყ ო ფ ი ლ ა, ა რ ც ა რ ა ს ა ქ მ ე მ ქ ო ნ დ ა. შ ე ნ ი ყ მ ა ა რ ი ს, ღმერთმა გამარჯვებაში მოგახმაროს. მაშინაც დ ა ვ ა შ ა ვ ე, რომ ტყუილად შეგძულდი. ახლა დღესა და დღეის იქით იმასთან საქმე არა მაქვს, შ ე ნ ი ყ მ ა ა რ ი ს, საცა გეპრიანებოდეს, წაიყვანე“[10].

მეორე საბუთში, რომელიც 1772 წელს განეკუთვნება, ნათქვამია: „ესე უდეობის წიგნი მოგეცი(თ) ჩვენ ნიკარაძემ ქაიხოსრომ და ოტიამ შენ აგია-

---

[6] ტექსტში წერია: „სიავკაცით“.

[7] სსცია, ფონდი 1450, დავთ. 14, საბ. 45.

[8] იხ. იქვე, ფონდი 1448, საბ. 1478, 1836, 2443, 2989, 3458, 4325, 4630, 5337, 8721 და სხვ.; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Hd, საბ. 3321, 3338, 4838; Qd საბ. 8571, 8603, 9027 და სხვ.

[9] იხ. „სამართალი ბატონიშვილის დავითისა“, თბ., 1964, გვ. 15, 121. შდრ. Д а в и д Б а г р а т и о н и, Обозрение Грузии..., მუხლი 279.

[10] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, ტ. I, დოკ. 484, 1749 წ.

შვილს ქაიხსოროს, ასე რომე გლეხი აგვეყარა ჩვენი, მამისთვალი გოდელაძე, და შენთან მოვიდა, გთხოვეთ ჩვენი კაცი და არ მოგვეცი. მერმეთ ბატონს შევეხვეწეთ და ბატონმა სამართალი მოგვცა და ჩვენ თქვენი ფიცი დაგვედვა. მერმეთ ფიცი ბატონის ბრძანებით მოვშალეთ და ფასზედ მოერიგდით და ფასი გამოგართვი ორას ოცდაათი მარჩილი და ის კაცი ხელადებით მოგეცით"[11].

აი კიდევ ერთი 1795 წლის საბუთი. „საქართველოს დედოფლის ჭირი მოსცეს მათს მონას ფურცელაძე ზურაბს. მერმე ამას მოვახსენებ: კაცი მოსვლია პაპა ჩემს ზურაბს, იმ კაცს პირობა მიუცია პაპი ჩემისათვის, ბატონყმობისა ჩემი მოდავე არვინ არისო ხუთის (ღვთის, — **ი. ა.**) მეტიო. პაპა ჩემსაც სარჩო მიუცია და მამული. თქვენს მზესა ვფიცავ დღეანდლამდინ მაგ კაცისა არა ბატონი გამიგონია და არც არავინ მოდავე მინახავს"[12]. მაგრამ გავიდა ხანი და მოდავე გამოჩნდა. მისმა პირველმა ბატონმა,— ჩივის ფურცელაძე, — „თავისი ყმა კაპანაძე შემოუყენა, მოატყუა ის ჩემი კაცი, აყარა და ხვეთს გაიყვანა, ერთი კაი ვენახი მისცა, ოცდაოთხი ძირი ნიგოზი უდგია და ერთი საკომლო მამული, ექვსის წლის სითარხნე და სხვა წყალობაც დაპირდა. მდივანი ვარ და კარგად შეგინახამო. თუ მაგისი ყმა იყო, ჩემო ხელმწიფევ, აქამდინ სად იყო მამა მაგისი, რატომ არ მედავა და ან ეგე მაგ კაცმა რატომ არა თქვა ერთხელ თუ მაგისი ყმა იყო. ამას გარდა ორჯერ, სამჯერ ქართლი აიწერა ანიმათ რატომ არ უთხრა მაგისი ყმობა"[13]...

არც ერთ ზემოთ მოყვანილ მაგალითში ჩვენ საქმე არა გვაქვს ახალ ყმობასთან, თავისუფალი მწარმოებლის დაყმევებასთან. დამოკიდებულ მდგომარეობაში მყოფმა კაცმა დატოვა ძველი ბატონი, მეორეს მიუვიდა როგორც უბატონო, თავისუფალი კაცი, რაც სიცრუე იყო და სინამდვილეს არ შეეფერებოდა. წასულ-გაქცეული გლეხისათვის ფეოდალებს შორის ატეხილ ბრძოლაში ან ერთი მხარე იმარჯვებდა, ან მეორე. მაგრამ იმის დადგენას, თუ რომელი მათგანი გამოვიდოდა საბოლოოდ გამარჯვებული — ჩვენი მიზნისთვის არა აქვს არამცთუ არსებითი, არამედ საერთოდ არავითარი მნიშვნელობა, რადგანაც ყმა ყველა ვარიანტში ყმად რჩებოდა. იბრუნებდა ურჩ ხელქვეითს ძველი ბატონი, თუ მას ახალი პატრონი ინარჩუნებდა — ეს მდგომარეობას სრულებითაც არ ცვლიდა, ყმური მოსახლეობის საერთო რაოდენობა უცვლელი რჩებოდა, იგი არც დიდდებოდა და არც მცირდებოდა.

ახალი ყმობის წარმოშობად არ ჩაითვლება შემთხვევები, რომლებშიც დადასტურებულია ტყვეობაში მოხვედრილი გლეხების ამ მდგომარეობიდან მათი დამხსნელის ყმობაში შესვლის ფაქტები. საქართველოში მაშინ მოქმედი წესის თანახმად[14], პირად თავისუფლებას ღებულობდა მხოლოდ ის, ვინც საკუთარი სახსრითა და ძალებით დააღწევდა თავს ტყვეობას და სამშობლოში დაბრუნდებოდა. დანარჩენები კი, ე. ი. ისინი, ვისაც თავისი ბატონი ან სხვა

---

[11] სსცია, ფონდი 1449, საბ. 90.

[12] იქვე, ფონდი 1450, დავთ. 13, საბ. 215.

[13] იქვე. მსგავსი საბუთები იხ. სსცია, ფონდი 1450, დავთ. 13, საბ. 66, 73; ფონდი 1448, საბ. 1427, 1836, 8721.

[14] ჩვენ მხედველობაში გვაქვს ერეკლე II 1765 წლის კანონი ტყვეყოფილთა შესახებ (იხ. ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, თბ., 1972, გვ. 513).

ვინმე გამოისყიდდა, გამომსყიდვლის ყმად ხდებოდა და აძლევდა მას ყმობისა და ერთგული სამსახურის ფიცს. მოვიყვანოთ სათანადო მაგალითები:

1. ბაინდურაშვილი არუთინა ლეკებს ტყვედ ჩავარდნია. საკუთარი სახსრებითა და ძალებით ტყვეობისთვის თავი ვერ დაუღწევია. ჩანს, მისი ამ მდგომარეობიდან გამოხსნით მის ბატონს თავი არ შეუწუხებია. ასეთი რამე ბეჟან დოროთაშვილს უკისრია, რვა თუმანი გადაუხდია და ბაინდურაშვილი გამოუსყიდია, მაგრამ თავისუფლება კი არ მიუცია, არამედ ყმად აუყვანია (1739 წ.)[15].

2. ბეჟან ნინიაშვილის თავნასყიდობის წიგნში, რომელიც მან მისცა ოსეფა ნაზარბეგიშვილს 1774 წელს, ვკითხულობთ: „უფლისციხეს მადევარი (?) რომე დამარცხდა, იქ დავიკარგე, ლეკებმა ახალციხეს ამიყვანეს. ყარმადაივნის (?) ყმა ქიტესამა დამიხსნა და ქართლში ჩამომიყვანა. ბატონს ჩემებთან მივედი. ბატონმა ჩემებმან ჩემი დახსნა ვერ შეიძლეს, დასტური დამაცეს — ვისაც გინდოდესო შენი თავი დაახსნევინეო და იმის ყმა იყავიო. ახლა მოვედი, თქვენ შემოგეხვეწე, თქვენის ღვთის მადლისათვინ თქვენ მიყიდეთ ქიტესასაგან და რაც ჩემი სახსარი იყო მთლათ თქვენ მიეცით და მეც ჩემი თავი ცოლითა და შვილით თქვენ მოგაყიდე(თ)"[16].

3. ოქროა ქიტუაშვილის მიერ გაბრიელ ყორღანაშვილისადმი მიცემულ თავნასყიდობის წიგნში ნათქვამია (1780 წ.): „ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგაწერინე და მოგეც მე ჯავახეთის ლიპელმა ქიტიაშვილმა მეკონდახემ ოქროამა... შენ ყორღანაშვილის ტერ-ოჰანას შვილს გაბრიელს... ასე რომ ობოლ ვიყავ... ქალაქს წამოველ და ლეკისაგან (დავტყვევდი), დაღისტანში გამიყვანეს. იქიდამ გამოვიპარე და აქ ქალაქში დავით მუშრიბის ხელთ ვიყავ. მეორედ დავიკარგე და სახსარი არა მქონდა, რომ თავი დამეხსნა... მის უმაღლესობას არზა მივართვი და ოქმი მიწყალობა, რომ ვისაც[17] უნდა დაგიხსნასო და თუ ვისმე(ს) სიტყვა ჰქონდეს, ჩვენ მოგვახსენოსო... მის(ი) უმაღლესობის ბრძანებაც არის, ვინც ტყვეობიდამ მოვა, ვისიც ყმა(ც) (არ) უნდა იყოს[18], ვინც დაიხსნის იმის იქნება... ახლა მე შენს მეტმა არაადამიანმან არ გამიკითხა. შენ გამიკითხე (?) და ლეკისაგან დამიხსენ, ვალები გარდმიწყვიტე. მეც ჩემის ნებაყოფლობით მოველ და გეყმე, მის უმაღლესობის ნაბოძები ოქმიც შენ მოგეც და ეს ბატონობის წიგნიც დაგიწერე"[19].

ამ საბუთებში დასახელებული ყველა გლეხი ყმურ მდგომარეობაში იყო დატყვევების მომენტისათვის. ტყვეობიდანაც დაბრუნდნენ ისინი როგორც ყმები იმ პირებისა, რომლებმაც გაიღეს მათი გამოსასყიდი თანხა. ასეთი და მსგავსი შემთხვევები, თავისთავად ცხადია, არ ამრავლებს ყმათა რაოდენობას. არ არის დაკავშირებული თავისუფალი ადამიანის დაყმევება-დაკაბალებასთან.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ერთი ბატონის ყმას უფლება ჰქონდა მეორეს მისვლოდა, თუ კი მისი პატრონი შიმშილობისა და

---

15 ბეჟან დოროთაშვილისადმი მიცემულ ყმობის წიგნში ბაინდურაშვილი წერს: „ლეკის ხელში ტყვეთ ვიყავ. შემოგეხვეწე, ჩემი თავი ყმათ მოგეც და შენ დამიხსენ ლეკიდამ რვა თუმნათ, ღვთის შეტი არავინ არის შენი მოცილე და მოდავე" (სსცია, ფონდი 1448, საბ. 6432).

16 სსცია, ფონდი 1448, საბ. 4624.

17 ტექსტში წერია „ვინც".

18 დედანში ასეა: „ვისიც ყმა უნდა ყოფილიყოს".

19 სსცია, ფონდი 1450, დაეთ. 5, საბ. 88.

ეპიდემიური დაავადებების დროს მას ხელს არ გაუწოდებდა და შემწეობას არ გაუწევდა. ასეთი გლეხი მისი შემფარებლის საკუთრებად რჩებოდა. ადრინდელ ბატონს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო ყმის უკან დაბრუნებაზე ეფიქრა, თუ კი ის ახალ პატრონს აუნაზღაურებდა გაწეულ ხარჯებს. „ოდეს სიყმილსა შინა, — ვკითხულობთ ბატონიშვილი დავითის სამართლის წიგნში,— კაცმან ყმასა თვისსა არარაიმე დასდიოს და იგი სხუამან გამოზარდოს უკეთუ ესოდენი წარაგოს პატრონმან, რაოდენიცა წარუგიეს გამომზრდელსა მას, მიეცეს პატრონსავე; და უკეთუ არა ინებოს პატრონმან, დაშთების გამომზდელსა“[20].

ამ კანონს იყენებდნენ გლეხები აღნიშნული რთული ვითარების შემთხვევებში. ჩანს, ეს უფლება გამოუყენებია, მაგალითად, ვინმე ვარსიმაშვილს, რომელსაც „შიმშილობის წელიწადში“ მიუტოვებია თავისი ბატონი, თელავს გადაბარგებულა და ვიღაცას შეჰფარებია[21]. იგივე გაუკეთებია ბაღდასარ ათაბეგაშვილს. იგი „პურძვირობის“ მიზეზით გასცლია თავის ბატონს და ვინმე მეჰმანდარს ყმობია. 1797 წლით დათარიღებულ ბატონყმობის წიგნში ათაბეგაშვილი წერს: „ჩვენს ქვეყანას პურძვირობა ჩამოვარდა და შიმშილისაგან მრავალი ხალხიც დაიხოცა[22] და მრავალი ხალხიც გადიკარგა[23]. მეც ამ მიზეზით დიაღ შეწუხებული ვიყავ ცოლ-შვილით..., არც დარჩენის გზა გვქონდა და არც ერთის მხრისაკენ წასვლის ილაჯი... ამ შეწუხებულ ჟამში თქვენ (მეჰანდრი. — ი. ა.) შემოგვეყარე, შემოგვევედრეთ, რომ დაგვიხსნა დაჭირებისაგან, წამოგვიყვანო ქალაქს, გაძლებინების გზაზე დაგვაყენო და ჩვენც შვილისშვილამდე თქვენი ყმანი ვიყვნეთ. თქვენ ჩვენი ვედრება შეისმინეთ, რაც ნაკლებულება გვქონდა შეგვისრულეთ... მეც ჩემის პირობისამებრ ჩემი თავი ჩემის შვილით ყმათ მოგართვი“[24].

მოტანილი და სხვა მათი მსგავსი საბუთებიდან მკაფიოდ ჩანს, რომ ასეთ შემთხვევებში ჩვენ საქმე გვაქვს არა ახალ ბატონყმობის აქტთან, არამედ უბრალოდ კონკრეტული ბატონების შეცვლასთან, ერთის უფლებებში მეორის შეცვლასთან. აქ ყმის მდგომარეობა უცვლელია: იგი ყმა იყო, ყმად დარჩა.

ბატონყმობის სიგელებში დადასტურებულია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც გლეხი თავისსავე ბატონს უთანხმდებოდა ყმობის უფრო დაბალ ფორმაზე. „სხვა ილაჯი არა მამეცა რამე, მაინც თქვენ გემსახურებოდით, ავდექ (და) ჩემი თავი ნასყიდობით მოგართვით“, — ნათქვამია საბუთში[25]. თქვენი ნებიერი ყმა ვიყავი, ახლა კი ნასყიდად მოგივედიო, — ვკითხულობთ მეორე საბუთში.

და თუმცა დამოწმებულ მაგალითებში ლაპარაკია გლეხის დამოკიდებული მდგომარეობის ყველაზე უარეს, ყველაზე დაბალ ფორმაში გადასვლაზე, მაინც აქ ჩვენ საქმე გვაქვს არა ახალი ბატონყმური ერთეულის წარმოშობასთან, არამედ ძველის, უკვე არსებულის სახეცვლილებასთან.

---

[20] იხ. „სამართალი ბატონიშვილის დავითისა“, გვ. 122.

[21] სსცია, ფონდი 1450, დაეთ. 26, საბ. 58, 1782 წ.

[22] ტექსტში წერია „დაიხოცნენ“.

[23] საბუთში წერია „გადივარგნენ“.

[24] სსცია, ფონდი 1450, დაეთ. 8, საბ. 8.

[25] ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები, ტ. I, გვ. 227.

ჩვენ მოვიტანეთ განსახილველ საკითხთან დაკავშირებული მასალების მხოლოდ ერთი ნაწილი, საიდანაც, ვფიქრობთ, ნათლად ჩანს, რომ დაყმევების პროცესის მასობრიობისა და მასშტაბის განსაზღვრა-დადგენისას არ იქნება სწორი მკვლევარმა ბატონყმობის ყველა სიგელი ჩააგდოს სათვალავში. უკანასკნელიდან, მათი შინაარსის გულდასმით შესწავლის შედეგად, უნდა გამოირიცხოს საბუთები, რომლებშიც დადასტურებულია ძველი, „უკანონოდ" შეწყვეტილი ყმობის განახლების, ერთი ბატონის მეორით შეცვლის, ყმის დამოკიდებულების შედარებით მსუბუქი ფორმიდან უფრო მძიმე ფორმაში გადასვლის ფაქტი და სხვა[26]. თუ მკვლევარი დაადგება ამ, ჩვენი აზრით, ერთადერთ სწორ გზას, იგი სრულიად ბუნებრივად მივა დასკვნამდე დაყმევების პროცესის ბევრად უფრო ნაკლები მასშტაბის შესახებ XVIII ს-ის საქართველოში, ვიდრე ეს ჩვენ დღემდე გვქონდა წარმოდგენილი.

* * *

ნათქვამი, ცხადია, იმას როდი ნიშნავს, თითქოს განსახილველი ხანის საქართველოში ადგილი არ ჰქონდა ახალი ბატონყმური ერთეულის წარმოშობას, თავისუფალი ადამიანის დაყმევებას. ჩვენს ხელთ არსებული საბუთების ერთ ნაწილში ლაპარაკია გლეხებზე, რომლებმაც თავი დააღწიეს ბატონყმურ ურთიერთობას, მიიღეს პირადი თავისუფლება, მაგრამ ვერ მოახერხეს, ვერ შეძლეს მისი შენარჩუნება და ისევ დამოკიდებულ მდგომარეობაში ჩავარდნენ. როდესაც თავისუფალი კაცი ვინმეს ყმობაში შედიოდა, ის, როგორც წესი, ახალი ბატონისათვის მიცემულ წერილობით საბუთში, ყმობის (ან ბატონყმობის) წიგნში მკაფიოდ გახაზავდა, რომ იგი თავდახსნილია და არავინ მოცილე-მოდავე არა ჰყავს. ის ამას არა მარტო სიტყვიერად აცხადებდა, არამედ ხშირად თავდახსნილობის დამადასტურებელ დოკუმენტსაც ადგენდა[27], თუკი ასეთი რამ მას დაკარგული არ ჰქონდა.

აი, აღნიშნულის დამადასტურებლი მაგალითები:

1. ნასყიდა და თამაზ მჭედლიშვილების ყმობის წიგნი, მიცემული დოდოს მონასტრისადმი 1750 წელს. იქ ვკითხულობთ: „... დიასამიძე ვარამის ყმანი ვიყავით. ქალაქს ჩამოვედით ავის დროისათვის, დიდ ხანს... დავყავით. წამოგვედავა ჩვენი ბატონი და აყრა მოინდომა ჩვენი და ჩვენ არ გავყევით, ქალაქ-

[26] დაყმევების საერთო რაოდენობიდან გამოსარიცხია აგრეთვე ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ბატონი გარკვეული მიზნით (პირველ რიგში, ცხადია, მატერიალური გამორჩენის მიზნით), სიტყვიერ თანხმობას აძლევს ყმას (იხ. სამართალი ბატონიშვილის დავითისა, გვ. 121), ეყმოს მეორე ბატონს, მიჰყიდოს მას საკუთარი თავი და ოჯახის წევრები. ასეთი თანხმობა ეჭვმიუტანლად ივარაუდება ისეთ საბუთებში, სადაც არაა მითითებული ყმობაში შემავალი კაცის მდგომარეობა (თავისუფალი, ყმა) და ყმობის იურიდიული საფუძველი.

[27] ამ დოკუმენტის წარუდგენლად ბატონს, წესით, არც უნდა მიეღო გლეხი თავის ყმობაში. „ხოლო იქმნების, რომელ ყმა სხვისა მივიდეს სხუასა თანა, რომლისა არა ჯერ-არს მიღება თვინიერ თავისუფლების წერილისა, მებატონისაგან თვისისა მიცემულისა" (იხ. „სამართალი ბატონიშვილის დავითისა", გვ. 15).

ში არ გაუშვით, ადგა და ჩვენი თავის სახსარი გამოგვართო და თ ა ვ ი დ ა გ ვ ა ხ ს ნ ე ვ ი ნ ა... ც ო ლ ი თ ა დ ა შ ვ ი ლ ი თ ა. ჩ ვ ე ნ თ ა ნ ა; ი მ ა ს ს ა ბ ა ტ ო ნ ყ მ ო თ ხ ე ლ ი ა ღ ა რ ა ა ქ ვ ს. რადგან იმას მოვრჩით, ახლა ჩვენის ნება-წადილითა ეს თავშეწირულობის წიგნი მოგეცით თქვენ, წმინდის დოდოს წინამძღვარს სეიმონს და კრებულთა თქვენთა, ასე რომ თავი შ ე ვ წ ი რ ე თ თქვენს მონასტერს წმინდას დოდოსა ცოლითა და შვილითა"[28].

2. ბატონიშვილი გიორგის 1780 წლის სიგელი გურგენა ამირაშვილისადმი მისი ყმობაში მიღების შესახებ. „ჩვენ, — ნათქვამია დასახელებულ საბუთში, — საქართველოს უფლისწულმან ბატონიშვილმა გიორგიმ... ესე წყალობის წიგნი და სიგელი და ნიშანი გიბოძეთ შენ კუმელს ამირაშვილს გურგენასა, ასე რომ შენი მამა პაპა ძველად სოლაღაშვილის ყმანი ყოფილან და სოლაღაშვილის ქაიხოსროსაგან თ ა ვ ი დ ა გ ე ხ ს ნ ა[29] და თ ა ვ დ ა ხ ს ნ ი ლ ო ბ ი ს ს ი გ ე ლ ი ც ხ ე ლ თ ა გ ქ ო ნ დ ა. მოხვედი შენის ნებით და შენი თავი ჩვენ გვაყმეთ"[30].

3. არუთინა უსტაშვილის თავნასყიდობის წიგნი ერასტი გოსტაშაბიშვილისადმი, დათარიღებული 1783 წლით. „...ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგართვი მე, ენაგელმა უსტაშვილმა არუთინამ და შვილმა ჩემ(მ)ა ნაზარამ, თქვენ გოსტაშაბიშვილს ერასტი უზბაშს... ასე რომე ჩვენ ენაგელნი ვიყავით, გერმანოზიშვილი ომანის მემკვიდრე ყმანი... აგვიღო და თავქალაშვილს გიგლას მიგვყიდა. მ ე რ ე ა ზ ა ტ ი გ ვ ი ყ ო დ ა ა ზ ა ტ ო ბ ი ს წ ი გ ნ ი ც ა დ ა ნ ა ს ყ ი დ ო ბ ი ს ს ი გ ე ლ ი ც მ ო გ ვ ც ა. ჩ ვ ე ნ თ ა ნ ხ ე ლ ი ა რ ა ვ ი ს ა ჰ ქ ო ნ დ ა ღ ვ თ ი ს გ ა რ დ ა. ვალი დამედო, მოველ ჩემის ნება-წადილით, თეთრი გამოგართვი და ჩემი თავი ყმათ მოგეც. ჩემთან საბატონყმოთ შენს მეტს საქმე არაივის ჰქონდეს"[31].

4. ოსეფა პაპაშვილის თავნასყიდობა, დაწერილი 1785 წელს სარდალ იოანე მუხრანბატონის სახელზე. „...ახლა... მოველ ჩემის ნებით და თქვენ მუხრან ბატონს სარდალ სახლთუხუცესს იოანეს შემოგეხვეწე, მოგყიდე ჩემი თავი ცოლითა და შვილებითა და ჩ ე მ ი თ ა ვ დ ა ხ ს ნ ი ლ ო ბ ი ს ს ი გ ე ლ ი ც მ ო გ ა რ თ ვ ი"[32].

5. ზურაბ ხიდაშელის ყმობის საბუთი, მიცემული იოანე და ოსება სოლოღაშვილებისადმი 1789 წელს. „...იმერეთიდამ გადმოსული ვიყავ და თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი დ ა ჩ ე მ ი მ ო დ ა ვ ე ა რ ა ვ ი ნ ი ყ ო. მე შენი ყმობა აღვირჩივე და ჩემის ნებით თავი გაყმე"[33].

6. ბეცია და სხვა კაპანაძეების სიგელი ისაკ და სხვა ბეგთაბეგიშვილისადმი (1796 წ.). „...ესე... ბატონყმობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ ორმა ძმამ კაპანაძემ ბეციამ და რამაზამ... თქვენ ბეგთაბეგიშვილს სულხან მდივნისძეს... ისაკს, მდივანს იოანეს, როსტომ და ზაალს ა ს ე რ ო მ ჩ ვ ე ნ ჩ ხ ე ი ძ ი ს ა გ ა ნ თ ა ვ დ ა ხ ს ნ ი ლ ი ვ ი ყ ა ვ ი თ დ ა წ ი გ ნ ი ც გ ვ ქ ო ნ დ ა, რ ო მ ი მ ა თ ჩ ვ ე ნ თ ა ნ ს ა ბ ა ტ ო ნ ყ მ ო თ

[28] ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები, ტ. I, დოკ. 594.
[29] ტექსტში წერია „დაეხსნათ".
[30] ხელნაწერთა ინსტ., ფონდი Ad , საბ. 895.
[31] ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები, ტ. II, დოკ. 198.
[32] სსცია, ფონდი 1450, დავთ. 5, საბ. 80.
[33] ხელნაწერთა ინსტ. ფონდი Ad, საბ. 2247.

საქმე აღარა ჰქონდათ რა. გამოვედით ჩვენის ნებით, მამა თქვენს სულხან მდივანს ვეყმენით და ბატონყმობის წიგნით მივეცით"[34].

მოტანილ საბუთებში, როგორც ვხედავთ, საგანგებოდაა აღნიშნული, რომ ყმობაში შესული გლეხები დამოკიდებული მდგომარეობიდან გამოსული და პირადად თავისუფალი იყვნენ. სწორედ ასეთი შემთხვევები წარმოშობდნენ ახალ ბატონყმურ ერთეულს და ზემოქმედებდნენ ფეოდალური ურთიერთობის სოციალურ საფუძვლებზე.

დაახლოებით ასეთივე კვალიფიკაცია უნდა მიეცეს იმ საბუთებსაც, რომლებშიც არაა პირდაპირ მითითებული, რომ ყმობაში შემავალი კაცი თავდახსნილი და თავისუფალია, რომ მას ხელთა აქვს ამის დამადასტურებელი სათანადო დოკუმენტი, მაგრამ სამაგიეროდ სხვა სიტყვებით დამოწმებულია მისი დამოკიდებული მდგომარეობიდან გამოსვლის ფაქტი. ასეთების რიცხვს ეკუთვნის, მაგალითად, უთრუთ გულუაშვილის თავნასყიდობის წიგნი ნაზიფერისადმი (1713 წ.). „გამიჭირდა და თავი მოგყიდე, — ნათქვამია იქ, — და ნასყიდობის წიგნი მოგეც... ასე ძვირობა იყო, რომ ერთი კოდი ხუთ აბაზად არ იშოვებოდა. მეც თავი ამისათვის უფრო მოგყიდე, რომ არა კაცს ჩემთან ხელი არა ქონდა. არც ვისი მემკვიდრე ვიყავ, არც ვისი ნასყიდი და არც ვინმომდევარი მყვანდა და არცა მყავს"[35]. ვინმე იასე და მისი ძმა დავით გარეჯის მონასტრისადმი თავშეწირულების წიგნში (XVIII ს.) აცხადებენ: „პატრონი არავინ გვყავს და არცარავინ არის მოცილე ღვთის მეტი"[36]. ოჰანეზა არუთინაშვილი ავთანდილ მელიქიშვილისადმი მიცემულ ბატონყმობის წიგნში (1782 წ.) ამბობს: „არავინ მყვანდა ბატონი და არც პატრონი, მოვედი ჩემის ნებით და თქვენი ყმობა მოვინდომე"[37]. „პატრონი არავინ მყვანდა... სიღარიბემ მეტად ძალა დამატანა და არსაიდ გაძლების გზა არა მქონდა, მოვედი ჩემის ნებით და ჩემი თავი თქვენთვის ყმათ მოგართვით", — ვკითხულობთ მერსესაანთ ავთანდილისშვილის ყმობის სიგელში (1786 წ.)[38]. დაახლოებით ასეთივე სიტყვებით მიმართავს თამაზ გიორგიშვილი სულხან თუმანიშვილს (1794 წ.): „რადგან მე უცხო ქვეყნიდამ მოსული და უბატონო კაცი ვიყავი, თქვენს საფარველს ქვეშ ყოფნა მოვინდომე"[39]. და კიდევ. „ესე ყმობის წიგნი მოგართვი მე... ხეჩატურისშვილმა ბაღდასარამა თქვენ ბატონი სარდალ ამილახვრის ოთარის ჯალაბს ელისაბედს, — ასე რომე მე არზრუმიდამ ქალაქს (ე. ი. თბილისს. — ი. ა.) მოველ და აღამამადხანის მოსვლაზედ დავტყვევდი ცოლ-შვილითა. ცოლშვილი დამეღუპა. და მე ტყვედ გადმოვარდი და მოველ გორში. ჩემთან ღმერთის მეტს საქმე არავისა ჰქონდა და არცავის ხელდებულად და ყმად ვყოფილვარ. მოვედ და თქვენის ღ~თის გულისათვის შეეხვეწე თქვენს ოჯახსა და თქვენც ინებეთ ჩემი გაძლებინება... მეც ეს წიგნი მო-

---

[34] სსცია, ფონდი 1450, დავთ. 18, საბ. 31.
[35] ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები, ტ. I, დოკ. 594.
[36] ხელნაწერთა ინსტ., ფონდი Ad, საბ. 460.
[37] სსცია, ფონდი 1450, დავთ. 17, საბ. 72.
[38] იქვე, დავთ. 20, საბ. 52.
[39] იქვე, დავთ. 4, საბ. 35.

მირთმევია... რომ დღეს და დღეის იქით ჩემთან (თქვენს მეტს) საქმე არავისა აქვს... საბატონყმოთა"[40] (1800 წ.).

* * *

მოტანილი მასალის ანალიზიდან გამომდინარეობს ერთი მტკიცე დასკვნა, რომელიც გაკვრით ზემოთაც ჩამოვაყალიბეთ: ახალი ყმობის წარმოშობის დამადასტურებელ საბუთად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ის, რომელშიც მკაფიოდაა გახაზული, რომ დამოკიდებულ მდგომარეობაში შემავალი კაცი ამ მომენტამდე იყო თავისუფალი, თავდახსნილი, უბატონო და უპატრონო კაცი; თუ ასეთი რამე საბუთში, ე. ი. ბატონყმობის წიგნში, აღნიშნული არ არის, ის, როგორც წესი, ვერ გამოდგება ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის სოციალური საფუძვლების გაფართოებისა და ყმური მოსახლეობის რიცხობრივი ზრდის დასამტკიცებლად. არაა გამორიცხული, რომ საბუთებში ყოველთვის ზუსტად ვერაა ფიქსირებული ყმობაში შემავალი კაცის იურიდიული მდგომარეობა, შესაძლებელია ის ნამდვილად თავისუფალი იყო, მაგრამ საბუთებში რატომღაც არ აღინიშნა. ამის გათვალისწინებით თავისუფალ გლეხთა დაყმევების შემთხვევების საერთო რაოდენობა გაიზრდება, მაგრამ არა იმდენად, რომ წამყვანი პროცესის მნიშვნელობა მოიპოვოს[41]. წამყვანი იყო არა უშუალო მწარმოებლის დაყმევების, არამედ, პირიქით, მისი თავდახსნა-განთავისუფლების პროცესი. მეორე პირველს ბევრად უსწრებდა. პირველის მასშტაბი გაცილებით უფრო ნაკლები იყო XVIII ს-ის საქართველოში, ვიდრე ეს ჩვენ დღემდე გვეგონა.

И. Г. АНТЕЛАВА

К ВОПРОСУ О МАСШТАБЕ ПРОЦЕССА ЗАКРЕПОЩЕНИЯ КРЕСТЬЯН В ГРУЗИИ В XVIII ВЕКЕ

Резюме

В научной литературе господствует мнение о доминировании процесса закрепощения крестьян и о незначительности и бесперспективности процесса раскрепощения. Сторонники этой точки зрения считают, что в грузинской действительности XVIII века не было никаких объек-

---

[40] იქვე, ფ. 1448, საბ. 2580.

[41] ინტერესმოკლებული არ იქნება შემდეგი გარემოების აღნიშვნა. ნიკოლოზ ბერძენიშვილის ცნობილ პუბლიკაციაში — „დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან", მის ორსავე ტომში, მოთავსებულია სულ ბატონმყმობის 81 სიგელი. აქედან მხოლოდ 8 შემთხვევაში, ან საბუთების საერთო რაოდენობის 10 %-ია დადასტურებული თავისუფალი კაცის დაყმევების ფაქტი. 36 შემთხვევაში, რაც 44,4 %-ს შეადგენს, ყმობაში შესული მანამდეც ყმა ჩანს. 37 შემთხვევაში კი (ეს საერთო რაოდენობის 45,6 %-ია) კონკრეტულად არაფერია ნათქვამი დაყმევებულის ადრინდელი იურიდიული მდგომარეობის შესახებ. თუ ჩვენ დავუშვებთ ვარაუდს, რომ ამ რაოდენობიდან 17 შემთხვევაში მოხდა თავისუფალი მწარმოებლის დაყმევება, მაშინ ასეთ სურათს მივიღებთ: 81 დაყმევების შემთხვევიდან თავისუფალის დაყმევებაზე (ე. ი. ახალ ყმობაზე) მოდის 27 შემთხვევა ან 33,3%, ხოლო ძველ ყმობაზე, როდესაც ყმობაში შესული ადრეც ყმის მდგომარეობაში იყო — 67,7%.

тивных условий ни для получения личной свободы непосредственными производителями материальных благ, ни для ее сохранения. Отсюда вытекает вывод, согласно которому первый процесс намного опережал второй и определял характер социальной жизни страны в интересующий нас период.

Главным аргументом для исследователей, поддерживающих данную точку зрения, является сравнительная многочисленность крепостных актов. Их, правда, много, но это не может служить доказательством правильности вышеназванного положения. Дело в том, что подавляющее большинство крепостных актов, как показало их специальное изучение, отражает не случаи закрепощения свободного до этого человека, не возникновение новой крепостнической единицы, а фиксирует чисто внешние, несущественные изменения в жизни крепостного крестьянина. Происходила простая смена крепостника, вместо одного заступал другой. Сплошь и рядом крестьянин, добивавшийся свободы и «незаконно» ушедший от своего господина, а затем силой или «добровольно» возвращенный к своему хозяину, давал ему письменный документ о поступлении к нему в качестве крепостного. Но ведь в таких случаях не возникала новая крепостническая единица, но увеличивалось число крепостнического населения, так как вступивший в крепостное состояние и до этого был несвободным. Документы отразили и такие случаи, когда крестьянин из одной, сравнительно легкой формы крепостной зависимости, переходил в другую, более тяжелую форму. В таких случаях менялась степень эксплуатации, но не характер социальных отношений — они были и оставались крепостническими.

Документами, свидетельствующими о появлении новой крепостнической единицы, могут быть только те, в которых недвусмысленно сказано, что вступавший в зависимое положение до этого был свободным, освобожденным от крепостнических отношений.

Если с учетом этих моментов подойти к интересующей нас проблеме, то масштаб закрепощения крестьян в грузинской действительности XVII века окажется намного меньшим, чем это до сих пор предполагали ученые. Из двух параллельно протекавших процессов — закрепощения и раскрепощения — значительно быстрее шел второй.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ახალი ისტორიის განყოფილებამ

Л. ЦИНАМДЗГВРИШВИЛИ

ХИЗАНСКИЙ ВОПРОС НА СТРАНИЦАХ ГАЗЕТЫ «НОВОЕ ОБОЗРЕНИЕ»

Долгое время на страницах грузинской демократической печати и, в том числе, газеты «Новое обозрение» подробно обсуждался так называемый хизанский вопрос. В грузинской научной литературе известно, что хизанство представляло собой более или не менее прогрессивную особенность аграрных отношений эпохи крепостного права в Грузии. Однако, когда была проведена крестьянская реформа в стране (1864 г.) и бароким крестьянам была «дарована свобода», то на хизан эта форма не распространилась по той простой причине, что хизаны были лично свободные люди «Поэтому в хизанском вопросе главный (хотя и не единственный[1]) предмет, который требовал разрешения, составляли **поземельные** отношения этой категории крестьян с бывшими помещиками». Однако в силу тех обстоятельств, что хизанские отношения, как чисто местная особенность, совершенно не укладывались в правовые нормы, выработанные в соответствии с потребностями лишь центральных губерний обширной империи, положение хизан довольно продолжительное время после реформы было неопределенным.

Эта неопределенность (с точки зрения русских правовых норм) хизанских поземельных отношений, отягченная к тому же неразмежеванностью земли, вызывала обострение классовой борьбы, требуя скорейшего законного урегулирования сообразно с новыми экономическими тенденциями и веянием эпохи.

Задача передовых грузинских общественных деятелей заключалась в том, чтобы защитить земельные права хизан от посягательств бывшего помещика, отрицавшего владетельные права хизан на землю и объявившего их простыми арендаторами.

О том, кто такие были хизаны, много спорили общественные деятели пореформенной Грузии. В результате острых дискуссий и теоретических споров рождались первые исследования, посвященные данному вопросу. Авторами этих работ были И. Г. Чавчавадзе[2], Н. Я. Николадзе[3], М. М. Туманов[4], Хр. Вермишев[5], Е. Г. Вейденбаум[6], С. Авалиани[7] и многие другие, собравшие огромный фактический материал. Однако впервые на современный уровень науки этот вопрос был поставлен советскими учеными, рассмотревшими хизанскую проблему с

---

[1] Не единственный, ибо рядом с поземельными отношениями существовал, хотя и не повсеместно, ряд повинностей, которые хизаны отбывали помещику. («Новое обозрение», от 22/V—1884 г.).

[2] И. Г. Чавчавадзе, Хизанский вопрос, газ. «Дроэба», 1880 г., №№ 60, 65, 67-89, либо ПСС, т. VIII, Тб., 1928 (на груз. языке).

[3] Н. Николадзе, «Обзор», 1880 г., №№ 470, 472, 478; «Новое обозрение», комплект газеты за 1884 г. и последующие годы.

[4] М. М. Туманов, О хизанском состоянии и положение об устройстве хизан.

[5] Хр. Вермишев, Хизаны и хизанство, Тифлис, 1884.

[6] Е. Г. Вейденбаум, Хизаны в Грузии (исторический очерк), 1913.

[7] С. Авалиани, Хизаны, Труды ТГУ, 1919 г., № 1.

точки зрения марксистско-ленинской методологии. В трудах грузинских советских ученых П. В. Гугушвили[8], И. Г. Антелава[9], В. Г. Гучуа[10], А. С. Бендианишвили[11] и др., т. н. хизанский вопрос впервые нашел свое научное решение.

Поскольку интересующий нас вопрос занимал на протяжении ряда лет одно из важнейших мест в грузинской демократической публицистике, которая, с одной стороны, всеми мерами старалась помешать попытке царских чиновников и грузинских дворян-помещиков уподобить хизан арендаторам, либо барским крестьянам, и поскольку, с другой стороны, он вызывал резкие споры и разногласия внутри самого демократического лагеря, то мы сочли своим долгом коснуться этого важного общественного вопроса.

Когда газета «Новое обозрение» в 1884 г. включилась в обсуждение этого «жизотрепещущего вопроса» местной прессы, то он уже вовсе не был новым. Более того, хизанское дело уже успело превратиться в «извечный хизанский вопрос». Еще в начале 80-ых годов две местные демократические газеты «Обзор» и «Дроэба» полемизировали между собой по поводу определения сущности хизанства, как социально-экономического явления.

Сначала обе газеты в разное время сообщили читателям приблизительно одно и то же, а именно, что «по инициативе тифлисского губернатора составилась комиссия со специальной целью расследовать положение хизанов и подвести этот класс крестьян, поземельные отношения которого к землевладельцам не предусмотрены русским законодательством, под какую-нибудь удовлетворительную систему»[12].

Тем временем и «Дроэба» взяла на себя дело всестороннего выяснения хизанских отношений[13].

Далее «Обзор» выразил надежду, что администрация не сделает ни одного шага, не ознакомившись предварительно со всеми сторонами интересующего ее дела, а местной прессе было вменено в обязанность изучить и разработать всесторонне хизанский вопрос, чтобы предложить администрации свои рекомендации.

Пока «Дроэба» со всей обстоятельностью принялась за собирание документов, «Обзор» не преминул упрекнуть ее в медлительности, напомнив, что «дело не терпит проволочек: комиссия продолжает свои работы и может придти к какому-нибудь окончательному решению, после чего сведения «Дроэбы» будут, что и хрен после обеда»[14].

Тут же был высказан и другой упрек в адрес «Дроэба» по поводу ее формулировки сущности хизанских отношений, из-за чего «Дроэба», по мнению «Обзора», оказалась в одной компании с горийским дворянством и кн. Везировым, отстаивавшими права помещиков на хизанские земли, как на якобы арендованные хизанами у помещиков.

---

[8] П. В. Гугушвили, Аграрные взаимоотношения в Закавказье на рубеже XIX-XX вв, Тб., 1955.

[9] Очерки истории Грузии, т. V, Тб., 1970, гл. XI (на груз. языке).

[10] И. Г. Антелава, В. Г. Гучуа, Из истории социальных отношений в Грузии, Тб., 1967. (на груз. языке).

[11] А. С. Бендианишвили, Аграрные отношения в Грузии в 1890—1917 гг., Тб., 1965. (на груз. языке).

[12] Хизанский вопрос, «Обзор», 1880 г., № 470.

[13] По поводу хизанского вопроса, «Дроэба», 1880 г., № 65.

[14] Хизанский вопрос, «Обзор», 1880 г., № 470.

Тут загорелся, как говорится, сыр-бор: «Дроэба» заговорила о клевете[15]. В ответной статье «Обзора» «Щелчки», автор ее (Н. Николадзе) подробно изложил содержание раскритикованной им «дроэбовской» статьи. Мы считаем своим долгом привести текст этой статьи, ибо она не издана на русском языке ни в собрании сочинений И. Г. Чавчавадзе, вышедшем, как известно, на грузинском языке, ни в издающемся собрании сочинений Н. Николадзе:

«Автор[16] упомянутой передовой статьи грузинской газеты, — пишет он, — желая отыскать начало хизанства в происхождении частного и общественного владения землею, повествует в начале... о том, что прежде землею пользовались сообща, целыми племенами и обществами. С течением же времени и в силу известных исторических обстоятельств и коллизий, общая земля стала мало-помалу переходить в частные руки, вследствие чего население разделилось на две категории: с одной стороны оказались лица, приобретшие земли в личную собственность, но нуждающиеся в рабочих руках для отработки своих земель, с другой же стороны — лица, оставшиеся без земли, нуждавшиеся в ней и представлявшие из себя рабочую силу. Это распределение на две части породило крепостное право и ту форму владения землею, которую называют фермерством, хизанством и тому подобными фразами найма земли».

Н. Николадзе считает, что разбираемая им статья написана «весьма туманно и загадочно»[17], что «смысл этой статьи состоит в том, что хизаны, вроде многих фермеров, оставались во времена присвоения общих владений без земли, вследствие чего они были вынуждены превратиться в арендаторов земель, сделавшихся помещичьими»[18].

Затем редактор «Обзора» противопоставляет изложенному только что взгляду газеты «Дроэба» точку зрения своей газеты:

«Между хизанством и арендою или фермерством существует неимоверная разница, — писал Н. Николадзе. — Хизаны селились на земле без срока, и земля, данная им в обработку, отобрана у них быть уже не могла. Они становились, так сказать, **совладельцами земли** (подчеркнуто нами — Л. Ц.) **на вечные времена.** Даже повинности, платимые землевладельцам, увеличены быть не могли.

Коль скоро речь в печати зашла о хизанах, «Дроэба» обязана была выяснить эту разницу хизанства от арендаторства или фермерства. А раз она об этой разнице не заикнулась, раз она поставила на одну доску хизанство и фермерство, то существенного различия ее (т. е. «Дроэбы» — Л. Ц.) взгляда от взглядов грузинского дворянства и кн. Везирова мы уловить не в состоянии. В наших глазах «Дроэба» является таким же радетелем дворянских интересов в ущерб крестьянским и общенародным, какими являются горийские помещики и князь Везиров»[19].

Далее Н. Николадзе предлагает редакции «Дроэба» (вместо того, чтобы дуться и кричать о клевете) для выяснения сути вопроса подробнее высказаться, в чем разница во взглядах ее публицистов, с одной стороны, и во мнениях и целях горийского дворянства, с другой.

Слов нет, что редактор «Обзора» в пылу полемики несколько утрирует значение неточной формулировки хизанского вопроса, данного

[15] «Дроэба», 1880 г., № 77, стр. 3.

[16] Эта статья принадлежала И. Г. Чавчавадзе.

[17] «Щелчки», «Обзор», № 472, 1880 г.

[18] Там же.

[19] Там же.

в статье «Дроэба», ибо сам-то он знал и не сомневался, что ее автор (т. е. Илья Григорьевич Чавчавадзе — Л. Ц.) в действительности не считал хизан арендаторами помещичьих земель. Но требование Н. Николадзе четкой и ясной формулировки положения (кто есть хизан?) лишь содействовало как расширению круга теоретических вопросов дискутируемой темы, так и развитию, в конечном счете, грузинской общественной мысли второй половины XIX в.[20]. Так, например, вслед за вопросом о том, кто есть хизаны, в грузинской прессе тех времен остро обсуждался и вопрос о происхождении этой категории крестьян в Грузии эпохи крепостничества.

По мнению Н. Николадзе, причиной возникновения хизанства являлись **междоусобные феодальные войны XVII—XVIII вв.** (подчеркнуто нами — Л. Ц.) и бесконечные нашествия завоевателей, угонявших свободных землевладельцев в плен[21]. При отсутствии твердой, централизованной царской власти «всем страждущим и угнетенным, — писал грузинский публицист, — оставалось только два исхода: отдать себя под покровительство церкви, как в большинстве случаев и делали беглые из персидского и дагестанского плена грузинские крестьяне, из которых большею частью образовался класс монастырских и вообще церковных крестьян, или же поселиться на земле какого-нибудь помещика в качестве хизанов»...[22].

По приведенному же нами выше мнению И. Г. Чавчавадзе, хизанство существовало в Грузии с **незапамятных** (подчеркнуто нами— Л. Ц.) времен, когда только появилась частная собственность на землю и общество раскололось на землевладельцев, не имевших рабочих рук, и земледельцев, не имевших землю. Именно в этом обстоятельстве видел причину возникновения хизанского института И. Г. Чавчавадзе, а не в «появлении в стране страждущих и угнетенных, да всевозможных бедствий вроде мора или голода»[23].

Таким образом, оба корифея грузинской демократической общественной мысли второй половины XIX в. резко расходились в определении причин и времени возникновения хизанского института в Грузии и каждый оставался при своем мнении: один относил появление хизанства к эпохе разложения первобытнообщинного строя, возникновению частной собственности и классов, другой считал, что хизаны появились в эпоху складывания крепостного строя в Грузии: «класс хизанов образовался постепенно, в эпоху..., когда из прежнего патриархального феодала-землевладельца, защитника и покровителя своих крестьян постепенно вырос помещик — полный и самодержавный властелин души и тела принадлежавших ему крестьян...» Н. Николадзе говорит, что, так как Грузия в ту историческую пору не знала Юрьева дня (т. е. единственного срока, когда русский крепостной крестьянин имел право уходить от своего барина), то грузинским крепостным крестьянам ничего другого не оставалось делать, как, «улучив минуту»... бежать «без оглядки от своих помещиков», «оставляя дом да семью», и селиться на земле какого-нибудь другого помещика в качестве хизанов... «Так бежали из Имеретии в Карталинию или Кахетию, из Кахетии в Карталинию и т. д. и заселяли пустоши помещиков, наи-

---

[20] «Обзор», 1880 г., № 478.

[21] «Новое обозрение», 1884 г., № 93, передовая статья (автор Н. Николадзе).

[22] Там же.

[23] П. Ратиани, Политико-экономические взгляды И. Чавчавадзе, Тб., 1957, стр. 50.

более известных своим кротким нравом». Хизанам, говорит грузинский публицист, «обыкновенно предоставляли для поселений... земли, малопригодные для культуры, подчас и прямо непроходимые дебри и дремучие леса, которые хизаны вырубали, обращали под пашни и упорным трудом нескольких поколений эти никуда негодные земли теперь обращены в роскошные поля. Как велики были повинности и вообще плата за пользование землею, теперь в точности трудно определить, потому что в доброе старое время предки настоящих помещиков и хизанов не были знакомы с тонкостями ни явочного, ни крепостного порядка: всякого рода договоры и сделки совершались словесно, а их хранение «свято и ненарушимо» было гарантировано обычаем...»[24].

«Новое обозрение» поместило на своих страницах еще одно определение хизанства, данное в статье за подписью Д-ко: «хизанством вообще должны быть названы такие поземельные отношения между крестьянами — владельцами и помещиками — собственниками, когда крестьяне поселены на вечные времена на земле помещика за известные окристаллизовавшиеся в обычае повинности, которых ни количества, ни качества, ни та, ни другая сторона изменить не вправе»[25].

Что хизаны не были арендаторами, это демократические публицисты выяснили перед своими читателями, показав им, что хизаны, во-первых, никогда не платили землевладельцам деньгами, а несли весьма необременительные для себя натуральные повинности, и, во-вторых, что «срок пользования землей не был ограничен никакими пределами», так как землевладельцы с радостью предоставляли хизанам убежище и целые массивы своих главным образом непригодных земель. Именно на этих пустошах «хизаны, — подчеркивал Н. Николадзе, — образовывали деревни и поселки и **наследственно пользовались своими участками** (выделено нами.—**Л. Ц.**), хотя они во всякое время имели право уйти с раз насиженного места куда угодно». Н. Николадзе тут же говорит, что ему трудно судить (за неимением письменных документов), «имел ли право землевладелец по своему усмотрению выселять хизанов», но что практически этого никогда до реформы не происходило, за это он, Н. Николадзе, ручается, ибо он об этом, во-первых, не слышал и, кроме того, в ту пору это было невыгодно помещику...[26].

Но дело резко изменилось после падения крепостного строя. «В последнее же время, писал далее грузинский публицист, а именно с момента освобождения крестьян прежнее прочное положение хизанов постепенно становится шатким и с каждым днем все ухудшается». Бывшие крепостники, поставленные в затруднительное положение освобождением своих крепостных крестьян, «всей своей тяжестью начали налегать на хизанов, и в этот короткий промежуток времени рента увеличилась почти в 40 раз[27]. Не довольствуясь этим, помещики хотят совсем

[24] «Новое обозрение», 1884 г., передовая статья (авт. Н. Николадзе).

[25] Там же, № 134, (авт. Д-ко).

[26] Это обстоятельство, столь метко подмеченное публицистом «Нового обозрения», подтверждает ныне советский исследователь А. С. Бендианишвили, который подчеркивает, что в условиях острого недостатка рабочих рук появление каждого хизана в имении помещика вызывало обычно большую радость: ведь это сулило освоение пустырей, лесных и болотистых земель, а вместе с этим и рост доходов землевладельцев (см. вышеуказанную книгу А. С. Бендианишвили).

[27] Проф. И. Г. Антелава считает маловероятным столь резкое увеличение ренты, платимой хизанами, хотя и признает, что оно, безусловно, свидетельствует о безудержном ухудшении экономического положения хизан. «Очерки истории Грузии», 1970, т. V, стр. 559 (на груз. языке).

уничтожить эту оригинальную и исторически создавшуюся форму землевладения, а хизанов превратить в арендаторов в европейском смысле»[28]. Затем ведущий публицист «Нового обозрения» показывает, какое упорное сопротивление этим стремлениям бывших крепостников оказывают хизаны, как они самоотверженно борются за свои вековые права.

Очень интересный материал о классовой борьбе хизан против своих помещиков содержится в «Путевых заметках» сотрудника «Нового обозрения» — Давида Сослани (Кезели).

«Карниси, — пишет он, — составляет родовое имение князей Херхеулидзе... Давно уже с севера пришли на княжеские земли и сели на правах хизан осетины. Сами Херхеулидзе тоже давно уже (неизвестно, по каким соображениям) выселились оттуда в другие свои вотчины, предоставив в пользование крестьянам-осетинам самое лучшее свое родовое имение. Производительная почва, прекрасные девственные леса, которыми они могли пользоваться сколько душе угодно и которые, кстати сказать, уже истреблены ими самым хищническим образом, хорошие пастбища, прекрасный климат, здоровая горная вода и при всем этом отсутствие давящей руки помещика... представляли все условия для того, чтобы благосостояние карнисских крестьян быстро поднялось. И в самом деле, теперь карнисские осетины — самые зажиточные из всех помещичьих крестьян. За все эти блага они отбывали самые мизерные повинности, установленные никогда не писанным кодексом хизанского права. Не довольствуясь этим, хизаны-осетины задумали путем насильственного захвата завладеть княжеским имением и в начале 40-х годов совсем вышли из повиновения помещиков. С тех пор начинается между ними трагическая эпопея в форме нескончаемых судебных процессов, осложненная убийством двух князей Херхеулидзе. Последние несколько раз взыскивали с осетин по нескольку тысяч сразу: раз даже была послана туда экзекуция из одной роты солдат и сотни казаков, но карнисские осетины все-таки продолжают упорствовать»[29].

О том, как князья Херхеулидзе вымогали у своих хизан увеличенную чуть ли **не во сто крат ренту,** наглядно иллюстрирует следующая беседа Д. Сослани с одним из князей Херхеулидзе: «В деревне Сацихури, — говорил корреспонденту газеты один из представителей этого древнего феодального рода, — подлецы-крестьяне платили только 1/6 часть урожая. Сколько мы не бились, но они ни за что не хотели давать больше. У нас, у самих, нет средств заняться хозяйством в больших размерах, а чтобы не умереть с голоду, поневоле приходилось соглашаться на условия крестьян. Думал, думал, как бы этих негодяев окрутить и решил выписать заграничный плуг (Рансома). Собрал я крестьян и говорю: «Видите вы, что это значит?» — «Видим», — отвечают. «Я вам земли больше отдавать не буду, потому что этим плугом на паре моих буйволов в течение одного месяца могу весь Сацихури вспахать. Ищите себе земли...» На другой день я выехал в поле на паре буйволов и начал пахать. Крестьяне крепились, но через несколько дней привалили ко мне и говорят: «Батоно, шеничириме («Батюшки, святцы» — Л. Ц.), не губи нас! **Отцы и дети наши здесь жили и сложили кости,** куда же мы теперь денемся? Уберите только этот плуг куда-нибудь и мы согласны на ваши условия»... «Сколько же вы будете

[28] «Новое обозрение», № 84, № 93, передовая статья (авт. Н. Николадзе).

[29] Там же, 1886 г., № 722, Путевые заметки, (Д. Сослани).

платить?» — спрашиваю я. — «Четвертую часть урожая, как законом положено для временнообязанных крестьян». — «Нет, для меня закон — это моя собственная воля. Хотите платить **половину** (подчеркнуто нами — Л. Ц.) с урожая, уничтожу плуг, в противном случае, земля мне самому нужна...». Долго очень торговались мы и, наконец, хизаны согласились давать мне с некоторых участков половину, а с других 1/3. С тех пор все идет, как по маслу»[30].

«Новое обозрение» приводит огромный материал, доказывающий резкое ухудшение положения хизан в пореформенный период. Мы сошлемся еще на один пример тяжелой участи хизан, описанный Н. Николадзе. По сообщению публициста, хизаны села Коды, 25 лет назад заселившие эту бывшую пустошь, переселились из селения Плеви, где они прежде жили также на правах хизан на земле кн. Ревазо Тархнишвили. «Хизаны эти не имеют ни выгодных и покосных мест, ни садов, ни лесу, ни водопоя. Лесом они пользуются из имения кн. Амиреджиби, за что с каждого дыма платят по 10 рублей (это собственно за дрова и хворост, а за строевой материал платят особо). За выгон и водопой особо платят помещику Рейтеру. Следовательно, в имении кн. Тарханова хизаны пользуются только пахотью и за это 4 коды галы[31] с десятины нужно считать платой очень высокой», — говорит Н. Николадзе. Так как к тому же эта пахотная земля была и неполивной, а на таких землях судьба землевладельца всецело была предоставлена капризам неба, то автор статьи возмущается, «за что же эти хизаны платят по 5 руб. с дыма, платят затем «сабалахо» (т. е. со 100 штук мелкого скота — по 3), когда деревня эта совсем не имеет пастбищных мест и водопоя?»[32].

Единственный выход из создавшегося положения Н. Николадзе видит в том, «чтобы хизанская форма землевладения сохранилась, чтобы хизаны не были обращены в арендаторов»[33].

Конечно, ведущий публицист «Нового обозрения», ратуя за сохранение хизанской формы землевладения, подразумевает единственно лишь признания за ними (хизанами) владыческих прав на их же земли. Для подкрепления этого вывода считаем уместным сослаться на слова советского исследователя В. Г. Гучуа, что если до упразднения крепостного права содержание классовой борьбы между хизанами и помещиками заключалось в сохранении (или расширении) хизанских взаимоотношений, то в пореформенной Грузии целью классовой борьбы является уже борьба за превращение хизанской земли в полную собственность хизан[34].

Подводя итоги вышесказанному, мы можем отметить, что в период от 1864 г. до 1891 г. (т. е. — от отмены крепостного права в Гру-

---

[30] «Новое обозрение», 1886 г., № 726. Путевые заметки (автор Д. Сослани).

[31] «4 коды галы» — это значит 4 коды оброка. Одна кода=22 фунтам, т. е. в переводе на килограммы 5 кг 800гр. =около 6 кг, т. е. хизаны платили кн. Тарханову около 24 кг оброка с 1 десятины.

[32] «Новое обозрение», 1884 г., № 93, передовая статья (авт. Н. Николадзе).

[33] Это требование на тех порах было прогрессивным, так как «грузинское дворянство хлопочет теперь, — писал Н. Николадзе, — выдать хизанов за простых или свободных арендаторов, подчинив их условиям общего гражданского права. Если это домогательство дворянства будет улажено, то сотни и тысячи хизанских семейств в Тифлисской и Кутаисской губерниях очутились бы полными пролетариями, предоставленными произволу землевладельцев, («Новое обозрение», 1884 г., № 93).

[34] И. Г. Антелава, В. Г. Гучуа, Из истории социальных отношений в Грузии, стр. 130.

зии и до выхода закона о хизанах) хизанская проблема, как наиболее наболевший общественный вопрос, интересовала все слои тогдашнего общества, т. е.:

дворянство, считавшее, что «Положение о крестьянах Закавказского края» (8 статья которого утверждала, что «хизане (из крепостных) остаются в хизанском положении») есть ущемление «законных» прав помещика на свои же земли, и поэтому всеми мерами боровшееся за уничтожение этой статьи, за перевод хизан на положение простых арендаторов;

демократический лагерь, использовавший свою прессу, всячески старавшийся внушить царской администрации края, что хизаны должны сохранить свое «хизанское положение», т. е. свои земельные права, и стремился заставить правительство оформить хизанские земли в их частную собственность[35];

хизан, которые своей классовой борьбой (убийство помещиков, поджог лесов и нив, варварское отношение к садам и т. д.) отчаянно сопротивлялись стремлению дворян лишить их земли.

Обе стороны обращались в судебную администрацию. Число жалоб неуклонно росло, и борьба между хизанами и помещиками все более обострялась. Поэтому правительство было вынуждено, наконец, вмешаться в их взаимоотношения. Оно начало с того, что стало созывать время от времени совещание дворян Тифлисской и Кутаисской губерний. Конечно, ни царская администрация, ни дворяне не считали нужным услышать мнение самих хизан, т. е. крестьян, судьба которых зависела от решений этих «землеустроителей», и лишь местная демократическая печать упорно обсуждала на своих страницах положение крестьян хизан, решительно требуя признания за ними права собственности на земли, которым они пользовались по обычному праву[36]. Наконец, 3.VI.1891 г. было «высочайше утверждено» и вступило в силу закона, так называемое «Положение о хизанах Тифлисской и Кутаисской губернии», состоявшее из 10 статей... «Новое обозрение» в № 2624 от 10 августа опубликовало этот важнейший документ аграрного законодательства края, а на другой день в № 2625 от 11 августа 1891 г. посвятило ему пространный комментарий в виде передовой статьи, излагавшей содержание «Положения», с рядом искусно вкрапленных в него критических замечаний...

Сначала автор характеризует значение этого документа, как весьма важного и своевременного явления, призванного разрешить законные права «довольно многочисленного класса крестьян», судьбу которого до поры до времени регулировали местные обычаи, известные под названием «хизанского права», но которые с некоторых пор «определялись в действительности не обычаем, а личным взглядом на этот институт и даже простым усмотрением... мирового посредника...». В этом смысле автор статьи и приветствует появление данного доку-

---

[35] Действительно, начиная с 1876 г. хизанский вопрос перешел из судебного ведомства в ведение Присутствия по крестьянским делам, что означало признание администрацией хизан особой категорией (см. А. С. Бендианишвили, указанная книга, стр. 23, на груз. языке).

[36] Не только на страницах местных периодических изданий, но и на этих пресловутых совещаниях по хизанскому вопросу грузинские демократические деятели выступали с горячей защитой хизанских прав. Так, например, в мае 1884 г. Илья Чавчавадзе представил в губернское крестьянское Присутствие докладную записку о хизанах, а в следующем году т. н. «Проект хизанского Положения» (см. Исторический Вестник, 1947 г., № 3, стр. 203, 221).

мента и только. Более того, статья тут же, между строк, критикуя авторов «Положения», предостерегает, что первый закон должен быть лишь началом в цепи законоположений о хизанах, чтобы действительно добиться положительного для крестьян решения вопроса. По мнению публициста «Нового обозрения», закон, состоявший всего из 10 статей, не мог **целиком и полностью исчерпать все стороны этого малоизученного института**[37] (подчеркнуто нами — Л. Ц). Автор передовицы точно перепечатывает первую статью «Положения», определившую понятие «хизан». Сначала он приводит разное толкование этого термина, имевшего хождение в Грузии той поры[38]. Согласно ей, хизанами признаются те водворившиеся до издания сего положения во владельческих имениях Тифлисской и Кутаисской губерний крестьяне землевладельца, которые по предмету пользования ими владельческими землями и другими угодьями, не состоят с владельцами в срочных договорных отношениях, облеченных в форму акта, установленным порядком совершенного или засвидетельствованного, или хотя бы «в форму домашнего акта, но не оспариваемого сторонами»[39].

Затем передовица рассматривает вопрос, весьма беспокоивший заинтересованные стороны, о том, «имеют ли право землевладельцы **производить какие-нибудь изменения** в земельном пользовании хизан...». Тут автор приводит два тяжущихся мнения: **«одни** полагали, что землевладелец, будучи собственником земли, не лишен права изменять порядок пользования принадлежащей ему землей[40], **другие** не считали, что хизанское право есть право вечнонаследственное, и существующий обычай не позволяет ни лишать хизана обработанного им участка, ни увеличивать повинности, уплачиваемые им сыздавна»[41].

Однако, статья 4 нового «Положения» гласила, что «всякие изменения в земельном пользовании хизана и в связанных с сим пользованием сервитутных правах, а также в повинностях, могут быть делаемы владельцем не иначе как с согласия хизана»[42].

Таким образом, подчеркивает автор передовой, по новому содержанию «Положения» «закон признает за землевладельцем право **увеличивать хизанские повинности**, а также **«выселять хизан из занимаемых ими земель»**, хотя и формально обставляет это право такими условиями, которые якобы «имеют в виду, с одной стороны, воздержи-

---

[37] Ясное дело, что автор в данном случае имеет в виду вовсе не количество статей, а их половинчатый, незаконченный и маловыгодный для хизан характер.

[38] **Одни**, — пишет публицист «Нового обозрения», — признавали таковыми (т. е. хизанами — Л. Ц.) только крестьян, **не имеющих письменного арендного договора** и пользующихся землею по праву давности. **Другие** считали необходимым признаком хизанства **бессрочность аренды**, не обращая внимания на форму договора. Третьи хизанами называли бессрочных съемщиков земли, осевших до отмены крепостного права, четвертые, напротив, находили, что хизанство существовало независимо от крепостного права и могло иметь место и там, где крепостных не было, и тогда, когда крестьянская реформа была уже введена («Новое обозрение», № 2625 от 11 августа 1891 г. — подчеркнуто всюду нами — Л. Ц.).

[39] «Новое обозрение», 1891, № 2625.

[40] Тем самым хизаны приравнивались к обыкновенному арендатору, или даже ставились в менее выгодные, чем последний, условия, т. к. арендатор обеспечен в землепользовании до известной степени письменным условием, а хизан не имеет такого права, мог быть выслан из своего участка во всякое время по произволу земледельца. (там же).

[41] «Новое обозрение», 1891, № 2625.

[42] Там же.

вать землевладельца от злоупотреблений таким правом. Такими якобы ограничивающими права землевладельцев-дворян были объявлены условия, заставлявшие их вознаградить хизана землей по обоюдному соглашению. Если же такого соглашения не последует, то владелец обязан уплатить хизану **двойную стоимость** — всех принадлежащих хизану на владельческой земле построек, хозяйственных заведений и насаждений, также всех затрат на улучшение земельных участков бывших в его пользовании».

Слов нет, что помещики истолковывали этот закон в свою пользу. Также неосуществимой на практике оказалась и статья 5 «Положения», согласно которой хизан имел право уходить от помещика. Об этом праве Вейденбаум писал: «В практике хизанских учреждений не найдется ни одного случая добровольного отказа хизана от владельческой земли. Статья закона, дающая ему право, есть чисто кабинетное сочинение, придуманное только для логической последовательности, ввиду права помещика отказать хизану пользоваться землею»[43].

Закон 1891 г. внешне производил такое впечатление, будто соблюдал интересы обеих сторон, но на самом деле он отстаивал права помещиков.

Однако грузинских помещиков вовсе не удовлетворял закон, имевший даже простую видимость покровительства хизанам. Поэтому по решению общего собрания членов Дворянского поземельного банка Тифлисской губернии была выдана специальная ссуда в 1000 рублей для разработки нового Положения о хизанах взамен Закона от 3.VI. 1891 г.[44].

Газета «Новое обозрение» теперь поставила во главу хизанского дела вопрос о пересмотре хизанского положения. Ее задачей было как-нибудь спасти хизанские интересы от нового натиска дворян-помещиков. Например, Н. Николадзе считал, что при разработке нового проекта должны были быть приняты во внимание не только интересы привилегированного сословия, но и, главным образом, хизан: «Земельный банк не есть только дворянское учреждение, а тем более он не есть исключительное достояние тех немногих помещичьих фамилий, которые имеют хизан. Так называемый общеполезный капитал по уставу банка предназначен для удовлетворения не только земледельческих, но и землевладельческих нужд»[45].

Публицист выражает сомнение по поводу справедливого решения дела на дворянском собрании и не очень верит в действительность нового Положения, на разработку которого специальной комиссии, составленной из ее же членов, была передана указанная сумма. Н. Николадзе заранее предвидел, что в таких условиях никто не был гарантирован от одностороннего решения вопроса.

Членам поземельного банка, которые должны были выдать эту сумму, Н. Николадзе советовал вовсе не ограничиваться пассивной ролью кассиров, а самим поставить дело на такую высоту, чтобы добиться его разрешения не в смысле узкосословных интересов, а с научной точки зрения. По мнению грузинского публициста, в противном случае, т. е. если комиссия будет руководствоваться не этими соображениями, а чисто классовыми, то сумма, выданная на разработку хизанских «Положений», не только не принесет им ожидаемого резуль-

---

[43] Е. Г. Вейденбаум, Хизаны в Грузии, Тифлис, 1913.

[44] О разработке хизанского вопроса в банке, «Новое обозрение», 1893, № 3441.

[45] Там же.

тата, но, наоборот, причинит моральный вред и материальный ущерб. Односторонний взгляд на вопрос, объемлющий разнообразные и многосторонние интересы нашего сельского населения, еще более осложнит взаимоотношения между хизанами и землевладельцами — писал Н. Николадзе[46].

Те же самые взгляды развивал на страницах этой газеты и публицист Заворов. В своих статьях по поводу дополнений к «Положениям» 1891 г. автор также считает, что все новшества и комментарии при разработке новых пунктов должны исходить из хизанских интересов. «Выслушать тем или другим путем соображения другой заинтересованной стороны, и именно хизан, представляет собой интерес не меньший... Хизаны же, если не говорить об их точке зрения на данный вопрос, проглядывающий в жалобах и спорах крестьян с землевладельцами, не высказывались прямо относительно сущности хизанского института[47].

Тут же следует отметить, что «Новое обозрение», впрочем, не раз печатало и такие статьи, в которых содержался противоположный взгляд на хизанский вопрос. Газета объясняла это тем обстоятельством, что, дескать, мы даем возможность высказаться и противной стороне, тем более, что она имеет немало приверженцев[48]. Таковой являлась, например, статья, напечатанная в газете в 1886 г. и содержавшая требование перевода хизан в категорию государственных крестьян. Это требование, безусловно, прямо противоречило взглядам передовой интеллигенции. По мнению противников демократического решения хизанского вопроса, казна должна была выкупить земли у помещиков и раздать их хизанам, но не индивидуально или подымно, а в общинное пользование, но с тем условием, что община не была бы ответственна перед казной за своевременный сбор и внесение налогов, которые полагались казне, как владелице земли, розданной в пользование хизанам[49].

В 1894 г. «Новое обозрение» напечатало также серию статей помещика И. Херхеулидзе, который был возмущен статьей Заворова, защищавшего интересы хизан[50]. Князь Херхеулидзе недоумевал, как можно упускать из виду то обстоятельство, что в хизанских взаимоотношениях выступают не только хизаны, но и землевладельцы помещики, интересами которых г. Заворов почему-то считает уместным пренебрегать. Не следует забывать, напоминает кн. Херхеулидзе, что закон от 3.VI.1891 г. нанес сильный ущерб землевладельческому классу. Дело в том, что этот закон распространял хизанские права не только на подлинных хизан, но и включал в этот класс простых арендаторов, которые потребовали от дворян предоставления им хизанских привилегий...»[51]. И. Херхеулидзе утверждал далее, что исторических хизан не существует в природе: «Относительно хизанства ни в Положении царя Вахтанга, ни в других каких-либо исторических актах ничего

---

[46] О разработке хизанского вопроса в банке, «Новое обозрение», 1893, № 3441.

[47] Пересмотр хизанского положения, «Новое обозрение», 1894, № 3455.

[48] «Новое обозрение», 1894, № 3532, По поводу статьи г. Заворова «Пересмотр хизанского положения», или же «Новое обозрение», 1895, № 3845, Критика хизанского положения.

[49] «Новое обозрение», 1886, № 972, Письмо Вермишева; или И. Г. Антелава, «Очерки по истории Грузии...», т. V.

[50] «Новое обозрение», 1894, № 3532, та же статья.

[51] Там же.

положительного не указывается и это понятно: там, где крепостное право пустило глубокие корни, где оно получило санкцию в обычаях и законах страны, ни один крестьянин не мог считаться свободным». По мнению И. Херхеулидзе, нигде в Грузии не существовало вообще никакого института хизанства. Было лишь крепостное право. В прошлую историческую эпоху хизанами назывались пришельцы из различных уголков и краев Грузии или же та часть местного населения, которая нашла себе временный приют на новой помещичьей земле или казенной, удельной, церковной монастырской или земле других ведомств, до новой переписи. Автор статьи указывает, что временно поселившиеся на чужой земле лица вовсе не везде в Грузии назывались хизанами. Например, в Картли их называли «хизанами», в Имеретии — «стумари» («гость»), в Мегрелии — «миндобили» («доверившийся»), в Осетии — «суло», армяне называли их «жаманаков кенацог» («временный пришелец»), магометане — «иджарадар» (арендатор) и т. д. Эти названия им давались в отличие от слов, обозначающих местных коренных жителей («мквидри», «ბინადარი», «мосахле»), так как «хизане» (пришельцы) не имели права голоса на общественных сходках и съездах: ведь интересы коренных жителей и «пришлых» людей диаметрально противостояли друг другу[52].

Правда, «Новое обозрение», как мы уже указывали выше, вовсе не разделяла взглядов И. Херхеулидзе и его сторонников, однако она считала необходимым познакомить с ними своих читателей для разъяснения истины, тем более, что точка зрения Херхеулидзе имела немало единомышленников.

Кроме указанного выше, в газете печатались также и взгляды тех авторов, кто пытался уподобить хизан бессрочным, т. н. «санашенод» держателям земли. Эта попытка была предпринята князем А. М. Эристави, который рассматривает этот вид аренды, указывая на ее сходство с хизанством. Автор пишет, что в «некоторых частях Кутаисской губернии был распространен своеобразный вид хизанства, который назывался «правом санашено»[53]. Сущность «санашено» состояла в том, что крестьянин брал у землевладельца участок земли, а вместе с ним и обязательство разбить виноградник, либо сад. Своим трудом и на свой страх и риск крестьянин ухаживал за этим участком до тех пор, пока виноградник не начинал плодоносить, и лишь после сбора винограда он становился хозяином своей части участка (другую половину забирал землевладелец). Большая часть крестьян, издавна заслужившая право на известную часть чужого поместья, в качестве «санашено», вовсе не имела на это письменных документов, пользуясь бессрочно своим земельным участком. Когда власти стали составлять списки «хизан санашенцев» в Кутаисской губернии, — пишет далее автор, — то последних в эти списки не включали, ибо среди них оказалось немало представителей привилегированных сословий. Автор

---

[52] По мнению И. Херхеулидзе, хизаны произошли лишь во время эпидемии холеры в 1792 г., когда сельские жители Картли и Кахетии укрылись (в смысле подались) в здоровые, незадетые холерой места, в леса и горы. Автор обращает внимание на корень слова «хизан» — «хиз»— что на грузинском языке означает «укрывшийся», «примкнувший» к новому месту. По мнению князя Херхеулидзе, всякий крестьянин, проживавший на частновладельческой земле в силу устного или письменного договора, суть нового происхождения, и такие лица должны составить особую категорию сельских жителей.

[53] «Новое обозрение», 1895, № 3839, передовая статья — Положение хизан и «санашено» кн. Эристави.

указывает далее, что по этой же причине не были включены в категорию казенных крестьян лица, принадлежащие к числу «санашенцев». По мнению А. М. Эристави, и «санашенство» и хизанский фактор в грузинском землевладении суть порождения малоземелья, с одной стороны, и кризисных явлений в хозяйстве помещика — с другой, давших толчок пролетарским элементам деревни к миграциям. В то же время помещики с радостью соглашались на превращение их пустынных и заброшенных земель в культурные участки.

Далее автор, касаясь содержания терминов «хизан» и «санашено», отмечает, что это совершенно тождественные понятия... Так, например, если в восточной части Озургетского[54] уезда исключительное распространение имеет практика «санашенского» землепользования, то точно такой же «санашенец» в приморской части Грузии называется «хизаном». То же самое происходит в низменной зоне Мегрелии, в бассейне реки Риони, где проживали одни хизаны, зато в горных районах этого края Грузии встречаются исключительно крестьяне, пользующиеся правом «санашенского» владения землей. А. М. Эристави отмечает также переходные формы землевладения между хизанством и «санашенством». Правда, от внимания автора вовсе не ускользнуло то обстоятельство, что закон, точно определивший хизанский институт, в понятие хизанства вовсе не включал то, что означало «санашенство», однако мировой посредник все же настойчиво повторяет, что обе эти формы, происходя от одного и того же начала, в ряде случаев совершенно идентичны[55].

Нет сомнения, что кн. Эристави в данном выступлении на страницах «Нового обозрения» явно спутал хизанство с арендаторством, но газета не прошла мимо этого обстоятельства[56], высказав в специальной статье свой взгляд по этому вопросу. «Следует окончательно помириться с мыслью, что хизан не есть простой арендатор, что он является **соучастником и совладельцем собственника земли** (выделено нами — Л. Ц.). Хизану принадлежало право не только пользования данной ему землей, но и право, так сказать, создания собственности, улучшения земли, вырубки леса, преобразования его в пахоть, в населенные места, право строительства хозяйственных зданий, право превращения пустырей в роскошные сады и т. д. и т. п. Поэтому на хизан до определенного времени следует смотреть, как на собственника (хотя и не полного)»[57].

Итак, в 1891 г. 3 июня был, наконец, издан закон о хизанах, который разрешил вопрос в пользу грузинского дворянства. Однако и этот льготный, по существу, закон оказался для дворян неудовлетворительным, так как он практически делал невозможным для помещиков

---

[54] Ныне Махарадзевский район ГССР.

[55] Не случайно, что «Новое обозрение», напечатав статью А. М. Эристави, комментирует причину ее появления, дескать, мы хотели опубликовать взгляд мирового посредника (т. е. лица, непосредственно разбиравшего все тяжбы этого рода) на живое явление живой действительности.

[56] «Новое обозрение» проводит четкую грань между «санашено» и «хизанством», показывая, что первое суть арендаторство, второе же — владение землей в качестве собственности. Интересно отметить, что в новейшей советской литературе по хизанскому вопросу также выработан взгляд, который различает «санашено» и хизанство (смотрите вышеуказанную книгу А. С. Бендианишвили, стр. 43).

[57] «Новое обозрение», 1895, № 3845, передовая статья «Критика хизанского положения».

сгонять хизан с их земель. Дело было в том, что для этого помещик должен был вдвойне уплатить хизану за насаждения и за постройки, а помещики не имели на это свободных денег. С тех пор целью грузинского дворянства стало добиться пересмотра Положения от 3.VI.1891 г. в том смысле, чтобы упразднить статью о возмещении в двукратном размере убытков хизан при выселении их с насиженных мест, затем признать хизанами лишь тех крестьян, кто до реформы поселился на помещичьей земле, установить нормы на хизанские участки и выселить на остальные хизанские земли тех крестьян, кто поселился на помещичьей земле после реформы.

Правительство на этот раз пошло навстречу просьбам и жалобам дворянства. Закон о хизанах 1891 года был пересмотрен, и 5.VI.1900 года был издан новый закон о хизанах, согласно которому хизаном признавался лишь тот крестьянин, кто по обычному праву поселился на помещичьей земле с согласия последнего[58]. По новому положению, хизаны не могли уже больше отстаивать своих прав на землю и должны были примириться с положением простых арендаторов[59]. «Помещик, в случае удаления хизана, должен был оплатить ему лишь «реальную стоимость» хизанского имущества. Помещик освобождался также от обязанности возмещения хизану затраты на улучшение земли»[60].

Таким образом, прогрессивная и демократическая газета «Новое обозрение» и в хизанском вопросе также отстаивала интересы масс, народа, выступая против превращения хизан в простых арендаторов помещичьей земли, она тем самым отстаивала земельные права хизан[61] от посягательств дворян и правительства. Однако борьба ее была обречена на провал, так как правительство всячески поддерживало дворянские привилегии.

---

[58] «Новое обозрение», 1900, № 5449, передовица «Новый закон о хизанах».

[59] А. С. Бендианишвили, указ. соч., стр. 29.

[60] И. Г. Антелава, В. Г. Гучуа, Из истории социальных отношений в Грузии, Тб., 1967, стр. 214—216. Резюме на русск. языке.

[61] Конечно, сами хизанские взаимоотношения, в смысле повинностей добровольно, т. е. по обычаю, отбываемых крестьянами в пользу помещиков, являлись тяжелым пережитком крепостничества. Поэтому и не удивительно, что, когда в 1903 г. на II съезде РСДРП рассматривался хизанский вопрос, то В. И. Ленин определил хизанство как «важнейшую форму порабощения». Доц. В. Г. Гучуа пишет, что «съезд ввел» в аграрную часть программы партии требование о передаче революционным путем «в собственность крестьян на Кавказе тех земель, которыми они пользуются как временнообязанные, хизаны и проч.». И. Г. Антелава, В. Г. Гучуа, Указанное сочинение, стр. 215.

Представил отдел новой истории Грузии Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили АН Грузинской ССР

ᲘᲕᲐᲜᲔ ᲡᲣᲠᲒᲣᲚᲐᲫᲔ

ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲡᲣᲛᲔᲠᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ IX—X ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲑᲨᲘ

(„ᲛᲐᲢᲘᲐᲜᲔ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐᲡ“ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲮᲣᲨᲢᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ)[1]

„მატიანე ქართლისას“ მიხედვით, როდესაც აშოტ კურაპალატი არაბებს განუდგა და ტაო-კლარჯეთში წავიდა იმ დროს „მოუძლურებულ იყვნეს სარკინოზნი“, ბიზანტიამ „მოუბოძა კურაპალატობა აშოტს“, ამ პერიოდში „ტფილისს არავინ დარჩა სარკინოზთაგანი თუნიერ ალი შუაბის ძისა და გრიგოლი მთავრობდა კახეთს“[2]. ამ ცნობის მიხედვით ის ჩანს, რომ როდესაც თბილისიდან გაქცეული აშოტ ერისმთავარი ტაო-კლარჯეთში დამკვიდრდა, მიწებიც შეიძინა, კურაპალატობაც მიიღო, ბიზანტიასთანაც თავისთვის ხელსაყრელი ურთიერთობა დაამყარა, იმ ხანებში გრიგოლი მთავრობდა კახეთში, მაგრამ როდის მიიღო გრიგოლმა მთავრობა ან რა მდგომარეობა იყო კახეთში მის წინ, ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული იყო ის გარემოება, რომ „მატიანე“ ძირითადად ქართლის ისტორიას მოგვითხრობს და სხვა კუთხეებზე ის გაკვრით ჩერდება. ასეთ გარემოებას აქვს ადგილი ამ შემთხვევაშიც.

„მატიანე“ აშოტისა და გრიგოლის ურთიერთობის შესახებაც მოგვითხრობს. აშოტი ქართლის ერისმთავარი იყო. კახეთის მთავარს გრიგოლს უსარგებლია, ერთის მხრივ, არაბების დასუსტებით, მეორე მხრივ, აშოტის ტაო-კლარჯეთში წასვლით და ქართლის მიწებიც დაუპყრია. აშოტს საშველად მოუხმია თავისი სიძე აფხაზთა მეფე თეოდოსი და თავს დასხმია კახეთის მთავარს. ომი მომხდარა ქსნის ნაპირზე: „მოვიდა გრიგოლ კახეთით და გრიგოლს უშველეს მთიულთა, და წანართა და ამირამან თფილელმან. და შეიბნენ ქსანსა ზედა აშოტ და გრიგოლ მთავარი კახეთისა და დაიპყრეს ქვეყანა, რომელი ჰქონდა (გრიგოლს. — **ი. ს.**) ქართლისაგან. და დაიპყრა აშოტ კლარჯეთითგან ვიდრე ქსნამდე“[3].

მოყვანილი ციტატა მრავალმხრივ არის საყურადღებო: **1.** „ქართლი“ და „კახეთი“ ერთმანეთისაგან განცალკევებულია და დაპირისპირებული: აქ უკვე ორი სამთავროა მოცემული, რომლებიც ერთმანეთს ებრძვიან; **2.** მემატიანე წერს: „მოვიდა გრიგოლი კახეთით“. მაშასადამე, ომის დაწყების წინ გრიგოლი კახეთშია თავის სამთავროში. აქ ის ომის სამზადისშია; **3.** გრიგოლს ეხმარებიან „მთიულები“ და „წანარები“. წანარები ამ შემთხვევაში ჯერ კიდევ არ არიან კახეთის სამთავროში შერწყმულნი, ისინი გრიგოლს „შველიან“. „მატიანე“ იმას კი არ წერს, რომ გრიგოლს „კახელები შველიან“, გრიგოლი კახეთის მთავარია, მისი ძირითადი დასაყრდენი კახეთია, კახეთიდან მას გამოჰყავს

---

[1] ვაქვეყნებთ მონოგრაფიის — „ქორეპისკოპოსის სახელო“ — ნაწილს.

[2] ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, 1955, გვ. 252.

[3] იქვე, გვ. 252—253.

ჯარი, ეს თავისთავად იგულისხმება, აქ „შველაზე“ ლაპარაკი არ შეიძლება, გრიგოლს შველიან გარეშე ძალები — მთიულები და წანარები. 4. აქედან გამომდინარეობს: თუ ქორეპისკოპოსობა წანარებთან არის დაკავშირებული (მ. ლორთქიფანიძე, შ. ბადრიძე და სხვები), მაშინ გრიგოლი არ შეიძლება იყოს ქორეპისკოპოსი და ის ასეთი არც არის; 5. თითქოს სწორედ იმის საპასუხოდ, რომ გრიგოლი არ არის ქორეპისკოპოსი, „მატიანე“ აღნიშნავს: „გააქციეს გრიგოლი, მთავარი კახეთისა“.

გრიგოლის შესახებ „მატიანეს“ სხვა ცნობა არა აქვს. სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ის გარემოება, რომ ვახუშტი ძირითადად „მატიანე ქართლისას“ ეყრდნობოდა, რასაკვირველია, მას სხვა წყაროებიც ჰქონდა, რომელსაც ჩვენ არ ვიცნობთ.

ბაგრატიონთა მეფობის ისტორიასთან დაკავშირებით ვახუშტი წერს, რომ არჩილ მეფის შვილების იოანესა და ჯუანშერის გარდაცვალების შემდეგ „კუალად გახდგა გრიგოლი მთავარი და ამან დაიპყრო კახეთი“[4].

კახეთის ისტორიასთან დაკავშირებით ვახუშტი აღნიშნავს: „მოკუდა ჯუანშერ ერისთავთ-ერისთავი და შემდგომად მისსა განდგა გრიგოლი მთავარი და ამან დაიპყრა კახეთი, კუხეთი და გარდაბანი. ამანვე მოსპო სახელი კუხეთისა და იწოდა კახთა მთავრად ანუ ქორიკოზად და ბრძოლასა შინა აშოტ კურაპალატისასა იძლია გრიგოლი და დაშთა გრიგოლის ქსნის აღმოსავლეთის მხარი და ესე გრიგოლი მთავრობდა ლ̄ზ წელთა მეგობრობასა შინა ჰერეთის მეფეთათა... შემდგომად მოკუდა მთავარი გრიგოლი ქ̄სა ყ̄კზ, ქარ. მ̄ზ“[5]. ამ ციტატიდან ირკვევა, რომ ვახუშტის ძირითადი წყარო „მატიანეა“, მაგრამ მის ცნობებს ის განავრცობს და აძლევს თავისებურ განმარტებებს. „მატიანე“, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, მოგვითხრობს აშოტის ტაო-კლარჯეთში მოღვაწეობის შესახებ. და იქვე აღნიშნავს, რომ ამ პერიოდში კახეთში მთავრობდა გრიგოლიო. ვახუშტის არ აკმაყოფილებს ეს. გრიგოლის შესახებ ცნობა გამხოლოებულად არის მოცემული: საიდან გაჩნდა გრიგოლი, რა კავშირშია ის აშოტთან? ვახუშტი გვიხსნის, გვაძლევს ამის შესახებ ასეთ განმარტებას: არჩილის შვილის ჯუანშერის შემდეგ გრიგოლმა კახეთი გამოჰყო ქართლისაგან. მაშასადამე, გრიგოლი არის კახეთის პირველი მთავარი. მეორე განმარტება ვახუშტისა მთავარს შეეხება; გრიგოლი „იწოდება კახთა მთავრად ანუ ქორიკოზად“. „მატიანე ქართლისაში“ კახეთის ყველა მთავარი, გარდა გრიგოლისა, ქორეპისკოპოსად იწოდება (ქორეპისკოპოსს ვახუშტი ქორიკოზს უწოდებს; „ქორიკოზისა“ და „ქორეპისკოპოსის“ შესახებ შემდეგ გვექნება საუბარი). მაშ ვინ არის კახეთის ეს პირველი მთავარი? ვახუშტი ვარაუდობს, რომ გრიგოლი ქორიკოზია. ალბათ, ვახუშტის ვარაუდით „მატიანეს“ ეს გამორჩა, ან მას კახეთის ისტორია ისეთ ნაწყვეტ-ნაწყვეტად აქვს მოცემული, რომ საჭიროა ამ ნაწყვეტების დაკავშირება გარკვეული პრინციპით, საჭიროა დამაკავშირებელი განმარტებანი და ვახუშტიმაც ეს მოგვცა. ამ შემთხვევაში ვახუშტი ძლიერ ფრთხილად იქცევა: ვახუშტის მიხედვითაც გრიგოლი, პირველ ყოვლისა მთავარია, მაგრამ მთავარი ნიშნავს ქორიკოზს: გრიგოლი „იწოდა კახთა მთავრად ანუ ქორიკოზად“, განმარტავს ვახუშტი, ამასთანავე ვახუშ-

---

[4] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა; ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, 1973, გვ. 127.

[5] იქვე, გვ. 557—558.

ტისავე სიტყვით, გრიგოლი „მთავრობდა ლ-ზ“, აქ უკვე ქორიკოზი აღარ არის ნახსენები.

ამგვარად, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ვახუშტის არ ჰქონდა რაიმე წყარო, რომელშიც ეწერა გრიგოლის „ქორიკოზობა“, არამედ მისი ცნობა დამყარებულია საკუთარ მსჯელობაზე; ვახუშტის აზრით, გრიგოლის ქორიკოზობა დასკვნის სახით გამომდინარეობს იმ მონაცემებიდან, რომლის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი.

როგორც აღვნიშნეთ, „მატიანე“ კახეთის ისტორიას ნაწყვეტ-ნაწყვეტად გვაძლევს, ხოლო ვახუშტიმ დაწერა საქართველოს ცალკე კუთხეების და მათ შორის კახეთის ისტორია და ყველაფერი, რაც კახეთს ეხებოდა მას უნდა მოეყვანა ლოგიკურ მთლიანობაში და ამის გამო ვახუშტის მოუხდა ზოგიერთი ცნობის მისებური ინტერპრეტაცია, რომ კახეთის ისტორიის გაბმული, გარკვეულ პრინციპზე აგებული მთლიანობა არ დარღვეულიყო. ამის შედეგია ის, რომ ვახუშტიმ გრიგოლს ქორიკოზობაც მიაწერა.

ზემოთ ვთქვით, რომ გრიგოლს წანარები „შველოდნენ“ ე. ი. წანარები კახეთში არ არის შერწყმული. როგორ უყურებს ამ პერიოდის წანარებს უცხოური (ბერძნული, არაბული, სომხური) წყაროები? სამწუხაროდ გრიგოლის ბრძოლის შესახებ არაბების წინააღმდეგ არაფერი გვხვდება წყაროებში, მაგრამ გრიგოლი VIII ს-ის უკანასკნელისა და IX ს-ის პირველი ხანების მთავარია. ამის წინ კი არაბების ძლიერი შემოსევები იყო საქართველოში (მურვან ყრუ, ბუღა-თურქი და სხვა). არაბული, სომხური და ბიზანტიური წყაროები, ამ შემოსევებიდან დაწყებული (VIII ს-ის ოცდაათიანი წლები), კახეთს სანარიას ე. ი. წანარეთს უწოდებენ[6].

წანარები არაბებისათვის ძნელად მისადგომ მთებში ცხოვრობდნენ (ყაზბეგის მიდამოები). ამიტომ არაბებს ძლიერ უჭირდათ წანარების დამორჩილება. ამავე დროს ბარის კახეთი არაბებისათვის შედარებით ადვილადმისადგომი იყო გეოგრაფიული ფაქტორის გამო. კახეთის მოსახლეობა, ალბათ, წანარეთში იხიზნებოდა. ეს აძლიერებდა წანარეთს, დიდ ძალას მატებდა მას არაბების წინააღმდეგ საბრძოლველად. შეხიზნული კახელები დიდხანს ვერ გაძლებდნენ თავიანთი სახლ-კარის გარეშე. წანარებს თავის მხრივ არ უნდოდათ არაბების მთაში „სტუმრობა“. წანარებისა და კახელების შეერთებული ძალები ბარში ეშვებოდნენ არაბების წინააღმდეგ საბრძოლველად და სამკვდრო-სასიცოცხლო ომს უმართავდნენ მათ.

თავდაცვის საკითხი აერთიანებდა წანარებსა და კახელებს, ამჭიდროებდა მათ რიგებს და საბოლოოდ განაპირობებდა წანარების ასიმილაციას, მათ შერწყმას კახებთან და კუხებთან. მთელი კახეთის მოსახლეობის არსებობის, თავდაცვის სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხი აერთიანებდა ამ მოსახლეობას, წანარების უპირატესი მდგომარეობა — თავდაცვისათვის საჭირო მიუვალი ადგილების მფლობელობა — აპირობებდა მათ მეთაურობას არაბების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიტომაც იგრძნობოდა მათი უპირატესობა და ეს ძირითადი მიზეზი არის იმის, რომ გარკვეული პერიოდის (არაბების ბატონობის

---

[6] შ. ბ ა დ რ ი ძ ე, მმართველი ქორეპისკოპოსის ინსტიტუტის საკითხისათვის კახეთის სამთავროში, „მაცნე“, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო, 1964, № 5, გვ. 87—88.

დროინდელი) უცხოური წყაროების „წანარია“ საერთოდ კახეთს ნიშნავს (კახეთს, კუხეთს, გარდაბანს, ჰერეთის ნაწილს).

შ. ბადრიძე ყურადღებას აქცევს თომა არწრუნის ცნობებს ბუღა თურქის საქართველოში ლაშქრობისა და წანარების მეთაურობით მისი დამარცხების შესახებ. წანარების დასახასიათებლად შ. ბადრიძეს მოჰყავს თომა არწრუნის შემდეგი ცნობა: „ისინი მთის სიმაგრეებში ცხოვრობენ უზრუნველად, დამშვიდებულნი გარეშე მტრების საფრთხისაგან. სამეფო ხარკი მათვე რჩებათ. თავიანთი თავის გამგებლად მხოლოდ ერთ კაცს აყენებენ თავიანთი სურვილის მიხედვით. ისინი ერთსულოვნად და ერთობით არიან და ცხოვრობენ ერთმანეთის გვერდით“[7]. წანარების არწრუნისეული დახასიათება მართებული უნდა იყოს, მაგრამ ის საკუთრივ წანარების ტომს ეხება, როცა ეს ტომი ჯერ კიდევ არ იყო კახეთთან შერწყმული, ე. ი. არწრუნისეული დახასიათება მთელ კახეთს არ მიუდგება. კახეთი ამ დროს დაწინაურებული ქვეყანაა წანარეთთან შედარებით.

„მატიანეს“ მიხედვით თბილისის ამირას ეხმარებიან „კახნი გარდაბანელნი“[8]. ბუღა-თურქმა აიღო თბილისი; მოკლა თბილისის ამირა, მაგრამ გარდაბანელთ ბუღა-თურქის წინააღმდეგ ბრძოლა არ შეუწყვეტიათ. არაბებს „დაუდგნენ წინ გარდაბანელნი, ჯუარის გუერდსა და ავნეს დიდად“[9] (ჯუარის გუერდი პროფ. მ. ლორთქიფანიძის აზრით იყო თბილისის ჩრდილო-დასავლეთით კახეთის სამთავროს მისადგომებზე)[10].

ბუღა-თურქი ამ დამარცხების შემდეგ ჩრდილოეთიდან ცდილობს კახეთზე შეტევას, აყენება არაგვს, ადის ჭართალეთს. აიყვანს მთიულთაგან მძევლებს და ოსეთში ლამობს შეღწევას[11]. „მატიანეს“ ცნობით სომხეთის ერისთავმა და გუარამ მამფალმა წააქეზეს მთიულები, რომ არ შეუშვან არაბები მთებში. მთიულებმა გასწირეს მძევალნი. მთიულებს ბუნებამ უშველა, მოვიდა დიდი თოვლი, არაბებმა ომი ვერ შეძლეს და ბუღა-თურქი უკან წავიდა[12].

აი ეს მთიულები, წანარები ჰყავს მხედველობაში თომა არწრუნს თავის დახასიათებისას და არა მთლიანად კახეთი.

გ. მელიქიშვილი გაკვრით ეხება გარდაბნელთა და წანართა საკითხს კახეთის ისტორიასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ როდესაც კახეთში აქტიურ ძალად წანარების ნაცვლად გარდაბნელები გამოდიან, არაბული წყაროები ამ დროსაც თანმიმდევრულად ინარჩუნებენ კახეთისათვის „წანარების (სანარიას) სახელწოდებას“ და უნდა „ვიფიქროთ, გარდაბანელთა ეს აქტივობა წანარების ჰეგემონობით ჩამოყალიბებული დიდი სამთავროს ფარგლებში მიმდინარეობდა“[13].

---

[7] შ. ბ ა დ რ ი ძ ე, მმართველი ქორეპისკოპოსის საკითხისათვის კახეთის სამთავროში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო, „მაცნე“, № 5, 1964, გვ. 95.

[8] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 255.

[9] იქვე, გვ. 256.

[10] მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორიიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკე. 31, გვ. 43.

[11] იქვე.

[12] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 256.

[13] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, 1975, გვ. 54.

„მატიანეს“ მიხედვით აშოტ კურაპალატის მოკვლის (826 წელი) შემდეგ არაბები შემოესივნენ საქართველოს, „კუალადცა ეუფლენ სარკინოზნი ქართლს“ (ალბათ ქართლი აჯანყებული იყო), დატოვეს თბილისში „ამირად ალი შუაბის ძე“ და წავიდნენ: „მას ჟამსა შეითქვნეს გარდაბანელნი და განაჩინეს ქორეპისკოპოსად დაჩი ძე იოვანე ქუაბულის ძისა და შემდგომად ამისსა დასუეს ქორეპისკოპოსად სამოელ დონაური“. ამ დროს კვლავ შემოესივნენ საქართველოს არაბები, მათ „შეებნეს გარდაბანელნი გავაზს და გააქციეს ხალილ (არაბთა სარდალი — **ი. ხ.**) და მოსწყდა სიმრავლე ფრიადი“[14].

მოყვანილი ციტატი ჩვენი საკითხისათვის ფრიად საყურადღებოა: **1.** „მატიანე“ პირველად ახსენებს ქორეპისკოპოსს, ასეთი არის დაჩი; **2.** გარდაბნელთ დაჩი ქორეპისკოპოსად დაუსვამთ „შეთქმულების“ შედეგად. ამ შემთხვევაში, სავარაუდებელია, გარდაბანელნი გამოსულან გრიგოლისა ან მისი შთამომავლების წინააღმდეგ; **3.** ქორეპისკოპოსის სახელოს დაწესება დაკავშირებულია გარდაბნელთა შეთქმულებასთან და სახელო გარდაბნელებისაა და არა წანარების.

გარდაბანელებმა დაჩის შემდეგ ქორეპისკოპოსად დასვეს სამოელ დონაური[15].

ბუღა-თურქის შემოსევის დროს „დაუდგენ წინ გარდაბანელნი და ავნეს დიდად ლაშქარსა“ არაბებისა[16]. ფრიად საყურადღებოა ის გარემოება, რომ ქართული წყაროს გარდაბანელები, როგორც ზემოთ გვქონდა ამის შესახებ საუბარი, არაბულ წყაროებში წანარებად იწოდებიან.

VIII ს-ის ქართულ წყაროებში წანარებზეა საუბარი, ხოლო IX საუკუნისაში — გარდაბნელებზე. IX ს-ის დასასრულიდან გარდაბნელები ქართულ წყაროებში ქრებიან და გარდაბნელების ადგილს კახელები იკავებენ.

„მატიანეს“ მიხედვით სამოელ დონაურის შემდეგ „ქორეპისკოპოსად არის გაბრიელი[17]. ხოლო „ვითარ მოკუდა კახთა ქორეპისკოპოსი გაბრიელ დონაური, დაჯდა ქორეპისკოპოსად ფადლა არევმანელი, კაცი ბრძენი და საქმის მეცნიერი“[18].

ეს უნდა მომხდარიყო IX ს-ის 80-იანი წლების დასაწყისში. მ. ლორთქიფანიძემ პირველად ჩვენს ისტორიოგრაფიაში დაასაბუთა, რომ არევმანელთა „დინასტიამ“ შეცვალა დონაურები და ეს შეცვლა მტკივნეული იყო, რაც ჩანს იქიდან, რომ ფადლა არევმანელს სჭირდება გარდაბნელთა „დამორჩილება“[19].

ფადლას შემდეგ „დაჯდა“ კვირიკე ქორეპისკოპოსად[20]. კვირიკეს შემდეგ ქორეპისკოპოსი იყო მისი შვილი ფადლა[21], ფადლა II-ის შემდეგ ქორეპისკოპოსი იყო კვირიკე, მაშინ „გადგეს აზნაურნი გარდაბნელნი, იწყეს ზრახვად გიორგი მეფისა“ ე. ი. არევმანელ ქორეპისკოპოსის წინააღმდეგ გა-

---

[14] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 254.
[15] იქვე, გვ. 254.
[16] იქვე, გვ. 256.
[17] იქვე, გვ. 257.
[18] იქვე, გვ. 259.
[19] იქვე, გვ. 262; მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 32.
[20] ქართლის ცხოვრება. I, გვ. 262.
[21] იქვე, გვ. 265.

მოვიდნენ, მოიწვიეს გიორგი კახეთის ასაოხრებლად[22]. ამით მტკიცდება, რომ დონაურები, რომლებიც გარდაბნელების მიერ იყვნენ „გაჩენილნი“ ქორეპისკოპოსად, შესცვალა არევმანელებმა, ამიტომაც გარდაბნელები განაგრძობენ მის წინააღმდეგ მტრობას.

გარდაბანელების მიერ დასმული ქორეპისკოპოსები მართავდნენ კახეთს დაახლოებით 60 წელს, IX ს-ის ოცდაათიანი წლებიდან IX საუკუნისავე ოთხმოციან წლებამდე. ამის შემდეგ ქორეპისკოპოსობა სულ არევმანელთა ხელშია, მანამდე სანამ ქორეპისკოპოსების სახელო არ შეიცვლებოდა მეფობით (კახეთის სამეფოს ჩამოყალიბების შემდეგ). ამასთანავე არევმანელები, როგორც ჩანს, კახური „დინასტიაა“.

1. კახეთის ისტორიის განსაზღვრულ პერიოდში „გარდაბანელნი“ საერთოდ კახელს, წანარებს ნიშნავს. IX ს-ის დასასრულიდან გარდაბნელები კახეთის ისტორიასთან დაკავშირებულ წყაროებში აღარ იხსენებიან. ამის შემდეგ კახელებზეა საუბარი 2. ქორეპისკოპოსის სახელი შემოღებული იყო გარდაბნელთა მიერ.

„მატიანეს“ ცნობით თბილისის ამირას საჰაკის საშველად „მოვიდეს კახნი გარდაბანელნი“[23]. რას ნიშნავს „კახნი გარდაბანელნი“? მისი მნიშვნელობა ის უნდა იყოს, რომ შეიძლება იყოს „კახნი გარდაბანელნი“, ისე როგორც ქართლელი გარდაბნელნი და სხვა.

შეუსწავლელია საკითხის ის მხარე, თუ რატომ დაუკავშირდა გარდაბანი ასე კახეთს, ან რას წარმოადგენს თვითონ გარდაბანი (მისი ეთნიკური შემადგენლობა, ადმინისტაციული მმართველობა და, სხვ).

ქორეპისკოპოსობის ინსტიტუტის მხოლოდ ერთი საკითხია ამ წერილში შესწავლილი: ქორეპისკოპოსობის წარმოშობა კახეთში. „მატიანე ქართლისას“ და ვახუშტის ცნობების ანალიზმის საფუძველზე მივედით იმ დასკვნამდე, რომ კახეთის ქორეპისკოპოსობა, როგორც სუვერენობა — საწყისს იღებს გარდაბანში და არა წანარეთში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ლიტერატურაში.

И. И. СУРГУЛАДЗЕ

О СУВЕРЕНЕ КАХЕТИ IX—X ВЕКОВ

Резюме

В определенный период истории Кахети, его суверен носил звание «Хорепископа» («Корепископоси»), которое было введено гардабанцами.

[22] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 268.
[23] იქვე, გვ. 255.

წარმოადინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის განყოფილებამ.

მანანა ხიდაშელი

ბრინჯაოს სარტყლების მხატვრული დეკორის სიმბოლიკის ზოგიერთი საკითხი

I-ლი ათასწლეულის პირველ საუკუნეებში მთელს ამიერკავკასიაში ფართოდ ვრცელდება სახვითი ხელოვნების ერთი მტკიცედ ჩამოყალიბებული მხატვრული წრე. ამ წრისათვის დამახასიათებელი ძეგლები შემკულია გრაფიკული დეკორით შესრულებული მრავალფიგურიანი კომპოზიციებით. ეს მხატვრული მიმდინარეობა სპეციალურ ლიტერატურაში „კავკასიური ცხოველური სტილის" სახელითაა ცნობილი. ეს სტილი ამიერკავკასიაში აღმოჩენილ მრავალრიცხოვან ძეგლებზე იჩენს თავს (ოლხური ცულები, აბზინდები, იარაღის მოსართავი და სხვ.). მთელი სისრულით არის წარმოდგენილი ეს სტილი ამიერკავკასიაში ფართოდ გავრცელებულ ბრინჯაოს გრავირებულ სარტყლებზე. ამ ძეგლებზე მხატვრულ სახეებშია ასახული რთული შინაარსის მქონე გამოსახულებანი, მითოლოგიური აზროვნების მთელი კომპლექსები, ჩამოყალიბებულია მხატვრულ სახეთა რთული სიმბოლიკა, რომლის ამოცნობა მკვლევრისათვის დიდ ინტერესს იწვევს. ეს ინტერესი განპირობებულია თუნდაც იმით, რომ წერილობითი წყაროების არარსებობის ხანაში ეს ძეგლები იმ საზოგადოების იდეოლოგიურ შეხედულებათა შესწავლის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა. გარდა ამისა, ამ ძეგლებისათვის დამახასიათებელი „ცხოველური სტილი" წარმოადგენს გარკვეულ იდეოლოგიურ შეხედულებათა შედეგს[1] და ამდენად, ამ შეხედულებათა შესწავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს.

იმდროინდელ ამიერკავკასიაში საზოგადოებაში მიმდინარე ურთულესი პროცესები უშუალო კავშირში იყვნენ, მოქმედებდნენ და ართულებდნენ ისეთ ზედნაშენურ მოვლენებს, როგორიც იყო ადამიანის იდეოლოგიური სამყარო. სწორედ ამაზე უნდა მიუთითებდეს ის ფაქტი, რომ გვიანი ბრინჯაოს ხანიდან საქართველოს ტერიტორიაზე მრავლდება საკულტო ნაგებობანი, რომლებიც გვხვდება როგორც ნამოსახლარებზე, ასევე მათგან განცალკევებით; ამ პერიოდიდან ტაძარს — სამლოცველოს დამოუკიდებელი მეურნეობა აქვს[2]. საეჭვოა სატაძრო ორგანიზაციის არსებობაც, რომელიც აკანონებს ბელადის კულტს და მას სამემკვიდრეოდ ხდის[3].

საფიქრებელია, რომ სწორედ ამ პერიოდში მაღალ განვითარებას აღწევს მითოლოგია, „პირველყოფილი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი იდეოლოგიური სინკრეტიზმის გამოხატულების ფორმა"[4], განვითარებულ და დასრულებულ სახეს იღებს ხალხური ეპოსი. ნიშანდობლივია, რომ ხალხური „ამი-

---

[1] D. Carter, The Symbol of the Beast, The Animal Style Art of Eurasia, New-York, 1957, გვ. 10.

[2] ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1976, გვ. 112.

[3] იქვე, გვ. 114.

[4] Я. М. Мелетинский, Происхождение героического эпоса, М., 1963, გვ. 22.

რანიანის", „ეთერიანის", „ნართების" ბრწყინვალე ეპოსის შექმნასა და ჩამოყალიბებას მკვლევრები სწორედ ადრეული რკინის ხანაში ვარაუდობენ[5].

სანამ უშუალოდ გადავიდოდეთ სარტყლების მხატვრული დეკორის სიმბოლიკის საკითხებზე, საჭიროდ მიგვაჩნია გამოვყოთ სარტყლების დეკორისათვის დამახასიათებელი ძირითადი მხატვრული სახეები და მოტივები. ჩვენ მიერ შესწავლილია ამიერკავკასიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი 40 სარტყელი (15 აღმოჩენილია საქართველოში, 16 სომხეთში, ხოლო 9 დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე). ამ ძეგლების მხატვრული დეკორის ყველაზე პოპულარულ სახეს წარმოადგენს ირემი და ირემზე ნადირობის სცენა. 40 სარტყლიდან ირმის გამოსახულება გვხვდება 36 ნიმუშზე, აქედან ამ ცხოველზე ღვთიური ნადირობა წარმოდგენილია 17 სარტყელზე; ეს კი ამ ცხოველის განსაკუთრებული პოპულარობით უნდა აიხსნას. მართლაც, ქართველი და კავკასიელი ხალხის უძველეს რელიგიებში უაღრესად დიდი ადგილი ეჭირა ჯიხვისა და ირმის სახეს. მათი ძლიერი კულტის არსებობა ეჭვს არ იწვევს. ამ კულტის სიძლიერეს ადასტურებს ქართველი და კავკასიელი ხალხების უმდიდრესი ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალა. ამაზე მეტყველებს ამ კულტის შერწყმა ქრისტიანულ რელიგიასთან — ქრისტიანულ ეკლესიებში ან სალოცავებში ირმისა და ჯიხვის რქების ჩამოკიდების წესი.

ამ ცხოველების კულტი ამიერკავკასიაში ცხოველთა მფარველ ნაყოფიერების ღვთაებასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

საქართველოში დამოწმებული წარმოდგენების თანახმად, ცხოველთა თითოეულ კლასს თავისი მფარველი, ბატონი გააჩნია. თავდაპირველად ეს მფარველი ზოომორფული არსებაა და ჯიხვის, ირმის ან არჩვის სახით წარმოიდგინება. დანარჩენი ნადირისაგან მას განასხვავებს მხოლოდ რაიმე ნიშანი (თეთრი ფერი, ოქროს რქები, ნიშანი შუბლზე და სხვ.). ეს ზოომორფული მფარველი დარაჯობს ნადირის ჯოგს და თუ მონადირე ვერ გამოარჩევს მას ჩვეულებრივი ნადირისაგან და მოკლავს, მონადირის დაღუპვა გარდუვალი ხდება[6].

ამგვარად, საფიქრებელია, რომ ჯიხვი და ირემი ცხოველთა მფარველი ღვთაების უძველეს სახეს წარმოადგენს და ამ ღვთაების მითოლოგიური სახის განვითარებაში იმ საფეხურს ასახავს, როდესაც ცხოველთა თითოეული კლასის მფარველი თავისი ბუნებით ზოომორფული არსება უნდა ყოფილიყო.

შემდგომ, საწარმოო ძალების განვითარების საფუძველზე, სამყაროს ანთროპომორფიზაციის შედეგად, ადამიანი ამ ზოომორფულ არსებებს ანთროპომორფულად აქცევს. ცხოველთა მთელი კლასი თავის ადრინდელ სახეს ინარჩუნებს, ხოლო ამ ცხოველების მფარველი და მბრძანებელი ღვთაება ადამიანის მსგავსი ხდება. ეს ზოომორფული არსებანი კი ტრადიციით მტკიცედ უკავ-

---

[5] ვ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, I, თბ., 1959; შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, თბ., 1959; В. И. Абаев, Нартовский эпос, ИСОНИИ, вып. I, 1945; его же, Осетинский язык и фольклор, М.-Л., 1949; Л. П. Семенов, К вопросу о происхождении осетинского нартовского эпоса, Известия Северо-Осетинского научно-исследовательского института (ИСОНИИ), т. XIX; Е. И. Крупнов, О времени формирования основного ядра нартского эпоса у народов Кавказа, в сб. Сказания о нартах — эпос народов Кавказа, М., 1969, გვ. 22.

[6] ელ. ვირსალაძე, ქართული სამონადირეო ეპოსი, თბ., 1964, გვ. 22.

შირდებიან ადამიანის მსგავს ცხოველთა მფარველ ღვთაებას, მის აუცილებელ ატრიბუტებად იქცევიან და მისი ძირითადი თვისებისა და არსის გამომხატველნი ხდებიან[7].

მართლაც, საქართველოში ცხოველთა მფარველი ღვთაების სახეს ქალღვთაება წარმოადგენს, რომელიც განსაკუთრებით გაჩოირჩევა თავისი საოცარი სილამაზითა და გაშლილი ოქროსფერი თმებით[8] (სვანურ-ხევსურული დალი, მეგრული „ტყაში მაფა", ადიღეელთა მეზითხა და სხვ.). ქალღვთაებას რჩება უნარი თავისი ქვეშევრდომი ცხოველის სახე მიიღოს და ასე ეჩვენოს მონადირეს. ქართული ფოლკლორული მასალების მიხედვით ნადირთ პატრონი ჯიხვის ან ირმის სახეს იღებს და მონადირეს კლდეზე ან ტყეში შეიტყუებს. ქალღვთაება მონადირეს ასაჩუქრებს, მადლობას უხდის მას რაიმე კეთილი საქმისათვის. მაგრამ ყველაზე ხშირად აქ გამოვლენილია ძველი რელიგიებისათვის საყოველთაოდ დამახასიათებელი სექსუალური ამორჩეულობის მოტივი — ქალღვთაება ადამიანს შეიყვარებს და მას თავის სიყვარულს სთავაზობს. ღვთაების მოტრფიალე მონადირის ნადავლი ნადირობაში ძალიან იზრდება (ნაყოფიერების ფუნქცია), მაგრამ ამ ურთიერთობასთან ყოველთვის დაკავშირებულია მკაცრი ტაბუ — თუ კი მონადირე ქალღვთაებასთან სასიყვარულო ურთიერთობის საიდუმლოებას გასცემს, ის აუცილებლად იღუპება.

ქართველი და კავკასიელი ხალხების იდეოლოგიურ შეხედულებებში ცხოველთა მფარველ ქალღვთაებათა გვერდით დადასტურებულია ამავე ხასიათის მამაკაცი ღვთაებების არსებობაც. ამ რანგის ღვთაებებს განეკუთვნება ოჩოპინტე, ანატორი, ბოჩი, მესეფეები და სხვ., რომლებიც ცხოველთა მფარველები და განმანაწილებლები არიან.

ინტერესს იწვევს ადიღეელთა მამაკაცი ღვთაება მეზითხა, რომლის, პირველ სახე იყო ტყისა და ცხოველთა მფარველი ქალღვთაება მეზგუაში[9]. ის წარმოდგენილი ჰყავდათ ტახტზე მჯდომარე. ღვთაებას ტანზე ეცვა ჯიხვის ტყავი, ჰქონდა ოქროს რქები. მეზითხას ემორჩილებოდნენ ირმები.

ჩრდილოეთისა და დასავლეთ კავკასიის ხალხების ფოლკლორში პოპულარულია ირმებისა და ჯიხვების მფარველი ღვთაებები: ბალყარეთის აფსატი, აფხაზური აჟვეიშპა, სვანური და ოსური აფსატი ერთი და იმავე ღვთაების სხვადასხვა სახელწოდებად შეიძლება წარმოვიდგინოთ.

ეს მასალა იმიტომ მოვიტანეთ, რომ გვეჩვენებინა კავკასიურ გარემოში ზემოთ განხილულ მითოლოგიურ შეხედულებათა პოპულარობა, სიძველე და უდიდესი მდგრადობა. სარტყლებზე ასეთი დიდი რაოდენობით ირმებისა და ჯიხვების გადმოცემა, ღვთიური ნადირობის სცენები, ჩვენი აზრით, ცხოველთა მფარველ ღვთაებებთან უნდა იყოს დაკავშირებული. ამგვარ გამოსახულებათა სიხშირე ზემოთ განხილულ მითოლოგიურ შეხედულებათა განსაკუთრებული სიძლიერით უნდა აიხსნას.

ამგვარი რანგის ღვთაებებია გამოხატული, ჩვენი აზრით, ჩაბარუხის, თრიალეთის, თლის სამაროვანზე მოპოვებულ ნიმუშებზე (სურ. 1, 2). სარტყლებზე წარმოდგენილ არსებათა ღვთაებრიობას მიუთითებს მათი ითი-

---

[7] A. Lang, Mythes, Cultes et Religion, Paris, 1896, გვ. 516.

[8] ალ. რობაქიძე, შრომის ორგანიზაციის უძველესი ფორმები, თბ., 1941, გვ. 142.

[9] М. И. Михаев, Мифологическая и обрядовая поэзия адыгов, Черкесск, 1973, გვ. 59—73.

ფალობა, ცხოველური ნიღაბი, რომლითაც ამ პერსონაჟთა სახეებია შემკული. აღსანიშნავია, რომ თლის სამაროვანზე მოპოვებულ ერთ-ერთ სარტყელზე, ცხოველთა მფარველი კაცთღვთაებების გვერდით, ამავე რანგის ქალღვთაებათა რიტუალური პურობის სცენაა ასახული[10] (ნახ. 3).

სურ. 1. ჩაბარუხის სარტყლის დეტალი

აღსანიშნავია, რომ სარტყლების მხატვრულ დეკორში ჩვენ სხვა ცხოველთა გამოსახულებებსაც ვხედავთ. ხშირად არის წარმოდგენილი ხარებისა და ცხენების ფიგურები. მაგრამ ეს ცხოველები ძირითადად მესაქონლეობასთან დაკავშირებულ კულტებს უკავშირდება და ამჯერად ჩვენ მათ არ შევეხებით. ყურადღებას იქცევს ძაღლების, გველების, თევზების და ფრინველების მნიშვნელობა.. ეს ცხოველები, მართალია, სხვადასხვა კომბინაციით სარტყლის თითქმის ყველა ნიმუშზეა მოცემული. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ისინი უკავშირდებიან ღვთაება ბუნების დიდი დედის სახეს და ირემთან ერთად ამ ღვთაების უძველეს ზოომორფულ ინკარნაციებს წარმოადგენენ.

ჩვენი ხალხის უძველესი იდეოლოგიური შეხედულებების თანახმად, ცხოველთა მფარველი ღვთაება განსაკუთრებულ სიახლოვეს წყლის სამყაროსთან იჩენს. აფხაზების რწმენა-წარმოდგენებით, არსებობს წყლის დედა, რომელიც მომხიბლავი, ლამაზი ქალია. მას ჰყავს რჩეული მონადირეთა შორის. წყლის დედა შეიყვარებს მონადირეს, ასაჩუქრებს, იცავს მას უბედურებისაგან. მაგრამ ისევე ცხოველთა მფარველი ღვთაების ციკლში, ამ ურთიერთობას უკავშირდება მკაცრი ტაბუ, აკრძალვა ამ სასიყვარულო ურთიერთობის გაცემისა. ამ ტაბუს დარღვევა მთავრდება მონადირის ტრაგიკული სიკვდილით[11].

---

[10] დაწვრ. იხ. მ. ხ ი დ ა შ ე ლ ი, ჩაბარუხის სარტყლის ინტერპრეტაციისათვის, „საბჭოთა ხელოვნება“, 1977, № 10.

[11] ვ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი. აფხაზეთი, ეთნოგრაფიული წერილები, „დროება“, 1885.

მეტად საინტერესოდ გამოიყურება ორწინა-წარმოდგენები, დაკავშირებული მეგრელ მეთევზეთა ყოფასთან. მათ სწამთ წყლისა და წყლის არსებათა



სურ. 2. თრიალეთის სარტყლის დეტალი

გამგებელი ქალღვთაება „წყარიშ მაფა“ („წყლის მეფე“), რომელიც ისეთივე მბრძანებელია წყლისა, როგორც „ტყაში მაფა“ ტყისა[12]. „წყარიშ მაფას“

სურ. 3. თლის სარტყლის დეტალი (ბ. ტეხოვის მიხედვით)

[12] ზ. თანდილავა, მეთევზეთა თქმულებები და ლეგენდები მეგრულ ფოლკლორში (თეზისები) ფოლკლორის საკოორდინაციო საბჭოს სამეცნიერო კონფერენცია, თბ., 1969.

ქალთევზის სახე აქვს. უაღრესად ნიშანდობლივია, რომ „წყარიშ მაფასთან“ დაკავშირებული რიტუალები დიდ მსგავსებას იჩენენ სამონადირეო რიტუალებთან[13].

თევზის ქალღვთაება „ლარსას“ არსებობა დამოწმებულია აგრეთვე იმერეთში. გ. ჩიტაიას შენიშვნით, „ლარსა“ სვანური ნადირთ პატრონის, დალის თანატოლი ჩანს[14].

თავისი მფარველი ქალღვთაება გააჩნდათ აგრეთვე ფრინველებსაც. ცხოველთა მფარველი ქალღვთაება დალი სვანეთში ფრინველთა მფარველი ღვთაებაცაა და „დალე კუანჭ“-ის სახელითაა ცნობილი[15].

ნიშანდობლივია, რომ მეგრელთა რწმენის თანახმად, „ტყაში მაფა“ ამავე დროს ფრინველთა გამგებელიცაა. ამ მხრივ უაღრესად საინტერესო ცნობა აქვს გამოყენებული გასული საუკუნის 90-იან წლებში ი. ტეპცოვს. იგი მიუთითებს, რომ „ტყაში მაფა“ მეგრელებს წარმოდგენილი ჰყავდათ ტანშიშველ მზეთუნახავად, გრძელი ჩამოშლილი დალალებით; ის ტყეში დახეტიალობს, როგორც სული. მას ემორჩილება ფრინველთა მთელი სამყარო. მას შეუძლია კარგად წარმართოს მონადირის ბედი, მრავლად შეახვედროს ფრინველი და შეუძლია სულაც ხელმოცარული დატოვოს[16].

ყოვლისმომცველი ბუნების დიდი დედის ფუნქციების სრულად გამოსარკვევად უმდიდრეს მასალას იძლევა ქართული ზღაპრები. მასალა დროთა განმავლობაში ძალიან არის შეცვლილი. მან ზღაპრის ტიპიური სახე მიიღო. მაგრამ ამ ზღაპრებში ხალხის მითოლოგიური აზროვნების აშკარა ანარეკლი ჩანს. საილუსტრაციოდ რამდენიმე სიუჟეტს მოვიტანთ.

იმავე ი. ტეპცოვს გამოქვეყნებული აქვს სამეგრელოში ჩაწერილი ერთი ლეგენდა, რომლის თანახმად ერთ სოფელში ცხოვრობდა მონადირე. იგი „ტყაში მაფას“ შეუყვარდა და ნადირობაში დიდი ნადავლით დაასაჩუქრა. მაგრამ როდესაც მონადირემ „ტყაში მაფასთან“ ურთიერთობის საიდუმლოება ცოლს უთხრა და ამით ტაბუ დაარღვია. „ტყაში მაფამ“ დასაჯა მონადირე, ირმის სახით მოევლინა მას, კლდეზე აიტყუა და იქ ქვად აქცია[17]. ამ ლეგენდაში ტყის დედოფლის ზოომორფულ სახეს ირემი წარმოადგენს. ნიშანდობლივია, რომ იმავე მეგრულ ზღაპრებში „ტყაში მაფას“ ზოომორფულ სახედ ირემთან ერთად გველიც გვევლინება. ამ მხრივ უაღრესად საინტერესოა ზღაპარი, რომლის შინაარსი მოკლედ ასეთია: ტყის მეფემ ერთი ბიჭი შეიყვარა. მაგრამ ბიჭმა ღვთაებას სიყვარულზე უარი განუცხადა. ღამე ამ ბიჭს ლოგინში გველები შეუძვრნენ. გათენებისას ერთი გველი ბიჭს პირში ჩაუძვრა, დანარჩენები გაქრნენ. მეორე ღამეს ბიჭს მატლები დაესივნენ. გამწარებული ბიჭი ტყეში წავიდა. მიწიდან გველი ამოძვრა, ყელზე შემოეხვია და ქარვასლაში შეიყვანა. აქ ბიჭს ტყის მეფე გამოეცხადა. ერთი გველი ბიჭის პირიდან ამოძვრა, მეორე კისრიდან მოშორდა ორივე სი-

---

[13] ზ. თანდილავა, დასახ ნაშრომი.

[14] გ. ჩიტაია, სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში. ენიმკის მოამბე, X, 1941, გვ. 318.

[15] ვ. ბარდაველიძე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953, გვ. 88.

[16] Я. Тепцов, Из быта и верований мингрельцев, Сборник по описанию местностей и племен Кавказа (СМОМПК), 1894, т. XVIII, отд. 3, გვ. 12.

[17] Я. Тепцов, Из быта и верований..., გვ. 12—13.

სინით ტყისკენ წავიდა. ამის შემდეგ ბიჭმა და ტყის დედოფალმა ერთად დაიწყეს ცხოვრება[18].

ქართულ ზღაპრებში ადამიანს რაიმე კეთილი საქმისთვის ასაჩუქრებს ჯადოსნური საჩუქრით (რომელიც ყოველთვის კეთილდღეობის მომტანია) გველი, თევზი ან ფრინველი. მეტად პოპულარულია შემდეგი სახის სიუჟეტი: ვაჟი გველს სიკვდილისაგან იხსნის. მადლიერი გველი ეუბნება: რადგან ასეთი კეთილი საქმე მიყავი, დაგასაჩუქრებო. ენა გამოყავი, ჩემს ენის წვერს დაადე — ყველა სულიერის და უსულოს ენას გაიგებო. მაგრამ ამავე დროს გველი აფრთხილებს ადამიანს ამის შესახებ არავის უთხრას, თორემ დაიღუპებიო[19].

ქართულ ზღაპრებში გველის ადგილს ხშირად თევზი იკავებს. ისიც ასაჩუქრებს ადამიანს ჯადოსნური საჩუქრით, მაგრამ აფრთხილებს ეს საიდუმლო არ გასცეს, რადგან დაიღუპება, ან მისი კეთილდღეობა დაიკარგება[20].

ანალოგიური ფუნქციის მატარებლად ქართულ ზღაპრებში ფრინველი და განსაკუთრებით ხშირად ფასკუნჯი ჩანს. ძალიან გავრცელებულია სიუჟეტი, რომლის თანახმად მონადირე ფასკუნჯს გადაარჩენს. მადლიერი ფასკუნჯი მას ყოვლისშემძლე ყუთით ასაჩუქრებს. მონადირე შემთხვევით საჩუქრის მიღების საიდუმლოებას გასცემს და იღუპება[21].

მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ზემოთქმულიც საკმარისია იმისათვის, რომ დავინახოთ ამ ცხოველებს შორის არსებული კავშირი. ქართული ფოლკლორული მასალების მიხედვით ირემი, ფრინველი, გველი, თევზი არსებათა ერთ კატეგორიას ეკუთვნიან, რომლებსაც ადამიანისათვის ხან კეთილდღეობა და ხან უბედურება მოაქვთ.

მითოლოგიურ შეხედულებათა ზემოთ განხილულ წრეს ორგანულად უკავშირდება ძაღლის სახე. კავკასიელი და ქართველი ხალხის უძველეს რელიგიურ შეხედულებებში ძაღლის კულტს დიდი ადგილი უჭირავს[22]. გარდა ამისა, ქართულმა მითოლოგიამ შემოინახა ადამიანის მფარველი ზღაპრული ფრთოსანი „ყურშა“ ძაღლის მეტად არქაული სახე. „ყურშა“ ზღაპრული ფასკუნჯის შვილია, რომელიც ხანდახან გამოჩნდება ხოლმე მის ბუდეში. ფასკუნჯი ამ ლეკვს მიწაზე გადმოაგდებს. ფრთოსან ლეკვს იპოვის მონადირე, რის შედეგად მისი ნადავლი ნადირობაში არაჩვეულებრივად იზრდება. ძაღლის დაკარგვის შემდეგ მონადირე ხელმოცარული რჩება. მონადირე იგლოვს ლეკვს, ეძიებს მის კვალს, მაგრამ მის ძებნაში აუცილებლად იღუპება. როგორც ირკვევა, საქართველოს მთიანეთში ფართოდ გავრცელებული ყურშასადმი მიძღვნილი რიტუალური სიმღერები დალისა და მის მიერ დაღუპული მონადირის ციკლის ორგანულ ნაწილს შეადგენს[23]. როგორც ჩანს, ძაღლი მტკიცედ იყო დაკავშირებული ცხოველთა მფარველ ღვთაებასთან, მის ერთ-

---

[18] ა. ცანავა, ქართული ზეპირსიტყვიერების საკითხები, გვ. 15.

[19] რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები, ელ. ვირსალაძის რედაქციით, თბ., 1949, გვ. 271.

[20] იქვე, გვ. 140.

[21] იქვე, გვ. 120.

[22] В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования..., Тб., 1957, გვ. 47—53.

[23] Е. Б. Вирсаладзе, Грузинский охотничий миф и поэзия, М., 1977, გვ. 46—96.

ერთ სახეცვლილებას წარმოადგენდა. გვიან კი ძაღლი ამ ღვთაების ერთ-ერთ ატრიბუტად გადაიქცა.

ამასთან დაკავშირებით ჩვენს ყურადღებას იმსახურებს სამთავროში № 281 სამარხში მოპოვებული სარტყელი. სემანტიკური თვალსაზრისით კომპოზიცია ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ჯგუფი ასახავს ირმებსა და ჯიხვებზე ღვთიური ნადირობის სცენებს. მეორე ჯგუფში წარმოდგენილია ძაღლისებური ცხოველები, თევზები; აქვეა გამოსახული გველისა და ფრინველის ბრძოლა (ტაბ. I, 1).

ტაბულა I



სურ. 1. სარტყელი სამთავროს № 281 სამარხიდან.
(ნ. ურუშაძის მიხედვით)



სურ. 2. სარტყელი სამთავროს № 56 სამარხიდან.
(ნ. ურუშაძის მიხედვით)

საჭიროდ მიგვაჩნია აქვე მოვიყვანოთ ქართული ზღაპრებისათვის დამახასიათებელი კიდევ ერთი მოტივი. გმირი დაინახავს ფასკუნჯის (ან არწივის) ბუდეს, რომელშიც მისი შვილები სხედან. მათ გველი ეპარება. ფასკუნჯი (არწივი) გამწარებული ებრძვის გველს; გმირი გველს მიკლავს და ფასკუნ-

ჯის შვილებს გადაარჩენს. მადლიერი ფასკუნჯი მას ყოვლისშემძლე ყუთით ასაჩუქრებს. საინტერესოა, რომ აქაც ძალაში რჩება საიდუმლოების აკრძალვის მოტივი. ზოგიერთი ვარიანტის თანახმად, გველის, ფასკუნჯის და ადამიანის შეხვედრა ქვესკნელში ხდება. მადლობის ნიშნად ფასკუნჯი ადამიანს დედამიწაზე ამოიყვანს*. (ნიშანდობლივია, რომ ცხოველთა მფარველ ღვთაებასთან ორგანულად დაკავშირებული ყურშა სწორედ ამგვარი ფასკუნჯის შვილია).

ჩვენი აზრით, სარტყელზე წარმოდგენილი ფრინველისა და გველის სცენა იმ მითოლოგემის ამსახველია, რომელზედაც ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი და რომლის ნამსხვრევები ასე უხვად არის გაბნეული ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების მასალებში.

მოსალოდნელია, რომ იმდროინდელი ადამიანის აზროვნებაში გარკვეულად იყო ჩამოყალიბებული რწმენა სამი სამყაროს არსებობის შესახებ. სამ კოსმიურ სიბრტყეს ადამიანის აზროვნებაში ქმნის ზედა, ანუ ციური სამყარო — ზესკნელი, მიწიერი სამყარო — შუა სკნელი და ქვედა სამყარო — ქვესკნელი. სამივე სკნელის, მთელი სამყაროს გამგებელს წარმოადგენდა სამპიროვნული ღვთაება — ბუნების დიდი დედა.

ვფიქრობთ, ბუნების დიდი დედა თავდაპირველად ზოომორფულ არსებას წარმოადგენდა, განვითარების უფრო გვიან საფეხურზე გადაიქცა ის ადამიანის მსგავსად. ეს ზოომორფული არსებანი ამ ღვთაებას მტკიცედ დაუკავშირდნენ, მის აუცილებელ ატრიბუტებად გადაიქცნენ და მისი ძირითადი არსის გამომხატველნი გახდნენ. სწორედ ამ მომენტთან უნდა იყოს, ჩვენი აზრით, სამი საწყისის გაერთიანება ბუნების დიდი დედის სახეში. წყლის ცხოველები გაერთიანდნენ, ამათგან ერთი რომელიმე (თევზი, გველი) ღვთაების აუცილებელი ატრიბუტი გახდა და განასახიერებდა მის ბატონობას წყლის სამყაროზე; ფრინველი ავრცელებდა მის ბატონობას ზეცაზე, ხოლო ძაღლი, ირემი და სხვა ცხოველები მიწიერი სამყაროს ბატონად გვისახავდნენ მას.

ჩვენი აზრით, ბუნების დიდი დედის ზოომორფული ინკარნაციები — ირემი, ტახი, ძაღლი, ფრინველი, გველი, თევზი — არსებათა ერთ კატეგორიას განეკუთვნებიან. ამ მითოლოგიურ სახეებში ჩვენ ერთი და იმავე ღვთაების (ბუნების დიდი დედის) სხვადასხვა გააზრებასთან უნდა გვქონდეს საქმე. ამ მითოლოგიურ სახეთა გამოსახვა ერთ მთლიან კომპლექსში, ამგვარ გამოსახულებათა სიხშირე მატერიალური კულტურის ძეგლებზე ბუნების დიდი დედის კულტის ფართო გავრცელებას და დიდ აქტივობას უნდა მიუთითებდეს**.

ცხოველთა მფარველი ნაყოფიერების ღვთაების სამყარო ორგანულად არის დაკავშირებული ამირანის ეპოსთან. როგორც ცნობილია, ამ ეპოსის გაფორმებას მკვლევრები ადრეული რკინის ხანაში ვარაუდობენ, რაც კავკასიური ცხოველური სტილის აყვავების ხანას ემთხვევა. ამიტომ ბუნებრივად მი-

---

* საინტერესოა, რომ ეს მოტივი ფართოდ არის გავრცელებული შუმერულ ეპოსში, რომელიც გმირ ეტანას სახელთან არის დაკავშირებული.

** რელიგიური პანთეონის გართულების შედეგად ბუნების დიდი დედა თავის ფუნქციებსა და ატრიბუტებს სხვადასხვა ქალღვთაებებს გადასცემს და უნაწილებს. ამის შედეგი უნდა იყოს ის, რომ ქართველი ტომების მითოლოგიურ აზროვნებაში დადასტურებულია სხვადასხვა სახის ქალღვთაებათა არსებობა. ესენია: ადგილის დედა, პურეულის მფარველი ლამარია, ცხოველთა მფარველი ღვთაება დალი, დიდი დედა ნანა და სხვ.

გვაჩნია ის გარემოება, რომ ეს მხატვრული სტილი უნდა ასახავდეს ამ უძველესი ეპოსისათვის დამახასიათებელ ძირითად სიუჟეტებს.

სამთავროში № 591 სამარხში აღმოჩენილი სარტყლის სიმბოლიკა ამირანის ეპოსს პირველად მ. ჩიქოვანმა დაუკავშირა. მკვლევრის აზრით, სარტყელზე გამოხატულია ამირანის, ბადრისა და უსუპის ნადირობა; ამირანი წინა პლანზეა გამოსახული, მას ხელში ცამცუმისეული მშვილდ-ისარი უჭირავს და მოჰყავს ცამცუმის მიერ ნაანდერძევი ცხენი[24]. ამგვარი კონკრეტული ეპიზოდის ასახვა დეკორში ჩვენ სადავოდ მიგვაჩნია, მაგრამ ამ ძეგლის ამირანის ეპოსთან დაკავშირება კი დასაშვებია.

ეპოსის შინაარსი მოკლედ შემდეგში მდგომარეობს. ამირანი ნადირობის ქალღმერთ დალისა და მოკვდავი მონადირის შვილია. იგი იზრდება ბადრთან და უსუპთან ერთად თავისი მამობილის იამანის სახლში. ამირანი ბავშვობიდანვე გამოირჩევა არაჩვეულებრივი ძალ-ღონითა და ძლიერებით. ეპოსში დიდი ადგილი უჭირავს ამირანისა და მისი ძმების საგმირო საქმეების გადმოცემას — გველეშაპებთან და დევებთან ბრძოლას. თქმულების ზოგიერთი ვარიანტის თანახმად, ამირანი ციდან ცეცხლს მოიპოვებს ადამიანებისათვის. ბოლოს გაკადნიერებული ამირანი თვით ღმერთსაც შეებრძოლება. თქმულების ყველა ვერსიის თანახმად, ამირანი დაისაჯა და კლდეზე იქნა სამუდამოდ მიჯაჭვული.

თქმულება ამირანზე შინაარსობრივად სამ ნაწილად იყოფა — გმირის დაბადება, ამირანის გმირობა და მისი დასჯა.

არქაულობითა და მითოლოგიზმით განსაკუთრებით ეპოსის პირველი ნაწილი გამოირჩევა. ამირანის დაბადება ყველაზე სრულად თქმულების სვანურ ვერსიაშია გაშუქებული. ამ ვერსიის თანახმად, ამირანი ღვთაება დალისა და მოკვდავი მონადირის შვილია. დაწვრილებით არის აღწერილი როგორ გაიგონა მონადირემ ტყეში ქალის კივილი, ავიდა მასთან კლდეზე; კლდეზე მონადირეს ოქროსთმიანი ქალღმერთი დახვდა, რომელმაც ეს მონადირე შეიყვარა. ეს ამბავი მონადირის ცოლმა გაიგო, მძინარე დალის თმები შეაჭრა, რის გამოც ქალღმერთი დაიღუპა. მონადირემ დალის მუცლიდან ბიჭი ამოიყვანა და ამირანი დაარქვა.

თქმულების ეს ერთ-ერთი ძირითადი ბირთვი — ღვთაების მიერ გმირის დაბადება—შემორჩენილია საქართველოში გავრცელებული ამ ეპოსის მრავალ ვარიანტში. სვანურ, რაჭულ და ხევსურულ ვერსიებში ეს ეპიზოდი სრული სახით არის დაცული, ხოლო საქართველოს ცენტრალურ რაიონებში გმირის კავშირი ქალღვთაებასთან შესუსტებული და გამკრთალებულია. მაგრამ ამირანის დაბადება ქალღვთაების მიერ უდავოა და ეს მოტივი შეადგენს თქმულების ერთ-ერთ ძირითადსა და უძველეს ბირთვს[25]. მაგრამ ამჯერად ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო ის არის, რომ სვანური და ხევსურული ვერსიების თანახმად, ღვთაება დალი მონადირეს პირველად ირმის ან ჯიხვის სახით ეჩვენება. რაჭაში ჩაწერილ თქმულებას კი შემოუნახავს ერთი საინტერესო მოტივი — დალის სიკვდილის შემდეგ ამირანის მამა ამირანის ოქროს აკვანს წყაროსთან დადგამს. ამ ადგილს შეეჩვევა ერთი ირემი, რომელიც ბავშვს ძუძუს აწოვებს[26].

[24] მ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, ქართული ეპოსი, გვ. 120.

[25] Е. Б. В и р с а л а д з е. Грузинский охотничий миф и поэзия, გვ. 97.

[26] ნ. რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ ი, მეგზლობა რაჭაში, თბ., 1953, გვ. 67.

აღსანიშნავია, რომ ქართული სამონადირეო ეპოსი იცნობს ამ სიუჟეტის უფრო არქაულ ვარიანტს. ესაა სვანეთში ფართოდ გავრცელებული დალისა და ბეთქილის სიმღერა. იგი სრულდებოდა რიტუალური ფერხულის დროს და შეადგენდა გაზაფხულისა და ნაყოფიერების დიდი დღესასწაულის „მელიატულეფიას“ ერთ-ერთ ძირითად რიტუალს. ბეთქილის დატირების სიუჟეტი შემდეგია: განთქმული მონადირე ბეთქილი ღვთაება დალის სიყვარულს უღალატებს, ამ სიყვარულის საიდუმლოებას გასცემს. განრისხებული დალი რიტუალური ფერხულის დროს მას ირმის სახით მოევლინება, კლდეზე აიყვანს, სადაც კვლავ ქალის სახეს მიიღებს. დალი მონადირეზე შურს იძიებს, მას სიკვდილით დასჯის.

ნიშანდობლივია, რომ ამ არქაული სიმღერის თანახმად იღუპება არა ღვთაება (როგორც ეს ამირანის ეპოსშია დამოწმებული), არამედ მონადირე, რომელსაც ღვთაება შეიწირავს, როგორც თავისი სიყვარულის საგაზაფხულო მსხვერპლს.

ბეთქილის დატირებაში შემონახულია ჩვენთვის საინტერესო მითოლოგების უძველესი ბირთვი, რომელშიც იღუპება არა ღვთაება, არამედ ადამიანი, რომელიც ტაბუს დარღვევის გამო ისჯება ღვთაების მიერ. ნიშანდობლივია, რომ ეს უძველესი მითოლოგემა თავისებური სახით არის გამოვლენილი აგრეთვე ამირანის ზოგიერთ ვერსიაში. ამ მხრივ უაღრესად საინტერესოა უკანასკნელ ხანებში ჩაწერილი მასალა. ამ ტექსტების თანახმად, ქალღვთაებას ტყეში ხვდება არა ამირანის მამა, არამედ თვით ამირანი. მას თან ახლავს ცეცხლმფრქვეველი ძაღლი ტაპიე. ძაღლის წინააღმდეგობის მიუხედავად ამირანი კლდეზე ადის ცეცხლთმიან დალისთან. კიბე ინგრევა, ამირანი დალისთან რჩება. განრისხებული დალი (რისხვის მიზეზი თქმულებაში დღეს დავიწყებულია) თავისი ცეცხლოვანი თმებით მიაჯაჭვავს ამირანს კლდესთან. ამირანის საშველად მოფრინდება ჩიტი, გლეჯს დალის ცეცხლიან თმებს. ამირანი გაიქცევა, ხოლო ღვთაება დაწყევლის ჩიტს.

გურიაში ჩაწერილი თქმულების მეორე ვარიანტის თანახმად, დალი თავისი მზესავით მოელვარე თმებით სამუდამოდ მიაჯაჭვავს ამირანს კლდეზე.

საინტერესოა აგრეთვე ყაბარდოული თქმულება, რომლის თანახმად, დალის ორეული, ნაყოფიერებისა და ცხოველთა მფარველი ქალღვთაება მეზითხა ადამიანს დასჯის და სამუდამოდ მიაჯაჭვავს მას კლდეზე.

ეს ტექსტები საინტერესოა ორი თვალსაზრისით. მათ შემოგვინახეს მითოსის უძველესი ბირთვი — ადამიანი, რომელიც ღვთაების ნების წინააღმდეგ მიდის, ისჯება. და მისი დამსჯელი — ცხოველთა მფარველი, ნაყოფიერების ქალღვთაებაა.

ელ. ვირსალაძის აზრით, ამ ლეგენდებით თითქოს იკეტება წრე, რომელსაც უკანასკნელი რგოლი აკლდა — ამირანი ხან ღვთაება დალის შვილია, ხან მისი რჩეული, შეყვარებული, რომელსაც ტაბუს დარღვევის გამო ღუპავს განრისხებული დალი[27].

ამ ლეგენდებში ჩვენ ვხედავთ ეპოსის უძველეს ბირთვს, იმ მითოლოგემას, რომელშიც ადამიანი ღვთაების შეყვარებულია. ღვთიური ტაბუს დარღვევის გამო ღვთაება სჯის, ღუპავს ადამიანს.

---

[27] Е. Б. Вирсаладзе, Грузинский охотничий миф и поэзия, გვ. 109—110

დალი და მასთან დაკავშირებული მოკვდავი მონადირე სამეცნიერო ლიტერატურაში გაგებულია, როგორც ღვთიური წყვილი, დაკავშირებული ბუნების განახლების, გაზაფხულის დღესასწაულთან, მსგავსად იშთარისა და თამუზის, კობელასა და ატისის, აფროდიტესა და ადონისის, არტემიდესა და აქტეონის. ამას მოწმობს ქალღვთაების სიყვარული მოკვდავი მონადირისადმი, მის მიერ რჩეული მონადირის დაჯილდოვება და ბოლოს მისი ტრაგიკული სიკვდილი[28].

სარტყლებზე ირმების, ჯიხვებისა და ცხოველებზე ღვთიური ნადირობის ხშირი გადმოცემა, ჩვენი აზრით, ჩვენი ეპოსის იმ უძველესი მითოლოგემის ასახვაა, რომელშიც მონადირე ქალღვთაების რჩეული, შეყვარებულია.

სარტყლების დეკორთან დაკავშირებით ჩვენს ყურადღებას იმსახურებს ამირანის ძმების საკითხი. თქმულების ყველა ვარიანტის თანახმად, ამირანს ორი ძმა ჰყავს — ბადრი და უსიპი. ზოგიერთი ვერსიის თანახმად (ქართლი, ჯავახეთი) ისინი ამირანის მკვიდრი ძმები არიან, ზოგის (სვანური, გურული) ძმობილები ან ამირანის გამზრდელის შვილები, ხოლო ზოგჯერ — ბიძაშვილები (გუდამაყარი). მ. ჩიქოვანის აზრით, გმირთა ამ სამეულის შექმნაში თავდაპირველია მათი სისხლით ნათესაობა და არა გმირული წესით დაძმობილება[29].

სხვაგვარად ესმის ეს საკითხი აკად. ი. ჯავახიშვილს. მისი შენიშვნით, ძმების მოტივი ეპოსში გვიან უნდა იყოს შესული. ამაზე ცხადად მეტყველებს ფშაური ლეგენდა, რომელშიც ნათქვამია: „უძმოსა, უმამისძმოსა, ამირანს თავი მოეკლა". სვანურ ვერსიაშიც პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ბადრი და უსიბი ამირანის ძმობილები არიან, ამირანის გამზრდელის იამანის შვილები[30].

პროფ. ე. მელეტინსკი ბადრისა და უსიბის სახეში ე. წ. ტყუპების უძველესი მითოსის გადმონაშთს ხედავს. შესაძლებელია ბადრისა და უსიბის სახეები მზისა და მთვარის თანასწორობის გამომხატველი იდეის ერთგვარ გამოძახილსაც შეიცავენ[31]. ცნობილია, რომ უსიბს ბეჭებს შუა მზის მსგავსი ნიშანი ჰქონდა, ბადრის კი — მთვარისა.

უძველესი მითოსისათვის დამახასიათებელი ელემენტები კარგად მოჩანს, ჩვენი აზრით, სამთავროში აღმოჩენილი სარტყლების ზოგიერთ ნიმუშზე. № 211 სამარხში აღმოჩენილ სარტყელზე წარმოდგენილ კომპოზიციაში (სურ. 4) ჩვენს ინტერესს იმსახურებს გამოსახულებათა ორი ჯგუფი. კომპოზიციის მარჯვენა მხარეს წარმოდგენილია ორი ჯიხვი, მათ უკან მონადირე, რომელსაც ისარი უსვრია მათთვის. მონადირის თავთან ეხედავთ მზის სიმბოლოს. მონადირის ფიგურას კადრის მთელი სიმაღლე უჭირავს; მონადირის უკან გამოსახულია ორი, სავსებით ერთნაირი, პატარა ზომის მამაკაცის ფიგურა. მათ თავთან დიდი ზომის ჯვარია. კომპოზიციის მარცხენა მხარეს იგივე ფიგურებია განმეორებული, იმ განსხვავებით, რომ მონადირის მაღალი ფიგურის წინ ორი ირემია მოცემული. მის უკან კვლავ მამაკაცის ორი, ტოლი, პატარა ფიგურაა.

სარტყელზე, ჩვენი აზრით, წარმოდგენილია იმდროინდელი მითოლოგიური წარმოდგენებისათვის დამახასიათებელი გმირთა სამეული. ერთი მთავარი გმირია, რომლის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ხაზს უსვამს მისი წარ-

---

[28] ელ. ვირსალაძე, ქართული სამონადირეო ეპოსი, გვ. 91.

[29] მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, I, გვ. 161.

[30] ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 150.

[31] Е. М. Мелетинский, Происхождение героического эпоса, გვ. 225.

მოდგენა დიდი ზომით. მთავარი გმირის უკან ორი სავსებით ერთნაირი, „ტყუპის“ ფიგურაა მოცემული. ნიშანდობლივია, რომ გმირები ირმებსა და ჯიხვებზე ნადირობენ. მათ ღვთაებრივ ხასიათს ხაზს უსვამს კომპოზიციაში წარმოდგენილი მზისა და ჯვრის სიმბოლოები.



სურ. 4. სამთავროს № 211 სამარხში აღმოჩენილი დეტალი
(ნ. ურუშაძის მიხედვით)

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თქმულებაში დიდი ადგილი უჭირავს ამირანის, ბადრისა და უსიბის საგმირო საქმეების გადმოცემას — მათ ბრძოლას დევებთან, ბაყბაყ დევთან, ყამარის (ცეცხლის) მოტაცებას, ღმერთთან შებრძოლებას და სხვ.

ამჯერად ყურადღებას შევაჩერებთ ამირანის ბრძოლაზე ქვესკნელის ძალებთან. ამ ეპიზოდს თქმულების ყველა ვერსია იცნობს. ამირანი ყოველთვის სამ გველაშაპს ებრძვის — წითელს, თეთრსა და შავს. თეთრი ზესკნელის ფერი იყო, წითელი შუასკნელის, ხოლო შავი — ქვესკნელის. შავი გველეშაპი ყველაზე ძლიერია. ის ამავე დროს მზის მტერსაც წარმოადგენს. თქმულების სვანური ვერსიის თანახმად, შავი გველეშაპი მზეს ჩაყლაპავს ხოლმე, რის გამოც მზის დაბნელება ხდება. დატყვევებული მზის მსხნელი ამირანია.

ეპოსის ეს მოტივები, ჩვენი აზრით, ასახულია სამთავროში № 56 სამარხში აღმოჩენილ სარტყელზე (ტაბ. I. 2). აღნიშნულ ნიმუშზე ცენტრში გავლებულია ვიწრო ორნამენტული ზოლი, რომელიც კომპოზიციას ორ ნაწილად ჰყოფს. ზედა ფრიზის ცენტრში გამოსახულია ცხენზე ამხედრებული მონადირე, რომელსაც ისარი უსვრია მის წინ გამოსახული ირმებისათვის. გასროლილი ისრის მიმართულება ნაჩვენებია პუნქტირით. ისარი ხვდება მარცხენა კიდეში მდგარ ირემს. ქვედა ფრიზზე მონადირე ქვეითად არის წარმოდგენილი. მის წინ ისევ ირემია მოცემული. ორივე მონადირის წინ გამოსახულია მზის სიმბოლოები სარტყლის შესაკრავთან, ცენტრში — გველაშაპები და გველები.

ამასთან დაკავშირებით გვინდა შევეხოთ ყობანში აღმოჩენილ, რ. ვირხოვის კოლექციაში დაცულ ჩვენი სარტყლების თანადროულ ყობანური ტიპის ბრინჯაოს ცულს. ცულის პირზე გამოსახულია გველებთან მებრძოლი მშვილდოსანი. ცული შემკულია ვარდულებით. ლ. ფანცხავას ვარაუდით, ცულზე გა-

მოხატული ანთროპომორფული ფიგურა ამირანია, რომელიც ათავისუფლებს შავი გველაშაპის (დიდი გველი) მიერ ჩაყლაპულ მზეს (ვარდული)[32].

თავისი განვითარების ადრეულ საფეხურზე ხელოვნების ყველა დარგი უხვად სარგებლობს რელიგიური და მითოლოგიური სიუჟეტებით. მითოსის ზეპირი გადმოცემის ტრადიცია და მითოსის ასახვა ხელოვნების ძეგლებზე ყოველთვის მჭიდრო კავშირში იყო ერთმანეთთან. უძველესი სახვითი ხელოვნების ძეგლები ხშირად ლიტერატურული ნაწარმოების ილუსტრაციად იყო მიჩნეული, ისევე როგორც დასაშვებია ხელოვნების ძეგლის გავლენით ლიტერატურული ნაწარმოების შექმნა. დღეს ამ საკითხების კვლევა განსაკუთრებული ინტენსიურობით მიმდინარეობს. მკვლევრები აღნიშნავენ, რომ მითოსის სახვითი ვერსიები ხშირად ზეპირზე უფრო ძველია. ამიტომ ისინი გადმოგვცემენ მითოსის უცნობ, არქაულ სიუჟეტებსა და სრული სახით წარმოგვიდგენენ მითოსის ისეთ მოტივებს, რომლებიც ზეპირ ვერსიებში ან სრულიად წაშლილია, ანდა შენიღბული სახით არის შემორჩენილი[33]. ეს მოვლენა სავსებით კანონზომიერად მიგვაჩნია და ვფიქრობთ, რომ სარტყლებზე ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. სარტყლებზე ასახული უნდა იყოს ქართული ეპოსისათვის დამახასიათებელი ისეთი უძველესი მოტივები, რომლებსაც დროთა განმავლობაში სახე უცვლიათ და დაუკარგავთ თავისი პირვანდელი მნიშვნელობა. ასეთ მოტივებად მიგვაჩნია ის უძველესი მითოლოგემა, რომელშიც ეპოსის გმირი ქალღვთაების რჩეულსა და სატრფოს წარმოადგენს, „ტყუპების“ ამსახველი მოტივები და ა. შ.

საინტერესოა დაისვას საკითხი, თუ რამდენად და როგორ არის ასახული სარტყლების დეკორის სიმბოლიკაში სამიწათმოქმედო და მესაქონლეობასთან დაკავშირებული კულტები. მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა, რომელსაც აქ არ შევეხებით. მხოლოდ მინდა აღვნიშნო სარტყლების დეკორის ერთი თავისებურება: კომპოზიციებში უმთავრესად ასახულია გარეული ცხოველები (ირემი, ჯიხვი, ტახი, ფრინველი, გველი, თევზი, კურდღელი), რომლებიც მესაქონლეობაში არავითარ როლს არ თამაშობდნენ. გამონაკლისია მხოლოდ ხარები და ცხენები, რომელნიც დიდ როლს თამაშობდნენ როგორც იმდროინდელ მეურნეობაში, ასევე რელიგიაშიც. ეს ფაქტი საკმაოდ რთულად გამოიყურება და მისი დამაჯერებელი ახსნა არავის მოუცია.

უკანასკნელ ხანებში ეთნოგრაფმა მზია მაკალათიამ თავის სადისერტაციო საშრომში, რომელიც შეეხებოდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მსხვილფეხა მესაქონლეობის შესწავლას, ყურადღება სწორედ ამ მომენტზე გაამახვილა და, ვფიქრობთ, ამ ფაქტის სავსებით მართებული ახსნა შემოგვთავაზა. მკვლევარი წერს: „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სატომო, საოთემო, სასოფლო და ანტროპომორფულ, წარმართულ ღვთაებათა ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას შინაური ცხოველების მფარველობა და გამრავლება შეადგენს. მათდამი შესაწირავ ძირითად სამსხვერპლო პირუტყვად შინაური ცხოველი ითვლება (ხარი, ბატკანი, ხბო, ციკანი, ფური, თხა). ყოველივე ამის შემდეგ ჩვენს მიზანს შეადგენდა საქონლის მფარველ ანტროპომორფულ ღვთაებათა ზოომორფული ბუნება შინაური ცხოველის სახით გამოგვევლინა.

[32] ლ. ფანცხავა, ბრინჯაოს ცული ანთროპომორფული გამოსახულებით, „საბჭოთა ხელოვნება“, 1971, № 7.

[33] Р. В. Кинжалов, Проблема реализации мифа в повествовательном фольклоре и изобразительном искусстве, сб. «Фольклор и этнография», Л., 1977, გვ. 25.

მაგრამ კვლევა-ძიებამ საწინააღმდეგო სურათი მოგვცა — ამ ღვთაებათა ზოომორფული სახე თუ ატრიბუტი, უმეტეს შემთხვევაში კავკასიაში გავრცელებული გარეული ცხოველის, ქვეწარმავლი ან ფრინველის სახით ვლინდება (ირემი, ჯიხვი, არჩვი, გველი, დათვი, მგელი, კურდღელი, ქორი). შინაურ ცხოველთაგან ანტროპომორფული ღვთაების უძველეს ზოომორფულ სახეს წარმოადგენდა ცხენი და ხარი"[34]. ნაშრომში დასახელებულია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არაერთი სალოცავი. მათ მსხვერპლად შინაური ცხოველები ეწირებოდა. მიუხედავად ამისა, სალოცავებზე შინაური ცხოველების არავითარი კვალი არ დასტურდება. სამაგიეროდ სალოცავები უხვად არის შემკული ირმისა და ჯიხვის რქებით. ეს ცხოველები კი ამ ღვთაებისადმი მიძღვნილ რიტუალებში არ მონაწილეობენ.

ამგვარად, უნდა ვიფიქროთ, რომ სარტყლებზე, ერთი შეხედვით, მონადირეობასთან დაკავშირებული ცხოველების სიხშირე მონადირეობის დაწინაურებულ როლზე კი არ მიუთითებს, არამედ ღვთაებათა უძველეს ზოომორფულ სახეებსა და ატრიბუტებს გადმოგვცემს. ეს ფაქტი კი იმ უძველესი შეხედულებების სიძლიერით და მდგრადობით უნდა აიხსნას, რომელთა საფუძვლები გვაროვნული საზოგადოების წიაღშია საძებნელი[35].

М. Ш. ХИДАШЕЛИ

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ СИМВОЛИКИ ХУДОЖЕСТВЕННОГО ДЕКОРА БРОНЗОВЫХ ПОЯСОВ

Резюме

В первых веках первого тысячелетия до н. э. по всему Закавказью широко распространяется единый художественный стиль изобразительного искусства. Характерные для него памятники украшены композициями, исполненными в так называемом «зверином стиле». На этих памятниках в художественных образах даны сложные изображения, целые мифологические комплексы, выявляется вполне устоявшаяся система культовой символики. На основе кавказского фольклорного и этнографического материала символика декора поясов связывается с обширным миром Великой матери-природы, владычицей зверей и плодородия. Выявляется также тесная связь декора с грузинским «Эпосом об Амиране».

---

[34] მ. მაკალათია, მესაქონლეობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ავტორეფერატი), თბ., 1975.

[35] М. Ш. Хидашели, Некоторые вопросы генезиса идеологических воззрений раннежелезного века, Вопросы древней истории, V, 1977.

წარმოადგინა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ძველი ისტორიის განყოფილებამ.

პ უ ბ ლ ი კ ა ც ი ა

ნანა ყანჩაველი

საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან

(ერეკლე მეორის ორი არაბული წერილი)

წინამდებარე სტატია აგრძელებს საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიასთან დაკავშირებულ არაბულენოვანი მასალის პუბლიკაციას*.

1. პირველი წერილი დაცულია ქ. მახაჩკალაში სსრკ მეცნ. აკად. დაღესტნის ფილიალის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის ხელნაწერთა ფონდში (ფ. 1, აღწ. 1, 498, № 1425). წერილი შესრულებულია ცისფერ, ჭვირნიშნიან ქაღალდზე; ზომა ქაღალდისა: 25 სმ X 18,5 სმ; ტექსტის ზომა: 22 X 12 (16-ია წერილის ქვედა კუთხეში); სტრიქონთა რაოდენობა 10+3 (მიწერილია ქვედა მარჯვენა კუთხეში); ხელი — უფრო ნასხი; მელანი — შავი; თარიღი არ უზის. წერილის v-ზე ქვედა მარცხენა კუთხეში მინაწერია:

من كاتب الحروق ابن العالم المرحوم حجر الى النائب الحبيب حاج محمد السلام عليكم ورحمة الله تعالى اما بعد .

— „ამ ასოების დამწერისაგან, გარდაცვლილი ალიმის ძის ჰაჯარისაგან, საყვარელ ნაიბს ჰაჯი მუჰამმადს, სალამი თქვენდა და წყალობა ალაჰისა, მაღალიმც არს. რაც შეეხება შემდეგს...“ აზრი აქ წყდება. მოტანილ ნაწყვეტს კავშირი არა აქვს დოკუმენტის r-ზე მოთავსებულ ძირითად ტექსტთან. აქვეა ოთხკუთხა ბეჭედი, რომელიც გადაცრეცილია და ვერ იკითხება. წერილს ახლავს რუსული თარგმანი.

انه من تلقاء امير المتوكل على الله تعالى ايركلى خان الى اصدقائنا

واحبائنا دوميله وماهو ورؤساء [و]كبراء وشبان وشيوخ كلّ جماعة جمالى احسن الله تعالى احوالهم وبعد فالمراد من المزبور بعد ان تكونوا فى صحّة قد كتبنا اليكم قبل ذلك لاجل مجيئكم الى عندنا** فطوّل مجيئكم لهذا كتبنا هذه المراسلة وارسلنا اليكم عبد الله ويوسف لزم على حلتكم بعد وصول هذا القرطاس جيئوا عندنا على السرعة وما تعوق مجيئكم ساعة كما اشرت اليكم بعد ورودكم عندنا لا يقع منّا اليكم الا[ا]لمحبة والخير ونجتهد ان نحصل لكم الغنيمة فجيؤ على وعد الذى كان فى بيننا وبينكم من قبل بلا توقف باقى اقوالنا فى فم حامل السلام وهو يعلمكم حين ورود بالصواب والسلام

---

* ამ რიგის (ერეკლე II-ის არაბული წერილები) მასალა გამოქვეყნებულია ჩვენ მიერ „მრავალთავ“ V-სა და „მრავალთავ“ VI-ში.

** اليكم قبل ذلك لاجل مجيئكم الى عندنا — ხაზგასმულია ზემოდან წითლით.

ქვედა კუთხეში მიწერილ

ا الجماعات فاسرع على مجيئكم ولم تاخر ساعة فجيئوا سريعا سريعا سريعا

თარგმანი

ჭეშმარიტად, თვით მბრძანებლისაგან, ღმრთის, მაღალიმც არს, მსასოებელი ერეკლი ხანისაგან.

ჩვენს გულწრფელ და საყვარელ მეგობართ დუმილეს და მაჰავს (მაჰუს), (აგრეთვე) მეთაურთ, უხუცესთ, ყმაწვილკაცთ და შეიხთ მთელი ჭამალის ჯამაათისა! ღმერთიმც, მაღალ არს, გააუმჯობესებს მათს მდგომარეობას!

და შემდეგ. ამ წერილის მიზანია, რომ ჯანმრთელად იყოთ. ჩვენ მოგწერეთ ამის წინ, რომ თქვენ მოსულიყავით ჩვენთან. მაგრამ თქვენი მოსვლა შეგვიანდა. ამიტომაც ვწერთ ამ წერილს და ვგზავნით თქვენთან 'აბდ ალ-ლაჰს და Ძუსუფს. აუცილებელია თქვენი (ჩვენთან) მეგობრობის გამო, ამ წერილს მიიღებთ თუ არა, საჩქაროდ წამოხვიდეთ ჩვენთან. და ნუ დააყოვნებთ თქვენს მოსვლას (ნურც) ერთი საათით. როგორც მე გირჩიეთ, თქვენი ჩვენთან მოსვლის შემდეგ, თვინიერ სიყვარულისა და სიკეთისა, არაფერი გექნებათ. ჩვენ ვეცდებით, აგრეთვე, რომ ნადავლი გაშოვნინოთ. მოდით დაუყოვნებლივ პირობისამებრ, რომელიც ჩვენსა და თქვენს შორის ადრე დაიდო. დანარჩენ ჩვენს სათქმელ'ს გადმოგცემთ სალმის მომტანი და იგი გეტყვით მოსვლის დროს ზუსტად. და სალამი.

ჰოი, ჯამაათნო, ისწრაფეთ მოსვლა, ნუ დააგვიანებთ (ნურც) ერთი საათით, მოდით ჩქარა, ჩქარა, ჩქარა.

ცნობილია ერეკლე II-ის მიერ მტერთან საომრად პირიქითი კავკასიის მთიელთაგან ჯარების დაქირავების ფაქტი[1]. როდესაც ხუნძახის ბატონი ნურ-სალ-ბეგი შემოესია კახეთს და შეიქნა საშიშროება მეზობელ კავკასიელ ხანთაგან საქართველოზე გამოლაშქრებისა, „გაგზავნეს მეფეთა (=თეიმურაზ-ერეკლემ. — ნ. ყ.) კაცნი ჩერქეზეთში, აღუთქვეს მისაცემელი ფრიადი და დაიჭირეს ჯარი, ეგრევე ოსისა და მთის ჯარები"[2]. საგულისხმოა, რომ ამავე მიზნით ლეკებსაც ქირაობდნენ ხოლმე[3]. მაგალითად, ნადირშაჰის მოსალოდნელი თავდასხმის თავიდან ასაცილებლად ქართველებმა დამხმარე ძალად ლეკთა ლაშქარი გამოიყენეს[4]. შემდგომშიც, მოგვიანებით გიორგი XIII-ს დიდძალი ლეკთა ლაშქარი ჰყავდა დაქირავებული[5].

---

[1] თ. ბოცვაძე, საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან, 1968, თბ., გვ. 175, 176. ამ საკითხს ადრეც შევეხეთ, იხ. ჩვენი წერილი „მრავალთავ" VI-ში: „ერეკლე II-ის წერილი ქუ'ა ქალალიელისადმი".

[2] პაპუნა ორბელიანი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბ. 1913, გვ. 211.

[3] დ. მეგრელაძე, დაღესტან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, „მაცნე", 1967, № 6, გვ. 136, 137.

[4] თ. ბოცვაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 172.

[5] დ. მეგრელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 137.

წინამდებარე წერილიც ამ მომენტის დადასტურებაა. დახმარებისათვის ერეკლე II მიმართავს დუმილეს, მაჰუს და საერთოდ ჭამალის ანუ ჭამალალის თემს მთლიანად (უნდა ვიფიქროთ კონტექსტით, რომ კონკრეტულად დასახელებული ადრესატები დუმილე და მაჰუც ჭამალელნი არიან). ჭამალალის თავისუფალი ანუ უბატონო თემი კახეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობდა და ეკავა მთიანი, მაგრამ ნაყოფიერი ადგილი ტინდის ჩრდილოეთით და ბოგულალის დასავლეთით. შედგებოდა 16 სოფლისა და დასახლებისაგან. სამხრეთით მას ესაზღვრებოდა უნკრატლის თემი[6]. ჭამალალის თემში 9 ჯამაათი შედიოდა. თითოეულ ჯამაათს მეთაურობდა უხუცესი, რომელთაგან ზოგიერთს საჭიროების შემთხვევაში ჯარის მეთაურის ფუნქციაც ეკისრებოდა[7].

წერილიდან ჩანს, რომ ერეკლე დიდად არის შეჭირვებული მტრისაგან და ზემოხსენებულთ სთხოვს დაუყოვნებლივ მოსვლას. საგანგებოდ ხაზგასმულია წერილში, რომ ერეკლემ ადრეც მისწერა მათ ამის თაობაზე, მაგრამ, როგორც ირკვევა, ისინი არ ჩამოსულან.

2. ლეკთა დაქირავების თაობაზეა აგრეთვე ერეკლე II-ის სხვა არაბული წერილიც, ალიხანისადმი მიწერილი. წერილის დედანი ინახება ხუნძახში ზ. ალიხანოვთან[8]. ჩვენ ხელთ გვაქვს ამ წერილის ფოტოპირი, რომელიც ჩამოიტანა ხელნაწერთა ინსტიტუტის უფრ. მეცნ. თანამშრომელმა ვახტანგ გამრეკელმა დაღესტნის სამეცნიერო მივლინებიდან 1969 წელს. 1975 წელს ჩვენ ადგილზე (ხუნძახში) ვნახეთ და გავეცანით ამ დოკუმენტს, წერილი შესრულებულია თეთრ ქაღალდზე, მელანი შავია, ხელი — დაღესტნური ნასხი; შეიცავს სულ თორმეტ სტრიქონს, აქედან ორი სტრიქონი ირიბად არის მიწერილი თავისუფალ ადგილზე; წერილი უთარიღოა; ზედა კუთხეში ორი ოვალური ბეჭედი უზის, რომლებზედაც შესაძლებელია იკითხებოდეს عبده عما خن sic عمل خن თუ „მონა მისი ღმმა ხან“ (?) (ძნელად დასაშვებია, მაგრამ ხომ არ არის ეს ხუნძახის ცნობილი ბატონის ომარ-ხანის || ღმახანის ბეჭედი?!)[9].

هو

سلام كثير من جناب والى الولاة العظام ايركلى خان الى صديقنا
ووثيقنا عليخان سلم الله تعالى من آفات الدارين وبعد فالمراد من المزبور
اوّلا صحتك وعافيتك وثانيا فلما وقع لنا سفر ارسلنا الى عندك اخلو
انضحى حتى يعلّمك ما فى الضمرنا (sic) نسئل من صداقتك وخلّتك بان
تجئى مع ثلاثة مائة رجل على التعجيل لزم عليك حضورك فيعندنا (sic)
حين انمام هذه الشهر الرجب المرجب بلا تاخير ولا تعطيل باىّ نحو
تذهبون الى الغنيمة جيئو بنحو المزبور مع زاد خمسة عشر يوم على

---

[6] История Дагестана, I, М., 1967, გვ. 330.

[7] Р. М. Магомедов, История Дагестана, Махачкала, 1961, გვ. 229, 232.

[8] კოლექციონერ ზ. ალიხანოვის შესახებ იხ. Р. Магомедов, Дагестан, Исторические этюды, вып. II, Махачкала, 1975, გვ. 203.

[9] იხ. თ. მარგველაშვილი, საქართველოსა და დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან (დაღესტნური წარმოშობის ერთი არაბულენოვანი სიგელის მიხედვით), ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, II, თბ., 1957, გვ. 96.

الاحتياط فان لا يصل زادﷺ الى يدنا لا تكونوا* جوعا لاجل السرعة باقى
اقوالنا فهمنا الى اخلو وهو يعلمك على الاتمام اعتمد اليه والسلام

თარგმანი

იგი (არს ღმერთი)

მრავალი მოკითხვა დიდებულ გამგებელთა გამგებლის ბატონის ერეკლი ხანისაგან ჩვენს გულწრფელ მეგობარსა და სანდო (კაცს) ალიხანს, უფალი, მაღალიმც არს, იხსნის მას ამ ქვეყნისა და იმ ქვეყნის განსაცდელთაგან!

და შემდეგ (აი, რა):

ამ წერილის მიზანია თავდაპირველად თქვენი ჯანმრთელობა და თქვენი კარგად ყოფნა. შემდეგ კი, როდესაც აუცილებელი გახდა ჩვენთვის ლაშქრობა, ვგზავნით ახალავ ანდიჰელს[10], რათა მან გაცნობოს ჩვენი განზრახვა. გთხოვთ, შენი სიყვარულისა და მეგობრობის გულისათვის, რომ სასწრაფოდ მოხვიდე სამასი კაცით. გევალება შენ წამოხვიდე ჩვენთან ამ თვის, ღირსშესანიშნავი რაჯაბის, დასასრულს დაუყოვნებლივ და დაუხანებლად. რომელი მხრისკენაც წახვალთ დავლისათვის, წახვალთ მოწერილის შესაბამისად, თხუთმეტი დღის (სამყოფი) სურსათით. თუ არ ექნება სანოვაგე ჩვენს ლაშქარს, (არა უჭირს), არ იქნებით მშივრები ხიჩქარის გამო. დანარჩენ ჩვენ სათქმელს გადავცემთ ახალავს და ის აგისხნის სრულად, ენდე მას. და სალამი.

Н. Г. КАНЧАВЕЛИ

ИЗ ИСТОРИИ ГРУЗИНО-ДАГЕСТАНСКИХ ВЗАИМООТНОШЕНИЙ

(два арабских письма Ираклия II)

Резюме

Продолжаем публикацию документов на арабском языке, отображающих грузино-дагестанские взаимоотношения. В публикуемых письмах (одно из них хранится в рукописном отделе ИИЯЛ ДагФАН СССР, ф. I, оп. I, № 1425, другое же — в Хунзахе, в личной коллекции З. Алиханова) Эрекли-хан (Ираклий II) предлагает Чамалальскому джамаату в одном случае, и Алихану — в другом, принять участие в наемном войске Восточной Грузии.

---

* ტექსტში: تكونو

[10] თუ წავიკითხავთ انضحى — ანდიჰი-ს: ანდიჰი (Андых) შედიოდა ბაყთლუხის სანიბოში (XIX ს-ის II ნახევრის ადმინისტრაციული დაყოფით) ავარიის ოლქში. მოსახლეობა ხუნძური იყო (Е. И. Козубский, Памятная книжка Дагестанской области, Темир-хан-Шура, 1895, გვ. 166).

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა

დისკუსია და განხილვა

ილია ანთელავა

ერთიანი მონარქიის დაშლა და შუა საუკუნეთა საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის პრობლემა

ერთიანი მონარქიის დაშლა უმნიშვნელოვანესი ეტაპია ფეოდალური საქართველოს ისტორიაში. სრულიად ბუნებრივია ამ საკითხისადმი ქართველ ისტორიკოსთა ცხოველი ინტერესიც. მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით (ს. კაკაბაძე[1], გ. სოსელია[2], დ. გვრიტიშვილი[3]), ფეოდალური დაშლა ქართული ფეოდალური საზოგადოების განვითარების ნორმალური პროცესის პროდუქტი იყო. სხვაგვარი მოსაზრება წამოაყენა ნ. ბერძენიშვილმა. მისი აზრით, ფეოდალური დაშლა ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში შექმნილი „ჩიხის" შედეგი იყო და ამდენად საზოგადოებრივი განვითარების ნორმალური გეზიდან აცდენა. ხსენებულ პრობლემას მჭიდროდ დაუკავშირდა ბატონყმობის გამარჯვებისა და საქართველოში სათავადოთა გენეზისის საკითხი. ნ. ბერძენიშვილის უკანასკნელ შრომებში[5] და ასევე ვ. გაბაშვილის გამოკვლევაში[6] ხაზი ესმის იმ გარემოებას, რომ ბატონყმობის გამარჯვება საქართველოში დიდად უსწრებდა წინ სათავადოთა სისტემის ჩამოყალიბებას. ამდენად სათავადო ბატონყმობის სრული გამარჯვების, ფეოდალიზაციის პროცესის დასრულების პროდუქტი არ იყო. დასახელებულ მკვლევართა აზრით, თუ ბატონყმობა სოციალურად პროგრესს წარმოადგენდა, სათავადო ამ პროგრესის შეფერხების, „ჩიხის" შედეგი იყო. ეს მოსაზრებანი ამჟამად გაბატონებულია ჩვენს ისტორიოგრაფიაში.

ჩვენ აქ ვერ შევუდგებით ამ საკითხის ისტორიოგრაფიის გადმოცემას, ვიტყვით მხოლოდ, რომ როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა, არც პირველი მოსაზრების ავტორებს (ს. კაკაბაძე, გ. სოსელია, დ. გვრიტიშვილი) და არც

---

[1] С. Какабадзе, Черты феодального строя и крестьянские повинности в Грузии в конце средних веков, Тб., 1912.

[2] გ. სოსელია, საქართველოს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება „ვეფხისტყაოსნის" მიხედვით, სოხუმი, 1956, გვ. 169—172. მართალია გ. სოსელია პირდაპირ არ წერს ამას, მაგრამ მთელი მისი მსჯელობიდან სწორედ ეს გამომდინარეობს.

[3] დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 46, 255.

[4] ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965, გვ. 111—141; მისივე, საქართველოს ისტორია XIII—XIV სს. (კონსპექტი), დასახ. წიგნი, გვ. 49—71; მისივე, Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии, დასახ. წიგნი, გვ. 71—111 და სხვა ნაშრომები.

[5] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, თბ., 1974, გვ. 129—130.

[6] ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში, თბ., 1958, გვ. 81—82.

მათ ოპონენტებს მონოგრაფიულად არ შეუსწავლიათ ერთიანი ქართული მონარქიის ბუნების საკითხი და არც ამ მონარქიის დაშლა[7]. ორივე მხარეს გაზოთქმული აქვს საკმაოდ მოკლე დებულებები, რომლებიც შემდგომ დაზუსტებას და შემოწმებას მოითხოვენ. ამასთან, ერთი და იმავე ძირითადი თეზისის მომხრეთა მოსაზრებებიც განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ცხადია, ფეოდალური დაშლის ბუნების გარკვევა შეუძლებელია ერთიანი ქართული მონარქიის ბუნების გარკვევის გარეშე. უკანასკნელ ხანს გ. მელიქიშვილმა გამოაქვეყნა მონოგრაფია, რომელშიც ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ძირითად საკითხებს შეეხო[8]. ავტორმა ხაზი გაუსვა საქართველოს სხვადასხვა რეგიონისადმი დიფერენცირებული მიდგომის აუცილებლობას და სავსებით მართებულად დაასკვნა, რომ საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებაში ჰეგემონის როლი აფხაზთა სამეფომ (resp. დასავლეთ საქართველომ) შეასრულა[9]. მკვლევარი არსებითად შეეხო ამავე პერიოდში მწარმოებელი მოსახლეობის სტატუსის საკითხს და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ნაადრევია საუბარი XII საუკუნეში ბატონყმობის სოციალურ ურთიერთობათა გაბატონებულ ფორმად გამოცხადებისათვის[10]. ხსენებულ საკითხთა განხილვამ ავტორი მიიყვანა დასკვნამდე, რომ ერთიანი ქართული მონარქია ძირითადად ადრეფეოდალურ ნიადაგზეა აღმოცენებული[11]. „XI—XII საუკუნეები წარმოადგენს გარდამავალ ხანას განვითარებულ ფეოდალიზმზე, ამასთანავე ეს პროცესი მიმდინარეობს უკვე თითქმის მთელი საქართველოს მასშტაბით“[12].

ვფიქრობთ, არსებული წყაროები მთლიანად უპერენ მხარს საკითხის ამგვარ დაყენებას.

აქედან გამომდინარე, ფეოდალური საქართველოს დაშლა წარმოადგენდა ერთიან ქართულ მონარქიაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების განვითარების შედეგს, კანონზომიერ მოვლენას. ვფიქრობთ, საფუძველი არა გვაქვს ერთიანი მონარქიის დაშლა მხოლოდ საგარეო ფაქტორის მოქმედებას მივაწეროთ. საგარეო ფაქტორმა მიმდინარე პროცესებს სპეციფიკური სახე მისცა.

XIII—XV საუკუნეებში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება როგორც მწარმოებელი მოსახლეობის სტატუსში, ასევე გაბატონებული კლასის ორგანიზაციაში. სწორედ ამ პერიოდის დასასრულისათვის მთავრდება ბატონყმობის ფორმირების ადრე დაწყებული პროცესი. ამავე ხანას განეკუთვნება განვითარებული ფეოდალური სენიორიის ჩამოყალიბება, რომელიც საკმაოდ ფართო იმუნიტეტითაა აღჭურვილი. XIII—XV საუკუნეებშივე განუყოფლად ბატონდება სამამულო საკუთრების პრინციპი, რაც ფეოდალური საკუთრების საბოლოო ჩამოყალიბებაზე მიგვანიშნებს მთელი საქართველოს მასშტაბით (მთის გამოკლებით).

---

[7] იხ. ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. VIII. თბ., 1975. გვ. 433—434.

[8] გ. მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973.

[9] იქვე, გვ. 25—64.

[10] იქვე, გვ. 73.

[11] იქვე, გვ. 106.

[12] იქვე.

ზემოდასახელებული პროცესები სათავეს უკვე ერთიან ქართულ მონარქიაში იღებენ და ეს მონარქია, უეჭველია, სწორედ ამ პროცესების საკმაო მომწიფების გამო სუსტდება XIII ს-ის დასაწყისისათვის. XII—XIII სს. მიჯნაზე ძირითადად დამთავრდა მიწების დანაწილება და მკვეთრად შემცირდა სახელმწიფო მიწების ფონდი. ქართული მონარქია ადრე ამგვარ კრიზისებს საგარეო ომებით აღწევდა თავს. ამგვარი ომების შედეგად იქმნებოდა წყალობად გასაცემი მიწების ფონდი. ამასთან, ლაშქრობის შედეგად მოპოვებული ალაფი შემოსავლის ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო იყო[13]. XIII ს-ის 20-იანი წლებიდან სახელმწიფოს თავდაცვაზე გადასვლა უხდება. წყალობად გასაცემი მიწების ფონდი არათუ მატულობს, კლებულობს. ყოველივე ამას არ შეეძლო არ გამოეწვია სამეფო ხელისუფლების არა მარტო სიძლიერის, არამედ როლის შესუსტებაც. ამგვარად, საქართველოს სამეფო ხელისუფლება ძველებურად ვეღარ ასრულებს თავის სოციალურ ფუნქციას, გაბატონებული კლასის ახალ-ახალი მიწებით და სამხედრო ნადავლით უზრუნველყოფის ფუნქციას. შექმნილი კრიზისის აშკარა მაჩვენებელი იყო საეკლესიო მიწების სეკულარიზაციის ცდა ულუ დავითის დროს. ცხადია, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საგარეო ფაქტორმა, რამაც ხელი შეუწყო ცენტრის დასუსტებას და დააჩქარა განვითარებული სენიორიების ჩამოყალიბების პროცესი, რაც ისედაც გარდაუვალი იყო. საგარეო ფაქტორმა ხელი შეუწყო ასევე ბატონყმობის მთლიანი გამარჯვების დაჩქარებასაც. ცხადია, ნათქვამი არ გულისხმობს იმას, თითქოს მონღოლებს და მათ მომდევნო დამპყრობლებს დადებითი როლი შეესრულებინათ ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. საგარეო ფაქტორმა თავისებური, სპეციფიკური სახე მისცა როგორც ბატონყმობის გამარჯვების პროცესს, ისე განვითარებული ფეოდალური სენიორიის ჩამოყალიბების პროცესსაც. რაში მდგომარეობს ეს სპეციფიკა?! ფეოდალური დაქუცმაცებულობა, რომელიც ფეოდალური საზოგადოების განვითარების კანონზომიერი ეტაპია, საწარმოო ძალების შემდგომ ზრდასა და განვითარებას გულისხმობს. ფეოდალური დაქუცმაცებულობის დროს, ბატონყმური ექსპლუატაციის პირობებში იზრდება შრომის ნაყოფიერება, ვითარდება აღებმიცემა და იქმნება საფუძვლები ახალი, თვისობრივად განსხვავებული გაერთიანებისათვის. ფეოდალურად დაშლილი საქართველოს სპეციფიკა იმაში მდგომარეობდა, რომ საგარეო ფაქტორის მოქმედების შედეგად, ქვეყნის ეკონომიკური ნამატი უცხო დამპყრობლის ხელში გადადიოდა, რაც თითქმის შეუძლებელს ხდიდა გაფართოებულ კვლავწარმოებას. ქართველ გლეხს ექსპლუატაციას უწევდა როგორც ადგილობრივი ფეოდალი, ისე დამპყრობელი. ეს საუკუნეების მანძილზე ხდებოდა. ქვეყანა, ნაცვლად იმისა, რომ ბატონყმურ შრომას მოეღონიერებინა, უფრო და უფრო ღატაკდებოდა. ამასთან, საგარეო ფაქტორის მოქმედების პირობებში, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა სენიორიამ, რომელიც ფეოდალური მეურნეობის წარმოებისა და ამასთანავე ქართული სამამულო სისტემის დაცვის ფაქტიურად ერთადერთ საშუალებად ჩამოყალიბდა.

ქართული ფეოდალური სისტემისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ ქართული ფეოდალიზმი ტიპოლოგიურად „დასავლეთევროპულ-

[13] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 83—89.

თან“ ახლომდგომი იყო, ხოლო ქართული ფეოდალური ქალაქი ტიპოლოგიურად „აღმოსავლურის“ ძირითად ტენდენციებს განასახიერებდა.

ამგვარად, განსახილველი გვაქვს ორი ძირითადი საკითხი: ქართული სენიორიის (სათავადოს) ადგილი ქვეყნის ცხოვრებაში და ქართული ქალაქის როლი ფეოდალურ სისტემაში[14].

1. სათავადოს გენეზისის და როლის შესახებ

განვითარებული ფეოდალური სენიორიის, „სათავადოს“ გენეზისის საკითხს არაერთი მკვლევარი შეეხო. ბოლო დროს ამ საკითხზე სპეციალური ნაშრომი გამოაქვეყნა გ. ჯამბურიამ[15], რომელმაც სათავადოს გენეზისი მჭიდროდ დაუკავშირა ერთიანი მონარქიის დროინდელ დიდებულის მამულს. მკვლევრის ამ მოსაზრებას ძნელია არ დავეთანხმოთ. დიდებულის სამფლობელოს მკვლევარი ამგვარად განმარტავს: „ერთიანობის ხანის დიდებულის სამფლობელო შედგება „სამამულე და მკვიდრი“ მამულისაგან და „საპატიო“, „სახარაჯო“, „სანახევრო“, „საკარგავი“ თემებისაგან თუ პროვინციებისაგან. მთელი ეს სამფლობელო პირობითი მფლობელობა იყო. ნაწილი, რომელიც მოხელეობასთან იყო დაკავშირებული, მანამ ჰქონდა დიდებულს, სანამ თანამდებობა ეჭირა. ნაწილი კი „სამკვიდრო და სამამულე“ იყო, ე. ი. მემკვიდრეობით გადადიოდა, მაგრამ მაინც პირობითი იყო, რადგან დიდებულს მისი გასხვისების უფლება არ ჰქონდა მეფის ნებართვის გარეშე“[16]. როგორც ვხედავთ, დიდებულის სამფლობელო სხვადასხვა მიწისაგან შედგება და მისი, როგორც მფლობელის უფლებებიც ამ მიწებისადმი განსხვავებულია. დიდებულის მფლობელობის მნიშვნელოვან ნაწილს სამოხელეოდ გადაცემული მიწები წარმოადგენდა, რისი გასხკისების უფლებაც მას, ბუნებრივია, არ ჰქონდა.

განსხვავებული ვითარება გვაქვს დიდებულის სამფლობელოსაგან წარმოშობილ სათავადოში. „XIII—XIV სს. თანდათან ხდება თანამდებობასთან დაკავშირებული ქვეყნების „სამკვიდროდ და სამამულოდ“ გადაქცევა... ამიერიდან ახლად ნაწყალობევი მამულიც თავადის სამუდამო მფლობელობაში გადადის“[17].

მკვლევარმა გამოიტანა სხვა, არსებითი და დიდმნიშვნელოვანი დასკვნაც. მისი აზრით, საერთო-საგვარეულო მფლობელობა, დამახასიათებელი იყო როგორც ერთიანი მონარქიის დროინდელი დიდებულის სახლისათვის, ისე თავადის სახლისათვისაც[18]. ქართული ფეოდალიზმისათვის ეს მნიშვნელოვანი თავისებურება (რასაც ევროპაშიც გააჩნია პარალელები), როგორც ჩანს,

---

[14] წერილის მოცულობის შეზღუდულობის გამო აქ არ ვეხებით ისეთ არსებით საკითხს, როგორიცაა მწარმოებელი მოსახლეობის სტატუსი. საქართველოში ბატონყმობის გამარჯვების დროისა და პირობების საკითხი საგანგებო ანალიზს მოითხოვს.

[16] გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, სათავადოთა საკითხისათვის, საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, I, თბ., 1970, გვ. 3—32; მ ი ს ი ვ ე, Социально-политическое положение Грузии в I половине XVII века, авт. докторской диссертации, Тб., 1975, გვ. 37—45.

[16] გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 8.

[17] იქვე

[18] იქვე, გვ. 5—6.

განვითარების ადრეული საფეხურებიდანვე იყო დამახასიათებელი და თან სდევდა მას მთელი შუა საუკუნეების მანძილზე[19].

თავადის სამფლობელოს დიდებულის სამფლობელოსაგან კარგად განვითარებული იმუნიტეტიც განასხვავებს.

როგორც ვხედავთ, XIII—XV საუკუნეებში დიდებულის სამფლობელო იქცევა მემკვიდრეობით, განვითარებულ სენიორიად, სადაც სხვადასხვა ხასიათის მიწები საგვარეულო სამფლობელოდ ქცეულა სათანადო იმუნიტეტით. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს განვითარებული ფეოდალური ხანისათვის შესაფერისი მოვლენებია და აშკარად განვითარებული ფეოდალური სენიორის ჩამოყალიბებაზე მიგვითითებს.

ერთიანი მონარქიის დროინდელი დიდებული უფრო მეფის მოხელეა, ვიდრე იმუნიტეტით და სამემკვიდრეო უფლებებით აღჭურვილი სენიორი (თუმცა მას, ცხადია, მემკვიდრეობითი მამულებიც გააჩნია), ამიტომაც შეუძლებელია დიდებულისა და მისი სამფლობელოს ფუნქციონირების ხანა განვითარებული ფეოდალიზმი იყოს. განვითარებულ, მომწიფებულ ფეოდალიზმზე შეგვიძლია ვისაუბროთ მაშინ, როცა ხდება სამოხელეოდ და სამართავად (საკარგავად) გადაცემული ტერიტორიების გამკვიდრება. ეს პერიოდი კი XIII—XV საუკუნეებზე მოდის.

გ. ჯამბურიას თავისი სავსებით სწორი მსჯელობიდან ერთი მეტად სადავო დასკვნა გამოაქვს. იგი ფიქრობს, რომ ე. წ. „თავადური საკუთრება", „ფეოდალის უპირობო, შეუზღუდველი საკუთრებაა"[20]. ამგვარი დასკვნა მას საშუალებას აძლევს ევროპისა და რუსეთის ანალოგიების მოშველიებით „თავადური საკუთრებისა" და „სათავადოს" წარმოშობა გვიანფეოდალური ხანის მოვლენებად დასახოს[21] (ცხადია, იგი აღნიშნავს იმასაც, რომ საქართველოში რუსეთისა და ევროპისაგან განსხვავებული პირობები იყო).

უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი თვალსაზრისისათვის ძალზე მცირე საფუძველი არსებობს. „სათავადო საკუთრება" მიწაზე უპირობო საკუთრება არ იყო. ამაზე ნათლად და ვფიქრობთ საბუთიანად მიუთითა გ. ძიძიგურმა: „...სათავადო საკუთრება" წინანდელთან შედარებით საკუთრების „სხვა", კერძოდ უფრო მტკიცე ფორმაა, მაგრამ ეს უკანასკნელი მხოლოდ მაშინ გახდებოდა უპირობო და შეუზღუდავი, როცა ფეოდალი მეფის ვასალიდან სახელმწიფოს ჩვეულებრივ ქვეშევრდომად გადაიქცეოდა"[22].

„სათავადო საკუთრების" შეუზღუდაობის საბუთად არ გამოდგება ის ფაქტი, რომ თავადს მიწის თავისუფლად გასხვისების უფლება აქვს[23]. გასხვისების უფლებიდან არ გამომდინარეობს ამგვარი რამ. „არსებითი ისაა, რომ ამ აქტით მეფის მესაკუთრული ინტერესები არაფრით არ ილახება. მიწის გასხვისება ხდება იმავე ქვეყნის ფარგლებში და გაყიდულ მიწას იგივე ვალდებულებები მიჰყვება, რაც მას გაყიდვამდე ედო"[24].

---

[19] იხ. Г. А. Меликишвили, К вопросу о социально-экономическом строе древней Иберии (Картли), ВДИ. № 4, М., 1977, გვ. 194.

[20] გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 10.

[21] იქვე; გვ. 11—12.

[22] გ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ფეოდალური რენტის საკითხისათვის XVIII ს. აღმოსავლეთ საქართველოში, საისტორიო კრებული, ტ. V, თბ., 1976, გვ. 321.

[23] გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 10.

[24] გ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 322.

დიდებულისა და თავადის სამფლობელოები ორივე პირობითი საკუთრებაა. სხვა საკითხია, რამდენად ახერხებს სამეფო ხელისუფლება თავისი უფლებების რეალიზაციას ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში. თავადს დიდებულისაგან განასხვავებს ერთი მხრივ ის, რომ მას „მკვიდრად და სამამულოდ" აქვს გადაქცეული სამოხელეოდ და სამართავად მიცემული მიწები და მეორე ეხრივ იმუნიტეტი. ყველა სახის მიწების „გამკვიდრება" და იმუნიტეტი — ასე გვესახება ჩვენ დიდებულის თავადად ტრანსფორმაციის პროცესი.

ერთიანი მონარქიის ხანაში, ერისთავისა და დიდებულის ინსტიტუტების განსაკუთრებულად რელიეფურად ფუნქციონირებია დროს, აშკარად ჩანს სახელმწიფოს, სამეფო ხელისუფლების უზენაესი საკუთრება მიწაზე, რასაც ის მეტნაკლებად მტკიცედ ახორციელებს. ერისთავი და დიდებული უპირველეს ყოვლისა მოხელეები არიან და სახელმწიფო მიწის ფონდის ნაწილი მათ სამოხელეოდ აქვთ გადაცემული. XIII—XV საუკუნეებში კი პირველ პლანზე მიწის სენიორალური მფლობელობა გამოდის. ეს კი პირდაპირ მიგვითითებს ფეოდალური საკუთრების ფორმების ჩამოყალიბების ორ სხვადასხვა ეტაპზე, რომელთაგან პირველი ძირითადად ადრეფეოდალურ, ხოლო მეორე განვითარებულ ფეოდალურ პერიოდებს შეესატყვისება[25].

ყოველივე ზემონათქვამს პირდაპირ უჭერენ მხარს ჩვენს ლიტერატურაში არაერთგზის აღნიშნული ისეთი ფაქტები, როგორებიცაა სენიორიების ჩამოყალიბების შემდეგ ვაზირის ინსტიტუტის გაქრობა და სახლთუხუცესის ინსტიტუტის ჩამოყალიბება: ერისთავის, ადრეფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელი ინსტიტუტის[26], გაქრობა; მეფის სახასო მამულების გამგებლის, ნოურავის ინსტიტუტის წინ წამოწევა[27]. ჩვენს ლიტერატურაში აღნიშნულია ისიც, რომ სენიორიების ჩამოყალიბების შემდეგ სახელმწიფო საკუთრების ცნება ძირითადად სახასოს იდენტურია[28]. საამისო კლასიკური მაგალითი კი ჩვენ კაპეტინგების მონარქიის სახით გვაქვს, სადაც მეფე ფაქტიურად მხოლოდ თავისი დომენის სენიორი იყო[29].

ვფიქრობთ, რომ „სათავადოს" წარმოშობა კანონზომიერი მოვლენა იყო და ქართული ფეოდალური საზოგადოების განვითარების ნორმალურ შედეგს წარმოადგენდა. სათავადო-სენიორიის ჩამოყალიბება წარმოადგენდა ასევე ფეოდალური საკუთრების ახალ, კანონზომიერ ეტაპსაც, რომელმაც ფეოდალურ საკუთრებას დასრულებული სახე მისცა. სათავადო, როგორც ფეოდალური საკუთრების ფორმა, წინამავალი ფორმების განვითარება იყო და არა ანომალია ფეოდალური საკუთრების ფორმების განვითარებაში.

ყოველივე ზემონათქვამის გამო, ჩვენ უსაფუძვლოდ მიგვაჩნია ბატონყმობისა და სენიორიის ერთმანეთისაგან მოწყვეტით განხილვა. ორივე ეს

---

[25] Л. В. Черепнин, Русь, Спорные вопросы истории феодальной земельной собственности в IX—XV вв., В сб.: Пути развития феодализма, М., 1972, გვ. 165—166; Ф. Б. Борисов, Обсуждение проблем типологии развитого фесдализма в странах Востока, Народы Азии и Африки, № 2, М.. 1977, გვ. 77.

[26] ერისთავის, როგორც ადრეფეოდალური ხანის ინსტიტუტის შესახებ იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, გვ. 31

[27] იხ. გ. ჯამბურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 13.

[28] იქვე, იხ. ბიბლიოგრაფია.

[29] Ш. Пти-дютайи, Феодальная монархия во Франции и в Англии X—XIII веков, М., 1938, გვ. 8—17.

მოვლენა პარალელურად ვითარდებოდა და ერთმანეთს აპირობებდა. მიწათმოქმედთა მასიურად ბატონყმობაში ჩასაბმელად აუცილებელი იყო ფეოდალური საკუთრების ისეთი ფორმა, რასაც სათავადო-სენიორია გულისხმობს (მიწების გამკვიდრება, იმუნიტეტი). თვით ამგვარი სენიორიის არსებობას კი მხოლოდ მაშინ შეიძლება აზრი ჰქონოდა, თუ იგი მწარმოებლის ბატონყმურ ექსპლუატაციას დაემყარებოდა. ეს პირდაპირ მიგვანიშნებს იმაზე, რომ შეუძლებელია ბატონყმობა XI—XII საუკუნეებში გამარჯვებულად ჩავთვალოთ. ბატონყმობის გამარჯვება მიწათმოქმედის გაგლეხებას, მის მიწასთან მიმაგრებას, დაბეგვრას გულისხმობს. როგორ შეიძლოთ XI—XII საუკუნეთა მოხელე-დიდებულებს ისინი მიემაგრებინათ იმ მიწებზე, რომელთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ მათი მკვიდრი მამული, იმუნიტეტით აღჭურვილი სამფლობელო არ იყო? საფიქრებელია, რომ ბატონყმობის განსაკუთრებულად აქტიური შეტევა ეკონომიკურად თავისუფალ ერისგანზე და ყმათა გარდამავალ ფენაზე მჭიდროდ უკავშირდება სენიორიის ჩამოყალიბების, სამოხელეოდ და სამართლად (საკარგავად) გადაცემული მიწების „მკვიდრად და სამამულოდ“ გადაქცევის პროცესს.

აღნიშნული, ცხადია, არ ნიშნავს XI—XII საუკუნეებში ბატონყმობის არსებობის სრულ უარყოფას. ამ ეპოქაში და უფრო ადრეც, უეჭველია იყვნენ გლეხები — ბატონყმურ უღელში შებმული მწარმოებლები. მიუხედავად ამისა, როგორც აღინიშნა, არა გვაქვს საფუძველი მათი სტატუსი მთელ მწარმოებელ მოსახლეობაზე გავავრცელოთ.

ყოველივე ზემოაღნიშნული სხვაგვარად აყენებს საკითხს სათავადო-სენიორიის როლისა და ადგილის შესახებ შუა საუკუნეთა საქართველოს ისტორიაში. ჩვენს ისტორიოგრაფიაში ქრესტომათიულ ჭეშმარიტებად იქცა სათავადოს რეაქციული როლის ხაზგასმა. ხოლო ვინაიდან ჩვენ სათავადო-სენიორიას განვიხილავთ, როგორც ქართული ფეოდალური საკუთრების ფორმების განვითარების შედეგს, ცხადია, ეს თეზისიც უნდა გადავსინჯოთ. სათავადოს წარმოშობა და ერთიანი მონარქიის დაქუცმაცება (XIII—XV სს) ბუნებრივ-ისტორიული, ობიექტური პროცესი იყო და ამდენად არ შეიძლებოდა რეაქციული ყოფილიყო. მეტიც, მომდევნო პერიოდში სათავადო-სენიორიამ, მუდმივმოქმედი საგარეო ფაქტორის პირობებში პროგრესული როლი შეასრულა „ქართველობის“, ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის გადარჩენის საქმეში.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში ხაზგასმულია ის გარემოება, რომ „ქართველობა“—ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემა პროგრესული იყო „ოსმალობასთან“, „ყიზილბაშობასთან“, „ლეკიანობასთან“ მიმართებაში. მიუთითებენ, რომ მათ შორის ბრძოლა ქართული სამამულო სისტემისა და „აღმოსავლური ფეოდალიზმის“ დაბალგანვითარებულ ფორმებს შორის ბრძოლა იყო. ყოველივე ამის შემდეგ, ცხადია, გადასასინჯია სათავადოს როლის ნეგატიური შეფასება. არავითარი რეალური საფუძველი არა გვაქვს, სამამულო მიწათმფლობელობა სენიორიისაგან მოწყვეტით განვიხილოთ. სათავადო-სენიორია სამამულო მიწათმფლობელობის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული გარსი, მისი ფორმაა. სულ სხვა რიგის მოვლენაა სათავადოს დაშლა, სამამულო სისტემის სენიორიისაგან გათავისუფლება, მიწაზე უპირობო საკუთრების ჩამოყალიბება. ამგვარ პირობებში, ცხადია, სათავადო რეაქციულ, დრომოჭმულ ორგანიზაციად იქცევა. ეს პირობები კი ფეო-

დალურ საქართველოს ჩვენთვის საინტერესო ხანაში არც ჰქონდა და ვერც ექნებოდა.

სათავადო-სენიორია იყო ერთადერთი სამეურნეო, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და სამხედრო ერთეული, რომელიც ოპტიმალურ საშუალებას წარმოადგენდა ფეოდალური მეურნეობის წარმოებისათვის, ქვეყნისა და მისი მიწათმფლობელური სისტემის გარეშე აგრესიისაგან დაცვისათვის. სათავადო ასევე წარმოადგენდა ფეოდალთა კლასობრივი ინტერესების დაცვის საშუალებას და მასების დათრგუნვის ფუნქციას ასრულებდა.

სათავადო-სენიორიის, როგორც ერთადერთი სამეურნეო და სამხედრო დასაყრდენის, როლი კარგად ესმოდა სამეფო ხელისუფლებას, რომელიც სათავადო სახლების გაუყრელობას ცდილობდა (იხ. ვახტანგის სამართლის 98-ე მუხლი).

შუა საუკუნეთა საქართველოში, არ შექმნილა ისეთი ძალა, რომელიც დაუპირისპირდებოდა სათავადო-სენიორიას წარმოებისა და სამხედრო სფეროებში. ასეთი ძალა „მესამე წოდებაა"[30]. სანამ ასეთი ძალა არ შექმნილა, ზედმეტია საუბარი სენიორიისა და საერთოდ ფეოდალთა კლასის „დრომოჭმულობისა" და „რეაქციულობის" შესახებ.

ამდენადვე, მცდარია შეხედულება, თითქოს საქართველოს დაქუცმაცებულობის გახანგრძლივება სათავადოს „დამსახურება" იყოს. არც ერთ ქვეყანაში სენიორიას არ შეუწყვია ხელი ქვეყნის გაერთიანებისათვის. ამას ხელს ვერც ქართული სათავადო შეუწყობდა. ფეოდალური დაქუცმაცებულობის გახანგრძლივების საფუძველი ქართული ქალაქის თავისებურებებში უნდა ვეძიოთ.

2. ქართული ფეოდალური ქალაქის თავისებურებების შესახებ

შუა საუკუნეთა ქართული ფეოდალური საზოგადოების განვითარების თავისებურებათა შესწავლა შეუძლებელია ქართული ფეოდალური ქალაქის ზოგადი ფიზიონომიის გათვალისწინების გარეშე. საკითხის არსის ნათელყოფა გულისხმობს ქართული ქალაქის ტიპოლოგიური კუთვნილების გარკვევას.

წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგადტიპოლოგიური თვალსაზრისით ქართული ფეოდალური ქალაქი შეიძლება იყოს ან „დასავლეთევროპული" ან „აღმოსავლური".

მკვლევართა აზრით, აღმოსავლურ ქალაქს გარკვეული თავისებურებანი გააჩნია. აღმოსავლურ ქალაქში (იაპონიის გამოკლებით) არ წარმოშობილა განვითარებული საქალაქო თვითმმართველობა. ამ მნიშვნელოვან ფაქტს ორიენტალისტთა ნაწილი ხსნის იმით, რომ აღმოსავლეთში ფეოდალური წრეები დაკავშირებული იყვნენ მსხვილ ვაჭრობასთან, საგარეო-საბითუმო და სატრანზიტო-საქარავნო აღებ-მიცემობასთან[31]. „ფეოდალების კავშირი დიდვაჭრებთან და საქარავნო ვაჭრობასთან გამორიცხავდა ვაჭრების მიწისმფლობელი არისტოკრატიის წინააღმდეგ დაპირისპირებას. პირიქით, ისინი ფეოდალებ-

[30] იხ. Ф. Энгельс, О разложении феодализма и возникновении национальных государств, К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. 21, М., 1961, გვ. 406—412.

[31] История стран зарубежной Азии в средние века, М., 1970, გვ. 9—10.

თან ერთად მონაწილეობდნენ „ქალაქის მოსახლეობის“ ექსპლუატაციაში. ამიტომ სოციალური მოძრაობების მახვილი მიმართული იყო როგორც ფეოდალების, ისე დიდვაჭრების წინააღმდეგ. თავის მხრივ დიდვაჭრები მტრულად იყვნენ განწყობილი ხელოსანთა გაერთიანებებისადმი და ქალაქებში მიმდინარე სოციალურ მოძრაობებისადმი“[32].

ამდენად, ფეოდალების და სავაჭრო წრეების კავშირი, მათი ინტერესების თანხვდომა მიჩნეულია იმის მიზეზად, რომ აღმოსავლეთში ქალაქი არ დაპირისპირებია ფეოდალებს, საქალაქო წრეები არ ჩამოყალიბებულან როგორც მკვეთრად ანტიფეოდალური ძალა. „История Азии—это своего рода нерасчлененное единство города и деревни“[33].

აღმოსავლური ქალაქის თავისებურებათა გათვალისწინებით, მკვლევართა ერთი ნაწილი თვლის, რომ მას არ შეეძლო მოეცა საფუძვლები კაპიტალიზმის განვითარებისათვის[34]. კაპიტალიზმის განვითარებისათვის ხელისშეწყობა გულისხმობს ქალაქის ანტიფეოდალურ ძალად ჩამოყალიბებას, რასაც აღმოსავლეთში არ ჰქონია ადგილი. აღმოსავლური საზოგადოებების სტაგნაციის ძირითადი მიზეზი სწორედ აღმოსავლური ქალაქის ამგვარი განუვითარებლობა იყო[35].

ტიპოლოგიურად განსხვავებულია დასავლეთევროპული ქალაქი. „В то время, как неистовые битвы госгодствующего феодального дворянства заполняли средневековье своим шумом, незаметная работа угнетенных классов подрывала феодальную систему“[36]. ამ ძალების სათავეში დასავლეთევროპული ქალაქი იდგა. „В XV веке во всей Западной Европе феодальная система находилась, таким образом, в полном упадке; повсюду в феодальные области вклинивались города с антифеодальными интересами, с собственным правом и с вооруженным бюргерством“[37]. XV ს-ის ევროპაში შექმნილ ამ ვითარებას წინ უძღოდა ქალაქთა თავგანწირული ბრძოლა პრივილეგიებისათვის, დამოუკიდებელი, თვითმმართველი ქალაქის სტატუსისათვის. უკვე XIV ს-ის დასაწყისიდან დასავლეთევროპელი მეფეები ცდილობენ განთავისუფლდნენ ფეოდალური ლაშქრისაგან, მნიშვნელოვანწილად ეყრდნობიან მოქალაქეთა ლაშქარს[38]. ყოველივე ეს ქმნის საფუძველს სოფლისა და ქალაქის დაპირისპირებისათვის— „В средние века (германская эпоха) деревня как таковая является отправной точкой истории, дальнейшее развитие которой протекает затем в форме противоположности города и деревни“[39]. სწორედ ამგვარ დაპირისპირებაში

[32] გ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქები XI—XIII საუკუნეებში, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, I, თბ., 1966, გვ. 15—16.

[33] К. М а р к с и Ф. Э н г е л ь с, Сочинения, т. 46, ч. I, გვ 470.

[34] ამ მკვლევართა (გ. ლ ე ვ ი ნ ი, ი. შ ე ნ ო, ე. ჰ ო ბ ს ბ ა უ მ ი და სხვ.) მოსაზრებები მოტანილი აქვს ი. კ ა ჩ ა ნ ო ვ ს კ ი ს და იძლევა მათ საკმაოდ უღიმღამო კრიტიკას (იხ. Ю. В. К а ч а н о в с к и й, Рабовладение, феодализм или азиатский способ производства?, М., 1971, გვ. 90—91, 257—260).

[35] ე. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ფეოდალური საქართველოს ქალაქების ურთიერთობანი მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებთან, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, I, გვ. 188—192.

[36] К. М а р к с и Ф. Э н г е л ь с, Сочинения, т. 21, გვ. 406.

[37] იქვე, გვ. 509.

[38] იქვე, გვ. 413.

[39] იქვე, გვ. 470.

გამოვლინდა, ფ. ტიოკეის აზრით, ევროპული შუა საუკუნეების მსოფლიო-ისტორიული არსი. „Эта сущность заключается в том, что в европейском средневековье город выступает по отношению к деревне как самостоятельная сила“[40].

როგორც ცნობილია, სწორედ ანტიფეოდალურმა დასავლეთევროპულმა ქალაქმა დაამსხვრია სენიორული ბარიერები სამეფო ხელისუფლებასთან კავშირში და თვისობრივად ახალი სურათი შექმნა ევროპაში.

ამგვარად, ზოგადტიპოლოგიური თვალსაზრისით ევროპული და აღმოსავლური ქალაქები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. საფიქრებელია, რომ მათ შორის განსხვავება არ არის მხოლოდ ზოგადტიპოლოგიური ხასიათისა.

დასავლეთევროპული ქალაქი ანტიფეოდალურ ძალად ევროპული ფეოდალიზმის პირობებში განვითარდა. თვით ევროპული ფეოდალიზმი კლასობრივი საზოგადოების განვითარებაში წარმოადგენდა განვითარებულ საფეხურს, მაშინ როდესაც შუა საუკუნეთა აზიურ-ფეოდალური საზოგადოებები ძირითადად განვითარების ადრეკლასობრივი ეტაპის ტენდენციებს განასახიერებდნენ[41]. ეს კი უკვე სტადიალურად განასხვავებს ერთმანეთისაგან „ევროპულ ფეოდალიზმსა და „აღმოსავლურ ფეოდალიზმს“. როგორც გ. მელიქიშვილი აღნიშნავს: „...შუასაუკუნეების აღმოსავლეთის აზიურ-ფეოდალური საზოგადოებები, ისევე როგორც ე. წ. „მომთაბარული ფეოდალიზმი“, „მთური ფეოდალიზმი“ და სხვ., განასახიერებენ სტადიალურად უფრო დაბალ საფეხურს კლასობრივი საზოგადოების განვითარებაში... განვითარებულ დასავლეთევროპულ და ტიპოლოგიურად მასთან ახლო მდგომ ფეოდალურ საზოგადოებებთან... შედარებით“[42]. დასავლეთევროპული ფეოდალიზმისა და „აღმოსავლური ფეოდალიზმის“ ტიპოლოგიური და სტადიალური სხვაობა კარგად ხსნის სათანადო სისტემათა ქალაქების არა მარტო ტიპოლოგიურ, არამედ სტადიალურ სხვაობასაც. ნათელი ხდება, რომ აღმოსავლურ ქალაქს არ შეეძლო შეესრულებინა ის როლი, რაც დასავლეთევროპულმა ქალაქმა შეასრულა.

ყოველივე ამას პირდაპირი მნიშვნელობა აქვს ქართული ფეოდალური საზოგადოების განვითარების თავისებურებათა გათვალისწინებისათვის. ქართული ფეოდალიზმი „დასავლური ფეოდალიზმის“ გზით ვითარდებოდა, რასაც ჰქონდა თავისი ღრმა და სპეციფიკური მიზეზები[43]. შეიძლება ითქვას, რომ ქართული ფეოდალიზმი ტიპოლოგიურად ახლომდგომია დასავლეთ ევროპულ ფეოდალიზმთან და განვითარებულ კლასობრივ საზოგადოებებს განეკუთვნება. ქართული ფეოდალური ქალაქი კი ტიპოლოგიურად აღმოსავლურ ქალაქს უახლოვდება.

ქართული ფეოდალური საზოგადოების განვითარების არსებით თავისებურებად ტიპოლოგიურად „დასავლეთევროპულთან“ ახლომდგომი ქართუ-

---

[40] Ф. Тёкеи, К теории общественных формаций, М., 1957, გვ. 12—20.

[41] გ. მელიქიშვილი, კლასობრივ საზოგადოებათა ტიპოლოგიური და სტადიალური კლასიფიკაცია და უძველესი კლასობრივი საზოგადოებების ხასიათის საკითხი, „მაცნე“, ისტორიის სერია, № 3, 1971, გვ. 114.

[42] იქვე, გვ. 115.

[43] გ. მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, გვ. 78.

ლი ფეოდალიზმისა და ტიპოლოგიურად „აღმოსავლურთან“ ახლომდგომი ქართული ფეოდალური ქალაქის თანაარსებობა გვესახება.

ქართულ ფეოდალურ ქალაქში, არაბთა ხანგრძლივი ბატონობის შემდეგ ძალზე დიდი იყო აღმოსავლური ურბანისტული ინსტიტუტების გავლენა. შემდევნო საუკუნეებშიც ქართულ ქალაქს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა აღმოსავლურ სამყაროსთან, აღმოსავლურ ქალაქთან ჰქონდა. სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების აღმოსავლეთთან მიჯაჭვას და თვით ამ ურთიერთობათა უდიდეს მნიშვნელობას არ შეეძლო ქართული ფეოდალური ქალაქისათვის თავისებური სახე არ მიეცა.

საკმაო მნიშვნელობისა იყო ის ფაქტიც, რომ მთელი შუასაუკუნეების განძილზე ქართული ქალაქის სავაჭრო-ხელოსნური წრეების დიდი ნაწილი ეთნიკურად და კონფესიონალურად განსხვავდებოდა ქვეყნის ძირითადი მოსახლეობისაგან[44], რასაც თავის მხრივ არ შეეძლო არ შეესუსტებინა ქალაქების როლი ქვეყნის ცხოვრებაში[45]. ამ უცხო ელემენტისათვის არ შეიძლებოდა ორგანულად მახლობელი ყოფილიყო საქართველოს ინტერესები და მათი პოლიტიკური ორიენტაციაც ეკონომიკური და კონფესიონალური ფაქტორების გამო აღმოსავლური იყო. გარდა კონკრეტული პოლიტიკური ფაქტორებისა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ ქართული ფეოდალური ქალაქის წამყვანი სავაჭრო-ეკონომიკური წრეების მიჩართთავსიჩენდაის კანონზომიერებანი, რაც დამახასიათებელი იყო მათი სოციალური თანამოძმეებისათვის აღმოსავლეთის ქალაქებში. ეს წრეები უკავშირდებოდნენ ფეოდალებს, რაც გამორიცხავდა ამ ორ ძალას შორის ანტაგონიზმს.

ვფიქრობთ, არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ ქართული ქალაქი თავის სტადიალურ განვითარებაში ჩამორჩებოდა ქართულსავე ფეოდალიზმს, რაც ერთი შეხედვით შეიძლება უცნაური ჩანდეს, მაგრამ თუ ქართულ და „აღმოსავლურ“ სტრუქტურებს შევადარებთ, ეს საკითხი სავსებით რეალურად დადგება. ქართული ქალაქი იმდენად მჭიდროდ იყო დაკავშირებული აღმოსავლურ ქალაქთან, რომ ცხადია, არ შეეძლო რაიმე არსებითი გავლენა მოეხდინა „დასავლეთევროპული“ ტიპის განვითარებული კლასობრივი საზოგადოების, ქართული ფეოდალიზმის შემდგომ სოციალურ პროგრესზე.

ყოველივე ეს, ვფიქრობთ, ნათელს ხდის, რომ საქართველოში ჩვენთვის საინტერესო ხანაში, არ იყო ნიშნები დასავლეთ ევროპული ტიპის ქალაქებისა და „მესამე წოდებისა“.

ქართული ფეოდალური ქალაქის განვითარების ამ არსებით თავისებურებათა გამო, ქვეყნის ეროვნული იერისა და სოციალურ-პოლიტიკური სისტემის დაცვა ფეოდალურ სენიორიას დაეკისრა. ვფიქრობთ, ნათელია ისიც,

---

[44] ი. სურგულაძე, ქალაქების მნიშვნელობა ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივ წყობილებაში, თსუ შრომები, ტ. 89, თბ., 1960, გვ. 35—42; ქ. ჩხატარაიშვილი, ი. შაიშმელაშვილი, დიდგორის ბრძოლა, თბ., 1973, გვ. 31—33; გ. მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, გვ. 79.

[45] ანალოგიისათვის იხ. პოლონეთში უცხო ეკვართა ჩამოსახლების საკმაოდ მკვეთრი უარყოფითი შეფასება: История Польши, т. I, М., 1954, გვ. 83—85.

რომ თვით სენიორალური სისტემის ლიკვიდაცია და ქვეყნის თვისობრივად ახალი გაერთიანება (იგულისხმება ევროპის რეგიონისათვის დამახასიათებელი, აღმოსავლური დესპოტიებისაგან განსხვავებული, განვითარებული ფეოდალური ხანის მიწურულს ქალაქებზე დაყრდნობით შექმნილი გაერთიანებები) ქალაქის ამგვარი სოციალური განვითარების პირობებში საკმაოდ უპერსპექტივო ამოცანად ჩანდა.

ამდენად, ქვეყნის თვისობრივად ახალი გაერთიანების ხელისშემშლელი ძირითადი ფაქტორი ქალაქის განუვითარებლობა იყო და არა სენიორიათა სისტემა.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება რამდენიმე ზოგადი დასკვნა გავაკეთოთ:

1. საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქია ძირითადად ადრეფეოდალურ საფუძველზე იყო შექმნილი.

2. განვითარებული ფეოდალიზმი მთელ ბარის საქართველოში შეიძლება განისაზღვროს XII ს. 80-იანი წლებიდან ვიდრე XVIII ს. II ნახევრამდე. XII—XV საუკუნეები ბატონყმობის ფორმირების, განვითარებული ფეოდალური სენიორიისა და ფეოდალური საკუთრების განვითარებული ფორმების სრულიად ჩამოყალიბების ხანაა.

3. საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის დაშლა ქართული ფეოდალური საზოგადოების განვითარების კანონზომიერი შედეგი იყო.

4. განვითარებულმა ფეოდალურმა სენიორიამ („სათავადომ") მუდმივმოქმედი საგარეო ფაქტორის პირობებში სპეციფიკური დადებითი როლი შეასრულა ქართული სოციალ-პოლიტიკური სისტემის შენარჩუნების საქმეში.

5. ქართული ფეოდალური საზოგადოების განვითარების არსებით თავისებურებას წარმოადგენდა ტიპოლოგიურად და სტადიალურად „დასავლეთ-ევროპულ" ფეოდალიზმთან ახლომდგომი ქართული ფეოდალიზმისა და ტიპოლოგიურად და სტადიალურად „აღმოსავლურთან" ახლომდგომი ქართული ქალაქის თანაარსებობა, რამაც საგარეო ფაქტორთან ერთად შეაპირობა განვითარებული ფეოდალიზმის გახანგრძლივება საქართველოში.

И. П. АНТЕЛАВА

РАСПАД ЕДИНОЙ МОНАРХИИ И ПРОБЛЕМА ПЕРИОДИЗАЦИИ ИСТОРИИ СРЕДНЕВЕКОВОЙ ГРУЗИИ

Резюме

В статье распад единой монархии Грузии рассматривается как результат закономерного развития грузинского феодального общества. XIII—XV вв. являлись, по мнению автора, периодом полного формирования крепостничества, возникновения развитой феодальной сиьнории («сатавадо») и окончательного складывания развитых форм феодальной земельной собственности.

Автор приходит к выводу, что грузинская феодальная синьория в силу специфической исторической обстановки сыграла положительную роль в деле защиты и сохранения «Картвелоба» — грузинской социально-политической системы.

Грузинский феодализм типологически и стадиально был близок к «западноевропейскому» феодализму. Грузинский же феодальный город носил явно выраженный «восточный» характер, почему там и не возникло «третье сословие». Грузинский средневековый город не мог стать антифеодальной силой, способной активно повлиять на социальный прогресс общества, что и привело к консервации развитого феодализма в Грузии вплоть до II половины XVIII века.

გურამ მაისურაძე

ფეოდალიზმის ისტორიის პერიოდიზაცია ამიერკავკასიის ქვეყნებში

(ძირითად მოსაზრებათა შედარებითი განხილვის ცდა)

წინამდებარე სტატია ისტორიოგრაფიული ხასიათისაა და მიზნად ისახავს საქართველოში ფეოდალური ურთიერთობის ისტორიის პერიოდიზაციის კვლევისათვის მეზობელი ქვეყნების ვითარების გათვალისწინებას.

ამიერკავკასიაში ფეოდალური ურთიერთობის თავისებურებათა და მისი განვითარების ეტაპების შესახებ წინა და თანამედროვე თაობათა მდიდარი მეცნიერული შემკვიდრეობის სწორი შეფასება, ვფიქრობთ, შესაძლებელია დასახელებულ პრობლემაზე გამოთქმული ყველა შეხედულების განხილვით საბჭოთა საისტორიო მეცნიერების დღევანდელი პოზიციებიდან, რომელსაც ჩვენი აზრით, ყველაზე უკეთ გამოხატავს აკად. გ. მელიქიშვილის მიერ შემუშავებული კრიტერიუმი კლასობრივი საზოგადოების განვითარების კანონზომიერებათა შესახებ[1]. იგი ემყარება საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციებზე მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების ღრმა გაგებას, რომლის მიხედვითაც ერთი საზოგადოება (ერთი სისტემა) მეორისაგან განსხვავდება, პირველ ყოვლისა, წარმოებითი ურთიერთობებით—ეკონომიური ბაზისით, რომელიც ძირითადად საკუთრების ურთიერთობათა სახით ვლინდება. სწორედ ეს არსებითი მომენტი „საკუთრების ურთიერთობა“ (ფორმებისა და მათი ფუნქციონირების დონის მიხედვით) საფუძვლად უდევს გ. მელიქიშვილის მიერ კლასობრივ საზოგადოებათა ტიპოლოგიურ და სტადიალურ კლასიფიკაციას. ასე რომ, საკუთრების განვითარების დონისა და ხასიათის მიხედვით შეიძლება განისაზღვროს არა მარტო თვით საზოგადოების განვითარების დონე, არამედ მისი ბუნებაც, მისი ტიპი, რამდენადაც საკუთრების გარკვეული ფორმისა და განვითარების ხარისხს შეეფარდება შესაბამისი საზოგადოებრივი სტრუქტურა. ზოგადი ბუნების გამო ამ პრინციპით შეიძლება, როგორც დიდი ეპოქების ტიპოლოგიური და სტადიალური დახასიათება, ისე ცალკეული კლასობრივი საზოგადოების შიგნით განვითარების ეტაპების გამოყოფა და თითოეული მათგანის თავისებურებათა განსაზღვრა. ფეოდალური საკუთრების დარგშიც ურთიერთობის ხასიათი და მისი შესაბამისი კლასობრივი სტრუქტურა ასევე განვითარების გარკვეული საფეხურის მაჩვენებელია. განხილული პრინციპების თვალსაზრისით არაერთი წინა თაობის ამიერკავკასიელი მკვლევრის ნაშრომში შეიძლება აღმოვაჩინოთ რაციონალური მარცვალი, სადაც თავისებურადაა გა-

---

[1] იხ. გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, კლასობრივ საზოგადოებათა ტიპოლოგიური და სტადიალური კლასიფიკაცია და უძველესი საზოგადოებების ხასიათის საკითხი, „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, 1971, № 3, გვ. 104—127; მ ი ს ი ვ ე, მახლობელი აღმოსავლეთისა და კავკასიის უძველესი კლასობრივი საზოგადოებების ბუნების საკითხისათვის, ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული თბ., 1976, გვ. 145—171, და სხვა ნაშრომები.

აზრებული და შენიშნული მოცემულ რეგიონში საზოგადოებრივი განვითარების ტიპოლოგიური და სტადიალური ხასიათი.

ისტორიოგრაფიულ ლიტერატურაში ამიერკავკასიის ქვეყნებში ფეოდალიზმამდელი თუ ფეოდალიზმზე გარდამავალი ხანის შესახებ რამდენიმე განსხვავებული მოსაზრებაა გამოთქმული. უფრო ადრინდელი შეხედულებით აქ გვაქვს გვაროვნულ-თემური საზოგადოება, რომლის რღვევაც გვაძლევს ფეოდალურ ურთიერთობას; მეორე შეხედულებით გვაროვნულ წყობილებას აქ ცვლის მონათმფლობელური ფორმაცია, რომლის კრიზისიც შემდეგში იწვევს ფეოდალურ ურთიერთობაზე თანდათანობით გადასვლას. არის მესამე შეხედულებაც, რომლის თანახმად ამ რეგიონში ადგილი აქვს „მარადიული ფეოდალიზმის“ თუ „ნახევრადფეოდალურ“ ვითარებას, როცა ფეოდალიზმის მკვეთრად გამოხატულ ნიშნებთან ერთად თანაარსებობენ პირველყოფილ-თემური წყობილების ძლიერი გადმონაშთები და პატრიარქალური მონობა.

თითოეული ეს მოსაზრება, ვფიქრობთ, გამოხატავს მეცნიერების განვითარების იმდროინდელ დონეს, რომლის მიხედვითაც საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ მომენტს ექცეოდა მეტი ყურადღება და ამისდა შესაფერისად წინ წამოიწეოდა. ასე მაგალითად, ჩვენი საუკუნის დასაწყისში გვაროვნული წყობილების მეცნიერულმა შესწავლამ და ამ მხრივ დიდძალი მასალის დაგროვებამ წარმოშვა შეხედულება საზოგადოებრივ განვითარებაში მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ, რამაც სათანადო ასახვა პოვა ივ. ჯავახიშვილისა და ნ. ადონცის კონცეფციებში[2]. ჩვენი საუკუნის 20-იანი წლების დასასრულსა და 30-იანი წლების დასაწყისში აღმოსავლეთის მკვლევართა ყურადღების ცენტრში მოექცა მასალა, რომელიც ძველაღმოსავლურ საზოგადოებათა მონათმფლობელურობის თვალსაზრისის განმტკიცებას უწყობდა ხელს, რაც შესაფერისად აისახა ამიერკავკასიის ისტორიის მკვლევართა შეხედულებებში (ს. ჯანაშია, ს. ერემიანი და სხვები). საბჭოთა აღმოსავლეთმცოდნეობის შემდგომი განვითარების ზეგავლენით მონათმფლობელური თეორიის მომხრეები თანდათან აზუსტებენ თავიანთ პირვანდელ წარმოდგენებს. ამიერკავკასიაში ნახულობენ მონათმფლობელური საზოგადოების სხვადასხვა ტიპებს, რომლებიც ექსპლუატაციის შერბილებული ხასიათით გამოირჩევიან. ამ საზოგადოებებში სულ უფრო ხშირად ამჩნევენ წინამორბედი საზოგადოების ძლიერ გადმონაშთებსა და ფეოდალური საკუთრებისა და ექსპლუატაციის ფორმებს (გ. სარქისიანი და სხვები). ერთი სიტყვით, ფაქტების ზეგავლენით მათ შეხედულებებში, შეიძლება ითქვას, იწყება თანდათანობითი გადახრა მეორე მხარეს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მონათმფლობელურობის თვალსაზრისს სომხეთში თავიდანვე წინ აღუდგა ისტორიკოსთა საკმაოდ მნიშვნელოვანი და ავტორიტეტული ჯგუფი აკად. ი. მანანდიანის მეთაურობით.

დღეისათვის მკვლევართა შორის სულ უფრო კლებულობს იმათი რიცხვი, ვინც ძველაღმოსავლურ და ამიერკავკასიის ძველ საზოგადოებას მონათმფლობელურად მიიჩნევს. 60-იანი წლების დისკუსიის განმაზოგადებელი და ყველასთვის მისაღები დასკვნა იყო იმის აღიარება, რომ წყაროებიდან მიღებული მასალები ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის შესახებ ვერ თავსდე-

---

[2] И. Джавахов, Государственный строй древней Грузии и древней Армении, СПб., 1905; Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, СПб, 1908.

ბა აქამდე მიჩნეულ სქემებში[3]. უკანასკნელ დროს ქართულ ისტორიოგრაფიაშიც გადაისინჯა მანამდე თითქმის საყოველთაოდ გაბატონებული თეზისი და ასეთ შემაჯამებელ ნაშრომში, როგორიცაა „საქართველოს ისტორიის ნარკვევები", უარყოფილია ძველი ქართული კლასობრივი საზოგადოების მონათმფლობელურობა[4]. თითქმის იმავდროულად გამოქვეყნებული ანალოგიური გამოცემა — „სომეხი ხალხის ისტორია" (შესაბამისი თავების ავტორები ს. ერემიანი, გ. სარქისიანი) კვლავ იცავს თეზისს ძველი სომხეთის საზოგადოების მონათმფლობელურობის შესახებ. ამასთან დაკავშირებით სავსებით სამართლიანად შენიშნავს გ. მელიქიშვილი, რომ ძველი სომხური საზოგადოების მიმართ ჩვენ არ ვფლობთ რაიმე განსაკუთრებულ მონაცემებს, რაც მიუთითებდეს აქ მონათმფლობელური წყობის განსაკუთრებით მაღალ ხვედრით წონაზე[5]. მეტ სიფრთხილეს იჩენენ აზერბაიჯანელი ისტორიკოსები ალბანეთის საზოგადოების სოციალურ-ეკონომიური წყობილების განსაზღვრაში, რომლებიც მას ზოგჯერ „წინაფეოდალურად" ახასიათებენ[6].

ვფიქრობთ, შემთხვევითი არაა, როცა წინა თაობის გამოჩენილი ისტორიკოსები მსგავს, ზოგჯერ ანალოგიურ მოვლენებს ამჩნევდნენ ძველსა და შუა საუკუნეების სომხეთის სოციალ-ეკონომიურ განვითარებაში, რის გამოც ფეოდალიზმის წარმოქმნას სომხეთში ძალზე შორეულ ხანაში ვარაუდობდნენ, ზოგჯერ კი ამ ურთიერთობის ჩასახვის თარიღად ძ. წ. ა. VI საუკუნესაც ასახელებდნენ. წყაროებიდან მომდინარე მეცნიერული მასალის ასეთი მსგავსების საფუძველზე უნდა გაჩენილიყო „მარადიული ფეოდალიზმის" თვალსაზრისიც, რომლის მიმდევრებად სომხეთში ხ. სამველიანსა და ზოგჯერ ი. მანანდიანსაც მიიჩნევენ. ხოლო ფეოდალიზმამდელი თუ ფეოდალიზმზე გარდამავალი ხანის ისეთი კვალიფიკაციები; როგორიცაა „პირველყოფილი ფეოდალიზმი" (ნ. ადონცი), „ნახევრადფეოდალური წყობილება" (ი. მანანდიანი) და სხვა, თითქოს სტადიალური განსხვავების ცნებასაც უნდა შეიცავდნენ. გასაგებია, რომ მარქსისტული დიალექტიკური მეთოდის გამოუყენებლად ასეთ განსხვავებათა სათანადო მეცნიერული სიღრმით გააზრება ძალზე ძნელია. ამიტომ იყო, რომ მათ ამასთან ერთად, ვერც ფეოდალიზმის მეცნიერულად დასაბუთებული პერიოდიზაციის მოცემა შეძლეს.

მიუხედავად ამისა, ამ მემკვიდრეობაში საგრძნობი ზომითაა მოცემული რაციონალური მარცვალი, რომლის შემოქმედებითად ათვისებასა და ისტორიული მატერიალიზმის საფუძველზე განვითარებას მნიშვნელოვანი შედეგების მოცემა შეუძლია სომხური ფეოდალიზმის კვლევის საქმეში.

ისტორიული აზრის განვითარების ამ მეტად მოკლე და სქემატურ მიმოხილვაშიც კი, ვფიქრობ, ძნელი არ არის დავინახოთ წამყვანი ტენდენცია, რომლის მიხედვითაც ამიერკავკასიის ძველი საზოგადოების განვითარების მთავარი მიმართულება ფეოდალიზმის წარმოქმნა იყო.

ასეთი ტენდენციის უპირატესობა ჩვენ სავსებით ბუნებრივი გვეჩვენება, რადგანაც, ვიდრე წარმოების ძირითად საშუალებად მიწა რჩებოდა, ფეოდა-

---

[3] Общее и особенное в историческом развитии стран Востока, М., 1966, გვ. 244.

[4] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970; უფრო ადრე იხ. გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ძველი საქართველოს სოციალ-ეკონომიკური წყობის საკითხი, „მაცნე", 1966, № 1.

[5] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, მახლობელი აღმოსავლეთისა და კავკასიის უძველესი კლასობრივი საზოგადოების ბუნების საკითხისათვის, გვ. 160.

[6] История Азербайджана, т. I, 1958, გვ. 76 და 85.

ლური ურთიერთობანი უფრო უკეთ უზრუნველყოფდნენ საწარმოო ძალების განვითარებასა და საზოგადოების შემდგომ წინსვლას (ამ მხრივ, გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს საბერძნეთი და რომი, სადაც სპეციფიკურმა ისტორიულ-ბუნებრივმა პირობებმა საზოგადოების განვითარებას განსხვავებული მიმართულება მისცეს).

დღეს სომხურ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ფეოდალიზმის გენეზისისა და ამ ურთიერთობის გაბატონების თარიღის შესახებ ერთიანი აზრი არაა შემუშავებული. ისინი ვინც ფეოდალიზმის გენეზისს მონათმფლობელური წყობილების კრიზისს უკავშირებენ, მათი დათარიღება ამ მოვლენისა I—III საუკუნეებს შორის მერყეობს (ს. ერემიანი, გ. სარქისიანი, ა. სუქიასინი და სხვა). ისტორიკოსთა უმრავლესობა ადრეფეოდალური ხანის დასაწყისად სომხეთში III ან IV საუკუნეს მიიჩნევს. ამ დათარიღებებს საფუძვლად უდევს საზოგადოების ეკონომიურ პირობებში მომწიფებული გარდატეხის პროცესის ძიება. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში კარგ ორიენტირს წარმოადგენს ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების ფაქტი, რაც საზოგადოების ბაზისში მომხდარი თვისებრივი ცვლილებების რეალური ასახვა იყო ზედნაშენში. შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ განვითარების დაახლოებით ერთ დონეზე მდგომ საქართველოსა და სომხეთშიც ქრისტიანობა IV ს-ის დასაწყისში გაბატონდა. ასე რომ, ამ ქვეყნებში ადრეფეოდალური ხანის დაწყების უფრო შესაფერის თარიღად შეიძლება IV საუკუნე მიგვეჩნია.

ცდილობენ რა ფეოდალიზმის ისტორიის პერიოდიზაცია აზერბაიჯანში შეუფარდონ საქართველოსა და სომხეთის ვითარებას, აზერბაიჯანელი ისტორიკოსები ადრეფოდალური ხანის დასაწყისს აქ IV საუკუნისათვის ვარაუდობენ. ამიერკავკასიელ ისტორიკოსთა უმრავლესობა ამ თვალსაზრისს არ იზიარებს. ამ დროის ალბანეთის სოციალ-ეკონომიური განვითარების დონის განსაზღვრისას მკვლევრები ჩვეულებრივ ეყრდნობიან ალუენის საეკლესიო კრების დადგენილებას, რომელიც V ს-ის დასასრულს მიეკუთვნება. ხსენებული კანონიკური ძეგლის ანალიზის საფუძველზე აკად. ს. ერემიანი ასკვნის: IV—VI სს. ალბანეთში თუმცა კი შეინიშნება ფეოდალიზაციის პროცესი, მაგრამ აქ ჯერ კიდევ გაბატონებული ჩანს პირველყოფილი თემური წყობილება და მონათმფლობელური წყობა (уклад), რის გამოც ეს ქვეყანა თავის განვითარებაში რამდენადმე ჩამორჩებოდა სომხეთსა და იბერიას[7]. ისტორიული მასალა მოცემული დასკვნის მეტი გაღრმავების საშუალებასაც იძლევა. ამ დროის ალბანეთის საზოგადოებაში ფეოდალურ ურთიერთობათა დამყარებაზე ლაპარაკი, ვფიქრობთ, ძნელია, რამდენადაც იგი საკმაოდ ნათლად ამჟღავნებს ადრეკლასობრივი საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. აქ, ალბათ, უფრო შესაფერისი იქნებოდა მსჯელობა მხოლოდ ფეოდალური განვითარების ტენდენციაზე.

დღეისათვის სომხურ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში შედარებით უფრო ფართოდ გაზიარებულია აკად. ს. ერემიანის მიერ შემუშავებული პერიოდიზაცია. ამის მიხედვით ადრეფოდალური ხანა სომხეთში მოიცავს IV—VIII საუკუნეებს, IX საუკუნიდან იწყება განვითარებული ფეოდალიზმის ხანა, რომელიც XIII ს-ის 70 წლებამდე გრძელდება, ხოლო ამ დროიდან მოყოლებული XIX

[7] Очерки истории СССР III—IX вв., М., 1958, გვ. 306—308.

საუკუნემდე სომხეთში ფეოდალიზმის ხანგრძლივი და სისტემატური ნგრევისა და ლიკვიდაციის პერიოდია.

ადრეფეოდალური ეტაპის ქრონოლოგიური ჩარჩოების განსაზღვრისას ს. ერემიანი უმთავრესად ეკონომიურ მომენტებს ეყრდნობა. ს. აკოფიანი ამასთან ერთად დიდ ყურადღებას უთმობს კლასობრივ სტრუქტურაში მიმდინარე პროცესებს, რაც საშუალებას აძლევს, ჩვენი აზრით, უფრო ზუსტად განსაზღვროს ადრეფეოდალური ხანის ქრონოლოგიური ჩარჩოები სომხეთში. ფეოდალური საკუთრების განვითარების დონეში მომხდარი ხარისხობრივი ცვლილების ქრონოლოგიური მიჯნა, ს. აკოფიანის მიხედვით, სულ ცოტა X საუკუნეზე მაინც მოდის, რადგანაც, მისივე მტკიცებით, თუ ნახარარული „ჰაირენიქ"-ი (ე. ი. მამული) მხოლოდ ზოგიერთ მსგავსებას ამჟღავნებდა მეროვინგების ხანის ალოდთან, ბაგრატიდებისა და ზაქარიდების დროის (იგულისხმება მხარგრძელთა ფეოდალური მფლობელობის პერიოდი სომხეთში) „ჰაირენიქი" უკვე უთანაბრდება ალოდსა და რუსულ ვოტჩინას. დაახლოებით, იმავე X საუკუნეზე დებს იგი ხარისხობრივ მიჯნას სოციალურ განვითარებაშიც. ს. აკოფიანის დაკვირვებით, მიუხედავად სასოფლო თემის დაშლის გაღრმავებული პროცესისა, IV—X სს-ში გლეხთა უმრავლესობას მაინც ჰქონდა თავისუფალი ადგილგადანაცვლების უფლება და სადღაც X—XIII სს შორის იძენს მხოლოდ მოქალაქეობრივ უფლებას ტერმინი „ჰორთი" (ე. ი. ყმა)[8].

ამრიგად, ს. აკოფიანის აზრით, ადრეფეოდალური ხანა სომხეთში IV — X სს მოიცავს, რითაც მნიშვნელოვნად აფართოებს ს. ერემიანის მიერ დადგენილ ქრონოლოგიურ ჩარჩოს ამ პერიოდისათვის.

როგორც უკვე ითქვა, წყაროები საშუალებას არ იძლევიან IV—VI სს-ის ალბანეთში ადრეფეოდალური ხანის დაწყებაზე ვიმსჯელოთ. მიუხედავად ამისა აზერბაიჯანელი ისტორიკოსები IV—IX სს. ამ ქვეყნისთვისაც ადრეფეოდალურ ხანად მიიჩნევენ და შესაფერისი მოვლენების დანახვას ცდილობენ[9].

ამასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით აზერბაიჯანის ისტორიის IV—IX სს-ის სრულიად განსხვავებულ სოციალ-ეკონომიურ დახასიათებასაც. მაგალითად, ი. პეტრუშევსკი, რომელსაც მონოგრაფიულად აქვს შესწავლილი სომხეთისა და აზერბაიჯანის ფეოდალური წყობილება XVI—XIX სს-ში, ფიქრობს, რომ IV—IX სს ალბანეთსა და სამხრეთ აზერბაიჯანში არის პატრიარქალურ-მონათმფლობელური საზოგადოებიდან პატრიარქალურ-ფეოდალურზე გადასვლის პერიოდი[10] და არა ფეოდალიზმის ფორმირების ხანა, რასაც ჩვეულებრივ ადრეფეოდალური ურთიერთობის პერიოდი გულისხმობს. ამავე საუკუნეებს (ე. ი. IV—IX) სომხეთისათვის იგი მიიჩნევს ფეოდალური საზოგადოების წარმოქმნა-ჩამოყალიბების დროდ[11]. ამით ი. პეტრუშევსკი აღნიშნავს იმ სხვაობასაც, რაც იმ დროისათვის არსებობდა სომხეთისა და ალბანეთის სოციალ-ეკონომიურ განვითა-

---

[8] Ս. Հակոբյան, Հայ գյուղացիության պատմություն, հ. I, Երևան, 1957; հ. 2, Երևան, 1964.

[9] История Азербайджана, т. I, 1958; М. Мамедов, Развитие философской мысли в Азербайджане, МГУ, 1965 и др.

[10] И. П. Петрушевский, Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI — начале XIX вв., Ленинград, 1949, зз. 87—88.

[11] იქვე.

რებაში. ეს განსხვავება კი როგორც მოცემული შედარებიდან ჩანს — სტადიალურია.

1976 წ. გამოქვეყნებული სომეხი ხალხის ისტორიის მესამე ტომში, რომელშიც განვითარებული ფეოდალური ხანის ისტორია არის გადმოცემული, ეს პერიოდი აქ შემოფარგლულია IX ს-ის შუა წლებიდან XIV ს-ის შუა წლებამდე. ეს არსებითად ემთხვევა ს. ერემიანის პერიოდიზაციას, რომელიც მოცემული აქვს ნაშრომში „Основные проблемы периодизации народов Закавказья"[12], იმ განსხვავებით, რომ ტომის ავტორები ერთი საუკუნით აფართოებენ ქრონოლოგიური ჩარჩოს ზედა ზღვარს, ითვალისწინებენ რა კილიკიის სომხეთში არსებულ ვითარებას.

ამ ხანისათვის დამახასიათებელი მოვლენების წარმოჩენისას ავტორები ყურადღებას ამახვილებენ მსხვილი ფეოდალური მიწისმფლობელობის განვითარების მნიშვნელობაზე. აღნიშნავენ საწარმოო ძალთა ზრდას, სასოფლო-სამეურნეო წარმოებასა და ხელოსნობაში ტექნიკის განვითარებას, ფეოდალური ქალაქის წარმოშობასა და განმტკიცებას, მსხვილი ფეოდალური მეურნეობის საერთაშორისო საქონელბრუნვაში ჩაბმას და სხვა. მაგრამ თვით ს. ერემიანის მსჯელობითაც განვითარებული ფეოდალური ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ეს ნიშნები, განსაკუთრებით კი მსხვილი მემკვიდრეული ფეოდალური მამულების გაბატონება, რასთანაც დაკავშირებულია დაყმევების გაღრმავებაც, სომხეთში უფრო რელიეფურად თავს იჩენს X საუკუნეში. ს. აკოფიანიც ფეოდალური საკუთრების განვითარებაში მომხდარი თვისობრივი ცვლილებების მიჯნას სადღაც X—XIII სს შორის დებს (როცა „ჰაირენიქი" უთანაბრდება ალოდსა და რუსულ ვოტჩინას).

სომხეთში განვითარების ამ საფეხურის დადგომის დასათარიღებლად არამცირედი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებების ხასიათის გათვალისწინებასა და ამ ცვლილებათა დასაწყისი პერიოდის განსაზღვრას, ფეოდალური საზოგადოების დაპირისპირებულ, მტრულ კლასებად გათიშვის ხარისხობრივი მიჯნის დადგენას. ასეთი ამოცანის გადაწყვეტა შეეძლო გლეხთა მიწაზე მიმაგრების პროცესის შესწავლას.

როგორც ითქვა, ს. აკოფიანის აზრით, დაყმევების პროცესი სომხეთში სადღაც X—XIII სს შორის იწყებს განვითარებას და მხოლოდ XII ს-ის დასასრულსა და XIII ს-ის დასაწყისში იძენს იურიდიულ გაფორმებას (მხითარ გოშისა და სმბატ გუნდსტაბლის სამართალი).

ბ. არუთინიანმა შეამჩნია, რომ გლეხთა ყმური დამოკიდებულების მანიშნებელი მუხლები მხითარ გოშის სამართლის უმრავლეს ხელნაწერში არაა დაცული და ის საქართველოს სამეფოში შემავალი ჩრდილოსომხური ოლქების ვითარების ამსახველია[13]. თვით ეს მუხლები კი გვაფიქრებინებს რომ „XI—XII საუკუნეებში სოფლის მიწისმოქმედი მოსახლეობის მიწაზე მიმაგრების არსებობა სავარაუდებელია, როგორც ტენდენცია"[14]. ბ. არუთინიანის დასკვნით, გლეხობა, ყოველ შემთხვევაში მისი ძირითადი მასა, XII ს-ის დასას-

---

[12] იხ. Труды объединенной научной сессии по общественным наукам, Баку, 1957.

[13] Б. М. Арутюнян, Социально-экономическое положение крестьян в Армении XII в. по Судебнику Мхитара Гоша, «Вопросы истории», 1952, № 8, გვ. 55.

[14] გ. მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973, გვ. 77

რულსა და XIII ს-ის დასაწყისში ჯერ კიდევ საბოლოოდ დაყმევებული არ იყო[15].

ს. პოღოსიანის საინტერესო დაკვირვებით X—XIII საუკუნეთა წყაროების ტერმინი „ჭორთი“ აღნიშნავდა დამოკიდებულ მდგომარეობას ფართო გაგებით და მხოლოდ XIII ს-ის შემდეგ შეიძინა მან კონკრეტული მნიშვნელობა დამოკიდებული გლეხისა[16].

სომხეთში გლეხთა მიწაზე მიმაგრების თარიღი გაცილებით შორს გადაჰქონდა (XIII—XV სს-ში) ი. პეტრუშევსკის, რომელიც გლეხთა დაყმევებას აქ და აზერბაიჯანში მონღოლთა ბატონობას უკავშირებდა. ამ დებულებამ ლ. ბაბაიანის მწვავე კრიტიკა გამოიწვია[17]. იგი ი. პეტრუშევსკის მოაგონებდა, რომ გლეხთა მიწაზე მიმაგრება უცხო იყო მომთაბარე ფეოდალიზმის ბუნებისათვის, უცხო იყო მიწაზე ჯდომა ჩინგისური იასისათვის, რის გამოც მონღოლებს არ შეეძლოთ დაყმევება და გლეხთა მიწაზე მიმაგრება მოეტანათ.

ამასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ შემდეგი: თუმცა კი ი. პეტრუშევსკი უარყოფს ბატონყმურ დამოკიდებულებას მონღოლებამდელ მახლობელ აღმოსავლეთში, მაგრამ ამასთან თავისებურად განსაზღვრავს გლეხთა მიწაზე მიმაგრების ხასიათს. იგი მართებულად მიუთითებს იმ სპეციფიკურ გარემოებაზე, რომ გლეხი აღმოსავლეთში ფაქტიურად მიმაგრებული იყო გადასახადზე, ხოლო გადასახადი გლეხზე. ამავე დროს იგი შუძლებლად მიიჩნევდა გლეხის მიმაგრებას მიწისმფლობელის პიროვნებაზე. როგორც კარგად შენიშნა ვ. გაბაშვილმა ამით, ცხადია, უგულებელყოფილია გლეხის მიწაზე მიმაგრების მთავარი ელემენტი — მისი დამოკიდებულება ფეოდალზე[18]. იმაში რომ გლეხი მიმაგრებული იყო არა მიწისმფლობელის პიროვნებაზე, არამედ გადასახადზე, განაგრძობს ვ. გაბაშვილი, დანახულია აღმოსავლური ბატონყმობის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი. ამით პეტრუშევსკის სიტყვით, ბატონყმობა ირანში არსებითად განსხვავდებოდა, მაგალითად, საქართველოსა და რუსეთის ბატონყმობისაგან. ეს მისი აზრით, გამორიცხავდა მიწის გარეშე გლეხის გაყიდვას, სხვის განკარგულებაში გადაცემას ან გაანდერძებას[19].

ლ. ბაბაიანს თავის ნაშრომში მრავლად მოაქვს ცნობები წყაროებიდან გლეხთა ყიდვა-გაყიდვის, ჩუქების, ზოგჯერ მთელი სოფლების გლეხებიანად გაყიდვის შესახებ, რის საფუძველზეც დაასკვნის, რომ სომხეთში დაყმევების პროცესი დაიწყო IX—X საუკუნეებში და ვითარდებოდა და ღრმავდებოდა XII—XIII საუკუნეებში მონღოლთა შემოსევამდე. ამასთან, მისივე განმარტებით მოტანილი ცნობები შეეხებიან ე. წ. „ზაქარიდულ სომხეთს“ (ბრჭყალები ჩვენია — **გ. მ.**) ე. ი. საქართველოს სამეფოში შემავალ ჩრდილოსომხურ ოლქებს[20].

---

[15] ბ. არუთინიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 58.

[16] **Ս. Պողոսյան, Գյուղացիների ճորտացումը և գյուղացիական շարժումները հայաստանում IX—XIII դարերում, Երևան, 1956, էջ. 29— 31.**

[17] Л. Бабаян, К вопросу о закрепощении крестьян в Армении домонгольского периода, Ереван, 1961.

[18] ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII სს. თბ., 1958, გვ. 207.

[19] იქვე.

[20] ლ. ბაბაიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 30, 49, და სხვ.

ახლახან გამოსულ „სომეხი ხალხის ისტორიის“ მესამე ტომში ამ საკითხისადმი უფრო თავშეკავებულ მიდგომას ვხვდებით. ტომის ავტორები წიგნის შესავალშივე აღნიშნავენ, რომ „IX ს-ის ბოლოსა და X საუკუნეში დაიწყო გლეხობის ერთი ნაწილის დაყმევება, რაც სომხეთში შესუსტებული ფორმებით გამოვლინდა და შეზღუდულ ჩარჩოში დარჩა“[21].

ამ დებულების ფონზე კიდევ უფრო დამაჯერებელი მოჩანს პროფ. ა. ნოვოსელცევის მოსაზრება, რომელიც თვლის, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით ბატონყმურ სამართალზე, როგორც ასეთზე, ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ საქართველოს მიმართ. ხოლო რაც შეეხება სომეხი ისტორიკოსების მტკიცებას, რომ თითქოს XII ს-ის დასასრულისათვის სომხეთში დაყმევების პროცესი ძირითადად უნდა დამთავრებულიყო, ის უმთავრესად ემყარება საქართველოს სამეფოში შემავალი ჩრდილო-აღმოსავლეთ სომხეთის ან კილიკიის მასალებს (ეს მასალები დაილექა მხითარ გოშისა და სმბატ სპარაპეტის სამართლის ძეგლებში)[22].

ამრიგად, როგორც ვხედავთ, X—XIII ს-ის სომხეთში ფეოდალურმა საკუთრებამ თუმცა კი განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს მიაღწია, მაგრამ მან მთელი ქვეყნის ფარგლებში ვერ შეძლო საზოგადოების სტრუქტურაში მისთვის შესაფერისი ცვლილებების შეტანა. კილიკიისა და საქართველოს სამეფოს ფარგლებში შესულ სომხეთის ნაწილის გარდა, თუ კი სადმე გლეხთა მიწაზე მიმაგრებასა და დაყმევებას ჰქონდა ადგილი, ის სუსტად ვლინდებოდა და გარკვეული ჩარჩოებით იყო შეზღუდული.

ამის მიზეზი, ვფიქრობთ, თემის სიმტკიცესა და მისი არსებობის ხანგრძლიობაში უნდა ვეძიოთ. თემის დიდი გამძლეობა სომხეთში კი, როგორც ეს ლიტერატურაშია მითითებული, აღმოსავლეთის მსგავსად მიწათმოქმედების რიგი სპეციფიკური პირობებით აიხსნება[23]. გასაგებია, რომ თემის სიმტკიცე ხელს უშლიდა სოციალური დიფერენციაციის საჭირო სისრულით გაღრმავებას და ამასთან ერთად გარკვეულად ზღუდავდა ფეოდალური საკუთრების განვითარებული ფორმების მოქმედების სფეროს, რის გამოც, ვფიქრობთ, ფეოდალურმა ურთიერთობამ სომხეთში მონღოლთა შემოსევამდე ვერ მოასწრო ზრდის დასრულება.

ნიშანდობლივია, რომ კ. აშრაფიანი სხვა ისტორიკოსებისაგან განსხვავებით შეუძლებლად თვლის XI—XIII სს მიჩნეულ იქნეს სომხეთში განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის ხანად და იზიარებს ი. პეტრუშევსკის პერიოდიზაციას, რომლის მიხედვითაც X—XII სს სომხეთისათვის არის ფეოდალური წარმოების წესის განმტკიცების დრო, ხოლო ქვეყნის ფეოდალიზაციის პროცესი სრულდება XIII—XV საუკუნეებში[24].

მონღოლთა გაბატონებიდან მოყოლებული XIX ს-ის პირველ მესამედამდე პერიოდს ს. ერემიანი სომხეთში ფეოდალიზმის ხანგრძლივი და სისტემატური ნგრევისა და ლიკვიდაციის ხანას უწოდებს. აშ. იოანესიანიც თვლის,

---

[21] Հայ ժողովրդի պատմություն, Երևան, 1976, გვ 7.

[22] А. Новосельцев, В. Пашуто, А. Черепнин, Пути развития феодализма, М., 1972, გვ. 99—100.

[23] К. З. Ашрафян, Важный труд по истории крестьянства средневековой Армении, сборник — «Ближний и Средний Восток», М., 1962, გვ. 146.

[24] იქვე, გვ. 149.

ოომ მომთაბარე დამპყრობლებმა ქვეყნის აღმავალი განვითარება შეაჩერეს... და ისეთ მდგომარეობას დაუბრუნეს, რომელიც ფეოდალიზმის პრიმიტიულ ბარბაროსულ ეტაპს გვაგონებს[25].

გასაგებია დაპყრობებსა და საწარმოო ძალების ნგრევას არ შეეძლოთ საზოგადოებრივი განვითარებისათვის ხელის შეწყობა. ახალმა ვითარებამ უარყოფითად იმოქმედა კლასობრივი სტრუქტურის განვითარებაზე. მწარმოებელი და გადასახადი ერთმანეთს მიემაგრა, ხოლო კონსერვირებული თემი მეურნეობის პრიმიტიული ფორმების საფუძველი გახდა. სწორი იყო ი. მანანდიანი, როცა შენიშნავდა, რომ ფეოდალიზმი სომხეთში არსებობას განაგრძობდა XIV ს-ის შემდეგაც, მაგრამ არა სომხური, არამედ სპარსული და ოსმალური ფეოდალიზმის სახით[26]. ი. პეტრუშევსკიც მკვეთრად განასხვავებს XV ს-ის სომხეთში გაბატონებულ სოციალ-ეკონომიურ რეჟიმს, როგორც თავად ძველსომხური ფეოდალური ურთიერთობისაგან, ისე მისი თანადროული ქართული ფეოდალიზმისაგან. ამიტომ, როცა ი. პეტრუშევსკი XIII—XV სს-ის სომხეთში ფეოდალიზაციის დასრულებაზე მსჯელობს, ჩანს იგი ამ პროცესის აღმოსავლურ ყალიბში დასრულებას გულისხმობს. ასეთ შემთხვევაში უკვე აღნიშნული მოვლენა სომხეთის საზოგადოებრივ განვითარებაში წინ გადადგმული ნაბიჯი კი აღარ იყო, არამედ უკანსვლა, სტადიალურად თითქმის ადრეკლასობრივი საზოგადოების ეტაპთან დაბრუნება.

უკვე ითქვა, რომ აზერბაიჯანელი ისტორიკოსები შუა საუკუნეთა მთელ მანძილზე არსებითად ერთი ტიპის ფეოდალურ ურთიერთობას ხედავენ მთელს ამიერკავკასიაში და ამიტომ აზერბაიჯანის ისტორიის პერიოდიზაციას უფარდებენ საქართველოსა და სომხეთისათვის შემუშავებულ პერიოდიზაციას. ისიც ითქვა, რომ აზერბაიჯანელი ისტორიკოსების მტკიცების მიუხედავად წყაროები IV—IX სს-ის ალბანეთში ადრეფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელ სურათს ვერ ქმნიან. კიდეკ უფრო დაუსაბუთებელი გვეჩვენება მათი მტკიცებანი აზერბაიჯანში განვითარებული ფეოდალიზმის ხანის არსებობისა და მისი ქრონოლოგიური ჩარჩოების შესახებ, რომელსაც სომხური ისტორიოგრაფიის მსგავსად IX—XIII სს-ით საზღვრავენ.

ამ დებულების დასამტკიცებლად, ხშირად საბუთად მოაქვთ არაარსებითი ზედაპირული ფაქტები, „აზერბაიჯანის ისტორიის“ ავტორები განვითარებული ფეოდალური ურთიერთობისათვის დამახასიათებელი მოვლენების საჩვენებლად ყურადღებას ამახვილებენ ცალკეული ოლქების მმართველთა მისწრაფებებზე პოლიტიკური განცალკევებისა და დამოუკიდებლობისაკენ[27]. ასეთ მისწრაფებათა გამომჟღავნება ჯერ კიდევ არ ნიშნავს ფეოდალური ურთიერთობის განვითარებაში რაიმე თვისობრივი მომენტის დადგომას, თუ კი სიახლეს ვერ ვხედავთ უშუალო მწარმოებელსა და ფეოდალს (ოლქის მმართველს) შორის არსებულ ურთიერთობაში და საკუთრების ურთიერთობის დარგში.

როგორც ადრე, ისე IX—X საუკუნეებში და შემდეგაც თითქმის მთელ ფეოდალურ ხანაში მიწის საკუთრების ყველაზე უფრო გავრცელებული ფორ-

---

[25] Ա. Գ. Հովհաննիսյան, Դրվագներ հայ ազատագրական մտքի պատմության, գիրք առաջին, Երևան, 1957, გვ 224, 402 და სხვ

[26] Հ. Մանանդյան., Ֆեոդալիզմը հին հայաստանում, Երևան, 1934, էջ. 256.

[27] История Азербайджана, I, Баку, 1958, გვ. 128.

მა აზერბაიჯანში იყო დ ი ვ ა ნ ი (სახელმწიფო მიწისმფლობელობა) და ი ქ ტ ა (გვიან საუკუნეებში მისივე მსგავსი თიული)[28]. რომ აღარაფერი ითქვას სახელმწიფო მიწისმფლობელობის (დივანი) დიდ ხვედრით წილზე, იქტა ფეოდალური საკუთრების მხოლოდ განუვითარებელ ფორმად შეიძლება ჩაითვალოს, რამდენადაც მისი მფლობელი განიხილებოდა მოხელედ და არა მიწისმფლობელად. იქტადარის უფლება მხოლოდ მიწიდან მიღებულ შემოსავალზე, რენტაზე ვრცელდებოდა[29]. ი. პეტრუშევსკის აზრით, იქტა აზერბაიჯანში მხოლოდ მონღოლთა მფლობელობის დროს გადაიქცა სამხედრო ლენად[30]. ამ დროისათვის, მართალია, იქტადარები საგადასახადო იმუნიტეტით სარგებლობდნენ, მაგრამ მათი მიწები ისევ ცენტრალური სახელმწიფო აპარტის დაქვემდებარებაში იყვნენ და დროდადრო რევიზიას განიცდიდნენ. ვინც სამხედრო ან სხვა მოვალეობას წესიერად ვერ ასრულებდა, მას იქტის „ნაწილი" ჩამოერთმეოდა[31].

ა. ნოვოსელცევის აზრით, იქტამ ვერ მოასწრო უპირობო მიწის საკუთრებაში გადასვლა. ანალოგიურ მოვლენას ჰქონდა ადგილი XV—XVIII საუკუნეებში[32]. ვფიქრობთ, ვერც მულქი ჩაითვლება ფეოდალური საკუთრების განვითარებულ ფორმად. მულქის მხოლოდ ერთი სახეობა — მულქიხალისე ანუ სუფთა მულქი არ იყო დაბეგრილი, მაგრამ მისი გავრცელების სფერო ძალზე შეზღუდული იყო.

გასაგებია, რომ ჩამოთვლილი მიწისმფლობელობის ფორმები, რომელთაც უმთავრესად პირობითი და დროებითი ხასიათი აქვს, ვერ ჩაითვლება განვითარებული ფეოდალური ურთიერთობისათვის დამახასიათებელ საკუთრების ფორმებად, ხოლო სახელმწიფო და სათემო მიწისმფლობელობის დიდი ხვედრითი წილი აქ გადაულახავ სიძნელეებს უქმნის განვითარების ამ საფეხურის დადგომას.

კლასობრივი სტრუქტურაც აქ განუვითარებელი საკუთრების ფორმების შესაფერისი იყო. ფეოდალს, რომელსაც წარმოების ძირითად საშუალებაზე საკუთრების უფლება არ ჰქონდა, ბუნებრივია, არც მწარმოებლის პიროვნებაზე შეიძლებოდა ეს უფლება ჰქონოდა, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური ძალაუფლება მის ხელთ იყო.

ამასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ საბჭოთა აზერბაიჯანულ ისტორიოგრაფიაში ადგილი ჰქონდა გარკვეულ ცდებს, დაემტკიცებინათ გლეხთა მიწაზე მიმაგრების არსებობა თვით X საუკუნეშიც კი. მაგალითად, ალიზადეს აზრით, ჯერ კიდევ X საუკუნემდე აზერბაიჯანში გავრცელებული იყო მიწაზე მიმაგრების ინსტიტუტი, მაგრამ ის იურიდიულად არ ყოფილა გაფორმებული. ამ დებულების დასამტკიცებლად მას მოაქვს რამდენიმე კერძო მაგალითი, რომელთა განზოგადებასაც ცდილობს მთელი ქვეყნის მასშტაბით. მაგრამ ამ კერძო შემთხვევებშიც არაფერია ნათქვამი მწარმოებლის პირად დამოკიდებულებაზე ფეოდალის პიროვნებაზე[33], რაც ბატონყმური ურთიერთობის

[28] История Азербайджана... გვ. 132.

[29] И. Петрушевский, Очерки по истории феодальных отношений, გვ. 153—155.

[30] იქვე, გვ. 155.

[31] იქვე, გვ. 157.

[32] Пути развития феодализма, გვ. 124.

[33] Али-заде, Социально-экономическая и политическая история Азербайджана XIII—XIX вв., Баку, 1956, გვ. 78—80.

მთავარი ელემენტია. ი. ჰასანოვიც ცდილობს გლეხთა მიწაზე მიმაგრების ინსტიტუტი უჩვენოს შუა საუკუნეების აზერბაიჯანში, მაგრამ ფაქტები მხოლოდ XIX ს-ის პირველი ნახევრისა მოაქვს[34].

ვ. გაბაშვილის აზრით, XIX ს-ის პირველი ნახევრის აღმ. ამიერკავკასიაში გლეხთა მიწაზე მიმაგრება უკვე დადასტურებული ფაქტია. მანამდე კი XVI—XVIII საუკუნეებში ფეოდალური დამოკიდებულების ის ფორმა იყო გაბატონებული, რომელსაც მარქსი „უბრალო სახარკო მოვალეობამდე შერბილებულ მდგომარეობას უწოდებს"[35]. ა. ნოვოსელცევის აზრითაც, მიწის საკუთრების სტრუქტურას თავის საფუძველში კაბალური მეიჯარე ჰყავდა — შუა საუკუნეების სასოფლო წარმოების ცენტრალური ფიგურა ამ რეგიონში. უმთავრესად სასოფლო თემებში გაერთიანებული ამ გლეხობის უფლებრივი მდგომარეობა, რომელიც სახელმწიფოსა და ფეოდალების ფისკალური ინტერესებისადმი იყო დაქვემდებარებული, იცვლებოდა პირადი თავისუფლების მდგომარეობიდან ყმურ დამოკიდებულებასთან ახლო მდგომ ვითარებამდე[36].

„აზერბაიჯანის ისტორიის" ავტორების განმარტებით, აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების მსგავსად, აზერბაიჯანშიც ფეოდალური ურთიერთობის სპეციფიკურ თავისებურებათა გამო თითქმის სულ არ იყო საბატონო მეურნეობა. საკუთარი მეურნეობის მოწყობა ხელსაყრელი არ იყო ხელოვნურ მორწყვასთან დაკავშირებული დიდი ხარჯების გამო. ამიტომ ფეოდალთა კლასი დაინტერესებული იყო არა იმდენად უშუალოდ მიწით, რომელზედაც ფეოდალურად დამოკიდებული გლეხები ისხდნენ, რამდენადაც მიწის დამმუშავებელი გლეხებისაგან რენტის მიღებით. ამის შედეგია პროდუქტიული რენტის სიჭარბე აღმოსავლეთში შუა საუკუნეების მთელ მანძილზე.

საბატონო მეურნეობის განუვითარებლობით ხსნიან ეს ავტორები აზერბაიჯანში ბატონყმური სამართლის არარსებობას. მათივე თქმით, მიუხედავად სასტიკი ექსპლუატაციისა დამოკიდებული გლეხები მაინც არ ითვლებოდნენ ფეოდალის ყმებად[37]. აქ ალბათ, დროული იქნებოდა გაგვეხსენებინა ენგელსის სიტყვები, რომ მთელს აღმოსავლეთში, სადაც მიწის მესაკუთრე ან თემია ან სახელმწიფო, ენას აკლია სიტყვა მემამულე[38].

ამრიგად, აზერბაიჯანის ფეოდალური საზოგადოება, როგორც საკუთრების ფორმების, ისე კლასობრივი სტრუქტურის განვითარებით ძალზე შორსა დგას განვითარებული ფეოდალური საზოგადოებისაგან. უფრო მეტიც, ფეოდალური ურთიერთობანი მთელ შუა საუკუნეთა მანძილზე (IV—XVIII სს.) საოცრად ერთგვაროვანი ჩანს. ხოლო თუ შეიმჩნევა განვითარება და ცვალებადობა სოციალურსა თუ პოლიტიკურ ურთიერთობაში, ისეთ ფარგლებშია მოქცეული, „სადაც მიწის რენტის ნატურალური ფორმა საზოგადოების უმოძრაო მდგომარეობათა ბაზისს ქმნის" (მარქსი). ერთი სიტყვით, ამ საზოგადოების განვითარების მეტად სუსტი ტემპი მას ტიპიურ აზიურ-ფეოდალურ (აღმოსავლურ-ფეოდალურ) საზოგადოებად წარმოგვიდგენს, რომლის მეცნიერული

---

[34] И. Гасанов, К вопросу о владельческих райатах в Азербайджане в первой пол. XIX в.

[35] იხ. ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 214—216.

[36] იხ. Пути развития феодализма, გვ. 124—125.

[37] История Азербайджана, ч. I, გვ. 76—77.

[38] იხ. ანტიდიურინგი, თბ., 1933, გვ. 142.

დახასიათება მოცემული აქვს გ. მელიქიშვილს თავის გამოკვლევებში კლასობრივ საზოგადოებათა ტიპოლოგიური და სტადიალური კლასიფიკაციის შესახებ.

მარქსი თავის ნაშრომის „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის" ცნობილ „წინასიტყვაობაში" მიუთითებდა, რომ საერთო ხაზებში, აზიური, ანტიკური, ფეოდალური და თანამედროვე, ბურჟუაზიული წარმოების წესები, შეიძლება აღვნიშნოთ, როგორც ეკონომიური საზოგადოებრივი ფორმაციის პროგრესული ეპოქები". მარქსის ამ დებულებიდან გამომდინარე გ. მელიქიშვილი სტადიალური განვითარების თვალსაზრისით განსაზღვრავს აგრეთვე, აღმოსავლური ფეოდალიზმის ადგილს წინაკაპიტალისტურ სხვა საზოგადოებათა შორის. იგი წერს „არა მარტო ძველი, არამედ აგრეთვე შუა საუკუნეების, წინაკოლონიური ხანის, აღმოსავლეთისათვის დამახასიათებელი წყობილება უნდა განხილულ იქნას როგორც „ეკონომიური საზოგადოებრივი ფორმაციის" უფრო დაბალი საფეხური, ვიდრე ევროპული ანტიკურობა და ევროპული შუა საუკუნეები"[39].

მართლაც, ევროპულ მასალაზე შემუშავებული ცნებები „ადრეფეოდალური", „განვითარებული ფეოდალური" და სხვა, არ შეიძლება ერთნაირად მივუყენოთ ყველა ტიპის ფეოდალურ საზოგადოებას და ყველგან შუა საუკუნეებში ვეძებოთ განვითარების მსგავსი საფეხურები. ვფიქრობთ, უფრო მართებულია მსჯელობა იმის შესახებ, თუ რამდენად ახლო ან შორს დგას შუა საუკუნეების ესა თუ ის ფეოდალური საზოგადოება კლასიკურად მიღებულ განვითარების ევროპულ მოდელთან. ამ თვალსაზრისით ევროპული ტიპის ფეოდალიზმთან შედარებით სიახლოვეს იჩენს IV—XIII საუკუნეების სომხური ფეოდალური საზოგადოება, სადაც ფეოდალურმა საკუთრებამ „ჰაირენიქ"-ის სახით განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს მიაღწია, მიუხედავად იმისა, რომ კლასობრივი სტრუქტურა, საქართველოსაგან განსხვავებით, იქ ფეოდალური საკუთრების განვითარებული ფორმების შესაფერის დონემდე ვერ ამაღლდა. რაც შეეხება აზერბაიჯანის ფეოდალურ საზოგადოებას, მისთვის დამახასიათებელი საკუთრების ფორმები და კლასობრივი სტრუქტურა ასეთი მსგავსების არავითარ საფუძველს არ იძლევა.

საბჭოთა სომხური და აზერბაიჯანული ისტორიოგრაფიის ერთობლივი თანხმობით, ხანგრძლივი სტაგნაციისა და პრიმიტიული, ბარბაროსული ფეოდალური ეტაპისათვის დამახასიათებელი ჩამორჩენილი საზოგადოებრივ ურთიერთობათა ბატონობის გრძელი პერიოდის შემდეგ პროგრესული განვითარება ამ ქვეყნებში იწყება მხოლოდ XIX ს-ის პირველი მესამედის ბოლოდან, როცა რუსეთის იმპერიის განვითარების სფეროში მათმა ჩართვამ შესაძლებელი გახადა ფეოდალიზმის სწრაფი რღვევა და ხელი შეუწყო ახალ კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჩასახვას.

---

[39] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, იხ. „მაცნე", ისტორიის სერია, № 3, 1971, გვ. 174.

Г. МАЙСУРАДЗЕ

ПЕРИОДИЗАЦИЯ ИСТОРИИ ФЕОДАЛИЗМА В СТРАНАХ ЗАКАВКАЗЬЯ

Резюме

Настоящий труд, составленный в связи с дискуссией о периодизации истории феодальных отношений в Грузии, преследует цель учесть достижения в области изучения указанной проблемы в соседних республиках Закавказья. В статье рассматриваются взгляды армянских и азербайджанских историков, касающиеся этапов развития от феодально-классового общества до позднефеодальной эпохи.

На основании принятых нами критериев мы считаем более обоснованными те взгляды, которые главной тенденцией развития древнего общества Закавказья признают феодальные отношения, раннефеодальный этап в Грузии и Армении относят к IV—X векам, эпоху развитого феодализма — к X—XIII векам (хотя в Армении указанный этап развития, по нашему мнению, в отличие от Грузии, не дошел до своего логического конца). Попытка азербайджанских историков осветить периодизацию истории феодальных отношений по армянскому и грузинскому образцу, на наш взгляд, оказалась безуспешной. Уровень социально-экономического развития средневекового Азербайджана, исходя из высказанных в специальной литературе мнений, можно охарактеризовать как типичный для средневекового азиатско-феодального («восточный феодализм») общества, в котором феодальные отношения на протяжении всего средневековья были в основном одинаковыми. Изменение и развитие здесь происходит в характерной для Востока социально-экономической среде, в которой «натуральная форма земельной ренты создает базис общественной неподвижности» (К. Маркс). Поэтому положение о достижении Азербайджаном ступени развитого феодализма, на наш взгляд, осталось недоказанным. Более того, как отмечает акад. Г. А. Меликишвили, средневековые азиатские феодальные общества, олицетворяя в основном характерные черты раннеклассового этапа развития, представляют стадиально более низкую ступень развития классового общества по сравнению с развитыми западноевропейскими и типологически к ним примыкающими феодальными обществами.

По мнению большинства исследователей, позднефеодальная эпоха в Закавказье складывается после присоединения к России. Это положение более обосновано, так как необходимые условия для разложения феодализма возникли после присоединения Закавказья к России.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ახალი ტრადიციები საქართველოში

დროის მოთხოვნამ მთელი სიმწვავით დააყენა ტრადიციების არსისა და მათი თანამედროვე ყოფაში მიმდინარე პროცესებთან შეთანაწყობის საკითხი. საბჭოთა ხალხის ცხოვრების ძირეულმა გარდაქმნამ, ახალი, ექსპლუატაციისაგან თავისუფალი საზოგადოების ჩამოყალიბებამ ყოფა-ცხოვრების ზოგიერთი წესის უნიფიცირება გამოიწვია. სწორედ ამ პროცესმა აუცილებელი გახადა თითოეული ხალხის (ეთნოსის) ყოფისა და კულტურის ყოველმხრივი შესწავლა, რათა წარსულის მემკვიდრეობის კრიტიკულად ათვისების საფუძველზე, ჩვენი ქვეყნის ყველა ერმა საკუთარი წვლილი შეიტანოს ახალი ისტორიული ერთობის — საბჭოთა ხალხის კიდევ უფრო შეკავშირებაში. აქედან გამომდინარე, ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების შესწავლა იდეოლოგიური მუშაობის მნიშვნელოვან უბნად იქცა. ამ გარემოებაზე საგანგებოდ გამახვილდა ყურადღება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის 24 ნოემბრის დადგენილებაში „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“, ხოლო სკკპ XXV ყრილობამ მშრომელთა აღზრდა, კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, დაფუძნებული მარქსისტულ-ლენინურ თეორიაზე, პარტიის მთელი იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ქვაკუთხედად დასახა.

თანამედროვე საბჭოთა მოქალაქე თავისუფალი უნდა იყოს წარსულის ისეთი მძიმე მემკვიდრეობისაგან, როგორიცაა რელიგიური ცრურწმენები, კერძომესაკუთრული ტენდენციები, მომხვეჭელობა, მეშჩანობა და სხვ. ეს სადღეისოდ გადასაწყვეტი პრობლემაა და ამ საქმეში ეეშმარიტად დიდია საზოგადოებრივ მეცნიერებათა როლი. მეცნიერული კვლევაძიების ეფექტურობა ამჟამად საკითხის მონოგრაფიული შესწავლით არ ამოიწურება, საჭიროა ანალიზი გაუკეთდეს კვლევის შედეგების პრაქტიკულ მხარესაც, მეტადრე მათი ცხოვრებაში დანერგვის შესაძლებლობას და პერსპექტივებს. ამ თვალთახედვით სანიმუშოა მ. გუგუტიშვილის წიგნი „ახალი ტრადიციები საქართველოში“ (თბ., გამომცემლობა „მეცნიერება“, 1976). სხვათა შორის, ასეთი სახის ნაშრომი ქართულ ენაზე პირველად მომზადდა და გამოქვეყნდა. ვინაიდან იგი უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა და ამდენად ფართო მკითხველისათვის ხელმიუწვდომელია, მოკლედ გადმოვცემთ ნაშრომის ძირითად დებულებებს, ამასთანავე, დღევანდელ მოთხოვნილებათა მიმართებაში შეძლებისდაგვარად შევაფასებთ წამოჭრილ პრობლემატიკას.

ავტორის მიზანია სკკპ ყრილობის, პლენუმების, დადგენილებების, იდეოლოგიური დარგის მუშაკთა თათბირების, სპეციალური ლიტერატურისა და საველე-ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე განიხილოს ახალი საბჭოთა ტრადიციების განვითარების ძირითადი თავისებურებანი კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე, განაზოგადოს ახალი დღესასწაულებისა და წეს-ჩვეულებების პრაქტიკულად დანერგვის მეთოდები და გავრცელების გზები.

პირველ თავში მკვლევარი განიხილავს ტრადიციების წარმოშობისა და განვითარების სპეციფიკურ თავისებურებებს.

ტრადიციის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია მისი მემკვიდრეობითობა. ტრადიციის მეშვეობით თაობათა შორის უწყვეტი ორგანული კავშირი მყარდება, მამაპაპათა ცოდნა-გამოცდილება შთამომავლობაზე გადადის და დიდი გამძლეობით გამოირჩევა.

ტრადიციებს როგორც რაციონალური, ისე ირაციონალური ხასიათი აქვს და მათ სრულფასოვან შეცნობას თეორიულ-პრაქტიკული გამოყენების მიზნით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. საერთოდ, ტრადიციათა მდგრადობა პირობითია, მათი გამძლეობა წარმოების წესსა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების დიალექტურ პროცესზეა დამოკიდებული.

მავნე ტრადიციებისა ანუ გადმონაშთური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა უნდა ემყარებოდეს წარსულის მემკვიდრეობის ლენინურ შეფასებას, სახელდობრ, პროლეტარიატის კულტურის საფუძველია კაცობრიობის

რაციონალური მონაპოვარი, ის მდიდარი ცოდნა, რაც ადამიანმა ხანგრძლივი არსებობის მანძილზე დააგროვა. ამიტომ რასაც ებრძვი, ის ზედმიწევნით შესწავლილი უნდა გქონდეს. თავის მხრივ, ახალი ტრადიციების, უფრო სწორად, ინოვაციების გამომუშავება და დანერგვა რთული და არცთუ უმტკივნეულო პროცესია. იგი ღრმამეცნიერულ შესწავლასთან ერთად სათანადო ტაქტს და ხანგრძლივ ახსნა-განმარტებით მუშაობას მოითხოვს, რაშიაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ცოცხალი მაგალითის ძალას. ადმინისტრირება, როგორც წესი, მიზანს ვერ აღწევს და მხოლოდ ზედაპირულად ცვლის მოვლენას.

საბჭოთა წეს-ჩვეულებანი საზრდოობს ორი წყაროსაგან — „წარსულის პროგრესული ტრადიციებისა და სოციალისტურ ბაზაზე. სოციალისტური საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის საფუძველზე წარმოქმნილი ახალი ტრადიციებისაგან“ (გვ. 19).

ავტორი საარქივო დოკუმენტებისა და პრესის მონაცემებზე დაყრდნობით გვაცნობს ახალი საბჭოთა ტრადიციების წარმოშობა-განვითარების ისტორიას საქართველოში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად ექსპლუატატორული კლასების გაქრობამ, სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფამ, ეროვნული ჩაგვრის მოსპობამ, მამაკაცთა და ქალთა უფლებრივმა გათანაბრებამ, სინდისის თავისუფლების აღიარებამ საფუძველი დაუდო საზოგადოებრივი და საოჯახო ყოფის ახალ ფორმებს. კვირის გარდა უქმე და დასვენების დღეებად გამოცხადდა რევოლუციური დღესასწაულები. გათვალისწინებული იქნა მორწმუნეთა რელიგიური გრძნობები და მათ მიეცათ უფლება საეკლესიო კალენდრის მიხედვით აღენიშნათ დღეობები და დაესვენათ კიდეც. მაგრამ, ამასთანავე, გაჩაღდა ათეისტური პროპაგანდა, ააშკარავებდნენ რელიგიის რეაქციულ არსს და ნათელს ხდიდნენ ამა თუ იმ საეკლესიო დღესასწაულის უსაფუძვლობას. 20-იან წლებში ათეისტურ მუშაობაში ადგილი ჰქონდა გადახრებს, მორწმუნეთა მიმართ გაუმართლებელი მეთოდების გამოყენებას, ეკლესიების ადმინისტრაციული წესით დახურვას და, სამწუხაროდ, კულტისმსახურებასთან დაკავშირებული ხელოვნების ძეგლების განადგურებასაც კი.

ამავე პერიოდში შეეცადნენ რელიგიური დღესასწაულების გაშარჟებით, რომლის დროსაც ხალხური კარნავალების (ბერიკაობა, ყეენობა) ფორმებსაც იყენებდნენ, ნათელი გაეხადათ სარწმუნოების უაზრობა.

ვ. ი. ლენინმა კრიტიკის ქარცეცხლში გატარა რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლის უსუსური, კამპანიური მეთოდი და უფრო ქმედითი საშუალებების გამონახვა მოითხოვა. მართლაც, ანტირელიგიური საქმიანობა, ათეისტური მუშაობის მეთოდების დახვეწა პარტიის ყრილობებსა და პლენუმებზე საგანგებო მსჯელობის საგნად იქცა. ამ სათუთ საქმეში დაიგმო ყოველგვარი კამპანიურობა და ადმინისტრირება, უპირატესობა მიენიჭა მოწინავე მეცნიერულ კვლევაზე დამყარებულ, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით შეიარაღებულ პროპაგანდას და თანამედროვე წეს-ჩვეულებების შემუშავებას, რომლებიც ყოფაში მიზნობრივად დამკვიდრდებოდა.

20-იან წლებშივე იწყება ძიება საოჯახო ყოფაში საუკუნეთა მანძილზე ფეხმოკიდებული რელიგიური რიტუალების სამოქალაქო წეს-ჩვეულებებით შეცვლის ეფექტური ფორმების გამონახვისათვის. ამ მოძრაობის ინიციატორები კომკავშირლები იყვნენ. შემოღებულ იქნა ე. წ. „ოქტომბრინები“ — კომუნისტური ნათლობა, რომელთაც პირველ ხანებში საკმაო პოპულარობა მოიპოვეს და ეფექტურად დაუპირისპირდნენ საეკლესიო ნათლობის რიტუალს. ხალხს იზიდავდა სიახლე, მაგრამ შესრულების პომპეზურობისა და პრიმიტიულობის გამო იგი მალე მოსაწყენ ცერემონიად იქცა და ყოფიდან სწრაფად გაქრა.

საბჭოთა ხელისუფლებამ საფუძველი ჩაუყარა მამაკაცისა და ქალის თანასწორუფლებიანობის საფუძველზე აღმოცენებულ ახალ ოჯახს, რომელიც იძლეოდა ქორწინების თავისუფლების გარანტიას, ხოლო დედათა და ბავშვთა ინტერესებს სახელმწიფო იცავდა. ამ სოციალური სიკეთის პრაქტიკულად განხორციელებამ აუცილებელი გახადა ახლებური ქორწინების შესაფერისი ფორმების გამონახვა, რომელიც რელიგიური რიტუალებისაგან თავისუფალი იქნებოდა, ხოლო სანახაობრივი თვალსაზრისით და შინაარსით — უკეთესი. ამ მოთხოვნათა ცხოვრებაში გატარებისათვის შემოღებულ იქნა ახალი „კომუნისტური“, ანუ „წითელი“ ქორწინება, რაც პრაქტიკულად ხორციელდებოდა ფაბრიკა-ქარხნებში თუ წარმოება-დაწესებულებებში. მაგრამ „ოქტომბრინების“ მსგავსად აქაც თავი იჩინა ზეიმურობამ, ზედმეტმა პლაკატურობამ. მიუხედავად ერთგვარი დადებითი როლის შესრულებისა, რაც უპირველეს ყოვლისა, საოჯახო ურთიერთობაში ძველი, დრომოჭმული პრინციპების უარყოფაში გამოიხატა, ახალი ფორმით საქორწინო ცერემონიამ ფეხი ვერ მოიკიდა და საბოლოოდ ის „მმაჩის“ ბიუროთა

მოსაწყენ, ერთფეროვან კანცელარიზმამდე დავიდა.

ქრისტიანული დაკრძალვა ძირითადად შეიცვალა საგანგებო პროცესიის მოწყობით, რომელსაც წინ წითელი დროშებით მიუძღოდნენ, სასულე ორკესტრი რევოლუციურ მუსიკას უკრავდა. იმართებოდა მიტინგი, წარმოსთქვამდნენ გამოსათხოვარ სიტყვებს და ა. შ. ეს ინოვაციაც დროთა განმავლობაში დავიწყებას მიეცა, რადგან თავი ვერ დააღწია პლაკატურობას, ფაქტიურად ანტირელიგიური მიმართულებისა იყო და ნაკლებად პასუხობდა ადამიანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით წარმოქმნილ ემოციებს, არ შეესატყვისებოდა იმ მძიმე სულიერ განცდებს, რასაც მახლობლის სიკვდილი იწვევდა.

1926 წელს, პარტიის მოწოდებით, მთელ საბჭოთა კავშირში დაიწყო მასობრივი ლაშქრობა წარსულის გადმონაშთების ლიკვიდაციისათვის. შეიქმნა საგანგებო სათემო და სასოფლო კომისიები. ამ საქმეში ჩაებნენ საბჭოთა მასობრივი ორგანიზაციები, მაგრამ მიზანი ვერ იქნა მიღწეული რადგან ხელაღებით უარყოფდნენ წარსულის მთელ შემკვიდრეობას, მიტინგურობა ნაკლებად შეესაბამებოდა ოჯახურ იდილიას, ადამიანის სულიერ მოთხოვნებს, მისი შემკვიდრეობით განპირობებულ ფსიქოლოგიური კრედოს დაკმაყოფილებას.

მ. გუგუტიშვილი საბჭოთა ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებათა ჩამოყალიბება-განვითარების პროცესს სამ ეტაპად ყოფს:

„1. საბჭოთა ტრადიციების შექმნის პირველი ცდების პერიოდი (20-იანი წლები); 2. ახალი ფორმების ძიების, საორგანიზაციო მეთოდიკის შემუშავებისა და ექსპერიმენტების პერიოდი (50-იანი წლების ბოლომდე 1964 წლამდე); 3. ახალი საწესო ფორმების საუკეთესო ნიმუშების შერჩევის, პოპულარიზაციის და უნიფიკაციის პერიოდი (1964 წლიდან დღემდე)“ (გვ. 42).

ახლო წარსულის გარკვეული გამოცდილების მიუხედავად, პრობლემა ისევ გადაუჭრელია. „სადღეისოდ ჯერ კიდევ არ გვაქვს წეს-ჩვეულებების ერთიანი, მწყობრი სისტემა, რომელშიც ასახვას პოვებდა საზოგადოებრივი და საოჯახო ყოფის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა“ (გვ. 43).

მომდევნო პარაგრაფში ამ თვალსაზრისით განხილულია ახალი დღესასწაულებისა და რიტუალების დანერგვის ზოგიერთი მეთოდოლოგიური პრინციპი. საბჭოთა პრესაში გამოქვეყნებულ სხვადასხვა მოსაზრებათა კრიტიკული შეფასების საფუძველზე ავტორი სამართლიანად შენიშნავს: „ახალი ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების დანერგვისას საჭიროა გავითვალისწინოთ მათი ორგანული კავშირი სინამდვილესთან. ხელოვნურად შეკოწიწებულ, ადმინისტრაციული წესით შემოტანილ დღესასწაულს ან რიტუალს პერსპექტივა არა აქვს. ისინი უნდა გამომდინარეობდნენ ხალხის მასების შემოქმედებითი ინიციატივიდან, მათი მოთხოვნილებებიდან, გამოხატავდნენ გარკვეულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარებით გამოწვეულ იდეებსა და გრძნობებს“ (გვ. 43—44).

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რელიგიის მრავალსაუკუნოვან გამოცდილებას, როცა საწესო მოქმედების შესრულების დროს შერწყმულია გარეგნული მიმზიდველობა ქმედების მიზანთან. ყოველივე ამას ემსახურება ადამიანზე ფსიქოლოგიური ზეგავლენის ისეთი ეფექტური საშუალებანი, როგორიცაა ხელოვნება (არქიტექტურა, მუსიკა, ფერწერა და სხვ.), მხატვრული სიტყვა, დახვეწილი სიმბოლიკა და მრავალი აქსესუარი, რომლის აღქმა ხელმისაწვდომია ყოველი მოკვდავისათვის. საერთოდ, დღესასწაულის ზედმეტად თეატრალიზება აუბრალოებს მას. აქ საჭიროა დიდი სიფრთხილე და ზომიერება. ესთეტიკური ზეგავლენის საფუძველი აზრობრივი დატვირთვა უნდა იყოს, მაგრამ აქაც გარკვეული დოზაა საჭირო, რისი თანაფარდობის დაცვა ახალი წეს-ჩვეულებების ცხოვრებაში დამკვიდრების საწინდარია.

თანამედროვე დღესასწაულების ძირითადი ნაკლია მისი პარადულობა, ე. წ. „მიტინგური სტილი“, როცა საზოგადოება პასიურ მდგომარეობაშია, მხოლოდ მაყურებელია, მსმენელია. აქედან, უკვე განპირობებულია მოწყენილობა, რაც რიტუალს თუ დღესასწაულს უკარგავს ზეგავლენის ძალას. პრობლემა მაშინ გადაწყდება, თუ „ხალხი დღესასწაულის მოქმედი პირი გახდება“.

ანტირელიგიური ბრძოლა ახლაც მნიშვნელოვანია, მაგრამ ის თვითმიზნად არ უნდა ვაქციოთ. დღეს, როდესაც მეცნიერული ცოდნა მასების კუთვნილება გახდა, ათეისტური პროპაგანდაც სწორედ ამ ბერკეტს უნდა დაეყრდნოს. ეს ერთი მხარეა, ხოლო სამოქალაქო წეს-ჩვეულებათა და რიტუალების შემუშავებას, ცხოვრებაში დანერგვას გაცილებით უფრო ფართო მიზანი აქვს — ყოველგვარი რელიგიური ფანატიზმისაგან თავისუფალი კომუნიზმის მშენებელი ადამიანის აღზრდა.

მეორე თავში გაშუქებულია ტრადიციების როლი მშრომელთა კომუნისტური აღზრ-

დის საქმეში. მოსახლეობის აღზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა საბჭოთა ხალხის რევოლუციური და სამხედრო-პატრიოტული ტრადიციები, რომელიც ორ ჯგუფად იყოფა: ექსპლუატატორთა წინააღმდეგ მშრომელი მასების მრავალსაუკუნოვანი რევოლუციური ბრძოლის პროცესში წარმოქმნილი ტრადიციები და სოციალისტური საზოგადოების — თვისობრივად ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის წიაღში წარმოშობილი წეს-ჩვეულებანი.

რევოლუციურმა ტრადიციებმა დასაბამი მისცეს ისეთ თანამედროვე დღესასწაულებს, როგორიცაა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების დღე 7 ნოემბერი. ამ დღის აღნიშვნამ ფართოდ მოიკიდა ფეხი საოჯახო ყოფაშიც. ზეიმი ლოკალურ, ეროვნულ თავისებურებათა გამოვლენით ყველა ოჯახში გრძელდება. ასევე საყოველთაო-სახალხო დღესასწაულად იქცა მუშათა სოლიდარობის საერთაშორისო დღე — პირველი მაისი, გამარჯვების დღეს 9 მაისი, 8 მარტი და სხვ.

საზეიმო ვითარებაში ხდება პარტიული და კომკავშირული ბილეთების გადაცემა. ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით ჩამოყალიბებაში სათანადო როლს ასრულებს საბჭოთა ახალგაზრდობის დღე, სტუდენტთა დღე და სხვ.

მ. გუგუტიშვილის ნაშრომში სრულადაა გადმოცემული პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვა და გრანდიოზული ღონისძიებანი რევოლუციური, სამხედრო პატრიოტული და ინტერნაციონალური სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდის საშვილიშვილო საქმეში.

კულტურისა და დასვენების პარკები, საბრძოლო დიდების მუზეუმები, შინმოუსვლელთა სტენდები, სადაც დიდ სამამულო ომში გამარჯვებასთან დაკავშირებით იმართება მრავალფეროვანი რიტუალები, მასებს უნერგავენ სამშობლოს სიყვარულს და მშვიდობისაკენ სწრაფვას.

ახალგაზრდობის მიზნობრივი აღზრდა ხდება საბჭოთა ხალხის შთაგონებული შრომის ტრადიციებზე. განვითარებული სოციალიზმის ეპოქაში შრომა არა მარტო არსებობის საშუალებაა, არამედ ფართო მასების შინაგანი მოთხოვნილება. კომუნისტური შაბათობანი, სტახანოვური მოძრაობა, სოციალისტური შეჯიბრება, დამკვრელობა საბჭოთა წყობილების მონაპოვარია. საზოგადოებრივი შრომის წიაღში იშვა ახალი წეს-ჩვეულებანი, რომელთა მაგალითის ძალა დიდია და კეთილისმყოფელ ზეგავლენას ახდენს მთელი ქვეყნის მთლიან შრომის პროცესზე.

შრომა იქცა საბჭოთა მოქალაქის ღირსების ძირითად საზომად. პროფესიის უმაღლეს დონეზე დაუფლება, დასპეციალება შრომის ნაყოფიერების ამაღლების საწინდარიცაა და ხალხთა მეგობრობის ქეაკუთხედიც. რკინიგზელის, მეშახტის, მშენებლის, მეტალურგის და სხვათა დღეები საერთო — საკავშირო მასშტაბით აღინიშნება, რის შედეგადაც ერთი სპეციალობის მქონე სხვადასხვა ეროვნების ადამიანები განსაკუთრებული სიახლოვის გრძნობით არიან შეკავშირებულნი.

მიუხედავად ასეთი მნიშვნელობისა, პროფესიათა დღეებში ყველაზე მეტად იჩენს თავს ახალი დღესასწაულების დიდი ნაწილისთვის დამახასიათებელი ნაკლი, — წერს ავტორი, — მათ არა აქვთ საკუთარი სახე, სპეციფიკური რიტუალები, ერთმანეთისაგან განსხვავებული სიმბოლური ფორმები და მხატვრული ხერხები, რის გამო მოკლებულნი არიან ორიგინალობასა და მრავალფეროვნებას. პროფესიათა დღეები, როგორც წესი, ერთფეროვნად ტარდება. მათში ჰარბობს შაბლონური სადღესასწაულო სტრუქტურა — საზეიმო კრება, კონცერტი, ბანკეტი ან სახალხო სეირნობანი, რაც დღესასწაულისათვის არსებითი ნაკლია. პროფესიათა დღესასწაულები განსხვავებული უნდა იყოს ერთმანეთისაგან ისევე, როგორც სხვადასხვაა მათი საფუძველი. ყოველი დარგის განუმეორებელი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი შესაბამისად უნდა აისახოს დღესასწაულის ფორმასა და შინაარსში (გვ. 88).

სოციალისტური საზოგადოებრივი წყობის სპეციფიკამ განაპირობა შრომისადმი სრულიად განსხვავებული, კომუნისტური დამოკიდებულება, რაც დროთა განმავლობაში ტრადიციად დამკვიდრდა. მკვლევარს ჩვენს რესპუბლიკაში გაჩაღებული კომუნისტური შრომის ამსახველი მრავალი ფაქტი მოაქვს. აგრეთვე გამოწვლილეთაა აღნუსხული წარალისებანი და საზეიმო ცერემონიალი, რომელიც მშრომელ ადამიანს აზრიანი დასვენებისა და ძალის მოკრების სათანადო პირობებს უქმნის.

სოფლის მშრომელთა სტიმულირების შესანიშნავ ფაქტორად იქცა „მოსავლის დღე“ — პირველი საკავშირო სამიწათმოქმედო დღესასწაული, დაარსებული 1923 წელს. 1929 წლიდან მოსავლის დღე გარდაიქმნა „მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღედ“. მას ახალი შინაარსი მიეცა და კოლექტიური მეურნეობის მოწყობის ერთ-ერთ ხელშემწყობ

მოელენად გახდა, ხოლო როცა საკოლმეურნეო მოძრაობამ გაიმარჯვა, 1935 წელს ეს დღესასწაული გაუქმდა. 50-იანი წლებიდან „მოსავლის დღესასწაული“ ახალ შინაარსს იძენს და ყოფაში კვლავ მკვიდრდება.

„მოსავლის დღესასწაული“ უმეტესად შემოდგომით, მოსავლის აღება-დაბინავების შემდეგ იმართება და მისი სპეციფიკა დამოკიდებულია ადგილზე სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ დარგის განვითარებით. შემდეგ ავტორი ანზოგადებს „მოსავლის დღესასწაულის“ მოწყობასთან დაკავშირებით ლაგოდეხისა და გურჯაანის რაიონების გამოცდილებას.

რესპუბლიკის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა „მეჩაიეს დღის“ საზეიმო აღნიშვნამ, რამაც თავის მხრივ წარმოშვა „ჩაის დღე“. ქართველ მთიელებში დიდი პოპულარობით სარგებლობს მწყემსის, ანუ „მეცხვარის დღე“.

მესამე თავი მთლიანად ეთმობა საოჯახო ყოფასთან დაკავშირებულ ახალ წეს-ჩვეულებებს და სახალხო დღესასწაულებს. პირველ პარაგრაფში ავტორი არკვევს ახალი წეს-ჩვეულებებისა და დღესასწაულების როლს რელიგიური გადმონაშთების დაძლევის საქმეში.

რელიგია შიშველი იდეოლოგიით არასდროს არ ახდენდა მასებზე ზეგავლენას. ითვალისწინებდა რა პერსონის შინაგან მოთხოვნილებას, მის ფიზიოლოგიურ და ესთეტიკურ ლტოლვას, უქმნიდა კოლექტიური დასვენების, მისწრაფებათა დაკმაყოფილების სასურველ გარემოს, რაც მიიღწევოდა არქიტექტურის, მხატვრობის, მუსიკის და სიტყვის — ქადაგების კომპლექსურად შერწყმით.

დღევანდელი ათეისტური მუშაობის უპირველესი საზრუნავია საკულტო ქმედებათა ემოციურ-ფსიქოლოგიური შთაგონების შესუსტება და ისეთი თანამედროვე დღესასწაულებისა და რიტუალების შემოღება, რომლებიც დასჯაბნიან რელიგიის მრავალნაცად მეთოდებს. მაგრამ ამ თვალთახედვით ჩვენს რესპუბლიკაში ჯერჯერობით ცოტა რამ კეთდება. ასე მაგალითად, ჯერ კიდევ არა გვაქვს ბავშვის დაბადების აღსანიშნავი ახალი ცერემონიალი, რის გამო მშობლები, რომლებიც გვერდს უვლიან ნათლობის საეკლესიო რიტუალს, იძულებულნი არიან დაკმაყოფილდნენ მმაჩის რეგისტრაციის კანცელარული აქტით. ამ უფერულობის შევსებას ახალშობილის მშობლები ერთგვარად ახერხებენ ოჯახურ წრეში. მაგრამ, ასეთი წესით ბავშვის დაბადების აღნიშვნა, რა თქმა უნდა, ვერ შეასრულებს საზეიმო რიტუალის ფუნქციას (გვ. 110). მდგომარეობის გამოსწორების მიზნით მეცნიერი აზოგადებს მოსკოვის, ლენინგრადის, ბალტიისპირა რესპუბლიკების და საზღვარგარეთის გამოცდილებას. იშველიებს ძველქართულ ტრადიციებსაც, სახელდობრ, ახალშობილის სახელზე ხის დარგვის ჩვეულებას, რასაც დღესაც ასრულებენ ჩოხატაურის რაიონის სოფელ ერკეთში. მხარს უჭერს ნათლიების ინსტიტუტის შენარჩუნებას, ოღონდ ის რელიგიური შინაარსისაგან უნდა განთავისუფლდეს.

ჩვენთან სათანადო აღიარება პოვა და ცხოვრებაში დაინერგა ახალი სასწავლო წლის დაწყების დღესასწაული, რომელიც ტარდება დევიზით „გამარჯობა, სკოლავ!“ თბილისელ სტუდენტთა დღესასწაული იმართება „ქარიშხალას“ სტადიონზე და გამარჯვების პარკში. განსაკუთრებული ყურადღება ეუფლება პირველკლასელებთან და პირველკურსელებთან შეხვედრებს. საზეიმო ხასიათი მიეცა პასპორტების გადაცემას და სხვ.

1917 წლის დეკემბერში საბჭოთა ხელისუფლებამ გამოსცა დეკრეტი სამოქალაქო ქორწინების შესახებ, რითაც საეკლესიო ჯვრისწერამ ძალა დაკარგა. ყოველმხრივ ეფექტური ახალი საქორწინო რიტუალის შემუშავების პროცესი დღესაც არ დასრულებულა. ეს საკითხი მწვავედ დაისვა კომკავშირის XIII საკავშირო ყრილობაზე. პირველი ინიციატივა ლენინგრადში გამოიჩინეს და იქ 1959 წლის 1 ნოემბერს დაარსდა ქორწინების სასახლე. ეს სიახლე მალე დაინერგა სხვა დიდ ქალაქებსა და რესპუბლიკებში. თბილისში ქორწინების პირველი სასახლე გაიხსნა 1964 წლის 30 აგვისტოს. ამრიგად, ახალი საქორწილო რიტუალის შესასრულებლად გამოინახა შესაფერისი გარემო. ამჯერად თვით რიტუალის ორგანიზაციის პრობლემაა გადასაწყვეტი, რომელიც, ბუნებრივია, საუკუნეთა სიღრმიდან მომდინარე ეროვნულ სპეციფიკას უნდა ეყრდნობოდეს, აგრეთვე სრულფასოვანად უნდა აკმაყოფილებდეს თანამედროვე მოქალაქის გაზრდილ ესთეტიკურ გემოვნებას. აქვე თავს იჩენს საქორწინო საჩუქრების, საერთოდ სიმბოლიკის, სუფრის და სხვა მისთანათა მრავალი პრობლემა, რომელთა გადაწყვეტა სადღეისო გადაუდებელ ამოცანადაა ქცეული.

ისევ მწვავედ დგას საკითხი ტრადიციული ნიშნობის აღდგენის შესახებ. ნიშნობა-ქორწინების წინარე საფეხური აუცილებელი იყო მომავალი ოჯახის სიმტკიცისათვის. საქორწილო წყვილთა დაახლოვება, სამოყვრო ოჯახების ერთმანეთთან საფუძვლიანი გაცნობა ბედნიერი ქორწინების გარანტიას იძლეო-

და. ამჟამად ეჭვი არავის ეპარება, რომ ნიშნობა ბრძნული, ხალხური რაციონალური ჩვეულებაა, მაგრამ რა ფორმით უნდა აღდგეს ის და ყოფაში როგორ დაინერგოს — აი, ეს არის გადასაწყვეტი.

მოსაგვარებელია მიცვალებულის დაკრძალვასთან დაკავშირებული ცერემონიალი. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი აზრის სამჯაროზე მკაცრად, კრიტიკულად განიხილება ამ მეტად მნიშვნელოვანი საყოფაცხოვრებო მოვლენის ნაკლოვანებანი, ჯერჯერობით რაიმე მისაღები უნიფიცირებული რიტუალი ვერ გამომუშავდა. გვირგვინები შეცვალა ძვირად ღირებულმა „კალათებმა“, „სეფას“ ნაცვლად საქელეხო სუფრამ სახლებში გადაინაცვლა. სასაფლაოებს უგემოვნება და გაუმართლებელი პომპეზურობა დაეუფლა. საფლაეთა ე. წ. „სტანდარტიზაციის“ ცდები არცთუ მაინცდამაინც შედეგიანია, სამაგალითოდ თბილისში „მუხათგვერდის“ ახალი სასაფლაოც საკმარისია, სადაც მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს მოსაწყენი, ერთფეროვანი საფლაები. იქ სიმწვანეს, ხასხასა მოლს, ყვავილებს, მარადიული სიცოცხლის სიმბოლოს — ხეს ადგილი არ რჩება. აქედან გამომდინარე, ცხოვრების აუცილებლობა დღის წესრიგში აყენებს თანამედროვე საწესო რეალიების გამომუშავებას, რომელიც ყოფის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ და სოციოლოგიურ შესწავლას უნდა ემყარებოდეს. სწორედ ამ პრობლემათა გადაწყვეტისადმია მიძღვნილი ცნობილი დადგენილება „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებათა შესახებ“.

ბოლო პარაგრაფში — „ახალი სახალხო დღესასწაულები“ განხილულია „გრემ-ქალაქობა“, რომელიც 1966 წელს გრემის სატახტო ქალაქად გამოცხადების 500 წლისთავთან დაკავშირებით ყვარლის რაიონის მშრომელებმა დააწესეს, იმართება ყოველი წლის 28 აგვისტოს. იყალთოს სახალხო უნივერსიტეტმა საფუძველი დაუდო „შოთაობას“, ახმეტის რაიონში იმართება „ზეზვაობა“, ყვარელში დიდი ზეიმით აღინიშნება „ილიაობა“. ქართველი საზოგადოებრიობა სოფელ ჩარგალში ყოველწლიურად დღესასწაულობს „ვაჟაობას“, სიღნაღში მართავენ „ეანოობას“ და ა. შ. თბილისში შეეცადნენ აღედგინათ „ყვავილების დღესასწაული“. დედაქალაქში იმართება აგრეთვე „პოეზიის დღე“, „მხატვრის კვირეული“ და სხვა.

კელევის შედეგები შეჯამებულია დასკვნაში. ნაშრომს ახლავს რეზიუმე რუსულ ენაზე. წიგნი ენობრივად გამართულია და კარგად იკითხება. მაგრამ უმჯობესი იყო მასალის უფრო თანმიმდევრულად დალაგება, მაშინ თავიდან ავიცილებდით ზოგიერთ განმეორებას. აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ სხვადასხვა წვრილმან უზუსტობაზე და გამოვქვამთ ორიოდე სურვილს.

ასეთი სახის გამოკვლევაში საშური და აუცილებელია მეტი კონკრეტული ეთნოგრაფიული მასალა შევიტანოთ, რის სიმცირესაც აშკარად განიცდის ეს წიგნი. მაგალითად, ჩვენ ვმსჯელობთ საახალწლო ნაძვის ხეზე და გვაკიწყდება, რომ ის ქართული ტრადიციული მოვლენა არ არის. იგი არცთუ დიდი ხნის წინათ გარედან დაინერგა და აურაცხელი ზარალი მიაყენა ჩვენს ტყეებს. ამჟამად ძველქართული ჩიჩილაკი, გვერგვი და სხვა მისთანანი არავის ახსოვს, სამაგიეროდ. ჩვენი ბავშვები ხელოვნურ „ნაძვის ხეს“ ელოლიავებიან, ხოლო ზოგიერთი მოხერხებული კვლავ იმეტებს ჩჭოლა ნაძვს დასაღუპად. სამწუხაროდ, ამ დასაგმობ სიმბოლოს კვლავ ვხედებით საზოგადოებრივი შეკრების ადგილებში, რაც ხალხისთვის არასასურველი მაგალითია. მსგავსი ყოფითი „წვრილმანი“ მოელენების წინ წამოწევა და კრიტიკულ-მეცნიერული განსჯა წიგნს უფრო მიზანსწრაფულს გახდიდა. აქვე ისიც უნდა დავძინოთ, რომ მკელევარი რატომღაც მთლიანად ვერ იყენებს ამ მიმართებით შესრულებულ ქართველ ავტორთა ნაშრომებს.

წიგნში მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ზოგიერთი რამ გადასასინჯია. მაგალითად, ვმსჯელობთ ახალ ტრადიციებზე, მაგრამ შეიძლება ყველა მათგანს ტრადიცია ეწოდოს? ისინი ხომ უფრო ერთდროულ ღონისძიებებს გვანან. ამასთან დაკავშირებით საჭიროა დაზუსტდეს ცნებები — „გადმონაშთი“, „კიჩი“, „ინოვაცია“ და სხვა. მკელევარს მათი არსი უნდა გადმოეცა და ყოფიდან სათანადო მაგალითებიც მოეტანა, მით უმეტეს, ჩვენთან ამისი ცდები არის და მისი იგნორირება არცთუ მაინცდამაინც მომგებიანია. ვფიქრობთ, მომავალში ეს გაკეთდება.

ნაშრომი ნათელყოფს, რომ ახალი ტრადიციებისა თუ ინოვაციების გამომუშავებისა და დანერგვის საქმეში მიღწევებთან ერთად თავს იჩენს სერიოზული ნაკლოვანებანი, რაზედაც განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის ნოემბრის დადგენილებაში.

აქვე სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია მკითხველს ვაუწყოთ, რომ აღნიშნული დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად პრაქტიკული ნაბიჯები უკვე გადაიდგა. საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან ჩამოყალიბდა მშრომელთა ყოფა-ცხოვრება-

ში ახალი წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების პროპაგანდისა და დანერგვის რესპუბლიკური მუდმივი კომისია, ხოლო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან შეიქმნა სოციალურ-კულტურულ ტრადიციათა პრობლემების სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრი, რომლის მიზანია სამეცნიერო კვლევა-ძიების ორგანიზაცია და მუდმივ კომისიებთან ერთად სათანადო რეკომენდაციების შემუშავება.

საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროსთან დაარსდა საწესჩვეულებო მომსახურეობის სამმართველო, რომელსაც დაევალა საქორწინო და სამგლოვიარო რიტუალების ახალი შინაარსით პრაქტიკულად განხორციელება.

ამრიგად, საფუძველი ჩაეყარა ყოფითი მოვლენების მიზანსწრაფულად მართვას და ამ სათუთ საქმეში ზღვარი დაედო ერთგვარ სტიქიურობას, რასაც ადგილი ჰქონდა ახლო წარსულის მიშვებულობისა და უპასუხისმგებლობის პერიოდში.

დადგენილების მიღების შემდეგ, მიუხედავად გაწეული მუშაობისა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეორე პლენუმზე (1976 წლის 26 აპრილი) საგანგებოდ აღინიშნა:

„კარგი, ძალიან დროული დადგენილებაა ბრძოლა მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ. მას შემდეგ, რაც იგი მივიღეთ, თითქმის ნახევარი წელი გავიდა. სავსებით საკმარისი დროა, რომ შეგვეძლოს ვილაპარაკოთ მისი განხორციელების გზით გადადგმულ თუნდაც პირველ ნაბიჯზე, მაგრამ ჯერჯერობით ბევრი არაფერი გვაქვს სათქმელი. და ამაში კიდევ ერთხელ რწმუნდები მორიგი რელიგიური დღესასწაულის მოახლოებისას. ზოგიერთი ამხანაგის შეშფოთება, რომელიც ამ გარემოებამ გამოიწვია, მოწმობს, რომ ძველი წეს-ჩვეულებებისათვის ახალი ტრადიციების დასაპირისპირებლად ჯერჯერობით კონკრეტული არაფერი გაკეთებულა („კომუნისტი", 27 აპრილი, 1976, გვ. 3).

დიახ, ამ მიმართულებით, მართლაც, ბევრი რამ არის გასაკეთებელი, მოსაგვარებელი. შექმნილი დაწესებულებანი თაეიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში, ბუნებრივია, უნდა ემყარებოდნენ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგებს. პირველ რიგში, ათეისტთა, სოციოლოგთა, ეთნოგრაფებისა და ფსიქოლოგების მიერ კომპლექსურად საგანგებოდ უნდა იყოს შესწავლილი თანამედროვე ყოფაში მიმდინარე პროცესები, გამოვლინდეს რაც შეიძლება უხვი ფაქტობრივი მასალა, რომელიც გააზრებული იქნება ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით და სათანადო მეცნიერული ანალიზის შედეგად საფუძვლად დაედება ყოველ პრაქტიკულ რეკომენდაციას. ამის მიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ რესპუბლიკის მასშტაბით, დღეანდელ მოთხოვნილებათა დონეზე გარდაიქმნება ეთნოგრაფიული მუშაობა, მეტადრე საველე-საექსპედიციო საქმე და წინ წამოიწევა გამოყენებითი ეთნოგრაფიის პრობლემატიკა.

ლევან ფრუიძე

АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ ИССЛЕДОВАНИЯ НА НОВОСТРОЙКАХ ГРУЗИНСКОЙ ССР; ТБ., 1976

Минувшие годы для каждого, кто причастен к изучению ранних этапов отечественной истории, ознаменовались двумя выдающимися фактами: в 1976 году был принят Закон СССР «Об охране и использовании памятников истории и культуры», а спустя год, накануне 60-летия Великого Октября достоянием советских людей стала новая Конституция СССР, в статье 67 которой записано: «Забота о сохранении исторических памятников и других культурных ценностей — долг и обязанность граждан СССР». Названные законодательные акты подготовлены самой жизнью, теорией и практикой отношения первого в мире социалистического государства к наследию минувших эпох в истории каждого народа и всего человечества. Одним из таких впечатляющих знамений периода развитого социализма в СССР, свидетельством дальнейшего подъема экономики, культуры и науки, намеченного XXIV и XXV съездами КПСС, является небывалый прежде грандиозный размах строительных работ в нашей стране и сопутствующая невиданная ранее активизация новостроечных научных экспедиций, в том числе и археологических.

Не составляет исключения и Грузинская ССР. На протяжении уже ряда лет все основные усилия Института истории, археологии и этнографии имени академика И. А. Джавахишвили АН Грузии, как ведущего археологического центра республики, направлены на спасение археологических памятников в зонах строительства оросительных систем и гидротехнических сооружений, железнодорожных и автомобильных магистралей, гигантских заводов и жилых массивов. Эти исследования охватили сегодня большую часть Грузии и ежегодно приводят к крупным, а нередко и к исключительным научным открытиям памятников всех периодов истории. При этом археологическая спасательная служба Грузинской ССР, как и всего Союза ССР[1], ставит перед специалистами задачу достижения максимальной эффективности новостроечных работ, усовершенствования и рационализации методики раскопок, научной обработки полученных материалов, своевременного доведения их до сведения заинтересованных кругов общественности.

Много успешных шагов сделано современной археологией Грузии на пути дальнейшего усиления продуктивности своих исследований[2]. Среди них — постоянное внимание к качеству публичного обнародования результатов новейших полевых трудов. Разработка фундаментальных проблем археологии и истории с широким применением достижений других наук требует значительного времени. Вместе с тем, в рамках таких крупных и сложных для изучения регионов, как Кавказ, а тем более — в широких общегосударственных и глобальных масштабах перспективы археологии и истории во многом зависят от уровня информативной отдачи, от степени осведомленности специалистов в сути накопления источниковой базы для новых обобщений, соответствующих уровню эпохальных требований. В этой связи необходимо назвать такие (кроме традиционных) формы научной адресации к широким слоям заинтересованных лиц, как постоянное на протяжении последних 10 лет участие археологов Грузии в московском ежегоднике «Археологические открытия», регулярная публикация в Тбилиси (причем последние годы — на русском языке) сборников кратких сообщений (все более богато иллюстрируемых) о полевых археологи-

---

[1] Башилов В. А., Волков В. В., Советская археология в год 60-летия Великого Октября, «Сов. археология», 1977, 4, с. 5—11.

[2] Лордкипанидзе О. Д., Археология Грузии, Новейшие открытия, проблемы, перспективы, «Сов. археология», 1977, 3, с. 5—23.

ческих исследованиях в Грузии каждого сезона. И вот теперь — закономерное и знаменательное событие: выход в свет первого во всесоюзной практике специального сборника научных исследований (редакторы О. Д. Лордкипанидзе, Т. К. Микеладзе), созданного по итогам крупнейших новостроечных археологических экспедиций целой союзной республики — Грузинской ССР. Так, на новом, качественно неизмеримо более высоком уровне реализуется давняя традиция оперативного обнародования основных полевых результатов, достигнутых в ходе социально-экономического преобразования нашей Родины[3].

Сборник открывается проблемной статьей О. Лордкипанидзе «Археология и современность». Она адресована каждому, кто взял в руки коллективный труд по итогам новостроечных раскопок. И эта инициатива заслуживает похвал: видный грузинский советский археолог счел своим долгом ввести широкий круг читателей в лабораторию исследовательского поиска своей науки, познакомить с проблематикой и методами археологии, через призму верных и тонких наблюдений обосновать глубоко современный, философско-гуманистический вывод: «Каждая археологическая находка в благородном сравнении с сегодняшним прогрессом должна вселять уважение и веру в непобедимое могущество человеческого разума... Отсюда и почетная миссия археологии в современном обществе: возвратить людям из многотысячелетнего покрова земли самое дорогое сокровище — все то, что создано великим разумом и рукой человека» (с. 9). Именно эта миссия вызвала к жизни и рецензируемый сборник, как первый хороший образец подобных изданий.

Всем статьям сборника присущ бесспорный исследовательский характер и строгое соответствие глубоко продуманному принципу содержания. Авторы не просто информируют о полевых итогах своих экспедиций, хотя и одного этого было бы достаточно для одобрения. Они объективно оценивают исходную археологическую ситуацию в изучаемых районах до начала новостроечных работ, экономно и ярко вводят в научный оборот вновь открытые памятники, трактуют добытые материалы на самом современном уровне исследования, неукоснительно и откровенно оговаривают дискуссионность многих проблем. Все статьи ставят задачи на будущее, формулируют направление последующих поисков на полевом и интерпретационном этапах археологических изысканий. Предельно для подобного издания насыщен научный аппарат, позволяющий специалистам познакомиться с необходимой историографией, углубить свои познания в конкретных вопросах. Статьи сборника хорошо (а порой и щедро, ибо имеются даже цветные вклейки) снабжены иллюстрациями (полевые чертежи, фотографии, изображения вещевых комплексов, уникальных образцов материальной культуры). Единственным упущением, пожалуй, является отсутствие (за исключением статьи Р. М. Абрамишвили) карт-схем каждого из исследуемых районов и общей карты Грузии с их обозначением. Ведь сборнику суждена популярность далеко не только у тех, кто достаточно знаком с географией республики! В целом же структура статей целесообразна и потому безусловно удачна.

Это подтверждается первой же из основных статей «Археологические исследования на новостройках Кахети». К. Н. Пицхелаури и Ш. Ш. Дедабришвили стояли перед нелегкой задачей: лаконично сформулировать результаты изучения нескольких сот новых археологических памятников в области, остававшейся до недавнего времени «наименее изученной частью Грузии» (с. 11); Ценные, а в ряде случаев уникальные (Заирская стоянка-мастерская) палеолитические местонахождения впервые характеризуют древнекаменный век края, прославившегося в летописи антропогенеза останками удабнопитека. Разнотипные памятники (поселения, стоянки, могильники) эпохи ранней бронзы проливают дополнительный свет на сложный и еще далеко окончательно не ясный[4] генезис куро-аракской культуры, на вопросы связей Кахети с Северным Кавказом и внутренней

[3] Эта традиция восходит к статьям и публикациям 20-х годов, к некоторым сборникам довоенной поры и отдельным изданиям 50—70-х годов, посвященным некоторым памятникам или сугубо локальным территориям.

[4] См.: Мунчаев Р. М., Кавказ на заре бронзового века, М., 1975. Сравни: рец. В. М. Массона («Вопросы истории», 1977, 8, с. 162—163).

имущественной и социальной дифференциации раннебронзового общества[5]. Удачны раскопки памятников средней бронзы. Они уточняют происхождение, ареал и общественно-экономическую характеристику прославленной триалетской культуры.

Наиболее результативны оказались в Кахети усилия по изучению эпохи поздней бронзы — широкого освоения железа. Уяснение структуры и динамики местных поселений, тотальные раскопки гончарных и металлургических мастерских, верное осмысление оригинальных святилищ, ценные наблюдения за хозяйственным статутом древних обществ Алазанской долины и окрестных гор — вот не полный реестр проблем, успешно решаемых авторами. Чрезвычайно интересна трактовка одной (но не единственной!) из причин прекращения жизни на ряде поселений к середине VII в. до н. э. в связи с нашествием скифов, что хорошо согласуется с общекавказской ситуацией[6]. Большой объем полезной информации таится и в скупых на слова абзацах, посвященных изучению древностей античного и феодального периодов. В целом изложение кратких итогов десятилетних работ Кахетинской археологической экспедиции заслуживает весьма высокой оценки.

Содержательна статья Р. М. Абрамишвили «Археологические исследования на новостройках Большого Тбилиси». Свыше 130 памятников представлено в ней. Основываясь на материалах Делисского поселения, автор подчеркивает, что «история человеческой жизни на территории Тбилиси насчитывает уже 6.000 лет» (с. 25). И надо думать, это — не предел!

Селища и могильники эпохи энеолита — ранней бронзы побудили и этого автора справедливо акцентировать вопрос о взаимоотношениях куро-аракской культуры с предшествующими памятниками. Основное внимание в статье уделено Трельскому могильнику конца эпохи средней бронзы — широкого освоения железа. Памятник заслуживает этого. Он дает ключ к пониманию социальной структуры и этнического состава населения в зоне Большого Тбилиси почти что на протяжении тысячи лет (XV—VI вв. до н. э.), снабжает археологов богатыми и выразительными комплексами, крайне важными для разработки подробной хронологии кавказских древностей. В этой связи полагаю, что дата — IX в. до н. э., — предложенная в «Описании таблиц» для погребения № 49 (с. 102), если только это не опечатка из «XI в. до н. э.» (кстати, опечатки в сборнике заметны, и они нередко затемняют смысл!) несколько завышена. Тип тонкопроволочной фибулы[7] и остальной металлический инвентарь более согласуются с прежней датировкой данного погребения («около рубежа II—I тысячелетия до н. э.»)[8]. Примечательна, кстати, в этом комплексе бронзовая крестовидная подвеска (табл. VIII, 1326), имеющая синхронные параллели в Тлийском могильнике (Юго-Осетия). Она показывает поспешность вывода о появлении таковых в кобанской культуре Северного Кавказа предскифского времени из культур Подунавья VIII—VII вв. до н. э.[9].

[5] См.: Массон В. М., Древние гробницы вождей на Кавказе (Некоторые аспекты социологической интерпретации), Сб. «Кавказ и Восточная Европа в древности», М., 1973, с. 102—112.

[6] Крупнов Е. И., Древняя история Северного Кавказа, М., 1960; Виноградов В. Б., Центральный и Северо-Восточный Кавказ в скифское время, Грозный, 1972; Ковалевская В. Б., Скифы, Мидия, Иран во взаимоотношениях с Закавказьем по данным Леонти Мровели, «Мацне», 1975, 3, с. 62 и сл.

[7] Куфтин Б. А., Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941, с. 7Г, рис. 74 (а и б); Техов Б. В., Очерки древней истории и археологии Юго-Осетии, Тбилиси, 1971, с. 164—165, рис. 61; его же, О появлении и развитии кавказской дугообразной фибулы, Сб. «Кавказ и Восточная Европа в древности», М., 1973, с. 141—144, рис. I, II.

[8] Абрамишвили Р. М., Каландадзе К. С., Николайшвили В. В., Рамишвили А. Т., Тушишвили Н. Н., Основные итоги работ Тбилисской экспедиции, Археологические открытия 1972 года, М., 1973, с. 417.

[9] Козенкова В. И., Связи Северного Кавказа с карпато-дунайским миром, Сб. «Скифский мир», Киев, 1975, с. 53—55, рис. 1, 6, 12.

Новые находки бронзовых мечей с тупым концом в Трельском могильнике (погребения №№ 41 и 49) побуждают обратиться и к вопросу об их атрибуции. Г. А. Ломтатидзе не без оснований считал, что эти мечи специально приспособлены для нанесения рубящих ударов и могут быть оружием именно конных воинов[10]. Однако в период бытования этих мечей (XIII—X вв. до н. э.) предметы конской упряжи в Центральном Закавказье весьма эпизодичны (Бешташени, Так-Килиси), а конские захоронения почти неизвестны. Тем не менее, оружие подобного типа из курганов Восточного Закавказья (например, Арчадзор), насыщенных конскими погребениями, позволяет все же думать, что Г. А. Ломтатидзе был прав[11]. Малочисленность же прямых данных об использовании племенами Восточной Грузии в конце II тысячелетия до н. э. коня для верховой езды может объясняться слабой распространенностью в это время культа данного животного и его атрибутов у местных насельников. Положение меняется в первой половине I тысячелетия до н. э. Для этого времени известны погребения коней со всадником (Двани, Цицамури)[12], а также получают распространение предметы конской сбруи (Зекари, Свири, Цхавати, Ацкури и др.)[13]. Показательны и материалы трельского погребения № 16 VIII—VII вв. до н. э. Найденные здесь бронзовые удила и псалии, изображение всадника — приметы развитого культа коня.

Интересны наблюдения Р. М. Абрамишвили по поводу синхронного Трельскому могильнику поселения «грандиозных для того времени масштабов» (с. 28) в Дигомской долине, а также сведения о памятниках эллинистической эпохи, римского и феодального периодов. Убедителен итоговый вывод: «... крупное поселение Дигомского ущелья явилось той экономической единицей, которая сыграла роль в создании Тбилиси, как столичного города» (с. 29).

Выдающимся образцом современной грузинской археологии являются и труды Жинвальской новостроечной экспедиции. Некоторые их итоги обобщены в статье руководителей работ Р. М. Рамишвили и В. А. Джорбенадзе. И вновь следует констатировать, что плодотворные усилия большой группы специалистов охватили древности всех эпох в Арагвском ущелье и его округе.

Впервые открыты и обследованы местонахождения каменного века; у сел. Жинвали подвергнуты раскопкам уникальное культовое место эпохи ранних металлов, разнообразные поселения и городища, монетные клады, десятки средневековых архитектурных комплексов, включая крепости, церкви, сигнальные башни, святилища и пр. Однако самыми замечательными результатами отмечено изучение могильников античного и феодального периодов (Ахали Жинвали, Арагвиспири, «Накалакари», Жинвали и др.). Они по богатству и выразительности занимают достойное место рядом с некрополями Армазисхеви, Клдеети, Згудери, пополняя наши знания о погребальных комплексах представителей иберийской знати — ранга питиахшей-эриставов. Материалы новых могильников очень ценны в плане уточнения общекавказской хронологии I тысячелетия н. э., так как обильно насыщены хорошо датируемыми категориями предметов (античные и грузинские монеты, специфические украшения, серебряная посуда и пр.). Они полно характеризуют материальную и духовную культуру населения южных склонов Центрального Кавказа — исторической части Грузии, и одновременно предоставляют великолепную возможность для ее сопоставления с синхронными и этно-культурно близкими древностями ближайших северокавказских горских соседей (в первую очередь — пред-

---

[10] Ломтатидзе Г. А., Бронзовые кинжалы и мечи из древнейших погребений Самтаврского могильника, Тбилиси, 1974, с. 170.

[11] Кушнарева К. Х., Некоторые памятники эпохи поздней бронзы в Нагорном Карабахе, СА, XXVIII, М., 1957, с. 142—143, рис. 7. 1.

[12] Макалатия С. И., Раскопки Дванского могильника, СА, XI, 1949, с. 231 сл.

[13] Куфтин Б. А., Указ. соч., с. 60, рис. 57,6; рис. 58, 3, 4, 5, 7.

ков чеченцев и ингушей)[14]. Не случайно авторы статьи подчеркнули исследование вопросов культурных взаимоотношений Восточной Грузии с народами Северного Кавказа как одно из первостепенных направлений, стоящих перед Жинвальской экспедицией (с. 44).

Совершенно очевидно, что на пути решения последней проблемы жинвальским памятникам станет принадлежать неординарная роль, и сегодня она заявляет о себе пока лишь первыми репликами. Так, не оспаривая допустимости авторской трактовки «христианского обряда захоронения» в отдельных погребениях «предхристианского периода» Арагвиспири (с. 36—37), хотелось бы высказать мнение и о нецелесообразности отказа от подхода к этому явлению, как результату возможного северокавказского влияния в районе Арагвского ущелья — части торной дороги, связывавшей Грузию и Северный Кавказ. Ведь именно в Чечено-Ингушетии, Осетии и Дагестане в первой половине I тысячелетия н. э. фиксируется в могилах господство вытянутого положения скелетов, уложенных чаще всего головой на запад, и многочисленные золотые и серебряные украшения (в том числе и выполненные в технике перегородчатой эмали), тождественные жинвальским и не всегда имеющие местный грузинский исходный прототип[15]. Ближайшие аналогии каменным ящикам и некоторым типам средневековых склепов могильника «Накалакари» обнаруживаются также в горной Чечено-Ингушетии и, отчасти, Осетии[16]. Хочется подчеркнуть вместе с тем, что уже бесспорно христианские могильники типа «Накалакари», Магаро, дающие значительный процент христианских погребений в коллективных каменных склепах исконно горской архитектурной традиции и с обычным для эпохи вещевым инвентарем сопровождения, должны веско поколебать мнение тех археологов, которые в тщетных поисках массовых классических христианских захоронений к северу от Главного Кавказского хребта, делают опрометчивые выводы о якобы слабой христианизации горцев Центрального Кавказа со стороны Грузии[17]. Между тем, как раз многочисленные архитектурные культовые комплексы средневековья, выявленные в Арагвском ущелье, могут стать незаменимым ключом к трактовке каменного культового зодчества других районов Центрального Кавказа, дополнительно аргументируя тезис о существенном влиянии христианской храмовой архитектуры Грузии на ее соседей[18].

Одним словом, успех Жинвальских раскопок, охвативших пока лишь четвертую часть обнаруженных здесь памятников, далеко превосходит их локальный характер и зримо приобретает общекавказские черты.

Не все новостроечные работы столь масштабны и монументальны по результатам, как вышеохарактеризованные. Но всякий

---

[14] См. Кобычев В. П., Расселение чеченцев и ингушей в свете этногенетических преданий и памятников их материальной культуры, Сб. «Этническая история и фольклор», М., 1977, с. 165—184.

[15] Виноградов В. Б., Сарматы Северо-Восточного Кавказа, Грозный, 1963; Виноградов В. Б., Петренко В. А., Новые источники по изучению сарматской эпохи в Чечено-Ингушетии, Археолого-этнографический сб., т. IV, Грозный, 1976; Керефов Б. М., Культура племен Центрального Кавказа в сарматское время, Автореф. канд. дисс., М., 1975.

[16] Умаров С. Ц., Средневековая материальная культура Чечни. Автореф. канд. дисс., М., 1970; Мамаев Х. М., Об интерпретации каменных ящиков Джераховского ущелья, Тезисы докладов VI «Крупновских чтений», М., 1976, с. 36—37; Гольдштейн А. Ф., Средневековое зодчество Чечено-Ингушетии и Северной Осетии, М., 1975, с. 97 и сл.: Даутова Р. А., Исследование средневековых памятников в горно-Чечне, Археологические открытия 1976 года, М., 1977 г., с. 94—95 и др.

[17] Марковин В. И., К вопросу о язычестве и христианстве в верованиях горцев Кавказа, Вестник КБНИИ, 6, Нальчик, 1972, с. 253—269; Мужухоев М. Б., Средневековая материальная культура горной Ингушетии, Грозный, 1977.

[18] Гамбашидзе Г. К., К вопросу о культурно-исторических связях средневековой Грузии с народами Северного Кавказа, II Международный симпозиум по грузинскому искусству, Тбилиси, 1977; В. Б. Виноградов, Некоторые аспекты сов-

раз они безусловно плодотворны. Г. Г. Пхакадзе публикует в сборнике небольшую статью об изучении поселения и двух могильников куро-аракской культуры в сел. Кода, полноценные материалы которых включают важные сведения о культурном слое, погребальном обряде, керамике, кремневом инвентаре и других сторонах культуры древних обитателей Квемо-Картли.

Археологические памятники на территории строительства Алгетского водохранилища анализируются Н. Н. Тушишвили, Дж. Ш. Амиранашвили, Г. И. Мирцхулава. Курган начала III тысячелетия до н. э. является древнейшим из исследованных тут памятников. А самые ценные итоги связаны с широкими раскопками двух позднебронзовых могильников у местечка Мадниcчала. Разнообразие типов местных погребальных сооружений, обилие и выразительность вещевого сопровождения покойников позволяют определить промежуточное положение этих некрополей между древностями Центрального Кавказа[19] и Южного Закавказья. Аргументированы соображения авторов о степени социальной и имущественной дифференциации по данным могильников. Особое место в статье занимают памятники эпохи феодализма, позволяющие сделать веский вывод: «Алгетское ущелье в период средневековья являлось одной из сильных и развитых областей Грузии» (с. 54).

Т. Н. Чубинишвили, Л. Д. Небиеридзе, Г. Г. Пхакадзе, Г .И. Мирцхулава представляют читателю памятники ранеземледельческой культуры вблизи сел. Арахло. Кроме самой характеристики интереснейших культурных слоев VI—IV тысячелетий до н. э. и содержащихся в них находок, статья ценна разнообразными палео-ботаническими и экологическими данными, которые позволяют представить сложный и единый комплекс поселений, базирующийся на развитом земледелии с применением орошения небольших участков земли.

Об исследовании древнего жилого холма у сел. Мчадиджвари в долине реки Нареквави рассказывает статья Л. Г. Цитланадзе, Г. И. Мирцхулава, М. Н. Гочнашвили. Среди разновременных его напластований особенно красноречив слой раннего этапа позднебронзового периода. В числе находок, связанных с ним, заслуживают внимания три глиняные штампы-пинтадеры — один из самых ранних на Кавказе (XIV—XIII вв. до н. э.). Изображения свастики и креста на их рабочих частях свидетельствуют, что кавказские пинтадеры с начального момента своего существования использовались при отправлении церемоний, связанных именно с солярным культом. И эта традиция сохранилась на протяжении всего срока их бытования[20].

В ближайшей округе холма Мчадиджвари открыты и другие объекты (поселения, могильщики, клады), относящиеся, как верно замечают авторы, к «первостепенным археологическим памятникам» (с. 65).

Ярким достоинством большой статьи А. В. Бохочадзе «Результаты работ археологической экспедиции на новостройках двуречья Ксани и Арагви» является сочетание археологического анализа и умелого использования грузинских письменных источников. Именно оно открыло дорогу важному открытию: автор уверенно определил местонахождение «Старой Мцхеты» — первой столицы царства Картли и дал ей предварительную характеристику. Столь же успешны авторские дефиниции по поводу древних городов Саркинэ и Дзалиси, питаемые тонкими историко-филологическими наблюдениями и прекрасными раскопочными материалами античной эпохи, включающими и шедевры скульптуры, архи-

---

ременного изучения средневековых культовых памятников Чечено-Ингушетии, Сб., «Археология и вопросы атеизма», Грозный, 1977, с. 59—67.

[19] Крупнов Е. И., Указ. соч.; Техов Б. В., Центральный Кавказ в XVI—X вв. до н. э. М., 1977.

[20] Krupnov E. I., Kaukasische „Pintaderas", Mitteilungen der Anthopologischen Gesellschaft in Wien, XCII, 1962, S. 197—205; Виноградов В. Б., Глиняный штамп с городища Алхан-Кала, Сб. «Древности Чечено-Ингушетии», М., 1963, с. 212—216; Нариманов И. Г., Глиняные штампы из Западного Азербайджана, Сб. «Материальная культура Азербайджана», VII, Баку, 1973, с. 116 и сл.

тектурного декора и пр. А. В. Бохоладзе имеет все основания утверждать, что результаты его экспедиции «чрезвычайно важны для изучения истории царства Картли... для исследования культурно-политических и социально-экономических вопросов и градостроительства» (с. 78).

Новые данные о средневековых (в основном сельскохозяйственных) поселениях в Боржомском районе сообщаются в статье Г. М. Насидзе. Разнотипные строения (жилые, хозяйственные, культовые) рисуют многоотраслевое хозяйство обитателей селищ Надикреби и высокий уровень их зодчества.

Детальное описание первых, в сущности, археологических раскопок в Цхалтубском районе дано А. Н. Каландадзе и К. С. Каландадзе. Они затронули и Белую пещеру — двуслойный памятник, датирующийся верхним палеолитом и энеолитом (соответственно: 30.000—25.000 и около 7.000—6.000 лет тому назад). Добытые материалы весьма показательны и диктуют настоятельную необходимость продолжения изучения этого природно-исторического феномена.

О раскопках городища Варцихе идет речь в статье В. М. Джапаридзе и Д. К. Джгамая. Большой интерес представляет изучение фортификационной системы городища, культурных слоев IX—XIII вв. Многочисленные археологические и архитектурные находки существенно помогают делу изучения истории Эгриси.

И, наконец, статья Т. К. Микеладзе и М. В. Барамидзе—последняя в сборнике—переносит читателей в Колхидскую низменность. Вновь, как бы напоминая об основной особенности новостроечных работ, статья информирует о памятниках огромного хронологического отрезка — от палеолита до эпохи эллинизма. Многослойные Окумская пещера и жилой холм Курэна, неолитические объекты в сел. Чхортоли принесли ценные материалы. Торфяники Испани и поселение эпохи средней бронзы Дихагудзуба II сохранили уникальные данные о срубных постройках и иных сложных системах деревянных сооружений. Большой научный интерес представляет могильник у сел. Нигвзиани, сочетающий исконный колхский обряд и смешанный колхско-«скифский» инвентарь, в котором земледельческие орудия численно преобладают над оружием, что является редчайшим и знаменательным фактом с точки зрения социальной стратификации местного общества. Значительнейшим памятником оказалось поселение VI—V вв. до н. э. в зоне древнего Фасиса, представленное усадьбой богатого горожанина. Сенсационен комплекс золотых вещей из сел. Гонио, представляющих высокохудожественные образцы ювелирного производства первых веков н. э. Овеянная легендами «страна Золотого Руна» с ее высокой и самобытной культурой[21] открыла новые страницы своего прошлого, и они — прекрасны.

Знакомство с отдельными статьями и всем сборником в целом оставляет большое впечатление. Огромен объем проведенных работ, впечатляющи научные результаты новостроечных экспедиций. Глубоко уместны слова благодарности строительным и иным государственным хозяйственным организациям, их руководителям, способствовавшим сохранению для потомства подлинных сокровищ истории Грузии. Не может не импонировать мысль, пронизывающая сборник и четко сформулированная в последней строке статьи О. Лордкипанидзе: «Археология в первую очередь должна сегодня стать на службу новостроек!». Она уже стала на эту службу. И всем, кто интересуется страницами богатого прошлого Грузии, теми страницами, что возрождаются сегодня из небытия под грохот могучих строек коммунизма, остается лишь ждать встреч с очередными «новостроечными сборниками» — подобными этому, что уже нашел своих читателей и в СССР и за рубежом.

---

[21] См., например: Инадзе М. П., Причерноморские города Древней Колхиды, Тбилиси, 1968; Лордкипанидзе Г. А., Древняя Колхида в VI—II вв. до н. э., Автореф. докт. дисс., Тбилиси, 1975.

В. Б. ВИНОГРАДОВ.

მონოგრაფია XI—XII საუკუნეების აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულების შესახებ

XI—XII სს. საქართველოს ისტორიის რიგი საკითხები უშუალოდ დაკავშირებულია მეზობელი პოლიტიკური ერთეულების ისტორიასთან. ამიერკავკასიის პოლიტიკური წარმონაქმნების ისტორიის შესწავლა მეტ-ნაკლები სისრულით წარმოგვიდგენს საქართველოს ადგილსა და როლს მთელი მახლობელი აღმოსავლეთის სინამდვილეში. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე ამ მიმართულებით საქართველოს მეზობელ პოლიტიკურ ერთეულებზე ყურადღება ნაკლებად იყო გამახვილებული. პ. თოფურიამ საგანგებოდ შეისწავლა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულების — რავადიანთა, შადადიანთა, აჰმადილიანთა ფეოდალური სახელმწიფოებისა და ბეშქენიანთა დარუბანდის საამიროების პოლიტიკური ისტორია XI—XII საუკუნეებში[1].

ნაშრომი შედგება წინასიტყვაობის, სამი თავის, რუსული რეზიუმეს, ვრცელი ბიბლიოგრაფიისა და საძიებლებისაგან. აქვეა ავტორის მიერ შედგენილი ისტორიული რუკა.

პირველ თავში განხილულია საკვლევი საკითხის გარშემო არსებული წყაროები და ლიტერატურა. ავტორს მოხმობილი აქვს არაბული, სპარსული, ქართული, სომხური და ბერძნული წყაროების ფართო წრე. მისი კვლევის სფეროში შემოსულია სხვადასხვა ენოვანი ნარატიული, ისტორიული და გეოგრაფიული თხზულებანი, ლიტერატურული, ნუმიზმატიკური, ეპიგრაფიკული ძეგლები.

პ. თოფურია სავსებით სამართლიანად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს „ალ-ბაბისა და შირვანის ისტორიას". აღნიშნული წყაროს ამ ნაწილის წყალობით, რომელიც მუნეჯიმ ბაშის თხზულებაშია დაცული, ავტორს შესაძლებლობა მიეცა ხელთ ჰქონოდა XI ს-ის 70-იანი წლების შუა ხანებამდე გაბმული თხრობის შემცველი საისტორიო ნაშრომი.

ავტორი ფართოდ იყენებს სპარსულენოვანი ავტორების: ზაჰირ ად-დინ ნიშაბურის, რაველნდის, ჰამდალაჰ ყაზვინის, მირხონდის, ჯუვეინის, რაშიდ ად-დინისა და ნიზამ ალ-მულქის თხზულებების მონაცემებს, არაბულენოვანი წყაროებიდან აღსანიშნავია იბნ ალ-ასირის, ალ-ჰუსეინის, ან-ნასავის თხზულებანი ფართოდ არის მოხმობილი არაბული და სპარსული გეოგრაფიული ლიტერატურა.

რამდენადაც ავტორის საკვლევ რეგიონებს — აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულებს — მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდათ სომხეთის სამეფო-სამთავროებთან, მას სომხურ წყაროებშიც მნიშვნელოვანი ცნობები აქვს მოძიებული, რომელიც შეჯერებულია სხვა წყაროების მონაცემებთან. ასევე არანაკლები მეცნიერული ღირებულებისაა ქართული წყაროების მონაცემები. ავტორი დიდ ნდობას უცხადებს ქართული წყაროების ცნობებს. იგი ქართული წყაროების მონაცემებს უპირველეს ყოვლისა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულების საქართველოსთან პოლიტიკური ურთიერთობის შინაარსისა და ხასიათის შესასწავლად იყენებს. ცნობილია თუ როგორ შეიცვალა დავით აღმაშენებლის დროს არსებული აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ფეოდალურ სახელმწიფოებთან საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის შინაარსი გიორგი III-ისა და თამარის დროს. ამ თვალსაზრისით ქართული წყაროების მონაცემები ძალიან საინტერესო და ორიგინალურია.

სარეცენზიო მონოგრაფიის ძირითადი ნაწილი მეორე თავშია წარმოდგენილი. ავტორი ეიდრე უშუალოდ გადმოსცემდეს აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ცალკეული პოლიტიკური ერთეულების ისტორიას, მათი წარმოშობის მიზეზებსა და მათი წარმოქმნისათვის შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას ეხება XI—XII საუკუნეებში აღნიშნული რეგიონის პოლიტიკურ რუკას. ავტორი იხილავს იმ სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებას, რამაც ხელი შეუწყო აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში პოლიტიკური ერთეულების ჩამოყალიბებას. შემდეგ ცალ-ცალკე განიხილავს

[1] პ. თ ო ფ უ რ ი ა, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები XI—XII საუკუნეებში, თბ., 1975.

[2] იქვე, გვ. 6.

თითოეულ პოლიტიკურ ერთეულს. პირველად ავტორი ეხება რავადიანთა ფეოდალურ სახელმწიფოს და აღნიშნავს, რომ მუსაფარიანების (სალარიანების) შემდეგ აზერბაიჯანის პოლიტიკურ სარბიელზე ეს დინასტია ასრულებდა ძირითად როლს.

ავტორი საკმაოდ ვრცლად გადმოგვცემს რავადიანთა დინასტიის ისტორიას დაარსებიდან ვიდრე გადაშენებამდე. შესაძლებლობის ფარგლებში განიხილავს ამ დინასტიის თითოეულ წარმომადგენელს და განასხვავებს რავადიანთა დინასტიის ბატონობას თავრიზსა და აზერბაიჯანში. საკითხის შესწავლისას იგი ძირითადად ეყრდნობა მუნეჯიმ ბაშის თხზულებაში დაცულ ცნობებს. რავადიანთა დინასტიის ბატონობა თავრიზში 118 წელს გაგრძელდა, ხოლო აზერბაიჯანში 90 წელი. რავადიანთა სახელმწიფოს ბოლო მოუღო ალფარსლანის შემოსევებმა ამიერკავკასიაში. ავტორს აქვე მოტანილი აქვს ამ დინასტიის გენეალოგიური ნუსხა. სასურველი იყო მიეთითებინა მათი ზეობის ან გამგებლობის წლები. ნუსხა მოცემულია ყოველგვარი თარიღების გარეშე.

მონოგრაფიის შემდეგ პარაგრაფში ფართოდაა მსჯელობა შადადიანთა ფეოდალური სახელმწიფოს შესახებ. ხაზგასმულია, რომ შადადიანთა სახელმწიფოს ძირითადი ტერიტორია არანი იყო, ხოლო პოლიტიკური ცენტრი განძა. შადადიანთა ერთი შტო ანისში დამკვიდრდა და იქ გააგრძელა თავისი დინასტიის ისტორია. გეოგრაფიული მდებარეობით შადადიანებს მჭიდრო კონტაქტი ჰქონდათ როგორც მუსლიმან, ისე ქრისტიან პოლიტიკურ ერთეულებთან. ავტორი დაწვრილებით ეხება შადადიანთა ისტორიის განძამდელ პერიოდს, ხაზს უსვამს არსებულ პოლიტიკურ ვითარებას, ყურადღებას ამახვილებს პოლიტიკური ძალების მიგრაციის ფორმასა და შინაარსზე. თანმიმდევრობით აქვს გადმოცემული შადადიანთა სახელმწიფოს პოლიტიკური ისტორია, წარმოდგენილი აქვს შადადიანთა მდგომარეობა თურქ-სელჩუკთა შემოსევებისა და ბატონობის პირობებში. ნაჩვენები აქვს თუ რა მდგომარეობაში აღმოჩნდა შადადიანთა განძის შტო დიდსელჩუკთა სახელმწიფოს ფეოდალიზაციისა და ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებად დაშლის შემდეგ. აქვე მოტანილი აქვს მათი გენეალოგიური ნუსხა, ისევ დათარიღების გარეშე.

სარეცენზიო ნაშრომში ცალკეა გამოყოფილი და შესწავლილი შადადიანთა ანისის შტო. აქვე ხაზგასმულია, რომ ბიზანტიის იმპერიის პოზიციების ამიერკავკასიაში განმტკიცებისათვის ანისს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამიტომ ბიზანტიის იმპერატორები ყოველთვის განსაკუთრებული ფულისყურით ეკიდებოდნენ ანისის მკვიდრთა განწყობილებასა და მათ მესვეურთ. მაგრამ თურქ-სელჩუკთა შემოსევებმა ანისის საკითხი ერთბაშად გადაწყვიტა. ანისი სელჩუკებმა აიღეს 1064 წელს და იქ თავისი ამირა დასვეს. ავტორს პირველწყაროების ანალიზის საფუძველზე გადმოცემული აქვს შადადიანთა ანისის შტოს გაბმული ისტორია. აქვე მოცემულია მათი გენეალოგიური ნუსხა.

ნაშრომში საგანგებოდაა მსჯელობა დარუბანდის საამიროზე, გათვალისწინებულია ის სოციალური, ეთნიკური და პოლიტიკური პირობები, რომელშიც ჩამოყალიბდა დარუბანდის საინტერესო პოლიტიკური ერთეული. დარუბანდის შესახებ ცნობები მოყვანილია I—II საუკუნეებიდან მოკიდებული, ვიდრე XIII ს-ის 30-იან წლებამდე. დარუბანდის საამირო მოქცეული იყო ეთნიკურად, სოციალურად, ეკონომიკურად, პოლიტიკურად, რელიგიურად და კულტურულად ჰრელ გარემოში. ავტორის სიტყვებით „IX ს-ის 60-იან წლებში შექმნილი დარუბანდის საამირო დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა უშუალოდ XI ს-ის უკანასკნელ მესამედამდე. ხოლო XII საუკუნეში ისევ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა. რაც შეეხება XI ს-ის უკანასკნელ მესამედს და XII ს-ის პირველ ათეულ წლებს, ამ დროს დარუბანდი, შესაძლებელია, შირვანის მფლობელობაში მოექცა თურქ-სელჩუკთა საერთო სიუზერენობით“ (გვ. 140). ავტორის ვარაუდით, დარუბანდის საამირომ დამოუკიდებლობა და საერთოდ არსებობა დასრულა XIII ს-ის 30-იან წლებში, როდესაც იგი მონღოლებმა დაიპყრეს. აქვე ავტორს მოტანილი აქვს დარუბანდის საამიროს განმგებელთა დინასტიის — ჰაშიმიანების გენეალოგიური ნუსხა. გათვალისწინებულია დინასტიის თითქმის ყველა წევრის ზეობის წლები.

ამავე თავში ავტორი ეხება აჰმადილიანთა ფეოდალური სახელმწიფოს ისტორიას. XI ს-ის მეორე ნახევარში თურქ-სელჩუკთა შემოსევებმა არსებითად შეცვალეს აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური რუკა. ცალკეული პოლიტიკური ერთეულები სელჩუკთა ბატონობის ქვეშ მოექცნენ, ზოგიერთმა არსებობა შეწყვიტა. სელჩუკთა გამგებლობის ქვეშ მოქცეულ პოლიტიკურ ერთეულთა შორის იყო აჰმადილიანთა დინასტიის სამფლობელოებიც, რომლის ცენტრი იყო ქ. მარაღა. ავტორი აჰმადილიანთა დინასტიის ისტორიას წარმოადგენს სელჩუკ სულთნებთან, ელდეგიზიანებთან და ხვარაზმელებ-

თან ურთიერთობის ფონზე. ავტორისავე დასკვნით, „აპმადილიანთა სახელმწიფო ამიერკავკასიაში ჯალალ ად-დინის ბატონობის დროს თუ არა, მონღოლთა გაბატონების დასაწყისშივე გაქრა პოლიტიკური ასპარეზიდან“ (გვ. 162). აქვე აქვს ავტორს მოცემული ხსენებული დინასტიის ნუსხა, მაგრამ ჩანს ვერ ახერხებს ზეობის წლების დადგენას.

ბოლოს, ამავე თავში ავტორი ეხება ქართული წარმოშობის ბეშქენიანთა დინასტიის საქმიანობას, რომლებიც XII საუკუნეში და XIII ს-ის I მეოთხედში სამხრეთ აზერბაიჯანში ბატონობდნენ. ავტორი ქართული და აღმოსავლური წყაროების ფრაგმენტული ცნობების ანალიზის საფუძველზე ახერხებს გარკვეულად აღადგინოს ბეშქენიანთა საამიროს ისტორია, ხაზი გაუსვას მათ ქართულ წარმომავლობას, გვიჩვენოს ბეშქენიანთა დინასტიის ცალკეული წევრის ურთიერთობა აღმოსავლეთის სხვადასხვა პოლიტიკური ერთეულის მესვეურთან. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს ქვეთავი, ისევე როგორც სხვა ნაწილებიც, განსაკუთრებით საინტერესო და ორიგინალურია საქართველოს ისტორიის რიგი საკითხის წარმოჩენის თვალსაზრისითაც.

ბეშქენიანთა დინასტიის წარმოშობა ჩრდილო დასავლეთ ირანში უშუალოდ დაკავშირებული იყო საქართველოში მიმდინარე მთელ რიგ პოლიტიკურ მომენტებთან. საქართველოში თურქ-სელჩუკთა შემოსევებმა და გაბატონებამ გარკვეულად დასაბამი მისცა ბეშქენიანთა დინასტიის დაფუძნებას. ავტორი წყაროების ძუნწი მონაცემების შესწავლა-გაანალიზების საფუძველზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ბეშქენიანთა დინასტიის ისტორიაზე, მის წარმოშობა-განვითარება-გადაშენებაზე.

მონოგრაფიის მესამე თავში ერცლადაა წარმოდგენილი ხსენებულ პოლიტიკურ ერთეულებთან საქართველოს ურთიერთობის საკითხები. ხაზგასმულია თუ როგორი ცხოველი ხასიათი ჰქონდა ამ ურთიერთობას XI—XII საუკუნეებში. ავტორს მეტ-ნაკლები სისრულით აქვს შესწავლილი საქართველოს ურთიერთობა მეზობელ პოლიტიკურ ერთეულებთან, თუმცა აქვე სქოლიოში შენიშნავს, რომ „ამ ურთიერთობის მთავარი არხები შადადიანთა და შირვანის სახელმწიფოებისაკენ მიემართებაო“ (გვ. 186).

იქვე თვალი მიდევნებულია რავადიანთა დინასტიის განმტკიცებასთან ერთად მათი ინტერესების გადახლართვაზე აღმავლობის გზაზე შემდგარი სომხეთისა და საქართველოს სახელმწიფოებზე. საამისოდ საინტერესოდ მსჯელობს ავტორი და არაერთ საყურადღებო მოვლენაზე ამახვილებს ყურადღებას. სათანადო წყაროების ანალიზის საფუძველზე ნაჩვენები აქვს რავადიანთა აქტიური პოლიტიკური საქმიანობა საქართველოს მიმართ. რამდენადაც რავადიანთა სახელმწიფო საქართველოს უშუალოდ არ ემეზობლებოდა, მათ შორის ცხოველი, მჭიდრო ურთიერთობისათვის ნაკლები საფუძველი არსებობდა. მაგრამ რავადიანთაგან განსხვავებით, ამ პერიოდის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი სფერო სწორედ შირვანისა და შადადიანების სახელმწიფოსთან ურთიერთობა იყო. ავტორის სამართლიანი შენიშვნით, ამ ურთიერთობის განმსაზღვრელი იყო ის, რომ სამივე სახელმწიფო თითქმის ერთდროულად გამოვიდა ამიერკავკასიის პოლიტიკურ ასპარეზზე და მათი არსებობისათვის ბრძოლა განსაზღვრავდა მათ მჭიდრო ურთიერთობასაც. ნაშრომში ამ ურთიერთობის დამადასტურებელი უხვი მაგალითებია მოყვანილი როგორც ქართული, ასევე უცხოური წყაროებიდან.

ავტორი ხაზს უსვამს თურქ-სელჩუკთა შემოსევების ფონზე საქართველოს ურთიერთობას შადადიანებთან და შირვანთან, მიუთითებს თუ როგორ მკვეთრად იცვლება ვითარება ამიერკავკასიაში თურქ-სელჩუკთა შემოსევებით. ამიერკავკასიაში ამ უკანასკნელთა გამოჩენით ისარგებლეს შადადიანებმა და ხანმოკლე, მაგრამ გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს საქართველოსთან ურთიერთობაში. შადადიანებისა და საქართველოს ურთიერთობისადმი თვალის გადავლების შემდეგ ავტორი ასკვნის: „ორი სახელმწიფოს ურთიერთობის უკანასკნელ პერიოდში საერთო ინიციატივა, გარკვეული უპირატესობა და წარმატება საქართველოს მხარეზე იყო, და ეს მიუხედავად შადადიანებისადმი თურქ-სელჩუკთა მხარდაჭერისა. გარდატეხის მომენტი ამ ურთიერთობაში არანში ოს-ქართველთა გაერთიანებულმა, ძლევამოსილმა ლაშქრობამ შეიტანა“ (გვ. 202).

ავტორი ყურადღებას ამახვილებს თბილისის საამიროზე, რომელიც გარკვეულ ძაფს აბამდა შადადიანთა სახელმწიფოსთან და საქართველოს სამეფო ხელისუფლებას უპირისპირდებოდა. რამდენადაც ნათელი იყო თბილისის ჯაფარიან ამირათა სისუსტე, შადადიანები როგორც ამ უკანასკნელთა მუსლიმი მემკვიდრენი, პრეტენზიას აცხადებდნენ თბილისზე. შადადიანები და ჯაფარიანები XI ს-ის დასასრულს დამოყვრდნენ, რაც ერთიორად აძლიერებდა მათ პრეტენზიებს თბილისზე. ეს კი სავსებით მიუღებელი იყო ქართული სამეფო ხელისუფლებისათვის.

საქართველოსა და შადადიანების ურთიერთობაში გარკვეულ ადგილს იჭერდა სომხეთის სამეფოების საგარეო პოლიტიკაც. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ ამიერკავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში და მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობაში.

ასევე არანაკლებ როლს ასრულებდა ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობაში ბიზანტიის იმპერია, რომელიც ყოველთვის ცდილობდა თავისი ცნობილი აღმოსავლეთის პოლიტიკის გატარებას ამიერკავკასიის ქვეყნებში. ნაშრომში ამაზე საგანგებოდაა ყურადღება გამახვილებული და გაშლილია მსჯელობა სომხეთის სამეფოებისა და ბიზანტიის იმპერიის როლზე საქართველოს მუსლიმანურ პოლიტიკურ ერთეულებთან ურთიერთობისას.

საქართველოს ურთიერთობა ცალკეულ მუსლიმანურ პოლიტიკურ ერთეულებთან XI ს-ის II ნახევრიდან თანდათანობით გადაიზარდა თურქ-სელჩუკებთან ურთიერთობაში, რამდენადაც შადადიანების მემკვიდრეებად ეს უკანასკნელნი გახდნენ ამას გარდა არანი და აზერბაიჯანი თურქთა ჩამოსახლების ერთერთ ძირითად ბაზად გადაიქცა. ამასთან ერთად საქართველოში არსებული ე. წ. „დიდი თურქობა“ საქართველოს არსებობას დიდი საფრთხის წინაშე აყენებდა. ასეთი მძიმე ვითარებიდან თაეის დასაღწევად მხოლოდ უკომპრომისო ბრძოლა იყო საჭირო. აღმავლობის გზაზე შემდგარი საქართველოს წინაშე დიდი ამოცანები იდგა: საჭირო იყო ამიერკავკასიის ხალხთა გამაერთიანებლის მეთაურის როლში გამოსვლა და ჩამოსახლებული თურქული ტომების განდევნა ამიერკავკასიის ტერიტორიიდან. ამას მოითხოვდა ამიერკავკასიის სხვა კულტურული ხალხების სასიცოცხლო ინტერესებიც.

დავით აღმაშენებელს კარგად ესმოდა, რომ თურქ-სელჩუკთა საქართველოდან განდევნა არ იყო საკმარისი, საჭირო იყო მათი მთელი ამიერკავკასიიდან განდევნა და მათ წინააღმდეგ მებრძოლ ძალებთან კავშირის დამყარება. საქართველოს წინაშე ისახებოდა რეალური გეგმა — ჩრდილო-აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ მებრძოლი ძალების განმტკიცება, სამხრეთში ქრისტიანული სომხეთის დაცვა და მისი დედაქალაქის — ანისის შემომტკიცებისათვის ბრძოლა. მაგრამ ამ დიდმნიშვნელოვანი ღონისძიების გასატარებლად საჭირო იყო ქვეყნის შინაგანი ძალების კონსოლიდაცია, საქართველოს ცალკეული საერისთაოების გაერთიანება, რომლის განსახორციელებლად დავით აღმაშენებელმა დიდი სახელმწიფო რეფორმა გაატარა.

ნაშრომში ნაჩვენებია დავით აღმაშენებლის საგარეო პოლიტიკური კურსი საერთოდ, და კერძოდ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულების მიმართ. ფართოდაა მსჯელობა იმის შესახებ თუ რა დამოკიდებულება არსებობდა დავით აღმაშენებლის მემკვიდრეებსა და ამიერკავკასიის მუსლიმანურ პოლიტიკურ ერთეულთა მესვეურებს შორის, როგორ იცვლებოდა ეს ურთიერთობა და საიდან გამომდინარეობდა იგი. ავტორს შეფასებული და კონკრეტული მაგალითებით ნაჩვენები აქვს დამოკიდებულების ფორმები აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მუსლიმანურ სახელმწიფოებთან დავითისა და მისი მემკვიდრეების დროს. თუ დავითის დროს მტრული დამოკიდებულება არსებობდა საქართველოსა და დარუბანდის საამიროს შორის, მისი მემკვიდრეების დროს იგი მეგობრულ და ნათესაურ ურთიერთობაში გადაიზარდა.

ქვეყნის შინაგან ძალებთან დამოკიდებულების შესაბამისად იცვლებოდა მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობის ფორმები. ქვეყნის შინაგან ძალებთან კომპრომისის შესაბამისი ხდებოდა გარეშე ქვეყნებთან დამოკიდებულების ფორმებიც. ავტორს დარუბანდთან დამოკიდებულების მაგალითზე ნაჩვენები აქვს თუ როგორ ევოლუციას განიცდიდა საქართველოს სამეფო კარის საგარეო პოლიტიკური კურსი დავით აღმაშენებლიდან მოკიდებული ვიდრე თამარის მეფობამდე. თუ დავითის დროს აშკარა მტრული ურთიერთობა არსებობდა მათ შორის, დროთა ვითარებაში იცვლება საქართველოს სამეფო ხელისუფლების დამოკიდებულება დარუბანდის საამიროსთან. ავტორი ვრცლად ეხება ამ ურთიერთობის ისტორიას დავითის დროიდან ვიდრე თამარის მეფობამდე. სათანადო წყაროების სიმცირის მიუხედავად გარკვეულ ისტორიულ სურათს აღადგენს და მთლიანობაში წარმოგვიდგენს დარუბანდისა და საქართველოს ურთიერთობის საკითხებს XI—XII საუკუნეებში. აჯამებს რა საქართველოს დარუბანდთან ურთიერთობის მომენტებს, ავტორი ასკვნის: „საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი დარუბანდამდე აღწევდა და, რომ დარუბანდის საამირო საქართველოს ვასალურ სამეფოთა რიგში იყო მოქცეული“ (გვ. 219).

საქართველოს საგარეო პოლიტიკის კურსის აშკარა გამოვლენა იყო ანისის გარშემო გაჩაღებული ბრძოლის შინაგანი და გარეგანი ფაქტორები, რომლებიც დავით აღმაშენებლის შემდეგ შემუშავდა და მეზობელ ქვეყნებთან

ურთიერთობაში ტარდებოდა. ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო საქართველოს საგარეო პოლიტიკისათვის დვინის საკითხი. დვინი ხან შადადიანთა მფლობელობაში იყო, ხან ელდეგიზიანთა. დვინს თავისი განსაკუთრებული მდებარეობის გამო გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სომხური მიწა-წყლის მუსლიმანური აგრესიისაგან დასაცავად. დვინი ყოველთვის იყო ამა თუ იმ პოლიტიკური ერთეულის დასაყრდენი ამიერკავკასიაში.

ნაშრომში ხაზგასმულია საქართველოსა და აჰმადილიანთა სახელმწიფოების ურთიერთობის ფრაგმენტული მომენტი, კერძოდ, თამარის დროს ქართველთა შორეული ძლევაძოსილი ლაშქრობა, აჰმადლიანთა სახელმწიფოში შეჭრა და მათი გამგებლის საკვდილით დასჯა. ავტორის დაკვირვებით, მიუხედავად ბეშქენიანთა დინასტიის ქართული წარმომავლობისა, საქართველოსა და ბეშქენიანთა საამიროს შორის არ არსებობდა რაიმე კავშირი. იქვე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ XII ს-ის მეორე ნახევრიდან აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები ელდეგიზიანთა გამგებლის ქვეშ ექცევიან და ამიერიდან საქართველოს მათთან უხდება ურთიერთობა. ეს ურთიერთობა კი დღემდე კვლევის საგნად არავის გაუხდია.

უნდა აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა რიგში, ალბათ, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა შირვანის ისტორიის წარმოდგენაც. შესაძლებელია, ავტორი უფრო კონკრეტულად და ფართოდ აპირებს შირვანის შესახებ გამოკვლევის დაწერას, ეს საჭირო და საშური საქმეა, მაგრამ, ვფიქრობთ, აქაც გარკვეული ადგილი უნდა დასთმობოდა მას.

ამრიგად, სარეცენზიო ნაშრომში განხილული საკითხები, როგორც ვნახეთ, თავისი თემატიკით, საკითხის დაყენებითა და გადაწყვეტით სრულიად ორიგინალური და საინტერესოა. ნაშრომი დაწერილია მაღალ მეცნიერულ დონეზე, კარგი ქართული ენით. მისი გამოქვეყნებით ჩვენს ისტორიოგრაფიას შეემატა სერიოზული გამოკვლევა, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევს აღებული ხანის ამიერკავკასიის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს.

ნოდარ ფენგელია

Ж. ДЮМЕЗИЛЬ ОБ ОСЕТИНСКОМ ЭПОСЕ И МИФОЛОГИИ

В Москве, в издательстве «Наука» в русском переводе А. З. Алмазовой вышла книга известного французского ученого Жоржа Дюмезиля «Осетинский язык и мифология» под редакцией В. И. Абаева.

В книге собраны исследования Ж. Дюмезиля по осетинским нартовским сказаниям и осетинской мифологии.

В своем послесловии к книге Ж. Дюмезиля В. И. Абаев подчеркивает заслугу ученого как в области исследования проблем по сравнительной мифологии и истории религии, так и в области кавказской филологии и, в частности, осетинского нартовского эпоса, интерес к которому он проявляет с первых дней научной деятельности. Ж. Дюмезиль подробно изучил осетинский нартовский эпос, привлекая кабардинские, западно-адыгские, балкарские и другие варианты.

В своих работах «Книга о героях», «Сказания о нартах» и других Ж. Дюмезиль подчеркивает, что основной фонд нартовских сказаний осетин является древним и оригинальным, унаследованным ими от богатой скифо-сарматской и аланской эпической традиции. Ж. Дюмезиль указывает, что эпические герои-нарты известны не одним осетинам. Их соседи чеченцы, ингуши, абхазцы, черкесы, убыхи, балкарцы и, в меньшей степени, кумыки, тоже рассказывают интересные варианты нартовских сказаний, но Ж. Дюмезиль считает, что как название «нарт», которое так или иначе происходит от индоиранского названия героического мужчины — «нар», так и представление о нартах и главнейшие персонажи, воплощающие это представление, родились в Осетии, а потом уже были восприняты соседними народами, зачастую переосмыслены, а порой даже получили новую жизнь или обогатились новыми чертами.

В книге «Сказания о нартах» Ж. Дюмезиль говорит , что обычаи скифо-сарматов, обрисованные Геродотом, и нравы, приписываемые в сказаниях осетинским нартам, с внушающей доверие точностью совпадают во многих чертах.

Эту сопоставительную работу начал Вс. Миллер, опубликовавший свою статью «Черты старины в сказаниях и быте осетин». Ж. Дюмезиль продолжил эту работу. В своей книге он приводит параллели, обнаруженные Вс. Миллером, а также параллели, выявленные им самим, которые сводятся к следующим:

1. Нарты проводят жизнь в дальних годичных походах «балцах», во время которых живут охотой и набегами. Такой образ жизни вели и предки осетин — аланы. Автор подчеркивает роль коня в жизни нартов и алан.

2. Геродот рассказывает, — пишет Ж. Дюмезиль, — что вокруг могилы скифского царя расставлялись трупы коней, предназначенных сопровождать его в загробный мир: их душат, потрошат, чистят нутро, и, набив мякиной, зашивают, потом их водружают на колья, прикрепленные к половинкам колес. В осетинских обычаях Ж. Дюмезиль этого не нашел, но сказание о смерти Сослана, по его мнению, хранит об этом точные воспоминания.

3. В некоторых сказаниях осетинских циклов о Сослане и Батрадзе встречается следующая черта: герой победитель отрубает у врага

правую руку и приносит ее в виде трофея своей матери, тетке. У скифов был обычай из каждой сотни пленников приносить в жертву одного человека, которому у святилища отрубают правые плечи с руками и бросают в воздух.

4. Согласно Геродоту, вот как клялись друг другу два скифа: они наливали вино в большой глиняный кубок, капали туда немного своей крови, окунали в него оружие (саблю, стрелы, копья) и произносили длинный священный обет. Потом каждый из братующихся, так же, как и самые именитые из сопровождающих, выпивали часть содержимого кубка. Аналогичный обряд побратимства был у осетин.

5. Следующей параллелью Ж. Дюмезиль считает трифункциональное деление общества нартов. Нарты делятся на три рода: Алагата, которые были сильны умом, Ахсартагата — отличались храбростью и мужеством, а Бората были богаты скотом. «Здесь мы сразу распознаем, — пишет Ж. Дюмезиль, — индоиранскую концепцию, согласно которой любое благоустроенное общество состоит из людей, несущих соответственно три функции: мудрость, физическую силу, экономическое благоденствие».

Ж. Дюмезиль приводит легенду о происхождении скифов, согласно которой у предка скифов Таргитая было трое сыновей, между которыми он делит Скифию на три царства. В их царствование на скифскую землю упали золотые предметы: плуг, ярмо, секира и чаша. По мнению Ж. Дюмезиля эти предметы символизируют три функции: чаша имеет культовое назначение, секира предназначена для войны, ярмо и плуг для земледелия, ибо в глубокой древности у индоевропейских народов в их социальной структуре определились три социальные функции: религиозно-жреческая, военная и хозяйственная.

Это трехчастное социальное деление наложило, по мнению Ж. Дюмезиля, определенный отпечаток на религиозную и мифологическую систему индоевропейских народов. Та же функция социальных различий, по мнению Ж. Дюмезиля, жива еще сегодня у осетин не в реальной жизни, а в нартовских сказаниях, поэтому не случайным считает автор и деление героев осетинского эпоса нартов на три фамилии — Алагата, Ахсартагата и Бората. Алагата, в доме которых нарты собирались для молитвенных пиршеств, выражают первую функцию. Ахсартагата, отличающиеся воинственностью, — носители второй функции. Бората, славящиеся богатством, олицетворяют третью.

Ж. Дюмезиль показал, что по своей структуре общество нартов у осетин отлично от общества нартов у других народов Северного Кавказа.

У черкесов трехродовая структура нартского общества полностью исчезла; нет ее у балкарцев и карачаевцев. Забыта эта структура и в абхазском эпосе. У чеченцев и ингушей, указывает Ж. Дюмезиль, на место троичной структуры пришла двоичная. Нарты носят признаки первой и третьей функции, а орхустойцы — второй.

Теория трех функций, по мнению В. И. Абаева, заслуживает внимания, т. к. знаменует собой новый и важный этап в изучении религиозных и мифологических систем, ибо пытается истолковать надстрочные явления в связи с реальным процессом общественной жизни и общественных отношений.

Ж. Дюмезиль указывает, что в сказках индоевропейских народов сохранены традиции и обряды, которые, подчеркивая достоинства второй функции, т. е. силы, храбрости, мужества, отдают ей самое почетное место и руководящую роль, ставя ее выше первой.

Эта идея, как считает Ж. Дюмезиль, отражена и в войне между двумя нартовскими родами Ахсартагата и Бората, хотя со временем войну между этими родами начали рассматривать как историю кровной мести между ними.

Анализ сказаний, в которых показана борьба между Ахсартагата и Бората, приводит автора к заключению, что Ахсартагата обладают и пользуются плодами не только силы и могущества, но также и зонда-мудрости, что Ахсартагата — род сильных, ставших в эпосе главным, забрал себе мудрость, не оставив за так называемым родом мудрых — Алагата — почти ничего, кроме устройства общественных ритуалов.

К этому же заключению приходит Ж. Дюмезиль при анализе сказаний о браке между главной героиней осетинского эпоса — Сатаной и ее братом Уырызмагом. Брак между Сатаной и Уырызмагом Ж. Дюмезиль считает проявлением функционального значения трех нартовских родов. Сатана, представительница рода Ахсартагата, побеждает разумом двух жен Уырызмага — представительниц рода Алагата и Бората, и сама становится супругой своего брата Уырызмага. И здесь, говорит Ж. Дюмезиль, род сильных побеждает. Ж. Дюмезиль не склонен объяснять брак между братом и сестрой в свете обычаев, бытовавших в некоторых областях Ирана под влиянием зороастризма, восхваляющего брак между ближайшими кровными родственниками. Ж. Дюмезиль ссылается на В. И. Абаева, показавшего, что на Северном Кавказе влияния зороастризма и вообще маздеизма почти не было. Ж. Дюмезиль подчеркивает, что осетины с такой верностью сберегли, применительно к нартовским героям, основную черту древнейших воззрений о трифункциональной структуре общества.

Характеризуя образ Сатаны у осетин, Ж. Дюмезиль подчеркивает, что в образе и поступках ее многие ученые единодушно признают эпические следы матриархата, неизбежного для всякого общества. То, что эпос в целом отводит много места одной героине, говорит Ж. Дюмезиль, еще не дает права говорить о матриархате; осетинская Сатана при своих достоинствах и дарованиях все же не верховодит. Она дает советы отдельным лицам и обществу в целом, ибо нарты признают ее черезвычайную проницательность. Но в публичных обсуждениях общественных дел она не участвует, без нее принимаются решения о походах, не спрашивают ее мнения и при делении добычи. К тому же, говорит Ж. Дюмезиль, осетины — индоевропейцы. А индоевропейцы миновали матриархат еще до своего распыления (достаточное к тому доказательство — перечень наименований родства) и жили при таких общественных формах (семья и более широкие группировки), в которых господствовали мужчины.

Ж. Дюмезиль подчеркивает, что осетины сберегли и образы из мифологии предков. Разбирая сказания о Батразе, он приходит к выводу, что этот мифологический образ является пережитком мифологического образа Ареса у скифов, что Батраз когда-то был не кем иным, как богом-мечом.

В образе меча изображалось старинное божество скифов и алан-бог, которого Геродот и Аммиан Марцеллин называют Аресом или Марсом — бог меча.

Ж. Дюмезиль предполагает, что образ Сослана восходит к дохристианской мифологии осетин, и в его образе скрывается культ солнца. Само имя Сослан связано, по его мнению, с осетинским названием жаркого времени года, дигорское «сос», иранское «сусаен», сочетается с периодом летнего солнцестояния. Анализируя целый ряд нартовских сказаний, Ж. Дюмезиль подробно анализирует сказания, в которых фигу-

рирует один из популярнейших героев осетинских нартовский сказаний Сырдон. Он связывает образ Сырдона с образом скандинавского бога Локи. Много общего у этих двух образов. Их связывает и вражда с солнечными божествами — Сырдона с Сосланом и Локи с Бальдром.

В книге «Осетинский эпос и мифология» помещена статья Ж. Дюмезиля «По поводу некоторых фольклорных представлений осетин», в которой автор, касаясь термина «авдиу», встречаемого в осетинском фольклоре, указывает, что данное слово произошло от слова «дайва», бытовавшего в древнеосетинском в своем первоначальном общеарийском значении «бог». Термин этот получил другой смысл в зороастризме, стал обозначать «злой дух». Ж. Дюмезиль полагает, что в осетинских эпических сказаниях встречаемый персонаж Авдиу является наследником богини воды.

Ж. Дюмезиль дает этимологию и термина «дауаг». Автор указывает, что в осетинском языке для обозначения в целом духов в противовес людям имеются термины «задга» и «дауджыта». По его мнению «дауаг» — это божок, которому были даны какие-то определенные полномочия. Каждый из дауджыта был связан с какой-то одной областью, определенным элементом природы. Ж. Дюмезиль считает, что лучшая этимология данного слова дана В. И. Абаевым, который объясняет его как «мочь», «обладать могуществом».

Ж. Дюмезиль останавливается и на термине «уац». По его мнению «уац» и как самостоятельное слово, и как первый компонент некоторых распространенных в обиходе сложных слов означает «новость», «весть». Наряду с этим этот термин означает то, что достойно прославления, восхваления. Например, в сочетании с именами святого Ильи, святого Георгия — Уацилла, Уастырджы.

Ж. Дюмезиль полагает, что в фольклоре осетин сохранились индоиранские мифологические имена, например, уаиг — сказочный великан, постоянно враждующий с героями. Ж. Дюмезиль, как и В. И. Абаев, выводит это слово от имени индойранского бога Вауи — ветер. Но в современном осетинском языке термин уаиг утратил какое-либо отношение к ветру и означает класс мифологических существ.

Ж. Дюмезиль перевел на французский язык нартовские сказания и тем самым познакомил широкий круг зарубежных читателей с этим эпосом.

Книга Ж. Дюмезиля «Осетинский эпос и мифология» является важным вкладом в изучение нартовских проблем.

З. Д. ГАГЛОЕВА

ქრონიკა და ინფორმაცია

საქართველოს გვიანბრინჯაო — ადრერკინის ხანის ძეგლთა ქრონოლოგია-პერიოდიზაციისადმი მიძღვნილი სესია

1977 წლის 21—23 იანვარს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრმა მოაწყო სამეცნიერო სესია მიძღვნილი საქართველოს გვიანბრინჯაო — ადრერკინის ხანის ძეგლთა ქრონოლოგია-პერიოდიზაციის საკითხებისადმი. ანალოგიური ხასიათის საკავშირო სესიის ჩატარება დაგეგმილია 1978 წლის ოქტომბრისათვის, ქ. სიღნაღში. სესია შესავალი სიტყვით გახსნა პროფ. ო. ლორთქიფანიძემ. მან აღნიშნა, რომ ამ სესიის ძირითად მიზანს შეადგენს მაქსიმალურად გაირკვეს თუ რა მდგომარეობაა ამიერკავკასიაში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ქრონოლოგია-პერიოდიზაციის კვლევის საკითხში.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა რ. აბრამიშვილმა წაიკითხა მოხსენება: „აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლების პერიოდიზაცია“, სადაც ახლად აღმოჩენილი მასალების შუქზე სცადა გაემაგრებინა მის მიერ ადრე, ძირითადად სამთავროს სამაროვნის მასალებზე დაყრდნობით შემუშავებული ქრონოლოგიური სკალა. კერძოდ, ის შესაძლებლად მიიჩნევს გვიანბრინჯაოს ქვედა საზღვარი, მისი ქრონოლოგიური მიჯნა გადატანილ იქნეს ძვ. წ. XV ს-ის დასაწყისამდე.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის კ. ფაცხელაურის მოხსენებაში „აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლთა პერიოდიზაციის ზოგიერთი საკითხი“ გამახვილებული იყო ყურადღება ცენტრალური ამიერკავკასიის შუა და გვიანბრინჯაოს ხანებს შორის გარდამავალი პერიოდის არსებობაზე. მომხსენებლის აზრით, აღმოსავლეთ საქართველოში და ჩრდილო სომხეთში მოპოვებული მასალების მიხედვით, გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე გავრცელებულია მსგავსი კულტურა. ის ქრონოლოგიურად წინ უსწრებს შიდა ქართლის ფოთლისებრსატევრიან კომპლექსებს და კახეთის შედგენილტარიანი სატევრების შემცველ კულტურას. კახეთის გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის ძეგლებს, წინა აზიური ანალოგიებით კ. ფაცხელაური ძვ. წ. XIV—XIII სს მიჯნით ათარიღებს. ზუსტად ამავე ხანით დათარიღდა რადიოკარბონული ანალიზის (C_{14}) შედეგად ფევრების სამაროვანზე მოპოვებული ხის ნაშთებიც.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ო. ღამბაშიძის მოხსენების თემა იყო „ჩითახევის მიწების“ — (ბორჯომის რაიონი) გვიანბრინჯაო-ადრერკინის სამაროვნის ქრონოლოგია-პერიოდიზაცია. სამაროვანზე მოპოვებული ეკრავალფეროვანი მასალის ტიპოლოგიურმა შედარებამ შიდა ქართლის და თრიალეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ძეგლებთან შესაძლებელი გახადა ქრონოლოგიურად განსხვავებული რამდენიმე ფენის გამოყოფა: I. შუაბრინჯაოს ხანის ბოლო ეტაპით, ძვ. წ. XVI—XV სს მიჯნით დათარიღდა ერთი ორმოსამარხი; II ფენა ორმოსამარხებით არის წარმოდგენილი, რომლებიც მომხსენებლის აზრით, დაახლოებით ძვ. წ. XV ს-ის შუა ხანებს განეკუთვნებიან. აქ ეეხვდება შუა და გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპისათვის დამახასიათებელი ნაწარმი და ამიტომ მათი ასაკი ზოგადად შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი ეტაპით არის განსაზღვრული; III ფენაში გარდა ორმოსამარხებისა გვხვდება ქვით ნაგები და ერთი, ძელებით ნაგები სამარხები. ამ ფენის სამარხეული ინვენტარი მსგავსებას იჩენს შიდა და ქვემო ქართლის (სამთავრო, კასპი, უფლისციხე, მადნის ჭალა) ძვ. წ. XIV—XIII სს მასალასთან; IV ფენა ძირითადად წარმოდგენილია ქვით ნაგები სამარხებით, რომლებიც ძვ. წ. XIII—XII სს თარიღდება; V ფენის ქვით ნაგებ სამარხებში პირველად ჩნდება რკინის იარაღ-სამკაული, რომელიც მსგავსებას პოულობს სამთავროს XI—IX სს სამარხებულ ინვენტართან. VI ფენის ორმო და ქვით ნაგები სამარხები ხასიათდება რკინის ნაწარმის სიმრავლით, მკვეთრად შეინიშნება დასავლურ და აღმოსავლურ ქართული კულტურის ელემენტების შერწყმა. მისი ქრონოლოგიური ჩარჩოები ძვ. წ. VIII—VII სს; VII ფენაში მხოლოდ ორმოსამარხებია, რომლებშიც მხოლოდ რკინის იარაღია წარმოდგენილი. ეს ფენა ძვ. წ. VII—VI სს თარიღდება; VIII ფენის სამარხები ძვ. წ. VI—IV სს განეკუთვნებიან.

აფხაზეთის ძეგლების ქრონოლოგიის საკითხებს შეეხო რამდენიმე მომხსენებელი. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ი. ვორონოვმა წაიკითხა მოხსენება: „გვიანბრინჯაო—ადრერკინის ხანის ჩრდილო კოლხეთის ძეგლების

ქრონოლოგია“ მან გამოჰყო ამ ეპოქის ძეგლთა ჯანვითარების ორი ეტაპი:

I. ძვ. წ. VIII საუკუნე და ძვ. წ. VII ს-ის შუა ხანები. მისი აზრით, ამ პერიოდს განეკუთვნებიან ჩრდილო კოლხეთში ეამოვლენილი, ბრინჯაოს ნივთების შემცველი სამარხები (წითელი შუქურა, კულანურხვა, აიფსთა, პრიმორსკოე, ეშერა და სხვ.); II. ძვ. წ. VII ს-ის მეორე ნახევარი — ძვ. წ. VI ს-ის დასაწყისი, ამ ეტაპს აკუთვნებს ი. ეორონოეი ბრინჯაო-რკინის ინვენტარის შემცველ, შერეულ კომპლექსებს (წითელი შუქურა, კულანურხვა და სხვ.). ანალოგიებზე დაყრდნობით (ჩრდილო შაეიზღეის-პირეთი, ეოლგისპირეთი, ჩრდილო კავკასია, აღმოსაელეთ ამიერკავკასია, ურარტუ) მომხსენებელი თვლის, რომ კოლხურ-ყობანური კულტურის აყვავების ხანა ემთხვევა კიმერიულ (ძვ. წ. 750—650 წწ.), ადრესკვითურ (ძვ. წ. 650—580 წწ) ეპოქებსა და ურარტუს არსებობის უკანასკნელ საუკუნეებს (ძვ. წ. VIII— ძვ. წ. VI ს-ის დასაწყისი).

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა მ. ბარამიძემ ყურადღება გაამახვილა აფხაზეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის სამაროვანთა ქრონოლოგია-პერიოდიზაციაზე. მრავალრიცხოვანი კომპლექსების ურთიერთშეჯერების საფუძველზე მომხსენებელმა შეძლო გამოეყო წითელი შუქურის სამაროვნის ადრეული კომპლექსები (ძვ. წ. XII—XI სს.). მისი აზრით, გუადიხუს სამაროვნის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი ძვ. წ. VI საუკუნეს განეკუთვნება. აფხაზეთში რკინის იარაღის გაჩენას მ. ბარამიძე ძვ. წ. II—I ათასწლეულის მიჯნას უკავშირებს.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი გ. შამბა შეეხო ეშერის მრავალფენიანი ძეგლის ქრონოლოგიის საკითხს. მომხსენებელი თვლის, რომ ეშერული კრომლეხები შუაბრინჯაოს ხანიდან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ ეტაპს განეკუთვნება. ეშერული „ოსუარიები“ — ქვევრსამარხები მეორადი დაკრძალვის წესით, ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულით თარიღდება. ადრერკინის ხანა გ. შამბას ვარაუდით, II და I ათასწლეულების მიჯნაზე მოდის, თუმცა როგორც აღნიშნა მომხსენებელმა ჯერჯერობით ძვ. წ. X—IX სს რკინის იარაღი აქ ფიქსირებული არ არის.

ძვ. წ. VIII—VI სს რკინის ინდუსტრიის აყვავების ხანადაა მიჩნეული. აფხაზეთში ამ პერიოდს განეკუთვნება „ვერეშჩაგინის გორაზე“ აღმოჩენილი ბრინჯაოსა და რკინის იარაღის განძი. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ნამოსახლარი დადასტურებულია ქეემო ეშერაში, „ეერეშჩაგინის გორაზე“; რის შემდეგ აქ ჩნდება ადრეანტიკური ხანის დასახლება (ზღვის სანაპირო ზოლში).

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა მ. გუნაამ დაახასიათა გალის რაიონში, სოფ. წარჩასთან მის მიერვე გამოვლენილი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარის კულტურული ფენები და აქ აღმოჩენილი კერამიკული მასალა: კოლხური ქვევრების, მდიდრულად ორნამენტირებული ჭურჭლების ფრაგმენტები და სხვ.

ნოსირ-მუხურჩის არქეოლოგიური ძეგლები განიხილა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. გოგაძემ. ნოსირის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარის III და IV კულტურული ფენები მისი დაკვირვებით განეკუთვნება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანას, კერძოდ III ფენა მის მიერ დათარიღებულია II ათასწლეულის, ხოლო IV ფენა I ათასწლეულის დასაწყისით. მუხურჩის სამაროვანზე გამოიყოფა ორი ძირითადი ეტაპი: 1. ძვ. წ. VIII ს-ის — ძვ. წ. VII ს-ის და 2. ძვ. წ. VII—VI სს. სოფ. მუხურჩში აღმოჩენილია ადრერკინისა და ადრეანტიკური ხანის ვრცელი ნამოსახლარი.

სესიის მუშაობა შეაჯამა პროფ. თ. მიქელაძემ. მან აღნიშნა, რომ ქრონოლოგია-პერიოდიზაციისადმი მიძღვნილი სესია ნაყოფიერი აღმოჩნდა თავის შედეგებით. ქართველი არქეოლოგები მომზადებული ხვდებიან ამავე პრობლემებისადმი მიძღვნილ საკავშირო სესიას.

ნინო კიღურაძე

ირაკლი გიორგის ძე ანთელავა



ქართულმა საბჭოთა ისტორიულმა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა. ჩვენგან წავიდა გამოჩენილი მეცნიერი, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ირაკლი ანთელავა. იგი მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე თავდაუზოგავად, უანგაროდ ემსახურებოდა მშობელ ქვეყანას, თავის ერს.

ირაკლი ანთელავა ორმოცი წლის განმავლობაში გატაცებით ეწეოდა სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას, როგორც მკვლევარი და ლექტორი გამოირჩეოდა მაღალნიჭიერებით, დიდი ერუდიციით, სანიმუშო კეთილსინდისიერებით და პრინციპულობით.

ირაკლი ანთელავა დაიბადა 1912 წ. 21 თებერვალს ზუგდიდის რაიონის სოფ. ყულისკარში. 1931 წ. წარმატებით დამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის განყოფილება. 1931—1932 წლებში მასწავლებლობდა სოფ. დარჩელში. 1936 წელს დამთავრა ლენინგრადის საფინანსო-ეკონომიური ინსტიტუტი.

ირაკლი ანთელავას მეცნიერული საქმიანობა დაიწყო 1938 წლიდან დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში, სადაც განაგებდა ისტორიისა და ეთნოგრაფიის განყოფილებას. პარალელურად იგი მუშაობდა ა. მ. გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც წლების მანძილზე სათავეში ედგა ისტორიის კათედრას.

განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ირაკლი ანთელავას მეცნიერული მოღვაწეობა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. იანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. აქ მან 22 წელი (1956—1978 წწ.) დაუღალავ შემოქმედებით შრომაში გაატარა, 1957 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ხელმძღვანე-

ლობდა ახალი ისტორიის განყოფილებას. შეთავსებით ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის კათედრაზე.

პროფესორმა ირაკლი ანთელავამ კვლევა-ძიების სფეროში მრავალი ახალი პრობლემა შემოიტანა. იგი სანიმუშო გულმოდგინებით სწავლობდა შუა საუკუნეებისა და ახალი ხანის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ ისტორიას, რომელსაც მიუძღვნა ორტომიანი კაპიტალური ნაშრომი „სახელმწიფო გლეხები საქართველოში XIX საუკუნეში“ (რუსულ ენაზე) და ახლახან გამოცემული საფუძვლიანი მონოგრაფია „XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების სასიათის საკითხისათვის“ (1977 წ.). ხსენებული ორტომიანი საშრომისათვის ირაკლი ანთელავას აკად. სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემია მიენიჭა.

მეცნიერმა პირველმა ჩვენს ისტორიოგრაფიაში გააშუქა ფეოდალური ურთიერთობის ხასიათი და თავისებურებანი აფხაზეთის სამთავროში, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების შესწავლაში.

ირაკლი ანთელავამ მრავალი ორიგინალური გამოკვლევა მიუძღვნა კაპიტალიზმის გენეზისს და განვითარებას საქართველოში. ეს ნაშრომები ემყარება მდიდარ საარქივო წყაროებს და მთელი სისრულით წარმოგვიდგენენ არა მარტო შუა საუკუნეებისა და ახალი ხანის საქართველოს საზოგადოების ძირითადი მწარმოებელი კლასის — გლეხობის ისტორიას, არამედ ახალ შუქს ჰფენენ ფეოდალური ურთიერთობის რღვევასა და ახალი, ბურჟუაზიული ურთიერთობის ჩასახვა-განვითარებას საქართველოში. ირაკლი ანთელავამ ამ ნაშრომებით თვალსაჩინო წვლილი შეიტანა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში.

80-მდე შრომის, მათ შორის 9 მონოგრაფიის, ავტორმა შესანიშნავი გამოკვლევები უძღვნა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისა და აზროვნების ისტორიას — დიდი ილიას მსოფლმხედველობას, ანტონ ფურცელაძეს, გიორგი მაიაშვილს, სოფრომ მგალობლიშვილს, სტეფანე ჭრელაშვილს, გიორგი ლასხიშვილს, ალექსანდრე ნანეიშვილს, კონსტანტინე მამაცაშვილს და მრავალ სხვა მოღვაწეს.

დიდია ირაკლი ანთელავას დამსახურება საქართველოს ისტორიის ნარკვევების რვატომეულის მომზადებაში. იგი იყო ამ ნარკვევის სარედაქციო კოლეგიის წევრი, V ტომის რედაქტორი და თანაავტორი.

მეცნიერმა ორიგინალური გამოკვლევებით მართლაცდა ძეგლი დაუდგა რუსეთის 1812 წლის სამამულო ომის მონაწილე ქართველ ავბრძოლებსა და 12 მხედართუფროსს, მათ შორის დიდ სარდალს, ბოროდინოს ლეგენდარულ გმირს, პეტრე ბაგრატიონს, გენერლებს ძმებს იაშვილებს, ძმებს ფანჩულიძეებს, ბიბილურს, შალიკაშვილს, ჯავახიშვილს, რ. ბაგრატიონს და სხვებს. მან სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა თურქეთის წინააღმდეგ ქართველი ხალხის გმირული ბრძოლის გამუქებას.

ირაკლი ანთელავამ შექმნა დამხმარე სახელმძღვანელოები უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებისათვის არა მარტო საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის, არამედ რუსული საზოგადოებრივი აზრის ისტორიის შესახებაც, რითაც დიდი სამსახური გაუწია ჩვენს ახალგაზრდობას და ამ საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს.

ირაკლი ანთელავას მონოგრაფიები ბევრ საყურადღებო დებულებასა და მოსაზრებას შეიცავენ არა მარტო ისტორიკოსებისა და მკითხველი საზოგადოებისათვის, არამედ აგრეთვე ეკონომისტებისათვის, ლიტერატურის მცოდნეთათვის, ქართული პუბლიცისტიკის მკვლევარებათვის. მისმა გამოკვლევებმა ალიარება პოვეს ჩვენს ისტორიოგრაფიაში, რესპუბლიკურ და საკავშირო სამეცნიერო სესიებზე საერთაშორისო კონგრესებზე.

ირაკლი ანთელავა ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. იგი იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, მთავარი საარქივო სამმართველოს სამეცნიერო საბჭოს, საისტორიო საზოგადოების პრეზიდიუმისა და საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის წევრი.

ჩვენგან წავიდა გამოჩენილი მეცნიერი, სასიქადულო მამულიშვილი, უმწიკვლო და პრინციპული მოქალაქე, ფაქიზი მეგობარი, რომლის ღვაწლი სამუდამოდ დარჩება ქართულ მეცნიერებაში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება; საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი; საქართველოს საისტორიო საზოგადოება; საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის პრეზიდიუმი

რ ე დ ა ქ ც ი ი ს მ ი ს ა მ ა რ თ ი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
А д р е с р е д а к ц и и: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-95-50 телефон

ხელმოწერილია დასაბეჭდად 23.VI.78; შეკვ. 622; ანაწყობის ზომა 7×12;
ქაღალდის ზომა 70×108 1/16; ნაბეჭდი თაბახი 19.25; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 17.83; უე 06706; ტირაჟი 1500
ფასი 1 მან.

*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

*

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19